

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი



მაია ციციშვილი, ნინო ჭოლოშვილი

**ქართული მხატვრობა – განვითარების ისტორია
XVIII-XX საუკუნეები**

თბილისი
2013

UDC(უაკ) 75(479.22) (09)
ც-784

პროექტის ავტორი: მაია ციციშვილი

ტექსტის ავტორები და ალბომის შემდგენლები:
მაია ციციშვილი, ნინო ჭოლოშვილი

პროექტზე მუშაობდნენ: თეა ურუშაძე, მაკა სოსხაძე

საფონდო სამუშაოები:
მაკა სოსხაძე, ირინა არსენიშვილი, ეთერ შელია,
იზოლდა ქურდაძე, თეა ყველაშვილი, მერი მაცაბერიძე,
ლუიზა ბერაძე, ირმა გაგოშიძე

რედაქტორი: მარიკა ერქომაიშვილი

მთარგმნელი: თამარ ჯანაშია

ფოტო, დიზანი, დაკაბადონება:
გოგა დემეტრაშვილი, ნატა ყიფიანი, ნატალია ლლონტი,
თამუნა კოლოტაური, ხატია აფხაიძე, ხათუნა ვერძაძე,
ჯამბაკურ ბაქრაძე

დაიბეჭდა სტამბაში შპს „ფავორიტი სტილი“

გაწეული დამხარებისთვის მადლობას ვუხდით:
საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურ დირექტორს დავით
ლორთქიფანიძეს, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და
ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორს გიორგი კალანდიას,
ამბროლაურის სახვითი ხელოვნების მუზეუმის სამსახურის უფროსს
ზოია გოცირიძეს, ნათია მიქელაძეს და ქრისტინე დარჩიას

- © ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, 2013
- © მაია ციციშვილი, ნინო ჭოლოშვილი, 2013
ყველა უფლება დაცულია



აღნიშნული პროექტი (№ B-02-10) განხორციელდა შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით

უფასო ეგზემპლარი

ISBN 978-9941-0-6010-6

www.rustaveli.org.ge

2010-2013 წლებში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა კვლევითი პროექტი, რის შედეგადაც დაიწერა აღნიშნული წიგნი და შეიქმნა ალბომი. წიგნი მოგვითხრობს ქართული დაზგური მხატვრობის განვითარების ისტორიას ორი საუკუნის მანძილზე (XVIII საუკუნის II ნახევრიდან XX საუკუნის 70-იან წლებამდე) და შედგება ორი ნაწილისგან. I ნაწილში წარმოდგენილია გამოკვლევა, რომელშიც განხილულია ქართული მხატვრობის სხვადასხვა პერიოდი. მას თან ერთვის აღნიშნულ დროს მოღვაწე მხატვრების ბიოგრაფიები და პუბლიკაციების ჩამონათვალი. II – ელექტრონულ – ნაწილში თავმოყრილია ამ მხატვართა ნამუშევრები შესაბამისი ანოტაციებით. წიგნი წარმოადგენს აღნიშნული პერიოდის ქართული მხატვრობის ხელახალი გააზრების მცდელობას. ბუნებრივია, პროექტის ფარგლებში სრულად და თანაბრად ვერ გაშუქდებოდა ყველა საკითხი და ყოველი მხატვრის შემოქმედება. ცალკეული თავები მიეძღვნა ამა თუ იმ მოვლენასა და პერიოდს, რომელიც ავტორებმა ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნიეს. ენციკლოპედიურ-კვლევითი ხასიათის ნაშრომი, რომელიც გათვალისწინებულია სახელმძღვანელოდ, იმედია, დააინტერესებს როგორც სპეციალისტებს, ასევე მკითხველთა ფართო წრეს.

შინაარსი

თავი I. ქართული პორტრეტული მხატვრობა XVIII საუკუნის II ნახევრიდან XIX საუკუნის 80-იან წლებამდე <i>მაია ციციშვილი</i>	7
თავი II. ახალი ქართული მხატვრობის უფროსი თაობის წარმომადგენლები <i>მაია ციციშვილი</i>	29
თავი III. უცხოელი მხატვრები და საქართველო <i>ნინო ჭოლოშვილი</i>	69
თავი IV. ქართული მოდერნიზმი <i>მაია ციციშვილი</i>	99
თავი V. სოციალისტური რეალიზმი ქართულ მხატვრობაში <i>ნინო ჭოლოშვილი</i>	147
თავი VI. ქართული მხატვრობა II მსოფლიო ომის შემდეგ <i>ნინო ჭოლოშვილი</i>	167
ბიოგრაფიები	207



უცნობი მხატვარი, ერეკლე II; ტილო, ზეთი; 89X71;
XVIII ს-ის II ნახ.; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

ქართული პორტრეტული მხატვრობა

XVIII საუკუნის II ნახევრიდან XIX საუკუნის 80-იან წლებამდე

საქართველოში საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში შემორჩენილმა ფეოდალურმა წესწყობილებამ მართლმადიდებლურ-ქრისტიანული ხელოვნების ძლიერი ტრადიციით, განსაკუთრებით კი, გამუდმებულმა დაძაბულმა პოლიტიკურმა ვითარებამ, შეაფერხა ახალი ქართული ხელოვნების ჩამოყალიბება. ამ მიზეზით დაზგური მხატვრობის განვითარებაც უფრო თავისებურად, დასავლეთის სამყაროს ქვეყნებისგან განსხვავებული გზით წარიმართა. დასაწყისშივე მეტი სიხალსოვე გამოვლინდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების, განსაკუთრებით, პოლონეთის, უკრაინისა და ბელორუსიის მხატვრობასთან. სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ ახალი ქართული დაზგური მხატვრობა მხოლოდ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო ერთადერთი ჟანრით – პორტრეტით და თანაც არა საქართველოში, არამედ რუსეთში.

ქართული დაზგური მხატვრობის განვითარება იმ სახით, რომლითაც ის XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან დამკვიდრდა, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, ქართული სამეფო კარის და სახელმწიფო სამსახურში მყოფ ქართველ თავადაზნაურთა გარკვეული წრის რუსეთში გადასახლება და დამკვიდრებამ განაპირობა. ფაქტობრივად, სწორედ ამ დროიდან და ამგვარ გარემოში იწყება ახალი ქართული დაზგური მხატვრობის დაბადება.

ბუნებრივია ისიც, რომ ახალ გარემოში, რუსეთში, შექმნილი დაზგური მხატვრობის პირველი ნიმუშები პორტრეტები იყო, რადგან რეალისტური მხატვრობის ეს ჟანრი, პეტრეს I-ის დროიდან მოყოლებული, ხარისხისა და პოპულარობის მიხედვით, XVIII საუკუნის მეორე ნახევარშიც წარმართველი რჩებოდა. რუსეთში პორტრეტმა ფაქტობრივად იტვირთა ახალი დროის მხატვრული პრინციპების ათვისების მთელი სიმძიმე. სწორედ ამ ჟანრის ნაწარმოებებში მოხდა მანამდე უცნობი შემოქმედებითი ძიებების – სტილური მახასიათებლების, კომპოზიციური სქემების, გარკვეული სახის კოლორიტის – გამოკვეთა.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთში შექმნილ ქართულ პარადულ პორტრეტებზე გამოსახული არიან ქართველი მეფეები – ერეკლე II, გიორგი XII, იმერეთის მეფე სოლომონ I და მათი შთამომავლები, რომლებიც ამ პერიოდში იქ გადასახლებაში იმყოფებოდნენ. როგორც ჩანს, ახალ გარე-



უცნობი მხატვარი, გიორგი XII;
ტილო, ზეთი; 49X60; XVIII ს-ის II
ნახ.; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

მოში მოხვედრილ საქართველოს სამეფო ოჯახის წევრებს თავისი პორტრეტები უნდა დაეკეთათ, რადგან ამას მათი სოციალური, წოდებრივი მდგომარეობა, გარემო, ცხოვრების წესი, ეტიკეტი და სხვა არაერთი გარემოება მოითხოვდა.

ყველა პორტრეტი შესრულებულია ევროპიდან შემოსული და რუსულ ნიადაგზე ტრანსფორმირებული, მეტ-ნაკლებად სახეცვლილი პარადული პორტრეტული მხატვრობისათვის არსებითი მახასიათებლების გაზიარებით. რუსეთში შექმნილი უკლებლივ ყველა ნიმუში საკმაოდ დიდია, ნატურალურ ზომას არის მიახლოებული და თითქმის მსგავსი, შვეულად წაგრძელებული ფორმატის ტილოზე ზეთის საღებავებითაა შესრულებული. სამეფო გვარის წარმომადგენლები დგანან ან სხედან სავარძლებში, არქიტექტურისა თუ ინტერიერის ნეიტრალურ ფონზე. მკერდამდე ან წელამდე გამოსახულნი, მთლიანად ავსებენ სასურათე სიბრტყეს და მაყურებელთან ახლოს არიან მოტანილნი. ყველა მათგანის პოზა კომპოზიციურად გაწონასწორებული და მყარია. ასახული პირი და გარემო, რეალისტური მხატვრობის თვალსაზრისით, სწორადაა აგებული. ერთგვარი შელამაზების მიუხედავად, ყოველი პირი ინდივიდუალური სახის ნაკვეთებით, ხასიათითა და კონკრეტული განწყობილებით გამოირჩევა. ფერწერულად დაწერილი სამოსის სიმდიდრე ხაზგასმულია გულდასმით, ოსტატურად შესრულებული სამეფო წარჩინების ნიშნებით, აქსესუარებითა და მოსართავებით. პლასტიკური ნაკვეთები მოდელირებულია ტონალ-



უცნობი მხატვარი, დარეჯან დედოფალი; ტილო, ზეთი;
68X60; XVIII ს-ის II ნახ.; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

ური გრადაციებით, შუქ-ჩრდილის აქცენტირებით, მონასმებით, რომლებიც უმეტეს ნიმუშებში თამამი და თავისუფალია. თითოეული პორტრეტის კოლორიტულ გადაწყვეტაში უფრო მეტად მხატვრის ინდივიდუალური მიდგომა იკვეთება. მართალია, ყველასათვის საერთოა ერთიანი რბილი ფერადოვანი გამა, მაგრამ ზოგან ის უფრო ნათელ და მჟღერ ფერთა შეთანხმებაზეა აგებული, ზოგან კი უფრო თავშეკავებული, მუქი და, იშვიათად, თითქოს ჩამქრალიცაა. სახეები, სამეფო რეგალიები თუ წარჩინების ნიშნები ძირითადად განათებითაა აქცენტირებული. უდავოდ დიდი ყურადღება აქვს დათმობილი სამოსთა ფაქტურულობის ოსტატურ გადმოცემას, ატლასის სიპრიალეს, სიასამურის ბეწვის სიფაფუკეს, ჯილდოთა, მედალთა და სამკაულთა ელვარებას.

რა თქმა უნდა, ყველა ამ პორტრეტში, უპირველეს ყოვლისა, გაზიარებულია რუსეთში დამკვიდრებული ზოგადად ევროპული პარადული პორტრეტული მხატვრობის სტილი, მიუხედავად იმისა, რომ ქართული პორტრეტები შესრულებულია განსხვავებული განსწავლულობისა და ნიჭის მქონე არაერთი მხატვრის მიერ. აშკარაა ისიც, რომ ქართული პორტრეტების მხატვართათვის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა თვით რუსეთში არსებული განსხვავებული სკოლების თავისებურებები თუ მიმდინარეობები. ერთი უდავოდ არსებითი ნიშანი, რომელიც ქართველ არისტოკრატთა პორტრეტებს რუსულისგან განასხვავებს, არის ის, რომ ჩვენი ნიმუშები მეტი სისადავით, თავისებური უბრალოებით, შესრულების ერთგვარი გაუბედაობით, არც თუ ისე მჭახე და ეფექტურობაზე ნაკლებად გათვლილი კოლორიტით გამოირჩევა. ასევე, ქართველი მხატვარი, არა მხოლოდ თავისი მხატვრული გემოვნების გამო, არამედ რუსეთში მყოფი სამეფო ოჯახის ალბათ უფრო მოკრძალებული არსებობის მიზეზითაც, ანტიურაჟს, პორტრეტის გარემოცვას, რუსულისგან განსხვავებით, ნაკლებად პომპეზურად და მდიდრულად გადმოსცემს. ამ თვალსაზრისით, რუსული პორტრეტები ევროპულისგანაც განსხვავდება, განსაკუთრებით კი – ინგლისური პარადული პორტრეტისგან.

ამ დროს შექმნილ ქართულ პარადულ პორტრეტთა მთლიანი სახე საკმაოდ არაერთგვაროვანია. აშკარაა, რომ მიუხედავად იმისა, თუ ვინ ხატავდა პორტრეტს (ქართველი, რუსი თუ ევროპელი მხატვარი), პორტრეტების შექმნა მოხდა ძალიან სწრაფად, რაც ახალ გარემოში მოხვედრილი სამეფო გარემოცვის ვალდებულება გახლდათ. შეიძლება ითქვას, რომ ქართული პორტრეტი, ფაქტობრივად, დაიწყო მიზაძვით, მაგრამ არა უკრიტიკო კოპირებით, არამედ მაინც ტრადიციულ მხატვრულ ხედვასა და საკუთარ გემოვნებასთან მისადაგებით. შემდეგ უკვე თანდათანობით „ტფილისურ პორტრეტამდე“ ხდება ადგილობრივის, ტრადიციულის უფრო ნათლად წარმოჩენა. ალბათ საუკეთესო ნიმუშები სწორედ ამ პერიოდშია შექმნილი. აქამდე გამოთქმული იყო ვარაუდი, რომ შესაძლებელია ამ ნაწარმოებთა შემქმნელები რუსი, ევროპელი და მეფის ამაღალში მყოფი ქართველი მხატვრებიც ყოფილიყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ XVIII საუკუნიდან რუსი მხატვრები პორტრეტებზე უკვე თავის ხელმოწერას



უცნობი მხატვარი, თეკლა ბატონიშვილი; ტილო, ზეთი; 87X63; XIX ს-ის დასაწყ.; სემ – ხელოვნების მუზეუმი.



უცნობი მხატვარი, თავადის
ასული სალომე ანდრონიკაშვილი
(წერეთლის მეუღლე); ტილო, ზეთი;
37X33; XIX ს-ის შუა წლები;
სემ – ხელოვნების მუზეუმი.

აფიქსირებდნენ, მათგან განსხვავებით, არც ერთი ქართული პორტრეტი ხელმოწერილი არ არის. თვით ეს ფაქტიც უდავოდ მრავლისმეტყველია და ალბათ იმაზეც მიუთითებს, რომ მსოფლმხედველობრივად ჯერ კიდევ ტრადიციულად მოაზროვნე, ახალ გარემოში მოხვედრილი ქართველი ხელოვანისათვის საკმაოდ სწრაფად, არცთუ ბუნებრივად და კანონზომიერად მოხდა ახალი ხელოვნების შეთავსება და ათვისება. ასევე, ავტორის ანონიმურობაც ძალაუწიებურად გვაფიქრებინებს, რომ მხატვართა ძირითადი ნაწილი ქართველი იყო, რადგან რუსი თუ ევროპელი, გინდაც ნაკლებად ცნობილი მხატვარი XVIII საუკუნის შუა წლებში თავის გვარს უსათუოდ დაუტოვებდა მომავალ თაობებს, მით უმეტეს, მეფეთა და დიდგვაროვანთა პორტრეტებზე. რამდენადაც, ფაქტობრივად, ამ პერიოდის ქართველ მხატვრებზე არანაირი ინფორმაცია არ მოგვეპოვება, ქართული პარადული პორტრეტის რაობის გასააზრებლად ისევ იმ გარემოს ხელოვნებას უნდა მივმართოთ, რომლის წიაღშიც ეს ნაწარმოებები შეიქმნა. ამ პერიოდის რუსეთშიც პორტრეტის განვითარება, ჯერ კიდევ პეტრე I დროიდან დაწყებული, სამ ძირითად ხაზს მიჰყვებოდა. ერთ ხაზს მაარქაიზებელი, პროვინციული, ე.წ. „მხატვრულ პრიმიტივთან“ დაკავშირებული მხატვრობა წარმოადგენდა. მასში XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნის სტილი და პარსუნის ნაციონალური სკოლის ნიშნები შეიმჩნევა.

XVII საუკუნეში, რუსეთში წარმოშობილი პარსუნა – პორტრეტი, რომელიც სტილით, გამომსახველობითი საშუალებებით და მასალით თავდაპირველად არ განსხვავდებოდა ხატისაგან – უმეტესწილად იქმნებოდა როგორც გარდაცვლილთა მემორიალური პორტრეტი და აქედან აშკარა იყო მისი

სიახლოვე რელიგიურ აზროვნებასთან. თანდათან მან დაკარგა კავშირი შუა საუკუნეების სულიერებასთან და უფრო კომპრომისული, ნათელი და საზეიმო გახდა. თუმცა გარკვეული ხნის განმავლობაში, განსაკუთრებით კი, პერიფერიებში, მაინც ახდენდა გავლენას მომდევნო დროის მხატვრებზე. პორტრეტები, რომლებიც ამ ხაზს განეკუთვნებიან, გამოირჩევიან დიდი ზომით, დასავლეთ ევროპის XVII საუკუნის პარადული პორტრეტებისაგან ნასესხები კომპოზიციური სქემებით, იმპოზანტურობით, შთამბეჭდაობით, მკაცრი სოციალური მიკუთვნებულობით და ე.წ. „მედიდური სიმუნჯით“. ასეთ პორტრეტებზე გამოსახული მოდელები თითქოს ხატის ინდეფერენტულ წარდგენითობას იმეორებენ. ამ ფერწერულ სურათებში მოცულობითი და კონკრეტული ინდივიდუალური წერა შერწყმულია სიბრტყობრივ „პიროვნებადმდელთან“, როგორც ეს პარსუნაში იყო. რუსულმა ფერწერამ პარსუნის საშუალებით გაიკვლია გზა დაზგური სურათისაკენ, მიანიჭა რა მას არა მარტო მსგავსების ნიშნები, არამედ სურათისაც, რომელსაც თავისი ადგილი უნდა ჰქონოდა იმ პერიოდში ჩამოყალიბების სტადიაში მყოფ საერო ინტერიერში. დროთა განმავლობაში პარსუნამ თანდათან დაკარგა თავისი მიმზიდველობა მაღალი წრის დამკვეთთა თვალში.

მეორე ხაზი გულისხმობს იმ მხატვრების შემოქმედებას, რომლებსაც არ მიუღიათ განათლება ევროპაში და დამოუკიდებლად გააგრძელეს გზა ხატწერიდან პორტრეტამდე (ყმები, რომლებიც ბატონის სახლში დაოსტატდნენ და ფერწერის მოყვარული აზნაური დილეტანტები).

ამავე დროს, რუსი მეფეები ყურადღებას განსაკუთრებით ამახვილებდნენ პოლონეთიდან შემოღწეულ ე.წ. სარმატულ პორტრეტზეც. ფორმების სიბრტყობრივი გადაწყვეტით, ლოკალური ფერებით, ხაზობრიობით, თავისებურად გაყინული პოზებით, მედიდურობითა და სიამაყით იგი უდავოდ წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. როგორც სიცოცხლისუნარიანი და სრულფეხებიანი მოვლენა, ის თანაარსებობდა არა მარტო თითქმის გადაშენებულ ბაროკულ, არამედ ახლად წარმოქმნილ კლასიციზტურ პორტრეტებთან და კონკურენციასაც უწევდა მათ. XVII-XVIII საუკუნეთა გასაყარზე სწორედ პოლონეთი და უკრაინა ასრულებენ შუამავალის როლს რუსეთში დასავლეთის პორტრეტული სკოლების თავისებურებების შემოტანაში.

მესამე ხაზს წარმოადგენს როსიკა (ასე უწოდებდნენ XVIII-XIX საუკუნის პირველ ნახევარში იმპერატორის კარის მოწვევით რუსეთში მოღვაწე დასავლეთ ევროპელ მხატვრებს), რომელიც არაერთგვაროვანი იყო ნაციონალური შემადგენლობითა თუ დონით. ის უფრო ახლოსაა რუსული პორტრეტის მაგისტრალურ ნაკადთან. სწორედ როსიკის საშუალებით ხორციელდებოდა რუსული ხელოვნების კონტაქტი მეზობელ ქვეყნებთან. სრულყოფილებისაგან დაშორებული თვით რუსული სკოლის მხატვრების ნამუშევრები გამორჩეულია ოსტატობითა და გარეგნობის გადმოცემის სიზუსტით. ეს სკოლა ცდილობდა, არ ჩამორჩენოდა საერთო ევროპულ სტილურ ტენდენციებს.



უცნობი მხატვარი, ნინო ერისთავი (ქსნის ერისთავი თორნიკეს ასული); ტილო, ზეთი; 135X90; 1829; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

ცოცხალი წარმოდგენა მეფისა და მისი ოჯახის წევრების შესახებ, განსაკუთრებით XVIII საუკუნეში, ძირითადად იქმნებოდა პარადული პორტრეტების საშუალებით, რომელთა ასლებსაც აქტიურად იღებდნენ და ავრცელებდნენ. საქართველოშიც საკმაოდ მრავლადაა შემორჩენილი განსხვავებული ნიჭიერებისა თუ განსწავლულობის ქართველი და უცხოელი მხატვრების მიერ შესრულებული ასლები. ასეთი პორტრეტები „წასაკითხია“, რადგან აქ მოდელი ყოველთვის მოთავსებულია გარემოში, რომელიც ხელს უწყობს მნიშვნელოვანების განცდისა თუ უჩვეულო, საზეიმო განწყობილების შექმნას. ყოველი დეტალი მიანიშნებს მაყურებლის წინ გამოსახული ადამიანის ნამდვილ ან მოჩვენებით ღირსებასა თუ დამსახურებაზე.

ამრიგად, XVII საუკუნის ბოლოს რუსეთში ჩაისახა პორტრეტული ჟანრი, რომელიც გამოეყო ხატწერას და, ადგილობრივი ოსტატებისა თუ უცხოელი მხატვრების ძალისხმევით, ჩამოყალიბების გზას დაადგა.

XVIII საუკუნის რუსული პორტრეტის ტიპოლოგიის სპეციფიკურ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მისთვის უცხო ან უკიდურესად იშვიათია ჯგუფური (მათ შორის, ოჯახური) პორტრეტი, რომელიც საკმაოდ მიღებული და პოპულარული იყო ინგლისსა და საფრანგეთში. პორტრეტული მხატვრობის არსებობის განმავლობაში საქართველოში, რუსეთისაგან განსხვავებით, ჯგუფური პორტრეტის არაერთი ნიმუშია შემორჩენილი. XVIII საუკუნის მეორე ნახევრის პარადული პორტრეტის სტილისტური მახასიათებლები უკვე მნიშვნელოვნად გადამუშავებულია თეკლე ბატონიშვილისა და კიდევ ერთი ჯგუფის პორტრეტებში, რომლებიც XIX საუკუნის პირველივე წლებში უნდა იყოს შექმნილი. მართალია, თეკლა ბატონიშვილის პორტრეტი ჯერ კიდევ მრავალი ნიშნით უკავშირდება წინა პერიოდის პორტრეტებს, მაგრამ მასში უფრო მკვეთრად, თვალნათლივ იკითხება ადგილობრივი ტრადიციული ხელოვნებისათვის არსებითი თავისებურებანი და მხატვრული გემოვნება, რაც არ ბადებს ეჭვს, რომ მისი შემქმნელი მხატვარი ქართველი უნდა იყოს. ამ პორტრეტს ქართული პარადული პორტრეტებისაგან განასხვავებს ფიგურის რამდენადმე უჩვეულო, მოუხერხებელი განთავსება ფონზე, აშკარად დარღვეული პროპორციები, მეტი გრაფიკულობა და სიბრტყოვანება, სირბილეს მოკლებული მოდელირება, სარტყლის დეკორაციულად დამუშავებული ორნამენტი, რაც ასოციაციას იწვევს ამ პერიოდის ირანულ პორტრეტებთან, შემდგომ კი „ტფილისური პორტრეტული სკოლის“ ნიმუშებში ტიპურ ნიშნად გვევლინება. ნაწარმოებისათვის ასევე დამახასიათებელია საკმაოდ მკვეთრი, ჟღერადი ფერადოვნება, ნატურისადმი მხატვრის უფრო გულწრფელი, უშუალო დამოკიდებულება, ინდივიდუალური მახასიათებლებისა და განწყობილების ხაზგასმა. ოდნავ მიბრუნებული სახის გვერდით ვინაობის აღმნიშვნელი წარწერა შუა საუკუნეების ქტიტორულ პორტრეტებს მოგვაგონებს. ამავე დროს, XIX საუკუნის პირველივე წლებშია შექმნილი პორტრეტთა ერთი ჯგუფი, რომელიც უკვე უფრო მნიშვნელოვნად განსხვავდება ქართული პარადული პორტრეტისგან და, ფაქტობრივად, „ტფილისური პორტრეტული სკოლის“ წინამორბედი. მათში ამ სკოლის



უცნობი მხატვარი, მიტროპოლიტი
იოანე ბოდბელი ტილო, ზეთი;
121X96; XIX ს-ის დასაწყ.;
სემ – ხელოვნების მუზეუმი.

ჩამოყალიბების გზა დასტურდება. მათ უმთავრესად დიდი ზომა და აქედან გამომდინარე თვისებები გამოარჩევს. გარდა ამისა, ამ ნიმუშებში უკვე აშკარად გამოვლენილია „ტფილისური პორტრეტული სკოლისათვის“ ნიშანდობლივი ყველა მახასიათებელი. ამ რიგის სურათებში ერთმანეთის მსგავსი ათი პორტრეტისაგან შემდგარი ჯგუფი გამოირჩევა: დავით ზაზას ძე თარხნიშვილი, გრიგოლ ყარანგოზაშვილი, გრიგოლ ჩოლოყაშვილი, ალექსანდრე ჩოლოყაშვილი, თინათინ ჩოლოყაშვილი და ხუთი უცნობი თავადი. ყველა ეს ნაწარმოები შესრულებულია ქართული ფერწერის გარდამავალ პერიოდში, როდესაც განელებული იყო ინტერესი ევროპული პარადული პორტრეტისადამი, როგორც ჩანს, მიბაძვის სურვილიც არსებითად ამოწურულიყო და უკვე ისახებოდა ახალი, თვითმყოფადი მხატვრობის შექმნის მცდელობა. ამ პორტრეტების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ტფილისური პორტრეტული სკოლის“ მხატვრობის ძირითადი პრინციპები უკვე ჩამოყალიბებულია. ამ ეტაპზე, მიუხედავად საერთო სქემისა და იკონოგრაფიული ტიპის წესის დაცვისა, ცალკეული მხატვრები მაინც არ ივიწყებენ განსხვავებულ მხატვრულ ტრადიციებსაც – დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპულსა თუ ირანულს. ყველა მათგანში თვალნათლივ იგრძნობა ძველი, შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების გამოცდილება, თუმცა განსაკუთრებით გამორჩეულია ერთი – ალექსანდრე ჩოლოყაშვილი. ყოველივე ეს სრულიად ბუნებრივია გარდამავალი ხანისათვის, რომელსაც ყოველთვის ახლავს ძიება, მრავალფეროვნება და ნაირგვარი ხერხების მოსინჯვა.



უცნობი მხატვარი, თავადის ასული სალომე ორბელიანი
(ალექსანდრე ჭავჭავაძის მეუღლე); ტილო, ზეთი; 28X35;
XIX ს-ის შუა წლები; სემ – ხელოვნების მუზეუმი.



უცნობი მხატვარი, თავად ნიკოლოზ ედიშერის ძე მუხრან-ბატონის ოჯახი; ტილო, ზეთი; 94,5X136; 1862; სემ - ხელოვნების მუზეუმი.

ადრინდელი ეტაპის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნიმუში, ნინო ქსნის ერისთავის პორტრეტი, 1829 წელსაა შესრულებული. თუ წინა ჯგუფის პორტრეტებში განსხვავებული ტრადიციების ზემოქმედება გამოძვლავებული იყო თითოეულში ცალ-ცალკე, აქ ისინი ერთ ნიმუშშია გადახლართული და გადამუშავებული. ამკარაა, რომ ამ პორტრეტის შემქმნელი, უპირველეს ყოვლისა, ირანულ მხატვრობას ითვალისწინებს. თუმცა ამავე პერიოდის „ყაჯარული სკოლის“ პორტრეტებთან შედარება ცხადყოფს, რომ აქ ყოველივე აღმოსავლური სურათისთვის მხოლოდ „სამოსელია“, მხატვარი თითქოს ეცადა, მაგრამ ვერ გაითავისა ორიენტალური დეკორატიულობა. ემოციურადაც, განწყობილებითაც სრულიად განსხვავებულადაა გადაწყვეტილი ჩვენი პორტრეტი. თუ ყაჯართა სკოლის მხატვრები ქალებში მხოლოდ ლამაზმანს ხედავენ, სრულიად ახალგაზრდა ნინო ერისთავი დანახულია როგორც პიროვნება, მსგავსად შაჰისა და მისი ოჯახის წევრი მამაკაცებისა. ამ პორტრეტის დამხატვარი უცილობლად უნდა ყოფილიყო პროფესიონალი, გამორჩეული მხატვრული გემოვნების მქონე უცნობი ქართველი მხატვარი, რომელმაც შეძლო ყველა ამ ნაკადის გაერთიანება, გადამუშავება და, რაც მთავარია, არაეკლექტური მხატვრული მთლიანობის შექმნა.

იმის გამო, რომ „ტფილისური პორტრეტული სკოლის“ არც ერთი ნიმუში ხელმოწერილი არ არის, რთულია მისი გაჩენის ზუსტი თარიღის დადგენა.

თუმცა შემორჩენილი ნაწარმოებების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ერთმანეთისაგან უალრესად განსხვავებული პარადული პორტრეტიდან „ტფილისური პორტრეტული სკოლის“ ნაწარმოებებამდე გადასვლა ხდება არა მკვეთრად, არამედ თანდათანობით და შესაძლებელია თვალი მივადევნოთ, თუ როგორ გარდაიქმნება ევროპული პორტრეტი ქტიტორულ პორტრეტებთან ყველაზე ახლოს მყოფ ჯგუფად საუკუნეთა გასაყარზე, მოგვიანებით კი საკმაოდ სწრაფად – ორიგინალური სკოლის ნიმუშებად. XIX საუკუნის 20-30-იან წლებში მეტად თავისებური, თვითმყოფადი და ერთიანი სტილის მქონე „ტფილისური პორტრეტული სკოლა“ უკვე დაფუძნებულია და ის დაახლოებით ორმოცდაათი წლის განმავლობაში არ კარგავს თავის განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

„ტფილისური პორტრეტული სკოლის“ ნიმუშებს თითქმის აღარაფერი აქვთ საერთო ქართული პარადული სკოლის ნაწარმოებებთან, თუმცა ისინი, ე.წ. „გარდამავალი ხანის“ ნიმუშებთან შედარებით, ფაქტობრივად, მხოლოდ ზომამში შემცირდნენ, უფრო კამერული და ინტიმური გახდნენ. პორტრეტებს, რომლებიც სურათებიდან ერთადერთი იყო კერძო პირის საცხოვრებლის შედარებით მომცრო ზომის ინტერიერში, გარდა თავისი ძირითადი დანიშნულებისა, დეკორატიული ფუნქციაც უნდა შეესრულებინა. ისინი არ გამოირჩევიან კომპოზიციური მრავალფეროვნებით. ადამიანის გამოსახულება მოთავსებულია ტილოს თითქმის გეომეტრიულ ცენტრში და სასურათე სიბრტყის დიდ ნაწილს იკავებს. სურათში ანტურაჟი ან მინიმუმამდეა დაყვანილი, ან საერთოდ არ არსებობს, რათა მაყურებლის ყურადღება არ იქნეს გადატანილი ცენტრიდან, სახიდან და სხეულიდან. მათგან უმეტესობაში ფონი სადაა, ერთგვაროვანი და რომელიმე ერთი ფერის. სამ მეოთხედში გადმოცემული ფიგურები უმეტესად წელამდე ან მუხლამდეა გამოსახული. მათი პოზები გაწონასწორებული და სტატიკურია. იშვიათია ორ ან რამდენიმეფიგურიანი, ჯგუფური კომპოზიციები, პირიქით, საკმაოდ ხშირია წყვილადი პორტრეტები, რომლებზეც გამოსახული პირები სამი მეოთხედით არიან ერთმანეთისაკენ შებრუნებულნი. პორტრეტების უმეტესობა ზემოქმედებას ახდენს ფიგურის მეტყველი სილუეტით. სხეულის გარე მოხაზულობის შიგნით სამოსი ძირითადად დაუმუშავებელია და ერთ ბრტყელ ლოკალურ ლაქად აღიქმება. როგორც წესი, კონტური არ იკითხება, მაგრამ ხაზი საკმაოდ ზუსტია, დენადი, მოქნილი და ფიგურის სილუეტს უმეტეს ნიმუშებში ფონიდან რბილად გამოჰყოფს. ამგვარი ლოკალური ლაქებით გადაწყვეტილ სხეულზე განსაკუთრებით რელიეფურადაა ამოძერწილი პლასტიკურად დამუშავებული სახე და ხელები. თითქმის მინიატურული ფერწერული ტექნიკით გადმოიცემა ქსოვილის მატერიალურობა, დახვეწილი ნაქარგობის რელიეფი, მარგალიტის თბილი ლიცლიცი, არცთუ ბოლომდე გამჭვირვალე ლერწაქი და საერთოდ მთელი ჩაცმულობის ესთეტიკა. აბრეშუმი, ხავერდი, მაქმანები, ოქრომკედით ნაქარგი და იუველირული მორთულობა, როგორც ფორმის მხრივ, ასევე კოლორიტულად, ბოლომდე გააზრებულია და ნაწარმოებს მხატვრულობას მატებს. ზოგიერთ შემთხვევაში, გამოსახული პირის მორთულობის დეტალები თითქოს ზედმეტად დატვირთული, ფერადოვნებითა და



უცნობი მხატვარი, თავადი გურიელი;
ტილო, ზეთი; 38X31; XIX ს-ის შუა წლები;
სემ – ხელოვნების მუზეუმი.

ორნამენტულობით გაჯერებული, თავისებურად თვითკმარია. ყოველივე ეს მათ დამოუკიდებელ უღერადობას ანიჭებს და სახეებისათვის თავისებურ ძვირფას ჩარჩოდ აქცევს. პორტრეტების დიდი ნაწილი გამოირჩევა ლამაზი და დახვეწილი კოლორით, რომელიც ღრმა, თავშეკავებულ ფერთა ჰარმონიული შეთანხმებით იგება. შეიძლება ითქვას, რომ ნაწარმოების საერთო ფერადოვან გადაწყვეტას ერთი ძირითადი ფერი განსაზღვრავს, იგი ითანხმებს და წარმართავს დანარჩენებს, განმსაზღვრელი კი, უმეტესწილად, ჩაცმულობის მნიშვნელოვანი ზომის ლოკალური ლაქებია.

ამ სკოლის ერთ-ერთი თავისებური და საუკეთესო ნიმუში – ედიშერ ნიკოლოზის ძე მუხრან-ბატონის ოჯახური პორტრეტი – შესრულებულია 1862 წელს ქართველი მხატვრის მიერ, რომელსაც სოფელ მუხრანში ეკლესიაც მოუხატავს. მრავალი თვისებით ეს პორტრეტი „ტფილისური პორტრეტული სკოლის“ ტიპური ნიმუშია. თუმცა ფრონტალურად გაშლილი მრავალფეროვანი კომპოზიცია ცენტრის გამოყოფით, მის ორივე მხარეს აქცენტთა თანაფარდობითა და წონასწორობით, მასზე გამოსახულ პირთა პოზებისა თუ გამომეტყველებათა თავშეკავებულობით, სიმკაცრითა და განსულიერებით, გამოძახილს პოვებს ქტიტორთა შუასაუკუნეობრივ პორტრეტებთან. პლასტიკურ ნაკვთთა მოდელირებაში, ამ სკოლის ზოგიერთი ნიმუშის მსგავსად, აქაც ფრესკული მხატვრობის ხერხებია გამოყენებული: შავი ფერი მოდელირების გარეშეა დატოვებული, ღია ფერის ლაქები კი მოდელირებულია ტონთა თანმიმდევრული გრადაციით და დამუშავებულია თეთრათი. სურათის საზეიმო, ხალისიანი, ნათელი და ამავე დროს

თავშეკავებული კოლორითი შექმნილია გამოსახულ პირთა ფერადი სამოსის სხვადასხვა ზომისა და მონახაზის ძირითადი ლოკალური ლაქების რიტმული მონაცვლეობითა და ურთიერთდაკავშირებით.

ცალკეული ჯგუფებისა და მთლიანად ამ მხატვრობის დახასიათებისას გამოვლინდა ის საერთო მსოფლმხედველობრივი განწყობა და მიზანსწრაფვა, რომელმაც განსაზღვრა მისთვის საერთო გამოსახვის წესი და დასრულებული, თავისთავადი მხატვრულ-სტილისტური სისტემის შექმნა, რის გამოც შესაძლებელი გახდა მრავალი განსხვავებული ხელწერის მხატვრის გაერთიანება, რაც, თავის მხრივ, სწორედ ერთიანი სკოლის არსებობაზე მიგვანიშნებს. აღინიშნა, რომ პორტრეტები ძირითადად ხელმოუწერელია, ავტორები – უცნობი, რაც ალბათ ისევე ძველი ქართული ხელოვნებიდან მომდინარე ტრადიციის სიცოცხლისუნარიანობაზე მეტყველებს. საგულისხმოა ისიც, რომ ადგილობრივ ხელოვნათათვის ნიშანდობლივ ამ ტრადიციას ემორჩილებოდა „ტფილისური სკოლის“ წარმომადგენელი ყველა არაქართველი მხატვარიც. საბედნიეროდ, ძირითადად საარქივო წყაროებისა და იმდროინდელ პრესაში არსებული მასალის წყალობით, ცნობილია მრავალი მხატვრის გვარი, რომლებიც XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში მოღვაწეობდნენ და შესაძლებელია, იყვნენ კიდევაც ამ პორტრეტთა შემქმნელები: გიორგი და დავით ბეჟიაშვილები, სულხან გერმანოზის ძე ბარათაშვილი, ბასთამოვი, ციციშვილი, აკოფ ოვნათიანი, ანდრონიკაშვილი, მიკირტუმ ნაკაზბაშვილი, მიხეილ ტროშჩინსკი, გერმანე რეიში, მალალაძე, ლუდვიგ ლონგო, ისაია ჯანჯულაშვილი, ანტონ კოწოწაშვილი, გეგელიძეები, გრიგოლ მაისურაძე და უეტყველად კიდევ სხვა უცნობი მხატვრები.

ძნელია „ტფილისური პორტრეტული მხატვრობისათვის“ პარალელის მოძებნა. იგი არაფერს ჰგავს, როგორც უკვე ვახსენეთ, საკმაოდ თვითმყოფადია, მაგრამ თითქოს რაღაც განსხვავებულ რემინისცენციებს იწვევს. მასში იმდენად ბევრია შექმნილი, გათავისებული, ორგანულად შენივთებული, რომ ზოგჯერ შეუძლებელი ხდება ზუსტი საზღვრის დადგენა პირველადსა და შენაძენს შორის. ის უდავოდ აღძრავს გარკვეულ ასოციაციებს აღმოსავლეთ ევროპის (პოლონეთის, უკრაინის, ჩეხეთის, უნგრეთის, ბელორუსიის) და ლათინური ამერიკის ცენტრს მოშორებული ქვეყნების პორტრეტულ მხატვრობასთან, რომელიც ხელოვნების განვითარების მხრივ ჩამორჩება ახალი ხელოვნების შემქმნელ დასავლეთ ევროპის მოწინავე კულტურას, თუმცა, გარკვეული თვალსაზრისით, არანაკლებ საინტერესოა, რამდენადაც ადგილობრივი ტრადიციებისა და გემოვნების მქონე ხელოვნების შესაბამისად თავისებურად იზიარებს, ასხვავდებებს, გარდაქმნის ევროპული მხატვრობის სიახლეებს.

საქართველოში, რომელიც სხვა მცირე ერების მსგავსად, განსაკუთრებით ბოლო საუკუნეებში მარტო, დამოუკიდებელი არ დარჩენილა, ამ და სხვა ცნობილი მიზეზების გამო, ხშირად უხდებოდა დამპყრობლის კულტურის გათვალისწინება, ზოგჯერ გაზიარება, დროთა ვითარებაში კი – შესისხ-



უცნობი მხატვარი, იულონ ბატონიშვილი; სპილოს ძვალი, აკვარელი; 5X4; XIX ს-ის დასაწყ.; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

ლხორცება, გადასხვაფერება და გათავისება. ყოველივე ეს თვალნათლივ ჩანს სწორედ ქართული მხატვრობის გარდამავალ პერიოდში, როდესაც ევროპული პორტრეტის ათვისების ეტაპი უკვე გავლილია და ეს გამოცდილება უკვე ადგილობრივ ნიადაგზე, საქართველოში უნდა გაგრძელდეს, მაგრამ ისე, როგორც ამას კონკრეტული სიტუაცია, დრო და გარემო მოითხოვს. მართლაც, XIX საუკუნის პირველივე წლებში საქართველოში ჩამოყალიბებას იწყებს ეროვნული დაზგური მხატვრობა, „ტფილისური პორტრეტული სკოლა“. და მაინც, მთავარი განმასხვავებელი ნიშნები, რომლებიც ამ პორტრეტებში (გამოსახულ პირთა უმრავლესობა ქართველი თავად-აზნაურობაა, რაც გასათვალისწინებელია) გვხვდება არის ერთგვარი თავისებური წარდგენა, უტყვი, თითქოს „დამუნჯებული“ დგომა, რამდენადმე გაყინული, შეჩერებული, დაფიქსირებული პოზები, ზოგიერთ ნიმუშში საკუთარ თავში ჩახურული, ჩაკეტილი ემოცია, უმეტესად სევდა, ხშირად ერთგვარი ინდეფერენტულობა. ეს, უპირველეს ყოვლისა, უდავოდ ადგილობრივ, ტრადიციულ ხატწერას მოგვაგონებს. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ამ ნიმუშებზე გავლენა მოახდინა პარსუნის, სარმატული და თუნდაც უკრაინული პორტრეტის ნანახმა, მაგრამ უაღრესად გადასხვაფერებულმა და თავისებურად შენივთულმა თავისებურებებმაც.

ხატების მსგავსად, აქაც არ მყარდება უშუალო, კონკრეტული კავშირი მყარებულთან, მაგრამ განმასხვავებელია სრულიად ახლებური განწყობილება. თითქოს შუა საუკუნეების სულიერება რომანტიკულმა სევდამ შეცვალა. ეს ალბათ ეპოქისეული რომანტიკული განწყობილებაა, რომელიც XIX საუკუნის პირველ ნახევარში მთელ ევროპასა და რუსეთს მოედო და საქართველოშიც შემოაღწია. ამ სკოლის უკვე ჩამოყალიბებული, გაფორმებული სახე ემთხვევა 1820-იან წლებში წარმოშობილ ქართულ რომანტიკულ პოეზიას.



უცნობი მხატვარი, დარეჯან დედოფალი; სპილოს ძვალი, აკვარელი; 6X5; XIX ს-ის დასაწყ.; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

კულ პოეზიას. „მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევარი, რომელიც „განათლების ეპოქის“ და საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციების იმედების გაცრუებას მოჰყვა, მსოფლიო გოდების და უსაზღვრო ძიების ეპოქა იყო, და მგრძობიარე ადამიანები ჰაერთან ერთად ისუნთქავდნენ რომანტიკულ იდეებსა და სახეებს. მთელი თაობა შავს მერანზე იჯდა და ბედის საზღვრების გადალახვას ლამობდა. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ინგლისელ ბაირონსა, ფრანგ შატობრიანსა, გერმანელ ნოვალისსა, რუს ლერმონტოვსა, პოლონელ მიცკევიჩსა და ჩვენს ბარათაშვილს შორის რაღაც იდუმალი, ძნელად გამოსათქმელი ნათესაობა არსებობს“.¹

„ტფილისური პორტრეტული სკოლის“ ნაწარმოებთა ახლებური, განსხვავებული სახისა და, განსაკუთრებით, განწყობილების უპირველეს მიზეზად უდავოდ უნდა დასახელდეს ის რადიკალური ცვლილებები, რომლებიც ქვეყანაში 1801 წლის მანიფესტთან დაკავშირებით მოხდა. ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვამ, რუსული საზოგადოებრივი წესის დანერგვამ და რუსულ-ევროპული კულტურის მომძლავრებამ განაპირობა როგორც ქართული ყოფა-ცხოვრების, ისევე ადამიანთა ფსიქოლოგიის შეცვლა. ახალი პოლიტიკური რეჟიმით გამოწვეული უკმაყოფილება ქართული საზოგადოების ერთმა ნაწილმა პოლიტიკური შეთქმულებებით გამოხატა. ამის დაგვირგვინება „ყაზარმობის“ სახელით ცნობილი 1832 წლის შეთქმულება იყო, რის გამოც ქართული თავად-აზნაურობის ახალგაზრდა პროგრესულად მოაზროვნე ნაწილი საქართველოდან გადაასახლეს. ბუნებრივია, ამგვარ ვითარებაში ქართველ ხელოვანთა გარკვეული ნაწილი (მარიამ, ქეთევან, თეკლა ბატონიშვილები, ალექსანდრე და

1 გ. ქიქოძე, ლიტერატურული წერილები და პორტრეტები, თბ., 1963, გვ. 85.



უცნობი მხატვარი, თავადი სვიმონ დავითის ძე გაბაშვილი; სპილოს ძვალი, აკვარელი; 6X5; XIX ს-ის დასაწყ.; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

ვახტანგ ვახტანგის ძე ორბელიანები, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, სოლომონ დოდაშვილი, ბერი ფილადელოზ კიკნაძე და სხვები) ზოგჯერ აშკარად გააზრებულად, ზოგჯერ არცთუ ბოლომდე გაცნობიერებულად, ახლის შეთვისებასთან ერთად ცდილობდა ეროვნული კულტურის გადარჩენას, მისი თვითმყოფადი თავისებურებების შენარჩუნებასა და გამოკვეთას – ახლებურის შექმნას, ოღონდ საკუთარ, ტრადიციულ ხელოვნებაზე დაყრდნობით. და მართლაც, XIX საუკუნის პირველივე ათწლეულში ხელოვნების რიგ დარგებში, უფრო ცხადად კი მწერლობაში, ხუროთმოძღვრებასა და მხატვრობაში, შეინიშნება ახალი თვისებები და ტენდენციები, რომლებიც სულ მალე უკვე სრულიად ჩამოყალიბებულია და გვიჩვენებს თითქმის სინქრონულად მიმდინარე ევოლუციის სურათს.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში, როგორც დასავლეთ ევროპასა და რუსეთში, ასევე საქართველოში, არსებითად მძიმე, დაძაბული, სუსხიანი ვითარების შედეგად დაისადგურა ეჭვის, მომავლის უიმედობის, გამოუსავლობის მტკივნეულმა განცდამ. სრულიად ბუნებრივია, ამგვარ სულიერ განწყობილებას ბიძგი უნდა მიეცა რომანტიკული მიმდინარეობის წარმოშობისათვის ქართულ ხელოვნებაში, რომელმაც სხვა დარგებთან შედარებით, ყველაზე მძაფრად თავი იჩინა ქართულ მწერლობაში, კერძოდ, პოეზიაში. XIX საუკუნის ქართული რომანტიკული პოეზიის მსგავსად, მხატვრობაც დროისმიერ გზას მიუყვება: პიროვნების წინ წამოწევა, ინტერესი კონკრეტული ადამიანისადმი, ინდივიდუალიზმის გამძაფრება, არისტოკრატიის შეგნება, საერთო ნაღვლიანი, სევდიანი განწყობილება ერთნაირად ახასიათებს როგორც რომანტიკულ პოეზიას, ასევე ამ პერიოდის მხატვრობასაც.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ევროპული პარადული პორტრეტის შემდეგ, საქართველოში იქმნება ნაკლებად პროფესიული, თუმცა მხატვრული თვალსაზრისით მეტად დახვეწილი ნაწარმოებები. ყოველივე ეს იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ რუსეთში, ფაქტობრივად, აუცილებლობის გამო შეიქმნა ევროპული პარადული პორტრეტის მსგავსი ნიმუშები, ხოლო როდესაც ქართული ხელოვნების კერამ ისევ თბილისში გადმოინაცვლა, ქართველმა ხელოვნებმა დამოუკიდებელი შემოქმედების შექმნა დაიწყო (ანალოგიური მოვლენები დამახასიათებელია იმ ქვეყნების დიდი ნაწილისათვის, რომლებიც შუა საუკუნეებიდან თითქმის პირდაპირ გადადიან ახალ დროზე). ძველი ტრადიციული ხატი და დროისმიერი განწყობა, ცხადია, უფრო ბუნებრივი აღმოჩნდა ქართველ ხელოვნათვის. ქართული დაზგური მხატვრობის შედარებით გვიან გაჩენამ, ტრადიციულ სასულიერო მხატვრობისთვის თავის ვერ დაღწევამ, ხატთან უწყვეტმა კავშირმა, აღმოსავლურმა და დასავლურმა მხატვრულმა გამოცდილებამ და ეპოქისეულმა სულმა, განწყობამ, სიანხლემ განაპირობა „ტფილისური პორტრეტული სკოლის“ ორიგინალური სახე.

XIX საუკუნის შუა წლებშივე საქართველოში მოღვაწეობას იწყებს პირველი ევროპულად განსწავლული მხატვარი გრიგოლ მაისურაძე. რამდენიმე შემორჩენილი ნაწარმოები (ალექსანდრე ბაგრატიონის, ი. ჭიჭინაძის, ნ. აბულაძის და უცნობი მამაკაცის პორტრეტები) საშუალებას იძლევა, თვალი მივადევნოთ მისი შემოქმედების განვითარებასა და მიმართულებას. თუკი გრიგოლ მაისურაძის ადრეული ნამუშევრები ჯერ კიდევ საკმაოდ ახლოსაა „ტფილისური სკოლის“ ნაწარმოებებთან, თანდათან აშკარა ხდება ამ ნიმუშებისაგან დაშორება, ხოლო მოგვიანო ხანის ნაწარმოებები თავისი რეალისტური გადაწყვეტით უკვე XIX საუკუნის ბოლო მეოთხედის ახალი რეალისტური მხატვრობის მაგალითებს მიეკუთვნება.

დაზგური სურათების, პორტრეტების, გარდა, საქართველოში შემორჩენილია მინიატურული პორტრეტების საკმაოდ შთამბეჭდავი კოლექცია. ზოგადად პორტრეტული მინიატურა ყველაზე მეტად XVIII საუკუნისა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში იყო გავრცელებული. მინიატურულ პორტრეტებში კიდევ უფრო მეტად ჩანს იმ პერიოდის თბილისის სახელოვნებო გარემოში არსებული საკმაოდ არაერთგვაროვანი სურათი. საქართველოში მინიატურული პორტრეტები, როგორც ჩანს, განსაკუთრებით XIX საუკუნის დასაწყისიდან დაზგური პორტრეტების პარალელურად სრულდებოდა და მათი ავტორები ქართველებთან ერთად საქართველოში დროებით ჩამოსული ან სამუდამოდ დაფუძნებული გერმანელი, ფრანგი, იტალიელი, პოლონელი, რუსი თუ სხვა ეროვნების საკმაოდ ცნობილი მხატვრებიც გახლდნენ.

პორტრეტული მინიატურა, რომელიც საქართველოშიც გავრცელდა, რუსეთსა და ევროპაში დამკვიდრებულ კლასიკური სახის ნაწარმოებს წარმოადგენდა. ის მცირე ფორმატის (15-20 სმ) იყო და განსაკუთრებულად ფაქიზი წერის მანერით, მხოლოდ მისი გამომსახველობითი ფორმისათვის



უცნობი მხატვარი, ჩიქოვანის ასულის პორტრეტი; სპილოს ძვალი, აკვარელი; 6X5; XIX ს-ის შუა წლები; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

დამახასიათებელი სახვითი საშუალებებითა და შესრულების ტექნიკით გამოირჩეოდა. ზოგადად, მინიატურათა სახეობა და ფორმატი საკმაოდ განსხვავებულია. მინიატურების საფუძვლად განსხვავებული მასალა გამოიყენებოდა: პერგამენტი, ქალაღი, მუყაო, სპილოს ძვალი, ფაიფური და ლითონი, ხოლო წერდნენ აკვარელით, გუაშით ან ზეთის საღებავებით. მინიატურის ფორმატს, როგორც წესი, მხატვარი ირჩევდა, თუმცა იყო შემთხვევები როდესაც მხატვარი დამკვეთის სურვილს იზიარებდა. ყველაზე გავრცელებული ფორმატი იყო წრე, ოვალი, რომში, რვაკუთხედი და სხვ. კლასიკურ პორტრეტულ მინიატურად ითვლება სპილოს ძვლის უთხელეს ფირფიტაზე შესრულებული პორტრეტი. ამავე დროს, ეს მასალა ყველაზე ძვირად ფასობდა და, ზომის მიუხედავად, მას უფრო შეძლებული დიდგვაროვნები უკვეთავდნენ.

ფერწერულის მსგავსად, მინიატურული პორტრეტი შეიძლება ყოფილიყო როგორც კამერული, ასევე პარადული. გამოსახულ პირს განათავსებდნენ ნეიტრალურ, პეიზაჟურ ფონზე ან ინტერიერში. მართალია, მინიატურული პორტრეტი ექვემდებარება ზოგადად პორტრეტული ჟანრის განვითარების ძირითად კანონზომიერებებსა და ესთეტიკურ კანონებს, მაგრამ ის მაინც განსხვავდება მხატვრული გადაწყვეტის არსით – მინიატურა ყოველთვის უფრო ინტიმური ხასიათისაა.

მედალიონებში მოთავსებულ ამ მცირე ზომის გამოსახულებებს მკერდზე იმაგრებდნენ ან ინახავდნენ ფუტლიარებში, ბუდეებში, ხშირად იყენებდნენ საფერფლებს, საათების, სამაჯურების, ბეჭდების, მარაოების და სხვა

ნივთების მოსართავად. მტკრევადი საფუძვლის დასაცავად მზა მინიატურას ათავსებდნენ ლითონის მინიან ჩაარჩოში, რომლითაც გამოსახულება ჰერმეტიკულად იხურებოდა. მინიატურის უკანა მხარეს ზოგჯერ საყვარელი ადამიანის თმის კულულს ინახავდნენ. ყველაზე ხშირად მინიატურული პორტრეტებით ირთვებოდა თავად-აზნაურთა სახლების, სასტუმროებისა და კაბინეტების კედლები, ავეჯი, ბუხრები და სხვ. მინიატურის ტექნიკით მრავალი ცნობილი მხატვარი მუშაობდა.

როგორც წესი, მინიატურული პორტრეტები ძალიან წვრილი, თხელი ფუნჯით იხატებოდა მაგარი ფანქრით შესრულებულ ოდნავ შესამჩნევ მონახაზზე. აკვარელის საღებავის უფაქიზესი, გამჭვირვალე მონასმის ქვემოდან სპილოს ძვლის ბუნებრივი ტონი გამოკრთოდა, რაც გამოსახულ პირს თავისებურ სითბოს, ბუნებრიობასა და ფერადონებას ანიჭებდა. პორტრეტების ნაწილი აკვარელის, გუაშის საღებავითა და თეთრათია დახატული. განსხვავებულია სპილოს ძვალზე საღებავის დადების ტექნიკა: გამოსახულება იწერებოდა მეტად მცირე ზომის წერტილებით ან მოკლე შტრიხებით. ფონი და სამოსი უფრო თავისუფალი, ფართო შტრიხით სრულდებოდა. გულდასმითი, იუველირული შესრულება უზადო ოსტატობას მოითხოვდა. საქართველოში შემორჩენილი პორტრეტული მინიატურებიდან უკლებლივ ყველა სპილოს ძვალზეა შესრულებული. საგულისხმოა, რომ ქართველ მხატვართა მიერ შესრულებული ნიმუშები კვლავაც ავტორის ხელმოწერის გარეშეა დარჩენილი, ჩამოსული მხატვრები კი თავისი ხელმოწერით ყოველთვის ამშვენებდნენ, ძირითადად, თბილისში მცხოვრებ ქართველ თავად-აზნაურთა და მოხელეთა პორტრეტებს. ცნობილია გამოსახულ პირთა ვინაობა. ისინი არიან უკვე ნაცნობი სახეები – სამეფო გვარის წარმომადგენლები და ქართული არისტოკრატია: იულონ ბატონიშვილი, ანა მამუკას ასული ორბელიანი (იმერეთის მეფის დავით II-ის მეუღლე), ელენე სიმონის ასული აბამელიქი (დავით ბატონიშვილის მეუღლე), დარეჯან დედოფალი, სარდალ ოთარ ამილახვრის ასული ელენე (თეიმურაზ ბატონიშვილის მეუღლე), თავადი სვიმონ დავითის ძე გაბაშვილი, გენერალ-მაიორი კონსტანტინე ბატონიშვილი (იმერეთის მეფის დავით II-ის ძე), ჩიქოვანის ასული და კიდევ სხვა პირები, რომელთა სახელები, სამწუხაროდ, დაკარგულია.

დაგეროტიპის გამოჩენისა და ფოტოგრაფიის გავრცელებისთანავე ფერწერულმა პორტრეტმა, მასთან ერთად კი პორტრეტულმა მინიატურამ, როგორც გაცილებით ძვირადღირებულმა და უფრო შრომატევადმა ჟანრმა, დაკარგა თავისი მნიშვნელობა. ეპოქით განპირობებული ეს სიახლე უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ XIX საუკუნის 70-იან წლებში ესეოდენ სწრაფად დასრულდა „ტფილისური პორტრეტული სკოლის“ ისტორია.



რ. გველესიანი, ახალგაზრდა მანდილოსანი; ქალაქი, ფანქარი, ტუში; 16X25; 1880; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

ახალი ქართული მხატვრობის უფროსი თაობის წარმომადგენლები

XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს ქართულმა დაზგურმა მხატვრობამ – ორიგინალურმა და თვითმყოფადმა „ტფილისურმა პორტრეტულმა სკოლამ“ დაასრულა თავისი არსებობა. ქართულ კულტურაში უკვე ეპოქით განპირობებული ცვლილებების გათვალისწინებისა და გაზიარების დრო დადგა. „ტფილისური პორტრეტული სკოლის“ უცნობმა მხატვრებმა მომავალ თაობებს დაუტოვეს არა მარტო ტრადიციის მიმდევარი, ეპოქის სულისკვეთებით განმსჭვალული მაღალმხატვრული ნაწარმოებები, არამედ იმ ჭეშმარიტ ქართველ არისტოკრატთა დახვეწილი სახეები, რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ საკუთარი ქვეყნის მომავალზე, მაგრამ სურვილის განხორციელების საშუალება არ მიეცათ. ალბათ ამიტომაც ზოგიერთ ნიმუშში გამოსახული პირის ღირსებას, სიამაყეს, კეთილშობილებას, საერთო კავშირს ერთგვარი შემფოთება, თითქოს დაბნეულობა, გაკვირვებაც კი ახლავს.

1860-70-იანი წლებიდან საქართველოში თანდათან მზადდება ის ნიადაგი, რომელსაც XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში, როგორც ყოფა-ცხოვრებაში, ისე კულტურის სხვადასხვა სფეროში, არსებითი გარდაქმნები დაემყარება. თუ წინა პერიოდის ხელოვნებას გავიხსენებთ, შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ ეროვნული ხელოვნების ნიმუშები ყველაზე აშკარად რომანტიკულ პოეზიასა და მხატვრობაში გამოვლინდა. სწორედ მათში, მართალია, ერთმანეთისაგან რამდენადმე განსხვავებულად, მაგრამ მაინც, აისახა საერთო წანამძღვრები და სინქრონულად მიმდინარე პროცესები. XIX საუკუნის ბოლო მეოთხედი ის დროა, როდესაც ფაქტობრივად წყდება ძლიერი კავშირი არა მარტო შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებასთან, არამედ რომანტიკულ პოეზიასა და მხატვრობასთან და იწყება რეალისტურ ხელოვნებაზე გადასვლა.

ახალი ქართული რეალისტური მხატვრობა, ცხადია, ევროპულ ხელოვნებასთან ზიარების სურვილით, უკვე მეორეჯერ ძალაუფლებურად ძირითადად კვლავაც რუსეთის მონაწილეობით იწყება. XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში რამდენიმე ქართველმა მხატვარმა ევროპაში გააგრძელა სწავლა, ევროპელი მხატვრების საკმაო რაოდენობა კი თბილისში მოღვაწეობდა. მიუხედავად ამისა, დიდი იყო რუსეთის ზეგავლენა. თუმცა მომავალში ამგვარი ევროპული გამოცდილების არსებობა თბილისში მოდერნისტული ხელოვნების ჩამოყალიბების ერთ-ერთ წინაპირობად იქცა.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთის კოლონიური მმართველობით დათრგუნულ საქართველოში უკვე საუკუნის ბოლო მეოთხედში ისევ დროით მოტანილმა გარემოებებმა არსებითი ცვლილებები განაპირობეს. ბატონყმობის გაუქმებამ, შედარებით მშვიდ პერიოდში გაუმჯობესებულმა ეკონომიკურმა და სოციალურ ცვლილებებმა, ქვეყნის ურბანიზაციის პროცესმა, ახალი ბურჟუაზიული საზოგადოების ჩამოყალიბებამ ქართული საზოგადოება მნიშვნელოვნად შეცვალა. 1845 წლიდან კავკასიაში რუსეთის მეფისნაცვლის რეზიდენცია თბილისში დამკვიდრდა. რუსეთთან შეერთების შემდეგ თბილისი კიდევ უფრო მრავალეროვანი გახდა. მთელმა მხატვრულმა ცხოვრებამ თავი აქ მოიყარა და აქ განვითარდა. თანდათან შეიქმნა ნაციონალური კულტურის ფორმირების პირობები.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში, ევროპის რამდენიმე ქვეყნის (პოლონეთის, საბერძნეთის, იტალიის) მსგავსად, კულტურის შემდგომი განვითარება ეროვნულ-განმანათავისუფლებელი მოძრაობის ნიშნით მიმდინარეობდა. ამ იდეას ემსახურებოდა ხელოვნების ყველა ის დარგი, რომელმაც მეტ-ნაკლებად მოასწრო მომძლავრება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გამორჩეული იყო თერგდალეულთა მოღვაწეობა. ბუნებრივია, რომ ახალი ხელოვნების ფორმირების პროცესში თერგდალეულთა იდეებს არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. პატრიოტიზმმა, რომლითაც განმსჭვალული იყო რომანტიკული პოეზია და მხატვრობა, ხელოვნებაში მხოლოდ სახე იცვალა, თუმცა სიმძაფრე არ განელებია და უფრო ძარღვიანიც გახდა. თერგდალეულებმა ქართულ კულტურას უფრო მიზანმიმართული ამოცანები დაუსახეს. ილია წერდა, რომ „ეროვნული მიმართულება ახალი იქნება იმ დრომდე, მანამ ჩვენი ვინაობა თავის შესაფერისს და კუთვნილ ადგილს არ დაიჭერს ცხოვრებაში და საზოგადო საქმე სათავეში არ მოექცევა. სხვა საგანი უმძიმესი, ამაზედ უსაჭიროესი არა აქვს ეხლანდელ საქართველოს შვილს. ყველამ, ვინც რა შეუძლიან, ამ მიმართულების ქვეშ უნდა მოიყაროს თავი და ერთად, ძმურად იმოქმედოს. ყოველი საქმე, ყოველი საგანი, რაც ჩვენის ცხოვრების მომავალში თავისით, თუ სხვისით აღმოჩნდება, სულ ყველაფერი ჩვენს ვინაობის საქმეს უნდა შევუერთოთ, ქვეშ დავეყენოთ, სკოლაა, ბანკი, თუ თეატრი – ყველაფერს სულ მისკენ უნდა მოვუბრუნოთ თავი“.¹

პატრიოტულმა გრძობამ, რომელიც უფრო გამძაფრდა, გააღვივა ინტერესი წარსულისადმი, მატერიალური კულტურისა და ხალხური შემოქმედებისადმი, საუკუნის ბოლოს კი ახალ მეცნიერებას – ისტორიას ჩაუყარა საფუძველი. ისტორიკოსებმა, რომლებიც ძირითადად არისტოკრატთა წრიდან იყვნენ, დაიწყეს ქვეყნის წარსულის შესწავლა.

ქალაქის მხატვრული ცხოვრების გაჩენასა და გააქტიურებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი არაერთი საქველმოქმედო და სამეცნიერო საზოგადოების შექმნამ. ესენი იყო: „კავკასიის კაზმულ ხელოვნებათა წამახალისე-

1 ი. ჭავჭავაძე, შინაური მიმოხილვა, „ივერია“ №5, 1881, 128.



რ. გველესიანი, მხატვარი გიგო გაბაშვილი; ტილო, ზეთი; 18X13; 1883; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

ბელი საზოგადოება“ და „საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების“ კავკასიის განყოფილება, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, „ისტორიისა და ეთნოგრაფიის საქართველოს საზოგადოება“ (ორივე მათგანის ამოცანას წარმოადგენდა სახელმწიფოს დამოუკიდებლობის არარსებობის პირობებში ქართული ენისა და კულტურის შენახვა, ძეგლთა დაცვა, ქვეყნის ისტორიის, კულტურისა და ხელოვნებისადმი ინტერესის გაღვივება), „ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება „განათლება“, „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება“, „ტფილისის სამხატვრო საზოგადოება“ მასთან არსებული ხატვის სკოლით, სომეხ ლიტერატორთა საზოგადოება და ა.შ.

პირველი სკოლა, სადაც შესაძლებელი იყო პროფესიული სამხატვრო განათლების მიღება, „კავკასიის კაზმულ ხელოვნებათა წამახალისებელი საზოგადოების“ მიერ 1879 წელს დაარსდა. სკოლაში ძირითადად უცხოელი პედაგოგები ასწავლიდნენ, სამხატვრო განათლების მეთოდოლოგია კი, ბუნებრივია, რუსეთიდან და ევროპიდან გადმოღებულ სისტემას ეფუძნებოდა.

XIX საუკუნის პირველი ნახევარიდან თბილისში იხსნება არაერთი სასწავლებელი: 1802 წელს – პირველი საერო ორკლასიანი სკოლა, 1804 წელს – თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი, რომელიც 1830 წელს თბილისის I გიმნაზიად გადაკეთდა, 1817 წელს – თბილისის სასულიერო

სემინარია და მასთან სასულიერო სასწავლებელი, 1824 წელს – ნერსესის სომხური სასულიერო სემინარია, 1836 წელს – სამაზრო სასწავლებელი და თავად-აზნაურ ოფიცერთა მოსამზადებელი სამხედრო სკოლა, 1842 წელს – ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტი, 1844 წელს – თბილისის (კავკასიის) მესანგრეთა ბატალიონთან არსებული სამხედრო მოსწავლეთა სკოლა, 1846 წელს – წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელი, 1847 წელს – ვაჟთა სამიჯნაო სკოლა.

XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში ყალიბდება საჟურნალო გრაფიკაც და გამოსვლას იწყებს პირველი ქართული ჟურნალ-გაზეთები: „დროება“, „ივერია“, „ჯეჯილი“, „ნაკადული“ და სხვ.

საუკუნის შუა წლებში აღორძინდა ქართული პროფესიული თეატრი. ფასდაუდებელია ამ მოვლენის მნიშვნელობა, რადგან ქართული ენის მოსმენა მხოლოდ თეატრში შეიძლებოდა. 1871 წელს თბილისში შეიქმნა „კავკასიის მუსიკალური საზოგადოება“ და გაიხსნა პირველი მუსიკალური სკოლა, ასევე – საგუნდო კურსები, რომელიც შემდგომ პირველ ქართულ სამუსიკო სასწავლებლად გადაკეთდა.

1880-90-იან წლებში თანდათან გაძლიერდა ადგილობრივი მსხვილი ბურჟუაზია. ხელოვნების ნაწარმოებების შეგროვება მისთვის მეცენატობის



რ. გველესიანი, ჩიხტიკოპიანი ქალბატონები; ქალაქი, ფანქარი; 24X38; 1880; სემ – ხელოვნების მუზეუმი.



რ. გველესიანი, ავლაბრის ხილთან; ქალაქი, ფანქარი; 32X39,5; 1880; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

თავისებურ ფორმას წარმოადგენდა. გაჩნდა საზოგადოებრივი კოლექციები, რომელთაც მეტად მნიშვნელოვანი ფუნქცია იტვირთეს. მათი მეშვეობით ხდებოდა ხელოვნების ნაწარმოებების გავრცელება მოსახლეობის გაცილებით ფართო ფენებში. კოლექციონერულმა მოღვაწეობამ საზოგადო ხასიათი შეიძინა. ცაკეული საზოგადოებებისა თუ კერძო პირთა კოლექციები ყველასთვის მისაწვდომი გახდა. განსაკუთრებით ცნობილი იყო „კავკასიის კაზმულ ხელოვნებათა წამახალისებელი საზოგადოების“ კოლექცია. თუმცა „საზოგადოებისათვის“ შენობა, რომელშიც ადგილობრივ მხატვართა გამოფენა გაიმართა, მხოლოდ 1902 წელს მოიძებნა.

ცარისტული თვითმყრობელობის პოლიტიკა ხელს უშლიდა რუსეთის განაპირას მცხოვრებ არარუს ხალხებს ეროვნული ხელოვნების სახელმწიფო კოლექციის შექმნაში, მუზეუმის ჩამოყალიბებაში. ქალაქის თვითმართველობამ მხოლოდ 1911 წელს სცადა ე.წ. მუნიციპალური მუზეუმის ან ქალაქის ისტორიის მუზეუმის დაარსება, მაგრამ ამ მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია. 1913 წელს კავკასიის შინამრეწველობის კომიტეტთან (მუშტაიდის ბაღში) გაიხსნა კუსტარული მუზეუმი.

ნაციონალური მუზეუმის შექმნის იდეა ქართველ დემოკრატ-განმანათლებლებში ჯერ კიდევ 1890-იან წლებამდე გაჩნდა. წლების მანძილზე რამდენჯერმე დაისვა მუზეუმის შენობის საკითხი, თუმცა უშედეგოდ. ქართული საზოგადოება ოცნებობდა მუზეუმზე, რომელიც იკისრებდა საგანმანათლებლო ფუნქციას და, ამავედროულად, გახდებოდა ნაციონალური კულტურის ძეგლთა საცავი.

თბილისელებში ხელოვნების ნიმუშების გავრცელებას ხელს მეტად უწყობდა ინტერიერის მორთვის ტრადიცია. XIX საუკუნის შუა წლებში ამა თუ იმ სოციალური ფენის საყოფაცხოვრებო პირობები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. მოდური გახდა მხატვრებისათვის პორტრეტების დაკვე-




რ. გველესიანი, ჩანახატი;
ქალალდი, ტუში; 16X25; 1880;
სემ – ხელოვნების მუზეუმი.

თა და ტრადიციულად მორთული ინტერიერის შექმნა. საზოგადოების მაღალი ფენის, სამხედრო მაღალჩინოსანთა და ბიუროკრატ ჩინოვნიკთა სახლების ტრადიციულ ინტერიერს უკვე ევროპული ყაიდის პრინციპები და დეტალებიც ემატებოდა. თუმცა კლიმატური პირობების, მოსახლეობის ცხოვრების წესისა და ჩამოყალიბებული ყოფითი ტრადიციების გამო, საცხოვრებელი სახლის აღმოსავლური მორთულობა მაინც უფრო მისაღები იყო. რუს წარჩინებულებს, რომელთაც მაღალი ადმინისტრაციული თანამდებობები ეკავათ, იზიდავდა აღმოსავლური სულით გაჟღენთილი, კომფორტული, ეგზოტიკური და მდიდრული ინტერიერები. ყოველივე ეს განაპირობებდა იმას, რომ აღმოსავლური სტილის მორთულობა თუ საყოფაცხოვრებო ნივთები მოდიდან არ გადადიოდა. ეს გატაცება შემდეგ წლებშიც გაგრძელდა. უფრო მოკრძალებული და სადა იყო ქართველ თავად-აზნაურთა და ინტელიგენტთა სახლები. უკვე 1880-90-იან წლებში მისაღები ოთახის აუცილებელ მოსართავად იქცევა ადგილობრივი მხატვრების მიერ შესრულებული პორტრეტები, პეიზაჟები, სურათები, გრაფიურები და ფოტოგრაფიები. განსაკუთრებით პოპულარული იყო ი. ზანკოვსკისა და რ. ზომერის კავკასიური პეიზაჟები, ლ. ლონგოს, პ. კოლჩინისა და კ. ტირის ნახატები კავკასიელი ტიპაჟების გამოსახულებით. ინტერიერები ირთვებოდა ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ლითო-გრაფიული პორტრეტებით, ცოტა მოგვიანებით კი – კედლის კალენდრებით, რომლებზეც ერეკლე II-ს, შოთა რუსთაველს, არჩილ ჯორჯაძესა და სხვებს გამოსახავდნენ. დიდი იყო მოთხოვნა რელიგიურ და ისტორიულ თემებზე შექმნილ გრაფიურებსა და ლითოგრაფიებზეც.



რ. გველესიანი, ჩანახატი; ქალალდი, ტუში;
16X25; 1880; სემ – ხელოვნების მუზეუმი.



ალ. ბერიძე, მაკო საფაროვა; მუყაო, ზეთი; 50X33;1883;
საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწ. მუზეუმი.

უდავოდ აღსანიშნავია უცხოელი მხატვრების შემოქმედების კვალი ქართული მხატვრობის ჩამოყალიბების პროცესში. მათი უმეტესობა ასწავლიდა კერძო თუ სახელმწიფო სკოლებში. შესაბამისად, მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ მათი მხატვრული ოსტატობა, არამედ ის ინფორმაცია, რომლის შეთვისებაც მათგან ხდებოდა.

1888 წლამდე თბილისში მეტად იშვიათად იმართებოდა სამხატვრო გამოფენები. პირველი ქართველი პროფესიონალი მხატვარი გრიგოლ მაისურაძე ქართული საზოგადოების ნაწილმა ჯერ კიდევ 1850 წელს გაიცნო, თუმცა მისი გამოფენა არ შემდგარა და მხატვრის შემოქმედება ფართო მასებისთვის უცნობი რჩებოდა. თბილისში პირველი ქართველი მხატვრის გიგო გაბაშვილის გამოფენა 1891 წელს გაიმართა. მანამდე მხოლოდ უცხოელი მხატვრები იფინებოდნენ. ცნობილია, რომ 1868 წელს ი. აივაზოვსკიმ გამოფინა თავისი თორმეტი სურათი, რომელთაგან ექვსი საქართველოს ბუნებას ასახავდა. 1871 წელს გოლოვინის პროსპექტზე კერძო პირის ბინაში გამოიფინა ვ. ვერეშჩაგინის ნაწარმოებები, 1883 წელს გ. ბაშინჯალიანის გამოფენა მოეწყო, 1890-91 წლებში კი – გიგო გაბაშვილისა. 1900 წლიდან გამოფენათა მასშტაბი შეიცვალა: ცალკეულ მხატვართა პერსონალური გამოფენების გარდა, ეწყობოდა სამხატვრო სკოლებისა და პედაგოგების გამოფენები, იფინებოდა კუსტარული და ხელნაკეთი ნივთებიც. იშვიათობას წარმოადგენდა ჯგუფური გამოფენები. 1895 წელს ერთად გამოიფინენ ლ. არტაზიანი, გ. ბაშინჯალიანი, გ. გაბაშვილი, ლ. ზანკოვსკი, ა. შამშინიანი და პოგორელოვა, 1899 წელს კი სამი მხატვრის – ჰ. ჰრინევსკის, პ. ტროფიმოვის, ა. ეისნერის – გამოფენის შესახებ კრიტიკოსები წერდნენ, რომ იგი სიახლითა და სიხალასით გამოირჩეოდა. აღსანიშნავია, რომ თბილისის საზოგადოება დიდ ინტერესით ადევნებდა თვალს ამ მოვლენებს.

კამათი ხელოვნების ადგილსა და როლზე საზოგადოებაში 1890-იანი წლების თბილისის მხატვრული ცხოვრების ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ცვლილებები საზოგადოებრივ, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში სახელოვნებო წრეებში აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა. თერგდალეულების პროგრამა თანდათან კარგავდა აქტუალობას, ამიტომაც ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი ახალი იდეებისა და გზების ძიებაში იყო. ყოველივე ამას თან სდევდა მძაფრი პოლემიკა პრესაში. ამ თვალსაზრისით გამორჩეულია არჩილ ჯორჯაძის პროგრამული წერილები, რომლებიც გაზეთ „დროებაში“ იბეჭდებოდა. პუბლიცისტი აღმფოთებას გამოთქვამდა ხელოვნების მიმართ უტილიტარული დამოკიდებულების გამო და წერდა: „გაკვირვებას იწვევს ჩვენს მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეთა შორის გამეფებული უტილიტარული წარმოდგენა ხელოვნების შესახებ... ხელოვნება საზოგადოების ამ ნაწილში ითვლება უსარგებლოდ, თუ იგი არ მოუწოდებს ადამიანებს ბრძოლისაკენ, თუ იგი არ იცავს ყველა მშრომელსა და დაჩაგრულს, თუ არ საუბრობს იაფ საცხოვრებელსა და რვასათიან სამუშაო დღეზე“.² ა. ჯორჯაძე მიიჩნევდა, რომ ხელოვნება ავტონო-

2 Н. Элизбарашвили, Художественная жизнь Тбилиси в конце XIX – начале XX века, Диссертация, 1982.

მიური უნდა იყოს: „ჩემი შეგნება თვითონ იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რას უნდა მივმართო ჩემს ნაწარმოებში: დათრგუნულ ადამიანს, ვარდსა და ბულბულს თუ ბუნების საიდუმლოებებს... ჭეშმარიტი პოეტი და ოსტატი ის კი არ არის, ვინც თავის ნაწარმოებებში ასახავს მხოლოდ სახალხო მოტივებს და მეტაფიზიკურ პრობლემებს, არამედ ის, ვისაც შეუძლია სურათებითა და ხატებით, სახეებით აზროვნება, ის, ვინც ადამიანში ერთდროულად აღძრავს ინტელექტუალურ და ესთეტიკურ ემოციას... ვინც ამ ნიჭს არის მოკლებული, მას ხელოვნების ჭეშმარიტი ნაწარმოების შესაქმნელად არ უშველის არც კეთილი ზრახვები და მაღალი იდეალები და არც ხალხის სამსახურის სურვილი“.³ სიმპტომატურია, რომ 1890-იან წლებში პერედვიჟნიკებს შორის გარკვეული კონფლიქტიც კი წარმოიშვა, რადგანაც სამხატვრო ჟიურის თვალსაზრისით, სურათი, პირველ რიგში, ფასობდა შინაარსით და არა მხატვრული შესრულებით.

XX საუკუნის დასაწყისში ფერწერას ახალი მოთხოვნები წაუყენეს – მისგან „მხატვრობას, ემოციურობას, ფერთა, მოტივის ან განწყობის სიძლიერეს“ ითხოვდნენ.⁴ ხელოვნების განახლების ერთიანი ისტორიულ-კულტურული პროცესი, რომელიც რუსეთის ყველა მხატვრულ ცენტრს შეეხო, მნიშვნელოვანი იყო საქართველოსთვისაც. ყოველივე ამან თავისებური ასახვა ჰპოვა ახალგაზრდა ქართველ მხატვრებში და რამდენადმე შეცვალა მათი მხატვრული ორიენტაცია. აშკარაა, რომ თუკი 1880-90-იან წლებში ხელოვნების ცენტრებად პეტერბურგი და მიუნხენი ითვლებოდა, საუკუნის დასაწყისში ყველას მოსკოვი და პარიზი იზიდავდა. რა თქმა უნდა, ამგვარ ცვლილებას, გარკვეულწილად, პლენერულ და იმპრესიონისტულ ფერწერაში მიღწეული წარმატებაც განაპირობებდა. ხშირად სხვადასხვა ქვეყანაში ერთ კონკრეტულ პერიოდში მოულოდნელად გაჩენილ ნიჭიერ მხატვართა ჯგუფს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საკუთარი ქვეყნის ხელოვნების განვითარებაში, თუმცა შესაძლოა მათ ერთმანეთთან არც მსოფლმხედველობა აკავშირებდეთ და არც ერთიანი შემოქმედებითი პროგრამა. ამგვარი შემთხვევების შესახებ კარგად იციან ხელოვნების მოყვარულებმა. ასე მოხდა XIX საუკუნის 70-იან წლებშიც, როდესაც დასრულდა „ტფილისური პორტრეტული სკოლის მხატვრობა“. ამ დროისთვის უკვე საკმაოდ მომძლავრებული თბილისის სახელოვნებო სივრცე საჭიროებდა ქართველ პროფესიონალ მხატვრებს, რომლებიც, სავარაუდოდ, უცხოეთში წასვლამდეც კარგად იცნობდნენ თანადროული ევროპული ხელოვნების პრობლემატიკას.

1880-იანი წლების დასაწყისიდან თბილისში მოღვაწეობას იწყებს ქართველ მხატვართა ახალი თაობა, რომელიც თითქმის ერთ ათწლეულში, 1850-1860 წლებში, დაიბადა – ალექსანდრე ბერიძე, დავით გურამიშვილი, რომანოზ გველესიანი, გიგო გაბაშვილი, ალექსანდრე მრეველიშვილი და, მოგვიანებით, მოსე თოიძე. რუსეთსა და ევროპაში განათლებამიღებულ

3 თ. ფერაძე, სოციალური მოტივი XIX-XX საუკუნეთა მიჯნის ქართულ ფერწერაში, თბ., 1972, 231-247.
4 А. Васнецов, К 100-летию со дня рождения, М., 1957, 140.



ალ. ბერიძე, სათავადაზნაურო ქართული თეატრის ფარდა; ქალაქი, აკვარელი; 47X63,5; 1886; საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწ. მუზეუმი.



გაბაშვილი, სვეტიცხოველი;
ტილო, ზეთი; 66X54;
სემ – ხელოვნების მუზეუმი.

ხელოვანებს, რომლებიც საქართველოში დაბრუნდნენ, რადიკალურად განსხვავებული მიზნები და ამოცანები ჰქონდათ. თუმცა, რა თქმა უნდა, ახლის ათვისება, გადამუშავება და შემოქმედებითი თვითმყოფადობის გამოვლენა იოლი როდი იყო. მათ მსოფლმხედველობაზე, მხატვრულ გემოვნებაზე, გარკვეული ზეგავლენა მოახდინა სამოციანელთა იდეებმა და რუსულმა რეალისტურმა სკოლამ, კერძოდ, პერედვიჟნიკულმა მხატვრობამ. 1880-90-იანი წლები, როდესაც უფროსი თაობის უმეტესობა მოსკოვსა და პეტერბურგში სწავლობდა, სწორედ პერედვიჟნიკების ინტენსიური მოღვაწეობის პერიოდს ემთხვევა. ის, რაც ქართველმა მხატვრებმა რუსეთიდან ჩამოიყოლეს, პრინციპული სიახლე იყო: „პირველ რიგში, თემატური დიაპაზონის ძლიერად გაფართოება და გარემომცველ ცხოვრებასთან, ყოფასთან „პირდაპირი“ კავშირის დამყარება, პორტრეტისა და ევროპულ ხელოვნებაში კულტივირებული სხვა ჟანრების – ყოფითი ჟანრის, პეიზაჟის, ნატურმორტის, მრავალფიგურიანი კომპოზიციის ჩასახვა“.⁵ პერედვიჟნიკების მსგავსად, საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწე ქართველი მხატვრებისთვის პრიორიტეტულია შინაარსი და ნაკლებად მნიშვნელოვანია ეროვნული ფორმის პრობლემა. მათთვის ჯერ კიდევ უცხოა ევროპული ხელოვნების „მემარცხენე“ მიმდინარეობები, რომელთათვისაც ნიადაგი საქართველოში ჯერ კიდევ არ მომწიფებულა.

ყველა მკვლევარი, რომელიც რომანოზ გველესიანის მხატვრობას შეხეხება, მას, უპირველეს ყოვლისა, გამორჩეული ნიჭის ფერმწერად მიიჩნევს. მხატვარი ძალიან ადრე, 25 წლის ასაკში, გარდაიცვალა. რომანოზ გველესიანმა მხოლოდ პეტერბურგის საიმპერატორო სამხატვრო აკადემიის სრული კურსის დასრულება შეძლო. თუმცა მისი დანატოვარი, გრაფი-

5 В. Беридзе, Н. Езерская, Искусство советской Грузии 1921-1979, М.: Советский художник, 1975, 1.



გ. გაბაშვილი, გენერალი ამილახვარი; ტილო, ზეთი;
124X110; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

კული თუ ფერწერული ნაწარმოებები, ამკარად მეტყველებს, რომ მხატვრის ხანმოკლე შემოქმედება აღსავსე იყო ძიებითა და ახლის სწავლის სურვილით. რომანოზ გველესიანი, ძირითადად, პორტრეტულ, პეიზაჟურ და ყოფით ჟანრებში მუშაობდა. იგი ერთ-ერთი პირველი ქართველი მხატვარია, რომელსაც შესრულებული აქვს თბილისისა და კახეთის ჩანახატები. საგულისხმოა, რომ მომდევნო თაობის მხატვრები თითქოს ბაძავენ მას, ირჩევენ და გველესიანის მსგავსი დოკუმენტური სიზუსტით გადმოსცემენ, განსაკუთრებით, ძველი თბილისის უბნებს. თუმცა, რომანოზ გველესიანის მიერ შესრულებული თბილისისა და კახეთის ამონარიდები მაინც თავისებური სიმსუბუქითა და ფერწერულობით გამოირჩევა. შემორჩენილია გველესიანის სტუდენტობის დროინდელი მცირე ზომის ალბომები, გამორჩეული შესანიშნავი ტექნიკური შესრულებით, აკადემიის საკლასო ნახატები, შიშველი ნატურის, თაბაშირის ფიგურებისა და პლასტიკური ანატომიის მეტად პროფესიული შტუდიები. მასვე ეკუთვნის „ვეროპული პეიზაჟების“ სახელით ცნობილი მონოტიპები, რომლებიც არ ჰგავს რუსულ და, მით უმეტეს, ქართულ პეიზაჟებს. მონოტიპების ამ საინტერესო სერიის შესახებ ნ. ჭინჭარაული წერდა: „მე-19-ე ს-ის მეორე ნახევრის რუსულ პეიზაჟში მთავარ მოვლენას ის წარმოადგენდა, რომ საერთო რეალისტური ტენდენციების ფონზე რომანტიკული ხელოვნების იდეალები აღორძინდა. თბილისის გუბერნიის მხატვრის „ლირიკული რეალიზმი“ და შინაარსის თუ ლიტერატურული ქვეტექსტის პრიმატი სწორედ ამ ეპოქისეული გავლენების შედეგია“.⁶

განსაკუთრებით ყურადსაღებია რომანოზ გველესიანის გრაფიკული, აკვარელით, ტუშითა და ფანქრით შესრულებული ჩანახატები, ესკიზები, ეტიუდები თუ ჟანრული პორტრეტები. მისი ნაწარმოებების უმრავლესობა დახვეწილი გემოვნებით გამოირჩევა. მხატვრის სწრაფი ჩანახატები, მიუხედავად იმისა, რომ იგრძნობა დაფიქრება კადრის არჩევის დროს, მეტად ცოცხალია, მახვილი, წუთიერებისა და წარმავლობის იმპრესიონისტული ელფერიტაა გამორჩეული. მეტად ფართოა რომანოზ გველესიანის ინტერესთა დიაპაზონი. იგი ცდილობს შეიმეცნოს და გაიაზროს ყველაფერი, რაც ზოგადად რუსეთს, რუსულ კულტურას ან თუნდაც ევროპას ეხება, თუმცა ამკარაა, რომ მისი უმთავრესი საფიქრალი საქართველოა. იგი ცდილობს, ჩაწვდეს ამა თუ იმ ქვეყნის ეროვნულ ხასიათს. მხატვარი ოდნავ ნოსტალგიურად და თან ერთგვარი იუმორით გადმოცემს ქართულ გარემოს – ქალაქებს თუ ცალკეულ უბნებს, ტრადიციულ სამოსში გამოწყობილ ქართველ ქალბატონებს თუ ბატონებს, აუცილებლად თავისი განწყობილებით – ხან მხიარულებს წვეულების დროს, უმეტესად კი დაფიქრებულებსა და სევდიანებს. მხატვარი ასაკისთვის უჩვეულო ვირტუოზული დამტრინხვით, გაკრული ხელით ამომწურავად გვაწვდის ჩანაფიქრს. ზოგან მრავალგვარი ხაზის თამაშს რბილი, თითქოს ბამბით



გ. გაბაშვილი, ჩალმიანი მამაკაცი; ტილო, ზეთი; 19X15; 1894; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

6 ნ. ჭინჭარაული, თერგდალეულთა ეპოქის უცნობი პეიზაჟისტი, Ars Georgica, ელ. ჟურნალი, სერია B, 2010, №. <http://www.georgianart.ge/index.php?option=com-content&view=article&id=127%3A-ii&catid=42%3A2010-12-03-16-05-33&Itemid=91&lang=ka>.


დადებული ლაქები ავსებენ. რომანოზ გველესიანმა ვერ მოასწრო საკუთარი მხატვრული სტილის ჩამოყალიბება, თუმცა მას უდავოდ ყველასაგან გამოარჩევს საკუთარი ხელწერა. სრულიად ცხადია, რომ გველესიანისთვის უცხო არ არის რეალიზმი, პლენერზე მუშაობა, იმპრესიონისტული მხატვრობა და ჩანს, რომ მას ახალ, თანადროულ მხატვრობაზეც ჰქონდა ნაფიქრი.

ალექსანდრე ბერიძე, რომანოზ გველესიანთან შედარებით, გვიან გამოდის შემოქმედებით ასპარეზზე, თუმცა სამხატვრო განათლება გაცილებით ადრე, 1875-85 წლებში, მიიღო, როდესაც მონაცვლეობით ხან პეტერბურგის, ხანაც კი ნეაპოლის სამეფო სამხატვრო აკადემიებში სწავლობდა.

1885 წელს საქართველოში დაბრუნებულმა ალექსანდრე ბერიძემ შექმნა შოთა რუსთაველის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, გიორგი ერისთავის, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის გრაფიკულ პორტრეტები, რომლებიც 1885-87 წლებში ჟურნალ „თეატრში“ იბეჭდებოდა. ამავე დროს, ალექსანდრე ბერიძე თეატრალურ-დეკორატიულ მხატვრობაშიც მოღვაწეობდა. საერთოდაც, იგი მჭიდროდ თანამშრომლობდა თეატრთან და ქართული დრამატული საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი წევრიც გახლდათ (1879). ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია 1886-87 წლებში მის მიერ ქართული („ბანკის“) და რუსული („კრუჟოკის“) თეატრებისათვის შექმნილი მხატვრული ფარდები. პედაგოგის დიპლომის უქონლობის გამო, ალექსანდრე ბერიძემ ვერ შეძლო მუშაობის დაწყება თბილისის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელში და 1888 წელს იგი კვლავ იტალიაში გაემგზავრა. მოგვიანებით მხატვარი ი. ოქრომჭედლიშვილს მოსკოვიდან წერდა: „აქ ერთ-ორ ხატვის გაკვეთილს ვიშოვნე, რომ თავი ვირჩინო, ზაფხულამდე მოვემზადები (დღედაღამ ვიმუშავებ) თეორიულად (პრაქტიკულად მხატვრობაში საკმაოდ განვითარებული ვარ) და მაისში მასწავლებლობაზე გამოცდას დავიჭერ და დიპლომით დავბრუნდები საქართველოში, რომელსაც მსურს თავი შევწირო და სადაც მსურს ძვალი და რბილი დავსტოვო“.7 საქართველოში დაბრუნებულმა ალექსანდრე ბერიძემ ცოტა ხანს ბათუმში პედაგოგად იმუშავა, ხოლო შემდეგ ცხოვრების უკანასკნელი წლები ვლადიკავკაზში გაატარა.

დღეისათვის მხატვრის მხოლოდ ორ ათეულამდე ნაწარმოებია შემორჩენილი, იქნებ ხელმოკლეობის გამო ან იმიტომაც, რომ ალ. ბერიძე ბევრს მოგზაურობდა და მუდმივად იცვლიდა საცხოვრებელ ადგილს.

შეუძლებელია, არ დაეთანხმო საკუთარი შემოქმედების მხატვრისეულ შეფასებას – იგი უდავოდ მაღალი დონის რეალისტი პორტრეტისტია. მისი საუკეთესო ნამუშევრები, მაგალითად, „მოხუცი მამაკაცი“, „მაკო საფაროვა“, „ვასო აბაშიძე“, „უცნობი გოგონა“, დაწერილია მეტად თამამად, ფუნჯის თავისუფალი მონასმებით. სინათლითა და ჰაერით გაჯერებული გარემო გადმოიცემა მდიდარი კოლორიტის, რეფლექსებისა და ფერადი



გ. გაბაშვილი, ორი ქალი; ტილო, ზეთი; 41X54; XX ს-ის დასაწყ.; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

7 ჟურნ. „ქართული მწერლობა“ №5, 1927, 178.



გ. გაბაშვილი, ორი ანგელოზი; ქალაქი, ფანქარი; XIX-XX სს-ების მიჯნა; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

ჩრდილების საშუალებით. მისი საუკეთესო პორტრეტები გამოირჩევა ცვა-
ლებადი განწყობილებითა და ფსიქოლოგიზმით. დაბალი სოციალური ფე-
ნის ბავშვთა პორტრეტები („გოგონა წინდის ქსოვის დროს“, „ბიჭი სალამ-
ურით“ და ა.შ.) შესრულებულია უფრო აკადემიურად, გაცილებით დაბალი
ოსტატობით. შესაძლებელია, 1890-იან წლებში დახატული ეს პორტრეტე-
ბი, ერთმანეთის მსგავსი როგორც თემით, ასევე გადაწყვეტით, დაკვეთა
ყოფილიყო. მათში მხატვარი აშკარად არ ცდილობს, ეძებოს ის სახვითი
საშუალებები (ფერწერული ენა, ფაქტურის მრავალფეროვნება, განათები-
სა და ჰაეროვანი გარემოცვის გადმოცემის ხერხები და სხვ.), რომლებიც
დამახასიათებელია მისი საუკეთესო ნაწარმოებებისთვის და არსებითია
ამ პერიოდის პერედვიჟნიკებისთვის, კრიტიკული რეალიზმის მეთოდის-
თვის. მიუხედავად ბავშვთა ბუნებრივი, ცოცხალი, ხალასი სახეებისა, ეს
სურათები მაინც უფრო ეთნოგრაფიული რიგის ნამუშევრებს განეკუთ-
ვნება.

ამ საკმაოდ ნიჭიერი მხატვრების ფონზე, გიგო გაბაშვილი, როგორც შემოქ-
მედი და მხატვარი, გამორჩეულად მნიშვნელოვანი და მასშტაბურია. გიგო
გაბაშვილი ხელოვანთა იმ არცთუ იშვიათ ტიპს განეკუთვნება, რომელმაც,
ერთი მხრივ, ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოებების ურიცხვი რაო-
დენობა დატოვა, სხვა მხრივ კი, მთელი ცხოვრება მხატვრობაზე ფიქრს



გ. გაბაშვილი, ქალები ბუშტებით; ქალაქი, აკვარელი; 20X33;
XIX-XX სს-ების მიჯნა; სემ – ხელოვნების მუზეუმი.



გ. გაბაშვილი, ფრთოსანი არსებები; ტილო, ზეთი; 71X58; XIX-XX სს-ების მიჯნა; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

შეალია. გაბაშვილი ჯერ სწავლობდა თბილისში კ. კეპენის კერძო სამხატვრო სკოლაში და სამხედრო-ისტორიულ მუზეუმში ფ. რუბოსთან, შემდეგ კი – პეტერბურგისა და მიუნხენის სამხატვრო აკადემიებში. თავდაპირველად, საქართველოსა და რუსეთში იგი ცდილობდა მხატვრობის სრულყოფას როგორც რეალისტი, შემდეგ ევროპის ერთ-ერთი მნიშვნელოვან სამხატვრო ცენტრში, მიუნხენში, როგორც ჩანს, თანადროული მიმდინარეობებითა და მხატვრობის ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური პრობლემებითაც დაინტერესდა. ამკარაა, რომ გიგო გაბაშვილს მხატვრობის მომავალი თუ შემდგომი განვითარების ბედიც აღეღებდა და მის განსჭვრეტასაც ცდილობდა. მას უდიდესი წვლილი მიუძღვის ახალი ქართული ხელოვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. გიგო გაბაშვილმა განახორციელა ის, რაც არ დასცალდათ რომანოვ გველესიანსა და ალექსანდრე ბერიძეს – ახალი დაზგური მხატვრობის უანრობრივი გამრავალფეროვნება და მაღალ პროფესიული დონის რეალისტური მხატვრობის დამკვიდრება.

გიგო გაბაშვილის სახვითი ენისთვის პრიორიტეტული იყო ფერით მეტყველება, მისი სიმდიდრე, მრავალფეროვნება, ფერწერული ლაქის ვიტალობა, თამამი და მოულოდნელი შეხამებები. ნათელი და მჟღერი ფერები მხატვარს ხშირად თითქოს თემას და სიუჟეტსაც კარნახობენ. ამიტომ ხატავს იგი მცხუნვარე შუადღის პეიზაჟებს, მრავალ ქსოვილში გახვეულ, დანაოჭებულ, მაგრამ მზით განათებულ მოხუც მამაკაცთა პორტრეტებს, შუაზიურ მიზგიტებს, მინარეთებსა და აღმოსავლურ სამოსში გამოწყობილი ადამიანებით სავსე ბაზრებს, კალათებიდან გადმოცვნილ ფერად ხილს, ფერადოვან პეიზაჟებს, ბატალურ სცენებს თუ სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელთა პორტრეტ-ტიპებს. იგი თავისი დროისათვის უჩვეულოდ თამამად ათავსებს თითქოსდა შეუთანხმებელ ლაქებს და, შეიძლება ითქვას, რომ მოგვიანო ხანის ნამუშევრებით ერთგვარად პოსტიმპრესიონისტების შემოქმედებასაც ეხმიანება. გიგო გაბაშვილი მიუნხენიდან თავის მეგობარს, დავით გურამიშვილს, წერდა: „აქაც მოვიხვეჭე კოლორისტის სახელი, დიდება“.⁸

აქამდე გიგო გაბაშვილის შემოქმედების მკვლევრები მიიჩნევდნენ, რომ მის კომპოზიციებს თემის დრამატული ინტერპრეტაცია არ ახასიათებს. სინამდვილეში, ეს მხატვრის ხასიათი და პოზიციაცაა, რომლითაც განმსჭვალულია მთელი მისი შემოქმედება, დაწყებული ადრეული რეალისტური ნაწარმოებებიდან, დამთავრებული სიმბოლისტური ნამუშევრებით. მხატვარი მაცურებელს თითქოს წარუდგენს გარკვეული მოვლენის – სულერთია, პეიზაჟის თუ პორტრეტის – კონკრეტულ თუ განზოგადებულ სახეს, ხატს თუმცა მხოლოდ ზოგადი, მის დასახასიათებლად აუცილებელი განწყობილებით, მაგრამ ემოციის გარეშე. თვით მხატვარი ამ დროს დამკვირვებლის, მჭვრეტელის როლშია და ამასვე სთავაზობს მაცურებელს. დაფარული ემოცია, ერთგვარი გარინდება, განზოგადება, მონუმენტურობა და მნიშვნელოვნება ის თვისებებია, რომლებიც შემოქმედის სხვადასხვა

8 მ. დუდუჩავა, ახალი ქართული ხელოვნება, თბ., 1950.

პერიოდის ნაწარმოებებს მეტ-ნაკლებად ახასიათებს და რაც ამძაფრებს იდუმალის განცდას. რა თქმა უნდა, ეს გრძნობა ნაკლებად დამახასიათებელია გაბაშვილის შემოქმედების ადრეული რეალისტური პერიოდისთვის, შემდეგ კი თანდათან უფრო საგრძნობი ხდება. ძნელი სათქმელია, საიდან მომდინარეობს ეს თვისება, ღრმა, ეროვნული, გენეტიკური თავისებურებაა, თუ ინტუიცია, რომელსაც ახალი დროის ხელოვნება მოითხოვს.

გიგო გაბაშვილი იყო ისეთივე დიდი გრაფიკოსი, როგორც ფერმწერი. შესრულების ვირტუოზობით გამოირჩევა ფანქრითა და ტუშით დახატული მისი პორტრეტი-ტიპები. გიგო გაბაშვილს, გარდა ქართველებისა, ასახული ჰყავს ებრაელი მამაკაცები, შუააზიელები, ზანგი, მოლა და ა.შ. ეს სურათები, რომლებშიც წარმორჩენილია გამოკვეთილი ინდივიდუალური და სოციალური მახასიათებლები, გრაფიკული ოსტატობის, განუმეორებელი განწყობისა და ტემპერამენტის გადმოცემის, ამა თუ იმ ეროვნების ხასიათში წვდომის ნიმუშებია.

გიგო გაბაშვილი პირველი ქართველი მხატვარია, რომლის პერსონალური გამოფენა 1891 წელს თბილისში მოეწყო. როგორც ჩანს, 1890-იან წლებში იგი გამორჩეულად პოპულარული იყო ქართულ საზოგადოებაში. მის მოღვაწეობასა და წარმატებებს განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებდნენ თვალს. პრესაში წერდნენ ამერიკელი მოგზაურის შესახებ, რომელმაც გაბაშვილის ნამუშევრები შეიძინა,⁹ ჰყვებოდნენ შუააზიური ციკლის ორ სურათზე, რომელიც მიუნხენში დაიწერა,¹⁰ მის მიერ თბილისში გახსნილ კერძო სკოლაზე და ა.შ.¹¹

ცხადია, რადიკალური გარდატეხა გიგო გაბაშვილის ცნობიერებაში მიუნხენში გატარებულმა წლებმა მოახდინა, თუმცა დავით გურამიშვილისადმი გაგზავნილ წერილში იგი აღნიშნავდა, რომ „გულგრილი დარჩა თანამედროვე ხელოვნების იმ მიმდინარეობებისადმი, რომლებიც იმჟამინდელ მიუნხენში მოწინავედ ითვლებოდა და რუსული პერედვიჟნიკული მხატვრობისა და რეპინის ერთგული რჩებოდა“.¹²

მიუნხენში გიგო გაბაშვილი ხატავს მრავალ ფერწერულ და გრაფიკულ სურათს, რომლებშიც აშკარად ვლინდება ევროპული, განსაკუთრებით კი გერმანული, სიმბოლისტური მიმდინარეობის თავისებურებანი. როგორც ცნობილია, სიმბოლიზმი, რომელიც XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე წარმოიშვა, არაერთგვაროვანი და წინააღმდეგობრივი მოვლენა იყო. მას არ ჰქონდა მკვეთრად გამოხატული სტილისტიკა და უფრო მეტად „იდეურ“ მოძრაობას წარმოადგენდა, რითაც სრულიად განსხვავებული მანერის ხელოვანებს იზიდავდა. სიმბოლისტი მხატვრები უარყოფდნენ რეალიზმს და თვლიდ-




გ. გაბაშვილი, ფრთოსანი ანდროგინი; ქალაქი, აკვარელი; 20X33; XIX-XX სს-ების მიჯნა; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

9 Иверия, 1889, 17/XII.

10 Иверия, 1895, 1/XI.

11 „ცნობის ფურცელი“, 1898, 19/IX.

12 მ. დუდუჩავა, ახალი ქართული ხელოვნება, თბ., 1950.



გ. გაბაშვილი, ამორძალები; ქალალდი, აკვარელი; 30,2X19,2; XX ს-ის დასაწყ.; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

ნენ, რომ ფერწერას უნდა გადმოეცა ნებისმიერი სულიერის განცდებით აღსავსე ცხოვრება, გაუგებარი, ბუნდოვანი განწყობილებები, ფაქიზი გრძობები, წუთიერი, წარმავალი შთაბეჭდილებები, აზრები და იდეები. თანაც ყოველივე ეს გამოიხატებოდა მეტაფორულად, რასაც ბიძგი უნდა მიეცა აზროვნებისთვის. სიუჟეტების უმეტესობას საფუძვლად ედო რელიგიური და მითოლოგიური ქვეტექსტი. ამიტომ სიმბოლისტების ნაწარმოებები განმსჭვალულია მისტიციზმით, ზებუნებრივისა და იმპერსონალური შეგრძნებით. სიმბოლისტები მიისწრაფოდნენ შეგნებული ბუნდოვანებისკენ, ორაზროვნებისკენ, ჰერმეტიზმისკენ. მათი რწმენით, ხელოვნება არსებობს რეალური სამყაროს გვერდით და არა მის წიაღში. ყოველგვარი რეალიზმის უარყოფელი სიმბოლისტები, ფრანგი სიმბოლისტი პოეტის ტრისტან კორბიეს მსგავსად, ფიქრობდნენ, რომ უნდა დახატო მხოლოდ ის, რასაც ვერასოდეს დაინახავ.

აშკარად გამონათული შემოქმედებითი ინდივიდუალობის მიუხედავად, გიგო გაბაშვილის ამ ტიპის ნაწარმოებები, ერთი შეხედვით, ყველაზე მეტად ფრანც ფონ შტუკისა და არნოლდ ბიოკლინის შემოქმედებას მოგვაგონებს. შტუკიც და ბიოკლინიც, რომლებიც მიუნხენის სამხატვრო აკადემიაში სწავლობდნენ, გიგო გაბაშვილის მიუნხენში მოღვაწეობისას უკვე საკმაოდ ცნობილი გერმანული (ევროპული) სიმბოლიზმის ფუძემდებლებად ითვლებოდნენ. გაბაშვილის მიერ მიუნხენში შექმნილ ნაწარმოებებში ვლინდება ამ მხატვართა მსგავსი მსოფლმხედველობა, თემატიკა და მისწრაფება სიმბოლიზმისაკენ. მხატვრის მიერ შექმნილი იდუმალი, ირაციონალური, მისტიკური სამყარო სწორედ სიმბოლისტური ხელოვნების არსებითი მახასიათებელია.

გიგო გაბაშვილის ჩანახატების ერთ-ერთი სერია შედგება რამდენიმე ნახატისაგან – ორი ქალი ბერავს ბუშტებს და შემდეგ ზურგზე ფრთებივით იმავრებს. სხვა ნამუშევრებში მხატვარი გამოსახავს უზარმაზარ ფრთებიან ქალებს, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით მიფრინავენ. მათი პოზები განსხვავებულია, ფრთები კი რეალურს ემსგავსება. სიმბოლისტები ქალში ხშირად ხედავდნენ დემონის ინკარნაციას. შვეიცარელი ფერდინანდ ჰოდლერის სურათში „ლამე“ (1890) მამაკაცს შავმოსასხამიანი დემონი აღვიძებს. ბელგიელი როჰსიმი სურათში „წმინდა ანტონის ცდუნება“ (1878) ჯვარცმული ქრისტეს მაგივრად ქალს გამოსახავს. ყოველივე ეს მიანიშნებს, რომ ინტერესი სიზმრისა და არაცნობიერისადმი თანდათან იზრდება, რაც წინ უსწრებს ზიგმუნდ ფროიდის პირველ პუბლიკაციებს. სიურეალისტი მხატვრები ამ ესტაფეტას 1924 წლიდან აიტაცებენ.

თემატურ ჯგუფად კიდევ რამდენიმე სურათი შეიძლება გავაერთიანოთ – საგანგებოდ გამოგონილი იდუმალი გარემო, ფანტასტიკური და ალეგორიული სამყაროს სიუჟეტები, სადაც უზარმაზარ ფრთებში გახვეული, გადახლართული, შიშველი, ექსპრესიული და დინამიკური ფიგურები ხან მიფრინავენ, ხან ცვივან, ხანაც მიწას ეხეთქებიან. ამავდროულად მათი სახეები გამძაფრებულად, ერთმნიშვნელოვნად ეროტიკულია. ზოგიერთ




ალ. მრევლიშვილი,
გოლგოთა; ტილო, ზეთი;
136X171; 1887-1890;
სემ – ხელოვნების მუზეუმი.

სურათში ფრთები იმდენად გაზრდილია, რომ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ფრთები ხის მსხვილ ტოტებად გადაიქცა, რომელთა მოზიდვას, დაახლოვებასა თუ დაჭერას ლამობენ ფიგურები. უდავოა, რომ ამ ფიგურებს უსამველოდ უჭირთ ფრთების ზიდვა, ფრთები მათ ამძიმებთ. სხვა ესკიზებში გამოსახულ ანდროგინ დემონებს მხატვრის მიერ საგანგებოდ შერჩეული კომპოზიცია, პოზა და გარემო თავისებურ დატვირთვას ანიჭებს. ზოგადად ანდროგინი, რომელშიც შერწყმულია ქალური და მამაკაცური საწყისები, ანდროგინი ანგელოზის თემა, მისი დანაწევრების ტრადიცია და სწრაფვა გაერთიანებისკენ, განსაკუთრებით იზიდავდა XIX-XX საუკუნეთა მიჯნის დასავლეთევროპელ და რუს ფილოსოფოსებს.

გიგო გაბაშვილის კიდევ რამდენიმე სურათი ქალთევზებით, დემონებით, გულახდილი ეროტიკული ჯგუფური ეპიზოდებით თუ გოლგოთის ამსახველი სცენებით, რომელიც ამ რიგის ნაწარმოებებთან შეიძლება დავაკავშიროთ, თემატურად ტიპურ სიმბოლისტურ ნამუშევრებს წარმოადგს. ეს სურათები, უპირველეს ყოვლისა, კვლავაც თემატიკით, ფრანც ფონ შტუკის მიერ გამოსახულ ბრუტალურ და ირაციონალურ დემონურ სტიქიებს მოგვაგონებს. ამ თვალსაზრისით, გიგო გაბაშვილი შეიძლება სწორედაც რომ მოდერნისტ მხატვრად ჩაითვალოს. მისი ზოგიერთი ნამუშევარი კი, თუკი ქართველ მხატვართა შემოქმედებას გავიხსენებთ, ყველაზე მეტად ლ. გუდიაშვილის ანდროგინული შიშველი ფიგურების ექსპრესიონისტულ გრაფიკულ სერიას ეხმიანება.

გიგო გაბაშვილის ეს ნაწარმოებები მძაფრი ანტიესთეტიზმით, საგანგებო პრიმიტიულობითა და გამარტივებით, გროტესკით, სარკაზმითა და ირონიით, ერთი მხრივ, სიმბოლიზმის დასასრულის, სხვა მხრივ კი, ექსპრესიონიზმისა და სიურეალიზმის წინამორბედად წარმოგვიდგება. ამ თვალსაზრისით, მას ბადალი არ მოეძებნება თანადროულ მხატვრობაში. გიგო



ალ. მრევლიშვილი, არჩილ ჯორჯაძე, ქალაქი, ფანქარი,
48X38, 1900, სემ – ხელოვნების მუზეუმი.



ალ. მრეველიშვილი, მირქმა;
ქალაღდი, აკვარელი; 34,5X44;
სემ – ხელოვნების მუზეუმი.

გაბაშვილის მხატვრობა ჯერ კიდევ არ არის ეგონ შილესა და ერნსტ ლუდვიგ კირხნერის მსგავსად პესიმისტური, ხოლო მხატვრის ერთგვარი ინდიფერენტულობა საზარლისადმი მის თანადროულ სიმბოლისტთა ტრაგიზმს კი არ ჰგავს, არამედ მომავალ თაობათა სასოწარკვეთილებას.

ამავე თემებს მიმართავენ ამ პერიოდის დასავლეთეუროპელი სხვა სიმბოლისტი მხატვრებიც – არნოლდ ბიოკლინი, ფრანც ფონ შტუკი, კარლოს შვაბე, ფერნანდ კნოპფი, ჰუგო სიმბერგი, ჯორჯ ფრედერიკ უოტსი, გუსტავ მორო, მიხეილ ვრუბელი და ა.შ. თუმცა მათ ერთმანეთისაგან სტილისტური თავისებურებები განასხვავებს. გიგო გაბაშვილი სიმბოლისტური ნაწარმოებებისათვის მოძებნილი მკვეთრად ინდივიდუალური სტილით მხატვართა აღნიშნულ ჯგუფს განეკუთვნება. ამ ეუროპელ მხატვრებს ერთმანეთთან აკავშირებს დასრულებული, შედარებით რეალისტური წერის მანერა, სიმძაფრის, გროტესკის გამოვლენის სურვილის მიუხედავად, ჯერ კიდევ გარკვეული ესთეტიზმის ნიშნები. ამ თვალსაზრისით, გიგო გაბაშვილის ეს გრაფიკული სერია რამდენადმე ცალკე მდგომია.

ამ ტიპის ყველა ნაწარმოები ჰგავს მოსამზადებელ ესკიზს, წინასწარ ჩანახატს, რომელსაც, გიგო გაბაშვილი, ჩვეულებისამებრ, მნიშვნელოვანი ფერწერული ტილოებისთვის ასრულებდა. ამ სურათთა თავისებური ხასიათი, ცხადია, აქედანაც უნდა მომდინარეობდეს. იგივე შეიძლება ვთქვათ მის ფოტოებზეც.

გიგო გაბაშვილის სურათებში, რომლებიც სავსეა ძიებითა და ექსპერიმენტებით, ჩანს საოცარი ინტერესი სიმბოლისტური თემებისადმი. ასახვის ხერხების სიმძაფრისა და ექსპრესიის გარდა, ამაზე ნამუშევართა რაოდენობაც მეტყველებს. აღსანიშნავია უამრავი ფოტოც, რომელიც მიუხედავად დამოუკიდებელი მხატვრული ღირებულებისა, ან წინ უსწრებდა მხატვრობას, ან მის პარალელურად იქმნებოდა. ერთსა და იმავე თემას მხატ-




ალ. მრეველიშვილი, მცხეთა; ქალაღდი, აკვარელი;
69X100; სემ – ხელოვნების მუზეუმი.



ივ. გუგუნავა, ჩონგურზე დამკვრელი გურული ქალი; ტილო, ზეთი; 82X105; 1893; სემ – ხელოვნების მუზეუმი.


ვრობასა და ფოტოგრაფიაში დასავლეთში, განსაკუთრებით კი იმ ეპოქის გერმანიაში, არაერთი მხატვარი ასახავდა. უპირველეს ყოვლისა, უნდა გავიხსენოთ, 1892 წლის მიუნხენის სეცესიონის დამაარსებელი, მიუნხენის სახვითი ხელოვნების სკოლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენელი და XIX-XX საუკუნეთა მიჯნის ევროპული სიმბოლიზმის ერთ-ერთი ლიდერი ფრანც ფონ შტუკი. იგივე მიმართებაა მიხაი ზიჩის მხატვრობასა და ფოტოებს შორის. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ გიგო გაბაშვილისა და ფრანც ფონ შტუკის მკვეთრი ინდივიდუალური ხედვითა და სტილით გამორჩეული ფერწერული თუ გრაფიკული ნაწარმოებები მნიშვნელოვნად განსხვავდება, მათი წინმსწრები ფოტონამუშევრები საკმაოდ ჰგავს ერთმანეთს. ერთი შეხედვითაც, გიგო გაბაშვილის მხატვრობისა და ფოტოებისთვის დამახასიათებელი ამკარა სითამამე ევროპული, უფრო მეტად კი გერმანული, სიმბოლიზმის ნიშან-თვისებას წარმოადგენს. ამ საოცარი გულწრფელობით, იდეების გადაწვეტის თავისუფლებითა და სითამამით მას მხოლოდ მიხაი ზიჩი თუ შეედრება.



დ. გურამიშვილი, ავტოპორტრეტი; ტილო, ზეთი; 49X49; 1924; სემ – ხელოვნების მუზეუმი.



ტ. მომცელიძე, ნატურმორტი; ტილო, ზეთი; 102X80; 1899; სემ – ხელოვნების მუზეუმი.



ალ. პიტახია, ახალგაზრდა ქალი; ტილო, ზეთი; 19X26,5; 1915; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

როგორც ამ სერიაში დავინახეთ, გიგო გაბაშვილს რადიკალურად აქვს შეცვლილი თავისი სტილი, ხოლო ის ფაქტი, რომ სურათების უმეტესი ნაწილი ხელმოუწერელია, დაუთარილებელია და სახელდახელო ჩანახატის შთაბეჭდილებას ტოვებს, შესაძლოა იმაზე მეტყველებდეს, რომ ამ ნამუშევართა საზოგადოებისთვის ჩვენებას მხატვარი არც აპირებდა. ცნობილია, რომ გიგო გაბაშვილს არც ერთი სურათი არ შეუსრულებია სოცრეალიზმის თემატიკაზე ან მის მხატვრულ პრინციპებზე დაყრდნობით. ცნობილია, რომ გაბაშვილს ლავრენტი ბერიასთანაც ჰქონდა უსიამოვნო შეხვედრა. ბერიას დავალებით ციხისძირში გამგზავრებული მხატვარი, რომელსაც მოსავლის აღება უნდა დაეხატა, უეცრად გარდაიცვალა. ყოველივე ამის შემდეგ, რა გასაკვირია, თუკი გიგო გაბაშვილი, სხვა ქართველი მხატვრების (ვ. სიდამონ-ერისთავის, დ. კაკაბაძის, კ. ზდანევიჩის, რ. თარხან-მოურავი და ა.შ.) მსგავსად, მაღავედა კიდევ თავის სიმბოლისტურ ნამუშევრებს. აქამდე გიგო გაბაშვილი ცნობილი იყო როგორც რეალისტი მხატვარი, ახლა კი, მართალია დაგვიანებით, აღმოჩნდა, რომ იგი, სავარაუდოდ, პირველი ქართველი სიმბოლისტი ხელოვანია.


აღექსანდრე მრევლიშვილი მხატვრული ოსტატობით საგრძნობლად ჩამორჩება თავის თანამედროვე გიგო გაბაშვილს, თუმცა, მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია თემატიკა, რომლითაც ეს მხატვარი ინტერესდება და რომლისთვისაც მანამდე ქართულ დაზგურ მხატვრობაში ყურადღება არავის მიუქცევია. თუკი თვალს გადავაკვლებთ უფროსი თაობის მხატვარ-

თა შემოქმედებას, შეიძლება ითქვას, რომ მრევლიშვილის ნაწარმოებები, როგორც იდეური ჩანაფიქრით, ასევე სახვითი საშუალებებით, ყველაზე ახლოსაა პერედვიჟნიკების შემოქმედებასთან. გარდა იმისა, რომ ხატავდა პორტრეტებს და სოციალური თემის ამსახველ ჟანრულ სურათებს, იგი გატაცებული იყო რელიგიური და სიმბოლისტური თემატიკითაც. ალექსანდრე მრევლიშვილის ერთ-ერთ სურათზე გამოსახულია მხედარი რაშზე, რომელიც თითქოსდა აპირებს, მცხეთას გადაუფრინოს. მის უკან გადაწეულ სხეულს ქალ ანგელოზთა გუნდი აკავებს. მამაკაცი, ჩაცმულობის მიხედვით, დიდგვაროვანი უნდა იყოს. ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ჯგუფში შედარებით წინა პლანზე გამოსახული ლამურის ფრთებიანი და ბრჭყალებიანი მახინჯი მამაკაცია, რომელიც რაშზე მიბმული თოკით მიჰყვება ამ ფიგურებს და თითქოს მათ ჩამოგდებას ლამობს.

ალექსანდრე მრევლიშვილის ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელია შესრულების ერთგვარი უბრალოება და ესკიზურობა. თუმცა, ამავდროულად, მხატვარი უაღრესად გულდასმით, თითქმის ნატურალისტურად ხატავს დედის საკმაოდ სახასიათო, ემოციურ პორტრეტს. მრავალფიგურიან პანორამულ სივრცულ კომპოზიციებს იგი საკმაოდ მარტივად ყოფს პლანებად, ხოლო ფიგურებს, არცთუ ზუსტად, მასშტაბურად ამცირებს. ერთ-ერთ ასეთ სურათში „გოლგოთა“, რომელიც ნაკლები ოსტატობით გამოირჩევა, მხატვარი ცდილობს, გაიზიაროს ამ პერიოდში პოპულარული რომანტიზმის თავისებურებანი. ყურადღებას იქცევს რელიგიურ თემაზე შექმნილი კიდევ ორი სურათი – „მირქმა“ და „ფეხთა ბანა“. მათში გამოვლენილი ესკიზური, კადრირებული, ინდივიდუალური მხატვრისეული ინტერპრეტაცია და ამასთანავე ერთგვარი გულუბრყვილობა, ტიპური რუსული გარემო და ტიპაჟი, როგორც ჩანს, ალექსანდრე მრევლიშვილის მხატვრობის ადრეულ, ჯერ კიდევ ძიების, პერიოდზე უნდა მიუთითებდეს.

გიგო გაბაშვილის შემოქმედების უშუალო გავლენას განიცდიან მისი მოწაფეები ტარას მომცელიძე და ალექსანდრე პიტახია. გაბაშვილის სტუდიის დასრულების შემდეგ, ტარას მომცელიძემ წელიწად-ნახევარი მიუნხენის სამხატვრო აკადემიაში ისწავლა. 1902 წლის ჟურნალ „მწყემსში“ დაბეჭდილია საგულისყურო წერილი „მიუნხენიდან“: „საზღვარგარეთ მყოფ ქართველებთან შეთანხმებით მიუნხენში დაარსდა წრე... ამ წრეს უპირველეს ყოვლისა, განზრახული ჰქონდა: 1. ქართველი მწერლების საუკეთესო თხზულებების დასურათება და 2. ქართველი მწერლების, მსახიობებისა და სხვა მოღვაწეების პორტრეტების, აგრეთვე ძველი ნაშთების შესანიშნავი ადგილების დაბეჭდვა ღია ბარათების სახით... ამ საქმეში მხურვალე მონაწილეობას და ყოველგვარ სამხატვრო სამუშაოს იღებს თავისთავზე სრულიად უსასყიდლოდ ჩვენი ახალგაზრდა და ნიჭიერი მხატვარი ტ. მომცელიძე. წრეს დამზადებული აქვს აუარებელი მასალა, მაგრამ ხელმოკლეობის გამო, არ ძალუძს თავისი მიზნის განხორციელება“.¹³ ტარას მომცელიძის ნამუშევრები („გამაჰმადიანებული აჭარელი ქართველები“,

13 ჟურნ. „მწყემსი“ №6, 1902.



გ. გაბაშვილი, ილია ჭავჭავაძე; მუყაო, ზეთი; 71,5X53; 1937; სემ – ხელოვნების მუზეუმი.



ა. გოგიაშვილი, ჩურჩხელის ამოვლება; ქალაღი, ტუში; 19X28; 1907; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

„განცხრომა. ესკიზი“, „ქურთი“ და სხვ.) იბეჭდებოდა „ცნობის ფურცლის“ სურათებიან დამატებაში. ამ ორი მხატვრის პროფესიონალიზმი უდავოა, მაგრამ მათი შემოქმედება მოკლებული იყო ინდივიდუალურობას. თუმცა, ახალი ქართული მხატვრობის შემდგომი განვითარებისთვის აღნიშნულ ეტაპზე მნიშვნელოვანი იყო ამ რიგის ოსტატების არსებობაც.

თვითნასწავლი მხატვარი გიგო ზაზიაშვილი, რომელიც გარკვეული დროის მანძილზე ნიკო ფიროსმანაშვილთან ერთად მუშაობდა, სრულიად განსხვავებული მსოფლმხედველობით, შემოქმედებითი პრინციპებითა და ოსტატობის დონით უფრო ახლოს დგას გიგო გაბაშვილისა და მისი წრის მხატვრებთან.

საგულისხმოა, რომ 1890-იანი წლების თბილისელი მხატვრებისა და მხატვრობის კრიტიკოსების ყურადღება მიმართული იყო იუგენდშტილის მიმდინარეობისადმი, რომლის ცენტრსაც მიუნხენი წარმოადგენდა.¹⁴ 1880-90-იანი წლების მიჯნაზე მიუნხენში სამხატვრო განათლება მიიღო დავით გურამიშვილმა, რომელიც გიგო გაბაშვილის მეგობარი იყო. მანვე ურჩია გიგო გაბაშვილს მიუნხენში სწავლის გაგრძელება. დავით გურამიშვილის შემოქმედება სამხატვრო გამოფენებზე გარკვეულ ყურადღებასაც იმსახურებდა. ოდნავ მოგვიანებით იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა თბილისის მხატვრულ ცხოვრებაში და ცნობილი იყო როგორც მხატვრობის ერთ-ერთი პირველი ქართველი კრიტიკოსი. დავით გურამიშვილს, დახვეწილი გემოვნების ერუდირებულ მხატვარს, შემოქმედებითი ინდივიდუალობა გამოარჩევდა. მისი მცირერიცხოვანი მემკვიდრეობიდან ცნობილია რამდენიმე პორტრეტი, აღმოსავლურ თემაზე შექმნილი პეიზაჟები და ჟანრული სცენები, ასევე კარიკატურები და ჩანახატები, რომლებსაც იგი უკვე ქართულ უჟრნალ-გაზეთებში, ძირითადად „ფალანგასა“ და „ობზორში“, აქვეყნებდა. თუკი დავით გურამიშვილის შემოქმედების ადრეული

14 Н. Элизбарашвили, Художественная жизнь Тбилиси в конце XIX – начале XX века, Ленинград, 1982 (საკანდიდატო დისერტაცია).

პერიოდი უფრო რუსული პერედევიჟნიკული სკოლისათვის დამახასიათებელი ნიშნებითაა აღბეჭდილი, მიუნხენის პერიოდში იგი აშკარად იმდროინდელი გერმანული რეალისტური მხატვრობის გავლენას განიცდის.

ქართველმა გრაფიკოსებმა წიგნის გამოცემა ყველაზე ეროვნულ საქმედ მიიჩნიეს და თავდაპირველად ყურადღება მისკენ მიმართეს. იაკობ გოგებაშვილმა ჯერ კიდევ 1868 წელს გამოსცა „ზუნების კარი“, 1876 წელს კი – „დედა ენა ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სახალხო სკოლები-სათვის“. 1888 წელს გამოიცა ე.წ. „ქართველიშვილისეული“ „ვეფხისტყაოსანი“. ფერმწერლებისაგან განსხვავებით, რომლებმაც განათლება უცხოეთში მიიღეს, ახალ ქართულ გრაფიკას თვითნასწავლი მხატვრები აყალიბებდნენ. პირველი ქართველი გრაფიკოსი თვითნასწავლი გრაფიკოსი მხატვარ-ქსილოგრაფი გრიგოლ ტატიშვილი გახლდათ. 1868 წელს მან თბილისში საკუთარი სახელოსნო დააარსა და შეკვეთების მიღება დაიწყო. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე თითქმის ყველა მნიშვნელოვანმა გამოცემამ მის ხელში გაიარა. „მხატვარმა შეადგინა ქართული ინიციალების, მონოგრამებისა და ცალკეული დეკორატიული ასოების ნიმუშების ალბომი, რომელიც დიდად პოპულარული იყო. ასოების, თავსამკაულებისა და ბოლოსართების დახატვისას მხატვარი არქიტექტურის ძეგლების ორნამენტებსა და ხელნაწერების დეკორს მიმართავდა და მათ გრაფიკულ გადაამუშავებას ცდილობდა. ის პირველი გრაფიკოსი იყო, ვინც შეგნებულად დაისახა მიზნად თანამედროვე ქართული წიგნისთვის „ქართული“ იერი შეექმნა. გრ. ტატიშვილი ავტორია პირველი აფიშისა და, ამრიგად, ამ დარგსაც ჩაუყარა საფუძველი“.¹⁵



ა. გოგიაშვილი, დარბევა; 10,5X20,5; 1906; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

15 მ. კარბელაშვილი, ქართული გრაფიკა (1900-1920 წწ.), Ars Georgica, ელ. უჟრნალი, სერია B, 2010, იხ. <http://www.georgianart.ge/index.php?option=com-content&view=article&id=55&Itemid=&ed=7>.



ა. გოგიაშვილი, ჩალის ქუდების გამყიდველი ქალი; ქალალდი, ტუში; 23,8X10,7; 1904; სემ - ხელოვნების მუზეუმი.



ა. გოგიაშვილი, ჩალის გამყიდველი ბიჭი; ქალალდი, ფანქარი; 25,3X34; 1904; სემ - ხელოვნების მუზეუმი.

იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ დაახლოებით ორმოცი წლის მანძილზე იხვეწებოდა და ხელმეორედ გამოიცემოდა. საუკეთესოდ მიჩნეულია 1912 წლის გამოცემა. ნახატების უმეტესობის ავტორი ოსკარ შმერლინგია, თუმცა მის გარდა დასურათებაში ალ. ბერიძე, ალ. მრევლიშვილი და ი. როტერიც მონაწილეობდნენ.

ახალი ქართული გრაფიკის ჩამოყალიბებაში, როგორც მხატვარმა-ილუსტრატორმა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ანტონ გოგიაშვილმა. სპეციალური განათლება არც მას მიუღია, მხოლოდ რამდენიმე წელი ისწავლა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის მიერ 1901 წელს თბილისში დაარსებულ საშუალო სამხატვრო სასწავლებელში. რამდენიმე წლის განმავლობაში იგი მუშაობდა ჟურნალ „ცნობის ფურცელში“. ამ ჟურნალის რედაქტორის, ა. ჯაბადარის, გადმოცემით, მძიმე ავადმყოფობის მიუხედავად, გოგიაშვილმა შეძლო თითქმის მთელი საქართველოს შემოვლა. მის მიზანს წარმოადგენდა თავისი ქვეყნის ყოველი კუთხის ადგილობრივ მკვიდრთა ყოფა-ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებების აღწერა-დაფიქსირება, თავისებური „მხატვრული ქრონიკის“ შექმნა. ცხადია, რომ ამგვარი დოკუმენტურ-ეთნოგრაფიული მემკვიდრის შექმნა უთუოდ მხატვრის სურვილი იყო, რადგან ქართველ ხელოვანთა უმეტესობას სურდა თავისი ქვეყნის, კულტურის, ხელოვნების არა მარტო შთამომავლობისთვის აღბეჭდვა და დატოვება, არამედ მისი ჩვენება, წარდგენა სხვებისთვისაც. მათ ხომ არც-თუ ისე დიდი ხნის წინ მიეცათ ამის შესაძლებლობა. თხუთმეტიწლიან

შემდეგ რამდენიმე ქართველმა მხატვარმა შეასრულა ძველი თბილისის ჩანახატები, ხოლო შალვა ქიქოძის კალმითვე შესრულებული ეთნოგრაფიული ჩანახატები ძნელად თუ განირჩევა ანტონ გოგიაშვილისეულისაგან. საყურადღებოა ისიც, რომ ორივე მხატვარი თითქმის ერთსა და იმავე გარემოსა და საგნებზე ამახვილებს ყურადღებას.

ანტონ გოგიაშვილი ნახატებს უმთავრესად კალმითა და ტუშით ასრულებდა, თუმცა აქვს ჩანახატები ფანქრითაც. მისი კომპოზიციების ფორმა, მეტწილად გამოკვეთილად შვეულად ან თარაზულად წაგრძელებული, ხშირად გახსნილია ქვედა ნაწილში თითქოს იმისთვის, რომ ტექსტს დაუკავშირდეს, რაც გვაფიქრებინებს, რომ მხატვარს წინასწარ ჰქონდა განსაზღვრული მათი ადგილი ჟურნალის ფურცელზე. ანტონ გოგიაშვილი, მეტად ნიჭიერი, ფაქიზი და გულწრფელი მხატვარი, თავისი დროის ტიპური წარმომადგენელია. უბრალო ადამიანების ყოფის ამსახველი მცირე ზომის ჟანრული სცენები, რომლებიც მის მიერ ზედმიწევნით ზუსტად არის მოწოდებული, მაყურებელს თავისებური კეთილშობილებით აღაფრთხილებს და სიმშვიდეს ჰგვრის. ანტონ გოგიაშვილის ნამუშევრების ძირითადი გამომსახველობითი ხერხი მრავალფეროვანი, მაგრამ უმთავრესად წვრილი და ფაქიზი შტრიხია. თავის სათქმელს იგი განსხვავებული სიმკვეთრის, სიხშირისა და სხვადასხვა მიმართულებით მოძრავი შტრიხების ბადით გადმოსცემს. უფრო მკვეთრი ხაზის, დაშტრიხვისა და დაუმუშავებელი ცარიელი ფურცლის შეპირისპირებით, ხანაც რითმული მონაცვლეობითა და შეთანხმებით, მხატვარი ამ მცირე ზომის მოტივებს გარკვეულ ემოციას ანიჭებს. მის ზოგიერთ ნიმუშში („ჩალის გამყიდველი ბიჭი“, „ჩალის ქუდების გამყიდველი ქალი“ და სხვ.) აშკარად ჩანს „არ ნუვოს“ სტილის გავლენა. თუ რამდენად ჰქონდა გააზრებული ანტონ გოგიაშვილს თითქმის მისი თანადროული უაღრესად პოპულარული მიმდინარეობა, უცნობია. თუმცა მისი შემოქმედების თემატიკა და ხასიათი, კავშირი ბუნებასა და ორნამენტთან, მისთვის დამახასიათებელი ხაზის დეკორატიულობა და სიფაქიზე, ფურცლის ჩარჩოდან გარეთ გამოსული მცენარეული მოტივები და სხვა თავისებურებანი მხატვრის სურათების გარკვეულ ნაწილს ალბათ უფრო ქვეცნობიერად ნაგრძობ სტილთან მართლაც აახლოებს („არ ნუვოს“ გავლენა უფრო მეტად გამოკვეთილია ოსკარ შმერლინგის მიერ 1905 წელს დასურათებული ქართული ხალხური ზღაპრების კრებულის ილუსტრაციებში). გაცილებით ემოციურად, დრამატულად, შესაძლებელია ექსპრესიონისტულადაც არის გადმოცემული სცენები, რომლებიც 1905 წლის რევოლუციის ეპიზოდებს ასახავენ („დარბევა“, „ტყეში გახიზნული გურულები“). პირიქით, მშვიდი და ლირიკულია აფხაზეთისა და აჭარის სანაპიროები, სიღნაღის, გურიის ხედები და სხვ.

ამრიგად, სრულდება ახალი ქართული მხატვრობის პირველი უმნიშვნელოვანესი ეტაპი. გარდა წარმოდგენილი მხატვრებისა, XIX საუკუნის ბოლოს თბილისში მოღვაწე რამდენიმე შემოქმედს უკვე ჩამოყალიბებული ჰქონდა თავისი ინდივიდუალური მხატვრული სტილი, თუმცა მათი შემოქმედება უკვე ქართული მხატვრობის მომდევნო პერიოდს ეკუთვნის.

უცხოელი მხატვრები და საქართველო



ლ. ლაგორიო, თბილისი ორთაჭალის მხრიდან; ტილო, ზეთი; 1866; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

ქართული დაზგური მხატვრობის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით უცხოელ მხატვრებს. ამ მხრივ გამორჩეულია XIX საუკუნე, როდესაც სამოგზაუროდ თუ სხვა მიზნებით კავკასიაში არაერთი მხატვარი ჩამოვიდა. ზოგიერთი მათგანი საქართველოში საკმაოდ დიდი ხნით შემორჩა, ზოგიც აქ დამკვიდრდა და თავისი შემოქმედებითა და მოღვაწეობით გავლენა იქონია თანადროულ კულტურულ პროცესებზე. ბუნებრივია, რომ ამ პერიოდში კავკასიაში მიმდინარე მოვლენები, მნიშვნელოვანი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცვლილებები, თავისებურად აისახა ქართულ კულტურაზე. XIX საუკუნის ქართულ ხელოვნებას ახასიათებს განსხვავებულ კულტურათა თანაარსებობა. პირველ ათეულ წლებში საქართველოში ჯერ კიდევ საკმაოდ თვალშისაცემი იყო აღმოსავლური-ირანული სამყაროს გავლენა როგორც ყოფაში, ისე ხელოვნებაში, თუმცა თანდათანობით სულ უფრო მეტად ძლიერდებოდა რუსული და დასავლურ-ევროპული კულტურის ზემოქმედების ნიშნები, რასაც, ცხადია, თავისი მიზეზები და წინაპირობები ჰქონდა.

ცნობილია, რომ XVII-XVIII საუკუნეებში ჯერ კიდევ გვიანფეოდალურ საქართველოში ევროპული კულტურა ვრცელდებოდა ჩამოსული კათოლიკე მისიონერების საშუალებით, რომელთა შორის მხატვრებიც იყვნენ (დონ კრისტოფორო დი კასტელი საქართველოში 1628 წელს ჩამოვიდა, ხოლო არქანჯელო ლამბერტი აქ 1638-1649 წლებში იმყოფებოდა).¹ XIX საუკუნის პირველი წლებიდანვე ევროპული კულტურის გავლენის გაძლიერება მნიშვნელოვანწილად დაუკავშირდა ახალი რუსული ხელისუფლების ძალისხმევას, რომელიც მთელი საუკუნის განმავლობაში ცდილობდა დაენერგა ევროპული ცხოვრების ფორმები და წეს-ჩვეულებები ქართულ ყოფაში. ამ პროცესში საგულისხმოა საქართველოში დამკვიდრებული სხვადასხვა ეროვნების ხალხთა მონაწილეობა, მათ შორის კი გამორჩეულია საქართველოს ტერიტორიაზე საუკუნის პირველივე ათწლეულში დასახლებული გერმანელების როლი, რომლებმაც რამდენიმე კოლონია დააარსეს.

პირველი გერმანელი მხატვარი იოზეფ (ოსიპ) გიოტინგი საქართველოში მეფე ერეკლე II-ის მოწვევით ჯერ კიდევ 1784 წელს ჩამოვიდა.² „ლუთერანული აღმსარებლობის პრუსიელი მეცნიერი“ მეფის კარზე

1 მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ., 1902.

2 Архив Е.Г. Вейденбаума, Картотека кавказских деятелей, Буква «Г», 1896, 183.



გ. გაგარინი, მაიდანნი; ქალაღლი, მუყაო, ფანქარი; XIX ს-ის შუა წლები; სემ – თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა).

სხვადასხვა საქმით იყო დაკავებული. ი. გიოტინგმა, რომელსაც დავით ბატონიშვილის აღზრდა ევალებოდა, მეფე ერეკლეს თხოვნით, დააარსა ქართული არტილერია. 1795 წელს ალა მაჰმად ხანის შემოსევის დროს მონაწილეობდა თბილისის დაცვაში და დაიჭრა კიდეც. როგორც ცნობილია, გიოტინგმა შაჰს სამსახურზე უარი უთხრა, სპარსელების ტყვეობას თავი დააღწია და კვლავ საქართველოში დაბრუნდა. 1797 წელს იგი თან გაჰყვა დავით ბატონიშვილს პეტერბურგში როგორც მთარგმნელი და მდივანი. სხვა საქმეებთან ერთად, ი. გიოტინგი მეფის კარზე ფერწერითაც იყო დაკავებული. XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე მან ტილოზე შეასრულა საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის ფერწერული პორტრეტი, რომელიც ევროპული პარადული პორტრეტის სტილური მახასიათებლების გათვალისწინებით იყო დახატული და, ამავე დროს, ავლენდა გარკვეულ მსგავსებას ამ დროის ქართველი ოსტატების ნამუშევრებთან. სამწუხაროდ, ცნობილია მხოლოდ ამ ნამუშევრის მიხედვით შესრულებული ლითოგრაფიის ფოტო, რომელიც შეტანილია საქართველოს არქეოგრაფიული კომისიის გამოცემის II ტომის დამატებაში, ხოლო თავად პორტრეტის ადგილსამყოფელი უცნობია.³

3 Акты кавказской археографической комиссии под. ред. Ад. Берже, т. II, Тифлис, 1868.



ჰ. ფრანკენი, ქალი ჩიხტიკოპით, ქალაღლი, აკვარელი, 28,5X23; 1855; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

როგორც აღვნიშნეთ, XIX საუკუნეში საქართველოში საკმაოდ ბევრი უცხოელი მხატვარი იმყოფებოდა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ზოგიერთი რუსი და ევროპელი მხატვარი კავკასიაში სახელმწიფო დაკვეთით, სპეციალური დავალებით იყო მივლინებული. მათ უნდა აღებეჭდათ მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები, საომარი მოქმედებები და რუსეთის იმპერიის ახალი ტერიტორიები. ადგილზე შესრულებული ჩანახატები და ესკიზები მოგვიანებით ხშირად დიდ ფერწერულ ტილოებად გარდაიქმნებოდა, როგორც ეს ჩვეული იყო XIX საუკუნის მხატვრების პრაქტიკაში. მსგავსი ნაწარმოებები ღირებული იყო არა მხოლოდ მხატვრული, არამედ დოკუმენტური და ისტორიული თვალსაზრისით, განსაკუთრებით კი ფოტოგრაფიის გამოგონებამდე და გავრცელებამდე. არაერთი ევროპელი მხატვარი კავკასიაში სწორედ რუსეთის გავლით მოხვდა. ევროპელ მხატვრებს, თავის მხრივ, იზიდავდა ნაკლებად ცნობილი ძველი კულტურისა და ადათ-წესების მქონე ქვეყანა. ზოგადად კავკასია ევროპელთათვის უცხო და ეგზოტიკურ სამყაროდ აღიქმებოდა. მხატვრებს იტაცებდა ადგილობრივი ბუნება. ისინი ინტერესდებოდნენ ისტორიული ძეგლებით, მოსახლეობით, ადგილობრივი წეს-ჩვეულებებით, ყოფით. XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის პირველ ათეულ წლებში საქართველოში მოგზაურ მხატვართა შესახებ ინფორმაცია ძალიან მწირია. მათი ნამუშევრებიც გაფანტულია სხვადასხვა ქვეყნების მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში. XIX საუკუნის უცხოელ მხატვართა ნაწარმოებები განსხვავებული მხატვრული ღირებულებისაა და ძირითადად შესრულებულია ამ პერიოდისთვის ჩვეულ რეალისტურ ან რომანტიკულ სტილში. ისინი ვიზუალურ წარმოდგენას გვიქმნიან გამოჩენილ ისტორიულ პირთა თუ მოვლენათა შესახებ და ამასთანავე, ასახავენ იმ ისტორიულ ძეგლებსა თუ ქალაქების არქიტექტურას, რომლებიც დღეს მნიშვნელოვნად სახეცვლილია ან აღარ არსებობს. თუმცა, ყველაზე მიმზიდველი უცხოელ მხატვართათვის იყო თბილისი, საქართველოს დედაქალაქი, რომელიც 1840-იანი წლებიდან ამიერკავკასიის ცენტრს წარმოადგენდა და სადაც გარკვეული დროით თითქმის ყველა მოგზაური ჩერდებოდა. ამიტომაც თბილისის ხედები, რომლებიც, როგორც ჩანს, დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მნახველებზე, შესრულებული აქვს უცხოელ მხატვართა უმეტესობას – ა. ბრაუნს, ლ. პრემაცს, ი. აივაზოვსკის, ლ. ლაგორიოს, ვ. ტიმს, ნ. ჩერნეცოვს, მ. ლერმონტოვს, ვ. ლაცარიუსს, ბერგენსა და სხვებს.

XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე რუსეთის ხელისუფლების მიერ საქართველოში მივლინებულ მხატვართა შორის შეგვიძლია დავასახელოთ პეტერბურგის საიმპერატორო სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული მიხაილ ივანოვი (1748-1823), რომელიც თან ახლდა სამხრეთის გუბერნიების მეფისნაცვლის შტაბს და ალბომში იხატავდა იმპერიის მიერ სამხრეთში დაპყრობილ ადგილებს. მან აღბეჭდა თბილისი ალა მაჰმად ხანის შემოსევამდე, რაც ერთობ დიდ იშვიათობას წარმოადგენს. ივანოვის ნამუშევრები ისევე, როგორც ვლადიმერ მასკოვისა (1792-1839), რომელიც კავკასიაში 1820-იან წლებში ჩამოვიდა, დაცულია პეტერბურგში, რუსულ მუზეუმში. მ. ივანოვი ხშირად ახლდა გენერალ პასკევიჩს და კავკასიაში წარმოებული ბრძოლების



პ. ფონ ფრანკენი, თბილისი; ტილო, ზეთი; 131X223; 1879; სემ – ხელოვნების მუზეუმი.



ე. დესენი, ორბელიანის ასული, ქალალდი, პასტელი; 52X41,5; 1851; სემ – ხელოვნების მუზეუმი.



თ. ჰორშელტი, ბიჭი ჩოხაში; ქალალდი, ფანქარი, აკვარელი; 20X16; 1850-იანი წლები; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

თვითმხილველი იყო. აკვარელში შესრულებული მისი ნახატების სერია მოგვიანებით, რუსეთის იმპერიის გამარჯვებების პოპულარიზაციის მიზნით, ლითოგრაფიების სახით გავრცელდა. პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიის დავალებით 1829 წელს თბილისში ჩამოვიდა ნიკანორ ჩერნეცოვი (1805-1879). მას აკადემიკოსის წოდების მოსაპოვებლად თბილისის ხედეები უნდა დაეხატა. ჩერნეცოვმა საქართველოს თემაზე მრავალი ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოები შექმნა („დარიალის ხეობა“, „გაგრის ციხის ხედი“, „ქუთაისის ხედი“, „დადიანის სახლის ხედი სამეგრელოში“, „ფოთის ციხე“, „თავად ბებუთოვის სახლი თბილისში“, „თბილისის პანორამა“ „ბაგრატიის ტაძრის ნანგრევები“ და სხვ.). ჩერნეცოვის სურათი ბაგრატიის ტაძრის ჰეროიკულ-რომანტიკული ნანგრევის გამოსახულებით დაცულია თბილისში, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.

იმ ევროპელ მხატვართაგან, რომლებმაც XIX საუკუნის I ნახევარში საქართველოში იმოგზაურეს, გამორჩეულია რობერტ კერ პორტერი (1775-1842). პორტერი, რომელიც 1804 წელს ალექსანდრე I-მა პეტერბურგში მეფის კარის მხატვრად მიიწვია, ცნობილი იყო როგორც ბატალისტი მხატვარი და საეკლესიო მხატვრობის ოსტატი. 1817 წელს იგი საქართველოში ჩამოვიდა და თბილისში ცხოვრობდა. მოგვიანებით რობერტ კერ პორტერმა თავის მრავალრიცხოვან მოგზაურობებს მიუძღვნა წიგნი, რომელიც კავკასიის ხედეებითაც დაასურათა.⁴

4 Porters, Travels in Georgia, Persia, Armenia, ancient Babylonia, During the years 1817, 1818, 1819 and 1820, London, 1821.

XIX საუკუნის II ნახევრიდან დამოკიდებულება ქართული კულტურის მიმართ რამდენადმე შეიცვალა. კავკასიაში ჩამომსვლელთა რაოდენობამ იმატა, ზოგიერთი მხატვარი კი საკმაოდ აქტიურად ჩაერთო XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში. ამ მხრივ, გამორჩეული იყო რუსი გრიგორი გაგარინი (1810-1893), რომელიც მიხაილ ლერმონტოვთან ერთად იმპერიის მოქმედ არმიაში მოხვდა. გაგარინი საქართველოში 1840-50-იან წლებში იმყოფებოდა. ის მეგობრობდა ქართული არისტოკრატის წარმომადგენლებთან და ასრულებდა მათ პორტრეტებს – დახატული ჰყავს დავით ჭავჭავაძე, მარიამ ფალავანდიშვილი და სხვანი.⁵ გაგარინი საქართველოში მეორედ 1848 წელს ჩამოვიდა. მან მონაწილეობა მიიღო თბილისში პირველი თეატრის მშენებლობასა და გაფორმებაში, მოხატა ინტერიერი და ფარდა.⁶ ალექსანდრე დიუმა თბილისის თეატრის შესახებ წერდა: „ვესტიბულში შესვლისთანავე განმაცვიფრა ორნამენტების სადა, დახვეწილმა სტილმა. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს პომპეუსის თეატრის ვესტიბულში შევაბიჯე. ზემოთ, ფოიეში, ორნამენტი არაბული ჩუქურთმით შეიცვალა. დარბაზი ფერიათა სასახლეს მოგაგონებდათ, არა მდიდრული მორთულობის გამო, არამედ იმიტომ, რომ უფაქიზესი გემოვნებითაა შესრულებული“. 1850-იანი წლები, როგორც შემოქმედებითი, ასევე საზოგადოებრივი თვალსაზრისით, გაგარინმა საქართველოში ძალიან ნაყოფიერად გაატარა. ცნობილია, რომ მან დახატა სამი ათასამდე სურათი, შეასრულა შუა საუკუნეების კედლის

5 ამ ნამუშევრების ნაწილი ინახება პეტერბურგის რუსულ მუზეუმსა და სემ – ხელოვნების მუზეუმში.
6 В. Сологуб, Новый театр в Тифлисе, “Кавказ” №29, 1851.

მხატვრობის ასლები, განაახლა სიონის ტაძრის მხატვრობა და ამავე დროს ცდილობდა თბილისში სამხატვრო სკოლის დაარსებას. გრიგორი გაგარინს ეკუთვნის თბილისის ხედები, რომლებიც საკმაო სიზუსტით გადმოსცემს XIX საუკუნის შუა წლების თბილისის არქიტექტურულ გარემოს, მოსახლეობას, ყოფას.

1851 წელს პეტერბურგიდან ჩამოვიდა ლევ ლაგორიო (1827-1905). მას საქართველოში პეიზაჟის ხატვაში დაოსტატება სურდა. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულია „თბილისის ხედი ორთაჭალის მხრიდან“ (1866), რომელიც ძველი ქალაქის საკმაოდ ვრცელ პანორამას წარმოაჩენს. ფერწერულ ტილოზე თბილისი წარმოდგენილია მისი გარემომცველი სახასიათო და მასშტაბური ბუნებით – თრიალეთის ქედის ფერდობები, გაშლილი მდინარე მტკვარი, ერთ მხარეს – სოლოლაკის მთა და ორთაჭალა, მეორე მხარეს – ისნის პლატოს კლდოვანი ზოლი. სურათზე იკითხება სახლების არქიტექტურა, ტაძრები, მნიშვნელოვან აქცენტს წარმოადგენს ნარიყალა. სურათი ლირიკული და იდილიური განწყობისაა. თბილ, მოყავისფრო ტონებში შესრულებულ, მზის სხივებითა და შუქ-ჩრდილით ამეტყველებულ მთას, კლდესა და სახლებს თავისებურად ეხამება ცისა და პრიალა მტკვრის ცისფერი ზედაპირი.

არაერთი სურათი მიუძღვნა თბილისის თემას გერმანელმა მხატვარმა პაულ ფონ ფრანკენმა (1818-1884), რომელიც თბილისში 1853 წელს დასახლდა თავის ასევე მხატვარ მეუღლესთან ერთად. პაულ ფონ



ნორდინი, მანანა ორბელიანის პორტრეტი; ქალაქი, აკვარელი; 23X18,5; 1856; სემ – ხელოვნების მუზეუმი.




ა. ვისნერი, ქართველი ქალი; ქალაქი, ფანქარი, აკვარელი; 23X14,5; 1906; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

ფრანკენი „კავკასიის მხატვრად“ მოიხსენიება. იგი ცნობილია როგორც გვიანი რომანტიკული მხატვრობის წარმომადგენელი. მრავალი ევროპელი მხატვრის მსგავსად, კავკასიაში ფრანკენიც უცხო და უცნობი სამყაროს აღმოსაჩენად გაემგზავრა. იგი აქ 1861 წლამდე დარჩა. ბევრი იმოგზაურა როგორც საქართველოს სხვადასხვა მხარეში, ასევე მეზობელ ქვეყნებში. ხატავდა ძირითადად პეიზაჟებს, მთების ხედებს, ხალხმრავალ ადგილებს, ზეიმებს, ბაზრებს, ნადირობის სცენებს. ნამუშევართა მხატვრული ენით, სტილისტური მახასიათებლებით, მსოფლშეგრძნებით ფრანკენი XIX საუკუნის II ნახევრის გერმანელი რომანტიკოსი მხატვრების არეალში ექცევა. მას შესრულებული აქვს სახასიათო, თავისუფალი ჩანახატები, რომლებშიც გადმოსცემს თბილისის კუთხეებს, კავკასიელთა ტიპებს, ყურადღებას ამახვილებს ეთნოგრაფიულ დეტალებზე, საყოფაცხოვრებო ნივთებზე.

პეიზაჟი ერთ-ერთი მთავარი ჟანრია, რომელსაც მიმართავენ XIX საუკუნის II ნახევარში კავკასიაში მოგზაური რუსი და სხვა რომანტიკული განწყობის ევროპელი მხატვრები. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა პოლონელი ილია ზანკოვსკის შემოქმედება. სხვადასხვა განათების ფონზე იგი ხატავს



გ. შარვაშიანი, მაიდან. შაითან ბაზარი; ტილო, ზეთი; 75X50;
XX ს-ის დასაწყისი; სემ – თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა).




რ. ზომერი, შაკის ისმაილის მეჩეთი; ფირფიცარი, ზეთი; 42X24;
1910-იანი წლები; სემ – თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა).

ბუნების ვრცელ, პანორამულ და პოეტურ ხედებს. არანაკლებ საინტერესოა მისი ფერწერული ტილო, სადაც გადმოცემულია მთავრის შუქით განათებული, იდუმალი ღამის თბილისი. ზანკოვსკი, რომელიც თბილისში 1864 წლიდან დასახლდა, ინტენსიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას ეწეოდა – ასწავლიდა ხატვას, აქტიურად მონაწილეობდა გამოფენებში, თბილისის მხატვრულ ცხოვრებაში.

ქართული დაზგური მხატვრობისათვის, თითქმის მთელი XIX საუკუნის მანძილზე, პორტრეტი მთავარ უანრად რჩება. ძალიან ხშირად მიმართავენ პორტრეტს უცხოელი მხატვრებიც. XIX საუკუნის I ნახევარში მეტწილად ქართველ თავად-აზნაურთა პორტრეტები ჭარბობს, მომდევნო წლებში კი იზრდება ინტერესი საქართველოსა და მთლიანად კავკასიის მოსახლეობის ეთნოგრაფიული პორტრეტებისადმი. უცხოელი მხატვრები გატაცებით ხატავენ თბილისის მრავალეთნიკურ მოქალაქეთა, სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელთა პორტრეტებს. საქართველოს მუზეუმებში მრავლადაა დაცული XIX საუკუნეში შექმნილი ამ ტიპის ნაწარმოებები. ბუნებრივია, ისინი განსხვავებული მხატვრული ღირებულებისაა, რადგანაც სხვადასხვა მხატვრული სკოლის, ოსტატობისა და ნიჭის მხატვრებს ეკუთვნით, რომელთა ვინაობაც ხშირ შემთხვევაში დაუდგენელია. თუმცა აღსანიშნავია, რომ ტილოზე შესრულებული ფერწერული პორტრეტების უმეტეს ნაწილში გათვალისწინებულია საუკუნის დასაწყისისათვის ჩამოყალიბებული ე.წ. „ტფილისური პორტრეტული სკოლის“ ძირითადი იკონოგრაფია – ნეიტრალური ფონი, წელამდე გამოსახული ფრონტალური ფიგურები, ინდივიდუალური ნაკვთები, აქცენტირებული სახე და ხელები, წოდების ან სოციალური მდგომარეობის აღმნიშვნელი აქსესუარები.

XIX საუკუნის შუა წლებში მოღვაწე უცხოელ მხატვარ-პორტრეტისტებს შორის საყურადღებოა პაულ ფონ ფრანკენის მეუღლის – ჰელენე ფრანკენის (1825-?) ნაწარმოებები. 1850-იან წლებში ჰელენე ფრანკენი ქალაქში აკვარელით ხატავს ქართულ და ევროპულ სამოსში გამოწყობილ ქალთა და მამაკაცთა, უმეტესწილად თავად-აზნაურთა, გამოსახულებებს – იოსებ თარხან-მოურავს (1856), ბარბარე თუმანიშვილს (1856), დავით ჭავჭავაძეს (1856) და სხვებს. მისი პორტრეტები ერთმანეთის მსგავსია კომპოზიციური გადაწყვეტით. პოზები გაწონასწორებულია, ელეგანტური, გამომეტყველება – მშვიდი. თითქმის ნეიტრალური ან მკრთალად მონიშნული ფონის საპირისპიროდ თვალშისაცემია სამოსის დეტალები, ოსტატურად შესრულებული ქსოვილის ზედაპირი, მაქმანები, ცოცხალი დრაპირება, ხოლო ფერადოვან შეხამებებში ზომიერება და ფერწერული გემოვნება იგრძნობა. ჰელენე ფრანკენი პორტრეტულ ნიშნებთან ერთად ეთნიკური მახასიათებლების და „ქართული ხასიათის“ გადმოცემასაც ცდილობს. მისი პორტრეტები თავშეკავებული რეალიზმით გამოირჩევა. აღსანიშნავია, რომ ჰელენე ფრანკენი არ დაბრუნდა მეუღლესთან ერთად გერმანიაში, საქართველოში დამკვიდრდა და 1861 წლიდან აქ პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა.



ა. შამშინიანი, მაიღანი; ტილო, ზეთი; 1890;
სემ – თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა).



ი. შარლემანი, ისინდი; ქალაქი დაკრული მუყაოზე, აკვარელი; 62X88; 1941; სემ – ხელოვნების მუზეუმი.



ჰ. ჰრინეცკი, ქალი პროფილში; ქალაქი, ფანქარი; 8,5X6,5; XX ს-ის დასაწყ.; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

ფრანგი მხატვარი ემილ ფრანსუა დესენი (1808-1882) კავკასიაში XIX საუკუნის შუა წლებში მოგზაურობდა. 1850-1851 წლებში მან შეასრულა ქართველ დიდგვაროვანთა პორტრეტები, რომლებიც ახლოსაა ჰელენე ფრანკენის ნაწარმოებებთან კომპოზიციური აგებით, რეალისტური წერის მანერით, თუმცა დესენი უფრო დამაჯერებლად და ცოცხლად გამოსცემს არა მხოლოდ სახასიათო გარეგნობას, არამედ პერსონაჟთა შინაგან ბუნებას, პიროვნულ მახასიათებლებს, განწყობას. დესენის ნამუშევრები გამორჩეულია თამამი, ოსტატური მონასმებით, რომლითაც ზოგან უბრალოდ მონიშნავს, ზოგან კი ზუსტად აღწერს ყოფით დეტალებს, სამოსისა და სხვა ნივთების ფაქტურას. ფრანგი მხატვარი, ჰელენე ფრანკენის მსგავსად, განსაკუთრებით გამოყოფს სახეს, თვალების გამომეტყველებას. აკვარელის საღებავით შესრულებული მცირე და საშუალო ზომის ამგვარი პორტრეტები, როგორც ჩანს, საკმაოდ პოპულარული იყო XIX საუკუნის შუა წლებში, რადგანაც საქართველოს მუზეუმებში სხვა არაერთი ნაკლებად ცნობილი ან უცნობი ავტორის მიერ შესრულებული ნიმუშიცაა, მათ შორის, გ. კორადინის, გ. ჰუტნას, ა. მორგუნოვის, ვენინგერის და სხვათა.

გერმანელი მხატვარი და მოგზაური თეოდორ ჰორშელტი (1829-1871) საქართველოში პირველად 1858 წელს ჩამოვიდა. ამ პერიოდში იგი უკვე საკმაოდ ცნობილი იყო ალჟირსა და ესპანეთში მოგზაურობის წყალობით შექმნილი ნაწარმოებებით. ჰორშელტი საკუთარი სურვილით მოხალისედ

ჩაირიცხა მეფისნაცვალ ბარიატინსკის შტაბში და გაჰყვა მას 1858-1863 წლებში რუსეთის იმპერიის მიერ ჩეჩნეთთან წარმოებულ უკანასკნელ ბრძოლებში. იგი პირადად ესწრებოდა შამილის ტყვედ აყვანას. საომარ მოქმედებებსა და მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებს ჰორშელტი იხატავდა და აღწერდა თავის ალბომებსა და დღიურებში. ჩანახატების მიხედვით მან შეასრულა დიდი ფერწერული ტილოები („დატყვევებული შამილი თავად ბარიატინსკის წინაშე“ (1865), „გუნების შტურმი“ (1866) და სხვ.). არაა გასაკვირი, რომ ჰორშელტი პეტერბურგში დიდი წარმატებით სარგებლობდა და 1860 წელს რუსეთის საიმპერატორო სამხატვრო აკადემიამ მას აკადემიკოსის წოდებაც მიანიჭა. თუმცა არანაკლებ საინტერესოა ჰორშელტის ცოცხალი და თავისუფალი ჩანახატები, რომელთა დიდი ნაწილი საქართველოს ასახავს. მის ასეულობით ჩანახატს შორის არის ქართველ თავადიშვილთა, კავკასიელთა ტიპების, ყოფითი სცენების, ჯარისკაცების, ცხენების, სამხედრო საჭურვლის, საბრძოლო ეპიზოდებისა თუ მოქალაქეების გამოსახულებები.



ო. შმერლინგი, თბილისის ტიპები:
 1. მესტირე; ცინკოგრაფია; 13,5X9;
 2. კინტაური; ცინკოგრაფია; 13X9,5;
 XX ს-ის დასაწყ.; სემ – ხელოვნების მუზეუმი.



ი. შარლემანი, ქართველი მამაკაცი, მუყაოზე დაკრული ქალაღი; ფანქარი; 65X34; 1921; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

1870-იანი წლებიდან თბილისის მხატვრულ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესები ახალი ინტერესებითა და მოთხოვნებით იყო განპირობებული. XIX საუკუნის 60-70-იანი წლებისთვის კავკასიაში დასრულდა რუსეთის იმპერიის მიერ წარმოებული ბრძოლები. შედარებით მშვიდობიანი ვითარების პირობებში შეიცვალა საქართველოს ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა, რაც საზოგადოებრივ-კულტურულ განვითარებაზეც აისახა. ამ პერიოდში საგანმანათლებლო თუ სიძველეთა დაცვის რამდენიმე მნიშვნელოვანი ორგანიზაცია დაარსდა, მაგალითად, „კავკასიის კაზმულ ხელოვნებათა წამახალისებელი საზოგადოება“ (1877), „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ (1879). ამავე წელს ჩამოყალიბდა ქართული პროფესიული თეატრალური დასი. თბილისში გაიხსნა სამხატვრო სკოლები, მოეწყო უცხოელი მხატვრების



ე. ლანსერე, მესტია; ქალაღი, ტემპერა; 51X39; 1930; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

გამოფენები – გ. ბაშინჯალიანის გამოფენა (1883), ი. აივაზოვსკის საიუბილეო გამოფენა (1887), ასევე „კავკასიის კაზმულ ხელოვნებათა წამახალისებელი საზოგადოების“ პირველი გამოფენა (1888) და სხვ.⁷ 1871 წელს თბილისში დაარსდა მუსიკალური საზოგადოება, ხოლო 1873 წელს – თბილისის სამხატვრო საზოგადოება. ბუნებრივია, მოთხოვნილება სამხატვრო საზოგადოების დაარსებაზე 1870-იან წლებში განსაკუთრებით გაიზარდა და ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად იქცა. 1874 წელს გაიხსნა „კავკასიის სამხატვრო საზოგადოებასთან“ არსებული სამხატვრო სკოლა, რომელიც მდებარეობდა „საზოგადოების“ შენობაში გოლოვინის გამზირზე. აქ ისწავლებოდა ხაზვა, ხატვა, პერსპექტივა და ძერწვა. სამხატვრო სკოლის მიზანს ადგილობრივ მოსახლეობაში მხატვრული მონაცემების განვითარება წარმოადგენდა.⁸ თუმცა, უსახსრობის გამო, 1877 წელს სამხატვრო და სამუსიკო საზოგადოება გააერთიანეს და „კაზმულ ხელოვნებათა წამახალისებელი კავკასიის საზოგადოება“ დააარსეს. აღსანიშნავია, რომ „საზოგადოებას“ ძირითადად უცხოელები

7 Н. Елизбарашвили, Художественная жизнь Тбилиси в конце XIX- начале XX века, Ленинград, 1982, 206-207 (საკანდიდატო დისერტაცია).

8 «Кавказ» №146, 1873.

უძღვებოდნენ, ხოლო ქართველებიდან მის მართვაში მხოლოდ დიმიტრი ყიფიანი მონაწილეობდა. გაერთიანებული „საზოგადოების“ თავმჯდომარე კამერგერი ს. ტალიზინი იყო, მუსიკალური ნაწილის გამგე – ი. მაშნერი, სამხატვრო სკოლის დირექტორი კი – ლ. პრემაცი.⁹ 1870-80-იან წლებში სამხატვრო სკოლაში მოსწავლეთა რიცხვი დაახლოებით 50-60-ს შეადგენდა. ამ პერიოდში დაიწყო ზრუნვა სკოლის გაფართოებაზე, პროგრამის სრულყოფაზე, რომელიც ითვალისწინებდა ფერწერის, ქანდაკების, არქიტექტურის სწავლებას, ბიბლიოთეკისა და მუზეუმის დაარსებას.

1887 წელს კავკასიის მეფისნაცვალმა დონდუკოვ-კორსაკოვმა „კაზმულ ხელოვნებათა წამახალისებელ კავკასიის საზოგადოებას“ შუამდგომლობა გაუწია პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიის პრეზიდენტთან (დიდ მთავარ ვლადიმირთან), რათა თბილისის სამხატვრო სკოლა პეტერბურგის აკადემიის მფარველობის ქვეშ მიეღოთ. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის სამხატვრო სკოლის მრავალი კურსდამთავრებული (ი. ზანკოვსკი, ა. ბერიძე და სხვ.) პეტერბურგის აკადემიაში აგრძელებდა სწავლას, საზოგადოების წევრთა მცდელობა თბილისის სამხატვრო სკოლისთვის უმაღლესი სასწავლებლის სტატუსის მინიჭების თაობაზე შემდგომ წლებშიც უშედეგოდ დამთავრდა. თბილისის სამხატვრო სკოლა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის მფარველობის ქვეშ მხოლოდ 1902 წელს გადავიდა.¹⁰

1860-80-იან წლებშიც საქართველოში გარკვეული დროით იმყოფებოდა არაერთი რუსი, იტალიელი, გერმანელი, პოლონელი, უკრაინელი ხელოვანი – ივან აივაზოვსკი (1817-1900), ნიკოლაი იაროშენკო (1846-1898), ფელიქს ხოდოროვიჩი, ალექსეი ეისნერი (1872-1943) და სხვ. ზოგიერთი მათგანის მოღვაწეობა, კულტურული თუ საზოგადოებრივი თვალსაზრისით, განსაკუთრებით გამორჩეული იყო. მაგალითად, აღსანიშნავია უნგრელი მიხაი ზიჩი (1827-1906), რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ქართული წიგნის ილუსტრაციის განვითარებაში. ცნობილია, რომ ზიჩი საქართველოში 1881 წელს მოიწვიეს, რათა შეესრულებინა „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები, რომლებიც შემდგომში დიდი წარმატებით სარგებლობდა და რამდენჯერმე გამოიცა კიდევ. ასევე ზიჩმა გამართა ცოცხალი სურათების წარმოდგენები თბილისსა და ქუთაისში, რასაც დიდი გამოხმაურება მოყვა. „იმდენად მშვენიერნი იყვნენ ეს სურათები, რომ მტერი თუ მოყვარე, ქართველი, გერმანელი, თათარი – ყველანი აღტაცებაში მოიყვანა“ – წერდა „დროება“.¹¹

1880-იან წლებში თბილისის სასწავლებლებში ხატვას ასწავლიდა პიოტრ კოლჩინი (1838-?), რომელიც „კავკასიის სამხატვრო საზოგადოების“ მუდმივი წევრი და გარკვეული დროის მანძილზე საზოგადოების მდივანიც

9 თ. ფერაძე, რუსი და უცხოელი მხატვრები საქართველოში (XIX საუკუნე), თბ., 1964, 116-120.

10 «Кавказ» №7, №8, 1897.

11 „დროება“ №39, 1882.



ვ. ხოჯაბეგოვი, აქლემი; ქალალდი, ფანქარი; XX ს-ის I ნახ.; სემ – თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა).

ვ. ხოჯაბეგოვი, ყოჩების ჭიდილი; ქალალდი, ფანქარი; XX ს-ის I ნახ.; სემ – თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა).

იყო.¹² კოლჩინის შესრულებული აქვს საქართველოს სხვადასხვა კუთხის მაცხოვრებელთა და თბილისის მოქალაქეთა ძალიან ცოცხალი და სახასიათო პორტრეტები. იტალიელი მხატვარი ლუიჯი პრემაცი (1814-1891) აქტიურად მონაწილეობდა „კავკასიის სამხატვრო საზოგადოების“ დაარსებაში. მან საქართველოში ბევრი იმოგზაურა და თანამედროვეთა გადმოცემით, შეასრულა სხვადასხვა ხედისა და ტიპების ასამდე ჩანახატი აკვარელით. „ჩვენისთანა მშვენიერს სამხატვრო ქვეყანაში, საკუთარი მხატვარი რომ არ გვყავს, ამ მოხუცებული იტალიელის მოთმინებულ ჯაფას და შრომას მომეტებული პატივი უნდა ვსცეთ“, – წერდა პეტრე უმიკაშვილი, რომელიც, როგორც ჩანს, მხატვრებად მხოლოდ მათ მიიჩნევდა, ვისაც სამხატვრო განათლება უმაღლეს სასწავლებელში ჰქონდა მიღებული.¹³ 1880-იან წლებამდე კი, როგორც ცნობილია, ქართველი მხატვრებიდან პეტერბურგის სამხატვრო აკადემია მხოლოდ გრიგოლ მაისურაძეს ჰქონდა დასრულებული.

1880-იანი წლების კულტურულ პროცესებში ხელისუფლებაც მონაწილეობდა. 1888 წელს დაარსდა ე.წ. „დიდების ტაძარი“, რომლის მიზანსაც რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიაში მოპოვებული გამარჯვებების უკვდავყოფა წარმოადგენდა. მუზეუმისათვის დიდი ბატალური ტილოები ფრანც რუბოს შეუკვეთეს. რუბომ, რომელიც მიუნხენის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული იყო, სხვა მიუნხენელებიც მოიწვია – ცნობილი ორიენტალისტი რუდოლფ ოტო რიტერი და არქიტექტორები – რუდოლფ გუსტავ მიულერი და იოჰან ლეონჰარდი.¹⁴ უაღრესად მნიშვნელოვანი იყო თბილისში კავკასიის მუზეუმის დაარსება, რომელიც ახალი სტილის, იმ დროისათვის ყველაზე თანამედროვე სამუზეუმო ტექნიკით აღჭურვილი მხარეთმცოდნეობის პირველი და დიდი ხნის მანძილზე ერთადერთი მუზეუმი იყო მთელ რუსეთის იმპერიაში. მუზეუმის დაარსება უკავშირდება გერმანელი მეცნიერის გუსტავ რადეს სახელს, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა მუზეუმს და ამდიდრებდა მის კოლექციებს. კავკასიის მუზეუმის ახალი შენობა 1870 წელს გაიხსნა, ხოლო ინტერიერში ფრესკების შესრულება გუსტავ რადემ 1881 წელს გერმანელ ფერმწერსა და ილუსტრატორ ფრანც კსავერ ზიმს (1853-1918) დაუკვეთა. კავკასიის მუზეუმის ფრესკების შესრულებაში მონაწილეობას იღებდა ფრანც ქსავერ ზიმის მეუღლეც – მხატვარი მარია მაიერი. მათ შეასრულეს დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამოსახულებების ასლები, დანარჩენი ხუთი ფრესკა კი მითოლოგიურ თემებს მიუძღვნეს (პრომეთეს დატირება ოკეანიდების მიერ; არგონავტების ჩამოსვლა კოლხეთში და მათი შეხვედრა აიეტთან; იასონი და მედეა ჰეკატეს ტაძარში; ამორძალების ჯგუფი; ნოე, რომელიც ვაზს რგავს).¹⁵

12 თ. ფერაძე, რუსი და უცხოელი მხატვრები საქართველოში (XIX საუკუნე), თბ., 1964, 88.

13 პ. უმიკაშვილი, მხატვარი პრემაცი ჩვენში, „დროება“ №10, 1875.

14 ნ. ელიზბარაშვილი, Немецкие художники в Грузии, «Литературная Грузия» №2, 1992, 207.

15 <http://www.goethe.de/ins/ge/prj/dig/his/deindex.htm>.



ვ. კროტკოვი, მეტეხის ხიდი; ქალაქი, ტემპერა; 1928; სემ – თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა).

როგორც ცნობილია, საქართველოში დასახლებულ და მოღვაწე უცხოელ მხატვრებს შორის არაერთი გერმანელი იყო. გერმანელების მოგზაურობა საქართველოში მთელი საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა. ბუნებრივია, რომ გერმანული ახალშენების არსებობის გამო, ინტერესი კავკასიისადმი სულ უფრო ძლიერდებოდა, განსაკუთრებით კი XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან, როცა კოლონისტების ცხოვრების პირობები და ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდა. გერმანული მოსახლეობის ნაწილი, თავის მხრივ, თავიანთ შვილებს, როგორც გერმანიის მოქალაქეებს, განათლების მისაღებად გერმანიასა და რუსეთის იმპერიის უმაღლეს სასწავლებლებში ამგზავრებდნენ. XIX-XX საუკუნეთა მიჯნის ქართული კულტურული ცხოვრებისთვის განსაკუთრებით არსებითია საქართველოს მკვიდრი გერმანელების, კოლონისტების შთამომავლების, მოღვაწეობა, მხატვრებს შორის კი, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ოსკარ შმერლინგი (1863-1938), რომელიც მრავალმხრივი პიროვნება იყო. ძალიან მნიშვნელოვანია მისი პედაგოგიური მოღვაწეობა როგორც „კავკასიის კაზმულ ხელოვნებათა წამახალისებელი საზოგადოების“ სამხატვრო სკოლაში, ასევე თბილისის სამხატვრო აკადემიაში. შმერლინგი ცნობილია, როგორც ქართული კარიკატურული მხატვრობის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი. ქართულ და უცხოურ პრესაში იგი წლების მანძილზე აქვეყნებდა თავის მახვილგონივრულ ნამუშევრებს. მნიშვნელოვანია მისი წვლილი ქართული წიგნის ილუსტრაციის განვითარებაში. საგულისხმოა, რომ „დედა ენის“ დასურათება სწორედ მას დაუკვეთეს. იგი ქმნიდა ფერწერულ და გრაფიკულ ნაწარმოებებს, ეთნოტიპებს, პორტრეტებს, პეიზაჟებსა და ჟანრულ სცენებს. ცნობილი იყო მისი გრაფიკული კარიკატურული სერიები, სადაც

შმერლინგი გადმოსცემდა თბილისის მოქალაქეთა ყოველდღიურ ყოფაცხოვრებას. აკვარელითა და გუაშით შესრულებული ეს სურათები თხრობითი ხასიათისაა. შმერლინგი ზედმიწევნით აღწერს სხვადასხვა ეროვნებისა და სოციალური ფენის თბილისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო დეტალებს, სამოსს. მას განსაკუთრებით იზიდავს სახასიათო ტიპაჟების გადმოცემა, მათ საქმიანობასთან დაკავშირებული მახასიათებლების წარმოჩენა. მისი კარიკატურული ნაწარმოებები, დაწერილი რეალისტი მხატვრის გაწაფული ხელით, მკაფიო, გამომსახველობითი ხაზით, ოსტატურად მონიშნული უტრირებული სილუეტებით, იუმორისტულია, ხალისიანი, თბილი და ნაკლებად კრიტიკული. შეიძლება ითქვას, რომ გარემო, რომელსაც ხატავს, კარგად ნაცნობი და ძვირფასია საქართველოში დაბადებული და გაზრდილი მხატვრისთვის, თუმცა თვალშისაცემია, რომ პორტრეტის შემთხვევაშიც, შმერლინგისთვის მაინც ყველაზე არსებითი ეთნიკური ნიშნების გადმოცემაა და ამ თვისებით იგი უცხოელ მხატვრებთან ამჟღავნებს მსგავსებას. ზოგადად თავისი მსოფლმხედველობით, მხატვრული სტილით, თემათა შერჩევითა და გადაწყვეტით შმერლინგი XIX საუკუნის II ნახევრის რუსული და გერმანული მხატვრობის ტრადიციათა გამგრძელებელია ისევე, როგორც რიხარდ კარლ ზომერი (1866-1939), რომელიც საქართველოში 1900 წლიდან დამკვიდრდა. თუმცა მანამდე ზომერმა შუა აზიაში იმოგზაურა, სადაც გამოიკვეთა და ჩამოყალიბდა მისი ინტერესების ძირითადი სფერო. საქართველოში ცხოვრების პერიოდშიც მხატვარი სტუმრობდა არა მხოლოდ საქართველოს სხვადასხვა კუთხეს, არამედ მეზობელ ქვეყნებსაც. იგი ხატავდა ეთნოგრაფიულ სიუჟეტებს. მხატვარს განსაკუთრებით იზიდავდა აღმოსავლური, ეგვიპტური თემები. ზომერის შემოქმედებაში წამყვანი ფერით მეტყველებს. მისი მიერ საკმაოდ რეალისტურად დაწერილი ბუნების ხედები არაა მოკლებული თავისებურ ლირიზმსა და რომანტიკულობას. ზოგიერთ ნაწარმოებში ფაქიზად ათამაშებული მზის სხივები, შუქ-ჩრდილის მონაცვლეობა, იმპრესიონისტების ფერწერასაც მოგვაგონებს. ზომერი აქტიურად იყო ჩაბმული თბილისის მხატვრულ ცხოვრებაში: იყო 1905 წელს შექმნილი „კავკასიის მხატვართა საზოგადოების“ ერთ-ერთი დამაარსებელი, 1910-20-იან წლებში მონაწილეობდა თბილისში მოწყობილ გამოფენებში, ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სამხატვრო სტუდიებში.

1910-იან წლებში ეთნოგრაფიულ თემაზე მუშაობდა მაქს ტილკე (1869-1942), გერმანელი მხატვარი და მეცნიერი, კოსტიუმის მკვლევარი. ტილკე საქართველოში კონკრეტული დაკვეთის შესასრულებლად მოიწვიეს. კავკასიის მუზეუმის დირექტორის ალექსანდრე კანზაკოვის ძალისხმევით, ამ პერიოდში მიმდინარეობდა მუშაობა ეთნოგრაფიული კოლექციების შექმნაზე. კავკასიის ხალხთა ეროვნული კოსტიუმების ნიმუშთა შეგროვების მიზნით, ეწყობოდა სამეცნიერო ექსპედიციები, რომლებშიც 1912 წლიდან ტილკეც მონაწილეობდა.¹⁶ ტილკეს ნამუშევრები – ეთნოგრაფიული ტი-

16 მაქს ტილკე, კავკასიის ხალხთა კოსტიუმები, კატალოგი, ავტორები: თ. გელაძე, ბ. ნ. სმიტი, ე. ნადირაძე, თბ., 2005.

პები შესაბამის კოსტიუმებში – დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. აღსანიშნავია, რომ ის ხატავდა ნატურიდან და ასევე იყენებდა სპეციალურ ფოტომასალას. ძირითადი ყურადღება გამახვილებულია სამოსზე, რომლის წარმოჩენაც მხატვრის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა, თუმცა ტილკე გადმოსცემს პორტრეტულ მახასიათებლებსაც. მიუხედავად იმისა, რომ თავშეკავებულად არის მონიშნული გარემო, ძალიან ზუსტად და რამდენადმე მშრალად არის გადმოცემული ტანსაცმლის დეტალები, ეს სურათები მაინც არაა მოკლებული თავისებურ ხიბლსა და რომანტიკულობას. ცხადია, უფრო ცოცხალი და ბუნებრივია სურათების ის ნაწილი, რომელიც ექსპედიციების დროს ნატურიდან შესრულდა.

ალექსანდრ ზალცმანი (1874-1934), სახელგანთქმული არქიტექტორის ალბერტ ზალცმანის ვაჟი, ოსკარ შმერლინგის მამიდაშვილი, თბილისელ გერმანელთა ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ოჯახიდან იყო. ოსკარ შმერლინგის მსგავსად, თავდაპირველად ისიც რუსეთში იღებდა სამხატვრო განათლებას, ხოლო შემდეგ გაემგზავრა მიუნხენში, სადაც სწავლობდა ცნობილი სიმბოლისტის ფრანც ფონ შტუკის სახელოსნოში. ზალცმანის მიუნხენური პერიოდი საკმაოდ დატვირთული იყო. ის მონაწილეობდა ვ. კანდინსკის მიერ დაარსებული გაერთიანების – *Phalanx*-ის გამოფენაში, აქვეყნებდა სატირულ ნახატებსა და კარიკატურებს, დაკავშირებული იყო თეატრთან. ზალცმანმა საქართველოში დაბრუნების შემდეგაც გააგრძელა მუშაობა თეატრალური მხატვრობის მიმართულებით თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში. ალ. ზალცმანი, რომელიც გამოირჩეოდა ნოვატორული და ექსპერიმენტული ბუნებით, ცდილობდა თანამედროვე ევროპული გამოცდილების გამოყენებას. იგი წერდა სტატიებს თეატრის შესახებ, თანადროული სცენის ამოცანებზე, ამავე დროს ინტენსიურად იყო ჩართული 1910-20-იანი წლების თბილისის მხატვრულ ცხოვრებაში, გამოფენებზე წარმოდგენილი იყო მრავალრიცხოვანი ნამუშევრებით. მიუხედავად ამისა, მისი მხატვრული მემკვიდრეობიდან საქართველოში მხოლოდ მცირედი შემორჩა. ზალცმანის მხატვრულ ნიჭსა და გემოვნებაზე, დახვეწილი დეკორატორის ხედვაზე მეტყველებენ მისი მითოლოგიურ-ალეგორიული ხასიათის გამოსახულებები და ნატურმორტები. იგი გატაცებული იყო იუგენდშტილითა და XX საუკუნის დასაწყისის ფრანგული და გერმანული მოდერნისტული მხატვრობის მიმდინარეობებით.

XIX საუკუნის ბოლო პერიოდსა და XX საუკუნის დასაწყისშიც საყურადღებოა სხვა მრავალი არაქართველის, განსაკუთრებით, პოლონელი, გერმანელი, რუსი თუ სომეხი მხატვრების, შემოქმედება. თბილისი XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზეც ინარჩუნებდა მრავალფეროვან და მულტიკულტურულ ხასიათს. ამ პერიოდში კვლავ არსებითი იყო ადგილობრივი კრიტიკის როლი. პრესა საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებს ეხმაურებოდა კრიტიკული წერილებით, ხშირად კი კარიკატურული ნამუშევრებითაც. საქართველოში დამკვიდრებული ევროპელი მხატვრები თანამშრომლობდნენ გამოცემლობებთან. ამ მხრივ, აღსანიშნავია მიუნხენელი მხატვრის იოზეფ როტერის (XIX-XX სს-ის მიჯნა) ნამუშევრები. XX საუკუნის დასაწყისში



ა. ზალცმანი, მანდილოსანი შალით; ქალაქი, ტემპერა; 63X47; 1910-იანი წლები; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

შმერლინგმა ი. როიტერი თბილისში „კავკასიის კაზმული ხელოვნების წამახალისებელ საზოგადოებასთან“ არსებულ სასწავლებელში პედაგოგად მოიწვია. ცნობილია, რომ თბილისში როტერი თანამშრომლობდა პერიოდულ გამოცემებთან „ცნობის ფურცელი“, „კვალი“, „ემმაკი“, „მოლა ნასრედინი“. აქ გამოქვეყნებული კარიკატურები ძირითადად თბილისის საშუალო ფენისა და ბურჟუაზიის წარმომადგენელთა ცხოვრებას ასახავდა. მის კარიკატურებს გამოარჩევს ინდივიდუალური ხელწერა, თავისებური ინტენსიური შტრიხი, კარგად გააზრებული, მთლიანი, შეკრული კომპოზიციური წყობა, მრავალფეროვანი დინამიკური სიუჟეტები, სადაც ყურადღება მახვილდება პერსონაჟთა მოქმედებაზე და კომიკურ სიტუაციებზე. განსხვავებულია ნ. კელჩევსკის (XIX-XX სს-ის მიჯნა) ნაწარმოებები. ამ მხატვრის შესახებ ცნობები ძალიან მწირია. მისი კარიკატურები შესრულებულია 1904 ან 1905 წლებში. მათ ერთვის განმარტებითი წარწერები რუსულ ენაზე (დაცულია სემ – ხელოვნების მუზეუმში). კელჩევსკის კომპოზიციები გაცილებით უფრო სარკასტულია, ტიპაჟები – უტრირებული, ხაზი კი – ნერვიული. იგი ყურადღებას ტიპაჟებზე ამახვილებს და ინტერესდება სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლებით, რომლებსაც ხშირად კონფლიქტური სიტუაციის დროს ხატავს.

საქართველოში მცხოვრებ არაქართველ მხატვრებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ სომეხ და სომხური წარმომავლობის თბილისელ მხატვრებს. თბილისის მხატვრულმა გარემომ დიდი გავლენა იქონია სომხური დაზგური მხატვრობის ჩამოყალიბებაზე. XIX-XX საუკუნეებში

საქართველოში მცხოვრებ სომეხ მხატვართა რაოდენობა საკმაოდ დიდია.¹⁷ თბილისში მოღვაწე სომეხ მხატვართაგან ერთ-ერთი პირველია აკოფ ოვნათანიანი (1806-1881), „ტფილისური პორტრეტული სკოლის წარმომადგენელი“. XIX საუკუნის მეორე ნახევარში აღსანიშნავია გეგორგ ბაშინჯალიანი (1857-1925), რომლის პირველი პერსონალური გამოფენა თბილისში მოეწყო. იგი სომხური პეიზაჟური მხატვრობის ფუძემდებლად ითვლება. სომეხი მხატვრები მონაწილეობდნენ თბილისის მხატვრულ ცხოვრებაში, „კავკასიის კაზმულ ხელოვნებათა წამახალისებელი საზოგადოების“ გამოფენებში, 1916 წლიდან – „სომეხ მხატვართა კავშირის“ გამოფენებსა თუ სხვა ღონისძიებებში. თბილისში შედარებით მცირე ხნით იმყოფებოდნენ ცნობილი სომეხი მხატვრები მარტიროს სარიანი, ერვანდ ქოჩარი და სხვ. მრავალი სომეხი მხატვრის შემოქმედებაში აისახა ძველი თბილისის სხვადასხვა უბანი, ქუჩა თუ მოედანი. თბილისში დაბადებული არუთინ შამშინიანი (1856-1914), რომელიც პეტერბურგში განათლების მიღების შემდეგ, 1884 წლიდან კვლავ თბილისში დასახლდა, რამდენადმე გულუბრყვილოდ, ნაივურად გადმოსცემს თბილისის მაინდის გარემოს. იგი შორი ხედიდან ხატავს მოვაჭრე ხალხს, ურმებს, მალლობზე უსწორმასწოროდ განთავსებულ შენობებს. თბილისელი სომხების ცხოვრების სცენებს ასახავს ასევე თბილისში დაბადებული გრიგოლ შარბაჩიანი (1884-1942), რომელმაც „კავკასიის კაზმულ ხელოვნებათა წამახალისებელი საზოგადოების“ სასწავლებლის შემდეგ სწავლა პარიზის ულიენის აკადემიაში გააგრძელა. მის ნაწარმოებებს ეტყობა გატაცება თანადროული ევროპული მხატვრული მიმდინარეობებით, რაც აისახება თავისუფალ, ლაქობრივ წერის მანერაში, ზოგან ხაზგასმულ ნაივურობაში, მკვეთრ, ექსპრესიულ ფერადონებში. მას შესრულებული აქვს არქიტექტურითა და ადამიანებით დატვირთული კომპოზიციები, სადაც იგი ხატავს თბილისის მოსახლეობას ტრადიციულ სამოსში, მათ შორის, სადღესასწაულოდ გამოწყობილ სომხებს.

თბილისის ყოფას XX საუკუნის 10-იან წლებში ასახავს კიდევ ერთი თბილისის მკვიდრი, თვითნასწავლი მხატვარი ვანო ხოჯაბეგოვი (1875-1922). პოლონელი ბორის რომანოვსკის (1879-1947) მსგავსად, მან ყურადღება გაამახვილა თბილისის უბნებსა და მოსახლეობაზე, რომელიც გამოირჩეოდა აზიური ნიშნებით. იგი დაინტერესდა შედარებით დაბალი სოციალური ფენის მკვიდრთა, ხელოსანთა და ყარაჩოხელთა ცხოვრებით. ხელოსნების ფენიდან გამოსული ვანო ხოჯაბეგოვი თეთრ ქალაღზე ძალიან მარტივად და საოცრად ოსტატურად მხოლოდ შავი, უმეტესად დაძაბული კონტურით გადმოსცემს ყარაჩოხელთა და წვრილ მოვაჭრეთა მრავალფეროვანი ყოფით სიუჟეტებს. ეს იუმორისტულ-კარიკატურული სცენები ძალიან ზუსტად გადმოსცემს სახასიათო ტიპაჟებს და მათ ცხოვრებისეულ სიტუაციებს. პარიზში განსწავლული ბორის რომანოვსკის ძველი თბილისის სერია კი მხატვრული გადაწყვეტით მოდერნისტულ

17 სომეხი მხატვრები საქართველოში ჰაკობ ჰოვნათანიანიდან გაიანე ხაჩატურიანამდე, ალბომი, შეადგინა ი. ოგანჯანოვამ, ტექსტი ნ. ზაალიშვილისა, თბ., 2011.



ნ. სევეროვი, თბილისი, ქალაღი, აკვარელი; 1922; სემ – თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა).

ეპოქას შეესატყვისება. მუქი კონტურით შემოწერილი, მკვეთრად დეფორმირებული, კუთხოვანი თუ პლასტიკური ფორმები და სილუეტები მთლიანად ტვირთავენ სიბრტყეებს და განსაზღვრავენ კომპოზიციათა დეკორატიულობასა და ექსპრესიულობას. სრულიად განსხვავებულად აისახება თბილისის თემა კიდევ ერთი თვითნასწავლი სომეხი მხატვრის კარაპეტ გრიგორიანცის (1870-1943) ნაწარმოებებში, რომელიც საქართველოში XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან დასახლდა. მისი ნაივური მხატვრობა თბილისური მხატვრობის – XIX საუკუნის „ტფილისური პორტრეტისა“ და ფიროსმანის შემოქმედების – გარკვეულ გავლენას განიცდის. ის ხატავს ძირითადად ერთფეროვანი კომპოზიციებს სტატიკური, გაშეშებული ფრონტალური გამოსახულებებით. ზოგიერთ ნამუშევარში რიტმულად იმეორებს ყოფით საგნებს. იგი მონდომებით ამუშავებს სამოსის დეტალებს, რომლებიც ლოკალური ფერის ფონსა თუ სამოსზე განსაკუთრებით თვალშისაცემი ხდება. გრიგორიანცის სურათები არ გამოირჩევა მაღალი მხატვრული დონით, თუმცა არაა მოკლებული თავისებურ მიმზიდველობას და საინტერესოა როგორც მხატვრული მოვლენა.

XX საუკუნის 10-20 წლებშიც, მოდერნისტული ხელოვნების ჩამოყალიბებისა და განვითარების ეპოქაში, მრავალი არაქართველი მხატვარი ცხოვრობდა თბილისში და ქმნიდა დროის შესატყვის ავანგარდულ ნაწარმოებებს. მათ კავშირი ჰქონდათ თბილისური ავანგარდის წარმომადგენლებთან და მონაწილეობდნენ ქართული სამხატვრო საზოგადოების გამოვენებასა თუ შეხვედრებში. მათ შორის იყვნენ ვოლდემარ ბობერმანი (1897-1977), რომელიც თბილისში 1919-20-იან წლებში იმყოფებოდა. ეროვნულ მუზეუმში დაცულია მისი გრაფიკული და ფერწერული ნამუშევრები, რომლებიც კუბისტური ექსპერიმენტების ნიმუშებს წარმოადგენს, ზოგიერთი მათგანი აშკარად ანალიტიკური კუბიზმის გავლენითაა შექმნილი. თბილისური ავანგარდის მნიშვნელოვანი წარმომადგენელი იყო ზიგა ვალიშევსკი (1897-1936), რომელიც ადრეული ასაკიდანვე დაუკავშირდა თბილისში მოღვაწე ავანგარდისტ მხატვრებს, იყო „ფუტურისტების სინდიკატი“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, მონაწილეობდა არტისტული კაფეების მონატვაში.

ქართული მოდერნისტული მხატვრობის ისტორიაში არსებითია ქალ ხელოვანთა შემოქმედება, რომლებიც სხვა არაერთი მხატვრის მსგავსად, სხვადასხვა წარმომავლობის მიუხედავად, თბილისელი მხატვრები და ქართული მოდერნისტული ხელოვნების მნიშვნელოვანი წარმომადგენლები არიან. ამ მხრივ გამორჩეულია თბილისში დაბადებული ერთი თაობის სამი მხატვარი – კლარა კვეესი (1903-1990), ემა ლალაევა-ედიბერიძე (1904-1991), ირინა შტენბერგი (1903-1985). მათი შემოქმედება არაა სათანადოდ დაფასებული. წლების მანძილზე მათი მოღვაწეობა ნაკლებად თვალშისაცემი იყო, რის მთავარ მიზეზსაც სწორედ ავანგარდული მსოფლმხედველობა წარმოადგენდა.

XX საუკუნის პირველ მესამედში მოღვაწეობდნენ მხატვრები, რომლებიც უფრო მეტად ტრადიციული ხელოვნების მიმდევრებად რჩებოდნენ, თუმცა მათი ნაწარმოებები არანაკლებ ღირებულება მხატვრული თვალსაზრისით. თბილისი 1920-30-იან წლებშიც რჩებოდა ერთ-ერთ მთავარ თემად როგორც ქართველი, ისე უცხოელი მხატვრებისთვის, განსაკუთრებით 1926 წლიდან, როდესაც კომუნალურმა მუზეუმმა მხატვრებს ძველი და ახალი თბილისის თემაზე სურათები დაუკვეთა. უცხოელ მხატვართაგან ამ წამოწყებაში მონაწილეობა მიიღო ბორის ფოგელმა (1872-1961) და ძველი ქალაქის ცნობილი ფერწერული სერია შექმნა.


ძალიან დიდია არაქართველი მხატვრების წვლილი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დაარსებასა და ჩამოყალიბებაში. აღსანიშნავია, რომ აკადემიის დამაარსებლებსა და პირველი თაობის პროფესორებს შორის იყვნენ ჰენრიხ ჰრინევსკი (1869-1937), იოსებ შარლემანი (1880-1957), ევგენი ლანსერე (1875-1946), ელიშე თათევოსიანი (1870-1936). ამ მხატვრების დამსახურება განუსაზღვრელია XX საუკუნის ქართული კულტურისთვის.

უცხოელი თუ არაქართველი თბილისელი მხატვრების მოღვაწეობა არ შემწყდარა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში და შემდ-



გ. შუხაევი, ოსების ჯგუფი; ტილო, ტემპერა; 125X178; 1961; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

გომ პერიოდშიც. ნიკოლაი სკლიფასოვსკი, ვასილი კროტკოვი, პეტრე ბლიოტკინი, ვასილი შუხაევი, ლევ ბაიხჩევი... კიდევ მრავალი მხატვრის დასახლება შეიძლება, თუმცა, არაქართული წარმომავლობის მიუხედავად, მათ დიდ ნაწილს „უცხოელს“ ვერც ვუწოდებთ. XIX საუკუნის ბოლო პერიოდიდან მოყოლებული, გაუმართლებელიც კია ზოგიერთი შემოქმედის უცხოელ მხატვრად მოხსენიება. თბილისში დაბადებულმა ბევრმა მათგანმა მთელი ცხოვრება აქ გაატარა. მათი შემოქმედება და საზოგადოებრივი თუ პედაგოგიური მოღვაწეობა საქართველოს უკავშირდება. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ არაქართველ ხელოვანთა დიდი ნაწილი ამდენად ინტეგრირებული აღმოჩნდა ქართულ სახელოვნებო სივრცეში, თბილისის მხატვრულ ცხოვრებაში. ალბათ ეს განაპირობა ქართული საზოგადოებისათვის და ზოგადად ქართული კულტურისათვის დამახასიათებელმა გახსნილობამ, საქართველოს, განსაკუთრებით კი თბილისის „სტუმართმოყვარე“ ბუნებამ და გარემომ, რომელიც ჩამოსულ მხატვრებში აქ დარჩენის, თანაცხოვრებისა და თანამოღვაწეობის სურვილს აღძრავდა. არაქართველ მხატვართა შემოქმედებამ და მოღვაწეობამ უდავოდ გაამდიდრა ახალი ქართული ხელოვნება, გაამრავალფეროვნა და გაათანამედროვა ქართული მხატვრობა მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე XIX საუკუნის დასაწყისიდან XX საუკუნის ჩათვლით.



კ. ზდანევიჩი, ფუტურისტი; ქაღალდი, გუაში, ტუში; 51,5X39; 1910-იანი წწ.; კერძო კოლექცია, თბილისი.


ქართული მოდერნიზმი

XX საუკუნის დასაწყისისთვის საქართველოს დედაქალაქი, რომელიც კავკასიისთვის მანამდეც მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა, თანდათან უფრო მომძლავრდა და დაწინაურდა. როგორც ითქვა, თავდაპირველად დასავლური ხელოვნების გავლენა საქართველოში რუსეთის გავლით აღწევდა. მიუხედავად ამისა, საუკუნის დასაწყისში, განსაკუთრებით კი 1910-იან წლებში, ახალგაზრდა მხატვართა თაობა რუსულ „პერედვიჟნიკულ“ მხატვრობასთან ჯერ კიდევ შემორჩენილი კავშირების გაწყვეტას და დასავლეთის სამხატვრო ცენტრებთან უშუალოდ დაკავშირებას შეეცადა, 1910-20-იან წლებში კი შემოქმედებით ძალთა სიჭარბემ და ცოცხალმა, დატვირთულმა სახელოვნებო სივრცემ თბილისი თანადროული ევროპული ავანგარდული ხელოვნების შესატყვისი, თავისებურ კულტურულ ცენტრად აქცია. ქართული კულტურული გარემო მზად იყო თანამედროვე ევროპული ხელოვნების სიახლეთა მისაღებად და გასაზიარებლად, რადგან XIX საუკუნის განმავლობაში მოწინავე ქართულ საზოგადოებაში მიმდინარე მიზანმიმართული შემოქმედებითი პროცესები მათი გაგრძელებისა და შემდგომი განვითარების საფუძველს იძლეოდა. საერთოდაც, საუკუნეთა მიჯნის კავკასიის დედაქალაქი წარმოუდგენლად თავისებური იყო. აქ ერთმანეთის გვერდით ურთიერთსაწინააღმდეგო, თითქოსდა შეუთავსებელი დასავლეთი და აღმოსავლეთი თანაარსებობდა – თავისი ხალხითა და კულტურით, ყოფით, ადათ-ჩვევებითა თუ ენით. ქართველს თითქოს შორს წასვლაც კი არ სჭირდებოდა სხვა ქვეყნის კულტურისა და ხელოვნების გასაცნობად.

არაა გასაკვირი, რომ უცხოელი მწერლები, მხატვრები, მკვლევრები თუ მოგზაურები თბილისს განსხვავებულად აღწერდნენ და ხატავდნენ. ამის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, ამ მრავალფერადი, როგორც ჩანს, აღსაქმელად ძნელი ქალაქის არსში, მის სიღრმეში წვდომის სირთულე იყო. როგორც დ. თუმანიშვილი წერდა, „...მიზგიტები და შუა ბაზარში ზანტად მავალი აქლემები; წარჩინების ნიშნებით გულმკერდდამშვენებული რუსი სამხედრო თუ სამოქალაქო, დიდი და მცირე მოხელენი; სომეხთა სახლები, ქარვასლები და ეკლესიები; მართლმადიდებელთა ტაძრები, ქართველ თავადთა საცხოვრებლები და ქართული ყურნალ-გაზეთების რედაქციები... და კიდევ: გერმანული სამოსახლო კუკიაში, ებრაელთა სამლოცველოები, ფრანგებისა თუ იტალიელების სახელოსნოები, მაღაზიები, სადაც ზინგერის საკერავი მანქანები ანდა უინძორის აკვარელის საღებავები იყიდებოდა... ეს ყველაფერი და, ალბათ, ბევრიც სხვა, იყო ერთად, რაღაც ძალით, რომელიღაც, ლათინთა სიტყვისაგებ, „ადგილის გენიის“



კ. ზდანევიჩი, ს. მელნიკოვას პორტრეტი; ქალაქი, ტუში; 23X19; 1918-19.



ი. ზდანევიჩი, „ზობნა და სასიდობნი“, მისივე დრამისათვის „ვირი ქირით“, ფერადი კოლაჟი; 1918-19.

წყალობით, გამთლიანებული. საუკეთესოდ ამას თბილისის გასაბჭოებამდე არქიტექტურა გვიცხადებს. XIX საუკუნის ახალშენი უბნებიც ხომ მთა-გორებზე მორგებითა თუ ნაგებობათა ერთი მეორესთან მისადაგებით იმავ, თუმც გარდასახულ, წესსა და რიგს, იმავ ესთეტიკას მისდევს, რასაც შუასაუკუნოვანი კალა და ისანი; რალაც დაუწერელსა და სიტყვიერად უთქმელ კანონს, რომელსაც ვიურტემბერგელი ახალმოსახლეებიდან გამოსული არქიტექტორიც მორჩილებს და მისი დამკვეთიც, ვთქვათ, პეტერბურგიდან გადმოყვანილი გენერალი. ამიტომაცაა ასი წლის წინანდელ ქუჩა-მოსახვევებში, თავისი დროის უტყუარი ნიშნების გარდა, კიდევ რალაც სხვასაც რომ შეიგრძნობთ, რალაც სხვა საწყისს, რაც წინ არათუ რუს-ხელმწიფეთა ნაცვალებს, სეფიანთა მეციხოვნეებსა და არაბ ამირებსაც უსწრებს¹. იგივე ითქმის „ტფილისური პორტრეტული სკოლის“ ნიმუშებზეც. როგორც ჩანს, იმის შეცვლას, რაც ნამდვილად „ამ ადგილისაა“, ჩამოსული უცხოელი ერიდებოდა.

მსოფლიო ომის დამთავრებისა და ცარიზმის დამხობის შემდეგ, ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობამდე, რუსეთს თავდაღწეულმა მრავალმა პროექტმა, მხატვარმა, მსახიობმა თუ მუსიკოსმა თბილისს შეაფარა თავი. ცხადია, მათი არჩევანი შემთხვევითი არ იყო, რადგან უკეთესი პოლიტიკური გარემოსა და ეკონომიკური პირობების გარდა, მათ საქართველოში ინტელექტუალური თვალსაზრისით სავსე ცხოვრება ეგულებოდათ.

1 დ. თუმანიშვილი, იბ. ქართული მოდერნიზმი, თბ., 2005, 12-15.

ოსიპ მანდელშტამის სიტყვებით, იგი „რალაც ახალი შვეიცარიის მაგვარ, ნეიტრალურ და [...] „უცოდველ“ ერთ მტკაველ მიწად“ ესახებოდათ.²

თავდაპირველად ჩამოსულებს ყველაზე მეტად აქაური მწერლების ბრწყინვალე პლეადა იზიდავდა, რომელთა უმეტესობაც ავანგარდისტულ დაჯგუფება „ცისფერ ყანწებში“ იყო გაერთიანებული. 1915 წელს ჩამოყალიბებული „ცისფერყანწელების“ დაჯგუფების წევრთა უმეტესობას განათლება რუსეთში ჰქონდა მიღებული და რუს სიმბოლისტ პოეტებთან მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებდა. ამ საოცარი ნიჭით გამორჩეულმა პოეტურმა დაჯგუფებამ, რომლის წევრებს, სისხლით ნათესაობისა და მეგობრობის გარდა, მსგავსი იდეები აერთიანებდა, ხელი შეუწყო თბილისში ავანგარდული კულტურული გარემოს შექმნას. ეყრდნობოდნენ რა ეროვნულ პროეტურ საფუძვლებს თავიანთ შემოქმედებაში, მათ განსაკუთრებით რუსი და ფრანგი სიმბოლისტები და ფუტურისტები იზიდავდნენ. თუმცა, გრიგოლ რობაქიძის თქმით, თბილისამდე „ცისფერყანწელებმა“ ქუთაისი ააფორიაქეს: „ახალგაზრდები, რომლებმაც თავისი ახალი სიმღერით ქუთაისის ქუჩების უღარდელი სიმშვიდე დაარღვიეს, იყვნენ



კ. ზდანევიჩი, ე. ტოლერი – „კაცი-მასა“, დეკორაციის ესკიზი; ქალაქი, ფანქარი, გუაში; 41,4X59; რუსთაველის თეატრის მუზეუმი.

2 О. Мандельштам, Меньшевики в Грузии, Собр. соч. в трех томах, т. 2, Нью-Йорк: Международное литературное содружество, 1971, 198.




მ. თოიძე, ბაზარ-ხანა; ტილო, ზეთი; 140X180; 1914;
სემ – თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა).

დამწყები პოეტები: პაოლო იაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, ტიცვიან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, ლელი ჯაფარიძე. მსოფლგანცდის მოდერნისტული სტილი, მხატვრული სიტყვით მწყობრად განსახიერებული – აი, რა იყო მათი ალტემის ახალი ფურცელი. და ქუთაისის დუქნები უცბად გადაიქცნენ პარიზის ლიტერატურულ კაფეებად, სადაც ხრინწიანი არ-ლნის ბგერებთან და აუცილებელ „მრავალჟამიერთან“ ერთად ძვირფასი სახელებიც გაისმა: ედგარ პო და შარლ ბოდლერი, ფრიდრიხ ნიცშე და ოსკარ უაილდი, პოლ ვერლენი და სტეფან მალარმე, ხოსე-მარია ერედია და ემილ ვერხარნი, კონსტანტინ ბალმონტი და ვალერი ბრიუსოვი...“.³

ლუიჯი მაგაროტო წერს: „ქართველ ინტელიგენციას ერთგვარად ეხამ-უშებოდა ტფილისის ჰეტეროგენურობა. ისინი ცარიზმის ადმინისტრაციულ ცენტრს, აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზაჯვარედინზე მდებარე დიდ კომერციულ და ფინანსურ ქალაქს, სადაც თავი მოეყარა სხვადასხვა ეროვნებასა და რელიგიას, ამჯობინებდნენ ქუთაისს, დასავლეთ საქართველოს უმთავრეს ქალაქს, რომელსაც ნაკლებად „გაეტეხა სახელი“ და უკეთ შეენარჩუნებინა ეროვნული ტრადიციები. სწორედ ქუთაისში აიღვა ფეხი ქართულმა ლიტერატურულმა ავანგარდმა“.⁴

მ. თოიძე, ძველი თბილისი; ტილო, ზეთი; 45X27; 1915; სემ – თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა).



პოეტი კოლაუ ნადირაძე კი იხსენებს: „კარგად მახსოვს, როგორ აინთო ქუთაისში პირველად აირის ფარნები, რომლებიც შიშინებდა და ირგვლივ თეთრ, მოიისფრო შუქს აფრქვევდა. ისინი პირველად ლალიძემ შემოიღო, ქალაქის ბალის მახლობლად თავისი ლიმონათის ქარხნის წინ დაკიდა. ფარნების შუქი ხალხს იზიდავდა. ქუთათური „საზოგადოება“ პირდაპირ ტროტუარზე, ქარხნის წინ მდგარ მაგიდებთან იკრიბებოდა. ქუთაისი „არისტოკრატიულ“ ქალაქად ითვლებოდა. აქ თავი მოეყარა იმერეთის თავად-აზნაურთა გაკოტრებულ და ჯერ კიდევ შემორჩენილ მათ თითო-ოროლა ნაშვიერს. ეგრეთ წოდებულ „უმაღლეს წრეს“ ისინი ჰქმნიდნენ“.⁵

3 Gr. Robakidze, Грузинский модернизм, «ARS» – ежемесячник искусства и литературы, Тифлис, 1918, 46.

4 ლ. მაგაროტო, იხ. ქართული მოდერნიზმი, თბ., 2005, 46.

5 К. Надирадзе, Кутаиси и его люди, иб. О Маяковском. Дни и встречи, Тб. 1963, 24.



6. ფიროსმანაშვილი, დღეობა ცხენისწყალზე; მუშაობა, ზეთი; 114X202; XX ს-ის დასაწყ.; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

პოეტების გვერდით თითქმის იმავე ასაკის, რუსეთსა და გერმანიაში განსწავლული ახალგაზრდა ქართველი მხატვრებიც მოღვაწეობდნენ, რომელთა შესახებაც რუსმა ხელოვანებმა შესაძლებელია სულაც არაფერი იცოდნენ. ქართველი სიმბოლისტი თუ ფუტურისტი პოეტებისაგან განსხვავებით, მათ არანაირი მხატვრული დაჯგუფება არ შეუქმნიათ, ისინი ამ წლებში არც ერთ მოდერნისტულ მიმდინარეობას არ ანიჭებდნენ გამორჩეულ უპირატესობას. ყოველი მათგანის შემოქმედება დამოუკიდებელი ინდივიდუალური გზით მიემართებოდა. მაგრამ იყო ერთი, ყველასათვის საერთო და უალრესად მნიშვნელოვანი მიზანსწრაფვა, ზოგთათვის ართქმული, ზოგიერთი მათგანისთვის კი გააზრებული და თეორიულად დასაბუთებულიც: ინტერესი ქვეყნის უძველესი კულტურისადმი, შუა საუკუნეების კედლის მონასტულობათა გადმოღებაში გამოხატული, რაც არათუ წარმოდგენილი იქნებოდა ევროპელი ავანგარდისტებისთვის, არამედ პროგრამულად უარყოფილიც. საფიქრებელია, რომ „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ შექმნის ერთ-ერთი მთავარი მიზანიც, უპირველეს ყოვლისა, ეროვნულ ფასეულობათა შეგროვება და გადარჩენა იყო. სწორედ ამ თვისებამ თავიდანვე განაპირობა ევროპული და ქართული ავანგარდული მხატვრობის ერთგვარი, უთუოდ მაინც მნიშვნელოვანი, სხვაობა. თანამედროვე ხელოვნების რაგვარობა და მომავალი, მხატვართა შორის ერთადერთი თეორეტიკოსის – დავით კაკაბაძის მსგავსად, სხვებსაც – მხატვრებს, პოეტებს, მწერლებს, მუსიკოსებსა თუ თეატრის მოღვაწეებს – აწუხებდა. მათ მიაჩნდათ, რომ თანადროული ქართული ხელოვნება

უნდა ყოფილიყო „თანამედროვე და ეროვნული“, რომ მათ უნდა გაეხატა „უხილავი ძაფები საქართველოსა და ევროპას შუა“.⁶

ავანგარდული ხელოვნების საკითხები იხილებოდა ლიტერატურულ წრეებში, სალონებში, არტისტულ კაფეებში, რომელთა შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა „ფანტასტიკური დუქანი“, „ქიმერიონი“, „არგონავტების ნავი“, „ფარშევანგის კული“, „იმედი“. ამ წლების კაფეების შემოქმედებითი ატმოსფერო, სადაც პოეტები და მხატვრები ლექსებსა თუ მოხსენებებს კითხულობდნენ და მოდერნისტული ხელოვნების უკიდურეს მიმდინარეობებზე მწვავედ კამათობდნენ, მხატვრული ინტელიგენციის ყოფის მნიშვნელოვან ნაწილად იქცა. კაფეებისა და სალონების კედლებზე ერთმანეთს ენაცვლებოდა ადგილობრივი და ჩამოსული მხატვრების – ს. სუდეიკინის, ლ. გუდიაშვილის, კ. ზდანევიჩის, დ. კაკაბაძის, ს. ვალიშევსკის, ს. სორინის, ი. ზდანევიჩის, ი. ნიკოლაძის, ა. პეტრაკოვსკის, მ. თოიძის, ი. დეგენის, სერ-გეის, ი. თოიძის და სხვათა ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული სურათები თუ მოხატულობები. განსაკუთრებით გაცხარებული კამათი „ფუტურისტების სინდიკატის“ საღამოებზე მიმდინარეობდა. ფერწერისა და პოეზიის დაახლოება, რისი ტენდენციაც XX საუკუნის დასაწყისის ფრანგულ კულტურაში გამოიკვეთა, 1910-იან წლებში საყოველთაო მოვლენას წარმოადგენდა. ხშირად პოეტები და მხატვრები ერთად გამოდიოდნენ. გარდა ამისა, ბევრი პოეტი იმავდროულად ფერმწერიც იყო და პირიქით. „პოეტებს თითქოს თან მოჰყვა ფუტურიზმი, მხატვრებს კი – კუბიზმი.“⁷ ავანგარდული ხელოვნებისთვის დამახასიათებელი ეს თვისება თბილისში უფრო მეტად რუსეთიდან ჩამოსულ ხელოვანებს გადმოჰყვათ. „რუსმა პოეტებმა და ხელოვნების მოღვაწეებმა ტფილისში ჩამოსვლისთანავე ჩამოაყალიბეს ლიტერატურულ-კულტურული დაჯგუფებანი, დააარსეს ჟურნალები, გამართეს დისკუსიები, მოაწყვეს გამოფენები და მონატეს კაფეები, დადგეს სპექტაკლები. ერთი სიტყვით, შეხვდნენ რა ქართველი ინტელექტუალები გაგებითა და კეთილგანწყობით, მათ ხელახლა წამოიწყეს ისეთი ცხოვრება, როგორსაც პეტერბურგსა და მოსკოვში ეწეოდნენ. ასე რომ, 1917-1921 წლების ტფილისში დულდა კულტურული ცხოვრება. უფრო მეტიც, ეს წლები რუსული და, რალა თქმა უნდა, ქართული ავანგარდისათვის ყველაზე ნაყოფიერ წლებად შეიძლება ჩაითვალოს.“⁸

რა თქმა უნდა, ამ პროცესებში ქართველი პოეტები და მხატვრებიც ჩაერთნენ, მაგრამ მათთვის, განსაკუთრებით კი მხატვრებისათვის, ბოლომდე მისაღები მაინც არ აღმოჩნდა რუსი პოეტებისა თუ მხატვრებისათვის დამახასიათებელი აქტიურობა, დინამიკურობა, სიმძაფრე და უარყოფილი პათოსი. ამ პერიოდის მხატვრულ ცხოვრებაზე გრიგოლ რობაქიძე წერდა: „ტფილისის ცხოვრობს სამყაროს ესთეტიკური აღქმით. ასეთი იყო იგი წარსულში, ამგვარია იგი დღესაც. შესაძლებელია ბევრი სახელის

6 დ. არაყიშვილი, ჟურნ. „თეატრი და მუსიკა“ №1, 1919.


7 Д. В. Сарабьянов, Русская живопись. Пробуждение памяти, Москва, 1998, 356.

8 ლ. მაგაროტო, იხ. ქართული მოდერნიზმი, თბ., 2005, 57.

ჩამოთვლა... ყველა მათგანს აერთიანებს ხელოვნება. სხვადასხვა ხალხთა, სხვადასხვა კულტურათა ადამიანები, ძმები ხელოვნებაში... ჩვენ გვჯერა ამ ახალი ინტერნაციონალის. აქ, ტფილისში, უნდა დაედოს საფუძველი მის შენობას“.⁹

თბილისელ შემოქმედთა შორის მხოლოდ ძმები ზდანევიჩები დარჩნენ თანადროული ავანგარდული მიმდინარეობების ბოლომდე ერთგულნი და მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს როგორც ამ პერიოდის თბილისის ავანგარდულ ცხოვრებაში, ასევე ქართული ხელოვნების შემდგომ განვითარებაში. ილია ზდანევიჩს, ფუტურისტ პოეტს, დრამატურგსა და წიგნის დიზაინერს, თბილისის ფუტურისტულ დაჯგუფებებში ყველაზე რადიკალური პოზიცია ეჭირა. სანკტ-პეტერბურგის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლის დროს იგი ავანგარდულ წრეებს დაუკავშირდა. გაეცნო მარინეტის პირველ ფუტურისტულ მანიფესტებს და დაიწყო მოხსენებების კითხვა პეტერბურგსა და მოსკოვში. 1912 წელს არდადეგებზე ილია ზდანევიჩი თავის ძმასთან – კირილესთან და მხატვარ ლე-დანტიუსთან ერთად თბილისში ჩამოვიდა. შესაძლოა, ეს ახალგაზრდა ავანგარდისტი მხატვრები თბილისში იმისთვის ჩამოვიდნენ, რისთვისაც პოლ გოგენი ტაიტიზე, ხოლო ნიკოლაი გუმილიოვი აფრიკაში გაემგზავრა. ძმებ ზდანევიჩებს ამ პერიოდის თბილისში ეგულეობდათ ავანგარდისტული ხელოვნებისთვის საინტერესო გარემო ნაივური და ეთნოგრაფიული მხატვრობით. მართლაც, მათ აღმოაჩინეს ნიკო ფიროსმანაშვილის ნამუშევრები და აქედან დაიწყო მათი საოცარი გატაცება მისი შემოქმედებით. ისინი აგროვებდნენ მის ნაწარმოებებს და შემდგომ საჩუქრად გადასცეს თბილისის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს.

ჯერ კიდევ რუსეთში სწავლის დროს, ილია ზდანევიჩი მ. ლარიონოვის მიერ დაარსებული ჯგუფის – „ოსლინი ხვოსტის“ წევრი იყო. 1913 წელს გამოფენაზე „მიშენ“ (*Мишень*) ლარიონოვის ჯგუფის წევრებთან (გონჩაროვასთან, მალევიჩთან, შაგალთან, შევჩენკოსთან, ლე-დანტიუსთან, კირილ ზდანევიჩთან) ერთად პირველად იყო ექსპონირებული ნიკო ფიროსმანაშვილი. გამოფენას წინ უძღვოდა დისპუტი თემაზე „აღმოსავლეთი, ეროვნულობა და დასავლეთი,“ რომელზეც ილია ზდანევიჩმა პირველად წარადგინა თავისი კონცეფცია „ვსიოჩესტვო.“ თბილისში იგი აწყობდა მხატვრების საღამოებს, გამოფენებს, „ფანტასტიკურ დუქანში“ ატარებდა კონფერენციების ციკლს ფუტურისტებზე, დააარსა გამომცემლობა „41“.⁹ ჯგუფ „41“-ის ლიდერები იყვნენ „ვსიოჩესტვოს“ თეორიის ავტორი და იდეოლოგი ილია ზდანევიჩი, ზაუმის შემქმნელი ალექსეი კრუჩონიხი და იგორ ტერენტიევი. 1919 წელს გამოიცა „41“-ის გაზეთის ერთადერთი ნომერი. პარალელურად გამოვიდა ჯგუფ „41“-ის კოლექტიური ნაშრომი – „პატარა ფანტასტიკური დუქანი. ეძღვნება სოფია მელნიკოვას“. გამომცემლობაში „41“ ი. ზდანევიჩი თბილისელ ფუტურისტთა ნაწარმოებებთან ერთად ბეჭდავდა თავის დრამებს („იანკო ალბანეთის მეფე“, „აღდგომის



ვ. სიდამონ-ერისთავი, თამარ მეფე; ტილო, ზეთი; 107X84; 1919; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

9 Гр. Робакидзе, журн. «Новый день», 1919, №6.



ვ. სიღამონ-ერისთავი, თბილისის დილა; ტილო, ზეთი; 75X100; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

კუნძული“, „გასაქირავებელი ვირი“ და *Зна Якаби* მეოთხე დრა), რომელთა ესკიზებისა და ტექსტების ანაწყობს თვითონვე ასრულებდა. წიგნების ბეჭდვისას იგი მის მიერვე შემუშავებულ „ფონეტიკურ ორთოგრაფიას“ იყენებდა და უპირატესობას უხეშ, დაუმუშავებელ მასალასა და დაუდევარ აკინძვას ანიჭებდა, რათა მიზანმიმართულად გამოეკვეთა წიგნის კუსტარულობა. აღსანიშნავია, რომ რუსული ფუტურიზმის ყველაზე რადიკალურ და ნიჭიერ წარმომადგენელთან – ალექსეი კრუჩონინთან მას აკავშირებდა ექსპერიმენტები „ზაუმის“ სფეროში და ინტერესი პრიმიტიული მხატვრობისადმი. 1921 წლიდან პარიზში საცხოვრებლად გადასულმა ილიაზდმა თავისი შემოქმედებით ევროპული ავანგარდული ხელოვნების ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლების ყურადღება მიიპყრო. იგი კითხულობდა მოხსენებებს, გამოსცემდა წიგნებს, მონაწილეობდა დისპუტებში. მისი პორტრეტები დახატეს რ. დელონემ, ჟ. დე კირიკომ, ა. ჯაკომეტიმ, ლ. სიურვაჟმა. ილიაზდმა პაბლო პიკასოს გააცნო ფიროსმანის შემოქმედება, ამ უკანასკნელმა კი დახატა ფიროსმანის პორტრეტი ილიაზდის წიგნისთვის „ნიკო ფიროსმანიშვილი. 1914 წ.“. პარიზში კაფე „ქამელონ-



ვ. სიღამონ-ერისთავი, წითელი მთხვევლები; მუყაო, ზეთი; 27X36,5; 1920-იანი წწ.; კერძო კოლექცია, თბილისი.

ში“ მან აღადგინა და დაამკვიდრა „უნივერსიტეტი 41“, დაწერა რომანი *Парижачьи* (პარიზელები). ი. ზდანევიჩი პარიზშიც აწყობდა კონფერენციებს, მეჯლისებსა და საღამოებს. 1923 წელს მან დაასრულა თავისი მეხუთე დრა *Лиданию Фарам*, რომელიც მისი ზაუმით დაწერილი ნაწარმოებების მწვერვალადაა მიჩნეული. 1927 ილიაზდმა დაიწყო მუშაობა მხატვრად კოკო შანელთან და შემდეგ 1933 წლამდე მისი ფაბრიკის დირექტორიც იყო.

აღსანიშნავია, რომ ილია ზდანევიჩს, რომელსაც თავი ქართველად მიაჩნდა, მთელი ცხოვრების მანძილზე აწუხებდა ქართული კულტურის ბედი. პარიზში იგი ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად ამუშავებდა 1917 წელს ტოკლარჯეთში მოწყობილი ექსპედიციის მასალებს, რომლის მონაწილე თვითონაც იყო. ეს მასალა 1931 წელს პარიზის დეკორატიული ხელოვნების მუზეუმში გამოიფინა. იგი იყო მუდმივი მონაწილე ბიზანტინისტთა ყოველწლიური ყრილობებისა და ცდილობდა უცხოელ მეცნიერთა ყურადღების მიპყრობასა და მხარდაჭერას თურქეთის ტერიტორიაზე დარჩენილ



დ. შევარდნაძე, მწოლიარე ქალი გიტარით; ქალაღდი, ნახშირი; 31X48; 1916; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

ქართულ ძეგლთა გადასარჩენად. საგულისხმოა ასევე, რომ პარიზში მან ჩაატარა კონფერენცია, რომლის თემას ქართველებისა და ესპანელების მსგავსება წარმოადგენდა. მოგვიანებით, 1948 წელს, მისი ინიციატივით პარიზში ჩატარდა კიდევ ერთი კონფერენცია „უძველესი ქართველების“ შესახებ. 1940 წლიდან ი. ზდანევიჩი პიკასოსთან ერთად გამომცემლობა „აფეტში“ აქვეყნებდა პუბლიკაციებს. ილიაზდის წიგნები გაფორმებული აქვთ პ. პიკასოს, ჟ. ბრაკს და სხვებს. ზდანევიჩმა 1949 წელს გამოსცა „ამოუცნობი სიტყვების პოეზია“, რომელიც 1912-32 წლებში შექმნილი ფონეტიკური პოეზიისა და ზაუმური ტექსტების ანთოლოგიას წარმოადგენდა.

კირილე ზდანევიჩის გამოფენას, რომელიც თბილისში 1917 წლის ნოემბერში გაიხსნა და საქართველოში მემარცხენეთა ხელოვნების პირველი წარდგენა იყო, საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა. კატალოგის წინასიტყვაობაში ა. კრუჩონიხი და ი. ზდანევიჩი წერდნენ: „ცეცხლისმფრქვეველი, მოქნილი, ლეოპარდის კბილებს ისე არჭობს ტილოში, როგორც ხარის ტყავში, ტილოს ზურგში შემღწევი... მან გახლიჩა სამყარო, ჭრილობაში შეაცურა ხელი და მოსინჯა... მისი ნერვული გული...“.¹⁰


10 Т. Никольская, Фантастический город, М., 2000, 40.



დ. შევარდნაძე, შიშველი მამაკაცი ზურგიდან; ტილო, ზეთი; 51X24; 1910-იანი წლები; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

კირილე ზდანევიჩის შემოქმედებაში სხვადასხვა დროს რამდენიმე განსხვავებული ავანგარდული მიმდინარეობის ნიშნები იკვეთება. გარკვეულ ეტაპზე იგი ნეოპრიმიტივიზმის წარმომადგენელია. ნეოპრიმიტივიზმი 1906-13 წლების რუსული ავანგარდიზმის წამყვანი მიმდინარეობა იყო. ჯერ კიდევ სანკტ-პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში სწავლის დროს კ. ზდანევიჩი ნეოპრიმიტივისტთა ჯგუფს დაუახლოვდა, მათი თანამოაზრე გახდა. 1912 წელს იგი რუსეთის მხატვართა ჯგუფ „ოსლინი ხვოსტი“ (Ослинный Хвост) გაწევრიანდა და მონაწილეობდა ე.წ. ნეოპრიმიტივისტულ გამოფენებში მიხეილ ლარიონოვთან, ნატალია გონჩაროვასთან, ვლადიმერ ტატლინთან, კაზიმირ მალევიჩთან და სხვა მხატვრებთან ერთად.

როგორც ტიპური ნეოპრიმიტივისტი, კ. ზდანევიჩიც მიზანდასახულად აუბრალოებს, ამარტივებს ფორმასა და გამომსახველობით საშუალებებს, ამასთანავე მასთან ფორმა გროტესკული, დაუხვეწავი და, ზოგიერთ შემთხვევაში, საზგასმულად უხეშია. იგი ცდილობს ხალხური ესთეტიკის არსებითი მხარეების ჩვენებას, ირჩევს თავისი ქალაქის დაბალი ფენის წარმომადგენელთა ყოველდღიური ცხოვრების ამსახველ ჟანრულ თემებს, ყურადღებას აქცევს ფოლკლორულ საწყისს. ამ ნაწარმოებთა კოლორიტი ნათელია, ხალისიანი, შეუთანხმებელი და ჭრელი. თითქმის ყველა ნამუ-



დ. კაკაბაძე, აბსტრაქტული ნატურმორტი; მუყაო, ზეთი; 46X65; 1934; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

შევარს ახლავს ერთგვარი ირონიაც, რაც ზოგადად ნეოპრიმიტივიზმის ერთ-ერთი მახასიათებელია.

კ. ზდანევიჩის 1910-იანი წლების ბოლოს შესრულებულ ნატურმორტებს პრეკუბიზმისა და ანალიტიკური კუბიზმის თავისებურებები გამოარჩევს. მათთვის არსებითია ფერის, ფორმისა და სივრცის დანაწევრების გზით მიღწეული სურათის სტრუქტურული წყობა. საგნები ერთდროულად სხვადასხვა ხედითაა წარმოდგენილი. ამავდროულად, ზოგიერთ ნამუშევარში საგანთა რეალისტურ გამოსახულებებთან ერთად შენარჩუნებულია სივრცისა და ფიგურის პერსპექტიული აღქმა. ამ ნატურმორტებს სეზანის მსგავსი სტატიკურობა და მონუმენტურობა ახასიათებს. წიგნის გრაფიკის, თეატრის დეკორაციებისა და ფერწერული ნამუშევრების ნაწილში, რომლებიც 1920-იან წლებშია შექმნილი, ისევ ანალიტიკური კუბიზმის ნიშნები ვლინდება, ნაწილში კი – კუბოფუტურისტული მიმდინარეობისთვის დამახასიათებელი თავისებურებები. ანალიტიკურ პერიოდში ფორმა წვრილ წახნაგებად და კუთხეში შემხვედრ სიბრტყეებადაა დაყოფილი, მოცულობა მოულოდნელად სიბრტყეადაა გადაქცეული, წინა წახნაგი –




დ. კაკაბაძე, აბსტრაქცია; მუყაო, ზეთი, ალუმინის ჩარჩო; 45X60; 1927; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

გვერდითად, ხაზები დამწყდარია, ფორმები კი – მერყევი. ფუტურისტული „ენერგეტიკული“ კომპოზიციები ფრაგმენტებად დანაწევრებული ფიგურებით და მათი გადამკვეთი ბასრი კუთხეებით არის ავსებული. ზოგიერთ მათგანში გამოვლენილია ფუტურისტული სურათის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპიც – სიმულტანურობა.


კირილე ზდანევიჩი აქტიურად მონაწილეობდა არტისტული კაფეების მოხატვაში. ცნობილია, რომ „ფანტასტიკური სამიკიტნო“ მასთან ერთად მოხატეს ლადო გუდიაშვილმა, ალექსეი პეტროკოვსკიმ, იური დეგენმა და ილია ზდანევიჩმა, იმავე წელს იგი სხვა არტისტული კაფის – „არგონავტთა ნავის“ მოხატვაზეც მუშაობდა. 1922-36 წლებში კირილე ზდანევიჩი იყო მარჯანიშვილისა და რუსთაველის თეატრების, ასევე საოპერო თეატრის მხატვარი. მან გააფორმა არაერთი სპექტაკლი, რომლებსაც მისი მხატვრობისთვის ჩვეული სტილური მახასიათებლები გამოარჩევს.

ამ პერიოდის ქართულ და არა მარტო ქართულ მხატვრობაში სრულიად გამორჩეულია ნიკო ფიროსმანაშვილის ფიგურა. მისი პიროვნებისა



ლ. გუდიაშვილი, ებო; ქალალი, აკვარელი; 32X20; 1919; კერძო კოლექცია.

და შემოქმედებისადმი ინტერესი დღესაც არ ნელდება არა მარტო საქართველოში, არამედ უცხოეთშიც. არაერთი მკვლევარი თუ მხატვარი ეცადა მისი არაორდინალური ფერწერის ახსნას. თითქმის ყველა აღნიშნავს მის ორგანულ კავშირს შუა საუკუნეების მხატვრობასთან, განსაკუთრებულ, თავისებურ სულიერებას, რომელიც შეიგრძნობა მის ყველა გამოსახულებაში, დაწყებული ადამიანებიდან, დამთავრებული ნატურმორტებით (რასაც, როგორც წესი, მოკლებულია ზოგადად ნაივური მხატვრობა). შემთხვევითი არაა, რომ ერთ-ერთი მედუქნე, მისი დამკვეთი, ფიროსმანის სურათებს ხატებად აღიქვამდა. გ. ხოშტარიას თქმით, „მისი მხატვრობის ზოგადი წყობისეული მახასიათებლები პირდაპირ ესადაგება თანამედროვე მხატვრობის ყველაზე გაბედულ ამოცანებს, კერძოდ იმ პრობლემატიკას, რომელიც მძაფრად დადგა XX საუკუნის პირველ ათწლეულებში: ინტუიციის როლის წამოწევა წინა პლანზე; ანტიილუზიონიზმი, მძაფრი, ხაზგასმული ოპოზიციები – სიბრტყე-სამგანზომილებიანი ასახვის საგნის ნიშნები; ფერი – ტონალური მოდელირება; ლაკონიზმი,



ლ. გუდიაშვილი, პორტრეტი; ტილო, ზეთი; 55X34; 1925; კერძო კოლექცია, თბილისი.

როგორც ოპოზიციათა გაერთიანების საფუძველი და ა.შ. გასაგები უნდა იყოს, რომ ამ ურთულესი მხატვრული ამოცანების უაღრესად მაღალ დონეზე გადაწყვეტა დიდ გავლენას იქონიებდა ახალგაზრდა ქართველ მხატვრებზე ზოგადშემოქმედებით, მხატვრულ-მსოფლმხედველობით პლანში. ამდენად, ნ. ფიროსმანაშვილის როლი უაღრესად დიდია არა მარტო მისი შემოქმედების უმაღლესი მხატვრული დონით, არამედ იმ ისტორიული როლითაც, რომელსაც იგი ასრულებს როგორც ორი, ძალზე საპირისპირო, განსხვავებული ეპოქის შემაკავშირებელი ხიდი.¹¹

მოდერნისტული მხატვრობის ნიშნები უფრო ადრე აისახა უფროსი თაობის წარმომადგენელი მხატვრის – მოსე თოიძის შემოქმედებაში. მის ფერწერულ ნაწარმოებებში გამოჩნდა რიგი ახალი გამომსახველობითი

11 გ. ხოშტარია, ახალი და უახლესი დროის ქართული სახვითი ხელოვნების პერიოდიზაციის საკითხები, თსუ-ის სამეცნიერო შრომების კრებული, ხელოვნებათმცოდნეობა, №2, 2001.



ლ. გუდიაშვილი, ქართული მოდელების შურნალიდან; ქალალდი, ფანქარი, გუაში; 32X23; 1919; სსმ – თეატრისა და ქორეოგრაფიის მუზეუმი.



ლ. გუდიაშვილი, მწყემსი; ქალალდი, ფანქარი; 21X24; 1918; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

ენობრივი ძიებებისა, რომლებიც 1910-იანი წლებიდან მომდევნო თაობის მხატვრებმა გაამდიდრეს.

უაღრესად მნიშვნელოვანია გიგო გაბაშვილის შემოქმედება, თუმცა მისი ადგილი მაინც წინა თავშია, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული თვალსაზრისით, მან გაუსწრო დროს და განჭვრიტა კიდევ თანამედროვე მხატვრობის მომავალი. იგი იყო პირველი ქართველი მხატვარი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ახალ ქართულ რეალისტურ მხატვრობას და განამტკიცა იგი.

პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში ი. რეპინის კლასში განსწავლული მოსე თოიძის ადრეული პერიოდის ნაწარმოებები რუსული რეალისტური ფერწერის მიდევნებითაა შესრულებული. მოსე თოიძე თავისი ბუნებით ფერმწერია. უკვე 1910-იანი წლებიდან მოყოლებული, თითქმის ყველა მისი ნაწარმოების მხატვრულ გადაწყვეტაში წარმმართველია ფერი, შუქ-ჩრდილი და ფაქტურული, პასტოზური მონასმები. ფუნჯის ვიბრირებადი, მოძრავი, მოკლე მონასმებითაა გადმოცემული რამდენიმე სურათი, რომლებიც მიზანმიმართულადაა განათებული მზის სხივებით ან პირიქით, შებინდული საღამოს გარემოთი და პირდაპირ ასოციაციას იწვევს იმპრესიონისტების ნამუშევრებთან. 1910-იანი წლების დასასრულისთვის იმავე მხატვრული ხერხებითა და საშუალებებით აგებულ ნაწარმოებებში ფერი უფრო ინტენსიური, ჟღერადი, უაღრესად თამამად შეხამებული, სიბრ-

ტყობრივ-ლაქობრივი და ემოციურად დატვირთული ხდება. მძაფრდება შუქ-ჩრდილის კონტრასტული დაპირისპირებაც. თავისუფალი, სწრაფი, დაუდევარი, დინამიკური, მსუყე მონასმები კი დემატერიალიზებულ ფიგურებს თითქოს აკარგვენებს რეალურ ფორმებს და სურათის გარკვეულწილად აბსტრაქტიზებულ სახეს განაპირობებს. გაერთმნიშვნელოვნებული სახვითი ხერხები აძლიერებს სურათის დეკორატიულობას. ამ პერიოდის რამდენიმე ფერწერული ტილო, რომლებიც ამავე მახასიათებლებითაა აღბეჭდილი, მიგვანიშნებს, რომ მოსე თოიძე იზიარებდა თანადროულ მიმდინარეობებს. აღმოსავლური, გაურკვეველი, იდუმალებით მოცული ქალაქის ცალკეული უბნის, ფართლეთის რიგის – „ბაზაზხანის“ თუ „ტყის ზღაპრის“ ხაზგასმულად დეკორატიული, განზოგადებული, ფანტასტიკური, სიმბოლურ-რომანტიკული გადაწყვეტა მოგვაგონებს პოსტიმპრესიონიზმის, „ნაბიდების“ (ზოგიერთი ნამუშევარი განსაკუთრებით ჰგავს პიერ ბონარის, ედუარ ვიუიარის, მორის პრენდერგასტის ნაწარმოებებს), „მირ ისკუსტვას“, სიმბოლისტებისა თუ „არ ნუვოს“ მხატვრობის არსებით მახასიათებლებს.



შ. ქიქოძე, სამი მხატვარი; ტილო, ზეთი, 96X101; 1920; სემ – ხელოვნების მუზეუმი.



შ. ქიქოძე, პარიზი. ლუქსემბურგის ბაღი; ტილო, ზეთი; 108X104; 1920; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

1920-30 წლების ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო და მრავალმხრივი ინტერესების მქონე ხელოვანს – ვალერიან სიღამონ-ერისთავს მოსკოვის ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში ჰქონდა მიღებული განათლება. XX საუკუნის 10-იან წლებში მოღვაწე სხვა ქართველი მხატვრების მსგავსად, ვალერიან სიღამონ-ერისთავის უმთავრეს ამოცანასაც ეროვნული ფორმის ძიება წარმოადგენდა. ამ მიზნით, მან გარკვეული უპირატესობა ისტორიულ თემას უკვე 1910-იანი წლების დასაწყისშივე მიანიჭა. სიღამონ-ერისთავის შემოქმედება, ამ თვალსაზრისით, თანადროულ ქართულ მხატვრულ გარემოში გამონაკლისს წარმოადგენს და მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის პირველი ათწლეულების რუსულ მხატვრობასთან, სადაც ისტორიული პროცესის გააზრების მცდელობა უკვე აკადემიურ მხატვრობაში გამოვლინდა. შემოქმედების საწყის ეტაპზე სიღამონ-ერისთავის ნაწარმოებები ზოგიერთი ნიშნით ყველაზე მეტად აბრამცევის წრის მხატვრებისა და ნ. რერისის შემოქმედებას ეხმიანება, ბატალური თემისთვის უპირატესობის მინიჭებით კი იგი, პირიქით, ემიჯნება რუსული ისტორიული ფერწერის წარმომადგენლებს.



შ. ქიქოძე, პარიზი; მუყაო, ზეთი; 30X40; 1920; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

1910-20 წლებში სიღამონ-ერისთავი, ისტორიული თემის გარდა, ქმნის პორტრეტებსა და ყოველდღიური მოვლენების ამსახველ ტილოებს, სადაც მხატვრის დამოკიდებულება თითქოს რამდენადმე განსხვავებულია. სიღამონ-ერისთავის მთელი შემოქმედება მაჩვენებელია იმისა, რომ მხატვრისთვის უმნიშვნელო თემა თუ მოვლენა არ არსებობს. ერთი შეხედვით, ნაკლებად თვალშისაცემი მხატვრული ხერხებით იგი ჩვეულებრივ მოვლენას მნიშვნელოვნად აქცევს, იქნება ეს ფორმის განზოგადება, ასახულის არსის „დაჭერა“, წაგრძელებული, თავისუფალი მონასმებით დაწერილი სიბრტყობრივი გარემო, სურათის არაჩვეულებრივად დახვეწილი, თამამი მახვილებით გამნიშვნელოვნებული, ნაკლებად მკვეთრი კოლორიტი, მსუბუქი იუმორი, სინამდვილეში მძაფრი, მაგრამ შეპარული გროტესკი თუ სხვა. თუმცა ზოგიერთი სტილისტური ნიშნით ამ ინდივიდუალისტი მხატვრის ნაწარმოებებმა შეიძლება შორეულად ე. დეგა, ვ. სეროვი, კ. კოროვინი და სხვებიც გაგვახსენოს.

ვალერიან სიღამონ-ერისთავის 1920-იანი წლების ნაწარმოებებში აშკარად აისახა ექსპრესიონისტული ხელოვნების ნიშნები. ამ პერიოდში შექმნილ



შ. ქიქოძე, კარიკატურა; ქალაქი, ტუში; 34X24; 1914; სემ – ხელოვნების მუზეუმი.



მ. შავიშვილი, „დებერტიკა“; ქალაქი, ფანქარი, აკვარელი, ტუში; 26,4X33,8; 1925; რუსთაველის თეატრის მუზეუმი.

რამდენიმე ნამუშევარში („წითელი მთესველები“, „წითელ ცხენოსანთა შეტევა“, „ბავშვები ბაღში“) ყველაზე ზუსტად გამოიხატა ამ მიმდინარეობის განწყობა, რომელიც გარდამავალი სიტუაციისა და სპეციფიკური სოციალური კლიმატის პირობებში, საუკუნის პირველ მეოთხედში ევროპის არაერთი ქვეყნისთვის დამახასიათებელი იყო. არაა გასაკვირი, რომ გამოკვეთილად პატრიოტი მხატვარი ვალერიან სიდამონ-ერისთავი წითელი არმიის შემოსვლის შემდეგ ექსპრესიონისტი გამხდარიყო.

არისტოკრატიული წარმომავლობის მხატვრისთვის ბოლშევიზმი არა მხოლოდ მისი სამშობლოს დაპყრობას ნიშნავდა, არამედ იმასაც, რომ ამ დრომდე შემორჩენილ ქართულ არისტოკრაციას განადგურება ელოდა. მაცურებლისთვის განსაკუთრებით შემაშფოთებელი, სულის შემძვრელი, ძრწოლის მომგვრელია 1920-იანი წლების დასაწყისში შექმნილი „წითელი მთესველები“. იმ დროისთვის გასაოცრად თამამი ნაწარმოები მთლიანად სიმბოლური და ალეგორიული მინიშნებებითაა დატვირთული. ადრეული გაზაფხულის ნათელ დღეს, თეთრად აყვავებული ხეების ფონზე, ახლად გადახნულ მიწაზე მაცურებლისკენ მძიმე ჩექმებით ისე მოაბიჯებს სამხედრო პირი, თითქოს სასურათე სიბრტყის აქეთაც აპირებდეს სვლის გაგრძელებას. ეს ტიპური ახალბედა ბოლშევიკია, რომლის სამოსს რაიმე სამხედრო ნიშანი არ აქვს. ფართოყვრილობიანს, მოკლე, პაჭუა ცხვირითა და შეუბრალებელი, მკაცრი სახით, თავი გვერდით მიუბრუნებია და დაჟინებული მხერით ჩაშტერებია რაღაცას, თითქოს მომავალ მსხვერპლს აკვირდებოდა. უკან თითქმის თანაბარი ინტერვალებით დაშორებული ახალ-

გაზრდები მოჰყვებიან. მათი ხასხასა წითელი პერანგის ლაქები ყველაზე აქტიურია სურათში. ეს უპირისპირო არსებები, რიტმული, მყარი, სწრაფი ნაბიჯით მხატვრის მშობლიურ მიწაზე მოაბიჯებენ და ბოლშევიზმს თესავენ. ფერწერული ტილო „ბავშვები ბაღში“ უკვე 1920-იანი წლების ბოლოს არის შესრულებული. მზით განათებული, კამკაშა დღის ატმოსფერო ძირითადად შექმნილია ცივი, მჭახე, მკვეთრი ფერების ლოკალური ლაქებით, ტენილი, ვიბრირებადი, უსწორმასწორო, მსუყე მონასმებითა და ცენტრში წინა პლანზე დახატული ორი მცირეწლოვანი გოგონას ფიგურით. ეს ორი დამუხტული, უშნო, გროტესკული, ჯუჯისმაგვარი ფიგურა, ახალი საბჭოთა სინამდვილის ნაყოფი, შემაშფოთებელ შთაბეჭდილებას ახდენს. „წითელ ცხენოსანთა შეტევა“ უზარმაზარი ტილოა. სივრცე თითქოს ერთიანად ამოძრავებულა. ამოყრილი ნიადაგი უსწორმასწოროა, დატენილ-ლოდებიანი. მძიმე, სპირალურად ჩახვეული ღრუბლებიც მონაცვლეობს და თითქოს ყველაფერი დაუოკებლად მიისწრაფის წინ. ცენტრში ყალყზე შემდგარა ცხენი. მაცურებლისადმი ზურგშექცეული მხედარი ხელაწვდილი ანიშნებს ყოველი მხრიდან მოქრიალე მხედრებს, იჩქარონ თავიანთი მისიის შესრულება. საკმაოდ მკვეთრი ფერადოვანი რიტმული აქცენტები, წითელი დროშების სიჭარბე ცივი, ტრაგიკული, ლურჯი ცის ფონზე მძაფრად დინამიკურია და ემოციური, თუმცა წინა ნაწარმოებებისაგან განსხვავებით – ნაკლებად შემზარავი.


ვალერიან სიდამონ-ერისთავმა 1922 წლიდან დაიწყო მუშაობა ქართულ თეატრსა და კინოში. თანამშრომლობდა კოტე მარჯანიშვილთან. 1922 წელს რუსთაველის თეატრში გააფორმა სპექტაკლები „ცხვის წყარო“ და „მზის დაბნელება საქართველოში“. 1923 წელს იყო ზაქარია ფალიაშვილის „დაისის“ პირველი დადგმის მხატვარი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში, 1924 წელს კი – არაყიშვილის ოპერისა „შოთა რუსთაველი“.

1916 წელს გერმანიიდან საქართველოში დაბრუნდა ქართული მოდერნიზმისათვის და საერთოდ ქართული კულტურისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოღვაწე, მხატვარი დიმიტრი შევარდნაძე. მან 1906 წელს ჩააბარა მიუნხენის სამხატვრო აკადემიაში და თითქმის 10 წელი დაჰყო იმდროინდელი ევროპის ერთ-ერთ მხატვრულ ცენტრში. საქართველოში მისი საბოლოო დამკვიდრების თარიღი, 1916 წელი, მართლაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ქართული კულტურისთვის, ვინაიდან ამავე წელს დიმიტრი შევარდნაძემ დააარსა „ქართველ ხელოვანთა საზოგადოება“ – პროფესიული ორგანიზაცია კარგად გააზრებული პროგრამითა და წესდებით, რომელშიც სხვადასხვა თაობის ქართველი მხატვრები გაერთიანდნენ. 1919-20 წლებში „ქართველ ხელოვანთა საზოგადოებამ“ „დიდების ტაძარში“ მოაწყო თანამედროვე მხატვართა სამი გამოფენა. სწორედ „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ შერჩევით, თაოსნობითა და უშუალო შუამდგომლობით მიიღეს 1919 წელს დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის სტიპენდიები დავით კაკაბაძემ, ლადო გუდიაშვილმა და შალვა ქიქოძემ, რომლებიც იმავე წელს პარიზში გაემგზავრნენ. მოგვიანებით მათ ქეთევან მაღალაშვილი და ელენე ახვლედიანიც შეუერთდნენ.

1920 წელს დიმიტრი შევარდნაძემ დააარსა საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეა და გახდა მისი პირველი დირექტორი. მის მიერ შექმნილი ეროვნული გალერეის პირველ დიდ ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო მისივე ძალისხმევით შეგროვებული ქართული, ევროპული და აღმოსავლური ხელოვნების ნიმუშები. 1933 წელს დიმიტრი შევარდნაძის მიერ მეტენის ციხეში გადატანილი ეროვნული გალერეა გადაიქცა პირველ ქართულ მუზეუმად, რომლის ბაზაზეც შემდგომში დაფუძნდა საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმი.

მიუნხენიდან ჩამოტანილი ნაწარმოებები, რომლებიც დიმიტრი შევარდნაძის ძირითად მხატვრულ მემკვიდრეობას შეადგენს, გამოირჩევა მრავალფეროვნებით და ასახავს საკუთარი მხატვრული ხედვის ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ახალგაზრდა მხატვრის ძიების პერიოდს. 1908 წელს ფანქრითა და ნახშირით შესრულებულ ქალთა სერიებში ყურადღება გამახვილებულია მოდელის განწყობაზე, სილუეტზე, ელეგანტურ პოზაზე, შესტზე, წამიერ მოძრაობაზე. ეს, ფაქტობრივად, სწრაფად შესრულებული ჩანახატებია, სადაც გადამწყვეტია შტრიხი. რბილი ფანქრით ან შედარებით მკვეთრი ნახშირით შესრულებული კომპოზიციები გამოირჩევა სადა, უბრალო გადაწყვეტით. სერიული ხასიათითა და სწრაფი, ესკიზური წერის მანერით ისინი პოსტიმპრესიონისტ მხატვრებს მოგვაგონებს. დიმიტრი შევარდნაძის მიუნხენის პერიოდის ფერწერული ნამუშევრების, მეტწილად პორტრეტების, ნაწილი შესრულების მანერით ეხმიანება XIX საუკუნის გერმანული მხატვრობის რეალისტურ ტენდენციებს, რომლებიც XX საუკუნის დასაწყისში მიუნხენის სამხატვრო აკადემიაში ჯერ კიდევ ცოცხალი და მნიშვნელოვანი იყო, სხვები კი მაჩვენებელია იმისა, რომ მხატვარი კარგად იცნობდა ამ პერიოდის ახალ და მოწინავე მიმდინარეობებსაც. ინტენსიური, სუფთა ფერებით, მოძრავი ლაქობრივი წერის მანერით და გარკვეული ექსპრესიულობით დახატული „შიშველი მამაკაცი ზურგიდან“ და „შიშველი ნატურა“ ექსპრესიონისტული მიმდინარეობების გამოძახილი უნდა იყოს. „ქალი ლურჯში“, როგორც ჩანს, ანრი დე ტულუზ-ლოტრეკის შემოქმედების ზემოქმედებითაა შექმნილი, ხოლო ნატურმორტების ნაწილი პოლ სეზანის მხატვრობის გავლენაზე მიგვანიშნებს.

დავით კაკაბაძე იყო ქართველ ხელოვანთა შორის ერთადერთი თეორეტიკოსი მხატვარი, რომელიც მეცნიერულად აანალიზებდა ავანგარდული ხელოვნების აქტუალურ საკითხებს. თანამედროვე ქართული ხელოვნების შემდგომი განვითარება, მისი რწმენით, შეიძლებოდა განხორციელებულიყო მხოლოდ მოწინავე ევროპული ხელოვნების ფორმალური მიღწევების პირდაპირი, უშუალო გაზიარებითა და ათვისებით. „ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ საქართველო მიდიოდეს კულტურულ შემოქმედებაში თანამედროვე მოწინავე ქვეყნებთან ისე, როგორც შუა საუკუნეებში ქართველი ხალხი შეადგენდა ერთ მოწინავე რაზმს იმ დროის კულტურულ ერთა შორის...“¹²



ქ. მაღალაშვილი, დიმიტრი შევარდნაძის პორტრეტი; ტილო, ზეთი; 51X21; 1921; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

12 პ. მარგველაშვილი, დავით კაკაბაძის არქივიდან, თბ., 2002, 10.



ქ. მალალაშვილი, ტატიანა კაკაბაძის პორტრეტი; ტილო, ზეთი; 65X50; 1924; სემ – ხელოვნების მუზეუმი.


მოგვიანებით ის აღნიშნავდა, რომ პარიზში ცხოვრების შვიდი წლის მანძილზე იგი არა მხოლოდ სწავლობდა, არამედ პრაქტიკულად მუშაობდა თანამედროვე მიმდინარეობებსა და ფორმებზე, რადგანაც მას მოწინავე დასავლეთევროპული ხელოვნების ყველა საიდუმლოს ამოცნობა სურდა. 1914 წელს ოთხი მხატვარი – კაკაბაძე, ფილონოვი, კირილოვი, ლასონ-სპიროვა – აფუძნებს საზოგადოებას სახელწოდებით „ფერმწერთა და მხატვართა ინტიმური სახელოსნო“ (*Интимная мастерская живописцев и рисовальщиков*) და აქვეყნებს მანიფესტს „გაკეთებული სურათები“ (*Сделанные картины*). 1920 წელს პარიზში ჩასულ დავით კაკაბაძეს საქართველოში უკვე შესრულებული ჰქონდა თავისი მნიშვნელოვანი, საეტაპო ნაწარმოებები. 1917 წელს მან დაიწყო მუშაობა იმერეთის პეიზაჟების სერიაზე, 1918 წელს კი უკვე შესრულებული ჰქონდა ცნობილი ნამუშევრები „იმერეთის ნატურმორტი“, „იმერეთი – დედაჩემი“ და სხვ. 1919 წელს კაკაბაძემ ლადო გუდიაშვილთან და სერგეი სუდეიკინთან ერთად მოხატა იმ დროისთვის ალბათ ყველაზე პოპულარული არტისტული კაფე „ქიმერიონი“, ასევე მონაწილეობდა არტისტული კაფეების „ფანტასტიკური სამიკიტნოსა“ და „ფარშევანგის კუდის“ მოხატვაში. დავით კაკაბაძის შემოქმედებას ახასიათებდა მხატვრულ სტილთა და მიმართულებათა მრავალფეროვნება.



ე. ახვლედიანი, პარიზი; ტილო, ზეთი; 47X55; 1920-იანი წლები; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

ეს ექსპერიმენტატორი ხელოვანი სრულიად განსხვავებული მხატვრული ფორმებითა და ენით ქმნიდა მრავალფეროვან სერიებსა თუ ნაწარმოებებს. თუმცა მისი შემოქმედების ამა თუ იმ ეტაპზე შექმნილ ფიგურატიულ და აბსტრაქტულ ნაწარმოებებს თანაბრად გამოარჩევს კომპოზიციის სტრუქტურული, ნათელი, რაციონალურად გააზრებული, შეიძლება ითქვას, კლასიკური წყობა, დეკორატიულობა, უაღრესად დახვეწილი, ლაკონიურად მეტყველი, თავშეკავებული კოლორიტი, ასახულის არსის სტატიკური მონუმენტურობისა და ზედროულობის გადმოცემის სურვილი. კაკაბაძისთვის უცხო და მიუღებელია ექსპრესიული, გარეთ გამოტანილი, გამულავნებული ემოციურობა. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ XX საუკუნის ავანგარდულ სტილთა შორის მხატვარმა უპირატესობა მიანიჭა სწორედ კუბისტურ ტენდენციებს, რომლებიც ყველაზე მეტად შეესატყვისებოდა მის მხატვრულ გემოვნებასა და ხედვას.

პარიზში ჩასულმა დავით კაკაბაძემ, ქალაქში სანგინით შესრულებული პარიზის ჩანახატების პარალელურად, შექმნა პარიზის ხედების ფერწერული კუბისტური კომპოზიციები, რომლებიც თავისებურად გადამუშავებული სახით ერთდროულად ანალიტიკური და სინთეტური კუბიზმის ნიშ-



ე. ახვლედიანი, ავტოპორტრეტი;
ტილო, ზეთი; 40X30; 1928;
კერძო კოლექცია, თბილისი.

ნებს შეიცავს. მომდევნო წლებში მან უპირატესობა მიანიჭა აბსრაქტულ, უსაგნო ხელოვნებას. ამ მხრივ, საინტერესოა აკვარელის საღებავებით შესრულებული, თითქოს სივრცით, ჰაერითა და წყლით გაუღებელი „ბრეტანის სერია“, სადაც იალქნიანი ნაგებობა და სახლების ერთ ნაწილში შენარჩუნებულია რეალური ფორმები, ხოლო ნაგებობის მეორე ნაწილი სრულიად აბსტრაქტიზებულია, თავისუფალია საგნობრივისგან და გადმოცემულია ხაზებითა და შეფერადებული, სქემატური გეომეტრიული ფორმებით. ეს სერია იალქნის, ტალღების ან თევზის ფორმებს მხოლოდ შორეულად მოგვაგონებს. მომდევნო წლების ზოგიერთ დეკორატიულ კომპოზიციაში უკიდურესად განზოგადებული, „გამარტივებული“ გამოსახულებები საგნობრივი პირველწყაროს მხოლოდ შორეულ მინიშნებას წარმოადგენს. 1926-27 წლებში შექმნილი აბსტრაქტული კომპოზიციები კონცეპტუალურად უფრო ახლოსაა „ლურჯი მხედრის“ ზოგიერთი მხატვრის (ვასილი კანდინსკის, პაულ კლეფს) გარკვეული პერიოდის ნამუშევრებთან, რომლებმაც კუბისტური აბსტრაქციის სქემატიზებული კონსტრუქციული მასალა ექსპრესიონიზმის ემოციურობასა და სიმბოლურ მეტყველებას დაუკავშირეს. დავით კაკაბაძის „დეკორატიული მოტივები“ იწვევს კოსმოსის, მიკროსკოპში დანახული უჯრედებისა თუ ემბრიონების ასოციაციას. თითქოს უსაზღვრო სივრცეში განფენილი, კალიგრაფიული, ფაქიზად მონიშნული ფორმები ფიქსირებულია ცენტრში და გაწონასწორებულია



ე. ახვლედიანი, ა. აფინოგენოვი – „შიმი“,
დეკორაცია; ქალაღი, ფანქარი, აკვარელი;
20X20; 1932; თბილისის კ. მარჯანიშვილის
თეატრის მუზეუმი.

პირობითი ჩარჩოებით. მიუხედავად ერთმანეთში გარდამავალი, ემოციური, დეკორატიული ფერადონებისა, კოლორიტი აქაც დახვეწილი და ჰარმონიულია, რაც მას „ლურჯი მხედრის“ ექსპრესიონისტული აბსტრაქციის მკვეთრი ფერადონებისგან განასხვავებს.

1924-25 წლებში შექმნილი კონსტრუქციულ-დეკორატიული კომპოზიციები დავით კაკაბაძეს დადასა და სიურეალიზმის, სხვა თანადროული ავანგარდული მიმდინარეობების, წარმომადგენლებთანაც აახლოებს. ეს „კონსტრუქციული“ კომპოზიციები, დადაისტების ნამუშევრების მსგავსად, თავისი შინაარსითა და შემადგენლობით ცილდება ტრადიციული ხელოვნების ნიმუშის ფარგლებს, თუმცა პირობითად ინარჩუნებს დაზგური სურათის, მოჩარჩოებული სასურათე სიბრტყის, ფორმას. ამ კომპოზიციებში კაკაბაძემ გამოიყენა მის მიერ გამოგონილი სტერეოკინოს აპარატის დეტალები – ლინზები და სარკეები, რომლებიც ფაქიზად ტონირებულ ფონზე განათავსა. კუბისტებისა და დადაისტების მსგავსად, ტრადიციულ მასალასთან ერთად კაკაბაძეს თავის კომპოზიციებში შეტანილი აქვს ახალი მასალა: მუყაო, ხე, ლითონი, მინა და სხვ. თითოეული კომპოზიცია აქაც გაანალიზებულია, გამოთვლილია ცალკეული დეტალის ადგილმდებარეობა. ზოგიერთ ნიმუშში ჩართულია ორგანული ფორმის, რედუცირებული მცენარის გამოსახულება ან ზუსტად, მკაფიოდ დატანილი ხა-



პ. ოცხელი, კოსტიუმის
ესკიზი; ქალალდი, აკვარელი;
32X20; 1930-იანი წლები;
კერძო კოლექცია.



პ. ოცხელი, „ყჩაღები“, კოსტიუმის
ესკიზი; ქალალდი, აკვარელი;
39X20; 1932; სსმ – თეატრისა და
ქორეოგრაფიის მუზეუმი.

ზები. მრგვალი ფორმის სარკეებში არეკლილ მაყურებელს ამ გაწონასწორებულ, სტატიკურ კომპოზიციებში გარკვეული მოძრაობის, დინამიკის ეფექტი შეაქვს. ნიუორკელი დადაისტიებისგან (მან რეი, მარსელ დიუშანი) განსხვავებით, კაკაბაძე რეალურ საგნებს ხელოვნების ობიექტებად კი არ გარდასახავს, არამედ მხოლოდ დეტალებად იყენებს ისე, რომ მათი პირველადი, ყოფითი, ფუნქციური დანიშნულება არ ამოიცინობა. ცხადია, შემთხვევითი არაა, რომ 1926 წელს *Société Anonyme*-ის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, კოლექციონერმა კატრინ დრაიერმა, დავით კაკაბაძის ნამუშევრები და, მათ შორის, ქანდაკება „Z“ მან რეის, ნაუმ გაბოს, კონსტანტინ ბრანკუზის, ჰანს არპისა და სხვა ავანგარდისტ ხელოვანთა ნაწარმოებებთან ერთად შეარჩია. ეს ნაწარმოებები დღესაც იელის უნივერსიტეტის ხელოვნების გალერეაში ინახება, ხოლო ქანდაკება „Z“ *Société Anonyme*-ის სახე გახდა. 1922 წელს დავით კაკაბაძემ გააფორმა ხელშეკრულება მ. მიულერთან და კ. კობახიძესთან „უსათვალო სტერეოკინომატოგრაფის“ გამოგონებაზე. მას შემდეგ, რაც გამოგონება პარიზის ოპტიკის ინსტი-

ტუტს წარუდგინეს, პატენტი მასზე შეისყიდა ამერიკამ, გერმანიამ, იტალიამ, ბელგიამ, ესპანეთმა და უნგრეთმა. 1921 წლიდან მოყოლებული, დავით კაკაბაძე მონაწილეობდა „დამოუკიდებელთა სალონის“ (*Salon des indépendants*) ყოველწლიურ გამოფენებში პარიზში. კითხულობდა ლექციებს, აქვეყნებდა სტატიებს. მან გამოსცა წიგნები: „პარიზი, 1920-1923 წლები“, „კონსტრუქციული სურათის შესახებ“ (1921), „ხელოვნება და სივრცე“ (პარიზი, 1924-1925). 1924-26 წლებში მხატვარი თანამშრომლობდა ლეონ როზენბერგის *Bulletin de L'effort Moderne*-თან, სადაც ქვეყნდებოდა მისი წერილები თანამედროვე ხელოვნების შესახებ. მართალია, საქართველოში დაბრუნებული დავით კაკაბაძე ფიზიკურად გადაურჩა რეპრესიებს, მაგრამ მას შემდეგ, რაც სასტუმრო „ორიენტში“ მოწყობილი პერსონალური გამოფენა ოფიციალურადაც არ მიიღო, 1933 წლამდე მან შეწყვიტა ხატვა და ამ წლებს „დუმილის პერიოდი“ უწოდა.

1919 წელს პარიზში ჩასულ ლადო გუდიაშვილს უკვე სრულიად ჩამოყალიბებული, მკვეთრად გამოხატული, ინდივიდუალური, თვითმყოფადი სტილი ჰქონდა. მისი პარიზული ცხოვრება საკმაოდ დატვირთული იყო. 1919-26 წლებში იგი რონსონის აკადემიაში სწავლობდა. მონაწილეობდა




პ. ოცხელი, „ჩატეხილი ხიდი“; ქალალდი, ფანქარი, აკვარელი; 27X40; 1935; თბილისის კ. მარჯანიშვილის თეატრის მუზეუმი.



ი. გამრეკელი, ესკიზი სპექტაკლისათვის „კაცი-მასა“; ქალაღი, გუაში; 18X24; 1923; სსმ – თეატრისა და ქორეოგრაფიის მუზეუმი.

„შემოდგომის სალონისა“ (*Salon d' Automne*) და „დამოუკიდებლების“ (*Les independents*) გამოფენებში. პარიზში ყოფნისას მისი შემოქმედების ძირითადი თემა კვლავაც ძველი თბილისია. პარიზშია შესრულებული „თევზი ცოცხალი“, „სადღეგრძელო ალიონზე“, „ორთაჭალის სტუმრები“, „ტყუპები“ და სხვ. მისი ნაწარმოებები რომის, ბრიუსელის, ამსტერდამის, ნიუ-იორკის დარბაზებშიც იფინებოდა, ხოლო 1922 და 1925 წლებში „ლა ლიკორნისა“ (*La Licorne*) და ბილიეს (*Joseph Billiet*) გალერეებში გუდიაშვილის პერსონალური გამოფენები გაიხსნა. მისი შემოქმედების შესახებ წერდნენ ანდრე სალმონი და მორის რენალი. ლადო გუდიაშვილს შემოქმედებითი და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა პ. პიკასოსთან, ა. მოდილიანისთან, ა. მატისთან, ა. დერენტან, ფ. ლეფესთან, მ. უტრილოსთან, ლ. არაგონთან, ა. ბრეტონთან და სხვებთან, მანამდე კი საქართველოში იგი ქართველ მოდერნისტ მხატვართა შორის ყველაზე აქტიურად ჩაება 1916-19 წლების თბილისის უაღრესად ინტენსიურ მხატვრულ ცხოვრებაში.



ი. გამრეკელი, ა. მაშაშვილი – „განგაში“, დეკორაციის ესკიზი; ქალაღი, ფანქარი, აკვარელი; 42X53,5; 1930; რუსთაველის თეატრის მუზეუმი.

ლადო გუდიაშვილი იყო „ფუტურისტთა სინდიკატის“ წევრი, ფუტურისტთა და „ცისფერყანწელთა“ საღამოების დისკუსიების აქტიური მონაწილე. მას ეკუთვნის „ფანტასტიკური დუქნისა“ და „ქიმერიონის“ რამდენიმე კედლის მონატულობა. კ. ზდანევიჩთან, ს. ვალიშევსკისთან, ნ. გონჩაროვასთან, ა. ბაუბეუქ-მელიქოვთან, ი. ტერენტიევთან ერთად გუდიაშვილმა დაასურათა კრებული „პატარა ფანტასტიკური დუქანი. ეძღვნება სოფია მელნიკოვას“, სადაც შრიფტული კოლაჟები ი. ზდანევიჩის შესრულებული იყო. რუს ხელოვანებს განსაკუთრებით მოსწონდათ ლადო გუდიაშვილის შემოქმედება და მას ერთადერთ ქართველ ფუტურისტ მხატვრად მიიჩნევდნენ. არ უნდა იყოს გასაკვირი ისიც, რომ პარიზში ჩასულ ქართველ მხატვართა შორის, ლადო გუდიაშვილმა თავისი მეტად თავისებური, ევროპელთათვის, უპირველეს ყოვლისა, ალბათ ეგზოტიკური მხატვრობით განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. იგი ჯერ კიდევ თბილისში იყო ნაზიარები იმდროინდელ ავანგარდულ მიმდინარეობებს. 1910-20 წლებში



მ. ბილანიშვილი, ახალგაზრდა მამაკაცის პორტრეტი; ქალაქი, აკვარელი; 37,5X29,5; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

საქართველოსა თუ საფრანგეთში შექმნილი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ნაწარმოებები სრულიად ახალგაზრდა ლადო გუდიაშვილის ჩანაფიქრთა არაჩვეულებრივ განხორციელებას ადასტურებს. მის შემოქმედებას, რომლის წარმმართველი, არსებითი თვისება – ხაზის მეტყველება და დეკორატიულობის სიყვარული – უდავოდ ქართული კედლის მხატვრობიდან, განსაკუთრებით კი, გვიანი ხანის ქართული და სპარსული მინიატურებიდან მომდინარეობს, მრავალი წყარო ასაზრდოებს. გუდიაშვილის მხატვრობის ორიგინალურობის ერთ-ერთი ნიშანი თბილისური ბოჭემის თემის თავისებური, მახვილად მონახული ინტერპრეტაციაა. მიზანმიმართულად მუქ კოლორიტში გადაწყვეტილი, დანაწევრებული, კუთხოვანი, ზოგჯერ აყირავებული სიბრტყეებითა და ექსპრესიული, მრავალგვარად გამოყენებული ხაზით შექმნილი უტრირებული, გროტესკული გარემო, თითქოს ანალიტიკური კუბიზმისათვის სახასიათო ნიშნებისაც შეიცავს. გუდიაშვილის ნაწარმოებებისთვის დამახასიათებელი სიმბოლიზმი და ალევორიზმი მას ყველაზე მეტად ქართველ სიმბოლისტ პოეტებთან ანათესავებს, სიზმრისეულ-ფანტასტიკური პერსონაჟები და გარემო კი დაკავშირებულია როგორც ქართულ ფოლკლორთან, ზღაპართან, ასევე მხატვრის გამონაგონთან, თავისუფლად გამოვლენილ ინტუიციასა და სიურეალისტურ ხილვებთან. მხატვრის ნამუშევართა გარკვეულ ნაწილში ჭარბობს ლოკალური სიბრტყეები, ორნამენტული ხაზი, სპარსული მინ-



ფ. ვარლამიშვილი, შარლემანის პორტრეტი; ქალაქი, ფანქარი; 1921; კერძო კოლექცია, თბილისი.

იატურისადმი გამოკვეთილი ინტერესი (ლ. გუდიაშვილის სიყვარული თუ მიდრეკილება ზოგადად აღმოსავლური კულტურისადმი იმდენად ცხადია, რომ შ. ქიქოძე პარიზში მას, ფიქრებში ჩაღრმავებულს, ბუდას პოზაში ხატავს სურათში „სამი მეგობარი“). ყოველივე ამასთან ერთად, კომპოზიციის საერთო დეკორატიული გადაწყვეტა, ფორმათა გაზვიადება და უტრირება, არაბესკის სიყვარული და ეროტიკულის პოეტიზირება ესადაგება ავანგარდულ მხატვრულ მსოფლმხედველობასა და გემოვნებას, განსაკუთრებით, ანრი მატისის თანადროულ, თუმცა სრულიად სხვაგვარად, სუბიექტურად ინტერპრეტირებულ შემოქმედებას. გრაფიკულ ნამუშევართა ერთი სერიის ძლიერი, დამუხტული ხაზებით მონიშნული გროტესკული, დაგრეხილი, დეფორმირებული, გაურკვეველი სქესის და ანდროგინული შიშველი ფიგურები დინამიკური მეტყველებით, თითქოს სიმბოლისტური მხატვრობისა და ჩრდილოური ექსპრესიონიზმის თავისებურ ნაზავს, სუბიექტურ შემოქმედებით ინტერპრეტაციას წარმოადგენენ.

სრულიად ახალგაზრდა შალვა ქიქოძის ფერწერულ ნაწარმოებთა დიდი ნაწილი შექმნილია პარიზში ცხოვრების პერიოდში წელიწად-ნახევრის განმავლობაში. შალვა ქიქოძეს საკმაოდ ადრე, შეიძლება ითქვას, ჯერ კიდევ ყრმობის წლებში ჩამოუყალიბდა ინდივიდუალური, საკმაოდ მძაფრი, იუმორით გაჯერებული, მახვილი ხედვა. იგი ჯერ კიდევ მოსკოვის



დ. ქუთათელაძე, შემოდგომის სურათი; ქალაღი, ტუში, კალამი; 23X16,5; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში სწავლისას აქვეყნებდა მოსკოვურ თეატრალურ ჟურნალებში რუსი თეატრალების შარჟებსა და კარიკატურებს ფსევდონიმით *Chalico*. შალვა ქიქოძეს ქართულ იუმორისტულ და სათეატრო ჟურნალებთანაც ჰქონდა ამგვარი თანამშრომლობა.

1920 წლის დასაწყისში ევროპული კულტურის ცენტრში მოხვედრილ 26 წლის შალვა ქიქოძეს თავისი ორი მეგობრისგან – დავით კაკაბაძისა და ლადო გუდიაშვილისაგან განსხვავებით, თანადროული პარიზის საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ საშინელი იმედგაცრუება დაეფულა. მისი ფიქრები და განცდები, გარდა მისი მხატვრობისა, ახლობლებისადმი მიწერილ უაღრესად ცოცხალ და საინტერესო წერილებშიც აისახა. საბოლოოდ სწორედ პარიზში შექმნილ ნაწარმოებებში გამოაშკარავდა და ჩამოყალიბდა შალვა ქიქოძის მხატვრობისათვის ყველაზე მეტად დამახასიათებელი ექსპრესიონისტული დამოკიდებულება გარემომცველი სინამდვილისადმი. ალბათ ამიტომაც მიუწევდა გული გერმანიისაკენ. პარიზში შალვა ქიქოძემ მიმართა რამდენიმე თემას, რომლებსაც თავისი განწყობის მიხედვით, შესატყვისი მხატვრული ფორმა მოუძებნა.

იმ ნაწარმოებებს შორის, რომლებიც შალვა ქიქოძემ საფრანგეთში შექმნა, პარიზის ხედების ამსახველი ციკლი ემოციურად საკმაოდ დატვირთული, მაგრამ სხვა ნამუშევრებთან შედარებით, ნაკლებად მძაფრია. მივარდნილი, მყუდრო უბნების ქუჩები მხატვრისთვის პარიზული გარემოს ყველაზე ტიპური, სახასიათო ამონარიდებია. ფუნჯის სწრაფი, დაუდევარი, ირეგულარული მონასმებით შექმნილი ფერწერული სურათები „დაჭერილი“ კადრის, ესკიზის, ჩანახატის ელფერს იძენს. ხშირად არცთუ სქელი საღებავის ფენაზე კონტურის შემცველი ამონაკაწრებით მონიშნულია განზოგადებული, სიბრტყოვანი ფორმები. შალვა ქიქოძეც პარიზის იმავე ხედებზე ამსახველებს ყურადღებას, რომლებზეც მისი თანამედროვე ევროპელი მხატვრები (ა. დერენი, ა. მარკე, მ. დე ვლამინკი), თუმცა მათგან განსხვავებით, არამკვეთრ, მონოქრომულ, რბილ ფერადოვან გამაში დაწერილი ქალაქი ქიქოძისთვის მეტწილად ღრუბლიანი და სევდის მომგვრელია.

შალვა ქიქოძის ექსპრესიონისტული მსოფლალქმა ყველაზე მძაფრად პარიზული ყოფისა და ბოჰემის ამსახველ ნაწარმოებებში გამოვლინდა. ევროპელი ექსპრესიონისტი მხატვრების მსგავსად, მისთვისაც მიუღებელი აღმოჩნდა დიდი ქალაქი თავისი ცხოვრების წესით. შეიძლება ითქვას, რომ შალვა ქიქოძემ, თავისი დახვეწილი, კეთილშობილური ბუნებიდან გამომდინარე, სხვა ქართველ მხატვრებთან შედარებით, გაცილებით მძაფრად და გულწრფელად განიცადა ეპოქისეული სულის კრიზისი, რო-



შ. მამალაძე, თბილისის მოტივი. დატვირთული აქლემები; ლინოგრაფიურა; 8.3X7; 1924; სემ – ხელოვნების მუზეუმი.



შ. მამალაძე, თბილისის მოტივი; ლინოგრაფიურა; 10X7,5; 1924; სემ – ხელოვნების მუზეუმი.



ე. ლალაევა, გ. ვაშლიძის პორტრეტი; ქალაქი, შერეული ტექნიკა; 38,5X39,5; 1928; კერძო კოლექცია.

მელიც მის თანამედროვე ევროპულ კულტურაში სამყაროსთან ინდივიდის გაუცხოების უმთავრესი მიზეზი იყო. „ეს იყო სატირული ან ტრაგიკული აზროვნების მხატვარი... პარიზის ქაოსმა ეტყობა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ მგრძობიარე ადამიანზე. ის ირონიულად ლაპარაკობდა თავის ნაადრევ დაბერებაზე, ლაპარაკობდა ავტოპორტრეტის ენით“.¹³ შალვა ქიქოძისთვის მტკივნეული, მიუღებელი გარემო მეტაფორულ-ფანტასტიკური და სიმბოლურ-ალეგორიული ნიშნებით დატვირთული მხატვრული სახეებისა და გაუბრალოებული, ხშირად დაუდევრად დახატული, რეალისტური სახეითი ფორმების ნაზავია. ქიქოძისეული ექსპრესიონისტული ხედვა რამდენადმე განსხვავდება გერმანული ექსპრესიონიზმისგან, თითქოს მოკლებულია მისთვის არსებით უკიდურეს სიმძაფრეს. ექსპრესიონისტული განწყობა მისთვისაც მსოფლმხედველობრივია, პიროვნებიდან მომდინარეა. მის ნაწარმოებებში გამოსახვის საშუალებების სიმძაფრე აშკარად თვალშისაცემი არაა, რამდენადმე შემპარავადაა მოწოდებული. მათი ბოლომდე აღქმა, გააზრება გარკვეულ დროსა და დაფიქრებას მოითხოვს. თუმცა რთული სათქმელია, ეს ეროვნული ხელოვნების თავისებურებაა თუ მხატვრის პიროვნული თვისება. ქიქოძის კომპოზიციებშიც ხშირია გამომსახველობითი კონტრასტები: მოცულობითი გამოსახულებებისა და

13 გ. ქიქოძის არქივიდან „უცხოეთში მყოფი ქართველი მხატვრების შესახებ“.

სიბრტყოვანი ელემენტების შეპირისპირება, რეალური და არამყარი ანალიტიკური კუბიზმის მსგავსი, დაცურებული სიბრტყეების თანაარსებობა, შთამბეჭდავ, მკაფიო ფერადოვან ლაქათა კონტრასტზე აგებული კოლორიტი, საგანთა სწორკუთხა მონახაზებისა და ნახევარწრიული რიტმის თანაარსებობა და ა.შ. სარკაზმით, გამოუვალობის შეგრძნებით აღსავსე სცენებში ინდივიდუალობას მოკლებულ, გროტესკულ სახეებს იგი ზოგჯერ ნიღბების იერს აძლევს, მათ გვერდით კი გამოირჩევა მისი ტრაგიკული წინათგრძნობით აღბეჭდილი ავტოპორტრეტები ხან თანამონაწილის, ხანაც დამკვირვებლის როლში. ზოგიერთ ნიმუშში კომპოზიციის აშკარა რაციონალიზმს მოულოდნელად აბსურდული საგნები და გარემო ერწყმის, რაც ამ ტიპის სურათებს სიურეალისტური მხატვრობის ელფერსაც ანიჭებს.

სრულიად განსხვავებულად ხედავს შალვა ქიქოძე პარიზიდან თავისი სამშობლოს სხვადასხვა კუთხის ადამიანთა სახეებს. განზოგადებული, უტრირებული, სტილიზებული პორტრეტი-ტიპები ტრადიციული ხასიათისა და ეთნიკური თავისებურებების გამახვილებით, დეკორატიულად და ხალისიან ფერებშია წარმოდგენილი. ზოგიერთი ნიმუში („აჭარა“) დინამიკური,



კ. კვეცი, ნატურმორტი ჭიქითა და ტოლჩით; ტილო, ზეთი; 34X35; 1928; სემ – ხელოვნების მუზეუმი.



ი. შტენბერგი, სასადილო. 8 საათი დაიწყო; ქალაქი, შერეული ტექნიკა; 69X40; 1930-იანი წწ-ის დასაწყ.; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

სწრაფად მოძრავი, რიტმული, შეკუმშული, კადრში გაჭედული ფორმებით და მჟღერი კოლორით ასოციაციას იწვევს თანადროული ევროპელი მხატვრების ქმნილებებთან. ამ სერიის სხვა ნაწარმოებებში თეატრალური დეკორაციების მსგავსი პეიზაჟი, განყენებული, სიბრტყობრივ-ლაქობრივი, დენადი, სტილიზებული, დაკლაკნილი ხაზებით, ზოგან დაყოფილი, დაყირავებული მონაკვეთებით, თითქოს „არ ნუვოსა“ და კუბისტური მხატვრობის ნიშნებს შეიცავს, ხოლო მათ წინ გამოსახული ადამიანები კი თავისებურად მნიშვნელოვანი სახეებით ძველ ქართულ კედლის მხატვრობასაც მოგვაგონებენ. შალვა ქიქოძის მთელ შემოქმედებას, ყველა სერიას, ცხადია მეტ-ნაკლებად, ახასიათებს მისი პიროვნებიდან მომდინარე ჯერ კიდევ ყრმობისდროინდელი ერთგვარი გაორება – ერთდროული ტრაგიზმი და ირონია, რომელიც თავიდანვე შეამჩნია გერონტი ქიქოძემ და რაც არაჩვეულებრივად, ზუსტად მოერგო თანადროულ ავანგარდულ მხატვრობას. ჩნდება აზრი, რომ შალვა ქიქოძე ის ხელოვანია, რომელიც შემთხვევით არ დაბადებულა მხატვრად ამ ეპოქაში.

სასწავლებლად პარიზში გაგზავნილი მხატვარი ქალების შემოქმედებაში შედარებით ნაკლები სიმკვეთრით აისახა თანადროულ ავანგარდულ მიმდინარეობათა თავისებურებანი. უფრო თანმიმდევრული, დახვეწილი



ს. ვაწაძე, ქალი ყვავილით; ქალაქი, ტუში, გუაში; 28X20,5; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

გემოვნების მქონე ქეთევან მაღალაშვილის პორტრეტული მხატვრობა იმპრესიონისტული ფერწერის სტილურ მახასიათებლებს არსებითად არ ცდება, თუმცა მისი პარიზული პერიოდის პორტრეტებში (ტ. კაკაბაძე, დ. შევარდნაძე და სხვ.) ჩანს, რომ მოდერნისტულმა მხატვრობამ მის შემოქმედებაზეც მოახდინა გარკვეული გავლენა. ემოციურობით, ტემპერამენტით სრულიად განსხვავებულია ელენე ახვლედიანი. ახალი ქართული ხელოვნების მკვლევრების აზრით, ე. ახვლედიანი და დ. კაკაბაძე ითვლებიან თანამედროვე ქართული პეიზაჟური ჟანრის დამფუძნებელ ორ საპირისპირო პოლუსად. განსხვავებად, უპირველეს ყოვლისა, ე. ახვლედიანის გამჟღავნებული, ხოლო დ. კაკაბაძის დაფარული, შეკავებული ემოციურობა სახელდება.

პარიზში ჩასული ახალგაზრდა ელენე ახვლედიანი 1924 წელს იწყებს სწავლას კოლოროსის „თავისუფალ აკადემიაში“. საფრანგეთში იგი ძირითადად პარიზის ხედებს, ქუჩების ამსახველ პეიზაჟებსა და ნიუს დიდ გრაფიკულ სერიას ნატავს, მონაწილეობს „პარიზის დამოუკიდებელთა სალონისა“ და „სამემოდგომო სალონის“ გამოფენებში, აწყობს პერსონალურ გამოფენებს გალერეა Quatre Chemin-ში. მის სურათებს იძენენ ცნობილი კოლექციონერები და, მათ შორის, პოლ სინიაკიც.



მ. ჭიაურელი, ვერიკო; ქალალდი, ფანქარი, ტუში; 13X9; 1923; საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწ. მუზეუმი.



მ. ჭიაურელი, მაყურებლები; ქალალდი, ფანქარი; 21X17; 1950; საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწ. მუზეუმი.

შემოქმედებით იმპულსს ელენე ახვლედიანს პარიზშიც და თბილისშიც, შემდეგ თელავში, სიღნაღსა და ქუთაისში, უპირველეს ყოვლისა, ბუნება აძლევს. ჩვეულებრივ, იგი პლენერზე მუშაობას ამჯობინებს, თუმცა რეალურად დანახულს მხატვრის პიროვნული ემოცია და ტემპერამენტი ტილოსა და ქალალდზე სრულიად განსხვავებულ იერ-სახეს ანიჭებს. ბუნებაზე უფრო მეტად იგი ყურადღებას კონკრეტული ქალაქის, ხშირად სახლებით დატვირთული უბნისა თუ ქუჩის ამონარიდს აქცევს. მის ქალაქურ პეიზაჟებში, სულ ერთია, იქნება ეს ქუჩის ინტიმური კუთხე თუ უფრო ვრცელი პანორამული ხედი, ყველაფერი ჩვეულებრივი და, ამავე დროს, გამნიშვნელოვნებულია. სუბიექტურად, წამიერად, განცდით ჩახატული სახლები, ადამიანები, სარეცხი, თოვლი, ქარბუქი თუ სხვა, თანაბარმნიშვნელოვანი და უმეტესად დრამატულია. მის პეიზაჟებში წარმართველი თითქოს ფერია, უფრო სწორედ კი, ფერწერულად მრავალგვარად მოძრავი ფუნჯი. სწორედ სხვადასხვა სიგრძისა და მიმართულების ფერადი შტრიხები განაპირობებს სურათთა დეკორატიულობას და ემოციურობას. საქართველოს ბუნების ამსახველი ადრეული პერიოდის რამდენიმე პეიზაჟი განსხვავებულადაა გადაწყვეტილი. კოლორიტი უფრო მუქია, რამდენადმე გუდიაშვილისმაგვარი. თითქოს ნაკლებად დრამატული, მაგრამ საყრდენგამოცლილი დაცურებული სახლები და მინდორზე მჯდარი ასევე უსაყრდენო, ჩამოცურებულ მოქეიფეთა ჯგუფი გვიჩვენებს, რომ ე. ახვლე-

დიანი სერიოზულად ფიქრობდა ანალიტიკური კუბიზმის პრობლემებზეც. 1928 წელს საქართველოში დაბრუნებული ელენე ახვლედიანი, კოტე მარჯანიშვილის მიწვევით, იწყებს ნაყოფიერ მოღვაწეობას თეატრში. კ. მარჯანიშვილთან ერთად თეატრში იგი მუშაობს მეტად თავისუფლად და ხუთი წლის განმავლობაში ოცზე მეტ სპექტაკლს აფორმებს. შეიძლება ითქვას, რომ ყველა სპექტაკლი განსხვავებული მოდერნისტული თუ ავანგარდული მიმდინარეობის (კონსტრუქტივიზმის, ექსპრესიონიზმის, არ ნუვოს, კუბიზმის) თავისებური, შემოქმედებითი გააზრებისა და გადაწყვეტის შედეგს წარმოადგენს.

საქართველოში მძაფრი ტემპით დაწყებული მოდერნისტული მიმდინარეობა გასაბჭოების შემდეგ სწრაფად უნდა შეწყვეტილიყო. ბუნებრივია, ასეთი მძლავრი, დატვირთული მოძრაობა უცბად ვერ დასრულდებოდა. უდავოდ რთული იქნებოდა ამ საოცარი ინერციის შეკავება და მან შედარებით უფრო მცირე და შემოფარგლულ სივრცეში, თეატრში, ბუნებრივად გადაინაცვლა. ალბათ ახალი ხელისუფლების შემქმნელებსაც ნაკლებად ეცალათ ამ შედარებით „ჩაკეტილი სივრცისათვის“, რადგან მათ უფრო გარეთ, ხალხში გამოტანილი ხელოვნებით შექმნილი მასობრივი პროპაგანდა აღეგებდათ. შესაძლოა, სწორედ ამიტომ ქართულმა მოდერნიზმმა კ. მარჯანიშვილის, ს. ახმეტელის და საოპერო თეატრებში განაგრძო არსებობა და განვითარება. 1920-იანი წლების შემდეგ არაერთმა უნიჭიერესმა მხატვარმა დაიწყო თეატრში მოღვაწეობა. ისინი არ უშინდებოდნენ დროით მოტანილ აკრძალვებს და თანამედროვე თეატრის შესაქმნელად ძალისხმევას არ იშურებდნენ. სწორედ ამ პერიოდში იდგებოდა სპექტაკლები, რომლებსაც, ერთი მხრივ, აფორმებდნენ მოდერნისტი მხატვრები (ვალერიან სიღამონ-ერისთავი, დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი, თამარ აბაკელია, ელენე ახვლედიანი, სერგო ქობულაძე, ირინა შტენბერგი, კლარა კვეცი, ემა ლალაევა, სერაპიონ ვაწაძე და ა.შ.), სხვა მხრივ კი – მხატვრები, რომელთა შემოქმედება ძირითადად თეატრს უკავშირდება (სოლიკო ვირსალაძე, მიხეილ შავიშვილი, დიმიტრი თავაძე, მიხეილ გოცირიძე და ა.შ.). განსაკუთრებული, რადიკალური, ავანგარდული ცვლილებები ქართული თეატრის სცენური სივრცისა და კოსტიუმის დიზაინში პეტრე ოცხელმა, ირაკლი გამრეკელმა და კირილე ზდანევიჩმა შეიტანეს.

პეტრე ოცხელის სრულიად განუმეორებელი და გასაოცრად თავისთავადი შემოქმედებისათვის, არა მარტო ქართულ ავანგარდულ მხატვრობაში, ალბათ ყველაზე რთულია პარალელის მოძებნა. იგი ყველაზე გვიან დაიბადა, ძალიან ადრე ჩამოყალიბდა როგორც ხელოვანი, მხატვარი, 1937 წელს კი მას დაკაცებაც არ დააცალეს. პეტრე ოცხელმა მხოლოდ თეატრში იმუშავა. თითოეული მისი ესკიზი თუ ჩანახატი დამოუკიდებელი დაზგური ნაწარმოებია. ოცხელი უარს არ ამბობს რეალურ ფორმაზე, მაგრამ მისი უაღრესად დეფორმირებული, ჰიპერტროფირებული, ხაზგასმულად დახვეწილად მანერული, გრძელტანიანი, თითქოს კალიების მსგავსი, მწერებისმაგვარი მომცროთავიანი ირეალური ფიგურები, შესაძლოა, ცოცხალ ორგანიზმებზე დაკვირვების ან ფიქრის შედეგს წარმოადგენენ.



მ. გოცირიძე, მეძავეები; ქალაქი, ტემპერა, ლაქი; 30X33,8; 1925;
სემ – ხელოვნების მუზეუმი.

ყოველთვის უმნიშვნელო დეტალამდეც გააზრებულ მის ე.წ. „კოსტიუმის ესკიზში“ მსახიობის სახე, კოსტიუმი თუ ყველაზე სახასიათო პოზა ერთ მთლიანობას წარმოადგენს. პეტრე ოცხელი უაღრესად განათლებული და ინტელექტუალი მხატვარია. იგი საქართველოსა და რუსეთს არ გასცილებია. პ. ოცხელი არაჩვეულებრივად ზუსტად გადმოცემს ყოველი სპექტაკლის გარემოსა (ეპოქას, ქვეყნას, კულტურას) და ხასიათს. მისთვის არათუ ნაცნობია ავანგარდული მიმდინარეობები, არამედ თითქოს იმდენადაა გათავისებული, გააზრებული, რომ კონკრეტული გარემოსა თუ სახის შექმნისას მხატვარი ნებისმიერ მიმდინარეობას უაღრესად არტისტულად მიმართავს ან კიდევ მათ სრულიად მოულოდნელ, წარმოუდგენელ ნაზავს იძლევა. „არ ნუვოს“ მიმდევრების მსგავსად, გარკვეული სახეების შესაქმნელად ისიც თითქოს ბუნებას აკვირდება, მაგრამ ამ მიმდინარეობის ხანდახან ზედმეტად დახვეწილ ესთეტიზმსა და მანერულობას მის ესკიზებში კონსტრუქტივისტული გარკვეულობა და სიცხადე, ზოგჯერ სიმკაცრემდე მისული მინიმალისტური ან მასშტაბურად უკიდურესად დარღვეული ფორმები და ექსპრესია ერწყმის. მის მიერ შექმნილი სახეები ხან მომავლის უსულო რობოტებს ჰგვანან, ხანაც სევდიან, მძაფრი, ზოგჯერ ტრაგიკული განცდებით შეპყრობილ ან იუმორისტულ, გამარჯვებულ პერსონაჟებს. მის მიერ აღქმულ სამყაროში სერიოზულობა, დრამატუ-

ლობა, ექსპრესიულობა, იუმორი და სარკაზმი ერთმანეთს ენაცვლება. იგი უკიდურესი სითამამით ეთამაშება საგანთა ფორმებს. ოცხელისთვის იოლია მათი სახის შეცვლა და ყოველმხრივ დარღვევა. თანამედროვე ხელოვნებაში რამდენადმე გათვითცნობიერებულ მაყურებელს, რომელიც ამ უჩვეულო სახეების ხილვისას იწყებს ფიქრს და ცდილობს პეტრე ოცხელის მხატვრობის რაიმესთან მისადაგებას, ახსენდება ყველაფერი ლამის ინგლისური რომანტიზმის უაღრესად თვითმყოფადი წარმომადგენლის უილიამ ბლეიკის შემოქმედებიდან სიურეალისტ ხუან მირომდე.

პეტრე ოცხელმა უჩვეულოდ ადრეულ ასაკში შეძლო მთელი დასავლური მხატვრობის გააზრება და თითქოს მისი მომავლის განჭვრეტაც კი. მისი მძაფრი, ინდივიდუალური, სიღრმისეულად მოფიქრებული, თითქოს შეუთავსებელი თვისებებითა და ოპოზიციებით დატვირთული ესკიზებიდან მომდინარე არაჩვეულებრივი სიმსუბუქე, ფანტაზია და არტიზტიზმი ალბათ მისი შემოქმედების ის მახასიათებლებია, რომლებიც მაყურებელში ალტაცებასა და განცვიფრებას იწვევს.

ქართული ავანგარდული სცენოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, თეატრისა და კინოს მხატვარი, ფერმწერი და გრაფიკოსი ირაკლი გამრეკელი ოდნავ მოგვიანებით გამოჩნდა თბილისის მხატვრულ ცხოვრებაში. მას არც სრული სპეციალური სამხატვრო განათლება მიუღია, არც საზღვარგარეთ ყოფილა და, საერთოდაც, საკმაოდ დიდხანს არ ჰქონდა გაკეთებული არჩევანი მედიცინასა და მხატვრობას შორის. მისი შემოქმედების ბედი, ფაქტობრივად, 1921 წელს გადაწყდა, როდესაც ცნობილმა რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილმა ერთ-ერთ გამოფენაზე მისი ნამუშევრები – „მალარია“ და „სიკვდილის სცენა“ – ნახა და იგი სამუშაოდ თეატრში მიიწვია. კოტე მარჯანიშვილმა ირაკლი გამრეკელს ოსკარ უაილდის „სალომეას“ გაფორმება დაავალა. მხატვრის თავისთავადი, ინდივიდუალური სტილი პირველივე დაზგურ ნაწარმოებებში გამოვლინდა და გამოჩნდა, რომ იგი უპირატესობას უკიდურესად ავანგარდულ მიმდინარეობებს ანიჭებდა. გამრეკელის ფერწერულ თუ დაზგურ კომპოზიციებში უტრირებული, წაგრძელებული, დემატერიალიზებული ფიგურები თანაბარმნიშვნელოვანი, მეტყველი კონტურული ხაზებითა და მკვეთრი, ლოკალური ფერებით იქმნება. ფიგურათა პლასტიკის თავისებური გამძაფრება და ექსპრესიულობა ხელს უწყობს პერსონაჟების სევდიანი განწყობისა და ტრაგიკული განცდების გამოხატვას. ეს ნაწარმოებები უსაზღვროდ გაზვიადებული, გამარტივებული ფორმების ექსპრესიული გამომსახველობითა და მძაფრი კოლორიტული გადაწყვეტით გერმანულ ექსპრესიონიზმს მოგვაგონებს. ამავე დროს დენადი, მოქნილი, სტილიზებული ხაზი, სიბრტყისა და ფონის ორნამენტული გადაწყვეტა და საერთოდ, სურათის ხაზგასმული დეკორატიულობა „იუგენდშტილის“ ნიშნების მატარებელიცაა.

1923-43 წლებში ირაკლი გამრეკელი მუშაობს იწყებს ჯერ კოტე მარჯანიშვილის თეატრში, 1926 წლიდან კი – სანდრო ახმეტელთან შოთა რუსთაველის თეატრში. ამ ორ დიდ რეჟისორთან თანამშრომლობამ ხელი

შეუწყო მხატვარს, რომ იგი ქართული სასცენო დიზაინის რეფორმატორი გამხდარიყო. 1920-იანი წლებიდან მოყოლებული ირაკლი გამრეკელის მიერ გაფორმებულ სპექტაკლებში ევროპული ავანგარდის სხვადასხვა მიმდინარეობების, კერძოდ, „იუგენდშტილის“, კონსტრუქტივიზმის, ფუტურისმის, ექსპრესიონიზმის ნიშნები იკვეთება. ამ პერიოდში, კირილე ზდანევიჩის მსგავსად, იგი კუბოფუტურისმით იყო გატაცებული. მარჯანიშვილის თეატრში შექმნილ დეკორაციებში ვლინდება ამ მხატვრების ნაწარმოებთა მსგავსება. ირაკლი გამრეკელის სპექტაკლებშიც ვხვდებით ელიფის, გადაყირავებული კონუსის, სპირალის ფორმებს, რომლებიც ტენილი ხაზებითაა დაყოფილი. აქაც აშკარაა ფუტურისტული სიმულტანურობა. ფერადონება გაძლიერებულია ფუტურისტული დინამიკის გავლენით და ინტენსიური ცხოველხატულობა აქვს შექმნილი. ესკიზები სპექტაკლისათვის „კაცი მასა“, რომლებიც 1923 წელს არის შესრულებული, ასახავენ თანამედროვე ქალაქის არქიტექტურასა და ინტერიერს. ეს ესკიზები კონსტრუქციების არქიტექტონიკულ ფორმათა თავისუფალი „თამაშით“ და ფერის დეკორატიულობის ხაზგასმით ლიონელ ფაინინგერის 1920-იან წლებშივე შექმნილ სურათებს მოგვაგონებს.

1924 წელს ირაკლი გამრეკელმა გააფორმა ქართველი ფუტურისტების ჟურნალის „H₂SO₄“ ერთადერთი ნომერი. მეორე ნომერმა, რომელშიც მხატვრის ათი ილუსტრაციისაგან შემდგარი უაღრესად საინტერესო ფუტურისტული სერია „ცირკი“ უნდა შესულიყო, გამოსვლა ვერ მოასწრო. 1926-27 წლებში ირაკლი გამრეკელი იყო დიზაინერი ჟურნალისა „მემარცხენეობა“, ასევე აფორმებდა გრიგოლ რობაქიძის, იონა ვაკელის, სიმონ ჩიქოვანის და სხვათა წიგნებს. იგი კინოს მხატვრადაც მუშაობდა. ვალერიან სიღამონ-ერისთავთან ერთად იყო მხატვარი კოტე მიქაბერიძის ექსპრესიონისტული ფილმისა „ჩემი ბებია“, რომელიც 1928 წელს შეიქმნა და დიდი ხნის მანძილზე აკრძალული იყო. ასევე მუშაობდა ფილმებზე „არსენა“ (1937) და „გიორგი სააკაძე“ (1942-1943).

წარმოდგენილი მხატვრების ხელოვნება ამომწურავად ვერ ასახავს ქართულ მოდერნისტულ მხატვრობას, რადგან ცნობილი მიზეზების გამო, საბჭოთა პერიოდში მხოლოდ რამდენიმე მხატვრის შემოქმედება იყო მიღებული და ისიც არასრულად. სინამდვილეში ქართულ მოდერნიზმს გაცილებით მეტი ნიჭიერი, თვითმყოფადი მხატვარი შეიძლება მივაკუთნოთ. მათი ნამუშევრების მოძიება ჯერ კიდევ არ დასრულებულია. ეჭვგარეშეა, რომ მომავალში ქართული მოდერნისტული მხატვრობის უფრო სრული, მრავალფეროვანი და შთამბეჭდავი სურათის დანახვა იქნება შესაძლებელი. დასავლური მხატვრობისგან განსხვავებით, ქართველი მხატვრები არანაირ დაჯგუფებაში არ გაერთიანებულან, გარდა „ქართველ მხატვართა საზოგადოებისა“, რომლის მიზნებსა და ამოცანებს ყველა იზიარებდა. თითოეული ქართველი მხატვრის შემოქმედება მკვეთრად ინივიდუალურია, მიუხედავად იმისა, რომ მათ ნაწილს ევროპის მთავარ ცენტრებში (საფრანგეთსა და გერმანიაში) განათლების მიღება ერთად მოუხდათ და მათი შემოქმედება ერთმანეთის გვერდით პატარა თბილისში

მიმდინარეობდა. რა თქმა უნდა, 1916-19 წლების თბილისურმა ინტერნაციონალურმა ავანგარდულმა გარემომ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართულ კულტურის მომავალი სახის განსაზღვრაში, თუმცა მისი კვალი მხოლოდ წიგნის გრაფიკასა და პლაკატს თუ დაეტყო ან არტიტულ კაფეებს თუ შერჩა. ქართველ მხატვრებზე ამ დროის რუსული წამყვანი თუ პრიორიტეტული ავანგარდული მიმდინარეობების გავლენა ძნელად შესაძრწევია ალბათ იმიტომ, რომ შემოქმედთა ნაწილმა, რომელსაც მალევე მოუხდა ევროპაში წასვლა, უპირატესობა ევროპულ ავანგარდს მიანიჭა. ტრადიციული ეროვნული კულტურის მოფრთხილება და მის საფუძველზე თანამედროვე დასავლური მხატვრობის შესატყვისი ქართული მოდერნისტული ხელოვნების შექმნა იყო ის ძირითადი მიზანი, რომელიც ამ მხატვრებს აერთიანებდა.



ა. შერვაშიძე, დეკორაციის ესკიზი, ქალაქი, გუამი, 21,5X27, სემ – ხელოვნების მუზეუმი.

სოციალისტური რეალიზმი ქართულ მხატვრობაში



დ. კაკაბაძე, იმერეთის პეიზაჟი; ტილო, ზეთი;
104X124; 1942; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

ქართული მხატვრობის განვითარების შემდგომი ეტაპი კვლავ უშუალო კავშირშია იმ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცვლილებებთან, რომლებიც ქვეყანაში 1920-იანი წლებიდან დაიწყო. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ თანდათანობით ქართული ხელოვნების წარმომადგენლებსაც მოუხდათ იმ იდეოლოგიური ზეწოლისა და მხატვრული პრინციპების გათვალისწინება, რომლებიც საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების ხელოვნების შემდგომ განვითარებას განსაზღვრავდა. ხელოვნებას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიენიჭა. საბჭოთა ხელისუფლება პირველივე წლებიდან თანმიმდევრულად და მიზანდასახულად ატარებდა კომუნისტურ პოლიტიკას, ხოლო ხელოვნებას მნიშვნელოვან პროპაგანდისტულ იარაღად მიიჩნევდა. დაარსდა განათლების სახალხო კომისარიატი, რომელსაც ჰუმანიტარული და კულტურული სფეროების კონტროლი ევალებოდა. კომისარიატთან შექმნილი სპეციალური განყოფილებები განაგებდნენ სახვით ხელოვნებას, მუზეუმებს, ძეგლთა დაცვას და ა.შ. კომუნისტური იდეების აგიტაციისა და გავრცელების მიზნით, დაიწყო „მონუმენტური პროპაგანდის“ ლენინური გეგმის განხორციელება. თბილისში ჯერ კიდევ 1921 წელს დაიდგა ვ. ლენინის მონუმენტი (მოქანდაკე ვ. სერგევი), ასევე ქალაქის საბჭომ გამოაცხადა კონკურსი რამდენიმე ძეგლის – კარლ მარქსის, „თავისუფალი საქართველოს“, პარიზის კომუნისა და შოთა რუსთაველის – პროექტზე.¹ ბუნებრივია, ქართული კულტურის წარმომადგენელთა დიდი ნაწილისთვის თავიდანვე ძალიან რთული იყო ახალ პოლიტიკურ რეალობასთან შეგუება და ბოლშევიკურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა. 1921 წელსვე დღის წესრიგში დადგა „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ რეორგანიზაციის საკითხი,² თუმცა აღსანიშნავია, რომ მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების მიუხედავად, არ შენელებულა დიმიტრი შევარდნაძისა და საზოგადოების სხვა წარმომადგენელთა მუშაობის პროცესი წინა წლებში დასახული მიზნების სისრულეში მოსაყვანად. სწორედ დიმიტრი შევარდნაძისა და მის თანამოაზრეთა ძალისხმევით განხორციელდა 1920-30-იან წლებში ქართული კულტურისთვის მნიშვნელოვანი მრავალი წამოწყება – ჩამოყალიბდა ისეთი ორგანიზაციები, როგორიც არის ეროვნული გალერეა, სამხატვრო აკადემია, ხელოვნების მუზეუმი „მეტეხი“ და სხვ.

1 В. Беридзе, Н. Езерская, Искусство советской Грузии 1921-1979, М.: Советский художник, 1975, 29-30.

2 ი. აბესაძე, ქ. ბაგრატიშვილი, დიმიტრი შევარდნაძე, თბ., 1998, 25.



ს. მასიაშვილი, ლიანდაგის დაგება; ქალაქი, ფანქარი, სანგინა; 25,5X36,5; 1930; სემ – ხელოვნების მუზეუმი.



მ. მამალაძე, ფაბრიკა; ქალაქი, ტუში, კალამი; 18,5X24,5; 1932; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

1921 წელს ბოლშევიკური მთავრობის ოფიციალური გაზეთი „კომუნისტი“ ოქტომბრის რევოლუციის ოთხი წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენის შესახებ, რომელიც საქართველოს მუზეუმის შენობაში გაიხსნა, წერდა: „გამოფენაში მონაწილეობას იღებს 60-მდე მხატვარი და მოქანდაკე – ეს უნახავი რაოდენობაა თბილისისათვის. 600-მდე სურათი და მხატვრობა წარმოადგენენ თანამედროვე მხატვრობის ყველა მიმართულებას რეალისტი აკადემიკოსებისაგან დაწყებული და იმპრესიონისტებით, კუბისტებით და ფუტურისტებით გათავებული“.³

მოდერნისტული ტენდენციები ქართულ მხატვრობაში მთელი 1920-იანი წლების მანძილზე და 1930-იანი წლების დასაწყისშიც არ შესუსტებულა, რაზეც უპირველეს ყოვლისა, ქართველ მხატვართა ნაწარმოებები მეტყველებს. 1920-იანი წლებიდან იმატა გამოფენების რაოდენობამ, რომელთა

3 „კომუნისტი“, 1921, 13/XI.

ინიციატორი ხშირად კვლავ „ქართველ მხატვართა საზოგადოება“ იყო.⁴ თუმცა, ცხადია, ახალი საბჭოთა ხელისუფლება აქტიურად ცდილობდა, რაც შეიძლება სწრაფად დაენერგა და გაეცვრებინა „ახალი ხელოვნების პრინციპები“. „ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე გადასვლის გამო, მხატვარ პროპაგანდისტთა ცენტრალური ჯგუფი, რომელიც მუშაობდა უკანასკნელი ნახევარი წელი საქართველოში პოლიტიკური განათლების მთავარ მმართველობასთან, შეუდგა თავისუფალ მხატვართა კოლექტივის მოწყობას. ზემომხსენებული ჯგუფის გარდა განზრახულია კოლექტივში შევიდნენ საუკეთესო ადგილობრივი სამხატვრო ძალები. კოლექტივი თავის პირველ მიზნად ისახავს, გაუწიოს სამსახური ყველა სახელმწიფო დაწესებულებას გამომსახველი ხელოვნების სფეროში, განსაკუთრებით მტკიცე კავშირს კოლექტივი იქონიებს პოლიტიკური განათლების მთავარ მმართველობასთან“.⁵

1920-იანი წლების დასაწყისშივე თბილისში დაარსდა ახალი სამხატვრო სტუდიები, მაგალითად, „პროლეტკულტის“ სტუდია, ასევე კომუნისტური აღზრდის სახლთან არსებული სტუდია, ხოლო 1922 წელს – მოსე თოიძის სახალხო სამხატვრო სტუდია. მ. თოიძე სტუდიის ბროშურაში აღნიშნავდა, რომ აქ მიიღებდნენ ყველას – მუშებს, გლეხებს, მოსამსახურეებსა და მოსწავლეებს, რომლებსაც სწავლის დაწყება ყველანაირი ფორმალუბის გარეშე წლის ნებისმიერ დროს შეეძლოთ. სტუდია აწყობდა ყოველწლიურ გამოფენებს თბილისსა და საქართველოს რაიონულ ცენტრებში. მოსწავლეები ხატავდნენ დეკორაციებს ადგილობრივი თეატრებისთვის, რათა „...მოსწავლე ახალგაზრდობა ცხოვრებასთან, ადამიანებთან და ახალ ცხოვრებისეულ პრობლემებთან ახლო კავშირში ყოფილიყო“.⁶

1920-იანი წლების ქართული ხელოვნება საკმაოდ არაერთგვაროვანია. ამ პერიოდში თბილისში მცხოვრები მხატვრების, ქართველებისა და არაქართველების, საკმაოდ დიდი ნაწილი, იზიარებს ავანგარდული ხელოვნების ფორმებსა და ტენდენციებს, ქმნის თანამედროვე ეპოქის შესატყვის ხელოვნებას, ეწევა აქტიურ მხატვრულ ცხოვრებას. მხატვრების უფროსი თაობა უმეტესად ტრადიციული რეალისტური ხელოვნების ერთგული რჩება, ხოლო პარალელურად თავს იმკვიდრებს ახალი საბჭოთა სახელმწიფოს იდეოლოგიზირებული კულტურა, რომელიც, განსაკუთრებით 1930-იანი წლებიდან, საშინელ ბრძოლას უცხადებს ნებისმიერ ფორმას ხელოვნებაში, რომელიც მის პროპაგანდისტულ მანქანას არ შეესატყვისება.

საყურადღებოა, რომ 1920-იანი წლების ბოლომდე არ იყო ჩამოყალიბებული „ახალი“, „რევოლუციური“ ხელოვნების ერთიანი თეორიული საფუძველი. „აქტიუალურ“ თემაზე შექმნილი ნაწარმოებების შესრულები-

4 „ქართველ მხატვართა საზოგადოება“ ამ სახელწოდებითაა დაფიქსირებული ოფიციალურ დოკუმენტებში 1922 წლიდან, იხ. ი. აბესაძე, ქ. ბაგრატიშვილი, დიმიტრი შვევარდნაძე, თბ., 1998, 94.

5 „კომუნისტი“, 1921, 30/XII.

6 В. Беридзе, Н. Езерская, Искусство советской Грузии 1921-1979, М.: Советский художник, 1975, 33.

სას საქართველოში ისევე, როგორც რუსეთში ჯერ კიდევ მიმართავდნენ მოდერნისტული და ავანგარდული ხელოვნებისთვის სახასიათო მხატვრულ ფორმებს. აღსანიშნავია, რომ 1920-იან წლებში დიდი ყურადღება ექცეოდა თემატიკას, შინაარსს, თუმცა ოფიციალურ სტატიებში ამ პერიოდის გამოფენების შესახებ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმასთან დაკავშირებით, რომ ქართულ ფერწერაში, რუსულისგან განსხვავებით, ნაკლებადაა ასახული საბჭოთა თემატიკა და ქართული მხატვრობა „თემატურ კრიზისს განიცდის“. რუსეთში უკვე შექმნილი იყო „რევოლუციონერ მხატვართა კორპორაცია“, რომლის წევრებიც თავის ნაწარმოებებში „ასახავდნენ რევოლუციურ ყოფას და ქმნიდნენ ახალ ფორმებს“.⁷

1920-იანი წლების ქართული მხატვრობა ჯერ კიდევ არ გამოირჩევა ისეთი ნაწარმოებების სიუხვით, რომლებიც რევოლუციასა თუ საბჭოთა ყოფას ეხმიანება. ქართველ მხატვართაგან, ამ თვალსაზრისით, ყველაზე აქტიურ პედაგოგიურ და პროპაგანდისტულ საქმიანობას მოსე თოიძე ეწეოდა. მას ეკუთვნის რევოლუციური თემატიკის ამსახველი ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ცნობილი ნიმუში – „რევოლუცია“, რომელიც შექმნილია 1918 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის დროს.⁸ მცირე ზომის ფერწერულ ტილოზე გადმოცემულია თბილისის ერთ-ერთ ქუჩაზე აივნიანი სახლის წინ განვითარებული დინამიკური სცენა – ამბოხებული ხალხის ჯგუფი წითელი დროშებით, სავარაუდოდ, მარცხენა კუთხეში გამოსახულ ჟანდარმებს მიერეკება. ეს ნამუშევარი, ფერადოვნებისა და განწყობილების თვალსაზრისით, განსხვავდება მოსე თოიძის თანადროული სხვა, ხშირად იმპრესიონისტული მსგავს მანერაში, ნათელი და სუფთა ფერებით შესრულებული ესთეტიური ნაწარმოებებისგან. მოყავისფრო-მონაცრისფრო ჩამუქებული ფერები, ერთმანეთში არეული პასტოზური მონასმები, უხეშად მონიშნული ფიგურები მთლიანობაში ქაოსის, ბრძოლის, აგრესიის სურათს ქმნის. აქა-იქ ყავისფერნარევი წითელი და ყვითელი მონასმებით აქცენტირებულია დროშები და ცეცხლის ალი. შესაძლოა, ეს ტილო წარმოადგენდა ეტიუდს იმავე სახელწოდების დიდი სურათისთვის, რომელსაც, როგორც ცნობილია, ხშირად ფენდნენ სახელმწიფო დაწესებულებებში. თუმცა ეს ესკიზურობა, ფორმების დაუსრულებლობა, ექსპრესია კარგად შეესაბამება სურათის შინაარსსა და ხასიათს. თემატურად კომუნისტურ პროპაგანდას ესადაგება მოსე თოიძის 1920-იან წლებში შექმნილი ნაწარმოები „მჭედლები“, რომელიც შესრულების მანერით ახლოსაა „რევოლუციასთან“. სხეულების უხეში კუთხოვანი ფორმები, ძლიერი მოძრაობა, განათებათა კონტრასტი ამ შემთხვევაშიც სრულიად პასუხობს მხატვრის ამოცანას, გადმოსცეს სამჭედლოში მომუშავეთა ყოველდღიური გარემო, შრომისა და ყოფის სიმძიმე.

7 В. Беридзе, Н. Езерская, Искусство советской Грузии 1921-1979, М.: Советский художник, 1975, 39-40.
8 დიდი ზომის სურათი არაა შემორჩენილი, თუმცა საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულია მცირე ზომის ფერწერული ტილო იმავე სახელწოდებით.



ნ. წერეთელი, ქალი ნამგლით ხელში (ქანდაკების ესკიზი); ქალაღი, ფანქარი; 30X21; 1910-20-იანი წლები; სემ – ხელოვნების მუზეუმი.



თ. აბაკელია, ჩაის კრეფა; ქალაღი, სანგინა; 49,5X35,5; 1929; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

კომუნისტური წინსვლის თემა მნიშვნელოვანია ახალგაზრდა ირაკლი თოიძისთვისაც, რომელიც ადრეული ასაკიდანვე აქტიურად ჩაება მხატვრულ ცხოვრებაში, მონაწილეობდა გამოფენებში, იყო ქართველ მხატვართა საზოგადოების წევრი. 1920-იანი წლების მეორე ნახევრიდან მოყოლებული, მან არაერთი ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოები მიუძღვნა საბჭოთა ხელსუფლების დამყარების, აღმშენებლობის, ინდუსტრიის განვითარების, ელექტროფიკაციისა და განათლების თემებს. ი. თოიძის სურათებში ხშირად წარმოდგენილია მისი პერსონაჟების – ტრაქტორისტი მოხუცის, ახალგაზრდა მუშის, გლეხი ქალის – ეთნიკური მახასიათებლები. მხატვრის ადრეულ ნაწარმოებებს შორის განსაკუთრებით პოპულარული იყო „ილიჩის ნათურა“, რომელიც შეიქმნა 1920-30-იანი წლების მიჯნაზე და იქცა „ახალი ქვეყნის“ ბედნიერი მოსახლეობის ერთ-ერთ სახე-სიმბოლოდ. თვალშისაცემი და მნიშვნელოვანია სურათის ნარატიული და ალევორიული ხასიათი. აქ ყოველ დეტალს დატვირთვა და შინაარსი აქვს. დიდი ფორმატის ფერწერულ ტილოზე (206X180 სმ) საქართველოს ბუნების ფონზე წინა



უ. ჯაფარიძე, წითელარმიელი კოლმეურნეობაში; ტილო, ზეთი; 84,5X130; 1933; სემ – ხელოვნების მუზეუმი.



კ. სანაძე, სტალინის პორტრეტი; ტილო, ზეთი; 70X70; 1930-იანი წლები; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

პლანზე წარმოდგენილია ახალი საზოგადოების, ბედნიერი ოჯახის, სამივე თაობა – მოხუცი ბაბუა ტრადიციულ სამოსში, შუა ხნის ჯანმრთელი გლეხის ქალი ხალიჩით ხელში, ახალგაზრდა დედა კალთაში ბავშვით და მშრომელი მამა, მხარზე ნიჩბით, რომელიც მომავალ თაობას პროგრესის სიმბოლოს ნათურას აწვდის. რამდენადმე ხელოვნურ, რეპრეზენტატიულ კომპოზიციაში, საერთო იდილიაში ცოცხალი ელემენტი შეაქვს მოთამაშე ბავშვს, რომელიც სურათს უშუალოებას მატებს. მაყურებელთან ახლოს, მიწაზე გამოსახულია „ქართული ნატურმორტი“ – დოქი, ხილი, მასთან ერთად ძველი საბრძოლო იარაღი და ნამგალი. უკანა პლანზე, სიღრმეში მოჩანს მცხეთის ლანდშაფტი გაშლილი მთებითა და ფერდობებით, ჯვრის მონასტრისა და ზაჰესის გამოსახულებით. შეიძლება ითქვას, ეს იმ „ბედნიერი მომავლის“ ხედვაა, სადაც თითქოს ერთმანეთს ერწყმის ნაციონალური, ტრადიციული, წარსული და ახალი საბჭოთა ცხოვრების პროგრესი.

საბჭოთა თემატიკა თავისი გამოხატვის საშუალებათა იდეურ-მხატვრული არსენალით 1930-იანი წლებიდან აქტიურად მკვიდრდება ქართულ ხელოვნებაში. 1920-30-იანი წლების მიჯნზე, „ქართველ მხატვართა საზოგადოების“ დაშლის შემდეგ, რამდენიმე ახალი ორგანიზაცია წარმოიქმნა. 1927 წელს ქართველი მხატვრების ნაწილმა მონაწილეობა მიიღო „სსრკ-ის ხალხთა ხელოვნების საკავშირო გამოფენაში“ მოსკოვში. მათ შორის იყვნენ გიგო გაბაშვილი, ალექსანდრე მრეველიშვილი, მოსე თოიძე, ასევე სამხატვრო აკადემიისა თუ მ. თოიძის სტუდიის სტუდენტები და სხვანი. აღნიშნული გამოფენის შემდეგ მოსე და ირაკლი თოიძეები მოსკოვში რევოლუციური რუსეთის მხატვართა ასოციაციის (АХРР – Ассоциация художников революционной России) წევრები გახდნენ. მათი ძალისხმევითა და მონაწილეობით 1929 წელს საქართველოშიც შეიქმნა რევოლუციის მხატვართა ასოციაცია „რევმასი“, სადაც გაერთიანდნენ ივანე ვეფხვაძე, გრიგოლ მესხი, ალექსანდრე ციმაკურიძე, არაქართველ მხატვართაგან – ბორის ფოგელი, ვასილ კროტკოვი, გრიგოლ შარბაბჩიანი და სხვ. „რევმასმა“ მხოლოდ 1931 წლამდე იარსება, თუმცა მოასწრო, მოეწყო რამდენიმე გამოფენა, რომლებშიც ახალგაზრდა მხატვრებიც მონაწილეობდნენ. „რევმასში“ გაერთიანებული მხატვრები ძირითადად რეალისტური და ფიგურატიული მხატვრობის ერთგულნი იყვნენ, თუმცა ნაწილობრივ მოდერნისტული ხელოვნების მხატვრულ თავისებურებებსაც იზიარებდნენ. ცხადია, ამ პერიოდში ისინი უკვე ქმნიდნენ რევოლუციური და საბჭოთა თემატიკის ნაწარმოებებს, მაგრამ გამოფენებზე თემატურ სურათებთან ერთად წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ჟანრის მხატვრობა (მაგალითად, პეიზაჟი და ნატურმორტი). საყურადღებოა, რომ 1930 წლის „რევმასის“ გამოფენა გააკრიტიკეს წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის გამოვლენის გამო.⁹ თუკი გავითვალისწინებთ „რევმასში“ გაწევრიანებული მხატვრების შემოქმედებასა და მხატვრულ პოზიციას, იოლი წარმოსადგენია, რა დამოკიდებულება ჰქონდა ხელისუფლებას ავანგარდული ხელოვნების მიმართ.

ქართველ ხელოვანთა საზოგადოებას 1929 წლის ბოლოს გამოეყო საქართველოს რევოლუციონერ მხატვართა ასოციაცია „სარმა“, რომლის წევრები ძირითადად სამხატვრო აკადემიის სტუდენტები და კურსდამთავრებული ახალგაზრდა მხატვრები იყვნენ – ი. თოიძე („სარმას“ თავმჯდომარე), კ. სანაძე, უ. ჯაფარიძე, თ. აბაკელია, ვ. ჯაფარიძე, დ. ქუთათელაძე, ვ. ქუთათელაძე, ა. გიგოლაშვილი, კ. გძელიშვილი, დ. თავაძე და სხვ. 1930 წლის „სარმას“ დეკლარაციაში ნათლად გამოიკვეთა, თუ რა უნდა ყოფილიყო საბჭოთა სახელმწიფოში ხელოვნებისა და ხელოვანის ახალი ამოცანა და დანიშნულება: მხატვრები უნდა ჩაბმულიყვნენ იდეოლოგიურ ბრძოლაში ახალი ყოფის დასამკვიდრებლად; ხელოვნებას, როგორც სოციალისტური მშენებლობის მნიშვნელოვან ბერკეტს, დაეკისრა მასათა ფსიქიკისა და ნების მართვა; რევოლუციონერ მხატვარს, აღჭურვილს სპეციფიკური პროფესიული იარაღით, დაევალა ოქტომბრის რევოლუციის იდეათა პროპაგანდა და ახალი ადამიანის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

9 В. Сокол, Ахр и Омахр, “На рубеже Востока” №9-10, Тифлис, 1930, 12.

მხატვრებს უნდა მიეღოთ უშუალო მონაწილეობა მასობრივი წარმოების საგნების, კლუბების, კომუნების, საზოგადოებრივი შენობების, მოედნების, ბინების, ინტერიერებისა თუ ყოფითი საგნების მხატვრულ გაფორმებაში. ისინი პრაქტიკულად უნდა დახმარებოდნენ კოლმეურნეობებს, სოციალისტურ სოფელს „არა პეიზაჟების კოპირებით, არა რეაქციული რომანტიკით, არამედ ახალი ყოფის დასამკვიდრებლად და ძველი სოფლის სოციალისტურად გარდასაქმნელად აქტიური თანამონაწილეობით“.¹⁰ დეკლარაციაში აღნიშნული იყო ისიც, რომ აუცილებელია წარსული კულტურის კრიტიკული ანალიზი და გააზრება.

1920-30-იანი წლების მიჯნაზე უპირატესობა მიენიჭა „საწარმოო ხელოვნებას“, რომლის თეორიული საფუძვლები მოსკოვში წარმოიშვა.¹¹ ცვლილებები განხორციელდა მოსკოვისა და ლენინგრადის უმაღლეს სახელოვნებო სასწავლო დაწესებულებებში. 1929-33 წლებში რეფორმები შეეხო საქართველოს სამხატვრო აკადემიასაც, რომელიც ჯერ საწარმოო განხრის სამხატვრო-ტექნიკურ ინსტიტუტად („უსტექინად“) გარდაიქმნა, ხოლო 1931 წელს საერთოდ დაიხურა.

1930-იანი წლების დასაწყისიდან შეიცვალა ა. ლუნაჩარსკის 20-იანი წლების შედარებით ლიბერალური პოლიტიკა და საბჭოთა კავშირის ხელოვნების განვითარების „მნიშვნელოვანი ეტაპი“ დადგა. 1934 წელს საბჭოთა მწერალთა კავშირის პირველ საკავშირო კონგრესზე მკაფიოდ ჩამოაყალიბეს სოციალისტური საზოგადოების ხელოვნების მთავარი პრინციპები. კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი იდეოლოგის ა. უდანოვის განცხადებით, ცხოვრება უნდა აღებეჭდათ „არა როგორც მხოლოდ ობიექტური სინამდვილე“, არამედ როგორც „სინამდვილე რევოლუციური განვითარების პროცესში“.¹² ხელოვნებას ძირითადად უტილიტარული დანიშნულება მიენიჭა. იგი საზოგადოების ცნობიერების გარდაქმნის იდეოლოგიურ იარაღად იქცა. როგორც ლიტერატურის, ასევე სახვითი ხელოვნების ახალ ამოცანასაც ადამიანების პოლიტიკური, მორალური და ესთეტიკური აღზრდა წარმოადგენდა. შეიქმნა ინდივიდუალიზმს მოკლებული, რამდენადმე ანონიმური და ტიპიზირებული „გმირის“ ხატება. როგორც ენგელსი წერდა, „რეალიზმი, დეტალების რეალისტური ასახვის გარდა, ტიპური ხასიათების ტიპურ გარემოში დამაჯერებელ გადმოცემასაც გულისხმობს“.¹³ საბჭოთა ხელოვნება უნდა ყოფილიყო კაპიტალიზმის

10 В. Беридзе, Н. Езерская, Искусство советской Грузии 1921-1979, М.: Советский художник, 1975, 41-42.
 11 მოსკოვის გაერთიანება „ოქტომბერში“ (1928-1932) შედიოდნენ ხელოვნების სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენლები, მათ შორის, რუსი ავანგარდისტი, რომლებიც შემოქმედებითი თავისუფლებისა და ექსპერიმენტის შენარჩუნებას ცდილობდნენ. ისინი უპირატესობას ანიჭებდნენ არა იდეურ-აღმზრდელობითი, არამედ ტექნიკურ-უტილიტარული ამოცანების გადაჭრას.
 12 Karin Thomas, Bis heute, Stilgeschichte der bildender Kunst im 20. Jahrhundert, Dumont, 2004, 188.
 13 И. Ф. Смолянинов, Социалистический реализм – творческий метод советского искусства, Ленинград, 1954, 20.



ლ. გუდიაშვილი, ტრაქტორი; ქალაქი, ფანქარი, აკვარელი; 36X51; 1931; სემ – ხელოვნების მუზეუმი.



ლ. გუდიაშვილი, ახალი სვანეთი; ქალაქი, გუაში; 18X26; 1931, სემ – ხელოვნების მუზეუმი.

წინააღმდეგ კლასობრივი ბრძოლის იარაღი. „ჩვენი რეალიზმი უაღრესად დინამიკურია. პროლეტარი რეალისტი სინამდვილეზე დაკვირვებისას ხედავს, რომ ისტორიის ძირითადი მამოძრავებელი ძალა წარსულში, აწმყოსა და უახლოეს მომავალში კლასობრივი ბრძოლაა... ჭეშმარიტად რევოლუციონერი სოციალისტი რეალისტი მძაფრი ემოციების მქონე ადამიანია, სწორედ ეს ანიჭებს მის ხელოვნებას ცეცხლოვანებასა და ფერთა სიმკვეთრეს... სოციალისტური რეალიზმი ფართო პროგრამაა, რომელიც მრავალ სხვადასხვა მეთოდს მოიცავს, მათგან ზოგი გვაქვს, ზოგსაც ჯერ კიდევ შევიმუშავებთ. ის თავიდან ბოლომდე ბრძოლისთვის არის მოწოდებული. ის მშენებელია, დარწმუნებული კაცობრიობის კომუნისტურ მომავალში, პროლეტარიატის, პარტიისა და ბელადების ძლევამოსილებაში. მას ესმის დიადი მნიშვნელობა მსოფლიო სოციალისტური მშენებლობის იმ პირველი, გადამწყვეტი ბრძოლისა და თავდაპირველი აქტისა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს. სტატიკური რეალიზმი, იდეალისტური ტენდენციები კარგად ხარობენ ჩვენი კავშირის საზღვრებს მიღმა... ეს გუშინდელი დღეა, ჩვენი მტერია, რომელსაც დაუნდობლად უნდა ვებრძოლოთ.“¹⁴

14 А. Луначарский, Социалистический реализм, журн. “Советский театр” №2-3, 1933.

იდეოლოგიური გავლენის გასაძლიერებლად და კულტურის მოღვაწეთა მობილიზაციის მიზნით, გაუქმდა მანამდე არსებული ცალკეული ორგანიზაციები („სარმა“, პროლეტარი მწერლების, მუსიკოსების, არქიტექტორების გაერთიანებები) და დაარსდა შემოქმედებითი კავშირები, მათ შორის, საქართველოს საბჭოთა მხატვართა კავშირი. 1933 წელს აღადგინეს აკადემია, რომელსაც ამიერიდან თბილისის სამხატვრო აკადემია ეწოდა.

1930-იან წლებს ვერ გადაურჩნენ ქართული კულტურისა და ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლები. 1937 წლის საშინელ რეპრესიებს შეეწირნენ დიმიტრი შევარდნაძე, პეტრე ოცხელი, აკადემიის პროფესორები ჰენრიხ ჰრინევსკი, ვახტანგ კოტეტიშვილი... არასწორი იდეების პროპაგანდისთვის აკადემიიდან დაითხოვეს ვალენტინ შერპილოვი და იოსებ გაბაშვილი. ცხადია, ამ პერიოდში მიმდინარე პოლიტიკურმა მოვლენებმა სრულიად უცვალა გეზი ქართული ხელოვნების ბუნებრივ, კანონზომიერ და თავისუფალ განვითარებას.

1930-იანი წლებიდან სოციალისტური რეალიზმის თემაზე მუშაობა უწევს მხატვართა სხვადასხვა თაობას – როგორც საკუთარი ინდივიდუალური სტილისა და მხატვრული მანერის მქონე, სრულიად ჩამოყალიბებულ მხატვრებს, ასევე ახალგაზრდებს, სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულთა პირველ თაობას. ზოგიერთი მათგანი ხელისუფლებისგან დაკვეთილი, კონკრეტული თემატიკისა და მხატვრული პრინციპების პირობებშიც ქმნის მხატვრის ინდივიდუალური ხელწერით აღბეჭდილ ნაწარმოებებს, ზოგიერთი ხელოვანი კი იმდენად გულდასმით მისდევს სოციალისტური რეალიზმის ამოცანებს, რომ ასრულებს სრულიად უგემოვნო და უსახურ ნაწარმოებებს, რომლებსაც მის წარსულ შემოქმედებასთან თითქმის აღარაფერი აკავშირებს.

1920-30-იანი წლების მიჯნიდან მოყოლებული, მხატვართა შემოქმედების განმსაზღვრელი თემატიკა, სოციალისტური რეალიზმის დოქტრინის მოთხოვნების შესატყვისად, უშუალო კავშირში იყო ქვეყანაში მიმდინარე აღმშენებლობასთან – ბოლშევიკურ რევოლუციასთან, სოფლის კოლექტივიზაციასთან, ინდუსტრიალიზაციისა და მშენებლობის პროცესებთან. ახალი თაობის მხატვრების ნამუშევრებიდან საინტერესოა სევერიან მაისაშვილის მიერ 1930 წელს შესრულებული სურათი „ლიანდაგის დაგება“. ეს „ახალი შინაარსის“ ნაწარმოები ავანგარდული გამომსახველობითაა შესრულებული. ფიზიკურად ძლიერი მუშების სხეულთა უტრირებული ფორმები, მოძრაობათა ექსპრესია, ლაფდშაფტის ფორმათა პირობითობა – მთების კუთხოვანი კონტურები თუ ლიანდაგების ოვალური დენადი ხაზები, თავისებური დაძაბული მოძრაობის თითქოს შენელებულ რიტმში ერთიანდება. მხატვარი ორიგინალურად, ექსპრესიულად გადმოსცემს სამუშაოს სიმძიმეს, დაკუნთული სხეულების მიზანდასახულად გადიდებული კიდურების სიძლიერეს. სხეულები ღია მოყავისფრო და მონაცრისფრო შუქ-ჩრდილით მოდელირებულია პლასტიკურად, ქანდაკების ზედაპირივით. ს. მაისაშვილი ტრივიალურ ყოფით სიუჟეტს ჰეროიკულ ელფერს ანიჭებს.



დ. კაკაბაძე, რიონჰესი; ქალალდი, აკვარელი, ფანქარი; 30X41;1933; სემ – ხელოვნების მუზეუმი.



თ. თოიძე, დედასამშობლო გვეძახის; ლითოგრაფია; 88,8X59; 1941; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

მუშაობის დაძაბულ პროცესს გადმოსცემს შალვა მამალაძეც 1932 წელს შესრულებულ ესკიზურ გრაფიკულ ნამუშევარში „ფაბრიკა“. მუშების ფიზიკურად ძლიერი, ტლანქი, რამდენადმე პირობითი სხეულები, ისევე, როგორც ფონი, დამუშავებულია სხვადასხვა მიმართულების შავი ტუშის ინტენსიური შტრიხებითა და ყავისფერი მონასმებით, რაც დაძაბული სამუშაო გარემოს განწყობას ქმნის. ასევე საინტერესოა სავარაუდოდ 1920-იანი წლების ბოლოს შესრულებული ნინო წერეთლის ნახატი „ქალი ნამგლით ხელში“, ტიპური გლეხი ქალის სახე (ქანდაკების ესკიზი; ქალაქი, ფანქარი). მისი მძიმე სხეული ძლიერი კიდურებით მოკლებულია ყოველგვარ მინიშნებას ქალურობაზე. აღსანიშნავია, რომ ესკიზში სახის ნაკვეთების არარსებობა, კიდევ უფრო ამძაფრებს ჯანმრთელი და მშრომელი ქალის გმირულ იერსახეს.

აღნიშნული პერიოდის ქართულ ხელოვნებაში გამორჩეულია თამარ აბაკელიას შემოქმედება. მის ქანდაკებებში, გრაფიკულ ნაწარმოებებში, თეატრალურ მხატვრობაში გხვდება მონუმენტური, ფიზიკურად ძლიერი და მეტრძოლი ადამიანის ტიპაჟი. თ. აბაკელიას ნამუშევრები კომპოზიციურად, დინამიკური რაკურსებით, ფიგურათა სკულპტურულ-პლასტიკური



ი. გამრეკელი, დეკორაციის ესკიზი სპექტაკლისათვის „ლადო კეცხოველი“; ქალაქი, აკვარელი; 49X64,5; 1941; სსმ – თეატრისა და ქორეოგრაფიის მუზეუმი.

დამუშავებით იტალიური მაღალი რენესანსის ხელოვნების ნიმუშთა ასოციაციას იწვევს, ზოგიერთი სურათი კი განსაკუთრებით მიქელანჯელოს ფიგურებს მოგვაგონებს, რაც სრულიად არ ეწინააღმდეგება სოციალისტური რეალიზმის გამომსახველობით პრინციპებს: „ცხოვრების დიდებული სილამაზის ჩვენება უნდა ვისწავლოთ აღორძინების ეპოქის ოსტატებისგან და რუსი კლასიკოსებისგან. ეს ცოდნა განსაკუთრებით აუცილებელია, თუკი გვსურს გამოვსახოთ საბჭოთა სინამდვილე, რომელიც აყალიბებს ამაყ, მამაც და მშვენიერ ადამიანს, ნოვატორს, რევოლუციონერს...“¹⁵

თამარ აბაკელია გამოსახავს ქართველ და შუაზიელ ქალებს ამა თუ იმ საქმიანობის პროცესში („ჩაის კრეფა“, „ბროწეულების კრეფა“). ქალთა სახეები განზოგადებული და ტიპიზებულია. განსაკუთრებით საინტერესოა შუა აზიის სერია, სადაც ძუნწი მოყავისფრო კოლორიტით თამამად და ოსტატურადაა გადმოცემული ქალთა ეთნოტიპები სახასიათო, ტიპურ გარემოში. 1930-40-იან წლებში თამარ აბაკელია თეატრის მხატვრად მუშაობდა. მისი გრაფიკული ნაწარმოებები – თეატრალური ესკიზები („ფოლადური“, „ლალი“ და სხვ.), ილუსტრაციები („ვეფხისტყაოსანი“) წარმოგვიდგენს მას, როგორც თავისებური ხელწერის მქონე ორიგინალურ კოლორისტს და სახასიათო პორტრეტისტს (გიორგი სააკაძე, უშანგი ჩხეიძის პორტრეტი).

რევოლუციის თემაზე ხატავენ 1930-იან წლებში კორნელი სანაძე და უჩა ჯაფარიძე. თითქმის ყველა მხატვარი ასრულებდა სტალინის პორტრეტს, რაც ასევე მნიშვნელოვან სახელმწიფო დაკვეთას წარმოადგენდა: „ნამდვილი დიადი პროლეტარი ბელადის აღწერა გიგანტური ამოცანაა, რომლისთვისაც საჭიროა ფართო თვალსაწიერი და დიდი ტალანტი“.¹⁶ კორნელი სანაძის ახალგაზრდა სტალინის შელამაზებული პორტრეტი წარმოად-

15 И. Ф. Смолянинов, Социалистический реализм – творческий метод советского искусства, Ленинград, 1954, 26.

16 А. Луначарский, Социалистический реализм, журн. “Советский театр” №2-3, 1933.



ი. თოიძე, დუშეთის აჯანყება; ტილო, ზეთი; 153X210; 1930-იანი წლები, სემ – ხელოვნების მუზეუმი.

გენს რამდენადმე რომანტიკული განწყობის რევოლუციონერის პროფილს. პასტოზურად და თავისუფლად დაწერილი ცა, მღელვარე ბუნება და ლურჯი მთების ფონზე გამოსახული წითელარმიელთა რაზმი გამოსატავს ბელადის განწყობას. მსგავსი „რევოლუციური რომანტიზმი“ მისაღებია და დამახასიათებელია 1930-40-იანი წლების სოციალისტური რეალიზმისათვის.

1930-იანი წლების სოციალისტური რეალიზმის კიდევ ერთი საინტერესო მაგალითია უჩა ჯაფარიძის სცენები სოფლის ცხოვრებიდან. მთლიანობაში მის პერსონაჟებს, მსგავსად იმავე თაობის სხვა მხატვართა ნაწარმოებების გმირებისა, გამოარჩევს შემდეგი მახასიათებლები: მონუმენტალიზმი, გამოკვეთილი ფიზიკური ძალა, ხორცსავსე სხეულები („წითელარმიელი კოლმეურნეობაში“, „რთველი კოლმეურნეობაში“, „მარტოობის ძახილი“). უჯა ჯაფარიძის ფიგურები ერწყმიან იმ გარემოს, ბუნებას, რომლის ფონზეც მათ მხატვარი წარმოგვიდგენს. სხვადასხვა ფერით, ცოცხალი შუქ-ჩრდილით თანაბრად და გულდასმითაა მოდელირებული როგორც ბუნება, ისე ადამიანთა სხეულები. პლანების მონაცვლეობით აგებული კომპოზიციები შეკრულია და გაწონასწორებული. მთებისა და მდელოების განლაგება, დიაგონალური მიმართულებები, ეხმიანება პერსონაჟთა მოძრაობას. თ. აბაკელიას ნაწარმოებების მსგავსად, ამ სურათებშიც იტალიური რენესანსის გავლენა იგრძნობა. უჩა ჯაფარიძის ფერწერა 1940-იან წლებში საკმაოდ იცვლება, უფრო რეალისტური და ნარატიულია, მოკლებულია იმ თავისებურ დინამიკას, რომელიც მის ადრეულ შემოქმედებას გამოარჩევს, იცვლება კოლორიტიც, რომელიც შედარებით ზომიერი და თავშეკავებული ხდება.

1930-იან წლებში სოციალისტურ თემატიკას გვერდს ვერ აუვლიდა პარიზიდან დაბრუნებული ოთხეულიც – დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი, ელენე ახვლედიანი და ქეთევან მაღალაშვილი. თანამედროვე ხელოვნების ცენტრიდან საბჭოთა სინამდვილეში აღმოჩენილი მხატვრებისთვის ალბათ შოკის მომგვრელი და განსაკუთრებით რთული უნდა ყოფილიყო ახალ რეალობასთან შეგუება, თავისუფალი შემოქმედებითი პოზიციების დათმობა. თუმცა აღსანიშნავია, რომ მათი ზოგიერთი ნაწარმოებისთვის დამახასიათებელია საბჭოთა თემატიკის ინდივიდუალური რედაქცია და სოციალისტური რეალიზმის თავისებური ინტერპრეტაცია. დავით კაკაბაძე 1930-იან წლებში ასრულებს ინდუსტრიულ პეიზაჟებს („რიონჰესი“, 1932; „ელსადგური რიონჰესში“, 1939). აღნიშნული კომპოზიციები, ერთი შეხედვით, რეალისტურად გამოიყურება და თემატიკითაც ესადაგება სახელმწიფო მოთხოვნებს, თუმცა ამავე დროს არ ტოვებს კომპრომისული ნამუშევრების შთაბეჭდილებას, რასაც, უპირველეს ყოვლისა, მხატვრის გემოვნება და მაღალი მხატვრული პროფესიონალიზმი განაპირობებს. დ. კაკაბაძე მისთვის ჩვეული, თავშეკავებული და დახვეწილი კოლორიტით გადმოსცემს თავისებურ ატმოსფეროს, სადაც რიონჰესის საწარმო ნაგებობები, დანადგარები, ანძები მათემატიკური სიზუსტითაა განთავსებული ბუნებაში, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. მუქ ხაზებსა და კონტურებს შეაქვს რიტმი სურათის მკაფიო კომპოზიციურ წყობაში, ხოლო კაკაბაძის-

ვის ჩვეული განზოგადების უნარი და რაციონალიზმი, ფერთა თანაფარდობა და გამომსახველ საშუალებათა გარკვეული მინიმალიზმი ინდუსტრიული ლანდშაფტების დახვეწილ და შთამბეჭდავ სურათს იძლევა.

ძალიან თავისებურად ასახავს ახალ ცხოვრებას ლადო გუდიაშვილი. ის პრიმიტივისტული მხატვრული მანერით ხატავს სურათებს „ახალი სვანეთი“, „მცხეთის აკვედუკი“. 1931 წელს შესრულებულ გრაფიკულ კომპოზიციებსაც („ტრაქტორი“ და „თანდილას სიზმარი“), რომლებიც ზღაპრების ილუსტრაციას უფრო მოგვაგონებს, არაფერი აქვს საერთო სოციალისტურ რეალიზმთან. წერის მანერით, თხელი, დენადი, იუგენდშტილისთვის სახასიათო კონტურით ეს სურათები ახლოსაა გუდიაშვილის 1920-იანი წლების გრაფიკულ ნამუშევრებთან. საინტერესოა ალეგორიული სიუჟეტები, რომლებსაც რამდენადმე იუმორისტული ელფერიც დაკრავს, მაგალითად, ტრაქტორი, რომელიც ძალადობს ბუნებაზე და განდევნის ცხენსა და შველს, გუდიაშვილის მოდერნისტული პერიოდის ხელოვნების მნიშვნელოვან პერსონაჟებს.

1940-იანის წლების ქართულ საბჭოთა მხატვრობაში წამყვანი გახდა II მსოფლიო ომის თემატიკა. საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც მოსახლეობაში პატრიოტიზმის გაღვივებას ცდილობდა, აგიტაციას სხვადასხვა ფორმით ეწეოდა. დიდი მნიშვნელობა მიენიჭა პოლიტიკურ გრაფიკას, პოლიტიკურ პლაკატს, გაზეთებისა და ჟურნალების სატირულ გრაფიკას. ამ მხრივ, გამოირჩეოდნენ ირაკლი თოიძე, იოსებ გაბაშვილი, შალვა ბერიტაშვილი, დავით ნაცვლიშვილი, ანდრო კანდელაკი და ა.შ. განსა-



ი. ვეფხვაძე, ბრძოლა; მუყაო, ზეთი; 26,5X50; 1943; სემ – ხელოვნების მუზეუმი.



ა. ციმაკურიძე, სადარაჯოზე; ტილო, ზეთი; 138X190; 1949; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

კუთრებით პოპულარული იყო ირაკლი თოიძის პლაკატი „დედა-სამშობლო გვეცხის!“ . პლაკატზე გამოსახული ქალი პათეტიკური უესტით, საბჭოთა დედის განზოგადებული, მონუმენტური და ლაკონიური გამოსახულება, ომის დაწყებისთანავე დაიბეჭდა და მთელ საბჭოთა კავშირში გავრცელდა. ომის თემა მნიშვნელოვანი იყო თეატრისთვისაც. ექსპრესია და დრამატიზმი ახასიათებს ირაკლი გამრეკელის ამ პერიოდის ესკიზებს სპექტაკლებისთვის „ლადო კეცხოველი“ (1941), „კიკვიძე“ (1941), „ოლეკო ღუნდიჩი“ (1942).

ომის წლებში თბილისში არაერთი გამოფენა მოეწყო. 1941 წლის შემოდგომაზე საქართველოს მხატვართა კავშირის სურათების გალერეაში გაიხსნა პირველი გამოფენა, რომელიც II მსოფლიო ომს მიეძღვნა. ექსპოზიცია არ გამოირჩეოდა ნამუშევრების სიმრავლით და ომის თემაზე მოკლე დროში შექმნილი ნაწარმოებებიც ეტიუდური ხასიათის იყო. უფრო მასშტაბური გამოდგა 1942 წელს თბილისში გამართული დიდი საკავშირო გამოფენა სახელწოდებით „დიდი სამამულო ომი“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს კავკასიელმა მხატვრებმა – სომხებმა, აზერბაიჯანელებმა, დაღესტნელებმა, ასევე მხატვრების ჯგუფმა კიევიდან, ხარკოვიდან და თბილისში მცხოვრებმა არაქართველებმაც (ა. გრაბარმა, ი. პავლოვმა, ნ. ჩერნიშევიმა და სხვებმა). გამოფენაზე წარმოდგენილი იყო დ. კაკაბაძის, უ. ჯაფარიძის, მ. თოიძის, თ. აბაკელიას ნაწარმოებები (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება). ქართველი მხატვრები – ვახტანგ ჯაფარიძე, უჩა ჯაფარიძე, შალვა მამალაძე და კონსტანტინე გძელიშვილი სპეციალურად მიავლინეს საბჭოთა კავშირის იმ ტერიტორიებზე, სადაც საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობდა. მათ ასახეს ბრძოლის ეპიზოდები, ჯარისკაცების ტიპები, შეასრულეს ფრონტის ჩანახატების სერეები, რომლებიც 1944 წელს საქართველოს მხატვართა კავშირის კლუბში გამოფინეს.¹⁷

17 В. Беридзе, Н. Езерская, Искусство советской Грузии 1921-1979, М.: Советский художник, 1975, 155.

ომის პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საქართველოს ისტორიის თემაზე შექმნილ ნაწარმოებებს, რომლებსაც მოსახლეობაში პატრიოტული სულისკვეთება უნდა გაეღვივებინა. მოსე თოიძემ, აპოლონ ქუთათელაძემ, სევერიან მაისაშვილმა შექმნეს ფერწერული ტილოები საქართველოს ისტორიის გარკვეულ მოვლენებზე (მაგალითად, საქართველო-რუსეთს შორის გაფორმებულ ტრაქტატზე, ასპინძის ბრძოლაზე, ალა მაჰმად ხანის შემოსევაზე და სხვ.), რომლებიც წარმოდგენილი იყო 1946 წელს საქართველოს გასაბჭოების 25 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენაზე.

ომის თემაზე შესრულებული ნამუშევრები ხასიათდება იმავე მხატვრულ-ფორმალური თვისებებით, რომლებიც ზოგადად ახასიათებს სოციალისტურ რეალიზმს. ზოგიერთი მხატვარი გამოკვეთს ბრძოლის პათოსს, ქმნის ბატალურ, მრავალფიგურიან კომპოზიციებს, სადაც მნიშვნელოვანია თხრობა და ასახულია საბჭოთა ჯარისკაცის გმირობა. მაგალითად, ივანე ვეფხვაძის მრავალფიგურიანი კომპოზიცია „ბრძოლა“ მოგვაცნობს XIX საუკუნის რუსი პერედვიჟნიკების ფერწერულ ნიმუშებს, ალექსანდრე ციმაკურიძე კი ომის სიუჟეტს („სადარაჯოზე“) მისთვის დამახასიათებელი მზის სხივების შუქ-ჩრდილით ათამაშებული მშვიდი და უშფოთველი პეიზაჟის გარემოში წარმოგვიდგენს. ხშირია ჟანრული სცენები, რომლებიც წარმოგვიდგენენ ფრონტიდან ამბების მომლოდინე იმედიან ადამიანებს (მ. თოიძის „ჩვენები იმარჯვებენ“) ან ომის დროს მშრომელ გლეხებს (მ. მეტრეველის „მშრომელები“, 1944).

ომის წლებში შესრულებულ ნაწარმოებებს შორის გამორჩეულია დავით კაკაბაძის ცნობილი სურათი „მიტინგი იმერეთში“ (გამოფენილი იყო 1942 წელს საკავშირო გამოფენაზე თბილისში). თითქოს საბჭოთა სინამდვილის შესახებ შექმნილი ეს ნაწარმოები, შესაძლოა ქვეცნობიერად, ავლენს დავით კაკაბაძის პიროვნულ და მხატვრულ პოზიციას. იმერეთის მთებისა და ფერდობების ხალიჩისებურ პეიზაჟში, რომელიც ჩვეულია კაკაბაძის შემოქმედებისთვის, ჩახატულია ადამიანთა ჯგუფი ტრანსპარანტებზე სამი ბელადის – ლენინის, სტალინისა და ბერიას – პორტრეტებით (1950-იან წლებში, ხრუშჩოვის პერიოდში, სტალინისა და ბერიას პორტრეტები საღებავით დაფარეს). მთების ძირში გამოსახულ მომიტინგეთა მცირე ფიგურები უსუსურად გამოიყურება საქართველოს შთამბეჭდავი, მარადიული, მონუმენტური ბუნების ფონზე და, უნებურად, წარმავლობის განცდას ბადებს. არაა გასაკვირი, რომ 1948 წელს მოსკოვიდან ჩამოსულმა კომისიამ იოლად ამოიწრო დავით კაკაბაძეში საბჭოთა იდეოლოგიისთვის მიუღებელი მხატვარი და მას, როგორც „ფორმალისტს“, აეკრძალა მუშაობა არა მხოლოდ სამხატვრო აკადემიაში, არამედ საშუალო სკოლებშიც.

სტალინის ეპოქაში პარტია კიდევ უფრო მკაფიოდ განსაზღვრავდა სახვითი ხელოვნების თემატიკას – კვლავ მნიშვნელოვანი იყო, აესახათ ბრძოლა ფაშიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ, მუშათა და გლეხთა კლასის ჰეროიზმი, ინდუსტრიული აღმშენებლობის გიგანტური პროცესები. სოციალისტური რეალიზმის ამოცანაა დამაჯერებელი გამოსახულებების



მ. თოიძე, ჩვენები იმარჯვებენ; ტილო, ზეთი; 135X91; 1940-იანი წლები; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

შექმნა, ხელოვნება ზუსტად უნდა აღწერდეს ობიექტს, ამავე დროს, უნდა იგრძნობოდეს მოძრაობა, განვითარება და ბრძოლა. „მხოლოდ ამ ფორმითაა დასაშვები სოციალისტური რომანტიზმი, რომელიც სრულიად განსხვავდება ბურჟუაზიული რომანტიზმისგან“.¹⁸ თუმცა სოციალისტური რეალიზმისთვის სახასითო რომანტიკა და გაზვიადებული პათეტიკა ხშირად ნაკლებად დამაჯერებელს ხდის ასახულ „სინამდვილეს“, ხოლო მებრძოლ საბჭოთა ადამიანებს მითიურ ტიტანებს ამსგავსებს. დაზგური თუ მონუმენტური მხატვრობის ისტორიული და პროპაგანდისტული ნაწარმოებები, რომლებიც ძირითადად კვლავაც XIX საუკუნის რეალისტური ხელოვნების სტილისტური მახასიათებლებით საზრდოობს, II მსოფლიო ომის შემდეგაც განსაზღვრავს საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ოფიციალურ ხელოვნებას.

18 А. Луначарский, Социалистический реализм, журн. “Советский театр” №2-3, 1933.

ქართული მხატვრობა II მსოფლიო ომის შემდეგ



რ. სტურუა, გამარჯვების დღესასწაული; ტილო, ტემპერა; 192X150; 1949; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

II მსოფლიო ომის მომდევნო ათწლეულებში საქართველო, როგორც საბჭოთა რესპუბლიკა, მოწყვეტილი იყო თავისუფალი დასავლეთის ზოგად კულტურულ პროცესებს, სახელოვნებო ტენდენციებს, მხატვრულ ცხოვრებას. 1945 წლის შემდეგ მსოფლიოში არსებულმა პოლიტიკურმა და ისტორიულმა რეალობამ დასავლური სამყაროს ხელოვნების სრულიად განსხვავებული ისტორიული განვითარება განაპირობა, ხოლო საბჭოთა კავშირში და მისი გავლენის ქვეშ მყოფ ქვეყნებში მომდევნო ათწლეულების მანძილზე კიდევ გრძელდებოდა ტოტალიტარული რეჟიმის იდეოლოგიურ-რეპრესიული ზეწოლა. 1930-40-იან წლებში ჩამოყალიბებული „ყაზარმული სოციალიზმის“ ერთ-ერთ მთავარ მახასიათებელს საზოგადოებრივი მოღვაწეობის ყველა სფეროს, მათ შორის, მეცნიერებისა და კულტურის, პოლიტიზაცია წარმოადგენდა. 1920-იანი წლების რუსეთში „ნეპის“ პერიოდში კულტურის სხვადასხვა სფეროში ჯერ კიდევ შენარჩუნებული ე.წ. „პლურალიზმი“ საბოლოოდ დასრულდა სტალინის ეპოქაში, როდესაც განხორციელდა ხელოვნების სრული უნიფიკაცია. „კლასობრივ საზოგადოებაში არ არსებობს და ვერც იარსებებს ნეიტრალური ხელოვნება“ – ასეთი იყო კომუნისტური პარტიის პოზიცია, რომლის მიზანს წარმოადგენდა კულტურისა და ხელოვნების გლობალური კონტროლი, მისი სრული დამორჩილება, რისთვისაც 1930-იან წლებში ე.წ. „შემოქმედებითი კავშირები“ შეიქმნა. „ხელოვნების ფრონტზე“ მიმდინარე ვითარებას აკონტროლებდნენ პირადად სტალინი და ცკ-ის საორგანიზაციო ბიუროს უფლებამოსილი მდივნები, რომლებიც იდეოლოგიას კურირებდნენ (უდანოვი, შჩერბაკოვი, პოსპელოვი, სუსლოვი),¹ ხოლო „პარტიულ ხაზს“ ატარებდნენ შერჩეული კადრები „შემოქმედებითი ინტელიგენციიდან“. სახელმწიფო აპარატი ეწეოდა ხელოვნების ნაწარმოებთა ცენზურას, იძლეოდა მითითებებს, უხეშად ერეოდა შემოქმედებით პროცესებში, განსაზღვრავდა არა მხოლოდ იდეოლოგიას, არამედ გამომსახველობით

1 Н. Н. Маслов, Советское искусство под гнетом «метода» социалистического реализма: политические и идеологические аспекты (30-40-е гг.), Отечественная история №6, 1994. об. <http://Annales.info/rus/small/socrealism.htm>.

მხარეებსაც. ხელოვანის წარმატება თუ წარუმატებლობა, ზოგადად მისი ბედისწერა, დამოკიდებული იყო ავტორის პოლიტიკურ შეხედულებებზე, მის პოზიციაზე, თუ რამდენად შეესაბამებოდა მისი შემოქმედება ანტიინდივიდუალურ სოციალისტურ რეალიზმს. სახვითი ხელოვნების ერთადერთი ანაქრომული ფორმით შექმნილი ათასობით ფერწერული, გრაფიკული თუ სკულპტურული ნაწარმოები მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე განადიდებდა რევოლუციას, შრომას, სამამულო ომს, სტალინის ზეადამიანურ თვისებებსა და განუსაზღვრელ დამსახურებებს. იქმნებოდა ურიცხვი ოდენობის დაშტამპული და ყალბი ნაწარმოები. ცხადია, ამას მხოლოდ მხატვრების დაბალი პროფესიული დონე როდი განაპირობებდა, ამ ეპოქაში ნიჭიერი და გამოჩენილი მხატვრებიც ასრულებდნენ უსახურ ნამუშევრებს. „ვაიძულეთ, წეროს ისე, როგორც თვითონ არასოდეს დაწერდა“ – პარტიის ამგვარი პოლიტიკა ეხებოდა არა მხოლოდ მწერლებს, არამედ მხატვრებსაც. საინტერესოა, რომ 1940-იანი წლების ბოლოს ხელოვნების დეგრადაციის პროცესი კომუნისტური პარტიის ზოგიერთი წარმომადგენლისთვისაც კი შემაწუნებელი გახდა: „ჩვენი მხატვრების გარკვეულმა ნაწილმა მარტივად გაიგო პარტიულ ამოცანათა არსი და ვერ დაადგა სწორ გზას. ზოგიერთი იდეურობას დღესაც მხოლოდ სიუჟეტში ხედავს და არა თავად ფერწერაში. მათ დაივიწყეს ფერწერაში ფერის ემოციურობის, რიტმებისა და ფორმის შესახებ. დაივიწყეს იმ საოცარი ძალის არსებობა, რომელიც სიუჟეტს დამაჯერებელსა და ემოციურს ხდის. ნატურალიზმის გზას, რომელსაც დაადგა მრავალი მხატვარი, ხელოვნება გადაშენებისკენ მიჰყავს.“²



ვ. ქუთათელაძე, სამგორის მშენებლობა; ქსილოგრაფია, ქალაქი, ტუში; 19X13,5; 1953; ამბროლაურის სახვითი ხელოვნების მუზეუმი.

2 В. Сажин, Против натурализма в живописи, Комсомольская правда, 1948, 6/VII.



ა. ჟდენტი, რუსთავი; ტილო, ზეთი; 72X52; 1951; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

II მსოფლიო ომის შემდეგ გამარჯვებული საბჭოთა კავშირი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობით იყო დაკავებული. მცირე დროში უნდა აეგოთ მსხვილი საწარმოები, ქარხნები და ახალი ქალაქები, მოეხერხებინათ ძველთა რეკონსტრუქცია და ა.შ. აუცილებელი იყო საბჭოთა ადამიანების აღმშენებლობის უნარის დემონსტრაცია. ბუნებრივია, ამ პროცესებში საბჭოთა საქართველოც აქტიურად მონაწილეობდა. მხატვრები აღბეჭდავდნენ მშვიდობისა და შრომის თემას მონუმენტურ-დეკორატიულ ნაწარმოებებში. ასეთი იყო, მაგალითად, რობერტ სტურუას „გამარჯვების დღესასწაული“ (ჭიათურის თეატრის პლაფონი, 1949), „ხალხთა მეგობრობა“ (სოფ. შრომის კულტურის სახლის პლაფონი). ომის შემდგომი პერიოდის მხატვრობაში გავრცელებული იყო მრავალფიგურიანი კომპოზიციები – სახალხო დღესასწაულები, საერთო მხიარულება შრომის პროცესში ან სამუშაო დღის შემდეგ. გამარჯვებული ხალხის ბედნიერი ცხოვრება, საბჭოთა ხალხის „განუსაზღვრელი ოპტიმიზმი“ აისახა არაერთი ძველი და ახალი თაობის მხატვრის ფერწერულ და გრაფიკულ ნამუშევარში. ასეთია, მაგალითად, მოსე თოიძის „ბედნიერი ცხოვრება“, აპოლონ ქუთათელაძის „ჩაის კრეფა“, რობერტ სტურუას „ხიდის მშენებლობა“, ეკატერინე ბაღდავაძის „მოსავლის ზეიმი“, სევერიან მასისაშვილის „ახალი სანაპირო“, „რუსთავის მეტალურგიული ქარხანა“, „მელორეობა“ და სხვ. გავრცელებული იყო მხატვრების მშენებარე ადგილებზე, ქარხნებში, მინდვრებში მივილინების პრაქტიკა.³ მაგალითად, სამგორის წყალსაცავის მშენებლობის

3 В. Беридзе, Н. Езерская, Искусство советской Грузии 1921-1979, М.: Советский художник, 1975, 173.




ე. ახვლედიანი, კაშხალი; ტილო, ზეთი; 81X95; 1950-იანი წლები; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

თემაზე ნაწარმოებები შეასრულეს ე. ახვლედიანმა, კ. სანაძემ, გ. ჯაშმა, ვ. ჯაფარიძემ, ი. ვეფხვაძემ და სხვებმა.

ინდუსტრიულ თემაზე შექმნილი სახასიათო ნამუშევრებია ვლადიმერ ქუთათელაძის „სამგორის მშენებლობა“ (1953) და ალექსანდრე ჟღენტის „რუსთავი“ (1951). ალ. ჟღენტი შორი ხედიდან ხატავს რუსთავის ქარხანას და მის მიმდებარე ტერიტორიას. გადმოცემულია ქარხნის მნიშვნელობა და მონუმენტურობა, რასაც ხელს უწყობს სურათის სტატიკური და გაწონასწორებული კომპოზიციური წყობა, ვერტიკალური აქცენტები, თავშეკავებული, ზომიერი კოლორიტი. ადამიანთა გამოსახულებები მონიშნულია პირობითად, მასშტაბის საჩვენებლად.

ვ. ქუთათელაძის ქსილოგრაფიაზე „სამგორის მშენებლობა“ ასახულია ინტენსიური მუშაობის პროცესი, რომელიც კლდეზე ჩაჭრილ ფართო არხზე მიმდინარეობს. აქაც სურათის კომპოზიციური გააზრება – შორიდან დანახული ფართო პლანი, ჰორიზონტალურად გაშლილი ხედი, სიღრმეში მკვეთრად დავიწროებული არხის ფორმა, სხვადასხვა ზომისა და ფორმის ფაქტურული ზოლებითა თუ ინტენსიური შტრიხებით შესრულებული სიბრტყეები (კლდოვანი ლანდშაფტის, არხის ზედაპირის, ცის), პატარა ფიგურათა მოძრაობები – წარმოაჩენს დინამიკას, მიმდინარე მშენებლობის მოცულობას და გვიქმნის მნიშვნელოვანი მოვლენის განცდას.

ნიჭიერი ფერმწერი კორნელი სანაძე, რომელიც ახალგაზრდობაში მოდერნისტული მიმდინარეობით იყო გატაცებული, 1950-იან წლებში აგრძელებს მუშაობას პორტრეტის, ნატურმორტის, პეიზაჟის ჟანრებში, ასრულებს თემატურ კომპოზიციებს. მისი რამდენიმე კომპრომისული ნაწარმოები, მაგალითად, „ჩაის პლანტაციები საქართველოში“ (1957) და „სამგორის განთიადი“ (1950-იანი წწ.), მხატვრის მიერ სოციალისტური რეალიზმის მოთხოვნებისა და პრინციპების საფუძვლიან და გააზრებულ ათვისებაზე მეტყველებს. ამ ორი სურათის პერსონაჟები საბჭოთა მშრომელი ხალხის ტიპურ სახე-ხატს ქმნიან. ჯანმრთელი, მშრომელი, ბედნიერი მეჩაიე ქალი და მუშა მამაკაცი სანიმუშო ადამიანები არიან. ორივე მათგანი წარმოდგენილია სურათის წინა პლანზე მთელ სიმაღლეში. თითქოს ფოტოგადაღებისათვის პოზირებენ (შესაძლოა, სურათები შესრულებულია საგაზეთო ფოტოს მიხედვით) და მოგვაგონებენ ამ პერიოდის საბჭოთა ფილმების გმირებს. მათი გამოსახულებები განზოგადებულია, თუმცა სახის ნაკვეთებში აშკარად ხაზგასმულია ეთნიკური მახასიათებლები. ჩაცმულობა მეტყველებს სოციალურ სტატუსზე, ხოლო უკანა პლანზე მათი საქმიანობის შესატყვისი ხედები მოჩანს. კორნელი სანაძე მუშას განთიადის ფონზე ხატავს, რითაც, ერთი მხრივ, ხაზს უსვამს მის შრომისმოყვარეობას და, ამავე დროს, თავისებური განწყობას ჰმატებს სურათს, მეჩაიეს კი ფონს მზის სხივებით განათებული ჩაის პლანტაციებით დაფარული ფერდობები უქმნის. მიუხედავად მხატვრის ფერწერული მცდელობებისა, ორივე სურათ-



ს. მაისაშვილი, ახალი სანაპირო; ქალაქი, გუაში; 43X31; სემ – ხელოვნების მუზეუმი.



კ. სანაძე, ფორთოხლის კრეფა; ტილო, ზეთი;
135X110; 1957; სემ – ხელოვნების მუზეუმი.



კ. სანაძე, სამგორის განთიადი;
ტილო, ზეთი; 120X112;
სემ – ხელოვნების მუზეუმი.

თი, განსაკუთრებით, იმავე ავტორის სხვა ნამუშევრებთან შედარებისას, ხელოვნურობის შთაბეჭდილებას ტოვებს. მსგავსი ტიპის ნაწარმოებები იფინებოდა საკავშირო და რესპუბლიკურ გამოფენებზე. მათ უნდა წარმოეჩინათ საბჭოთა საქართველოს წვლილი საერთო კომუნისტური მომავლის მშენებლობაში.

თავისებურად წარმოგვიდგენს მშრომელ ხალხს ლადო გუდიაშვილი, რომელმაც ოფიციალურ წრეებში ძირითადად 1950-იანი წლებიდან პოვა აღიარება. 1957 წელს მოეწყო გუდიაშვილის პერსონალური გამოფენა თბილისში, მოგვიანებით კი – მოსკოვშიც. მას მიენიჭა სახელმწიფო პრემიები. გუდიაშვილის შემოქმედება, მოდერნისტულ პერიოდთან შედარებით, საკმაოდ იცვლება საბჭოთა საქართველოში, თუმცა იგი კვლავ ხშირად მიმართავს ალევორიულ, სიურეალისტურ და სიმბოლისტურ თემებს, ხატავს ზღაპრულ თუ გამოგონილ სამყაროს, ქართულ ლეგენდებს, მითოლოგიურ სიუჟეტებს მახინჯი არსებებითა და ახალგაზრდა ლამაზმანებით, რომლებსაც სახასიათო გუდიაშვილისეული ესთეტიკა და სტილიზაცია გამოარჩევს. ბუნებრივია, გუდიაშვილიც იძულებულია,



ლ. გუდიაშვილი, მეჩაიე ქალები; ტილო, ზეთი; 75X65; 1964; სემ – ხელოვნების მუზეუმი.



გ. გელოვანი, ახალგაზრდობა (თბილისის ზღვაზე); ტილო, ზეთი; 140X270; 1957; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

შეასრულოს ნაწარმოებები სოციალისტური რეალიზმის თემაზე, თუმცა ძლიერი ინდივიდუალურობისა და ორიგინალური ხელწერის მქონე მხატვარი სოცრეალისტური თემატიკის თავისებურ ინტერპრეტაციას იძლევა. „კოლმეურნე გოგონები“ (1963) თუ „მეჩაიე ქალები“ (1964) ნაკლებად ზედმიწევნით პასუხობენ სოცრეალიზმის მოთხოვნებს. სტილიზებული გარეგნობით, ნაზი და ქალური სილუეტებით, დენადი მოხაზულობის მომრგვალებული ფორმებით, მშვიდი მოძრაობებითა და ჩაცმულობითაც კი, ისინი ნაკლებად შეესატყვისებინ ჯანმრთელი, ხორცსავსე და ფიზიკურად ძლიერი საბჭოთა კოლმეურნე ქალების გარეგნობას. გუდიაშვილის კეკლუცი კოლმეურნე და მეჩაიე ქალები კაფეებსა თუ სალონებში უფრო ბუნებრივად გამოჩნდებოდნენ, ვიდრე მინდვრებსა და პლანტაციებზე. მათი ჩალის ქუდეებიც კი საკმაოდ მოდურად გამოიყურება. ქალთა ამ გამოსახულებებში გუდიაშვილს დამატებითი ესთეტიური აქცენტები შეაქვს – მოკლე მანდილი ჩალის ქუდის ქვეშ, ყვავილების თაიგული ან სალამური, რაც შრომის სადიდებელ სცენებს მხატვრისთვის ჩვეულ პოეტურობას ანიჭებს.


1950-60-იანი წლების ქართულ ხელოვნებაში, წინა ათწლეულებთან შედარებით, გარკვეული ცვლილებები შეიმჩნევა. როგორც ცნობილია, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, განსაკუთრებით 1950-იანი წლების მეორე ნახევრიდან, რამდენადმე „შერბილდა“ სახელმწიფო რეჟიმი, თუმცა ტოტალიტარული მმართველობის მეთოდები მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. ზოგადად, ამ დროში შექმნილი ხელოვნების ნაწარმოებებისთვის დამახასიათებელია არაერთგვაროვნება, მხატვრულ დონეთა შესამჩნევი



ჟ. მეძმარიაშვილი, უკანასკნელი
სართული; ტილო, ზეთი; 120X81;
1959; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

სხვაობა. სოციალისტური რეალიზმის პირობებში, ერთი წამყვანი სტილის ფარგლებშიც შეიმჩნევა ნიჭიერი მხატვრების ინდივიდუალურობა, საკუთარი ორიგინალური მხატვრული ენის შენარჩუნებისა თუ ჩამოყალიბების მცდელობა, თუმცა თვალშისაცემია საერთო ტენდენციებიც.

ქართველი მხატვრები ხშირად მიმართავდნენ ისეთ ტრადიციულ ჟანრებს, როგორიცაა პეიზაჟი, პორტრეტი, ნატურმორტი, ანუ აქცენტს აკეთებდნენ ნაწარმოების გამომსახველობით, ფორმალურ მხარეზე, რამდენადაც ამგვარად უფრო შესაძლებელი იყო მათი გემოვნების, ხედვისა და პროფესიონალიზმის გამოვლენა. სახელმწიფოს მხრიდან, ცხადია, კვლავ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა რევოლუციურ და ისტორიულ სიუჟეტებზე შექმნილ სურათებს, ბატალურ სცენებს, რომლებსაც ასრულებდნენ სხვადასხვა თაობის მხატვრები – აპოლონ ქუთათელაძე, ივანე ვეფხვაძე, გურამ გელოვანი, კონსტანტინე მახარაძე და სხვანი. როგორც ერთ-ერთ აქტუალურ სიუჟეტს, მხატვრები აღბეჭდავდნენ სოფლისა და ქალაქის ყოფას, ყოველდღიურ ცხოვრებას, რადგანაც „სოციალისტური რეალიზ-




ნ. მესხიძე, გოგონები;
მუყაო, ზეთი; 75X71; 1962;
ამბროლაურის სახვითი
ხელოვნების მუზეუმი.

მი ამკვიდრებს ყოფას, როგორც ქმედებას, როგორც შემოქმედებას...“⁴ 1950-აინ წლებში სოფლის ცხოვრების ეპიზოდებს უფროსი თაობის მხატვრებიც ხატავდნენ. უჩა ჯაფარიძის სადა, კამერულ, შედარებით უბრალო კომპოზიციებში უპირატესობა ენიჭება ქართველი გლეხის განზოგადებულ ტიპაჟს, ადამიანების ყოველდღიურ ქმედებებს და ურთიერთობებს. ალექსანდრე ციმაკურიძე სიცოცხლის ბოლო წლებშიც ქმნის მზის სხივებით გაცოცხლებული, ნათელი და მშვიდი სოფლების პეიზაჟებს, ხატავს საყვარელ კუთხეებს („ქვიშხეთი“, 1952). ამ პერიოდის სურათებში ისევ აღარ ჩანს ადამიანთა გამოსახულებები. საყოფაცხოვრებო თემების ამსახველ ჟანრულ სურათებს, სადაც, ამავე დროს, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პეიზაჟს, საქართველოს ბუნებას, მიმართავენ ელენე ახვლედიანი, კორნელი სანაძე, სევერიან მასიაშვილი, შალვა მამალაძე, შალვა მაყაშვილი, ნიკოლოზ მეტონიძე, ვახტანგ ჯაფარიძე, ბეჟან შველიძე და ა.შ.

სოციალისტური რეალიზმი მოითხოვდა თანამედროვე ცხოვრების ჩვენებას. „შესაძლებელიცაა და აუცილებელიც, რომ საბჭოთა ხელოვნებაში, არა „მეორე პლანზე“, არა შრომითი მოღვაწეობის ასახვის შემდეგ, არამედ საგანგებოდ და ღრმად დამუშავდეს სიყვარულისა და მეგობრობის ამსახველი თუ სხვა თემები. პირადი და საზოგადოებრივი, შრომა და

4 А. М. Горький, О литературе, 1937, 472.



დ. ერისთავი, გაზაფხული; ქალაქი, ფანქარი, პასტელი; 64X87; 1970; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

ყოფა საბჭოთა ადამიანისთვის განუყოფელია.⁵ თანადროული ცხოვრების სცენებს ხშირად მიმართავენ ვალენტინ შერპილოვი, ჟანგო მეძმარიაშვილი, გურამ გელოვანი, ოთარ სულავა, ნანა მესხიძე, გოგი თოთიბაძე, ზურაბ ნიჟარაძე, დიმიტრი ერისთავი, რადიშ თორდია და სხვანი. გართობისა თუ შრომის თემები უმეტეს შემთხვევაში დამუშავებულია განზოგადებულად. გამოსახულებათა განზოგადებისადმი სწრაფვა, როგორც გამოკვეთილი ტენდენცია, გამოვლინდა 1961 წლის რესპუბლიკურ გამოფენაზე. გურამ გელოვანის ფერწერულ ტილოზე „ახალგაზრდობა“ (1957) თბილისის ზღვის ნაპირზე ნაჩვენებია ახალგაზრდა ქალთა ჯგუფი საბჭოთა ფილმის კადრს მოგვაცონებს. თვალშისაცემია ქალთა ერთმანეთის მსგავსი ფიგურები, რომელთაგან ნაწილი საბანაოდ ემზადება, ნაწილი იმოსება. კომპოზიცია აგებულია ჰორიზონტალურ ზოლთა მონაცვლეობაზე – სანაპიროს ბრტყელი ზოლი, დაბალი ჰორიზონტი, ზღვის, მთების, ცის ზოლები ენაცვლება ერთმანეთს. კადრულობას, თითქოს შემთხვევით

5 И. Ф. Смолянинов, Социалистический реализм – творческий метод советского искусства, Ленинград, 1954, 16.




კ. იგნატოვი, კოსტიუმის ესკიზი ბალეტისათვის „ბერიკაბა“; ქალაქი, გუაში; 46X34,5; 1973; საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწ. მუზეუმი.

დაჭერილ მომენტს, მხატვარი ხაზს უსვამს მარცხენა მხარეს ნახევრად ჩამოჭრილი ქალის გამოსახულებით. აქ ნაჩვენებია საბჭოთა ახალგაზრდობის ზოგადი სახე – ნავარჯიშები, ჯანმრთელი ახალგაზრდობა, სპორტული ცხოვრების აქტუალობა და თბილისის ზღვის ახალი სანაპიროს მიმზიდველი ლანდშაფტი.

ახალგაზრდა თანამედროვე ხელოვნანის იდეალიზირებულ სახეს ქმნის ოთარ სულავა სურათში „მოზაიკის აღდგენა“ (1958). შორიდან დანახული სახელოსნოს ხედზე ფოკუსირება ხდება ცენტრში დეკორატიულ წრეში მოთავსებულ ახალგაზრდა მხატვრისა და ქალიშვილის წყვილზე. სპორტული აღნაგობის, თავმომწონე მხატვარი პალიტრითა და ფუნჯით ხელში სამუშაო გარემოშია. განზოგადებულია ნანა მესხიძის უბრალო, რიტმული სიუჟეტებიც, სადაც ხშირად ვხვდებით ბავშვების თამაშსა და გართობას. ჟანგო მეძმარიაშვილის ფერწერული ტილოებს ახასიათებს თავისებური ლირიზმი („მეათე სართული“, „მეოთხმოცე შემოდგომა“). აქ ყურადღება მახვილდება ადამიანურ ურთიერთობებზე, რომელთა განწყობას ეხმიანება სურათის ფონი, როგორც წესი, ბუნება, პეიზაჟი. სიმსუბუქე,



ვ. ქუთათელაძე, ჩაქვის ჩაის
პლანტაციები; ქალაქი, ლინოგრაფიურა;
24,5X24,5; 1977; სემ – ხელოვნების
მუზეუმი.




ვ. ქუთათელაძე, ჩაის პლანტაციები;
ქალაქი, ლინოგრაფიურა; 34X30,5; 1975;
სემ – ხელოვნების მუზეუმი.

რიტმულობა, სიმარტივე გამოარჩევს დიმიტრი ერისთავის თანამედროვე ცხოვრების სცენებს, სადაც ასახულია ქალაქის ყოველდღიურობა – „გას-ეირნება“ (1958), „გაზაფხული“ (1970). ფიგურათა სილუეტები აქაც თავისებურად ტიპიზირებულია. მსუბუქ კოლორიტში მოცისფრო და მონაც-რისფრო ტონალობები ჭარბობს. აქაც ხაზგასმულია ზოგადად მოვლენა, მაგალითად, ქალთა ჯგუფისა და ველოსიპედისტების სეირნობა, ხოლო გაზაფხული ალევორიულად გამოხატულია ერთნაირი აღნაგობისა და სი-ლუეტის ახალგაზრდა ქალთა ფრონტალური მსვლელობით, რომლებიც სურათის წინა პლანზე თითქოს მაყურებელს ეგებებიან. უკანა პლანზე განახლებული ძველი ქალაქის ხედია ნაჩვენები.

1965 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება, რომელშიც განისაზღვრა რესპუბლიკის მხატვართა ამო-ცანები და მიზნები, გამოიკვეთა მონუმენტურ-დეკორატიული და გამოყ-ენებითი ხელოვნების განვითარების მნიშვნელობა. თავისი როლი შეასრუ-ლა თანადროული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების განვითარებაში თბილისის სამხატვრო აკადემიამ, სადაც 1960-იან წლებში 4 ფაკულტეტი და 21 კათედრა არსებობდა. ამ პერიოდში აკადემიას შეემატა პედაგოგთა ახალი შემადგენლობა, რომელთა შორის იყვნენ კ. მახარაძე, რ. თურქია, დ. ხახუტაშვილი, გ. თოთიბაძე, გ. ოჩიაური, თ. ყუბანეიშვილი, ზ. ნიჟა-რაძე და სხვანი.

როგორც აღინიშნა, 1940-იანი წლების ბოლოდან ქართველი მხატვრები საკმაოდ ხშირად ქმნიდნენ მონუმენტური მხატვრობის ნიმუშებს. სრულ-დებოდა მონუმენტურ-დეკორატიული კომპოზიციები სხვადასხვა დანიშ-ნულების შენობებისა თუ დიდი დარბაზებისთვის – თბომაველებისთვის, სანატორიუმებისთვის, კულტურის სახლებისთვის, რესტორნებისთვის და ა.შ. ამ ტიპის მხატვრობისთვის ხშირად დამახასიათებელია ალევორიეზი-თა და მეტაფორებით დატვირთული, ფსევდოეროვნული ნიშნების შემ-ცველი ან ფსევდოჰეროიკული პათეტიკის მქონე სიუჟეტები, რომლებიც შესაძლოა, ნაკლებად ღირებულია მხატვრული თვალსაზრისით, თუმცა, როგორც ტიპური სოციალისტური რეალიზმის ნიმუშები, საინტერესო კულტურულ ფენომენს წარმოადგენს. კოკი მახარაძემ, რომელიც ცნობი-ლი იყო ისტორიული თემის მრავალფიგურიანი ფერწერული სურათებით, შეასრულა ალევორიული ხასიათის მონუმენტური ტილო „მიწა ქართუ-ლი“ (1967). რელიეფური ფრიზის მსგავსი კომპოზიცია მთლიანად შევსე-ბულია მსხვილი ფიგურებით, რომელთა ცენტრში გამოსახულია გლეხი ქალი არაპროპორციულად უტრირებული, ხორცსავსე, მძლავრი ფეხებით, გაშლილი ხელებითა და თავზე ყურძნის მტევნებით. ტიპიზირებულია მოხ-უცი გლეხისა და ორ ჯგუფად განაწილებულ ღონიერ ვაჟთა გამოსახულე-ბებიც. ეს არის სოფლისა და ქალაქის, ტრადიციისა და თანამედროვეობის „ურღვევი კავშირის“ ამსახველი სცენა, რომლის იდეურ ცენტრსაც ხელ-გაშლილი ქალის თეთრი ფიგურა წარმოადგენს. კოკა იგნატოვი მუშაო-




ჯ. ლოლუა, პურის აღება; ლინოგრაფიურა;
71,5X60; სემ – ხელოვნების მუზეუმი.



ჯ. ლოლუა, გამარჯვება; ლინოგრაფიურა;
71X59,5; სემ – ხელოვნების მუზეუმი.



ს. ქობულაძე, უ. შექსპირი, „მეფე ლირი“. რეგინა. ილუსტრაცია; ქაღალდი, დაბრესილი ნახშირი; 57X42; 1946; სემ – ხელოვნების მუზეუმი.



ს. ქობულაძე, ქალი ვაშლებით; მუყაო, ტემპერა; 70X90; 1969; სემ – ხელოვნების მუზეუმი.



თ. ყუბანეიშვილი, „ოთარაანთ ქვრივის“
ილუსტრაცია; ლითოგრაფია; 38,5X29;
1957; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

ბდა როგორც დაზგურ, ასევე მონუმენტურ მხატვრობაში. მისი შექმნილია პანსიონატ „ბიჭვინთის“ ინტერიერის მხატვრობა – ტრიპტიქი „სიმღერა საქართველოზე“ (1968), ასევე – „ცოდნის წყარო“ ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარ შენობაში (1970-1971) და სხვ. საინტერესოა იგნატოვის ალევორიული ფერწერული ტილოები, მაგალითად „იმერეთი“ (1973), სადაც შენობებით დატვირთული მინიატურული ქალაქის თავზე სურათის ცენტრიდან თითქოს ამოზრდილია ქალის გრანდიოზული მონუმენტური გამოსახულება, გარშემორტყმული მთებითა და ფერდობებით. მსგავს სიუჟეტს ვხვდებით სურათში „სოფელი მთებში“ (1973). აქ სახლები და კოშკები განფენილია გოლიათი ქალის კალთებსა და გაშლილ ხელის-გულეზე. აღსანიშნავია, რომ 1950-იანი წლებიდან ვლინდება ინტერესი ეთნოგრაფიისადმი, ხალხური ლეგენდებისადმი. ნაწარმოებებში ვხვდებით არქაიზაციას, დეკორატიულ, გამარტივებულ, პირობით გამოსახულებებს, ზოგჯერ კი – მიზანმიმართულ ნაივურობას. მსგავსი პროცესები ვლინდება როგორც ფერწერასა და გრაფიკაში, ასევე ქანდაკებასა და ჭედურობაში.

II მსოფლიო ომის შემდეგ მრავალი ქართველი მხატვარი მუშაობდა გრაფიკაში. ქართული გრაფიკა, რომელსაც ამ პერიოდისთვის საკმაოდ საინტერესო ტრადიცია ჰქონდა, აგრძელებდა განვითარებას როგორც ხელოვნების დამოუკიდებელი დარგი. როგორც ცნობილია, ქართული გრაფიკის ჩამოყალიბება XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში წიგნის მხატვრული გაფორმებით დაიწყო, ხოლო XIX საუკუნის მიწურულს საქართველოში საჭურნალო



გ. ოჩიაური, ახალგაზრდა მგოსნებს
(ვაჟა-ფშაველას ლექსების მიხედვით);
ლინოგრაფიურა; 35,5X25,5; 1961;
სემ – ხელოვნების მუზეუმი.

გრაფიკაც განვითარდა.⁶ არაა გასაკვირი, რომ ათწლეულების მანძილზე ამ დარგის სხვადასხვა სფეროში მუშაობის გამოცდილების მქონე მხატვართა საკმაოდ ფართო წრე შეიქმნა. ქართველი გრაფიკოსები გამოირჩეოდნენ ინდივიდუალური ხელწერით, რომელიც შესაბამისი ეპოქის მხატვრულ გემოვნებასა და ხედვას შეესატყვისებოდა. 1950-60-იან წლებში გრაფიკის ერთ-ერთი წამყვანი სფერო წიგნის ილუსტრაცია იყო. საყურადღებოა, რომ მხატვრების ნაწილი ერთდროულად ხელოვნების სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობდა, რაც მსგავსი ტენდენციების არსებობას განაპირობებდა (მაგალითად, გრაფიკაში მუშაობდა არაერთი ქართველი მოქანდაკე). თუმცა, ამ პერიოდის სახვით ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებს ჯერ კიდევ განსაზღვრავდა სახელმწიფო იდეოლოგიური პრინციპები, რომლებიც საკმაოდ მძლავრობდა ოფიციალური ხელოვნების წრეებში 1980-იან წლებამდე და მთავარ ხელისშემშლელ პირობას წარმოადგენდა ხელოვანთა დამოუკიდებელი შემოქმედებითი მოღვაწეობისთვის. ამის მიუხედავად, იყვნენ ქართველი მხატვრები, რომლებიც აღნიშნულ ეპოქაშიც ქმნიდნენ მაღალი მხატვრული ღირებულების ნაწარმოებებს და ცდილობდნენ, შეძლებისდაგვარად არ დაეკარგათ ინდივიდუალური შემოქმედებითი ხედვა. ისინი „...უმძიმეს იდეოლოგიურ სიტუაციაშიც ინარჩუნებენ მხატვრულ დონეს და ამით ინარჩუნებენ თავისებურ ესტაფე-

6 მ. კარბელაშვილი, ქართული გრაფიკა (1900-1920 წწ.), Ars Georgica, ელ. ჟურნალი, სერია B, 2010, იხ. http://www.georgianart.ge/index.php?option=com_content&view=article&id=55&Itemid=&ed=7.



რ. თარზან-მოურავი, სერია „ქართული ხალხური ცეკვები“. სიმდი; ლინოგრაფიურა; 28,5X20; 1957; სემ – ხელოვნების მუზეუმი.



რ. თარზან-მოურავი, სერია „ქართული ხალხური ცეკვები“. ცერული (სვანური); ლინოგრაფიურა; 28X19; 1957; სემ – ხელოვნების მუზეუმი.


ტას. მათი შემოქმედება თავისებურ საფუძველს შეუქმნის ახალგაზრდა მხატვართა თაობას, რომლებიც 1950-იანი წლების მეორე ნახევრიდან გამოვლენ სამხატვრო ასპარეზზე. მათი შემოქმედება თავისებური რეაქცია იქნება სოციალისტური რეალიზმის სიყალბეზე და ანტიმხატვრულ ტენდენციებზე. ამ ტენდენციების მაქსიმალური გამოვლენა მოხდა 40-იანი წლების მეორე ნახევარსა და 50-იანი წლების პირველ ნახევარში.⁷

ომის შემდგომ პერიოდში ქართული წიგნის ილუსტრაციის სფეროში მოღვაწეობას აგრძელებდნენ ირაკლი თოიძე და თამარ აბაკელია, რომლებიც ძირითადად ქართველი კლასიკოსების ნაწარმოებებს აფორმებდნენ. ცნობილი გრაფიკოსი, ფერმწერი და თეატრის მხატვარი სერგო ქობულაძე ნაყოფიერად მუშაობდა როგორც წიგნის ილუსტრაციებზე, ასევე თეატრის მხატვრობაში. 1940-იანი წლებიდან მან შეასრულა ილუსტრაციები უილიამ შექსპირის ნაწარმოებებისთვის, დაასურათა შალვა დადიანის რომანი „იური ბოგოლიუბსკი“, ქართული ხალხური ზღაპრები, შექმნა დეკორაციის ესკიზები („ამბავი ტარიელისა“, „სინათლე“, „მეფე ლირი“ და სხვ.). იგი მუშაობდა სახასიათო, ინდივიდუალური მხატვრული მანერით,

7 გ. ხოშტარია, ახალი და უახლესი დროის ქართული სახვითი ხელოვნების პერიოდიზაციის საკითხები, ოსუ სამეცნიერო შრომების კრებული, ხელოვნებათმცოდნეობა №2, თბ., 2001, 280-281.

ხატავდა მონუმენტურ ფიგურებს ძლიერი, პლასტიკური და განზოგადებული ფორმებით. მისი ნაწარმოებები დრამატულია, ექსპრესიული, ზოგჯერ – პათეტიკურ-ჰეროიკული. განსაკუთრებით შთამბეჭდავია ქობულაძის ილუსტრაციები „მეფე ლირისთვის“. საინტერესოა, რომ ილუსტრაციებზე მუშაობისას, იგი პარალელურად ასრულებდა ესკიზებს სპექტაკლისათვის „მეფე ლირის“ შოთა რუსთაველის თეატრში, შესაძლოა ამიტომაც ილუსტრაციებში შექსპირის სამყარო თითქოს თეატრის პრიზმიდან არის დანახული.⁸ სერგო ქობულაძეს გამოარჩევს არაჩვეულებრივად ოსტატური ნახატი და ფორმათა პლასტიკური მოდელირება. მისი ნაწარმოებები კომპოზიციურად სრულყოფილი, დასრულებული და გააზრებულია. ჩანს ანტიკური და რენესანსული ხელოვნების უბადლო ცოდნა. მიუხედავად ჩვეული განზოგადებისა, მას ძალუძს, გადმოსცეს ადამიანის ყველაზე არსებითი, ყველაზე სახასიათო თვისება. ქობულაძე დახვეწილი ფერმწერია. მისი დეკორაციის ესკიზები ერთდროულად თავშეკავებულიცაა და ექსპრესიულიც. ნაწარმოებებში ხშირად დომინირებს ერთი ან ორი წამყვანი ფერი (მაგალითად, გვხვდება წითელი, ცისფერი ან ნაცრისფერი ტონალობების ურთიერთშეხამება). მისი კომპოზიციები, მიუხედავად

8 მ. კარბელაშვილი, სერგო ქობულაძის ილუსტრაციები შექსპირის ტრაგედიებისათვის, „საბჭოთა ხელოვნება“ №10, 1961.



ა. ბაჟბეუკ-მელიქოვი, ავთო ვარაზის პორტრეტი;
ტილო, ზეთი; 39X33; 1953; სემ – ხელოვნების მუზეუმი.



ქ. მაღალაშვილი, მანანა ხიდაშელის
პორტრეტი; ტილო, ზეთი; 73X57; 1958;
სემ – ხელოვნების მუზეუმი.


იმისა, რომ როგორც წესი, დატვირთულია დეტალებით, სტილურად ყოველთვის ერთიანია. 1960-იანი წლების ბოლოს ქობულაძე ხატავს ერთმანეთის მსგავს კომპოზიციებს – „ქალი ვაშლებით“, „შიშველი ქალი“ და სხვ. ქალთა უკიდურესად მძიმე, სავსე, გაზვიადებული სხეულები და გამსხვილებული ფორმები მოდელირებულია ექსპრესიულად და ფაქტურულად. ექსპრესიას აძლიერებს შავი სქელი კონტურები, რომლებიც ექსპრესიონისტ მაქს ბეკმანის ნაწარმოებების შორეულ ასოციაციას იწვევს.

განსხვავებული ტენდენციები შეიმჩნევა ზურაბ ლეჟავასა და იოსებ გაბაშვილის ილუსტრაციებში, რომლებიც გამოირჩევა თხრობითობით, უტირიებით, იუმორით, ზოგჯერ – ირონიით. 1950-60-იან წლებში შეიქმნა მრავალი ილუსტრაცია ქართველი კლასიკოსების ნაწარმოებებისთვის, ყურადღება დაეთმო საბავშვო და საყმაწვილო წიგნების ილუსტრაციას. გამოიცა არაერთი წიგნი, მათ შორის, ალექსანდრე ბანძელაძის მიერ დასურათებული რადიარდ კიპლინგის „მაუგლი“ (1961), ჯემალ ლოლუას მიერ ილუსტრირებული ნოდარ დუმბაძის რომანი „მე ვხედავ მზეს“ (1966) და ა.შ. 1961 წელს აღინიშნა ვაჟა-ფშაველას დაბადების მე-100-ე წლისთავი, 1966 წელს კი – შოთა რუსთაველის იუბილე, რაც ქართული ილუსტრაციისთვის მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა. ვაჟა-ფშაველას მონუმენტური, ჰეროიკული და მეტაფორული სახე შექმნა მოქანდაკემ და გრაფიკოსმა გიორგი ოჩიაურმა ლინოგრაფიურით „ახალგაზრდა მგოსნებს“ (ვაჟა-ფშაველას ლექსის მიხედვით, 1961). თავისებურია ვაჟა-ფშაველასა და შოთა რუსთაველის ლევან ცუცქერიძისეული ინტერპრეტაცია.

როგორც ცნობილია, ლევან ცუცქერიძე ასრულებდა ქართული კედლის მხატვრობის ასლებს და ეს გამოცდილება, გარკვეულწილად, თავის შემოქმედებაშიც გამოიყენა.

ილია ჭავჭავაძისა და ვაჟა-ფშაველას წიგნების ილუსტრაციების ერთ-ერთი საყურადღებო ნიმუშია თეიმურაზ ყუბანეიშვილის გრაფიკული ნაწარმოებები. „ოთარანთ ქვრივის“ ილუსტრაციებში (1957) ჯერ კიდევ შენარჩუნებულია რეალისტური წერის მანერა, თხრობითობა, თუმცა სიუჟეტები აღწერილია ძალიან ზომიერად, შეიძლება ითქვას, მკაცრად, რაც კარგად შეესატყვისება ნაწარმოების ხასიათს. დიდი ყურადღება ენიჭება პერსონაჟთა ფსიქოლოგიურ დახასიათებას. მაგალითად, ძალიან მეტყველია ოთარანთ ქვრივის სახე, სადაც გამოსახულება პროფილშია მოცემული, მას დიდი, მძიმედ დაშვებული ხელის მტევანი ახასიათებს. რამდენიმე წლის შემდეგ შესრულებული ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა ილუსტრაციები კიდევ უფრო მეტად განზოგადებული და მინიმალისტურია. „მინდიაში“ შავ ფონზე გრაფიკულად იკვეთება მამაკაცის პროფილი, მის უკან მომწვანო ფერით სიმბოლურად გადმოცემულია მზე და ორი მცენარე. „გველისმჭამელში“ შავ ფონზე თეთრი ფერით ძუნწად და უაღრესად ზუსტად არის მონიშნული მთის ხალხის პირქუში, მკაცრი სახის ნაკვთები, რამდენიმე კონტურული ხაზით კი – სხეულთა მოხაზულობა, თუმცა ეს რედუცირებული გამომსახველობითი მხატვრული ხერხები საკმარისია სიუჟეტის დრამატიზმის, ადამიანთა ღრმა და დაძაბულ ურთიერთობების გადმოსაცემად.

როგორც აღვნიშნეთ, 1950-60-იან წლებში ქართველი მხატვრების ნაწილი გატაცებულია ხალხური თემატიკით, ტრადიციებით, ეროვნული ფოლკლორით, თუმცა ზოგიერთი მხატვარი ძირითადად ეთნოგრაფიული საკითხების გარეგნული და რამდენამდე ზედაპირული ინტერესით კმაყოფილდება, ნაწილი უფრო ღრმად შეისწავლის ქართულ ბუნებას, ხასიათს და ეროვნულ თავისებურებათა თუ არსებით მახასიათებელთა გამოვლენას ცდილობს. რევაზ თარხან-მოურავი 1950-იანი წლებიდან ილუსტრაციების, დაზგური და მონუმენტური მხატვრობის პარალელურად ქმნის სერიებს „ქართული ხალხური სიმღერები“, „ქართული ხალხური ცეკვები“, „ქართული ხალხური თამაშობები“, რომლებშიც მისთვის ჩვეული უტრირებითა და სიმძაფრით გამოკვეთს ეროვნულ ნიშან-თვისებებს, სახასიათო მოძრაობებს. მისი გრაფიკული ნაწარმოებებისთვის ზოგადად დამახასიათებელია სახვითი ხერხების სიძუნწით ყველაზე ტიპურის, არსებითის გამოხატვა. რევაზ თარხან-მოურავისთვის, საბჭოთა სინამდვილეში მოღვაწე თავისებური ხელწერის მქონე შემოქმედისთვის, რთული იყო იძულებით, ხელოვნურად თავსმობვეული მხატვრული პრინციპების მიღება და მათთან შეგუება. მხატვრის ირონიული დამოკიდებულება, მისი შემოქმედებითი პოზიცია აისახა სახელმწიფო დაკვეთით შესრულებულ კედლის მხატვრობის ნიმუშებში. ამ მხრივ საინტერესოა ღვინის სადეგუსტაციო დარბაზის მოხატულობა ყვარელში (1974), სადაც რ. თარხან-მოურავი დიონისური ხასიათის ღრეობის ამსახველი სცენით, გროტესკული, დეფორმირებული,




ქ. მაღალაშვილი, ელისო ვირსალაძის პორტრეტი; ტილო, ზეთი; 80,5X60; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

დაკუნთული შიშველი სხეულებითა და ნიღბებს მიმსგავსებული სახეების გამომეტყველებით თითქოს დასცინის ოფიციალური ხელოვნების სიყალბეს. ამ კონტექსტში ირონიულია კედლის მხატვრობის წარწერაც: „წუთისოფელი ასეა: ღამე დღეს უთენებია, რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“.⁹ შემთხვევითი არაა, რომ რ. თარხან-მოურავის შემოქმედების ბოლო პერიოდის ზოგიერთი ნაწარმოები ავლენს სიახლოვეს ტრანსავანგარდულ და ნეოექსპრესიონისტულ მხატვრობასთან.

როგორც აღინიშნა, საბჭოთა პერიოდში მხატვრები ხშირად მიმართავდნენ სახვითი ხელოვნების ტრადიციულ ჟანრებს – პორტრეტს, პეიზაჟს, ნატურმორტს, სადაც ყურადღებას ამახვილებდნენ სურათის ფორმალურ, გამომსახველობით, ფერწერულ მხარეებზე. ეს მრავალი მხატვრისთვის ერთგვარი გამოსავალი იყო. ქეთევან მაღალაშვილი, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე პორტრეტული ჟანრის ერთგული დარჩა, ქმნიდა თანამედროვეთა, ძირითადად, ხელოვნებისა და მეცნიერების სფეროებში მოღვაწეთა, პორტრეტებს. 1940-იანი წლების შემდეგ შექმნილი პორტრეტები, მოდერნისტულ პერიოდთან შედარებით, ცხადია, რეალისტურია, თუმცა – არანაკლებ ღრმა, გამომსახველობითი და დახვეწილი (ს. ზაქარიადის პორტრეტი, 1951; მანანა ხიდაშელის პორტრეტი, 1958 და სხვ.). 1960-იან წლებში მაღალაშვილის წერის მანერა რამდენადმე იცვლება – როგორც ფერთა შეხამება, ასევე მონასში უფრო თამამი, ემოციური, თავისუფალი, ზოგჯერ რამდენადმე პირობითი კი ხდება (ნანა ღვინეფაძის პორტრეტი, 1967; ელისო ვირსალაძის პორტრეტი).

რეალისტური სტილის ფარგლებში შეიქმნა თანამედროვეთა, საზოგადო მოღვაწეთა – მწერლების, პოეტების, მსახიობებისა თუ მხატვრების კიდევ მრავალი გამორჩეული პორტრეტი. 1950-60-იან წლებში მოღვაწე სხვადასხვა თაობის მხატვრებმა – ვალენტინ შერპილოვმა, ვასილ შუხაევმა, გიორგი ჯაშმა, რენო თურქიამ, გოგი თოთიბაძემ, ალექსანდრე ბანძელაძემ, ზურაბ ნიჟარაძემ, დიმიტრი ერისთავმა და სხვებმა – შეასრულეს პორტრეტული მხატვრობის ღირებული და მნიშვნელოვანი ნაწარმოებები, გამორჩეული პროფესიონალიზმით, გამომსახველობითი თავისებურებებით, ინდივიდუალური ხელწერით.

შემოქმედებითი განვითარების შედარებით თავისუფალ შესაძლებლობას იძლეოდა პეიზაჟი. განსაკუთრებულ მნიშვნელობას პეიზაჟი სწორედ 1950-60-იანი წლების ქართულ მხატვრობაში იძენს. ამ პერიოდში ჯერ კიდევ აქტიურად მოღვაწეობდა ელენე ახვლედიანი, რომელიც საქართველოს სხვადასხვა მხარეში მხატვართა ჯგუფების ექსპედიციების ინიციატორი იყო. ელენე ახვლედიანთან ერთად მოგზაურობდნენ და ხატავდნენ საქართველოს ბუნებას რუსუდან ჯავრიშვილი, ვერა ბელეცკაია, ეთერ ანდრონიკაშვილი, ნატალია ფალავანდიშვილი, თეონა ასიტაშვილი, მარგარიტა თუმშალიშვილი და სხვები. ამ მოგზაურობისას შეიქმნა უშუ-



ა. ვარაზი, სიზმარი; ტილო, ზეთი; 66X51; 1963; ამბროლაურის სახვითი ხელოვნების მუზეუმი.

9 მ. ციციშვილი, რევაზ თარხან-მოურავის მხატვრობა, კატალოგი, თბ. 2002, 7-8.



თ. მირზაშვილი, ლხინი;
მუყაო, ტემპერა; 43X52;
სემ – ხელოვნების მუზეუმი.

ალობითა და ცოცხალი შესრულებით გამორჩეული მრავალი სერია და ციკლი. ისინი ხშირად იფინებოდა საანგარიშო ტიპის მცირე გამოფენებზე. ამ ექსპედიციებმა თავისებურად ხელი შეუწყო საქართველოში პეიზაჟის ჟანრის პოპულარიზაციას. პეიზაჟის ჟანრი, ერთი მხრივ, შედარებით ათვისდებოდა მხატვარს სახელმწიფოს მხრიდან თავსმოხვეული სიუჟეტური მოტივებისგან, სხვა მხრივ კი, მისაღები და იოლად აღსაქმელი იყო საზოგადოების სხვადასხვა წრეებისთვის, ამიტომაც იგი ხელსაყრელ გამოსავალს წარმოადგენდა მხატვრულ-სტილისტური ძიებების პროცესში. მხატვრული წერის მანერა, თუნდაც ყოფითი სიუჟეტების შესრულებისას, უფრო უშუალო, თავისუფალი და ბუნებრივია, როდესაც აქცენტირებულია ბუნება. დიდი პოპულარობით სარგებლობდა ამ პერიოდში ელენე ახვლედიანის კოლორიტული, გარკვეულწილად რომანტიზირებული ქალაქური პეიზაჟები – აივნისანი სახლები, ვიწრო ქუჩები, მთაგორიანი ლანდშაფტი – რომლებშიც ხშირია ძველი და ახალი ქალაქის შეპირისპირება.

ქალაქურ პეიზაჟთან ერთად არანაკლებ პოპულარული იყო საქართველოს ბუნების ამსახველი სერიები. თენგიზ მირზაშვილმა ჩამოაყალიბა თავისებური და მომგებიანი მხატვრული სახე, რომელიც ესთეტიურია, მიზანდასახულად გაუბრალოებული, იოლად გასაგები და მისაღები. ქართული მხატვრობის ერთ-ერთ მახასიათებლად გამოვლენილი განზოგადების უნარი მის შემოქმედებასაც ახასიათებს. ერთი ტიპის, მსგავს სტილში შესრულებული ნაწარმოებები, რომლებშიც არსებითი გადმოცემულია მარტივი გამომსახველობითი ხერხებით, გამორჩეულია მხატვრული გემოვნებით.



ზ. ნიჟარაძე, ცირკი; ტილო, ზეთი; 61X81;
1978; სემ – ხელოვნების მუზეუმი.

როგორც ცნობილია, 1950-60-იანი წლები ქართულ მხატვრობაში ცვლილებებისა და ახალი ეტაპის დასაწყისადაა მიჩნეული. 1950-იანი წლების ბოლოდან პეიზაჟი, პორტრეტთან და ნატურმორტთან ერთად, ხელსაყრელი გახდა მხატვართა იმ თაობისთვისაც, რომელიც გატაცებული იყო იმპრესიონიზმის, პუანტელიზმის, პოსტიმპრესიონიზმის მხატვრობის ტექნიკურ-ფერწერული საშუალებებით. შესაძლებელია, ამგვარი გატაცება უკვე ორი ათწლეულის მანძილზე იზოლაციაში მყოფი მხატვრებისთვის ერთგვარი განახლების მცდელობა იყო, თუმცა, დროში საკმაოდ აცდენილი – ერთი მხრივ, ცხადია, ეს მიმდინარეობები კარგად იყო ცნობილი საუკუნის დასაწყისში საქართველოში მოღვაწე მოდერნისტი მხატვრებისთვის, სხვა მხრივ კი, 1950-60-იანი წლების დასაველეთში სრულიად განსხვავებული ტიპის ნოვატორული სახელოვნებო პროცესები მიმდინარეობდა. 1950-იან წლებში საბჭოთა კავშირში იმპრესიონიზმი და პოსტიმპრესიონიზმი ოფიციალურად დაუშვეს. პუანტელიზმი მოდამიც კი შემოვიდა. საყურადღებოა, რომ პუანტელიზმის შემდეგ მხატვართა ნაწილი ევროპული ავანგარდის სხვა, მომდევნო მიმდინარეობებით დაინტერესდა და, ფაქტობრივად, გაიარა განვითარების გარკვეული გზა პოსტიმპრესიონიზმიდან აბსტრაქტულ ხელოვნებამდე. ალექსანდრე ბანძელაძე თავის ინტერვიუში აღნიშნავდა: „...შემდეგ პუანტელიზმამაც აღარ დამაკმაყოფილა და დავიწყე ფორმის დაახლოებით კუბისტთა გვარად გაანალიზება. მალე ეს ეტაპიც გავიარე, რაც გამოიხატა ესკიზებში, ექსპერიმენტულ სურათებში. საბოლოოდ აბსტრაქციამდე მივედი“.¹⁰

10 ქ. კინწურაშვილი, ალექსანდრე ბანძელაძე, ქართული უნივერსიტეტი, თბ., 2000, 3.




ა. ბანძელაძე, გაზაფხული; ტილო, ზეთი; 100X110; 1962;
ამბროლაურის სახვითი ხელოვნების მუზეუმი.

ქართულ მხატვრობაში ახალი გამომსახველობითი ხერხების დამკვიდრებას ცდილობდნენ ალექსანდრე ბანძელაძე, ჯიბსონ ხუნდაძე, სიტა ქუთათელაძე, ედმონდ კალანდაძე, ზურაბ ნიჟარაძე და სხვანი. გაცილებით უფრო თამამი მხატვრული ძიებები გამოარჩევს ამ მხატვართა ნაწარმოებებს მომდევნო 1970-80-იან წლებში. ვლინდება გამოდახილი დასავლურ სახელოვნებო ტენდენციებთან, თუმცა თითოეული მხატვარი თავის ინდივიდუალურ პრაქტიკას ავითარებს. დახვეწილი მხატვრული გემოვნების ფერმწერის – სიტა ქუთათელაძის 1960-70-იანი წლების პეიზაჟებსა და ნატურმორტებში შეინიშნება პოსტიმპრესიონიზმისა და კუბიზმის გავლენა. იგი ქმნის საქართველოს ბუნების განზოგადებულ, თითქმის აბსტრაქტიზმულ პეიზაჟებს, რომლებიც შესრულებულია ინტენსიურ ფერთა ხშირად ძალიან თამამი, თუმცა ყოველთვის ფაქიზი შეხამებით (მაგალითად, „შემოდგომა“, „გაზაფხული“, 1960-1961). ედმონდ კალანდაძის მკვეთრი, ინტენსიური, მსუყე, პასტოზური, ტილოზე ერთმანეთში არეული საღებავებით შესრულებული უკიდურესად ექსპრესიული ფერწერა მაინც ინარჩუნებს ფიგურატიულობას. ჯიბსონ ხუნდაძე იყენებს ფერწერული ხერხებით მანიპულირების უფრო თანამედროვე მეთოდს. მის მიერ შორიდან დანახული, განზოგადებული, დეკორატიული მთის ლანდშაფტები ნელ-ნელა აბსტრაქტიზმის უკიდურეს ზღვარს აღწევს და 1970-80-იან წლებში აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის ნაწარმოებებს უახლოვდება. ეს ერთმანეთში შერეული საღებავებით ან ფერადოვანი კონტრასტებით



ა. ბანძელაძე, აბსტრაქცია; ტილო, ზეთი; 90X100;
1970; სემ – ხელოვნების მუზეუმი.



გ. ქუთათელაძე, ნატურმორტი წიგნებით; ტილო, ზეთი; 100X92; სემ – ხელოვნების მუზეუმი.



გ. ქუთათელაძე, შემოდგომა; ტილო, ზეთი; 121X131; 1960-1961; კერძო კოლექცია.




ე. კალანდაძე, გარეუბანი; მუყაო, ზეთი; 58X72; 1981;
ამბროლაურის სახვითი ხელოვნების მუზეუმი.



ე. კალანდაძე, ბიჭის პორტრეტი; მუყაო, ზეთი; 55X35;
ამბროლაურის სახვითი ხელოვნების მუზეუმი.



ჯ. ხუნდაძე, პეიზაჟი. დილა მთაში; ტილო, ზეთი; 43X70;
1958; სემ – ხელოვნების მუზეუმი.



ჯ. ხუნდაძე, მადრან ღვალათის უდეღტეხიღზე; ტილო,
ზეთი; 98X98; 1988; სემ – ხელოვნების მუზეუმი.



ფ. ლაპიაშვილი, კოსტიუმების ესკიზი (სატელევიზიო კ/ფ „სასტუმროს დიასახლისი“); ქალაქი, გუამი; 58X74,7; 1982; სსმ – თეატრისა და ქორეოგრაფიის მუზეუმი.

შექმნილი ფერადოვანი აფეთქებებია, უაღრესად ექსპრესიული, ქაოტური და დრამატულიც კი. აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის მხატვრული მანერა გამოარჩევს ალექსანდრე ბანძელაძეს, რომლის შემოქმედება დიდ გავლენას მოახდენს მომავალი თაობის მხატვრებზე. ცალკე დგას ავთო ვარაზი. თავისი სახასიათო და მეტყველი პორტრეტების პარალელურად, იგი ავითარებს მხატვრულ მეთოდს, რომელიც სასურათე სიბრტყეზე სხვადასხვა მასალების ინტეგრირებით ახალი რეალიზმისა და პარიზის სკოლის 1950-60-იან წლებში შექმნილ ნაწარმოებებს ენათესავება.

აღნიშნული პერიოდი უდავოდ მნიშვნელოვანია ქართული ხელოვნების მომავალი ეტაპის ჩამოყალიბება-განვითარებისთვის. საყურადღებოა, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა რეჟიმის დროს დაიწყო ახალი მხატვრული ძიებები, ახალი ფერწერული სტილისტიკის ათვისება, რამაც საფუძველი მოუზადა მომავალ თაობათა წარმომადგენლებს. თუმცა იდეოლოგიისგან ფაქტობრივად თავისუფალი თემატური ნამუშევრები 1970-იანი წლების მეორე ნახევრიდან იქმნება. მხატვართა ახალი თაობა, რომელიც 1970-იანი წლების მიწურულს აწყობს არაოფიციალურ გამოფენებს, გამოირჩევა ნოვატორული მიდგომით არა მხოლოდ გამომსახველობითი და სტილისტური თვალსაზრისით, არამედ მანამდე აკრძალული საკითხების თემატიზაციით. 1980-იანი წლების ბოლოს, საბჭოთა კავშირის დაშლისა და საზღვრების გახსნის პერიოდში, ქართველ მხატვრებს დასავლურ ხელოვნებასთან უშუალო ზიარებისა და კულტურული გაცვლის საშუალება მიეცათ. ქართველი მხატვრების საერთაშორისო გამოფენებზე გამოჩენისთანავე გაჩნდა ტერმინი „ქართული ავანგარდი“, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ ქართველ მხატვართა ახალგაზრდა თაობას მოწინავე და ორიგინალური ხედვა გამოარჩევდა. თუმცა მალევე ქართველი მხატვრები საკმაოდ სპეციფიკურ სიტუაციაში აღმოჩნდნენ. დასავლური სამყაროს პოსტმოდერნისტული ხელოვნება საბჭოთა კავშირისგან სრულიად განსხვავებულ პოლიტიკურ და სოციოკულტურულ გარემოში შეიქმნა. XX საუკუნის ბოლო მეოთხედში ქართველ ხელოვანთა ამოცანას, საუკუნის პირველ მეოთხედში მოღვაწეთა მსგავსად, კვლავ წარმოადგენდა თანამედროვე დასავლური მხატვრული ენისა და ვიზუალური ხელოვნების სწრაფი ათვისება, დასავლეთის კულტურულ პროცესებთან ზიარება, ამავე დროს – საკუთარი პრობლემატიკისა და ინდივიდუალურობის წარმოჩენა და ადგილის დამკვიდრება თანამედროვე მსოფლიო ხელოვნების რუკაზე.

ბიოგრაფიები

აბაკელია თამარ

(ხონი, 1905 – თბილისი, 1953)

გრაფიკოსი, მოქანდაკე, თეატრისა და კინოს მხატვარი. მამის ხელობის გამო, ბავშვობა უმთავრესად ხონში, ქუთაისსა და ბათუმში გაატარა. დაამთავრა საშუალო სასწავლებელი ბათუმში და აქვე მოხდა სამხატვრო სტუდიაში მხატვარ ვ. ილუშინთან. შემდეგ სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში ი. ნიკოლაძესთან, ნ. კანდელაკთან, ე. ლანსერესა და ი. შარლემანთან (1923-1929). 1938 წ-დან თავად ასწავლიდა სამხატვრო აკადემიაში. 1930 წ-დან იყო „სარმას“, ხოლო 1933 წ-დან, საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი. მიღებული აქვს სამთავრობო ჯილდოები, მათ შორის, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება (1941). 1931 წ-ს მეუღლესთან, პოეტ კარლო კალაძესთან, ერთად იმოგზაურა შუა აზიაში, სადაც ადგილობრივ თემებზე შეასრულა არაერთი ნაწარმოები, ცნობილი შუააზიური სერიის სახელით. მათგან საყურადღებოა: „თურქმენი ქალები“ (1932), „ბამბის მკრეფავი თურქმენი ქალი“ (1932), „შუააზიელი გოგონა“ (1932) და სხვ. 1930-იან წწ-ში დაასურათა მრავალი წიგნი: „ვეფხისტყაოსანი“ (საიუბილეო გამოცემა, 1937), ვაჟა-ფშაველას პოემები (1935), ს. კლდიაშვილის „ქართული ნოველები“ (1935) და ა.შ. გაფორმებული აქვს სამი კინოფილმი: „არსენა“ (ი. გამრეკელთან ერთად, რეჟ. მიხ. ჭიაურელი, 1937), „გიორგი სააკაძე“ (რეჟ. მ. ჭიაურელი, 1941) და „დავით გურამიშვილი“ (რეჟ. ი. თუმანიშვილი და ნ. სანაშვილი, 1945). ასრულებდა ესკიზებს ქართული ცეკვისა და სიმღერის სახელმწიფო ანსამბლისთვის (1948-1950). თ. აბაკელია მჭიდროდ თანამშრომლობდა ქართულ თეატრებთან.

მხატვრულად გააფორმა სპექტაკლები შ. რუსთაველის სახ. დრამატულ თეატრში – ს. შანშიაშვილის „ფოლად-აური“ (1938) და ალ. ყაზბეგის „ხევისბერი გორა“ (1945); ქართულ სახელმწ. თეატრში – მ. კულუმის „კომუნა ველზე“ (რეჟ. კ. მარჯანიშვილი, 1930), „შამილი“ (რაჟ. დ. ანთაძე, 1935) და „ლალი“ (რეჟ. ვ. ყუშიტაშვილი, 1935); მობარდ მაყურებელთა თეატრში – გ. გაბუნიას „ორჯონიკიძის ხმალი“ (1942); თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში – ბიზეს „კარმენი“ (1932) და ო. თავთაქიშვილის ბალეტი „მალთაყვა“ (1936). თ. აბაკელიას სკულპტურული ნამუშევრებიდან აღსანიშნავია: ხუთკომპოზიციანი რელიეფური ფრიზი (ქვა, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი, ე.წ. „იმელის“ შენობა, 1936-1937), „შურს ვიძიებთ“ (ბრინჯაო, 1944), „კოლმეურნის ოჯახი“ (1949), ლესია უკრაინკას ძეგლი (ბრინჯაო, სურამი, 1952) და სხვ. თ. აბაკელია აქტიურად მონაწილეობდა თბილისის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის საქმეში, ხშირად აფორმებდა ქალაქს სადღესასწაულოდ, ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას და იყო სახელმწიფო საგამოფენო კომიტეტის წევრი. 1927 წ-დან აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა გამოფენაში. თ. აბაკელიას პერსონალური გამოფენები მოეწყო მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ (თბილისი, ბათუმი, სოხუმი, ქუთაისი – 1954; თბილისი – 1964).

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს (სემ – ხელოვნების მუზეუმი, ეროვნული გალერეა; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწ. მუზეუმი) და რუსეთში (აღმოსავლეთის ხალხთა მუზეუმი, მოსკოვი), ასევე კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. ბერძენიშვილი ე., თამარ აბაკელია, „მნათობი“ №6, 1964.
2. ბაჟანი მ., ნაზი და ვაჟაკური მხატვარი, „საბჭოთა ხელოვნება“ №3, 1979.
3. ჭილაძე თ., თამარ აბაკელია, „ცისკარი“ №8, 1963.
4. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1979, М.: Советский художник, 1975.
5. Беридзе В., Искусство грузинской советской социалистической республики, М.: Изобразительное искусство, 1977.
6. Советское изобразительное искусство 1917-1941, Живопись, скульптура, графика, театрально-декорационное искусство, т. I-II, М.: Искусство, 1977, 1981.

აბაშიძე-შენგელია ლორეცა

(თბილისი, 1942)

ფერმწერი, გრაფიკოსი, ილუსტრატორი, წიგნის დიზაინერი. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტზე (1960-1966) და ასპირანტურაში (1970-1972). 1972 წ-დან მუშაობს თსს აკადემიის გრაფიკის კათედრის პედაგოგად, იყო გრაფიკის კათედრის ილუსტრაციის სახელოსნოს ხელმძღვანელი, ხოლო 1996 წ-დან მინიჭებული აქვს თსს აკადემიის პროფესორის წოდება. გაფორმებული აქვს მრავალი წიგნი (ვლ. მაიაკოვსკის ლექსების კრებული, გოეთეს „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი“, უ. შექსპირის პიესები „შუშანიკის წამება“ და სხვ.). მის მიერ ილუსტრირებული „ვეფხისტყაოსანი“ დაცულია ერმიტაჟ-

ში, პეტერბურგის უნივერსიტეტში, მოსკოვის კალიგრაფიის ინსტიტუტსა და სორბონის უნივერსიტეტში. 1982 წ-ს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მხატვრის წოდება, 2002 წ-ს კი – ღირსების ორდენი. არის არაერთი ჟილდოსა და პრემიის მფლობელი. მიღებული აქვს პრემია წლის საუკეთესო ნამუშევრისთვის (1979), პირველი პრემია (საკავშირო ესტამპის გამოფენა, 1989) და სხვა. 2010 წ-ს წარდგენილი იყო რუსთაველის პრემიაზე. არის ავტორი მეთოდური ნაშრომისა „კომპოზიციის ზოგიერთი საკითხები“ (სახელმძღვანელო თსსა სტუდენტებისთვის). იფინებოდა საქართველოს (სემ – ხელოვნების მუზეუმი, დიზაინერთა კავშირი, სამხატვრო აკადემია და სხვ.) და უცხოეთში (გერმანია, კვიპროსი, იტალია, რუსეთი).

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა და უცხოეთის სახელმწიფო მუზეუმებში (სემ – ხელოვნების მუზეუმი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო; აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმი, მოსკოვი; ერმიტაჟის მუზეუმი, სანკტ-პეტერბურგი და სხვ.), ასევე საქართველოს, რუსეთის, გერმანიის, იტალიის, აშშ-ის კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. ანთელავა ლ., კულტურათა დიალოგი შექსპირის ქართულ ილუსტრაციებში (ლ. შენგელია-აბაშიძის ნამუშევრების მაგალითზე), კრებ. ქართული სახვითი „შექსპირიანა“, თბ., 2004.
2. ანთელავა ლ., ლორეცა შენგელია-აბაშიძე – შექსპირის ილუსტრატორი, „ლიტერატურა და ხელოვნება“ №5-6, 1992.

- კარბელაშვილი მ., მხატვარ ლორეტა შენგელია-აბაშიძის ნამუშევრების განხილვა, „ომეგა“ №11 (49), 2003.
- ლებანიძე დ., განცდისა და ოსტატობის ძალა, „ხელოვნება“ №3, 1991.
- ლებანიძე დ., ლორეტა შენგელია-აბაშიძის შემოქმედება, „ხელოვნება“ №5, 1991.
- მეტრეველი ნ., თანამედროვე ქართული წიგნის გრაფიკის მხატვრული პრობლემები (იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამების“ ილუსტრირებისა და მხატვრული გაფორმების მაგალითზე), თბ., 1997 (ავტორეფერატი).

აკოფიანი ამაიაკ

(ტრაპიზონი, 1871 – თბილისი, 1939)

ფერმწერი, გრაფიკოსი. სომეხი მხატვარი ა. აკოფიანი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თბილისში. 1890-იან წწ-ში იგი ხატვას ფ. რუბოსთან დაეუფლა, შემდეგ კი სწავლა გააგრძელა მიუნხენის სამხატვრო აკადემიაში, რომელიც 1894 წ-ს დაასრულა. 1888 წ-დან მონაწილეობდა „კავკასიის კაზმულ ხელოვნებათა წამახალისებელი საზოგადოების“ გამოფენებში. იყო კავკასიელი მხატვრების ურთიერთდახმარების საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი (1907) და გამოფენების მონაწილე.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა (სემ – ხელოვნების მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა)) და სომხეთში (სომხეთის ეროვნული გალერეა, ჰ. თუმანიანის მუზეუმი, ერევანი).

ბიბლიოგრაფია:

- თბილისი ქართველი და უცხოელი მხატვრების შემოქმედებაში, ალბომი, შემდგენლები: მ. ციციშვილი, ნ. ჭოლოშვილი, თბ., 2004.
- სომეხი მხატვრები საქართველოში ჰაკობ ჰოენათანიანიდან გაიანე ხაჩატურიანამდე, ალბომი, შეადგინა ი. ოგანჯანოვამ, ტექსტი ნ. ზაალიშვილისა, თბ., 2011.

ალექსი-მესხიშვილი (გომი) გიორგი

(თბილისი, 1941)

ფერმწერი, თეატრისა და კინოს მხატვარი, სცენოგრაფი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია (1967). 1971-1995 წწ-ში მუშაობდა შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში ჯერ დამდგმელ მხატვრად, ხოლო 1975 წ-დან – მთავარ მხატვრად. გააფორმა ორმოცამდე სპექტაკლი („კავკასიური ცარცის წრე“, „ზაფხულის ღამის სიზმარი“, „როგორც გენებოთ, ანუ შობის მეტორმეტე ღამე“, „ღონ უფანი“ და სხვ.). იყო თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთავარი მხატვარი (1986-1995). ნაყოფიერად თანამშრომლობს სხვადასხვა ქვეყნის აკადემიურ თუ საოპერო თეატრებთან, არის მრავალი სპექტაკლის დამდგმელი მხატვარი („და არს მუსიკა“ – თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი, „პიკის ქალი“ – მიუნხენის ნაციონალური ოპერა, „მეფე ლირი“ – ვაშინგტონის შექსპირის თეატრი, „მოთამაშე“ – მეტროპოლიტენ ოპერა, ნიუ-იორკი და სხვ.), დამდგმელი მხატვარია ფილმებისა: „ფეოლა“ (1970), „გლადიატორი“ (1972), „ამუღ-ყარიბი“ (1988). ამჟამად ცხოვრობს და მოღვაწეობს აშშ-ში. არის დართმუთ-

ის კოლეჯის პროფესორი. მიღებული აქვს მრავალი პრემია და ჯილდო: ყოფილი სსრკ-ის სახელმწიფო პრემია (1979), საქართველოს დამსახურებული მხატვრის წოდება (1981), ევროპული კინოჯილდო (ფელიქსი) სერგო ფარაჯანოვის ფილმისათვის „ამუღ-ყარიბი“ და სხვ.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოში (სემ – ეროვნული გალერეა, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწ. მუზეუმი), უცხოეთის მუზეუმებსა (ბანრუშინის თეატრალური მუზეუმი, მოსკოვი; რუსული მუზეუმი, პეტერბურგი) და კერძო კოლექციებში (აშშ, ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი და სხვ.).

ბიბლიოგრაფია:

- ალექსი-მესხიშვილი გ., ფესტივალის ლაიტმოტივი (ინტერვიუ: ესაუბრა თ. კიკნაველიძე), „ტაბულა“ №71, თბ., 2011.
- თურმანიძე მ., მხატვრის ძიება (გ. ალექსი-მესხიშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენის გახსნის გამო), „ლიტერატურული საქართველო“ (3/IV), 1981.
- კაშია მ., ქართული ფოლკლორის ტრადიციები თანამედროვე სცენოგრაფიაში, ბათუმის შ. რუსთაველის სახ. სახელმწ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. XIII, ბათუმი, 2009.
- კინწურაშვილი ქ., აღმნიშვნელის და აღნიშნულის – ნიშნის შესახებ პოსტ-მოდერნულ ხელოვნებაში, „ლიტერატურა და ხელოვნება“ №2, 2009.
- კინწურაშვილი ქ., გოგი ალექსი-მესხიშვილის სიურეალისტური ალერგორია (ინტერვიუ), „თბილისი Out: თბილისის კულტურული გზამკვლევი“ №7, 2011.

ანდრონიკაშვილი ეთერ

(თბილისი, 1921)

მხატვარი, გრაფიკოსი. 1940-1945 წწ-ში სწავლობდა სამხატვრო აკადემიაში გრაფიკის ფაკულტეტზე. მისი პედაგოგები იყვნენ ლ. გრიგოლია, ი. შარლემანი. აკადემიაში სწავლის დროს გაიცნო მომავალი მეუღლე – დავით კაკაბაძე, რომელთანაც იქორწინა 1940 წ-ს. 50-60-იან წწ-ში მონაწილეობდა ადგილობრივ გამოფენებში, ხატავდა პეიზაჟებს, ყოფით სცენებს. 1963 წ-დან ასწავლიდა სამხატვრო აკადემიაში. არის საქართველოს დამსახურებული მხატვარი.

მისი ნამუშევრები დაცულია სემ – ხელოვნების მუზეუმში, სემ – ეროვნულ გალერეაში, ამბროლაურის სახვითი ხელოვნების მუზეუმსა და კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

- გუდიაშვილი ნ., საქართველოს მხატვარი ქალები, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“ №10 (8/III), 1947.
- ეთერ ანდრონიკაშვილი (ბუკლეტი), თბ., 1973.
- Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1979, М.: Советский художник, 1975.

ანდრონიკაშვილი ოთარ

(საქართველო, 1914 – თბილისი, 1983)

ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრის მხატვარი, მულტიპლიკატორი. 1930-იან წწ-ში სწავლობდა თეატრალურ სასწავლებელში, ხოლო 1940-იან წწ-ში – თბილისის სამხატვრო აკადემიაში.

30-40-იან წწ-ში პირველ მეუღლესთან, მხატვარ კლარა კვეესთან, ერთად შექმნილი აქვს მოდერნისტული ნამუშევრები, ასევე – არქეოლოგიური მასალის ჩანახატების სერია. მომდევნო წლებში მუშაობდა როგორც მხატვარი, რეჟისორი და მსახიობი თბილისის, გორისა და ქუთაისის თეატრებში. 60-70-იან წწ-ში, როგორც რეჟისორი და მსახიობი, მონაწილეობდა რამდენიმე ქართულ მხატვრულ ფილმში. 70-იან წწ-ში აქვეყნებდა ნოველებს უზუნაღ „მნათობში“. 1968 წ-ს თბილისში მოეწყო მისი პერსონალური გამოფენა, რომელიც მ. ჭიაურელმა გახსნა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ო. ანდრონიკაშვილის ფიგურატიული და აბსტრაქტული ნაწარმოებები. 1960-იანი წლებიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა მულტიპლიკაციური ფილმების რეჟისორად.

მისი ნამუშევრები დაცულია სემ – ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმში, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწ. მუზეუმში, კერძო კოლექციებში.

ასიტაშვილი თეონა

(პეტერბურგი, 1932 – თბილისი, 2011)

ფერმწერი, გრაფიკოსი, ილუსტრატორი, დაზღუერი ფერწერის რესტავრატორი. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში გრაფიკის ფაკულტეტზე (1950-1956). მისი პედაგოგები იყვნენ ი. შარლემანი, ს. ქობულაძე, ლ. გრიგოლია, ვ. შუხაევი. აკადემიის დამთავრების შემდეგ ე. ახვლედიანის ჯგუფთან ერთად მონაწილეობდა ექსპედიციებში, ხოლო რ. შმერლინგთან ერთად იმოგზაურა სვანეთში, გურიაში, რაჭასა

და საქართველოს სხვა კუთხეებში. ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებები აისახა მის ნაწარმოებებში. რამდენიმე წელი მუშაობდა მხატვარ-რესტავრატორად დრეზდენის სურათების გალერეაში (1960-1965), ხოლო შემდეგ იყო საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დაზღუერი ფერწერის რესტავრაციის განყოფილების გამგე (1965-1985). თანამშრომლობდა გამოცემლობა „ნაკადულთან“, მუშაობდა „ზარია ვოსტოკასა“ და უზუნაღ „საბჭოთა მწერალში“. 1950-იანი წწ-დან აქტიურად იფინებოდა საქართველოში, რუსეთში, გერმანიაში, ჩეხეთსა და სლოვაკეთში. 1958 წ-დან იყო საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი, 1972-1980 წწ-ში – სამხატვრო აკადემიის პედაგოგი. 1976 წ-ს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მხატვრის წოდება.

მისი ნამუშევრები დაცულია სემ – ეროვნულ მუზეუმში, დ. კაკაბაძის სახ. ქუთაისის სახვითი ხელოვნების გალერეაში და არაერთი ქვეყნის კერძო კოლექციებში (საქართველო, საბერძნეთი, იუგოსლავია, აშშ).

ბიბლიოგრაფია:

1. თეონა ასიტაშვილი (კატალოგი), შემდგ. ე. ასიტაშვილი, თბ., 2012.
2. თეონა ასიტაშვილი (კატალოგი), შემდგ. ქ. ბაგრატიშვილი, თბ., 1966.
3. თეონა ასიტაშვილი (კატალოგი), შესავალი ქ. ბაგრატიშვილისა, თბ., 1956.
4. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1979, М.: Советский художник, 1975.

ასპურავა ივანე

(ქვირი, 1917 – თბილისი, 2002)

თეატრის მხატვარი. სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში ფერწერის ფაკულტეტზე ვ. სიღამონ-ერისთავთან (1933-1938). 1939 წ-ს დაიცვა დიპლომი მ. თოიძის ხელმძღვანელობით. აკადემიის დამთავრების შემდეგ განაწილებული იყო ლანჩხუთის სახელმწიფო თეატრში მხატვარ-დეკორატორად. 1940 წ-ს ვ. სიღამონ-ერისთავმა მიიწვია თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში, სადაც წლების მანძილზე მოღვაწეობდა დამდგმელ მხატვრად. თანამშრომლობდა ქართველ და უცხოელ რეჟისორებთან. ხანგრძლივი შემოქმედების მანძილზე გააფორმა ორასამდე დრამატული, საოპერო და საბალეტო სპექტაკლი, რომლებიც საქართველოს მრავალი ქალაქის სცენაზე დაიდგა: ბათუმში, ფოთში, გორში, თელავში, ზუგდიდში, ქუთაისში და ა.შ. აქტიურად თანამშრომლობდა ვ. ჭაბუკიანთან და გააფორმა მისი ოცამდე საბალეტო სპექტაკლი („მთების გული“, „ჟიზელი“, „ლაურენსია“, „გორდა“, „მშვიდობისათვის“, „დემონი“, „ვალპურგის ღამე“ და სხვ.). გაფორმებული აქვს სპექტაკლები საქართველოს ფარგლებს გარეთაც. მუშაობდა კინო და ტელეფილმების მხატვრადაც. 1948 წ-ს შექმნა კოსტიუმები ნ. რამიშვილისა და ი. სუნიშვილის ანსამბლისათვის. მონაწილეობდა რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენებში. იყო საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1950), ღირსების ორდენის კავალერი.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწ. მუზეუმში, ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწ. თეატრის მუზეუმში, კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. Аскурава И. А., Ред. Б. Гордезиани, Тб., 1958.

აფხაზი ნიკოლოზ

(1749 – 1806)

მხატვარი. ნიკოლოზ აფხაზის, იმავე გიორგი ანჩაბაძის, წინაპრები წარმოშობით ეკუთვნოდნენ „აფხაზად“ ცნობილ იმ თავადურ გვარს, რომელიც, ისტორიული მასალებით, აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთიდან მოსულა. სხვა ქართველი ბატონიშვილების მსგავსად, ნ. აფხაზმა განათლება რუსეთში მიიღო, რის შემდეგაც განსწავლული მხატვარი მეფე ერეკლე II-მ მიიწვია და სამეფო კარის მხატვრად განაწესა. 1780-იან წწ-ში ნ. აფხაზის საკუთრებაში იყო თბილისში ნაზირ ედიშერ როჭიკაშვილისგან ნაყიდი სახლები, სადაც, ერეკლე II-ის 1784 წ-ის ერთ-ერთი განჩინების მიხედვით, „სამხატვრო ადგილიც იყო“. ერეკლე II-ის მეუღლის – დარეჯან დედოფლის დავალებით, ნ. აფხაზს მოუხატავს ანაწურის ეკლესიის კანკელი, განუახლებია ამ ეკლესიის ერთ-ერთ კედელზე გამოსახული „13 ასურელ მამათა ხატი“. ნ. აფხაზი განსაკუთრებით იყო დაახლოებული ერეკლე II-ის ვაჟის, გიორგი XII-ის, ოჯახთან. იგი მის კარზე რუსეთში წარგზავნილი ელჩის მოვალეობასაც ასრულებდა, მისი მეუღლე სოფიო გურამიშვილი კი გიორგი XII-ის ნათლული იყო. დედოფალ მარიამისთვის საჩუქრად მიურთმევიათ მხატვარ ნ. აფხაზის მიერ გაფორმებული ლოცვანი, რომელსაც ოქროთი და ვერცხლით მოვარაყებული ნახატები ამშვენებდა. ნ. აფხაზის დაზღუერი სურათებიდან ცნობილია 5 წლის თავადიშვილის – „ანასტასია დავიდოვას (ბაგრატიონ-

დავითაშვილის) პორტრეტი“, შესრულებული 1770 წ-ს, რომელიც 1981 წ-ს გამოფენილი იყო მოსკოვში რიბინსკის ისტორიულ-სამხატვრო მუზეუმის მიერ.

ბიბლიოგრაფია:

1. გაგუა ლ., პორტრეტმა ფარდა ახა-და საიდუმლოს, გაზ. „თბილისი“ (3/ XI), 1982.
2. გიციბა თ., ქართული სამეფო კარის მხატვარი, „საბჭოთა ხელოვნება“ №7, 1989.
3. თურმანიძე მ., ნიკოლოზ აფხაზის ახლად აღმოჩენილი სურათი, „საბჭოთა ხელოვნება“ №3, 1980.
4. Дзуцова И. П., Два портрета одной модели, Художественные собрания СССР “Музей” №9, 1988.
5. Садзагелов-Ивериели Г., Анапурский Успенский собор и его окрестные достопримечательности, МАК VII, М., 1898.

ახვლედიანი ელენე

(თელავი, 1901 – თბილისი, 1975)

მოდერნისტული ხელოვნების ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარი, წიგნის ილუსტრატორი. ხატვას თბილისში ნ. სკლიფასოვსკის სამხატვრო სტუდიაში სწავლობდა. 1919 წ-ს უკვე მონაწილეობდა ქართველ მხატვართა გამოფენაში. 1922 წ-ს ჩააბარა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში გ. გაბაშვილის კლასში, 1922 წ-ს კი სწავლის გასაგრძელებლად იტალიაში გაემგზავრა. 1924 წ-ს დასახლდა პარიზში და სწავლა განაგრძო კოლოროსის „თავისუფალ

აკადემიაში“. აქვე შექმნა ნიუს დიდი გრაფიკული სერია. პარიზში ყოფნისას მონაწილეობდა „პარიზის დამოუკიდებელთა სალონისა“ და „სამემოდგომო სალონის“ გამოფენებში. ე. ახვლედიანის ფერწერული პეიზაჟები შექმნილი აქვს არაერთ კოლექციონერსა და მხატვრს, მათ შორის, თავად პოლ სინი-აკს. პარიზშივე მოეწყო არტისტის პერსონალური გამოფენა გალერეა *Quatre Chemin*-ში. მონაწილეობდა აშშ-სა და ჰოლანდიაში გამართულ გამოფენებშიც. 1926-1927 წწ-ში მიწვეული იყო ჰოლანდიაში, თუმცა ე. ახვლედიანმა მხოლოდ ნამუშევრები გაგზავნა, თავად კი საქართველოში დაბრუნდა (1927). თბილისში დაბრუნებული მხატვარი კ. მარჯანიშვილმა სამუშაოდ თეატრში მიიწვია, რის შემდეგაც ე. ახვლედიანი ნაყოფიერად თანამშრომლობდა არაერთ თეატრთან. 1928-1941 წწ-ში თბილისში, პეტერბურგსა და კიევში გააფორმა 70-მდე სპექტაკლი. მუშაობდა წიგნის გრაფიკაშიც – დაასურათა ი. ჭავჭავაძის, ე. ნინოშვილის, გ. ლონგველოს, ვაჟაფშაველას და სხვათა ნაწარმოებები. მხატვრის უსაყვარლეს უანრად მაინც პეიზაჟი დარჩა. იგი ხატავდა თბილისის, თელავის, ქუთაისის მრავალრიცხოვან ხედებს. ე. ახვლედიანი იყო შ. რუსთაველის სახ. საქართველოს სსრ სახელმწ. პრემიის ლაურეატი და საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა (ე. ახვლედიანის სახლ-მუზეუმი; სემ – ხელოვნების მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა) სურათების ეროვნული გალერეა; საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწ. მუზეუმი; კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწ. დრამ. თეატრის მუზეუმი; ქართული ლიტერატურის სახელმწ. მუზეუმი; თბილისის

სამხატვრო აკადემია) და რუსეთში (ალმოსავლეთის ხალხთა მუზეუმი მოსკოვი; ა. ბახრუშინის სახ. თეატრის მუზეუმი, მოსკოვი), ასევე თბილისის, მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგისა და პარიზის კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. ელენე ახვლედიანი – 1899-1975, (ალბომი), ტექსტი ი. არსენიშვილისა, თბ., 2011.
2. ელენე ახვლედიანი (ალბომი), ტექსტი ე. პრივალოვასი, შემდგ. ვ. ჭიაურელი, თბ., 1980.
3. კარბელაშვილი მ., ელენე ახვლედიანი, თბ., 1980.
4. ციციშვილი მ., ჭოლოშვილი ნ., ქართული მოდერნიზმი 1910-1930, თბ., 2005.
5. ჯაფარიძე გ., საქართველოს მხატვარ ქალთა შემოქმედება, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“ №10, 1960.
6. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1979, М.: Советский художник, 1975.
7. Советское изобразительное искусство 1917-1941, Живопись, скульптура, графика, театрально-декорационное искусство, т. I-II, М.: Искусство, 1977, 1981.
8. Урушадзе Н., Елена Ахвледиани (серия “В мире театра”), Театральное об-во Грузии, Тб., 1979.

ახოზაძე მამია

(სამტრედია, 1933 – თბილისი, 2010)

ფერმწერი. სწავლობდა ი. ნიკოლაძის სახ. სამხატვრო სასწავლებელში (1949-1954), თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში (1954-1960). 1960 წ-დან

ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას გორის სამხატვრო სკოლაში, პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში (1959-1962), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრაზე (1968 წ-დან), თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში (1989-1995), მცირე აკადემიაში (1990 წ-დან). 1961 წ-დან იყო საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი, 1983 წ-დან – მხატვართა კავშირის მდივანი. 1955 წ-დან მონაწილეობდა რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენებში, ამიერკავკასიის მხატვართა ბიენალეში (თბილისი, 1986), ასევე ჯგუფურ გამოფენებში რუსეთში, პოლონეთში, უნგრეთში, ჩილეში, იაპონიაში და სხვ.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა (ქუთაისის სამხატვრო გალერეა, კერძო კოლექციები) და უცხოეთში (ლიტვა, ინგლისი, რუსეთი, საფრანგეთი, ეგვიპტე, ესპანეთი).

ბიბლიოგრაფია:

1. გაჩეჩილაძე ე., პეიზაჟი მამია ახოზაძის შემოქმედებაში, თსუ შრომები, თბ., 2000.
2. სანადირაძე ე., შრომის პოეზია სურათებში, „საბჭოთა ხელოვნება“ № 4, 1983.

ბაიანჩივი ლევ

(თბილისი, 1930 – 1992)

ფერმწერი. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ა. ქუთათელაძესთან, ვ. შუხავეთან (1953-1959). 1961 წ-დან იფინებოდა საქართველოსა (ე. ახვლედიანის სახლ-

მუზეუმი (1974), მხატვრის სახლი (1981, 1983, 1984), საქართველოს ეროვნული გალერეა (1983, 1997), თანამედროვე ხელოვნების გალერეა (1997-2000) და სხვ.) და უცხოეთში (რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, გერმანია და სხვ.).

მისი ნამუშევრები დაცულია სემ – ხელოვნების მუზეუმში, ეროვნულ გალერეაში, კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. ანდრიაძე დ., ქალაქური მეტამორფოზების მხატვარი, „საბჭოთა ხელოვნება“ №10, 1983.
2. თავაძე ო., ლევ. ბაიანჩევის შემოქმედება, „ცისკარი“ №4, 1975.
3. შავგულიძე ე., ლევ. ბაიანჩევი, „საბჭოთა ხელოვნება“ №10, 1980.

ბანძელაძე ალექსანდრე

(ტულუნი, 1927 – თბილისი 1992)

ფერმწერი, გრაფიკოსი, წიგნის ილუსტრატორი. ბავშვობის წლები გაატარა ციმბირში, სადაც მისი ოჯახი მამის გადასახლების გამო ცხოვრობდა. საქართველოში დაბრუნებული შევიდა თბილისის სამხატვრო ტექნიკუმში (1942), შემდეგ ჩააბარა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში (1947-1949). მისი პედაგოგები იყვნენ ს. ქობულაძე და ი. შარლემანი. 1949 წ-ს გარიცხეს აკადემიიდან, თუმცა 1962 წ-ს მაინც გადაეცა დიპლომი. 50-იანი წწ-დან თანამშრომლობდა არაერთ უფროსთან („ცისკარი“, „დროშა“, „ნიანგი“ და სხვ.), მუშაობდა წიგნის გრაფიკაში და გააფორმა მრავალი მხატვრული ნაწარმოები („არსენას ლექსი“, „მაუგლი“ და ა.შ.). შესრულე-

ბული აქვს ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები. მოხატა დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესია თბილისში (1979-1988). აქტიურად მონაწილეობდა გამოფენებში საქართველოსა (საქართველოს ხელოვნების მუზეუმი, სურათების ეროვნული გალერეა, მხატვრის სახლი და სხვ.) და უცხოეთში (ფრიდერიციანუმის მუზეუმი, კასელი, გერმანია; კუნსტ ჰალე, კიოლნი, გერმანია; ერმიტაჟის საგამოფენო დარბაზი, პეტერბურგი, რუსეთი; ტრეტიაკოვის გალერეა, მოსკოვი, რუსეთი; აშშ-ის, ნიდერლანდების, ბელგიის, ჩეხეთის, შვეიცარიის, ლიტვის საგამოფენო დარბაზები და სხვ.). მისი პერსონალური გამოფენებიდან აღსანიშნავია: „დისიდენტობა“ (1991, სევიკლი, პენსილვანია, აშშ), „ქართული აბსტრაქციები“ (ნ. რერიხის მუზეუმი, ნიუ-იორკი, აშშ, 1991) და ა.შ. მონაწილეობდა ჯგუფურ გამოფენებში: აღმოსავლური ტალღა „წითელი – თეთრი“ (ასოციაცია „პალიტრა“, ვარშავა, პოლონეთი, 1989), „ქართული ხელოვნება“ (მონა ბისმარკის ფონდი, საერთაშორისო გამოფენა, ხელოვნების სახლი, პარიზი, საფრანგეთი, 1990), „ოთხი მხატვარი თბილისიდან“ (ფრიდერიციანუმის მუზეუმი, კასელი, 1990), „ქართული აბსტრაქცია“ („ინტერნაციონალური იმიჯის“ გალერეა, პიტსბურგი, აშშ, 1991) და ა.შ. ალ. ბანძელაძე, ქართული აბსტრაქტული მხატვრობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. დაჯილდოებული იყო სსრკ-ის სამხატვრო აკადემიის ვერცხლის მედლით (1957), ბრნოს საერთაშორისო ბიენალეს I პრიზით (1966), I ადგილით ლაიფციგის საერთაშორისო კონკურსზე „მსოფლიოს უმშვენიერესი წიგნი“ და სხვ.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმებში (სემ – ეროვნული მუზეუმი, ამბროლაურის სახვითი ხელოვნების მუზეუმი), ასევე საქართველოს, ნიდერლანდების, აშშ-ის, იაპონიის კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. ალექსანდრე ბანძელაძე (გამოფენის კატალოგი), ტექსტი ნ. მეტრეველისა, თბ., 2000.
2. ანდრიაძე დ., ათასწლეულების გზა-გასაყარზე, „საბჭოთა ხელოვნება“ №5, 1988.
3. ინწკირველი თ., მიახლოების პირველი მცდელობა, „შთაბეჭდილება“ №1, 2008.
4. ლეჟავა ს., ქართველ აბსტრაქციონისტთა პირველი ქართული გამოფენა, „ხელოვნება“ №35, 1988.
5. ლეჟავა ს., ალ. ბანძელაძის შემოქმედება, „ხელოვნება“ №3-4, 1994.
6. ლეჟავა ს., ალ. ბანძელაძის შემოქმედება 50-იანი წწ-ის მხატვრობის პრობლემატიკასთან მიმართებაში, „სპექტრი“ №5-6, 1996.
7. მეტრეველი ნ., თანამედროვე ქართული ხელოვნების განვითარების ერთ-ერთი ასპექტის შესახებ – ალექსანდრე ბანძელაძე, თსუ შრომების კრებული, II, თბ., 2001.
8. ნონიშვილი ე., ალექსანდრე ბანძელაძე, „ქართული კულტურა“ №4, 1992.
9. Езерская Н., Всегда в поиске, “Искусство” № 6, 1965.

ბაშბეჟა-მელიქოვი ალექსანდრე

(თბილისი, 1891 – თბილისი, 1966)

ფერმწერი, გრაფიკოსი. ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თბილისში. სწავლობდა ჯერ „კავკასიის კაზმულ ხელოვნებათა საზოგადოების“ ფერწერისა და ქანდაკების სკოლაში, სადაც მისი პედაგოგები იყვნენ ნ. სკლიფასოვსკი, ბ. ფოგელი, ო. შმერლინგი (1904-1906), შემდეგ – მოსკოვში ვ. მაშკოვის სტუდიაში (1910-1911), მოგვიანებით – პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში (1911-1913). 1913 წ-ს გაიწვიეს I მსოფლიო ომში. 1917 წ-ს დაბრუნდა საქართველოში. პირველი გამოფენა მოაწყო ლ. გუდიაშვილთან ერთად თბილისში, უფროსად ARS-ის რედაქციაში (1919). ასწავლიდა მ. თოიძის სამხატვრო სასწავლებელში (1922-1929) და თბილისის სამხატვრო აკადემიაში (1929-1938). 1910-20-იან წწ-ში მონაწილეობდა თბილისის ავანგარდულ ცხოვრებაში. თანამშრომლობდა სომეხ ფუტურისტ პოეტთან ყარა-დარვიშთან, ქართველ მხატვრებთან – დ. კაკაბაძესთან, ე. ახვლედიანთან, განსაკუთრებით, ლ. გუდიაშვილთან, ასევე პოეტებთან – ტ. ტაბიძესთან და პ. იაშვილთან. მუშაობდა წიგნის გრაფიკაში, სახელოვნებო უფროსების ილუსტრაციებზე, თუმცა მისი შემოქმედების ძირითადი სფერო ფერწერა იყო. 1961 წ-ს მიენიჭა საქართველოს სსრ-ის დამსახურებული მხატვრის წოდება.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს, რუსეთისა და სომხეთის მუზეუმებში (სემ – ხელოვნების მუზეუმი, სემ – თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა), გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწ. მუზეუმი, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწ. მუზეუმი;

აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, მოსკოვი; სომხეთის ეროვნული გალერეა, ერევანი), ასევე სხვადასხვა ქვეყნის კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. სომეხი მხატვრები საქართველოში (ალბომი), თბ., 2011.
2. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1979, М.: Советский художник, 1975.
3. Государственный русский музей. Живопись. Первая половина XX века, Каталог А-В, Т. 8, СПб.: Palace Edition, 1997.
4. Драмбян Р. Г, А. А. Бажбеук-Меликян, М.: Советский художник, 1970.

ბალდავაძე ვახტანგ

(თბილისი, 1916 – თბილისი, 1975)

ფერმწერი. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში სახვითი ხელოვნების ფაკულტეტზე უ. ჯაფარიძესთან და მ. თოიძესთან (1936-1940). 1946 წ-ს დაამთავრა ფერწერის ფაკულტეტის ასპირანტურა. 1948 წ-დან იყო მხატვართა კავშირის წევრი. ასწავლიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (1966-1975). ძირითადად ხატავდა პორტრეტებს, ასევე შესრულებული აქვს ყოფითი სცენები, სოფლის პეიზაჟები. მუშაობდა გამომცემლობა „ნაკადულის“ მხატვრულ რედაქტორად (1948-1953). გააფორმა საბავშვო წიგნები „ოქროს გასაღები“, „ასფურცელა“ და სხვ. 1960 წ-ს მიენიჭა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება. იყო საქართველოს დამსახურებული მხატვარი. დაჯილ-

დობილია საპატიო ნიშნის ორდენით ხელოვნების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის (1958). იფინებოდა საქართველოში (მხატვრის სახლი, თანამედროვე ხელოვნების გალერეა, ეროვნული გალერეა და სხვ.).

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში, კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. ეკატერინე ბალდავაძე (ალბომი), ტექსტი ლ. თაბუკაშვილისა, თბ., 1958.
2. თაბუკაშვილი ლ., ეკატერინე ბალდავაძე (მხატვრის შემოქმედებითი პორტრეტი), „საბჭოთა ხელოვნება“ №12, 1975.
3. ხუთი ქართველი მხატვრის გამოფენა – ეკ. ბალდავაძე, პ. დათებაშვილი, გ. კოტრიკაძე, ვლ. ტოროტაძე, გრ. ჩირინაშვილი, კატალოგი, შესავ. შ. კვასხვაძისა, თბ., 1961.
4. ურუშაძე ი., ახალგაზრდა მხატვრის ეკ. ბალდავაძის სურათების გამოფენის გამო, „ლიტერატურა და ხელოვნება“ №18, 1946.
5. Багдавадзе Е. Н., Буклет, Серия “Художники Грузии”, Тб.: Хеловнеба, 1958.
6. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1979, М.: Советский художник, 1975.

ბელეცკაია ვერა

(თბილისი, 1914 – თბილისი, 1974)

გრაფიკოსი. სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში (1931-1937).

მისი პედაგოგები იყვნენ ვ. სიღამონ-ერისთავი და ი. შარლემანი. მუშაობდა როგორც ილუსტრატორი და პეიზაჟისტი. აღსანიშნავია მისი ფერადი ლინოგრაფიურები: „თბილისი“, „მატილი“, „ტალინი“ და სხვა. დაზღუდილი გრაფიკის დარგში მის მიერ შექმნილი მნიშვნელოვანი ნამუშევრებია: „სვანეთი“, „ძველი თბილისი“, „დაღესტანი“, „ძველი ხუროთმოძღვრების ძეგლები“. 40-იან წწ-ში შეიქმნა გრაფიურების ალბომი „ძველი და ახალი თბილისი“, რომელშიც ნ. ჩერნიშკოვთან, მ. ბერძენიშვილთან, არქიტექტორ ვ. ცინცაძესთან ერთად, ვ. ბელეცკაიაც მონაწილეობდა. 1955 წ-ს დაღესტანში მოგზაურობით შთაგონებული ვ. ბელეცკაიამ შეასრულა დაღესტნის არქიტექტურის, ბუნებისა და ყოფის ამსახველი ჩანახატები და ლინოგრაფიურები. 60-იან წწ-ში იყო მონაწილე ე. ახვლედიანის მიერ მოწყობილი კოლექტიური გასვლებისა პლენერზე სამუშაოდ. ე. ახვლედიანის მიერ თავმოყრილმა მხატვართა ჯგუფმა აღბეჭდა თითქმის მთელი საქართველო და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აღნიშნული პერიოდის ქართული პეიზაჟური მხატვრობის განვითარებაში. 1962 წ-ს ვ. ბელეცკაიას მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მხატვრის წოდება.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა და რუსეთის სახელმწიფო მუზეუმებში (სემ – ხელოვნების მუზეუმი, ეროვნული გალერეა; რუსეთის ეთნოგრაფიული მუზეუმი, სანკტ-პეტერბურგი), ასევე კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. ვერა ბელეცკაია (ბუკლეტი), თბ., 1973.

2. ვერა ბელეცკაია, პერსონალური გამოფენის კატალოგი, შემდგ.: უ. ჯაფარიძე, ლ. დოლაბერიძე, თბ., 1972.
3. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1979, М.: Советский художник, 1975.

ბერიძე ალექსანდრე

(თბილისი, 1858 – ვლადიკავკაზი, 1917)

ფერმწერი, გრაფიკოსი. 1871 წ-ს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. 1875-1877 წწ-ში სწავლობდა თბილისში „კავკასიის კაზმულ ხელოვნებათა წამანალისებელ საზოგადოებასთან“ არსებულ სამხატვრო სკოლაში, რომელიც დაამთავრა პრემიით. იმავე წელს ჩაირიცხა თავისუფალ მსმენელად სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო სამხატვრო აკადემიაში, სადაც სწავლობდა 1877-1878 და 1881-1882 წწ-ში. 1879-1980 და 1883-1985 წწ-ში ცხოვრობდა იტალიაში და მუშაობდა ქ. ნეაპოლის სამეფო სამხატვრო სასწავლებელში. აღ. ბერიძე გრაფიკის ხელოვნებას იტალიაში დაეუფლა. ამ პერიოდში იგი საქართველოში აგზავნიდა ილუსტრირებულ ფურცლებს „ხმა იტალიიდან“, რომლებსაც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება დიდი ტირაჟით ბეჭდავდა. ფურცლებზე გამოსახული იყო იტალიის ხედეები, იტალიელთა, მათ შორის, ჯგუფზე გარიბალდის, პორტრეტები. 1885 წ-ს მხატვარი დაბრუნდა საქართველოში და შექმნა შოთა რუსთაველის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის გრაფიკული პორტრეტები, რომლებიც იბეჭდებოდა ქართულ თეატრალურ ილუსტრირებულ ჟურნალში „თეატრი“ (1885-1888). იგი ასევე თანამშრომლობდა ჟურნალებ-

თან „კვალი“ და „ჯეჯილი“. ამავე პერიოდში ალ. ბერიძემ მოხატა ფარდები ქართული და რუსული თეატრებისათვის და შექმნა ესკიზები თეატრალური დადგმებისათვის. ამ ნამუშევრებით მან საფუძველი ჩაუყარა ქართულ თეატრალურ-დეკორაციულ მხატვრობას. პედაგოგის დიპლომის უქონლობის გამო, ალ. ბერიძემ ვერ შეძლო მუშაობის დაწყება თბილისის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელში და, მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მხატვარი 1888 წ-ს კვლავ იტალიაში გაემგზავრა. 1898 წ-ს სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო სამხატვრო აკადემიის საბჭომ ალ. ბერიძეს საშუალო სკოლებში ხატვის მასწავლებლად მუშაობის უფლება მიანიჭა. 1900-იანი წწ-ის დასაწყისში მხატვარი შემოქმედებით-პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ბათუმში, ხოლო 1906 წ-ს გადასახლდა ვლადიკავკაზში, სადაც გარდაცვალებამდე ასწავლიდა ხატვას კადეტთა კორპუსში.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოში (სემ – ხელოვნების მუზეუმი, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწ. მუზეუმი).

ბიბლიოგრაფია:

1. ამირანაშვილი შ., ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961.
2. ბაგრატიშვილი ქ., მხატვარ ალექსანდრე ბერიძის ჩანახატები, „ლიტერატურული საქართველო“ (18/II), 1968.
3. დუდუჩავა მ., ახალი ქართული ხელოვნება, თბ., 1950.
4. მასხარაშვილი გ., მხატვარი ალ. ბერიძე, „ახალი და საბჭოთა ხელოვნების საკითხები“, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი, ტ. VII-B, თბ., 1975.

5. ჯანელიძე დ., ალექსანდრე ბერიძე (გარდაცვალებიდან 30 წლისთავის გამო), „ლიტერატურა და ხელოვნება“ №38, 1949.

ბერძენიშვილი ბელა
(*თბილისი, 1929 – თბილისი, 2005*)

თეატრის მხატვარი, ფერმწერი, გრაფიკოსი. სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში ს. ქობულაძესთან, მ. თოიძესთან, ი. სუმბათაშვილთან (1950-1956). 1960-იან წწ-ში ხატავდა ნატურმორტებს საქართველოს სხვადასხვა კუთხისთვის სახასიათო ეთნოგრაფიული დეტალებით, საყოფაცხოვრებო ნივთებით, ორნამენტული ხალიჩებით („ხევსურული ნატურმორტი“, 1961; „ფშაური ნატურმორტი“, 1962; „ქართული ნატურმორტი“, 1963 და სხვ.). ბ. ბერძენიშვილმა იმოგზაურა სვანეთში, სადაც შექმნა პეიზაჟების სერია. 1965-1978 წწ-ში გააფორმა საბავშვო წიგნები. 1978 წ-ს დაასურათა „მუშანიკის წამების“ საიუბილეო გამოცემა. 1970-იანი წწ-ის ბოლოს გააფორმა „დედა ენა“ და „ბუნების კარი“. მხატვრის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მონუმენტურ მხატვრობას. მან 1967 წ-ს მოხატა სასტუმრო „ივერიის“ საბანკეტო დარბაზის კედელი. ბ. ბერძენიშვილს მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული მხატვრის წოდება.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. კვარაცხელია მ., ბელა ბერძენიშვილი, „საბჭოთა ხელოვნება“ №9, 1959.

2. კლდიაშვილი ა., ბელა ბერძენიშვილი, „ცისკარი“ №7, 1980.
3. რობაქიძე გ., ბელა ბერძენიშვილის მონუმენტური მოხატულობა სასტუმრო „ივერიაში“, „კავკასიის მაცნე“ №10, 2004.
4. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1979, М.: Советский художник, 1975.

ბილანიშვილი მიხეილ
(*თბილისი, 1901 – პარიზი, 1934*)

ფერმწერი, ილუსტრატორი. თბილისის ვაჟთა გიმნაზიის დასრულების შემდეგ სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში ჯერ გ. გაბაშვილის კლასში, ხოლო შემდეგ – ი. ნიკოლაძესთან. ითვლებოდა ე. ლანსერეს მოწაფედ. აკადემიის დასრულების შემდეგ ასწავლიდა ხატვას ვაჟთა გიმნაზიაში. 1918 წ-ს მონაწილეობდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. 1924 წ-ს გაემგზავრა პარიზში და განაგრძო სწავლა ცნობილი ფრანგი მხატვრის ლოტის სკოლაში. დ. კაკაბაძესთან და ე. ახვლედიანთან ერთად მონაწილეობდა „პარიზის დამოუკიდებელთა სალონის“ 38-ე გამოფენაში (1927), აფორმებდა პარიზში გამოცემულ ქართულ ჟურნალს „კავკასიონი“ (1929-32). მისივე შესრულებულია ჟურნალის სახელწოდების მხატვრული ასოები, გარეკანის გაფორმება და ყდის ორნამენტული სამკაული. მ. ბილანიშვილს ეკუთვნის ამავე ჟურნალში გამოქვეყნებული წერილი „ხელოვნების პრინციპები და ნიკო ფიროსმანაშვილი“. 1930-იან წწ-ში აფორმებდა საფრანგეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების გაზეთს „თეთრი გიორგი“. მხატვრის ორი ფერწერული სურათი გამოფენილი იყო პარიზის ვალენტინეს ქართულ სამკითხველოში. 1933 წ-ს

მ. ბილანიშვილის ფერწერული პეიზაჟი შეიძინა პარიზის კულტურისა და ხელოვნების ქალთა საზოგადოებამ.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, ასევე საქართველოსა და ევროპის კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. შარაძე გ., ფერებში გაშლილი სიყვარული, გაზ. „თბილისი“ (29/10), 1991.
2. Эбралидзе М., Михаил Биланишвили: судьба художника, Информационный портал “Тбилисская неделя” (15/VIII), 2012. იხ.: <http://www.georgianpress.ru/tbilisi-week/our-past/8259-mihail-bilanishvili-sudba-hudozhnika.html>.
3. ციციშვილი მ., ჭოლოშვილი ნ., ქართული მოდერნიზმი 1910-1930, თბ., 2005.

ბლიოტიანი პეტრე
(*თბილისი, 1903 – თბილისი, 1988*)

ფერმწერი. სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში ე. ლანსერესთან და ი. შარლემანთან (1923-1929). ძირითადად მუშაობდა პორტრეტისა და პეიზაჟის ჟანრში. 1937-1938 წწ-ში ხატავდა სურათებს რევოლუციურ თემაზე („სტალინი და გორკი“, „სტალინი და კიროვი“, „სტალინი და ლენინი თათბირზე“). განსაკუთრებით ცნობილია მის მიერ 50-70 წწ-ში შექმნილი პეიზაჟები, ჟანრული სურათები, ნატურმორტები, პორტრეტები. მისი ფერწერული ნაწარმოებები გამოირჩევა ფერთა დახვეწილი შეხამებით, სიმსუბუქით, წერის თავისუფალი მანერით, ლირიკულობით („გოგონა პირსახოცით“, „მძინარე გოგონა“, „ქალი

ბავშვით“, 1959; „სილნალი“; „თბილისი ზამთარში“, 1961; „თბილისი. წვიმა“, 1961; „მოხუცის პორტრეტი“ და სხვ.). 1960-იანი წლებიდან იფინებოდა საქართველოსა (სურათების ეროვნული გალერეა, 1984; მხატვრის სახლი, 1988; თანამედროვე ხელოვნების გალერეა, 1997, 1999 და სხვ.) და უცხოეთში (რუსეთი; პოლონეთი; გერმანია, 1968-1980). 2003 წ-ს პ. ბლიოტკინის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოფენები მოეწყო თბილისის გალერეებში: „ვერნისაჟი“, „ბაია გალერეა“, „N გალერეა“. მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული მხატვრის წოდება.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა და რუსეთის სახელმწიფო მუზეუმებში (სემ – ხელოვნების მუზეუმი, ეროვნული გალერეა, თბილისი; ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი, წინანდალი; ტრეტიაკოვის სახელმწიფო გალერეა, აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმი, მოსკოვი), ასევე საქართველოსა და სხვადასხვა ქვეყნის კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. კაჭარავა კ., პეტრე ბლიოტკინი, სტატიები, ორტომეული, რედაქტ. ს. ლეჟავა, თბ., 2006.
2. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1979, М.: Советский художник, 1975.
3. Блеткин П. М., Буклет, Серия “Художники Грузии”, Тб., 1958.

ბობერმანი (ვლადიმირ) პოლდემარ (ერევანი, 1897 – იბიცა, 1977)

ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრის მხატვარი. სწავლობდა მოსკოვში ი. მამ-კოვის სტუდიაში. 1919-1920 წწ-ში ოჯახთან ერთად ცხოვრობდა თბილისში, სადაც დაუკავშირდა თბილისური ავანგარდული ხელოვნების წარმომადგენლებს. მეგობრობდა პოეტ ვ. კამენსკისთან, რეჟისორ ნ. ევრეინოვთან და სხვ. 1919 და 1920 წწ-ში მონაწილეობა მიიღო ქართული სამხატვრო საზოგადოების II და III გამოფენებში. 1920 წ-ს ოჯახთან ერთად გაემგზავრა ბათუმში, შემდეგ კონსტანტინეპოლში და იქიდან – პარიზში. დასახლდა იტალიაში. ფლორენციაში იფინებოდა კლუბში *Lyceum*, რომში გალერეაში – *Bragaglia*. 1923 წ-ს იმყოფებოდა ბერლინში, სადაც მონაწილეობდა ჯგუფურ გამოფენებში და მუშაობდა „რუსული რომანტიკული თეატრის“ დეკორატორად. 1924 წ-დან ამ თეატრთან ერთად პარიზში დასახლდა და საფრანგეთის მოქალაქეობა მიიღო. ხშირად მონაწილეობდა გამოფენებში ევროპასა და აშშ-ში და პოპულარობაც მოიპოვა.

მისი ნამუშევრები დაცულია სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის, საქართველოსა და საფრანგეთის, კოლექციებსა და მუზეუმებში (სემ – ხელოვნების მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა); თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, პარიზი).

ბიბლიოგრაფია:

1. Антонов В., По студиям русских художников. У В. А. Бобермана, “Русские новости” (16/1), 1953.
2. Бенуа А. Н., Выставка Бобермана, “Последние новости” №6 Париж, 1939, 508.

3. Елизбарашвили Н., Художественная жизнь Тбилиси в конце XIX - начале XX века, Л., 1982 (საკანდ. დისერტაცია).
4. Фальк Р. Р., Беседы об искусстве. Письма. Воспоминания о художнике, Сост. А. В. Щекин-Кротова. М., 1981.
5. Boberman V., Tapis, Édité par Dim P. Quatre Chemins, Paris, 1925.

გაბაშვილი მიხ.

(თბილისი, 1862 – ციხისძირი, 1936)

ფერმწერი, გრაფიკოსი. 1881-1883 წწ-ში სწავლობდა კ. კეპენის კერძო სამხატვრო სკოლაში, 1883-1885 წწ-ში კი – ფ. რუბოსთან თბილისში. 1886-1888 წწ-ში სწავლა განაგრძო პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში ბ. ვილევალდესთან თავისუფალ მსმენლად. 1894-1897 წწ-ში სწავლობდა მიუნხენის სამხატვრო აკადემიაში ა. ვაგნერთან. გ. გაბაშვილი იყო პირველი ქართველი მხატვარი, რომლის პერსონალური გამოფენა მოეწყო თბილისში 1891 წ-ს. 1893 წ-ს, ამერიკელი მილიონრის ჩარლზ კრენის დაკვეთით, შექმნა კავკასიის თემასთან დაკავშირებული ნამუშევრები. 1894 წ-ს გაემგზავრა შუა აზიაში, სადაც შეასრულა სურათები აღმოსავლურ თემებზე. 1902-1903 წწ-ში იმოგზაურა საზღვარგარეთ. 1897 წ-ს დააარსა სამხატვრო სტუდია თბილისში. 1900-1920 წწ-ში ასწავლიდა „კავკასიის კაზმულ ხელოვნებათა წამახალისებელი საზოგადოების“ ფერწერისა და ქანდაკების სკოლაში. იყო თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორი (1922-1930). 1929 წ-ს მიენიჭა საქართველოს სსრ-ის სახალხო მხატვრის წოდება. ვრცელია მისი გამოფენების ჩამონათვალი: პირველი პერსონალური გამოფენა (1891); ჯგუფური გამოფენა (1904);

გამოფენები თბილისში (1934, 1936); გარდაცვალების 15 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა (1951); გამოფენა – „თბილისი საქართველოს მხატვართა შემოქმედებაში“ (1958); გამოფენა ბიჭვინთასა და ბათუმში (1974); გამოფენა ცხინვალში (1975); გამოფენა ხელოვნების მუზეუმში (2006); გამოფენა – „გ. გაბაშვილი, როგორც ფოტოგრაფი“ (გაზეთ „პრაიმ ტაიმის“ პროექტი, შ. რუსთაველის სახ. თეატრი, თბილისი, 2011) და სხვ.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოში (სემ – ხელოვნების მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა); თბილისის სახელმწ. სამხატვრო აკადემიის მუზეუმი, ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწ. მუზეუმი და სხვ.), ასევე საქართველოსა და უცხოეთის კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. აბესაძე ი., ფრაგმენტები ქართული ეკლესიისა და ქართველ ხელოვანთა საზოგადოების ურთიერთობის ისტორიიდან, „განზომილება“ №1, 2009.
2. ამირანაშვილი შ., ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1971.
3. გიგო გაბაშვილი – 1862-1936 (ალბომი), ტექსტი ი. არსენიშვილისა, თბ., 2011.
4. გორდებიანი ბ., პროფ. გიგო გაბაშვილის სურათების გამოფენა, გაზ. „კომუნისტი“ (29/ IX), 1927.
5. დუდუჩავა მ., გიგო გაბაშვილი, თბ., 1946.
6. გიგო გაბაშვილი (ალბომი), შემდგ. და ტექსტის ავტ. მ. დუდუჩავა, თბ., 1962.
7. გიგო გაბაშვილი (ალბომი), შეს. ნ. ოქროსცვარიძის, ე. თოდუასი და ნ. გობეჯიშვილისა, თბ. 1986.

8. გიგო გაბაშვილი (ალბომი), ტექსტის ავტ.: მ. ციციშვილი, გ. სარაჯიშვილი, მ. დამენია, თბ., 2012.
9. მხატვარი გიგო გაბაშვილი, „ნიშადური“ №54, 1908.
10. მირცხულავა ნ., გიგო გაბაშვილი, „საბჭოთა ხელოვნება“ №4, 1983.
11. ციციშვილი მ., გიგო გაბაშვილის უცნობი მხატვრობა, Ars Georgica, ელ. ჟურნალი, სერია B, იხ.: <http://www.georgianart.ge/index.php?option=com-content&view=article&id=97%3A2011-12-13-15-26-28&catid=42%3A2010-12-03-16-05-33&Itemid=91&lang=ka>
12. ჯაფარიძე უ., ფერწერის ბრწყინვალე ოსტატი, „ლიტერატურა და ხელოვნება“ (28/ X), 1951.
13. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1979, М.: Советский художник, 1975.
14. Кобуладзе С., Слово об учителе, “Вечерний Тбилиси” (5/III), 1963.
15. Леонидзе Г., Великий реалист, К 100-летию со дня рождения Гуго Габашвили, “Заря Востока” (7/III), 1963.

გაბაშვილი (ლუდა) ღვინო

(თბილისი, 1914 – თბილისი, 1995)

ფერმწერი, გრაფიკოსი, მოქანდაკე. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ცნობილი გრაფიკოსისა და თეატრის მხატვრის ი. შარლემანის კლასში (1933-1939). 1945 წ-დან ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას ამავე აკადემიაში, 1963 წ-დან იყო აკადემიის პროფესორი. დ. გაბაშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობა თითქმის 60 წელს მოიცავს. მას შესრულებული აქვს ნაწარმოებები საქართველოს ისტორიის თემაზე. მისი გრაფიკული ნამუშევრები სახასიათო წერის მანერითა და კოლორით გამოირჩევა. შესრულებული აქვს ინ-

დუსტრიული ლანდშაფტების სერიები („სამგორის მშენებლობა“, 1953 და სხვ.). დ. გაბაშვილის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია წიგნის, განსაკუთრებით მხატვრული ლიტერატურის, ილუსტრაციას. საყურადღებოა მის მიერ გაფორმებული ჯ. ბოკაჩოს „დეკამერონი“. 50-იანი წწ-დან თანამშრომლობდა გამომცემლობებთან, გაფორმებული აქვს მრავალი მნიშვნელოვანი წიგნი („საქართველოს სამხედრო გზა“, 1956; „მესხეთის ხუროთმოძღვრული ძეგლები“, 1957; „თბილისის არქიტექტურა 1801-1917“, I, 1960 და სხვ.). აღსანიშნავია დ. გაბაშვილის პლაკატები (მაგალითად, „აკაკი წერეთლის 100 წლისთავი“, 1941) და თეატრალური აფიშები (მაგალითად, „ჰენრიხ VIII“, 1943) იგი მუშაობდა ქანდაკების დარგშიც. შექმნილი აქვს თანამედროვეთა პორტრეტები, რომელთა შორის განსაკუთრებით ცნობილია დავით კაკაბაძის პორტრეტი (1967). საქართველოს გარდა, იფინებოდა რუსეთში, გერმანიაში, ინგლისში. 1964 წ-ს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მხატვრის წოდება.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს მუზეუმებსა (სემ – ხელოვნების მუზეუმი, ეროვნული გალერეა) და კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. დავით გაბაშვილი: ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, აბსტრაქცია, პლაკატი, წიგნის გრაფიკა (ალბომი), თბ., 2000.
2. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1979, М.: Советский художник, 1975.
3. Карбелашвили М., Творчество художника Давида Габашвили, Ars Georgica VI, серия B, Тб., 1964.

გაბაშვილი (სოსო) იოსებ

(ვლადიკავკაზი, 1908 – თბილისი, 1973)

გრაფიკოსი, ფერმწერი, თეატრისა და კინოს მხატვარი, ილუსტრატორი, მულტიპლიკატორი, პლაკატისტი. დაამთავრა თბილისის ქართველ თავადაზნაურთა გიმნაზია. შემდეგ სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში გ. გაბაშვილთან, ე. ლანსერესა და ი. შარლემანთან (1926-1930). 1920-იან წწ-ში შეასრულა პლაკატები ქართული კინოფილმებისათვის. 1926 წ-ს შექმნა ილუსტრაციები მიხ. ჯავახიშვილის რომანისათვის „თეთრი საყვლო“. იყო სამხატვრო აკადემიის პედაგოგი (1934 წ-დან) და ამავე აკადემიის პროფესორი (1962 წ-დან). 1935 წ-ს მხატვრულად გააფორმა ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ ქართული გამოცემა. იყო დამდგმელი მხატვარი ფილმებისა „ნარინჯის ველი“ (1937), „სამშობლო“ (1939), „ქალიშვილი ხიდობნიდან“ (1940). 1944 წ-ს მუშაობა დაიწყო თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრში. გაფორმებული აქვს არაერთი სპექტაკლი: გ. ბერძენიშვილის „ტირიფის ქვეშ“, გ. ქუჩუკიშვილის „ზამთრის ზღაპარი“, მ. ჯაფარიძის „ლაშქარი“ და სხვ. ი. გაბაშვილი ქართული ილუსტრირებული საბავშვო წიგნის ფუძემდებელია. წლების განმავლობაში თანამშრომლობდა საბავშვო ჟურნალთან „დილა“. მუშაობდა საბავშვო კინოს მხატვრობასა და მულტიპლიკაციაზე („სამი მეგობარი“, 1943). მისი მოღვაწეობის სფერო უმთავრესად მაინც საბავშვო წიგნის გრაფიკა იყო. ილუსტრირებული აქვს პარმენ ჭანიასვილის „ბუ“ (1934), ქართული ხალხური ზღაპრები „რწყილი და ჭიანჭველა“ (1935), „თხა და ვენახი“ (1935), „ნაცარქექია“ (1943), ვაჟა-ფშაველას „ჩხიკვათა ქორწილი“ (1948)

და „შვლის ნუკრის ნაამბობი“ (1949), ი. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“ (1951), ალ. პუშკინის ზღაპრები (1953) და ა.შ. იყო საქართველოს სსრ-ის სახალხო მხატვარი.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა და უცხოეთის მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. გუდიაშვილი ნ., ი. გაბაშვილის ნამუშევრების გამოფენა, „ლიტერატურა და ხელოვნება“ (7/IX), 1951.
2. გუდიაშვილი ნ., ბავშვების საყვარელი მხატვარი, „დროშა“ №1, 1953.
3. შმერლინგი რ., იოსებ გაბაშვილის შემოქმედება, Ars Georgica, თბ., 1959.
4. ჯაფარიძე გ., იოსებ გაბაშვილი, თბ., 1963.
5. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1979, М.: Советский художник, 1975.

გაბიტაშვილი ღვინო

(თბილისი, 1920 – თბილისი, 2000)

ფერმწერი. სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში უ. ჯაფარიძესთან და ბ. შებუევთან. 1926 წ-დან ასწავლიდა ამავე აკადემიაში. მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის წოდება.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს მუზეუმებში (სემ – ხელოვნების მუზეუმი, ეროვნული გალერეა, სიღნაღის მუზეუმი; ამბროლაურის სახვითი ხელოვნების მუზეუმი და სხვ.).

ბიბლიოგრაფია:

1. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1979, М.: Советский художник, 1975.

გაგარინი ბრიგორი

(სანკტ-პეტერბურგი 1810 – შატერლო, 1893)

მხატვარი, არქიტექტორი, ხელოვნების ისტორიკოსი. დაიბადა დიპლომატი თავადის ოჯახში. ადრეულ ასაკში ცხოვრობდა პარიზში, რომსა და სიენაში. ხატვა შეისწავლა იტალიაში ცნობილ მხატვარ კონსტანტინ ბრიულოვთან. მსახურობდა რუსეთის საელჩოებში პარიზში, რომში, კონსტანტინეპოლსა და მიუნხენში. 1839 წ-ს დაბრუნდა პეტერბურგში, სადაც დაუახლოვდა მ. ლერმონტოვს და 1840 წ-ს კავკასიაში გადმოსახლებულ პოეტს თან ჩამოჰყვა. იგი იყო კავკასიაში მიმდინარე ისტორიული მოვლენების მოწმე და მონაწილე. 1841 წ-ს ჩაირიცხა სამხედრო სამსახურში. 1842 წ-ს მონაწილეობა მიიღო თავად ჩერნიშოვის დალესტინის ექსპედიციაში. 1848-1856 წწ-ში გრ. გაგარინი ცხოვრობდა თბილისში, მსახურობდა მ. ვორონცოვთან და, ადმინისტრაციული ვალდებულებების გარდა, საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა. იგი გაიტაცა ქართულმა ხუროთმოძღვრებამ და კედლის მხატვრობამ. 1850-იანი წწ-ის დასაწყისში გაგარინმა მოხატა თბილისის სიონის ტაძარი და განაახლა კანკელი. 1851 წ-ს გახსნილი თბილისის თეატრის ინტერიერი სწორედ გრ. გაგარინის ესკიზებითა და მისი უშუალო მონაწილეობით მოიხატა. თამამშევის ქარვასლა, შენობა, სადაც პირველი თბილისური თეატრი იყო განთავსე-

ბული და რომლის ფარდაც ასევე გაგარინის მოხატული იყო, 1874 წ-ს ხანძარმა გაანადგურა. გრ. გაგარინის მხატვრული მემკვიდრეობიდან აგრეთვე აღსანიშნავია ქართველ არისტოკრატთა პორტრეტები, ალბომი „ფერწერული კავკასია“ (*Le Caucase pittoresque*) და სხვ. 1859 წ-ს გაგარინი სამხატვრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად დაინიშნა და აღნიშნული თანამდებობა 1872 წ-მდე ეკავა.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს (სემ – ხელოვნების მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა)) და რუსეთში (სახელმწიფო რუსული მუზეუმი, პეტერბურგი, რუსეთი).

ბიბლიოგრაფია:

1. თბილისი ქართველი და უცხოელი მხატვრების შემოქმედებაში, ალბომი, შემდგენლები: მ. ციციშვილი, ნ. ჭოლოშვილი, თბ., 2004.
2. „მოგზაური“ №3, 1901.
3. ფერაძე თ., რუსი და უცხოელი მხატვრები საქართველოში (XIX ს.), თბ., 1964.
4. Безгубова А., Григорий Гагарин и его литографический альбом “Le Caucase pittoresque”, Культурная жизнь Юга России, Краснодарский государственный университет культуры и искусств, 2011.
5. Гагарин Григорий Григорьевич, Энциклопедический словарь Брокгауза и Ефрона, СПб., 1890-1907.
6. Сологуб В., Новый театр в Тифлисе, “Кавказ” № 29, 1851.
7. Цинцадзе В., Тбилиси, Тб., 1958.

გამრეკელი ირაკლი

(გორი, 1894 – თბილისი, 1943)

ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარი. სამხატვრო განათლება ნ. სკლიფასოვსკის ხატვისა და ფერწერის სკოლაში მიიღო, სადაც მას ასწავლიდნენ ბ. ფოგელი და ბ. შებუევი. სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, შემდეგ როსტოვისა და თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, გარკვეული დროის მანძილზე კი – თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში. 1921 წ-ს კ. მარჯანიშვილმა ოსკარ უაილდის „სალომეას“ გასაფორმებლად თეატრში მიიწვია. წლების მანძილზე თანამშრომლობდა კ. მარჯანიშვილთან და ს. ახმეტელთან, თეატრის ორ დიდ რეჟისორ-რეფორმატორთან. 1923-1943 წწ-ში მხატვრად მარჯანიშვილის თეატრში მუშაობდა, 1926 წ-დან სიცოცხლის ბოლომდე კი – შოთა რუსთაველის თეატრში. 1920-იანი წწ-დან აქტიურად მონაწილეობდა თბილისის მხატვრულ ცხოვრებაში, გატაცებული იყო ავანგარდული მიმდინარეობებით: გააფორმა ქართველ ფუტურისტ ლიტერატორთა ჟურნალი „H₂SO₄“, ჟურნალი „მემარცხენეობა“, ქართველი თანამედროვე მწერლების (გრ. რობაქიძის, კ. კალაძის, ს. ჩიქოვანის, ი. ვაკელის) ნაწარმოებები (1924). ქართული ავანგარდული მხატვრობისა და სცენოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ი. გამრეკელის, შემოქმედებამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა 1922-1943 წწ-ში რუსთაველის თეატრში დამკვიდრებული ძირითადი მხატვრული მიმართულებები. ამ პერიოდში მან არაერთი სპექტაკლი გააფორმა: გრ. რობაქიძის „ლონდა“ (1922), გრ. რობაქიძის „მალმტრემი“ (1923-1924), ე. ტოლერის „კაცი მასა“ (1923), უ. შექსპირის „ჰამლეტი“

(1925), ა. გლებოვის „ზაგმუკი“ (1926), ნ. შიუკაშვილის „ამერიკელი ძია“ (1926), ს. შანშიაშვილის „ანზორი“ (1928), ვ. ჰაზენკლევერის „საქმის კაცი“ (1929), გრ. რობაქიძის „ლამარა“ (1930), შ. დადიანის „თეთნულდი“ (1931), ფ. შილერის „ყაჩაღები“ (1933), ა. კორნეიჩუკის „ბოგდან ხმელინცი“ (1940), კ. გოლდონის „პატარა ძალი აფიშიდან“ (1942) და სხვ. 1926-1929 წწ-ში ი. გამრეკელი ორგანიზაცია „დურუჯის“ წევრი იყო. სხვადასხვა პერიოდში თანამშრომლობდა მოსკოვის, ლენინგრადის, კიევისა და ბაქოს თეატრებთან. ვ. სიღამონ-ერისთავთან ერთად გააფორმა ქართული ექსპრესიონისტული ფილმი „ჩემი ბებია“ (1929).

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოში (შოთა რუსთაველის სახ. აკად. თეატრის მუზეუმი, კოტე მარჯანიშვილის სახ. აკად. თეატრის მუზეუმი, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწ. მუზეუმი, სემ – ხელოვნების მუზეუმი), ასევე არაერთ კერძო კოლექციაში.

ბიბლიოგრაფია:

1. კუხიანიძე ც., ირაკლი გამრეკელი, თბ., 1981.
2. ლომთათიძე ლ., ირაკლი გამრეკელი (ალბომი), თბ., 1984.
3. თეატრის მხატვრობა, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექცია, ტექსტის ავტორები: დ. ლეზანიძე, ე. თუმანიშვილი, მ. ოკლეი, თბ., 2008.
4. ციციშვილი მ., ჭოლოშვილი ნ., ქართული მოდერნიზმი 1910-1930, თბ., 2005.
5. Берёзкин В., Художники грузинского театра. П. Оцхели, И. Гамрекели, журн. “Театр”, М., 1968.

გელოვანი გურამ

(ჭიათურა, 1928 – თბილისი, 1986)

ფერმწერი. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში უ. ჯაფარიძესთან და მ. თოიძესთან (1948-1954). მოგვიანებით იყო ამავე აკადემიის პედაგოგი (1966-1969). 50-იანი წწ-დან აქტიურად მონაწილეობდა ადგილობრივ და საკავშირო გამოფენებში. 1965 წ-ს მიენიჭა საქართველოს სსრ-ის დამსახურებული მხატვრის წოდება. დაჯილდოებულია სსრკ-ის კულტურის სამინისტროს, სსრკ-ის მხატვართა კავშირის დიპლომებით (1957), სსრკ-ის სამხატვრო აკადემიის ოქროს მედლით (1961).

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს (ეროვნული მუზეუმი) და რუსეთში (ტრეტიაკოვის სახ. სურათების გალერეა).

ბიბლიოგრაფია:

1. გურამ გელოვანი (გამოფენის კატალოგი), შემდგ. რ. საბანიძე, რედ. ზ. ციხიშვილი, თბ., 1991.
2. მესხი კ., გურამ გელოვანი, „საბჭოთა ხელოვნება“ №10, 1964.
3. მესხი კ., გურამ გელოვანი, „საბჭოთა ხელოვნება“ №10, 1987.

გველესიანი ლავითი

(თბილისი, 1890 – თბილისი, 1949)

ფერმწერი, გრაფიკოსი. ხატვას ჯერ ო. შმერლინგთან „კავკასიის კაზმულ ხელოვანთა წამახალისებელი საზოგადოების“ ფერწერისა და ქანდაკების სკოლაში სწავლობდა (1906-1917), შემდეგ – მოსკოვში კ. იუონის სტუდიაში,

მოგვიანებით კი – გ. გაბაშვილთან, ე. ლანსერესა და ი. შარლემანთან თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში (1922-1929). 1932 წ-დან იყო ამავე აკადემიის პედაგოგი (1932-1949). ჯერ კიდევ აკადემიაში სწავლის დროს დაიწყო მუშაობა ძველი და ახალი თბილისის სერიაზე, რომელიც 1926 წ-ს თბილისის კომუნალური მუზეუმის ხელმძღვანელობამ თბილისელ მხატვრებს დაუკვეთა. დ. გველესიანის გრაფიკული სერია ვირტუოზული შესრულებით გამოირჩევა და მის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაწარმოებს წარმოადგენს. იგივე ითქმის ფერწერულ ნაწარმოებებზეც, რომელთა შორის გამორჩეულია „ნარიყალას ქვემოთ არსებული კვარტლები“, „ძველი თბილისის უბანი“, „ძველი თბილისის კუთხე“ და სხვ. დ. გველესიანი მეტწილად პეიზაჟის უანრში მოღვაწეობდა, თუმცა ამავე დროს შესრულებული აქვს მრავალი შესანიშნავი პორტრეტიც.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში (სემ – თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა), ხელოვნების მუზეუმი; ქართული ლიტერატურის სახელმწ. მუზეუმი, გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწ. მუზეუმი).

ბიბლიოგრაფია:

1. ვახვახიშვილი ნ., ქართული სულისა და ხელწერის მხატვარი დავით გველესიანი, „ხელოვნება“ №1-2, თბ., 1998.
2. მეძმარიაშვილი მ., პეიზაჟური უანრის განვითარების ახალი ტენდენციები 1930-იანი წწ-ის ქართულ გრაფიკაში, Ars Georgica, ელ. უურ-

ნალი, სერია B, იხ.: <http://www.georgianart.ge/index.php?option=com-content&view=article&id=109%3A-1930-i&catid=42%3A2010-12-03-16-05-33&Itemid=91&lang=ka>.

3. ციციშვილი მ., თბილისი ქართველი და უცხოელი მხატვრების შემოქმედებაში, თბ., 2004.
4. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1979, М.: Советский художник, 1975.

გველესიანი რომანოზ

(შალაური, 1859 – თბილისი, 1884)

ფერმწერი და გრაფიკოსი. 1875 წ-ს დაამთავრა თბილისის გრენადერთა XV პოლკთან არსებული სამხედრო სკოლა. 1881 წ-მდე მუშაობდა კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამართველოს სამშენებლო-საგზაო კომიტეტის ტექნიკურ კანცელარიაში. მუშაობის დროს მომავალ მხატვარს ურთიერთობა ჰქონდა იმ დროის ცნობილ არქიტექტორებთან, რომლებმაც მის ნიჭს ყურადღება მიაქციეს და რ. გველესიანს სამხატვრო სასწავლებელში შესვლა ურჩიეს. 1879-1881 წწ-ში იგი სწავლობდა თბილისში „კავკასიის კაზმულ ხელოვნებათა წამახალისებელი საზოგადოების“ ხატვის სკოლაში, რომელიც წარმატებით დაამთავრა. იმავე წელს რ. გველესიანმა ჩააბარა მისაღები გამოცდები სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო სამხატვრო აკადემიაში. ამავე დროს, 1882 წ-დან სისტემატურად თანამშრომლობდა უურნალებთან *Новь* და *Задумешное Слово* – აფორმებდა წერილებს, ასურათებდა საბავშვო მოთხრობებს და ასრულებდა ცნობილ ნაწარმოებთა ასლებს. რ. გველესიანი, რომელიც საზაფხულო არდადეგებს საქართველოში ატარებდა

ხოლმე, ხატავდა თბილისისა და კახეთის პეიზაჟებს, ეტიუდებსა თუ ტიპაჟებს. 1884 წ-ს რ. გველესიანმა დაამთავრა პეტერბურგის საიმპერატორო სამხატვრო აკადემიის სრული კურსი და სამშობლოში დაბრუნდა. სწავლის გასაღრმავებლად იგი იტალიაში აპირებდა გამგზავრებას, მაგრამ 1884 წ-ის 30 ნოემბერს სრულიად ახალგაზრდა მხატვარი გარდაიცვალა.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოში (სემ – ხელოვნების მუზეუმი).

ბიბლიოგრაფია:

1. ამირანაშვილი შ., ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961.
2. დუდუჩავა მ., ახალი ქართული ხელოვნება, თბ., 1950.
3. სარაჯიშვილი ა., რ. ნ. გველესიანი, „ცხოვრება და ხელოვნება“ №1, 1910.
4. ჭინჭარაული ნ., თერგდალეულთა ეპოქის უცნობი პეიზაჟისტი (რომანოზ გველესიანის გრაფიკული ჩანახატები), „საქართველოს სიძველენი“ №15, 2011.

გიგოლაშვილი ალექსანდრე

(თბილისი, 1911 – თბილისი, 1998)

ფერმწერი, გრაფიკოსი. სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში მ. თოიძესთან და ი. შარლემანთან (1930-1936). გაწვევიანებული იყო „სარმაში“ (1931-1932). მოგვიანებით იყო სამხატვრო აკადემიის პედაგოგი (1946-1951). შესრულებული აქვს სოცრეალისტური ფერწერული ტილოები („კოლომეურნე“ (1931), „ბედნიერი ოჯახი“ (1936), „მოსავლის აღება“ (1945), „მწყემსი ქალები“ (1950) და სხვ.).

ნატავდა ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს (ი. ჭავჭავაძე ქართველ მწერლებს შორის (1937), „ავადმყოფ ა. წერეთელს უმღერისან „სულიკოს““ (1940), „პ. ჩაიკოვსკი საქართველოში“ (1953), „ვაჟა-ფშაველა“ (1961) და სხვ.). II მსოფლიო ომის წლებში მუშაობდა პლაკატის უნარში. მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული მხატვრის წოდება.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს მუზეუმებში (სემ – ხელოვნების მუზეუმი, ეროვნული გალერეა; გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწ. მუზეუმი; ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი, თბილისი; ნ. ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწ. ისტორიული მუზეუმი; წინანდლის ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი; ა. წერეთლის სახლ-მუზეუმი, სვინტორი).

ბიბლიოგრაფია:

1. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1979, М.: Советский художник, 1975.
2. Гордезиани Б., Грузинская графика, Тб., 1963.
3. Изобразительное искусство Грузинской ССР (Альбом), М., 1957.
4. Художники народов СССР, Библиографический словарь, т. III, М.: Искусство, 1976.

გოგიაშვილი ანტონ (1878 – 1907)

გრაფიკოსი. დაიბადა გურიაში. მისი მამა, სოფ. ნიგოთის მკვიდრი ლარიბი გლენი ივანე გოგიაშვილი, მოგვიანებით თბილისში დასახლდა გოგი-

აშვილის გვარით. 1901-1906 წწ-ში ან. გოგიაშვილი სწავლობდა თბილისში „კავკასიის კაზმულ ხელოვნებათა წამახალისებელი საზოგადოების“ სკოლაში. მან თავისი სამხატვრო მოღვაწეობა დაიწყო ჟურნალ „კვალთან“ და „ცნობის ფურცელთან“ თანამშრომლობით. მიუხედავად მძიმე ავადმყოფობისა, შემოიარა თითქმის მთელი საქართველო და შექმნა ეთნოგრაფიული ჩანახატების ქრონიკა. უხვად შეგროვილ მასალას მხატვარი იყენებდა წიგნების ილუსტრირებისას. 1896 წ-ს ან. გოგიაშვილმა დაასურათა ვაჟა-ფშაველას პოემა „ბახტრიონი“, 1901 წ-ს შეასრულა რ. ერისთავის ლექსებისა და ი. ჭავჭავაძის „განდევლის“ ილუსტრაციები. განსაკუთრებით აღსანიშნავია მხატვრის მიერ შესრულებული სურათები მ. ლერმონტოვის პოემისათვის „ჰაჯი-აბრეკი“, რომლებიც გამოქვეყნდა გაზეთ „ცნობის ფურცლის“ №32-ის მხატვრულ დამატებაში. 1901-1906 წწ-ში ან. გოგიაშვილი ა. ციმაკურიძესთან და გ. მესხთან ერთად სწავლობდა თბილისში პეტერბურგის აკადემიის მიერ დაარსებულ სამხატვრო სასწავლებელში.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოში (სემ – ხელოვნების მუზეუმი).

ბიბლიოგრაფია:

1. ამირანაშვილი შ., ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961.
2. ანტონ გოგიაშვილის ნეკროლოგი, „ემშაკის მათრახი“ №14, 1908.
3. დუდუჩავა მ., ახალი ქართული ხელოვნება, თბ., 1950.
4. კარბელაშვილი მ., ქართული გრაფიკა (1900-1920), Ars Georgica (30/XI), 2010.
5. კვასხვაძე შ., ანტონ გოგიაშვილი, თბ., 1947.

6. კვასხვაძე შ., ახალი მასალები მხატვარ ა. გოგიაშვილზე, „ლიტერატურა და ხელოვნება“ №33, 1945.

გორდუზიანი (ბენო) ბენიამინ

(ქუთაისის გუბერნია, 1894 – თბილისი, 1975)

მხატვარი, მწერალი, პუბლიცისტი, კულტურისა და ხელოვნების მკვლევარი. დაამთავრა ქ. გორის სასწავლებელი, შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში და გაიარა განათლების უმაღლესი კურსები თბილისში. სწავლობდა მოსკოვში „ვხუტემასში“ (ВХУТЕМАС, 1925), ხოლო 1928 წ-ს სწავლა განაგრძო ახლად გახსნილ თბილისის სახალხო უნივერსიტეტში. თბილისში დაბრუნების შემდეგ მუშაობა დაიწყო სახელმწიფო გამომცემლობაში (1926). მუშაობდა მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის კულტურისა და პოლიტიკური განათლების განყოფილებაში (1921-1930), აგრეთვე სახვითი ხელოვნების განყოფილების გამგედ სახელმწიფო გამომცემლობაში. 1922 წ-ს გაწვევიანდა მემარცხენე ფუტურისტების ჯგუფში H_2SO_4 და გახდა მისი იდეოლოგიის თანამიმდევრული გამტარებელი. 1924 წ-დან ჯგუფის წევრებთან ერთად უშვებდა ამავე სახელწოდების ჟურნალს. 1925 წ-დან ჯგუფი H_2SO_4 გამოსცემდა კიდევ ერთ ჟურნალს – „ლიტერატურა და სხვა“. იგი იყო ჯგუფის სკანდალური საჯარო გამოსვლების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე. 1932 წ-დან ბ. გორდუზიანი ქართველ საბჭოთა მხატვართა კავშირისა და ამ კავშირთან არსებული კრიტიკოსთა სექციის წევრი გახდა. II მსოფლიო ომის დროს მუშაობდა პოლიტიკური პლაკატების

გამოცემებსა და წიგნის დიზაინზე. 1947 წ-ს დაარსდა ქართული შრიფტის მუდმივი კომიტეტი, სადაც იგი მეცნიერულ კვლევით ლაბორატორიას ხელმძღვანელობდა. ბ. გორდუზიანს ეკუთვნის ქართული შრიფტის ახალი გარნიტური „მკაფიო“ (1949) და ახალი შრიფტი სახელწოდებით „ვიწრო გარნიტური“ (1957). 1958 წ-ს მუშაობდა „პირველი ქართული გრაფიკული გამოსახულებების“ თემაზე. აღსანიშნავია მისი მონოგრაფიები, თარგმანები და სხვადასხვა მხატვრის შემოქმედებისადმი მიძღვნილი პუბლიკაციები: „ნიკო ფიროსმანაშვილი“, „ხელოვნება განსაცდელშია“, „რატომ არ არის ყველა ნივთი ერთფერი“, „ქართველი მწერლები“ (წიგნი-ალბომი) და სხვ. 1952 წ-დან გამოიცემოდა მისი მონოგრაფიები და გამოკვლევები ი. შარლემანზე, გრ. ტატიშვილზე, დ. ქუთათელაძეზე, მ. ზირზე, ქართულ მხედრულ შრიფტზე, ქართული გრაფიკის შესახებ და სხვ. 1954 წ-ს მიენიჭა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება, დაჯილდოვდა მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ და ქების სიგელით. 1960-იანი წწ-ის დასაწყისში მის სტუდიაში მომხდარი ხანძრის გამო, მხატვრის ნამუშევრები განადგურდა. ჩვენამდე ბ. გორდუზიანის მხოლოდ რამდენიმე გრაფიკულმა და ფერწერულმა ნამუშევარმა მოაღწია.

მისი ნამუშევრები დაცულია ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმსა და კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. გაჩეჩილაძე მ., ბენო გორდუზიანი, ალმანახი „მწიგნობარი“ №04, თბ., 2004.
2. კარბელაშვილი მ., ქართული გრაფი-

კა (1900-1920), Ars Georgica, ელ. ჟურნალი, სერია B, об.: <http://www.georgianart.ge/index.php?option=com-content&view=article&id=55%3A-1900-1920-&catid=42%3A2010-12-03-16-05-33&Itemid=91&lang=ka>.

3. Никольская Т., Журнал Грузинских новаторов H₂SO₄, в кн.: Авангард и окрестности, СПб., 2002.

გოცაძე თემო

(თბილისი, 1941)

ფერმწერი. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ფერწერის ფაკულტეტზე აპ. ქუთათელაძესთან (1958-1964). 1967 წ-დან არის მხატვართა კავშირის წევრი. მუშაობდა ტელევიზიაში დამდგმელ მხატვრად (1967-1971) და მთავარ მხატვრად (1971-1983). იყო თბილისის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის სახვითი ფაკულტეტის სამხატვრო სახელოსნოს ხელმძღვანელი (1970), მხატვრის სახლის დირექტორი (1983-1995), საგამოფენო გაერთიანება „სეგის“ გენერალური დირექტორი (1993), საქართველოს მხატვართა კავშირის მდივანი (1987-1996). 60-იანი წწ-დან აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო გამოფენებში (ეროვნული გალერეა, თბილისი, 1976, 2003; მოსკოვის მხატვრის სახლი, 1987 და სხვ.). 1987 წ-ს კ. იგნატოვთან ერთად მოხატა სან-დიეგოს კულტურის ცენტრი. 1975 წ-ს მიენიჭა საქართველოს „კომკავშირის პრემია“, 1989 წ-ს – საქართველოს სახალხო მხატვრის წოდება. არის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს (სემ – ხელოვნების მუზეუმი, ეროვნული გალერეა) და უცხოეთში (ტრეტიაკოვის სახელმწიფო გალერეა, მოსკოვის აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმი, რუსეთი; დიუსელდორფის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, გერმანია; კანადის თანამედროვე სახვითი ხელოვნების მუზეუმი; კალიფორნიის ფედერალური მუზეუმი, აშშ), ასევე მრავალი ქვეყნის კერძო კოლექციაში (იტალია, მექსიკა, ირანი, თურქეთი, რუსეთი და საქართველო).

ბიბლიოგრაფია:

1. თემო გოცაძე (ალბომი), თბ., 1978.
2. თემო გოცაძე – ფერწერა, გრაფიკა (კატალოგი), ტექსტის ავტორები: ი. ქარაია, დ. ანდრიაძე, მ. გეგია, თბ., 2012.
3. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1979, М.: Советский художник, 1975.

გოცირიძე მიხეილ

(საქართველო, 1901 – თბილისი, 1975)

ფერმწერი, გრაფიკოსი, კარიკატურისტი, თეატრისა და კინოს მხატვარი, ქართული თეატრის მხატვრობის ერთ-ერთი რეფორმატორი. მხატვრის შემოქმედება ნაკლებადაა შესწავლილი. სწავლობდა ფერწერისა და ქანდაკების სასწავლებელში. მისი პირველი პედაგოგი იყო ა. ზალცმანი. 1922 წ-ს სწავლა განაგრძო ახლად გახსნილ სამხატვრო აკადემიაში. მისი ნამუშევრები პირველად წარმოდგენილი იყო ამიერკავკასიის მხატვართა ნამუშევრების გამოფენებზე (1922). 1924-1931 წწ-ში ყოველწლიურად მონაწილეობდა

ქართველ მხატვართა საანგარიშო გამოფენებში. 1922 წ-ს მუშაობა დაიწყო მხატვრად მოზარდ მაცურებელთა რუსულ თეატრში, 1926 წ-ს კი – თბილისის ახალ თეატრში მხატვარ-დეკორატორად. 1927-1930 წწ-ში რეჟ. მ. ქორელის მიწვევით მუშაობდა მთავარ მხატვრად ქუთაისის თეატრში, სადაც გააფორმა 12 სპექტაკლი. იყო მხატვარი თბილისის მოზარდ მაცურებელთა თეატრის 30-მდე სპექტაკლისა (1928-1939). მ. გოცირიძის მიერ გაფორმებულ სპექტაკლებს შორის გამორჩეულია: „განურჩევლად პიროვნებისა“ (კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო დრამატული თეატრი); „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“, „ნატვრისთვალი“, „ჩვენი ნაცნობები“ (მუსიკალური კომედიის თეატრი); „რობინ ჰუდი“, „ნაცარქექია“ (თბილისის მოზარდ მაცურებელთა ქართული და რუსული თეატრები); „პატარა კახი“ (ფოთის თეატრი); „სამშობლო“ (გორის თეატრი); „სიყვარული თელებქვეშ“ (ქუთაისის თეატრი); „გაყრა“ (ჭიათურის თეატრი) და სხვ. 1931 წ-დან მუშაობა დაიწყო საქართველოს კინოსტუდიაში. იყო არაერთი კინოფილმის დეკორაციისა და კოსტიუმების ესკიზების მხატვარი („ქაჯეთი“ – 1936 (ფილმი დაკარგულია), „დაგვიანებული სასიძო“ – 1939, „გიორგი სააკაძე“ – 1942, „ჯურხაის ფარი“ – 1944, „სხვისი შვილები“ – 1958 და სხვ.). 1959 წ-ს მ. გოცირიძემ შოპენის 150-ე წლისთავს მიუძღვნა გრაფიკულ ნაწარმოებთა დიდი სერია. მხატვარი მუშაობდა გრაფიკაში. მის ნაწარმოებებს ახასიათებს სტილიზაცია და ორნამენტალიზმი. მ. გოცირიძე ქართული მოდერნისტული მხატვრობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოში (კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო დრამ. თეატრის მუზეუმი,

თბილისის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო დრამ. თეატრის მუზეუმი, სემ – ხელოვნების მუზეუმი და სხვ.).

ბიბლიოგრაფია:

1. თეატრის მხატვრობა, კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის კოლექცია (ალბომი), შემდგენლები: მ. ციციშვილი, ნ. ვაჩიშვილი, მ. სოხაძე, თბ., 2006.
2. თეატრის მხატვრობა, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექცია (ალბომი), ტექსტის ავტორები: დ. ლებანიძე, ე. თუმანიშვილი, მ. ოკლეი, თბ., 2008.
3. მიხეილ გოცირიძე, „დროშა“ №9, 1970.
4. Асатиани А., Диапазоны творчества (О персональной выставке М. Гоциридзе), Тб., 1970.
5. Чхиквишвили М., Каталог выставки работ М. Гоциридзе, Министерство культуры Груз. СССР, Тб., 1969.

ბრიგორიანტი კარავატი

(გულალო, განჯის გუბერნია, 1870 – თბილისი, 1943)

თვითნასწავლი მხატვარი. 1880 წ-დან ცხოვრობდა თელავში და შეისწავლა ქართული ენა. 1884 წ-ს სამუშაოს მოსაძებნად ჩავიდა თბილისში, სადაც მისი ძმები ცხოვრობდნენ. მცირე ხანს სწავლობდა გერმანელ მხატვარ გოლფინგთან. 1890 წ-დან ფლობდა აბრეხის სახელოსნოს. 1894 წ-ს ძველ თბილისში მოხატა რესტორან „სიმპატიის“ კედლები, შეასრულა ნატურმორტები, გამოჩინილ პიროვნებათა – თამარ მეფის, პუშკინის, კოლუმბის, შექსპირისა და სხვათა – პორტრეტები. 1895 წ-ს

თბილისის ხელოსანთა სამმართველომ მისცა მოწმობა და სამხატვრო ხელოსანთა წევრად ჩარიცხა. კ. გრიგორიანცი ეწეოდა ლიტერატურულ მოღვაწეობასაც. წერდა ლექსებს, პოემებს, პიესებს, თარგმნიდა წიგნებს. ძველი სომხურიდან ნათარგმნი აქვს „ეფრემ ვერდი“ (გამოცემულია 1897, 1910 და 1912 წწ-ში), სომხურ ენაზე თარგმნა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, დაწერა კრებული „სიბრძნის წყარო“ და სხვ.

მისი ნამუშევრები ძირითადად დაცულია საქართველოს (სემ – ხელოვნების მუზეუმი; საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი) და სომხეთში (ეროვნული გალერეა, ერევანი).

ბიბლიოგრაფია:

1. სომეხი მხატვრები საქართველოში ჰაკობ ჰოვნათანიანიდან გაიანე ხაჩატურიანამდე, ალბომი, შეადგინა ი. ოგანჯანოვამ, ტექსტი ნ. ზაალიშვილისა, თბ., 2011.
2. Гевенян С., Мой Тифлис, Эчмиадзин, 2002.

გუგუნავა ივანე

(ლიტვინოვო, 1860 – მოსკოვი, 1919)

ფერმწერი, გრაფიკოსი. 1865-1872 წწ-ში ოჯახთან ერთად ცხოვრობდა გურიასში, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მომავალ მხატვარზე. მოსკოვში დასახლების შემდეგ იგი ყოველწლიურად სტუმრობდა საქართველოს. სწავლობდა მოსკოვის ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში, სადაც მისი

პედაგოგები იყვნენ პროფესორები ვ. პეროვი და ა. სავრასოვი (1875-1880ს). 1876 და 1877 წწ-ში სასწავლებელში მოწყობილ გამოფენებზე ივ. გუგუნავა წარადგინა საქართველოს ბუნების ამსახველ პეიზაჟებსა და ეტიუდებს. 1881-1888 წწ-ში სწავლა გააგრძელა საიმპერატორო სამხატვრო აკადემიაში. 1881 წ-ს მხატვარი დააჯილდოვეს ვერცხლის მედლით. 1888 წ-ს მან მიიღო „კლასიკარე მედიის უფალი მხატვრის“ წოდება. 1886-1887 წწ-ში თანამშრომლობდა ჟურნალთან „მსოფლიო ილუსტრაციები“. ძირითადად, ივ. გუგუნავა ცხოვრობდა მოსკოვში და გარკვეული წლების მანძილზე ასწავლიდა მოსკოვის ვაჟთა გიმნაზიაში. 1884 წ-დან იგი მონაწილეობდა მხატვრობის მოყვარული მოსკოვის საზოგადოების (1891, 1894), სამხრეთ რუსეთის მხატვართა ძმობის (1892), მოსკოვის მხატვრების სურათების (1893, 1894, 1895), მოსკოვის მხატვართა ძმობის (1895-1918), მხატვართა ახალი საზოგადოების (1910), მხატვრული დაჯგუფება „სრედას“ (1918) და სხვა გამოფენებში. 1911 წ-ს მონაწილეობდა მსოფლიო გამოფენაში რომში. მხატვრის სიცოცხლეში ივ. გუგუნავას ნაწარმოებები არასოდეს გამოფენილა საქართველოში.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოში (სემ – ხელოვნების მუზეუმი).

ბიბლიოგრაფია:

1. ფარცხალაძე თ., მონოგრაფია მხატვარ ივანე გუგუნავაზე, „საბჭოთა ხელოვნება“ №1, 1965.
2. ფირალიშვილი ო., ქართული მხატვრობის კლასიკოსი: ახალი მასალები მხატვარ ივანე გუგუნავას შესახებ, „საბჭოთა ხელოვნება“ №5, 1955.

3. ფირალიშვილი ო., ივანე გუგუნავა – მივიწყებული მხატვრის კვალდაკვალ, თბ., 1964.
4. Горидзе М., Грузины в Петербурге, Тб., 1976.

გულიაშვილი ლალო

(თბილისი, 1896 – თბილისი, 1980)

ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარი. სწავლობდა „კავკასიის კაზიმულ ხელოვნებათა წამახალისებელი საზოგადოების“ ფერწერისა და ქანდაკების სკოლაში (1910-1914). მისი პირველი ნახატები, ილუსტრაციები ლეო ქიჩიელის მოთხრობებისთვის, დაიბეჭდა ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ (1914). 1916-1917 წწ-ში. მონაწილეობდა საქართველოს ისტორიულ პროვინციებში მოწყობილ ექსპედიციებში და ასრულებდა შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობის ასლებს. იყო ჟურნალ ARS-ის მხატვარი (1917). მონაწილეობდა თბილისის მხატვრულ ცხოვრებაში, იყო „ფუტურისტთა სინდიკატის“ წევრი, ფუტურისტთა და „ცისფერყანწელთა“ საღამოების დისკუსიების აქტიური მონაწილე. მან მონაწილეობა მიიღო „ფანტასტიკური დუქნისა“ და „ქი-მერიონის“ მონატვამში. კ. ზდანევიჩთან, ს. ვალიშევსკისთან, ნ. გონჩაროვასთან, ა. ბაჟბეჟე-მელიქოვთან, ი. ტერენტიევთან ერთად დაასურათა კრებული „ფანტასტიკური დუქანი. ეძღვნება ს. მელნიკოვას“. მონაწილეობდა „დიდების ტაძარში“ „ქართველ მხატვართა საზოგადოების“ მიერ მოწყობილ გამოფენაში. 1919-1926 წწ-ში ცხოვრობდა პარიზში და სწავლობდა რონსონის აკადემიაში, მონაწილეობდა გამოფენებში (*Salon d'Automne, Les Indépendants* და ა.შ.). მისი ნაწარმოებ-

ბი იფინებოდა ბელგიასა და ამერიკაში. გულიაშვილის სურათები შეიძინეს მადრიდისა და პარიზის მუზეუმებმა, ასევე კერძო კოლექციონერებმა. 1923 წ-ს პარიზში გალერეა „ლა ლიკორნში“ შედგა მისი პირველი პერსონალური გამოფენა, 1925 წ-ს გალერეა „ბილიეში“ – მეორე პერსონალური გამოფენა. მისი კატალოგის წინასიტყვაობა დაწერა ცნობილმა ფრანგმა კრიტიკოსმა ა. სალმონმა. ამავე წელს პარიზში გამოიცა მ. რეინალის მონოგრაფია ლ. გულიაშვილის შემოქმედების შესახებ. იგი დაახლოებული იყო პ. პიკასოსთან, ა. მოდილიანთან, ა. მატითან, ა. დერენტანთან, ფ. ლეჟესთან, მ. უტრილოსთან, ლ. არაგონთან, ა. ბრეტონთან და სხვებთან. გულიაშვილის ინდივიდუალურმა, ეგზოტიკურმა მხატვრობამ ევროპელთა ყურადღება მიიპყრო. საქართველოში დაბრუნების შემდეგ გულიაშვილი ასწავლიდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში, აგრეთვე მუშაობდა თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების დარგში. 1926 წ-ს თბილისში გაიმართა ლ. გულიაშვილის ნამუშევრების გამოფენა. 1927 წ-ს მან მოხატა სასტუმრო „ორიენტის“ ვესტიბიული. 1928 წ-დან ნაყოფიერად მუშაობდა წიგნის გრაფიკაში. 1935 წ-ს პარიზში გაიმართა ლ. გულიაშვილის პერსონალური გამოფენა. 1946 წ-ს მან მოხატა თბილისის ქვამვითის ეკლესიის საკურთხეველი. მიღებული აქვს მონაწილეობა ათეულობით გამოფენაში საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. იყო საქართველოს სახალხო მხატვარი (1950) და შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1966).

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმებში (სემ – ხელოვნების მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა); საქარ-

თველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწ. მუზეუმი, კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწ. დრამ. თეატრის მუზეუმი, შ. რუსთაველის სახ. აკად. თეატრის მუზეუმი, თბილისის სამხატვრო აკადემიის მუზეუმი და სხვ.), საქართველოსა და უცხოეთის კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. ბერიძე ვ., ლადო გუდიაშვილი, „მნათობი“ №8, 1957.
2. გუდიაშვილი ლადო (ალბომი), ტექსტი ვ. ბერიძისა, თბ., კორვინა-ბუდაპეშტი, 1975.
3. გუდიაშვილი ლადო (ალბომი), შემდგ. ვ. ჭიაურელი, ტექსტი თ. სანიკიძისა, თბ., 1979.
4. გუდიაშვილი ლ., მოგონებების წიგნი, „საბჭოთა ხელოვნება“ №8, 1967.
5. გუდიაშვილი ლ., როგორ მოვხატე ქვაშვეთი, „ჯვარი ვაზისა“ №2, 1985.
6. ზდანევიჩი კ., ლადო გუდიაშვილი, „მნათობი“ №8, 1961.
7. რეინალი მ., ფრანგ. თარგმ. ბ. ბრეგვაძემ, „საუნჯე“ №4, 1981.
8. სალმონი ა., ლადო გუდიაშვილი, ფრანგ. თარგმნა ე. ახვლედიანმა, „საუნჯე“ №4, 1981.
9. ტაბატაძე თ., არტისტული კაფე „ქიმერიონი“ და მისი მოხატულობა, ტფ., 1919 (თბ., 2011).
10. ქიქოძე გ., ლ. გუდიაშვილის, დ. კაკაბაძისა და შ. ქიქოძის პარიზული პერიოდი, მხატვრის შედეგები, გამოფენები, „ცისკარი“ №2, 1957.
11. Гудиашвили Л., Книга воспоминаний. Статьи. Из переписки. Современники о художнике, М., 1987.
12. Каган М., Ладос Гудиашвили, Л.: Авра, 1984.
13. Никольская Т., Фантастический город: Русская культурная жизнь в Тбилиси:

- 1917-1921, М.: Пятая страна, 2000.
14. Reynal Maurice, Lado Goudiachvili, Paris, 1925.
 15. Tudor Vianu, Lado Goudiachvili, „Arta plastica“ №2, 1962.

გუნია გიორგი

(თბილისი, 1938 – თბილისი, 2001)

თეატრის მხატვარი. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიასა (1960-1966) და ასპირანტურაში (1966-1970). 1989 წ-ს დაარსა თეატრალურ-დეკორაციული ფაკულტეტი შოთა რუსთაველის სახ. თეატრალურ ინსტიტუტში, 1991 წ-დან იყო პროფესორი. მუშაობდა სხვადასხვა ადმინისტრაციულ თანამდებობაზე: იყო საქართველოს მხატვართა კავშირის მდივანი, საქართველოს სამხატვრო ფონდის თავმჯდომარე, სსრკ-ის მხატვართა კავშირის გამგეობის წევრი. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მხატვრის წოდება. 60-90-იან წწ-ში გაფორმებული აქვს მრავალი სპექტაკლი საქართველოს სხვადასხვა თეატრში („ალი ბაბა“, „უამთა სიავე“ – მარჯანიშვილის თეატრში, „ანტიგონე“ – რუსთაველის თეატრში, „ლელა“ – ოპერისა და ბალეტის თეატრში, „ლამარა“ – ბათუმის დრამატულ თეატრში და სხვ.). თანამშრომლობდა არაერთ ქართველ რეჟისორთან, მათ შორის, მ. თუმანიშვილთან და ლ. მირცხულავასთან. მონაწილეობდა ჯგუფურ გამოფენებში საქართველოსა და უცხოეთში („საქართველოს კინოსა და თეატრის მხატვრები“, 1978; საქართველოს სახვითი ხელოვნების გამოფენა მოსკოვში, 1987; თანამედროვე ქართული ხელოვნების გამოფენა საბერძნეთში, 1998 და სხვ.).

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმში, ასევე კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. გიორგი გუნიას საიუბილეო გამოფენა, ჟურნ. „ცხელი შოკოლადი“ (01/XII), 2008.

გურამიშვილი დავით

(მცხეთა, 1857 – თბილისი, 1926)

ფერმწერი. დაამთავრა თბილისის გიმნაზია. 1873 წ-დან იმოგზაურა პარიზსა და სანკტ-პეტერბურგში, სადაც დაუახლოვდა გიგო გაბაშვილსა და მიხაი ზიჩს. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ასრულებდა კარიკატურებსა და ჩანახატებს ჟურნალ-გაზეთებისთვის „ფალანგა“ და „ობზორი“. გატაცებული იყო თეატრით. 1886-1888 წწ-ში სწავლობდა მიუნხენის სამხატვრო აკადემიაში. გერმანიაში ყოფნისას ხშირად მონაწილეობდა გამოფენებში და პრესის მხრიდან გარკვეულ ყურადღებასაც იმსახურებდა. სწორედ აქ გაიტაცა დ. გურამიშვილი ფოტოგრაფიამ. შესრულებული აქვს პორტრეტები, ასევე სურათები აღმოსავლურ თემებზე („აღმოსავლური ქალაქის კუთხე“, (1912), ავტოპორტრეტი (1924) და სხვ.).

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოში (სემ – ხელოვნების მუზეუმი, ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწ. მუზეუმი), ასევე საქართველოსა და უცხოეთის კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. ბაგრატიშვილი ქ., მხატვარი დავით გურამიშვილი, „ლიტერატურა და ხელოვნება“ (12/ VIII), 1951.
2. გურამიშვილი დ., იხ. ქსე, ტ. III, თბ., 1978
3. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1979, М.: Советский художник, 1975.

გაქლიაშვილი (კოტე) კონსტანტინე

(თბილისი, 1902 – თბილისი, 1970)

ფერმწერი. სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში პროფესორ გ. გაბაშვილის, შემდეგ კი ე. ლანსერეს კლასში (1922-1927). 1924 წ-დან სისტემატურად მონაწილეობდა ქართველ მხატვართა გამოფენებში. მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართული პეიზაჟის ამსახველი სურათები. 30-იან წწ-ში მონაწილეობას იღებდა „სარმას“ გამოფენებში. ამ პერიოდის ნაწარმოებებიდან გამორჩეულია კოლხეთის თემებზე შექმნილი სურათი „ჭაობების ამოშრობა“ (1934). მხატვარმა არაერთი ტილო მიუძღვნა გორისა და ბაკურიანის ბუნებასაც. იყო სამხატვრო აკადემიის ფერწერის კათედრის პედაგოგი (1939-1970) და პროფესორი (1968). აღზარდა მრავალი ცნობილი ქართველი მხატვარი. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სსრ-ის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს მუზეუმებში (სემ – ხელოვნების მუზეუმი, სემ – ეროვნული გალერეა, სიმონ ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი, გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწ. მუზეუმი) და მხატვრის ოჯახში.

ბიბლიოგრაფია:

1. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1979, М.: Советский художник, 1975.

დესენი ემილ ფრანსუა (1808 – 1882)

გრაფიკოსი. ფრანგი მხატვარი დესენი სწავლობდა ა. ბაუსელიესთან. პერიოდულად იფინებოდა პარიზულ სალონებში (1831-1844, 1866-1871). 1844-1866 წწ-ში ცხოვრობდა რუსეთში – მოსკოვსა და პეტერბურგში. ამ პერიოდში იმოგზაურა კავკასიაში, იმყოფებოდა საქართველოსა და აზერბაიჯანში. ძირითადად ასრულებდა არისტოკრატის პორტრეტებს, დახატული ჰყავს რუსეთის იმპერატორის ოჯახის წევრები. ცნობილია მისი 1851 წ-ს შექმნილი ქართველ დიდგვაროვანთა პორტრეტები, მათ შორის, ერეკლე ბატონიშვილის, ალექსანდრე ბაგრატიონის, სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის, ნინო ჭავჭავაძის, პუპი დადიანის და სხვათა.

მისი ნამუშევრები დაცულია სემ – ხელოვნების მუზეუმში, დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმში, ზუგდიდში; რუსეთის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში, მოსკოვში.

ბიბლიოგრაფია:

1. ზუგდიდის ისტორიული მუზეუმი, (კატალოგი), შემდგენლები: გ. კალანდია, ლ. ბერაია, თბ. 2002.

დილბარიანი (დილბო) ალბერტ

(თბილისი, 1928 – თბილისი, 1991)

ფერმწერი. სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში უ. ჯაფარიძესთან, კ. სანაძესთან (1946-1952). 1962-90 წწ-ში მონაწილეობდა საკავშირო გამოფენებში. იფინებოდა რუსეთში (მოსკოვი – 1958, 1970, 1971, 1987), პოლონეთში (1959), ლიტვაში (ვილნიუსი, 1963), უკრაინაში (კიევი, 1964), გერმანიაში (1969), იტალიაში (1980), 1997-2000 წწ-ში – თანამედროვე ხელოვნების გალერეაში თბილისში და სხვ. 1998 წ-ს მოეწყო მისი პერსონალური გამოფენა თბილისში. 1967 წ-ს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მხატვრის წოდება.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს (სემ – ხელოვნების მუზეუმი, ეროვნული გალერეა, თბილისი) და უცხოეთში (თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, ერევანი; აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმი, მოსკოვი; ზიმერლის ხელოვნების მუზეუმი, ნიუ-ჯერსი), ასევე სხვადასხვა ქვეყნის კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. სომეხი მხატვრები საქართველოში ჰაკობ ჰოვანათიანიდან გაიანე ხაჩატურიანამდე (ალბომი), შეადგინა ი. ოგანჯანოვამ, ტექსტი ნ. ზაალი-შვილისა, თბ., 2011.
2. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1979, М.: Советский художник, 1975.

დუბროვინი ვიქტორ

(XIX ს-ის შუა წლები)

ფერმწერი. ვ. დუბროვინი მოღვაწეობდა XIX ს-ში. 1850-იან წწ-ში სწავლობდა კ. რუბოსთან მოსკოვის ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში. 1855 წ-ს პეტერბურგის სამხატვრო აკადემიამ მას „კლასგარეშე მხატვრის წოდება“ მიანიჭა. საქართველოში დუბროვინი, სავარაუდოდ, XIX ს-ის II ნახევარში იმყოფებოდა.

მისი ნამუშევრები დაცულია სემ – თბილისის ისტორიის მუზეუმში (ქარვასლა).

ბიბლიოგრაფია:

1. თბილისი ქართველი და უცხოელი მხატვრების შემოქმედებაში, ალბომი, შემდგენლები: მ. ციციშვილი, ნ. ჭოლოშვილი, თბ., 2004.

მისნარი ალექსეი

(სანკტ-პეტერბურგი, 1872 – სანკტ-პეტერბურგი, 1943)

ფერმწერი, გრაფიკოსი, მკვლევარი. 1887-1889 წწ-ში სწავლობდა პეტერბურგის ალექსანდრეს სახელობის საიმპერატორო ლიცეუმში. მოგვიანებით რუსეთში დაასრულა არქეოლოგიური ინსტიტუტი. იყო პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის თავისუფალი მსმენელი. 1897-1898 წწ-ში მონაწილეობდა პეტერბურგის მხატვართა საზოგადოების გამოფენებში. თბილისში ჩამოვიდა რუსული მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების დავალებით. 1890-1911 წწ-ში რამდენჯერმე

იმყოფებოდა კავკასიაში საკულტო ხუროთმოძღვრების ფიქსაციის მიზნით. 1898 წ-ს პეტერბურგის სამხატვრო აკადემიასთან არსებულმა კომისიამ ა. ეისნერი საკულტო ხუროთმოძღვრების შესასწავლად ექსპედიციაში დასავლეთ საქართველოში გაგზავნა. მხატვარმა შექმნა აკვარელების სერია, ეთნოგრაფიული ჩანახატები, ფოტოები გადაუღო ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს, ხოლო მრავალ ეკლესიაში ფრესკათა ასლებიც შეასრულა. ქართულმა ხელოვნებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ეისნერზე. იგი ქართული კულტურის თავყანისმცემლად იქცა და სიცოცხლის ბოლომდე მის პოპულარიზაციას ეწეოდა. თავისი მოგზაურობების შედეგები ა. ეისნერმა ასახა ნაშრომში „კავკასიის მივიწყებული საგანძური“. 1903 წ-ს ა. ეისნერმა დაამთავრა სამხატვრო აკადემია და მიენიჭა II ხარისხის „ხატვის მასწავლებლის“ წოდება. 1909-1911 წწ-ში ეისნერი აგრძელებდა მუშაობას სვანეთის, აფხაზეთისა და აჭარის საკულტო ძეგლების ფიქსაციაზე, პარალელურად აგროვებდა ეთნოგრაფიულ მასალას. ა. ეისნერი ასრულებდა ადრეული შუა საუკუნეების ხელნაწერი წიგნების ასლებსაც – მინიატურებსა და ტექსტებს. 1911 წ-ს რუსეთის მხატვართა II საყოველთაო ყრილობაზე წაიკითხა მოხსენებები ძველი ქართული მხატვრობისა და ამიერკავკასიის ძეგლების შესახებ. საქართველოში ყოფნისას ეისნერი ჩაბმული იყო მხატვრულ ცხოვრებაშიც, 1897 წ-ს მონაწილეობდა „კავკასიის კაზმულ ხელოვნებათა წამახალისებელი საზოგადოების“ გამოფენებში, ხოლო 1899 წ-ს მისი ნაწარმოებები გამოიფინა ჰ. ჰრინგესიკთან და ნ. ტრიფონოვთან ერთად. 1929 წ-ს გამოსცა სახელმძღვანელო „ხატვისა და ფერწერის სკოლა“, რომელშიც წარმოდგენილია ლითოგრაფიები კა-

ვკასიელ ტიპაჟთა გამოსახულებით. ა. ეისნერმა დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს უძველესი საეკლესიო ხელოვნების ნიმუშთა მოძიებასა და შეგროვებაში.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა (სემ – ხელოვნების მუზეუმი) და რუსეთში (რუსული მუზეუმი, პეტერგურგი).

ბიბლიოგრაფია:

1. Елизбарашвили Н., Художественная жизнь Тбилиси в конце XIX-начале XX века, Ленинград, 1982 (საკანდ. დისერტაცია).
2. Селиненькова Е. Я., Художник А. П. Эйсер и его коллекция акварельных копий церковного искусства западной Грузии, Христианство в регионах мира, Рос. акад. наук, Музей антропологии и этнографии им. Петра Великого (Кунсткамера), СПб.: Наука, 2008.
3. Труды всероссийского съезда художников, Декабрь 1911 – январь 1912, Петроград, 1914.

პრეტაჟი დიმიტრი

(თბილისი, 1931)

გრაფიკოსი, წიგნის ილუსტრატორი, კინოს მხატვარი. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში სახვითი ხელოვნების ფაკულტეტზე, სადაც მისი პედაგოგები იყვნენ ლ. გრიგოლია, ი. შარლემანი, ს. ქობულაძე და დ. გაბაშვილი (1950-1956). ილუსტრაციებმა ან. ფრანსის მოთხრობისათვის „კრენკებილი“, რომელიც მხატვრის სადიპლომო ნამუშევარს წარმოადგენდა, იმთავითვე უმაღლესი

შეფასება დაიმსახურა. მოგვიანებით ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში (1967-1974). დ. ერისთავის სახელს ქართულ მხატვრობაში, უპირველეს ყოვლისა, დაუკავშირდა რამდენადმე თავისებური, ქალაქის ცხოვრების ამსახველი ყოფითი ჟანრის შექმნა. შესრულებული აქვს მრავალი საინტერესო პორტრეტი და ყოფითი სცენები თანადროული ცხოვრებიდან. 1957 წ-დან არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი, 1982 წ-დან – თსს აკადემიის პროფესორი. მუშაობდა არაერთ ფილმზე როგორც დამდგმელი მხატვარი. 1967 წ-ს შედგა მისი პირველი პერსონალური გამოფენა თბილისში. იფინებოდა საქართველოსა (სემ – ეროვნული გალერეა, ბათუმის სამხატვრო გალერეა, გალერეები „შარდენი“ და TMS, მ. ბერძენიშვილის სახ. კულტურის ცენტრი „მუზა“ და სხვ.) და უცხოეთში (სლოვაკეთი, იუგოსლავია, რუსეთი, გერმანია, საფრანგეთი). დაჯილდოებულია ბრინჯაოს მედლით ამიერკავკასიის რესპუბლიკების გამოფენაზე (1958), პრემიით წლის საუკეთესო ნამუშევრისთვის (1976), მინიჭებული აქვს საქართველოს სახალხო მხატვრის წოდება (1985), არის სახელმწიფო პრემიისა (1990) და რუსთაველის სახ. პრემიის ლაურეატი (2006).

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა (საქართველოს ეროვნული მუზეუმი; ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი, ყვარელი) და უცხოეთში (ალმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმი, მოსკოვი), ასევე სხვადასხვა ქვეყნის კერძო კოლექციებში (საქართველო, საფრანგეთი და სხვ.).

ბიბლიოგრაფია:

1. გვანარია გ., დიმიტრი ერისთავი – კინომხატვარი, „საბჭოთა ხელოვნება“ №8, 1981.
2. გვანარია გ., დიმიტრი ერისთავი – ფილმის მხატვარი, „კინო“ №3, 1987.
3. დიმიტრი ერისთავი, ტექსტი ნ. ზაალიშვილისა, თბ., 2002.
4. დიმიტრი ერისთავი (ალბომი), რედ. ო. ევაძე, თბ., 1979.
5. დიმიტრი ერისთავი, გრაფიკა (ალბომი), პროექტის იდეის ავტ. და გამომც. გ. კალანდაძე, ტექსტი დ. ანდრიაძისა, თბ., 2010.
6. დიმიტრი ერისთავი, გრაფიკა (კატალოგი), ტექსტი მ. ჩიხრაძისა, თბ., 2011.
7. ჩიხრაძე მ., თანამედროვე ქართული ნახატის ზოგიერთი თავისებურების შესახებ (გ. კასრაძის, ზ. ნიჟარაძის, დ. ერისთავისა და ე. კალანდაძის შემოქმედება), „სპექტრი“ №1, 2006.
8. ჯაფარიძე გ., დიმიტრი ერისთავი, „საბჭოთა ხელოვნება“ №7, 1967.
9. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1970, М., Советский художник, 1975.

ვალისფერ (ზიგა) სიზიგაშვილი

(სანკტ-პეტერბურგი, 1897 – კრაკოვი, 1936)

გრაფიკოსი, ფერმწერი, თეატრის მხატვარი, კარიკატურისტი, პლაკატისტი, წიგნის ილუსტრატორი. ვალიშვილს ბის ოჯახი საქართველოში 1903 წ-დან გადმოსახლდა. ს. ვალიშვილსკიმ თავდაპირველად სამხატვრო განათლება ნ. სკლიფასოვსკის ხატვისა და ფერწერის კურსებზე მიიღო. 1912 წ-ს, 15 წლის ასაკში, ის თბილისის ავანგარდული მხატვრული ცხოვრების ცენ-

ტრში აღმოჩნდა. 1915 წ-ს თბილისში მსახიობთა საზოგადოების საკონცერტო დარბაზში ზიგა ვალიშვილსკის პლაკატების გამოფენა მოეწყო. ამავე წელს იგი მოხალისედ წავიდა ომში, საიდანაც მძიმედ დაჭრილი დაბრუნდა. 1917 წ-ს ვალიშვილსკიმ ძმებ ზდანევიჩებთან, ლადო გუდიაშვილთან, პოეტებთან – იური დეგენთან, კოლაუ ჩერნიავსკისთან, ყარა-დარვიშთან ერთად დააარსა „ფუტურისტების სინდიკატი“. მონაწილეობდა საზოგადოებრივი ლექციებისა და დისკუტების მოწყობაში, წიგნების გამოცემებში, თანამშრომლობდა ჟურნალებთან *ARS* და *Искусство*, შეასრულა ილუსტრაციები წიგნისთვის *Софьи Георгиевны Мельниковой. Фантастический кабачок. 1917, 1918, 1919* და წიგნი-სატირა – *О путешествии Сергея Городецкого в Батуми*. ს. ვალიშვილსკიმ მხატვარ ალ. ზალცმანთან ერთად მოხატა თბილისის საოპერო თეატრის ფარდა, მონაწილეობდა „ფანტასტიკური დუქნის“ მოხატვაში, ხოლო 1919 წ-ს დ. კაკაბაძესთან, ს. სუდეკინთან და ლ. გუდიაშვილთან ერთად – კაფე „ქიმერიონის“ კედლის მოხატვაში. ძმებ ზდანევიჩებთან, მ. ლე-დანტიუსთან, ლ. გუდიაშვილთან, მ. ჭიაურელთან, პოეტებთან კ. ჩერნიავსკისთან და ყარა-დარვიშთან ერთად, ვალიშვილსკის დიდი წვლილი მიუძღვის ნიკო ფიროსმანაშვილის აღმოჩენასა და პოპულარიზაციაში. 1918-1920 წწ-ში ავანგარდული ხელოვნების მიმდევარი მხატვარი კუბოფუტურისტულ ნამუშევრებს ქმნიდა. 1920 წ-ს თბილისში მოეწყო მისი პერსონალური გამოფენა, რომელმაც წარმატება მოუტანა. პოლონეთის ელჩმა საქართველოში მას შესთავაზა სწავლის გაგრძელება კრაკოვის ნატიფი ხელოვნების აკადემიაში. 1921 წ-ს ვალიშვილსკი თბილისიდან ჯერ კონსტანტინეპოლში, ხოლო

შემდეგ კრაკოვში გაემგზავრა. იგი იქაც მალევე აღმოჩნდა მხატვრული ცხოვრების ცენტრში. 1924-1930 წწ-ში ცხოვრობდა პარიზში, მონაწილეობდა „შემოდგომის სალონისა“ და ნატიფი ხელოვნების აკადემიის გამოვენებში. მუშაობდა კანში, არლში და ავინიონში. 1934 წ-ს ვენეციის XIX საერთაშორისო ზამთრის ბინალზე გამოფინა თავისი ნამუშევრები. თბილისელი მეგობრის ლ. გუდიაშვილის მეშვეობით დაუახლოვდა ახალგაზრდა სიურეალისტებს პიკასოსა და მოდილიანის. 1936 წ-ს მოხატა ვაველისა და ვარშავის სამეფო სასახლის პლაფონები. მხატვრულად გააფორმა პერგოლეზის ოპერა – ბუფი *La Serve Padrona*.

მისი ნამუშევრები დაცულია უცხოეთისა და საქართველოს მუზეუმებსა (სემ – ხელოვნების მუზეუმი) და კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. მაგაროტო ლ., 1914-21 წლების ტფილისის ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრება, ქართული მოდერნიზმი 1910-1930, თბ., 2005.
2. ტაბაბაძე თ., არტისტული კაფე „ქიმერიონი“ და მისი მონატულობა, ტფ., 1919 (თბ., 2011).
3. ჩიხლაძე ნ., „ქიმერიონი“ 1919-1920 წლებში – დეკანდენტ ხელოვანთა არტ-კაფე თუ „ახალი ხელოვნების ტაძარი“? *Ars Georgica*, ელ. ჟურნალი, სერია B, 2011, იხ.: <http://www.georgianart.ge/index.php?option=com-content&view=article&id=81%3A-1919-1920-&catid=42%3A2010-12-03-16-05-33&Itemid=91&lang=ka>.
4. Никольская Т., Фантастический город: Русская культурная жизнь в Тбилиси: 1917-1921, М.: Пятая страна, 2000.

5. Орлов С., Московский приют Тифлисских футуристов, “Русское искусство” №4, 2004.
6. Шмерлинг Р., Годы творчества художника С. Валишевского в Грузии, *Ars Georgica*, 2012, იხ.: <http://www.georgianart.ge/index.php?option=com-content&view=article&id=144%3A2013-01-29-19-28-51&catid=42%3A2010-12-03-16-05-33&Itemid=91&lang=ka>.

პარაზი აპოქ

(თბილისი, 1926 – თბილისი, 1977)

არქიტექტურა, ფერწერა, გრაფიკა, კინოს მხატვრობა. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში არქიტექტურის ფაკულტეტზე (1943-1948), ასევე – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტურაში (1948-1951). გაფორმებული აქვს არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ნივთების ექსპოზიცია საქართველოს ისტორიის მუზეუმში (1966-1967). ძირითადად მუშაობდა პორტრეტისა და ნატურმორტის უანრში. საქართველოში პირველმა დაიწყო მუშაობა პოპ-არტის სტილში. კოლაჟის ტექნიკით შექმნილი ტილოებისთვის მასალად იყენებდა ყოფით საგნებს და მათი მეშვეობით გადმოსცემდა 60-იანი წლების საბჭოთა ყოფის რეალობას. 1969 წ-ს შეასრულა ესკიზები გ. შენგელაიას ფილმისთვის „ფირსმანი“, რომელშიც შეასრულა მთავარი როლი. 1962-1975 წწ-ის მანძილზე მონაწილეობდა არაერთ რესპუბლიკურ გამოფენაში. იფინებოდა საქართველოში (თანამედროვე ხელოვნების გალერეა, ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი, თბილისი გალერეა, შოთა რუსთაველის

სახელობის თეატრი და სხვ.). 1977 წ-ის მაისში, გარდაცვალებიდან ორი თვის შემდეგ, შედგა მხატვრის ნამუშევრების პირველი პერსონალური გამოფენა.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს (საქართველოს ეროვნული მუზეუმი) და უცხოეთში (ნიუ-ორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, აშშ; ზიმერლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, ნიუ-ჯერსი, აშშ), ასევე მრავალი ქვეყნის კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. ავთო ვარაზი, ფერწერა, გრაფიკა, შემდგ. ხ. ჭურღულია, თბ., 1993.
2. ავთო ვარაზი, 1926-1977 (ალბომი), შემდგ. გ. ხუციშვილი, თბ., 1998.
3. არსენიშვილი ი., ავთო ვარაზი, თბ., 2011.
4. გიორგაძე ე., ავთანდილ ვარაზი (სილუეტი. მხატვრის ცხოვრება-შემოქმედება), „ცისკარი“ №9, 1987.
5. კონტრკულტურა საქართველოში, 1960-80-იანი წლები, კრებულის შემდგ. ლ. ნადარაია, თბ., 2000.
6. კარბელაშვილი მ., ავთო ვარაზი – ფერწერა, გრაფიკა, თბ., 1992.
7. ხეთისიაშვილი მ., ავთო ვარაზი. ფიქრები ხელოვნებაზე, „საბჭოთა ხელოვნება“ №2, 1989.
8. ხეთისიაშვილი მ., მუსიკა ავთო ვარაზის ცხოვრებასა და შემოქმედებაში, „მუსიკა“ №1, 2010.
9. ჯავახიშვილი გ., ავთანდილ ვარაზის პორტრეტული ხელოვნება, „საბჭოთა ხელოვნება“ №6, 1985.
10. Зурабян Т., Краски разных времен, М., 1970.

პარპარიძე თააზ

(თბილისი, 1945)

ფერმწერი, გრაფიკოსი. სწავლობდა ი. ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში (1960-1964), თბილისის სამხატვრო აკადემიაში გრაფიკის ფაკულტეტზე (1964-1970). 1974 წ-დან არის მხატვართა კავშირის წევრი. მუშაობდა პედაგოგად ი. ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში (1989-1993). იყო საქართველოს მხატვართა კავშირის გრაფიკული დიზაინის სექციის თავმჯდომარე და გამგეობის წევრი (1987-2002). 1997 წ-დან არის გრაფიკული დიზაინის ასოციაციის პრეზიდენტი. 2001 იყო თბილისის სამხატვრო აკადემიის გრაფიკის კათედრის დოცენტი და პლაკატის სახელოსნოს ხელმძღვანელი, 2005 წ-დან – ამავე კათედრის გამგე. 2006 წ-დან არის სრული პროფესორი, გრაფიკის მიმართულების ხელმძღვანელი და თსს აკადემიური საბჭოს წევრი. დაჯილდოებულია ბრინჯაოს მედლით ბრნოს გრაფიკის საერთაშორისო ბინალზე (1980), მიღებული აქვს ჯილდოები წლის საუკეთესო ნამუშევრისთვის (1984, 1988), საუკეთესო მხატვრული გაფორმებისთვის თბილისის წიგნის მე-4-ე ფესტივალზე (2002), ასევე როგორც პედაგოგს – სტუდენტთა საერთაშორისო კონკურსზე ლონდონში (2006), არის CIFA რეკლამის კავკასიის საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი (2001). იფინებოდა საქართველოს (ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა), თანამედროვე ხელოვნების ცენტრი, მხატვრის სახლი, გალერეა TMS, Academia+ და სხვ.) და უცხოეთში (გერმანია, ირანი, თურქეთი, პოლონეთი, რუსეთი, აშშ, დიდი ბრიტანეთი, იაპონია და სხვ.).

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა (სემ – ეროვნული გალერეა) და უცხოეთში (ზიმერლის ხელოვნების მუზეუმი, ნიუ ჯერსი, აშშ; გრაფიკული დიზაინის ნაციონალური კოლექცია, ლისტოუელი, ირლანდია; კანაგავას თანამედროვე გრაფიკული ხელოვნების მუზეუმი, იაპონია და სხვ.), ასევე სხვადასხვა ქვეყნის კერძო კოლექციებში (ნორტონ დოჯის კერძო კოლექცია, აშშ; გერდა ფონ ჰოფის კერძო კოლექცია და სხვ.).

ბიბლიოგრაფია:

1. From Gulag to Glasnost, ნიუ ჯერსი, 1997.
2. Prime Time, N45, 2011.
3. „ამარტა“ №39, 2011.
4. D&AD, წლიური გამოცემა, ლონდონი, 2006.
5. “Post Gazett”, პიტსბურგი, 1997.

პარლამიზმი (პარლა) ფელიქს (ქუთაისი, 1903 – პარიზი, 1986)

ფერმწერი, გრაფიკოსი, ილუსტრატორი. 1912 წ-ს შევიდა ქუთაისის რეალურ სასწავლებელში, 1920 წ-ს კი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. თბილისის სამხატვრო აკადემიის დაარსებისთანავე გადავიდა სამხატვრო აკადემიაში (1922). აკადემიაში მისი პედაგოგები იყვნენ: გ. გაბაშვილი, ი. ნიკოლაძე, ე. ლანსერე, ო. შმერლინგი, ბ. ფოგელი, ი. შარლემანი. ფ. ვარლამიშვილის სტუდენტობის დროინდელმა ნამუშევრებმა როგორც გრაფიკაში, ასევე ფერწერაში მაშინვე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. 1920-იან

წწ-ში მისი ნამუშევრები გამოიფინა თბილისსა და ქუთაისში. 1927 წ-ს გამოცა იეთიმ გურჯის კრებული, რომლის ილუსტრაციები ახალგაზრდა მხატვარს ეკუთვნოდა. აკადემიის დამთავრების შემდეგ, ფ. ვარლამიშვილმა თბილისში დააარსა საკუთარი სამხატვრო სკოლა. 1928 წ-ს თანაკურსელ ლუკა ხითარიშვილთან ერთად ცოდნის გასაღრმავებლად საზღვარგარეთ გაემგზავრა. რამდენიმე თვე სტამბოლში გაატარა, 1929 წ-ს კი პარიზში ჩავიდა და მონპარნასზე დასახლდა. პარიზში რამდენიმე წელი მუშაობდა სიეჟელის ატელიეში, სადაც ქმნიდა დეკორატიული ხელოვნების ნიმუშებს. მისი ნახატები პირველად პარიზში „სპერანცას“ გალერეაში გამოიფინა (1933). 1934 წ-ს ფ. ვარლამიშვილმა ცოლად შეირთო წარმოშობით დანიელი მხატვარი ზირე ბინდერი. 1945 წ-ს ფელიქს ვარლა, „ფრანგი მხატვარი“, „შემოდგომის სალონის“ საზოგადოების წევრი გახდა. 1948 წ-ს ცოლ-ქმარი არგენტინაში გაემგზავრა, სადაც მხატვარმა თავდაპირველად დეკორატიულ დარგში დაიწყო მუშაობა. ძირითადად ხატავდა პანოებს ხალიჩებისათვის, იმავდროულად ქმნიდა სურათებს. 1950 წ-ს ბუენოს-აირესში მოეწყო მისი გამოფენა, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად. ურნალ „მამულში“, რომელიც ბუენოს-აირესში გამოდიოდა და რომელსაც ვ. ნოზაძე რედაქტორობდა, გამოქვეყნდა წერილი „ბ-ნ ფელიქს ვარლამიშვილის სამხატვრო გამოფენა“. მიუხედავად წარმატებული შემოქმედებითი საქმიანობისა, ფელიქს ვარლა 1952 წ-ს პარიზში დაბრუნდა და მონპარნასზე დაგერის ქუჩაზე დაემკვიდრა. აღსანიშნავია მისი პერსონალური გამოფენები პარიზში (1933, 1947, 1959, 1976), ბუენოს-აირესში (1950, 1951), სან-ფრანცისკოში (1959, 1960, 1961), დეტროიტში (1963), აგრეთვე ნიუ-

იორკში, ლოს-ანჯელესში, დალასში, ჰიუსტონში, ტოკიოში, ოსაკაში, იოკოჰამაში, ბრიუსელში, მონტე-კარლოში, თეირანში. საბჭოთა რეჟიმის დროს ფ. ვარლამიშვილმა საქართველოში დაბრუნება ვეღარ შეძლო. მხატვრის მეუღლემ, ზირე ბინდერმა, მხატვრის ნამუშევართა ნაწილი საქართველოს ეროვნულ მუზეუმს გადასცა.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა (სემ – ხელოვნების მუზეუმი) და ევროპის მუზეუმებში, ასევე კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. შარაძე გ., უცხოეთის ცის ქვეშ, თბ., 1991.
2. ციციშვილი მ., ჭოლოშვილი ნ., ქართული მოდერნიზმი 1910-1930, თბ., 2005.
3. 100 ქართველი უცხოეთში (კრებული), აბაშიძე ზ. (მთ. რედ.), თბ., 2011.

ვაწაძე სერაპიონ (1899 – თბილისი, 1967)

გრაფიკოსი, კინოს მხატვარი, სცენოგრაფი. იყო „ქართული ფილმის“ წამყვანი მხატვარი (1938-1967). გაფორმებული აქვს 22 ფილმი, მათ შორის, „ლურსმანი ჩექმაში“ (1931), „ზვავთა მხარეში“ (1932), „უკანასკნელი ჯვაროსნები“ (1934), „არშაულა“ (1935), „ფრთოსანი მღებავი“ (1937), „მეგობრობა“ (1941), „ჭირვეული მეზობლები“ (1945), „ქართული ბალეტის ოსტატები“ (1955), „ჩრდილი გზაზე“ (1956), „ფატიმა“ (1959), „ოტელი“ (ს. ვირსალაძესთან ერთად, 1960), „კეთილი ადამიანები“ (1961), „რაც გინახავს, ვეღარ

ნახავ“ (1965). 1975 წ-ს კინოსახლის დიდი დარბაზის ფოიეში გაიმართა მხატვრის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა, სადაც კინოფილმების ესკიზებთან ერთად წარმოდგენილი იყო დაზღური გრაფიკული ნამუშევრები – ტუშით, გუაშით, ფანქრით შესრულებული ჩანახატები და პორტრეტები. მინიჭებული აქვს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

მისი ნამუშევრები დაცულია სემ – ხელოვნების მუზეუმსა და კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. სარიშვილი რ., კინოს მხატვარი სერაპიონ ვაწაძე (შემოქმედებითი პორტრეტი), „კინო“ №1, 1976.

ვეფხვაძე ივანე (თბილისი, 1888 – თბილისი, 1971)

ფერმწერი. მხატვრობით შედარებით გვიან დაინტერესდა და თავდაპირველად თვითნასწავლ მხატვარ გ. ზაზიაშვილთან სწავლობდა. 1924 წ-ს მიიპყრო გ. გაბაშვილის ყურადღება და მისი დახმარებით ჩააბარა სამხატვრო აკადემიაში (1924-1927). ი. ვეფხვაძის შემოქმედება ძირითადად ისტორიულ-რევოლუციურ თემას ეძღვნება. ადრეულ პერიოდში დაკავებული იყო სადარბაზოების მოხატვით. გარდა ამისა, კომუნალური მუზეუმის დაკვეთით ქმნიდა ძველი თბილისის პეიზაჟებს. 1930-იან წწ-ში ასახავდა სტალინის რევოლუციურ მოღვაწეობას, ასევე ხატავდა ცნობილ რევოლუციონერთა პორტრეტებს. იყო „რევმასის“ (რევოლუციის მხატვართა

ასოციაციის) აქტიური წევრი, ბოლო პერიოდში კი მუშაობდა ჟანრული სურათისა და კინოპლაკატის ჟანრში. 1960-იან წწ-ში აგრძელებდა მუშაობას ისტორიულ-რევოლუციურ თემატიკაზე, ქმნიდა ქართველ და სხვა ხალხთა მეგობრობის ამსახველ ფერწერულ ტილოებს: „ლენინი და კრუჰსკაია სეირნობის დროს“, „მარქსი და ენგელსი ლუვრში“, „ლენინი ოქტომბერში“, „ნ. ჩერნიშევსკი და ი. ჭავჭავაძე პეტერბურგში“, „ა. წერეთელი და სუნდუკიანი ტიფლისში“ და სხვ. იყო საქართველოს სსრ-ის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე და სახალხო მხატვარი.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმებში (სემ – ეროვნული გალერეა, ს. ჯანაშიას სახ. მუზეუმში და სხვ.) და კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. გორდებიანი ბ., ივანე ვეფხვაძე, თბ., 1976.
2. ვეფხვაძე ივ., მოგონებები და პორტრეტები, თბ., 1958.
3. კვასხვაძე შ., ივანე ვეფხვაძე, „ლიტერატურა და ხელოვნება“ (29/II), თბ., 1948.
4. Канделаки Г., Многие годы – тема единая, “Советская культура” (22/IV), 1969.

პირსალაძე (სოლიკო) სიმონ

(თბილისი, 1908 – თბილისი, 1989)

თეატრის მხატვარი. ჯერ კიდევ სკოლის პარალელურად სწავლობდა მ. თოიძის სახალხო სტუდიაში, ასევე დადიოდა ქორეოგრაფიულ სასწავლებელში (1923-

1926). შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის სამხატვრო აკადემიაში ი. შარლემანთან და ე. ლანსერესთან (1926-1928). ამ პერიოდში თბილისის ახალგაზრდა მუშათა თეატრში სპექტაკლების გაფორმებისას მიმართა კონსტრუქტივისტულ ექსპერიმენტებს. 1928-1930 წწ-ში საცხოვრებლად გადავიდა მოსკოვში და ჩააბარა საკავშირო სამხატვრო ტექნიკური ინსტიტუტის ფერწერის ფაკულტეტზე. აქ მისი მასწავლებლები იყვნენ ი. რაბინოვიჩი და პ. კონჩალოვსკი. 1931 წ-ს კ. მარჯანიშვილის თხოვნით დაბრუნდა თბილისში და გააფორმა ჯ. როსინის ოპერა „ვილჰელმ ტელი“. 1932-36 წწ-ში მუშაობდა ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწ. თეატრის მთავარ მხატვრად. თბილისში შექმნა არაერთი მნიშვნელოვანი ნამუშევარი, მათ შორის, დეკორაციები და კოსტიუმის ესკიზები ზ. ფალიაშვილის ოპერისათვის „დაისი“ (1936). 1937 წ-ს ს. ვირსალაძე მიიწვიეს ლენინგრადში, სადაც მუშაობდა ა. ბალანჩივასის ბალეტზე „მთების გული“ (დადგმა ვ. ჭაბუკიანისა, 1938). 1945 წ-ს დაინიშნა ლენინგრადის ს. კიროვის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის მთავარ მხატვრად. მისი ესკიზების მიხედვით შეიქმნა კოსტიუმები კინოფილმებისათვის „ჰამლეტი“ და „მეფე ლირი“. ს. ვირსალაძის ნაწარმოებებში იგრძნობა *Мир искусства*-ის შემოქმედებითად გადაამუშავებული ტრადიციების გავლენა. იგი იყო საბალეტო სცენოგრაფიის თამამი რეფორმატორი. 1931 წ-დან მუშაობდა ნ. რამიშვილისა და ი. სუხიშვილის ქორეოგრაფიული ანსამბლის კოსტიუმთა ესკიზებზე, ხოლო 1945 წ-დან იყო ქართული სახელმწ. ბალეტის ანსამბლის კოსტიუმების დიზაინერი. 1957 წ-დან თანამშრომლობდა ბალეტმაისტერ ი. გრიგოროვიჩთან, რომელთან თანაავტორობითაც შექმნა

არაერთი მნიშვნელოვანი სპექტაკლი („სპარტაკი“, „მაკნატუნა“, „გედების ტბა“, „რომეო და ჯულიეტა“, „ივანე მრისხანე“ და სხვ.). 1960 წ-ს მხატვარი თბილისში დაბრუნდა. ს. ვირსალაძეს მიღებული აქვს არაერთი ჯილდო: იყო ქართული ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ-ის სახალხო მხატვარი, საბჭოთა კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი და სხვ.

მისი ნამუშევრები დაცულია სახელმწიფო მუზეუმებში საქართველოსა (სემ – ხელოვნების მუზეუმი, კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწ. აკად. თეატრის მუზეუმი, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწ. მუზეუმი, ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწ. თეატრის მუზეუმი) და რუსეთში (თეატრალური და მუსიკალური ხელოვნების სანკტ-პეტერბურგის სახელმწ. მუზეუმი; სახელმწ. აკად. დიდი თეატრის მუზეუმი, ბახრუშინის სახ. თეატრალური მუზეუმი, მოსკოვი და სხვ.), ასევე კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. ბელაშვილი თ., „აბესალომ და ეთერის“ სოლიკო ვირსალაძისეული სცენოგრაფიის ორი ვერსიის შესახებ, „კავკასიის მაცნე“ №11, 2005.
2. ბელაშვილი თ., პოეტური, ამალღებული ლეგენდა სიყვარულზე ყოველგვარი ყოფითობის და ისტორიულობის გარეშე („აბესალომ და ეთერის“ ერთი დადგმის სცენოგრაფიის შესახებ), „სპექტრი“ №1-2, 2007.
3. თუმანიშვილი ე., ს. ვირსალაძე და ქართული საცეკვაო კოსტიუმი, ქართული ნაციონალური ბალეტი, თბ., 1995.

4. მაჩაბელი კ., სოლიკო ვირსალაძე, „საბჭოთა ხელოვნება“ №11, 1984.
5. ოკლეი მ., სინთეზის პრობლემა მუსიკალურ თეატრში სცენოგრაფ ს. ვირსალაძის შემოქმედების მაგალითზე, ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი VI საერთაშორისო სიმპოზიუმი, თბ., 1989.
6. ოკლეი მ., თეატრის მხატვარი ს. ვირსალაძე – მოღვაწეობის 1970-1980-იანი წწ. (ხელოვნების სხვადასხვა დარგების ერთობლიობა ბალეტში), სადისერტ. ნაშრომი, თბ., 1993.
7. ოკლეი მ., უ. შექსპირი ს. ვირსალაძის შემოქმედებაში, „ქართული შექსპირიანა“ – სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 2003.
8. Аладашвили Н., Краски и мастерство (о творчестве С. Вирсаладзе), “Литературная газета” №11, 1971.

ზაზიაშვილი გიგო

(თბილისი, 1868 – თბილისი, 1952)

ფერმწერი, თვითნასწავლი მხატვარი. გ. ზაზიაშვილს სპეციალური განათლება არ მიუღია. ხატვა მამისგან, აბრების მხატვარ ივანე ზაზიაშვილისგან, ისწავლა. 1882 წ-ს ნიკო ფიროსმანაშვილთან ერთად დააარსა სამხატვრო სახელოსნო, რომელიც შეკვეთების სიმცირის გამო მალე დაიხურა. 1890-იან წწ-ში გ. ზაზიაშვილი ოჯახთან ერთად გადასახლდა ქუთაისში, სადაც მოხატა წყალწითელას, სიმონეთისა და სხვა სოფლების ეკლესიათა კედლები. ერთ დროს მსახიობადაც იმუშავა ქუთაისის თეატრის სცენაზე. 1907 წ-დან გ. ზაზიაშვილი, როგორც მხატვარი-კარიკატურისტი, თანამშრომლობდა გაზეთებთან „ხუმარა“, „მიკრიკი“, „ეკალი“, „თეატრი და ცხოვრება“, „შუამავალი“

და სხვ. გ. ზაზიაშვილი მონაწილეობდა სამხატვრო გამოფენებში როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. 1912 წ-ს დონის როსტოვში გამართულ სამრეწველო და სასოფლო-სამეომდგომო გამოფენაზე მისი ნამუშევარი დაჯილდოვდა ოქროს მედლითა და დიპლომით. გ. ზაზიაშვილი დიდი ენთუზიაზმით მონაწილეობდა 1922 წ-ს საქართველოს ახლად შექმნილი ეროვნული სამხატვრო გალერეისთვის ექსპონატების შეგროვებაში. 1941 წ-ს გ. გაბაშვილის კლასში გაიმართა მხატვრის შემოქმედებითი საღამო და პერსონალური გამოფენა. გ. ზაზიაშვილმა ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პორტრეტების მთელი გალერეა შექმნა.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოში (სემ – ხელოვნების მუზეუმი, ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწ. მუზეუმი და სხვ.).

ბიბლიოგრაფია:

1. ამირანაშვილი შ., ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961.
2. დვალი ევ., რუსთაველის ახალი სურათი და დროშის გაკეთების მოკლე ისტორია, „რუსთაველი“ №2, 1918.
3. დუდუჩავა მ., ახალი ქართული ხელოვნება, თბ., 1950.
4. მაგლობლიშვილი ა., გიგო ზაზიაშვილის საეკლესიო მხატვრობა, „კავკასიის მაცნე“ №8, 2003.
5. მხატვარი გიგო ზაზიაშვილი, „თეატრი და ცხოვრება“ №19, 1915.

ზალცმანი ალექსანდრ
(თბილისი, 1874 – 1934)

ფერმწერი, გრაფიკოსი, კარიკატურისტი, თეატრის მხატვარი. დაიბადა თბილისში მცხოვრებ გერმანელთა ერთ-ერთ ყველაზე პატივსაცემ ოჯახში, იყო ცნობილი არქიტექტორის ალბერტ ზალცმანის ვაჟი. სწავლობდა მოსკოვში ლ. პასტერნაკის კერძო სამხატვრო სტუდიაში (1892-1894). მოგვიანებით შევიდა მოსკოვის ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში, თუმცა მალევე გაემგზავრა მიუნხენში და სამხატვრო განათლების მიღება გააგრძელა სამხატვრო აკადემიაში ფრანც ფონ შტუკის სახელოსნოში. 1901 წ-ს ალ. ზალცმანმა მონაწილეობა მიიღო ვ. კანდინსკის მიერ დაარსებულ ხელოვანთა გაერთიანების (Phalanx) მხატვართა პირველ გამოფენაში. მიუნხენში სწავლისას თანამშრომლობდა პოპულარულ ჟურნალთან *Jugend*. პერიოდულად ჩამოდიოდა საქართველოში, დიდი დროით კი თბილისში 1916 წ-დან მეუღლესთან ერთად დასახლდა. დაიწყო მუშაობა სამხატვრო ხელმძღვანელად თბილისის ოპერაში, სადაც 1918-1919 წწ-ში არაერთი სპექტაკლი გააფორმა („პიკის ქალი“, ჰოფმანის ზღაპრები, „დუბროვსკი“). 1919 წ-ს შეასრულა დეკორაციებისა და კოსტიუმების ესკიზები ოპერებისათვის „თქმულება შოთა რუსთაველზე“ და „აბესალომ და ეთერი“. 1918 წ-ს ზალცმანმა ზიგა (სიგიზმუნდ) ვალიშევსკისთან ერთად შექმნა ოპერისა და ბალეტის თეატრის ფარდა, ამავე წელს გააფორმა ჟურნალ „არსის“ (ARS) ყდა. ზალცმანი აქტიურად მონაწილეობდა თბილისის მხატვრულ ცხოვრებაში. 1918 წ-ს მან „კავკასიის კაზმულ ხელოვნებათა საზოგადოების“ გამოფენაზე მრავალი ნაწარმოები გამოფინა,

მონაწილეობა მიიღო „მალი კრუგის“ (Малый круг) გამოფენებში (1918-1919). მუშაობდა პედაგოგად ფერწერის სკოლასა და თეატრში, მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა მხატვრებთან მ. გოცირიძესთან, ს. ვალიშევსკისთან. 1920-იანი წწ-ის დასაწყისში ზალცმანი მეუღლესთან, ჟანა მატინიონთან, ერთად პარიზში გადასახლდა. მას შემდეგ იგი საქართველოში აღარ დაბრუნებულა.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ხელოვნების მუზეუმში, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწ. მუზეუმში, საქართველოსა და უცხოეთის კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. ელიზბარაშვილი ნ., ალექსანდრე ალბერტის ძე ზალცმანი, ცხოვრება და შემოქმედება, შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების სახელმწ. მუზეუმის ნარკვევები I, თბ., 1995.
2. ზალცმანი ა., შენიშვნები სცენის შესახებ, „თეატრი და მუსიკა“ №1, 1919.
3. ლუჩიაშვილი გ., გაზაფხული სცენაზე, „თეატრი და მუსიკა“ №1, 1919.
4. ჭოლოშვილი ნ., გერმანული მხატვრული ტრადიცია და საქართველო XIX ს-ის დასაწყისიდან XX ს-ის 40-იან წწ-მდე, თბ., 2006 (ავტორეფერატი).
5. “Кавказское слово” (16/V), 1918.
6. Kurdadse I., Tschkonja T., Deutsche in Georgien, An den Anfaengen der geogieschen Operszenographie. Alexander Salzmann, Kaukasische Post №36.

ზამბახიძე ლალი
(ჩონხატაური, 1941)

გრაფიკა, წიგნის მხატვრობა, მულტიპლიკაცია. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში გრაფიკის ფაკულტეტზე (1958-1965). 1971 წ-დან არის მხატვართა კავშირის წევრი და სამხატვრო აკადემიის პედაგოგი. იყო საქართველოს მხატვართა კავშირის მდივანი, გრაფიკის სექციის თავმჯდომარე. იფინებოდა საქართველოსა (სემ – თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა), სემ – ეროვნული გალერეა, ქუთაისის თანამედროვე ხელოვნების გალერეა, გალერეები: „ჰობი“, „უნივერსი“ და სხვ.) და უცხოეთში (სომხეთი, რუსეთი, საფრანგეთი, აზერბაიჯანი, იუგოსლავია, პოლონეთი, იტალია, ესპანეთი, ნორვეგია, გერმანია).

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა (საქართველოს კულტურის სამინისტრო, აჭარის სახელმწ. მუზეუმი, ქუთაისის დ. კაკაბაძის სახ. სახვითი ხელოვნების გალერეა) და უცხოეთში (რუსეთის კულტურის სამინისტრო; ტრეტიაკოვის გალერეა, რუსეთი, მოსკოვი; აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმი, მოსკოვი, რუსეთი და სხვ.), ასევე კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. ზალიშვილი ნ., ლალი ზამბახიძე, „განთიადი“ №5, 1980.
2. ლებანიძე დ., ლალი ზამბახიძის შემოქმედება, ქართული ხელოვნების ნარკვევები, გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი, თბ., 2001.
3. ლებანიძე დ., მხატვარ ლ. ზამბახიძის პლასტიკური ხილვები, „ხელოვნება“ №3-4, 2000.

4. ლალი ზამბახიძე, გრაფიკა (ალბომი), ტექსტი დ. ლებანიძისა, თბ., 2002.

ზანკოვსკი ილია (1832 – 1919)

ფერმწერი, პეიზაჟისტი. სწავლობდა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში (1862-1863). პოლონელი ფერმწერი თბილისში 1864 წ-ს დასახლდა. მუშაობდა კავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო-ტოპოგრაფიულ განყოფილებაში, ამზადებდა ტოპოგრაფიულ რუკებს. შემოიარა კავკასიის უამრავი მთიანი რაიონი, საიდანაც ჩამოჰქონდა ესკიზები მომავალი ნაწარმოებებისთვის, ამავე დროს ასწავლიდა ხატვას ფერწერისა და ქანდაკების სკოლაში. ეწეოდა საზოგადოებრივ მოღვაწეობას, 1888 წ-დან მონაწილეობდა „კავკასიის კაზმულ ხელოვნებათა წამახალისებელი საზოგადოების“, „კავკასიის მხატვრების ურთიერთდახმარების საზოგადოების“, „რუსი აკვარელისტების საზოგადოების“ და მრავალ სხვა გამოფენაში. იყო „კავკასიის კაზმულ ხელოვნებათა წამახალისებელი საზოგადოების“ თავმჯდომარე, ასწავლიდა სამხატვრო სკოლაში. 1901 წ-ს მისი შუამდგომლობით „კავკასიის კაზმულ ხელოვნებათა წამახალისებელ საზოგადოებასთან“ არსებული სამხატვრო სკოლა დახურვას გადაურჩა და საიმპერატორო სამხატვრო აკადემიის მფარველობის ქვეშ გადავიდა. მხატვარი, რომელიც ხშირად მოგზაურობდა კავკასიის სხვადასხვა მხარეში, ძირითადად პეიზაჟებს ხატავდა. ი. ზანკოვსკის ნამუშევრები დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთისა და სხვა მრავალი ქვეყნის მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში (სემ – ხელოვნების მუზეუმი, აჭარის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, ბათუმი, სახელმწიფო რუსული მუზეუმი, პეტერბურგი და სხვ.).

ბიბლიოგრაფია:

1. თბილისი ქართველი და უცხოელი მხატვრების შემოქმედებაში, ალბომი, შემდგენლები: მ. ციციშვილი, ნ. ჭოლოშვილი, თბ., 2004.
2. პოლონელი მხატვრები საქართველოში, კატალოგი, შეადგინა ჰ. იუსტინსკაიამ, თბ., 2001.

ზდანევიჩი ილია

(თბილისი, 1894 – პარიზი, 1975)

ლიტერატურული ავანგარდის ერთ-ერთი ლიდერი, წიგნის დიზაინერი, ნ. ფიროსმანაშვილის პირველი ბიოგრაფი. დაამთავრა თბილისის I ვაჟთა გიმნაზია და სწავლა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე გააგრძელა (1911). მხატვრების – ვიქტორ ბარტისა და მიხეილ ლედანტიუს დახმარებით ის ავანგარდისტულ წრეებს დაუახლოვდა. 1912 წ-ს ი. ზდანევიჩმა სანკტ-პეტერბურგსა და მოსკოვში წაიკითხა მოხსენებები ფუტურისმის შესახებ. იმავე წელს არდადეგებზე თბილისში ჩამოსულმა ძმებმა ილია და კირილე ზდანევიჩებმა, მხატვარ ლე-დანტიუსთან ერთად, აღმოაჩინეს ნ. ფიროსმანაშვილის ნამუშევრები და დაიწყეს მათი შეგროვება. გაზეთ *Закавказская речь*-ის 1913 წ-ის 10 მარტის ნომერში დაიბეჭდა ი. ზდანევიჩის

პირველი სტატია ნ. ფიროსმანაშვილზე. მოსკოვში დაბრუნებულმა მხატვარმა, რომელიც მ. ლარიონოვთან ცხოვრობდა, ელი ევანგიურის ფსევდონიმით გამოაქვეყნა თავისი პირველი ნაშრომი-კატალოგი: „ნატალია გონჩაროვა და მიშელ ლარიონოვი“. 1913 წ-დან მან დაამუშავა „ვისიონესტოს“ იდეა, რომელიც, სხვა ავანგარდული მიმართულებების საპირისპიროდ, ყველა ეპოქის და სტილის მიმართ ტოლერანტობას გულისხმობდა. ი. ზდანევიჩმა 1914 წ-ს უმასპინძლა მოსკოვში ჩასულ მარინეტის. თბილისში დაბრუნებულმა კვლავ გამოაქვეყნა სტატია ფიროსმანაშვილის შესახებ („ალმოსავლეთი“ №1, თბილისი, 29. VI. 1914). 1914 წლის აგვისტოდან მოყოლებული I მსოფლიო ომის დასრულებამდე იყო გაზეთ *Речь*-ის კორესპონდენტი კავკასიაში. 1916 წ-ს დაასრულა და დადგა თავისი პირველი პიესა „იანკო ალბანეთის მეფე“. წლის ბოლოს თბილისში ჩამოსულმა მოაწყო ფიროსმანაშვილის ერთდღიანი გამოფენა, რომელზეც წარმოადგინა მხატვრის 50 ტილო საკუთარი კოლექციიდან. 1917 წ-ს მონაწილეობა მიიღო ე. თაყაიშვილის თაოსნობით მოწყობილ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების არქეოლოგიურ ექსპედიციაში და ლ. გუდიაშვილთან, დ. შევარდნაძესთან, მის. ჭიაურელთან და ალ. კალგინთან ერთად გაემგზავრა თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ძეგლების შესასწავლად. იმავე წელს კრწინიონისთან, ტერენტიევთან და კ. ზდანევიჩთან ერთად დააარსა ფუტურისტული გაერთიანება, რომელიც „ფანტასტიკურ დუქანში“ იკრიბებოდა. მალე მათ ჯგუფს (პოეზიის ახალ სასწავლებელს) ეწოდა „უნივერსიტეტი 41“. სწორედ აქ დაიბადა ზაუმის პოეზია. 1918 წ-ს თბილისში დაიბეჭდა ი. ზდანევიჩის „იანკო ალბანეთის მეფე“

და პირველი „დრა“, რომელიც თავად შეადგინა. მხატვარი „ფანტასტიკურ დუქანში“ ატარებდა კონფერენციების ციკლს ფუტურისმზე. ი. ზდანევიჩმა თბილისში მოაწყო არაერთი მხატვრის საღამო, კ. ზდანევიჩისა და ლ. გუდიაშვილის ნამუშევრების გამოფენა, დააარსა 41°-ის გამომცემლობა (1919). ამავე წელს გამოქვეყნდა ჯგუფ 41°-ის კოლექტიური ნაშრომი – „პატარა ფანტასტიკური დუქანი. ეძღვნება სოფია მელნიკოვას“, რომელშიც შევიდა ზდანევიჩის მეორე „დრა“. სექტემბერში დაიბეჭდა მისი *Acél na prokát*. 1921 წ-ს ი. ზდანევიჩი პარიზში გაემგზავრა. აქ არტისტი, მ. ლარიონოვის ხელშეწყობით, გაეცნო რუს ხელოვნებს, აგრეთვე პაბლო პიკასოს, რობერტ და სონია დელონეებს, ტრისტან ტზარას, პოლ ელუარს, დადაისტებს. ი. ზდანევიჩის „პარიზული პერიოდი“ მეტად ნაყოფიერი გამოდგა: მონაწილეობდა პოეზიის საღამოებში, ატარებდა კონფერენციებს („კონფერენცია რუსული დადაიზმის შესახებ“ და სხვ.). ერთ-ერთ საავტორო კონფერენციაზე („ილიაზდი“) პირველად გამოიყენა ფსევდონიმად „ილიაზდი“ (1922). აქვე პარიზში კაფე „ქამელეონში“ ი. ზდანევიჩმა აღადგინა და დაამკვიდრა „უნივერსიტეტი 41“. 1923 წ-ის ოქტომბერში გამოქვეყნდა ი. ზდანევიჩის *Лидантю Фарам* – მეხუთე დრა, რომელიც მისი ზაუმით დაწერილი ნაწარმოებების მწვერვალია. 1924 წ-ს ილიაზდის მიერ ორგანიზებული „ოლიმპიური მეჯლისი“ რელიეფური ლექსებით გააფორმეს ილიაზდმა და დ. კაკაბაძემ. 1927 წ-ს არტისტმა მუშაობა დაიწყო კოკო შანელთან ჯერ მხატვრად, შემდეგ კი 1933 წ-მდე – ფაბრიკის დირექტორად. 1931 წ-ს პარიზში საქართველოს მთავრობასთან ერთად ემიგრაციაში მყოფ ე. თაყაიშვილთან ერთად შეაგროვა

ინფორმაცია კავკასიაში 1917 წ-ის ექსპედიციის შესახებ და ხელახლა დახაზა ეკლესიის გეგმები (იფინებოდა პარიზის დეკორატიული ხელოვნების მუზეუმში ბიზანტიური ხელოვნების გამოფენაზე), გამოაქვეყნა სტატიების სერია „საქართველოს მრავალფასადიანი ნაგებობანი“ სომხურ ჟურნალში „ხელოვნება და ცხოვრება“ (1936). ამასთანავე ი. ზდანევიჩი თანამშრომლობდა ქსოვილების ფირმებთან. 1940 წ-ს გამოაქვეყნა *Apham*, კლასიკური სონეტების კრებული რუსულ ენაზე, ილუსტრირებული პიკასოს ექვსი გრავიურით. არტისტი გამოდიოდა ბიზანტინისტთა ორ საერთაშორისო კონგრესზე მოხსენებით: „კონსტანტინეპოლში წმ. სოფიას მიმდებარე უცნობი ეკლესია“ და „ბოლზანოს ურბანი ან მილანის ანონიმი“ (1948). ამავე წელს პარიზში თავადაც ჩაატარა კონფერენცია „უძველესი ქართველები“ და გამოსცა თავისი ნაწარმოები „წერილს“ პიკასოს ილუსტრაციებით, 1949 წ-ს კი შეადგინა და გამოაქვეყნა „პოეზია ამოუცნობი სიტყვებისა“ (1912-1932 წწ-ში შექმნილი ფონეტიკური პოეზიისა და ზაუმური ტექსტების ანთოლოგია). 1954-1955 წწ-ში ილიაზდის მ. დიუმანის შეკვეთით დაამზადა „მუყაოს ჩემოდნის“ ეგზემპლარები. 1961 წ-ს გამოსცა გერმანელი დადაისტის რაულ ოსმანის პოემები და თავისი 14 რუსულენოვანი სონეტი „უტყვი განაჩენი“. გამოცემის ყდა ჟორჟ ბრაკის ნახატი იყო ილუსტრირებული, წიგნში კი ჯაკომეტის მიერ შესრულებული ილიაზდის პორტრეტი იყო ჩართული. 1966 წ-ს ი. ზდანევიჩმა ოქსფორდის ბიზანტიური კვლევების კონგრესზე წაიკითხა მოხსენება „კისამოსის ტაძარი კრეტაზე“ და დაურიგა მონაწილეებს თავისი წერილი „რუი გონსალეს დე კლავიოს მოგზაურობა საქართველოში და საათაბაგოს საზ-

ღვრისპირა ეკლესიები“, რათა გაცნობომათთვის თურქეთის ტერიტორიაზე ქართული ეკლესიების ნგრევის საგანგამო მდგომარეობა (1966). 1969 წ-ს სსრკ-მ პარიზში მოეწყო ნიკო ფიროსმანაშვილის გამოფენა, სადაც ი. ზდანევიჩის კუთვნილი 60 ტილო იყო წარდგენილი. 1971 წ-ს გამოვიდა ილიაზდის პოემა „ბუსტროფედონი სარკეში“ რიბემონ დესენის ილუსტრაციებით, 1972 წ-ს კი – „ფიროსმანაშვილი – 1914“, რომელშიც შევიდა ილიაზდის მიერ 1914 წ-ს თბილისში დაბეჭდილი სტატიის თარგმანი და ტექსტი „60 წლის შემდეგ“. გამოცემა გაფორმებული იყო პიკასოს მიერ მშრალი ნემსით შესრულებული ფიროსმანის პორტრეტით.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა და უცხოეთის მუზეუმებში, ასევე არაერთ კერძო კოლექციაში.

ბიბლიოგრაფია:

1. L'Avanguardia a Tiflis: studi, ricerche, cronache, testimonianze, documenti, Luigi Magarotto, Marzio Marzaduri, Giovanna Pagani Cesa, eds., Venezia, 1982.
2. Le Gris-Bergmann F., 41°: Ilya and Kirill Zdanevich, San Francisco: Modernism Inc., 1991.
3. Iliazd, Paris, Centre Georges Pompidou, 1978 (კატალოგი).
4. Isselbacher A., Iliazd and the illustrated book, New York: Museum of Modern Art, 1987.
5. Никольская Т., Фантастический город: Русская культурная жизнь в Тбилиси: 1917-1921, М.: Пятая страна, 2000.
6. Никольская Т., Авангард и окрестности, СПб.: Изд-во Ивана Лимбаха, 2001.
7. Терентьев И., Рекорд нежности: жите Илья Зданевича, Рис. К. Зданевича, Тифлис, 1919.

ზდანევიჩი პირილე

(კოჯორი, 1892 – თბილისი, 1969)

ქართველი მოდერნისტი-გრაფიკოსი, ფერმწერი, თეატრის მხატვარი, ე.წ. ქართულ-რუსული კუბოფუტურისმის ერთ-ერთი ფუძემდებელი. პირილე და ილია ზდანევიჩების მამა წარმოშობით პოლონელი იყო, დედა კი ქართველი – გამრეკლიძის ასული. თბილისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, სწავლობდა ი. ფოგელისა და ნ. სკლიფასოვსკის ხატვისა და ფერწერის კურსებზე პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში (1911-1918), გ. გურჯიევის ადამიანის ჰარმონიული განვითარების ინსტიტუტში (თბილისი, 1920). 1912 წ-ს გაწვერიანდა რუსეთის მხატვართა ჯგუფში *Ослинный Хвост*, მონაწილეობდა მის „ნეოპრიმიტივისტულ“ გამოფენებში მ. ლარიონოვთან, ნ. გონჩაროვასთან, ვ. ტატლინთან, კ. მალევიჩთან და სხვა მხატვრებთან ერთად. 1911 წ-ს შედგა ზდანევიჩის ნამუშევრების პირველი გამოფენები მოსკოვსა და თბილისში. 1912 წ-ს არდადეგებზე თბილისში ყოფნისას ი. ზდანევიჩთან და მ. ლე-დანტიუსთან ერთად აღმოაჩინა ნიკო ფიროსმანაშვილის მხატვრობა და დაიწყო მისი ნამუშევრების შეგროვება (მან ფიროსმანის სურათები უსასყიდლოდ გადასცა საქართველოს ხელოვნების მუზეუმს. ამასთანავე, დაწერა და გამოაქვეყნა მონოგრაფია ნ. ფიროსმანაშვილზე ქართულ და რუსულ ენებზე). 1913 წ-ს მ. ლარიონოვის ჯგუფთან – გონჩაროვასთან, მალევიჩთან, შაგალთან, შევჩენკოსთან, ლე-დანტიუსთან – ერთად მონაწილეობდა გამოფენაში *Мишень*, სადაც ძმები ზდანევიჩებისა და ლე-დანტიუს მიერ პირველად იყო ექსპონირებული ნიკო ფიროსმანაშვილის ნამუშევრები. გამოფენას წინ უძღვოდა დისპუტი თემაზე

„აღმოსავლეთი, ეროვნულობა და დასავლეთი“, სადაც ილია ზდანევიჩმა პირველად წარმოადგინა თავისი კონცეფცია „ვისიოჩესტვო“. 1913 წ-ს გაემგზავრა პარიზში, სადაც სწავლობდა მოქანდაკე ა. არხიპენკოსთან და ახლოს იყო ავანგარდულ გაერთიანებასთან „ახალგაზრდათა კავშირი“. 1914 წ-ს გაიწვიეს I მსოფლიო ომში, სადაც იბრძოდა ოფიცრად გერმანიის ფრონტზე. 1917 წ-ს დაბრუნდა თბილისში. ძმასთან ი. ზდანევიჩთან ერთად გახდა მემარცხენე ფუტურისმის ერთ-ერთი ლიდერი. კ. ზდანევიჩი იყო საქართველოში ე.წ. არტისტული წიგნის ერთ-ერთი ფუძემდებელი. 1917 წ-დან მუშაობდა რადიკალურ კუბოფუტურისტულ ექსპერიმენტებზე ტიპოგრაფიაში, ქმნიდა წიგნის დიზაინს. თანამშრომლობდა ზაუმის პოეტებთან. შესრულებული აქვს კუბისტური და კუბოფუტურისტული გამოფენების აფიშები. ს. ვალიშევსკისთან ერთად გააფორმა ა. კრუჩინინის ფუტურისტული ლექსების კრებულები (*Учитесь худози, Малахольна в Капоте*, 1917-1918). 1918 წ-ს თბილისში გახსნილი მისი პერსონალური გამოფენა, საქართველოში მემარცხენე ხელოვნების პირველი მნიშვნელოვანი წარდგენა იყო. ძმებმა ზდანევიჩებმა, პოეტებმა ი. დეგენიმ, კ. ჩერნიავსკიმ, ყარადარვიშმა, მხატვრებმა ლ. გულიამვილმა, ს. ვალიშევსკიმ, ა. კრუჩინინმა, ი. ტერენტიევა დააარსეს „ფუტურისტული სინდიკატი“. 1919 წ-ს „სინდიკატი“ დაიშალა და დაარსდა ახალი ჯგუფი – „41“, რომელმაც დააფუძნა იმავე სახელწოდების გაზეთი. ზდანევიჩი მონაწილეობდა ამ ჯგუფის მიერ დაარსებულ „ფუტურისტურზინში“ (*футурвсечуნიще*) ლექციებში, გამოდიოდა თბილისის არტისტულ კაფეებში „ფანტასტიკურ ღუქანსა“ და „არგონავტთა ნავში“ გამართულ არტისტულ

სალამობებზე. მანვე მოხატა ეს კაფეები ლ. გუდიაშვილთან, ა. პეტროკოვსკისთან, ი. დეგენთან და ი. ზდანევიჩთან ერთად. 1921-1923 წწ-ში იმყოფებოდა კონსტანტინეპოლსა და პარიზში. საქართველოში დაბრუნების შემდეგ მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა თბილისის, ლენინგრადისა და მოსკოვის თეატრებში სცენისა და თეატრალური კოსტიუმის დიზაინერად. 1949-1957 წწ-ში კ. ზდანევიჩი გადასახლებული იყო ვორკუტაში.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოში მუზეუმებში (სემ – ხელოვნების მუზეუმი, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი), ასევე არაერთ კერძო კოლექციაში.

ბიბლიოგრაფია:

1. ზდანევიჩი კირილე, ზდანევიჩი ილია (კატალოგი), ეროვნული მუზეუმის გამომცემლობა, თბ., 2009.
2. ტაბატაძე თ., არტიკული კაფე „ქიმიონი“ და მისი მონატულობა, ტფ., 1919 (თბ., 2011).
3. ციციშვილი მ., ჭოლოშვილი ნ., ქართული მოდერნიზმი 1910-1930, თბ., 2005.
4. Никольская Т., Фантастический город: Русская культурная жизнь в Тбилиси: 1917–1921, М.: Пятая страна, 2000.

ზომერი რიჰარდ კარლ

(მიუნხენი, 1866 – 1939)

ფერმწერი, გრაფიკოსი. გერმანელი მხატვარი მოღვაწეობდა საქართველოში XIX-XX სს-თა მიჯნაზე. 1884 წ-დან გახდა პეტერბურგის საიმპერა-

ტორო სამხატვრო აკადემიის თავისუფალი მსმენელი. სწავლის პერიოდში რამდენჯერმე დაჯილდოვდა ვერცხლის დიდი და მცირე წამახალისებელი მედლებით. 1893 წ-ს სწავლა დაასრულა მესამე კლასის მხატვრის წოდებით. 1894 წ-დან აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა გამოფენებში რუსეთში (სანკტ-პეტერბურგის მხატვართა და რუს აკვარელისტთა საზოგადოებების, სამხატვრო აკადემიის საშემოდგომო გამოფენებში). 1915 წ-ს მოეწყო მისი ნამუშევრების პერსონალური გამოფენა ტაშკენტში. 1890-1900 წწ-ში ზომერი მუშაობდა შუა აზიაში, თურქისტანში. მისი შემოქმედების ამ ერთ-ერთ ყველაზე ნაყოფიერ პერიოდში შეიქმნა მისი სურათების სერიები აღმოსავლურ თემაზე. შუა აზიის შემდეგ ზომერმა სწავლა გააგრძელა მიუნხენის აკადემიაში, 1900 წ-დან კი დამკვიდრდა საქართველოში. ის ბევრს მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა მხარეებში, შეასრულა მრავალი ეთნოგრაფიული პორტრეტი („გურულები“, „მეგრელები“, „კავკასიელები“ და სხვ.), ხატავდა პორტრეტ-ტიპებს, ყოფით და ბატალურ სცენებს, ხუროთმოძღვრულ ძეგლებს. იგი აქტიურად მონაწილეობდა თბილისის მხატვრულ ცხოვრებაში, იფინებოდა 1910-20-იან წწ-ში თბილისში, იყო კავკასიის მხატვართა საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი. ზომერი ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, მოქანდაკე ბ. შებუევთან და მხატვარ ა. სიდორენკოსთან ერთად ხელმძღვანელობდა 1907 წ-ს ვაჟთა I გიმნაზიაში გახსნილ სამხატვრო სტუდიას. აღსანიშნავია, რომ ზომერი იყო ლ. გუდიაშვილის მასწავლებელი. 1939 წ-ს რიჰარდ კარლ ზომერი საქართველოს გერმანული კოლონიის სხვა წევრებთან ერთად საქართველოდან გადაასახლეს და ამის შემდეგ მისი კვალი იკარგება.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს, აზერბაიჯანის, უზბეკეთისა და სხვა ქვეყნების სახელმწიფო მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში (სემ – სახელმწიფო მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა)).

ბიბლიოგრაფია:

1. თბილისი ქართველი და უცხოელი მხატვრების შემოქმედებაში, აღბომი, შემდგენლები: მ. ციციშვილი, ნ. ჭოლოშვილი, თბ., 2004.
2. ჭოლოშვილი ნ., გერმანული მხატვრული ტრადიცია და საქართველო XIX ს-ის დასაწყისიდან XX ს-ის 40-იან წლებამდე, თბ., 2006 (ავტორეფრატი).
3. Kurdadse I., Tschkonja T., Deutsche in Georgien, „Aus Rembrandts Gemaelde herausgestiegen“, Karl Friedrich Sommer, Kaukasische Post №37, 2002.
4. Библиографический словарь, М., 1972.

თავაძე დიმიტრი

(1911 – 2011)

ფერმწერი, თეატრის მხატვარი. სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში ე. ლანსერესთან (1926-1930). 1926 წ-დან, ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, დაიწყო მუშაობა შოთა რუსთაველის სახ. აკადემიურ თეატრში. 1945 წ-დან იყო ამავე თეატრის მთავარი მხატვარი. გააფორმა 130-ზე მეტი სპექტაკლი, მათ შორის შ. რუსთაველის თეატრში – ი. ქანთარის „ჭოლიფა“ (1930), დ. კლდიაშვილის „შემოდგომის აზნაურები“ (1936), ი. მოსაშვილის „ჩაძირული ქვები“ (1949), პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“ (1959) და სხვ. მუშაობდა ქუთაისის

ლ. მესხიშვილის სახ. დრამატულ თეატრში, კიევის ლ. უკრაინკას სახ. დრამატულ თეატრში, სადაც გააფორმა მ. ბარათაშვილის „ჭრიჭინა“ (1954), მოსკოვის ა. პუშკინის სახ. დრამატულ თეატრში გააფორმა – გ. ქელბაქიანის „ახალგაზრდა მასწავლებელი“ (1955), ბაქოს დრამატულ თეატრში – ნ. დუმბაძის „ნუ გეშინია დედა“ (1972) და ა.შ. იყო „სარმას“ წევრი, საქართველოს სახალხო მხატვარი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

მისი ნამუშევრები დაცულია შ. რუსთაველის სახ. აკად. თეატრის მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია:

1. ალადაშვილი ნ., დიმიტრი თავაძე, თბ., 1986.
2. თეატრის მხატვრობა, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექცია, ტექსტის ავტორები: დ. ლეზანიძე, ე. თუმანიშვილი, მ. ოკლეი, თბ., 2008.
3. Тавадзе Д., Каталог выставки, Тб., 1964.

თარხან-მოურავი რევაზ

(თბილისი, 1923 – თბილისი, 1993)

ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრის მხატვარი, წიგნის ილუსტრატორი. თავდაპირველად სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში (1943-1954), სადაც მისი პედაგოგები იყვნენ დ. კაკაბაძე და ს. ქობულაძე, შემდეგ – მოსკოვის კინემატოგრაფიის საკავშირო სახელმწიფო ინსტიტუტში (1947-1949). 1949 წ-დან სისტემატურად მონაწილეობდა რესპუბლიკურ, საკავშირო და საზღვარგარეთის გამო-

ფენებში (საქართველოს სახვითი ხელოვნების გამოფენა – ქართული ხელოვნების დეკადა, მოსკოვი, 1958; საბჭოთა გრაფიკის გამოფენა, ლონდონი და კოპენჰაგენი, 1959; ქართული ხელოვნების კვირეული პოლონეთში, 1959 და ა.შ.). 1959 წ-ს ვენაში ახალგაზრდობისა და სტუდენტების მსოფლიო ფესტივალისადმი მიძღვნილ გამოფენაზე დაჯილდოვდა დიპლომით. იყო საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი (1958), საქართველოს დამსახურებული მხატვარი (1964), საქართველოს მხატვართა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი (1972), სსრკ-ის მხატვართა კავშირის გამგეობის წევრი (1973). 50-70-იან წწ-ში დაასურათა მრავალი ქართული და უცხოური ნაწარმოები (ნიკოლას გილიენის „ლექსები“, ა. დე სენტ-ევიჟერის „აღამიანთა მიწა“, ე. ჰემინგუეის „მოხუცი და ზღვა“, „რუსუდანინი“, ჟ. ამირეჯიბის „დათა თუთაშნია“ და სხვ.). შესრულებული აქვს სერიები „ქართული ხალხური სიმღერები“, „ქართული ხალხური ცეკვები“, „ქართული ხალხური თამაშობები“. მუშაობდა თეატრის მხატვრად თბილისის, თელავის, ჭიათურის ფოთის თეატრებში. იყო არაერთი ქართული ფილმის დამდგმელი მხატვარი და კოსტიუმების მხატვარი. შესრულებული აქვს ყვარლის ღვინის სადგურსტაციო დარბაზის კედლის მხატვრობა, მონატული აქვს რესტორანი „თელეთი“. მისი ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოებები გამოირჩევა თავისებური ხედვითა და ინდივიდუალური მხატვრული სტილით. იფინებოდა საქართველოსა (ეროვნული გალერეა და სხვ.) და უცხოეთში (ავსტრია, პოლონეთი, დიდი ბრიტანეთი, შვედეთი, რუსეთი).

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოში (სემ – ხელოვნების მუზეუმი,

ეროვნული გალერეა), ასევე არაერთი ქვეყნის კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. გრაფიკოსი რევაზ თარხან-მოურავი, „საბჭოთა ხელოვნება“ №8, 1960.
2. ნიკოლას გილიენის ლექსების ილუსტრაციები, „საბჭოთა ხელოვნება“ №1, 1957.
3. რევაზ თარხან-მოურავი – ფერწერა და გრაფიკა (კატალოგი), შესავ. წერილი მ. ციციშვილისა, თბ., 2002.
4. ტორიაშვილი გ., სიმშვენიერის მემკვიდრე, „საბჭოთა ხელოვნება“ №6, 1971.
5. შანიძე ლ., რევაზ თარხან-მოურავის გრაფიკა, „თბილისი“ №11, 1961.
6. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1970, М., Советский художник, 1975.
7. Леонтьева Г., Дорогой поиска, Л.-М.: Искусство, 1965.

თავაიშვილი დიმიტრი

(თბილისი, 1919 – თბილისი, 1998)

თეატრისა და კინოს მხატვარი. სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტზე (1938-1944). იყო საქართველოს სსრ-ის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1965), საქართველოს სახალხო მხატვარი (1985), კინოს მხატვრობის სახელოსნოს დამაარსებელი და ხელმძღვანელი, საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის წევრი (1972-1998), საქართველოს კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი. გაფორმებული აქვს 100-ზე მეტი სპექტაკლი საქართველოსა და რუსეთში. დადგა და გააფორმა მრავალი ცნობილი ქართული ფილმი, მათ შორის: „განაჩენი“ (1959), „თოჯინები იცინიან“ (1962), „მე ვხედავ მზეს“ (1965), „არ იდარდო!“ (1968), „მხიარული რომანი“ (1972), „პირველი მერცხალი“ (1975), „ზღვის მამგრალნი“ (1986), „პასპორტი“ (1990) და სხვ. ასევე თავადაც გადაღებულია არაერთ ქართულ ფილმში.

მისი ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები დაცულია საქართველოსა და რუსეთის მუზეუმებში (საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწ. მუზეუმი, ამბროლაურის სახვითი ხელოვნების მუზეუმი და სხვ.), ასევე კერძო კოლექციებში.

თელია (შაქრო) ზაქარია

(აბაშა, 1932)

გრაფიკოსი. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში (1952-1958). 1962 წ-დან ასწავლიდა თსს აკადემიის დაზღვრი გრაფიკის კათედრაზე. მუშაობდა სხვადასხვა დარგში – დაზღვრი გრაფიკა, წიგნის გაფორმება და ილუსტრაცია, პლაკატი. შექმნილი აქვს ლინოგრაფიურების, ლითოგრაფიებისა და ოფორტების სერია ძველი თბილისის თემაზე („ძველი თბილისის აივნები“, „თბილისური წისქვილები“, „ბოტანიკური ბაღის ან-სამბლი“, „ჭრელი აბანოები“ და სხვ.), ასევე ინდუსტრიულ თემაზე („თუჯის ჩამოსხმა“, „რუსთავი, მეტალურგიული ქარხანა“ (1975) და სხვ.). 1964 წ-დან არის მხატვართა კავშირის წევრი. 1965 წ-დან მონაწილეობდა მრავალ რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენაში. იფინებოდა ჩეხოსლოვაკიასა (1965) და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1968).

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს (სემ – ხელოვნების მუზეუმი), პოლონეთის, ჩეხეთისა და სლოვაკეთის მუზეუმებში, ასევე არაერთ კერძო კოლექციაში.

ბიბლიოგრაფია:

1. მთაწმინდელი ს., „ძველი თბილისის მეხობტე“, გაზ. „თბილისი“ (22 VII), 1981.
2. სსრკ მხატვართა კავშირის წევრთა ცნობარი, ტ. II, მოსკოვი, 1982.
3. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1970, М., Советский художник, 1975.

თოთიბაძე (გოგი) გიორგი

(თბილისი, 1928 – თბილისი, 2009)

ფერმწერი, გრაფიკოსი, წიგნის ილუსტრატორი, მულტიპლიკაციური ფილმების მხატვარი. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში უ. ჯაფარიძესთან (1947-1953) და ასპირანტურაში (1954-1959). 1954 წ-დან მუშაობდა პედაგოგად ამავე აკადემიაში. 1970 წ-დან იყო თბილისის სახელმწიფო აკადემიის პროფესორი, შემდეგ კი – თსსა რექტორი (1972-1982). 1976 წ-ს აირჩიეს სსრკ-ის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. 1982 წ-დან ხელმძღვანელობდა სსრკ-ის სამხატვრო აკადემიის შემოქმედებით სახელოსნოს. 1995 წ-დან იყო საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის წევრი. იყო საქართველოს სახალხო მხატვარი (1983), აფხაზეთის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1976). დაჯილდოვდა ოქროს მედლითა და I პრიზით ამიერკავკასიის რესპუბლიკების I ბინალზე

(1986), ხალხთა მეგობრობის ორდენით (1986). 1950-იანი წწ-დან ხატავდა თანადროული ცხოვრებისა და ყოფის ამსახველ სიუჟეტებს („სტუდენტები“, 1962). შესრულებული აქვს კომპოზიციები სოცრეალისტურ თემაზე, განსაკუთრებით აღსანიშნავია თანამედროვეთა პორტრეტების სერია („ი. ნიკოლაძის პორტრეტი“, 1952; „გ. ასათიანის პორტრეტი“, „ნ. ამირეჯიბის პორტრეტი“, 1959 და სხვ.). იფინებოდა საქართველოსა (ხელოვნების მუშაკთა სახლი, ეროვნული გალერეა და სხვ.) და უცხოეთში (რუსეთი, იუგოსლავია, საბერძნეთი, შვედეთი, შვეიცარია, ბელგია, პოლონეთი და ა.შ.).

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა (საქართველოს ეროვნული მუზეუმი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემია) და რუსეთში (ტრეტიაკოვის სახ. მუზეუმი, მოსკოვი, რუსეთი), ასევე კერძო კოლექციებში (საქართველო, რუსეთი).

ბიბლიოგრაფია:

1. გოგი თოთიბაძე (გამოფენის კატალოგი), წინასიტყვ. ლ. თაბუკაშვილისა, თბ., 1970.
2. გოგი თოთიბაძე, „საბჭოთა ხელოვნება“ №1, 1965.
3. ლეჟავა ს., გოგი თოთიბაძე, „ცისკარი“ №10, 1980.
4. მხატვარი სტუმრად მწყემსებთან, „დროშა“ №9, 1956.
5. ჯაფარიძე თ., ძმები თოთიბაძეები მოსკოვური არტ-წრიდან (ინტერვიუ), „ამარტა“ №38, 2010.
6. Цагарели Н., По традициям тушинов, “Декоративное искусство СССР” №2, 1970.

თოიძე გივი
(თბილისი, 1932)

ფერმწერი. სწავლობდა ი. ნიკოლაძის სახ. სამხატვრო სასწავლებელში (1949-1954), თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში (1954-1960). 2000 წ-დან არის ამავე აკადემიის პროფესორი. 1967 წ-ს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მხატვრის წოდება. არის შ. რუსთაველის სახ. პრემიის ლაურეატი (1981), საქართველოს სახალხო მხატვარი (1988), დ. კაკაბაძის სახ. პრემიის ლაურეატი (1989), თბილისის საპატიო მოქალაქე (1999), ღირსების ორდენის კავალერი (2001), თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის საპატიო დოქტორი (2012), საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის კულტურის რაინდი (2012). დაჯილდოებულია არაერთი პრემიითა და მედლით. იფინებოდა საქართველოსა და უცხოეთში (რუსეთი, ბულგარეთი, ინგლისი, უნგრეთი, საფრანგეთი, ესპანეთი, პოლონეთი, იტალია, ინგლისი).

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა (საქართველოს ეროვნული მუზეუმი) და უცხოეთში (ტრეტიაკოვის გალერეა, მოსკოვი, რუსეთი; აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმი, მოსკოვი, რუსეთი; პეტერბურგის რუსული მუზეუმი; ლუდვიგის მუზეუმი კიოლნში, გერმანია), ასევე საზღვარგარეთისა და საქართველოს კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. გივი თოიძე – ფერწერა, გრაფიკა, ტექსტი ი. ოცხელისა, თბ., 2012.
2. თაბუკაშვილი ლ., ფერმწერლის თვითმყოფადი ხელოვნება, „საბჭოთა ხელოვნება“ №1, 1983.

3. ოცხელი ი., გივი თოიძის შემოქმედება, თბ., 2002.
4. ოცხელი ი., მხატვრის სახელოსნოში, „საბჭოთა ხელოვნება“ №8, 1969.
5. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии, М.: Советский художник, 1975.
6. Кузнецов Э., Грузия – любовь моя, 1921-1970, М.: Советский художник, 1975.
7. Тоидзе Г., Роспись творческого дома писателей в Пицунде, “Искусство” №4, 1979.

თოიძე ირაკლი

(თბილისი, 1902 – თბილისი, 1985)

ფერმწერი, გრაფიკოსი, წიგნის ილუსტრატორი. სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში (1925-1930). ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას მამის – მ. თოიძის სამხატვრო სტუდიასა და თბილისის სამხატვრო აკადემიაში. წლების განმავლობაში იყო რუსეთის მხატვართა ასოციაციის საქართველოს ფილიალის თავმჯდომარე, შემდეგ – „სარმას“ თავმჯდომარე. 1931 წ-დან საცხოვრებლად გადავიდა მოსკოვში. მიუხედავად ამისა, აგრძელებდა საქართველოსთან მჭიდრო თანამშრომლობას და რეგულარულად მონაწილეობდა რესპუბლიკურ გამოფენებში. მოაწყო რამდენიმე პერსონალური გამოფენა. აღსანიშნავია მისი ღვაწლი პოლიტიკური პლაკატის განვითარების დარგში. განსაკუთრებული პოპულარობა მოუტანა პლაკატმა „დედასამშობლო გვეძახის!“ (1941). პლაკატი, რომელიც სტალინმა მოიწონა, 1941 წ-ის ივნისის მიწურულს, ომის დაწყებიდან ერთი კვირის შემდეგ, თითქმის ერთდროულად აღიმართა მოსკოვისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქა-

ლაქების სახლების ფასადებზე, გზებზე და გზაჯვარედინებზე. II მსოფლიო ომის წლებში მოსკოვში მცხოვრებმა ი. თოიძემ კიდევ მრავალი პლაკატი შექმნა: „წინ დასავლეთისკენ!“, „დედასამშობლოსათვის“, „სამშობლოს სახელით წინ, დევმირობო!“, „ვეიცავ, დავამარცხებ მტერს!“, „ყველანი ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად!“, „გავათავისუფლებთ ევროპას ფაშისტური მონობის უღლისგან“ და სხვ. მხატვარს ომის დამთავრების შემდეგაც არ შეუწყვეტია პლაკატზე მუშაობა. გვიანდელ პერიოდში შექმნილი პლაკატებიდან აღსანიშნავია: „ოქტომბრის 50-ე წლისთავი ჩვენი საერთო დღესასწაულია“, „ჩვენი ერთობა ურღვევია“, „მძიმე ინდუსტრია ჩვენი სამშობლოს ძლიერების საფუძველია“ და ა.შ. ი. თოიძის კიდევ ერთი ნახატი, რომელმაც სრულყოფილად ასახა ეპოქა, დაკავშირებულია დიდ მშენებლობებთან: ზაჰვისის ამუშავებამ მხატვარს შთააგონა შეექმნა „ილიჩის ნათურა“, რომელიც სოციალისტური რეალიზმის ცნობილ ნიმუშად ითვლება. მეტად პოპულარული იყო ი. თოიძის კიდევ ერთი სურათი – „ახალგაზრდა სტალინი კითხულობს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს““. 1948 წ-ს მხატვარი დაჯილდოვდა სტალინური პრემიით სურათისათვის „ი. ბ. სტალინის გამოსვლა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 24-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე“ და სტალინის პორტრეტისათვის. ი. თოიძეს შექმნილი აქვს ქართული კულტურის მოღვაწეთა პორტრეტების სერიაც. ასევე დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული წიგნის გრაფიკის განვითარებაში. გაფორმებული აქვს მრავალი წიგნი, მათ შორის, „ვეფხისტყაოსანი“ (1937). მიღებული აქვს სტალინური პრემიები „ქართული პოეზიის ანთოლოგიის“ გაფორმებისთვის

და „საქართველოს ისტორიის“ ილუსტრაციების სერიისათვის. იყო სსრკ-ის სახელმწიფო პრემიის ოთხგზის ლაურეატი (1941, 1948, 1949, 1951), შრომის წითელი დროშის ორდენოსანი, რსფსრ-ის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1951) და საქართველოს სსრ-ის სახალხო მხატვარი (1970).

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა და რუსეთის სახელმწიფო მუზეუმებში (სემ – ხელოვნების მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა); გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწ. მუზეუმი; ტრეტიაკოვის გალერეა, აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების სახელმწ. მუზეუმი, მოსკოვი), ასევე კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. ჩხიკვიშვილი მ., ირაკლი თოიძის სახელოსნოში, „საბჭოთა ხელოვნება“ №5, 1968.
2. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии, 1921-1970, М., Советский художник, 1975.
3. Кравченко К., Ираклий Моисеевич Тоидзе, М.: Искусство, 1949.
4. Трошинина И., Ираклий Моисеевич Тоидзе, М.-Л.: Художник, 1956.

თოიძე მოსე

(თბილისი, 1871 – თბილისი, 1953)

ფერმწერი, გრაფიკოსი. 1896-1900 წწ-ში სწავლობდა ხატვას პეტერბურგში ლ. დმიტრიევ-კავკაზსკისთან და ფ. მალიაინთან, შემდეგ ჩაირიცხა თავისუფალ მსმენელად პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში ი. რეპინის

კლასში. მისი სადიპლომო ნამუშევარი „მცხეთობა“ დაჯილდოვდა ოქროს მედლით. 1903-1904 წწ-ში მონაწილეობდა „პერედვიჟნიკების“ 31-ე საგაზაფხულო გამოფენასა და კავკასიის მხატვართა საზოგადოების გამოფენაში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ თანამშრომლობდა თბილისურ ჟურნალ-გაზეთებთან. იყო თბილისში „რევმასის“ დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი. მ. თოიძის თაოსნობით 1922 წ-ს თბილისში დაარსდა სახალხო სამხატვრო სტუდია, რომელსაც მხატვარი თავადვე ხელმძღვანელობდა 1930 წ-მდე. 1930 წ-დან იყო თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი. 1953 წ-ს მიენიჭა საქართველოს სსრ-ის სახალხო მხატვრის წოდება.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოში (სემ – ხელოვნების მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა); მ. თოიძის სახლ-მუზეუმი, თბილისის სახელმწ. სამხატვრო აკადემიის მუზეუმი), ასევე საქართველოსა და უცხოეთის კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. გორდებიანი ბ., პროფ. მოსე თოიძის სტუდიის სურათების გამოფენა, გაზ. „კომუნისტი“ (25/ VI), 1928.
2. თოიძე მ., სახალხო სამხატვრო სტუდია, „საბჭოთა ხელოვნება“ №7-8, 1927.
3. კაკაბაძე დ., ქართველ მხატვართა სურათების გამოფენა, „შვიდი მნათობი“ №2, 1919.
4. კოტეტიშვილი ვ., ქართველი ხელოვანი, „თეატრი და ცხოვრება“ №25, 1915.
5. მხატვარი მამა-შვილი მოსე თოიძე და შვილი მისი ერეკლე, „თეატრი და ცხოვრება“, №25, 1915.

6. ციციშვილი მ., თბილისური პეიზაჟი 1920-30-იან წლებში, ქართული ხელოვნების ნარკვევები, თბ., 2004.
7. ჭიაურელი მ., მოსე თოიძის გამოფენაზე, „ემმაკის მათრახი“ №9, 1915.
8. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1970, М.: Советский художник, 1975.
9. Квасхадзе Ш., М. И. Тоидзе, М.: Советский художник, 1955.
10. Кобуладзе С., Народный художник, „Советское искусство“ (18/II), 1953.
11. Кутателадзе А., Художник-гражданин, „Заря Востока“ (14/II), 1953.

თორღია რადიუ

(აბაშა, 1936)

ფერმწერი. სწავლობდა ი. ნიკოლაძის სახ. სამხატვრო სასწავლებელში (1951-1956) და თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ფერწერის განყოფილებაზე (1956-1962). 1966 წ-დან არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი. იყო საქართველოს მხატვართა კავშირის მდივანი, სსრკ-ის მხატვართა კავშირის გამგეობის წევრი. არის საქართველოს დამსახურებული მხატვარი (1979), საქართველოს სახალხო მხატვარი (1990), ღირსების ორდენის კავალერი (1996). მიღებული აქვს არაერთი პრიზი და ჯილდო: დიპლომი სოციალისტური ქვეყნების მხატვრობის XII ფესტივალზე (პოლონეთი, 1987), სახელმწიფო პრემია (1980), ოქროს მედალი ქართველ მხატვართა გამოფენაზე ტოკიოში (იაპონია, 1991), საქართველოს მხატვართა კავშირის გრანპრი „წლის საუკეთესო ნამუშევარი“ (თბილისი, 2000), II პრიზი ჯოის დუტკას ხელოვნების ფონდის ვიზუალური ხელოვნების კონკურსზე

(ნიუ-იორკი, აშშ, 2002). იფინებოდა საქართველოსა (სემ – ეროვნული გალერეა, თანამედროვე ხელოვნების გალერეა, კულტურის საერთაშორისო ცენტრი „მუზა“ და სხვ.) და უცხოეთში (აშშ, გერმანია, რუსეთი, ინგლისი, ესპანეთი, იტალია, ირანი, ჩეხეთი, იაპონია, ლიტვა, უნგრეთი, რუსეთი, სირია).

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა (ეროვნული მუზეუმი, საქართველოს ეროვნული ბანკი და სხვ.) და უცხოეთში (აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმი, მოსკოვი, რუსეთი; ტრეტიაკოვის გალერეა, მოსკოვი, რუსეთი; ტაშკენტის ხელოვნების მუზეუმი; ოდესის ხელოვნების მუზეუმი; ბრატისლავის ხელოვნების მუზეუმი; ლუდვიგის მუზეუმი კიოლნში, გერმანია და სხვ.), ასევე საქართველოსა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნის კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. აბესაძე ი., დრო და მხატვარი (მხატვარ რადიუ თორღიას შემოქმედების შესახებ), „საბჭოთა ხელოვნება“ №5, 1973.
2. გაჩეჩილაძე ე., რადიუ თორღია (მხატვრის შემოქმედებითი პორტრეტი), „ცისკარი“ №7, 1980.
3. რადიუ თორღია, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი (კატალოგი), შემდგ.: უ. სარუხანოვა, დ. კორძაია, თბ., 1990.
4. საქართველოს სახალხო მხატვარი რადიუ თორღია, ფერწერა, გრაფიკა (ალბომი), თბ. 2010.
5. უბილავა ნ., რადიუ თორღიას შემოქმედების ძირითადი ტენდენციები (მხატვარ რადიუ თორღიას შემოქმედება), „ხელოვნება“ №3-4, 2002.

6. Езерская Н., Радиш Тордия, На Древней и Обновленной земле, М.: Советский художник, 1976.

თულავილი ელენე

(თბილისი, 1922 – თბილისი, 2011)

გრაფიკოსი. სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტზე ი. შარლემანთან, ვლ. გრიგოლიასთან (1941-1952). 1952 წ-დან მონაწილეობდა გამოფენებში, 1957 წ-დან იყო მხატვართა კავშირის წევრი. შესრულებული აქვს ფერადი აგლოლითოგრაფიები („საფურამოში“ (1987), „თბილისი. ვარაზისხევის მშენებლობა“ (1987) და სხვ.). პერიოდულ პრესაში აქვეყნებდა სტატიებს ქართული გრაფიკისა და ცალკეული მხატვრების შემოქმედების შესახებ. არის საქართველოს დამსახურებული მხატვარი (1976).

მისი ნამუშევრები დაცულია სემ – ხელოვნების მუზეუმში, კერძო კოლექციებში.

თურქია რენო

(სოხუმი, 1926 – თბილისი, 1979)

ფერმწერი. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში სახვითი ხელოვნების ფაკულტეტზე (1946-1956), იყო თსსა პედაგოგი (1960-1979). მისი პეიზაჟები, ნატურმორტები და პორტრეტები გამოირჩევა თავშეკავებული და დახვეწილი ფერადონებით. საინტერესოა რ. თურქიას ქალთა პორტრეტები, რომლებშიც მხატვარი ოსტატურად გადმოსცემს პერსონაჟთა სახასიათო თვისებებს და ცოც-

ხალ გამომეტყველებას. 50-იანი წწ-დან მონაწილეობდა გამოფენებში საქართველოსა და საზღვარგარეთ. 1976 წ-ს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მხატვრის წოდება. მიღებული აქვს საქართველოს სსრ-ის კულტურის სამინისტროს I ხარისხის დიპლომი სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომისათვის „ტიპურობის შესახებ სახვით ხელოვნებაში“ (1954).

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოში (საქართველოს ეროვნული მუზეუმი; თელავის სახელმწ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი; სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი; ამბროლაურის სახვითი ხელოვნების მუზეუმი და სხვ.).

ბიბლიოგრაფია:

1. ანანიაშვილი ქ., დაბრუნებული ბავშვობა. მხატვარ რენო თურქიას ლიტერატურული პორტრეტი: ურთიერთობა მხატვართან, „დროშა“ №9-10, 1999.
2. ვარადა ნ., ესმას და რენოს ფერთა ბრწყინვალე დღესასწაული, „ჩვენი მწერლობა“, 2011.
3. ლებანიძე ე., დასაწყისი უკვდავებისა: ჩანახატები რენო თურქიას პორტრეტისათვის, თბ., 1999.
4. ტაბიძე ნ., ფერისა და აზრის ჰარმონია, „ლიტერატურა და ხელოვნება“ №4, 2007.
5. უკვდავი მემკვიდრეობა, რენო თურქია 80 (1926-1979): ფერწერა, შემდგ., ტექსტისა და დიზაინის ავტ. ქ. ტომარაძე, საქ. კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საერთ. საქველმოქმ. ფონდი, 2006.
6. ქეთელაური ს., რენო თურქია (მხატვრის შემოქმედებითი პორტრეტი), „საბჭოთა ხელოვნება“ №12, 1977.

თუშაღაიშვილი მარბარიტა

(1918 – ?)

მოღვაწეობდა 1950-იან წწ-ში. მონაწილეობდა ე. ახვლედიანის მიერ მოწყობილ ექსპედიციებსა და მხატვარ ქალთა გამოფენებში. შესრულებული აქვს ძველი თბილისის ხედები, საქართველოს სხვადასხვა კუთხეები, კახეთისა და მთიანეთის პეიზაჟები, ეკლესია-მონასტრები და ციხეები.

მისი ნამუშევრები დაცულია სემ – ხელოვნების მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია:

1. ურუშაძე ნ., ქართველ მხატვართა სინდისი, „ომეგა“ №9, 2002.

იანქოშვილი ნათელა

(გურჯაანი, 1918 – თბილისი, 2008)

ფერმწერი, გრაფიკოსი, წიგნის ილუსტრატორი. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში სახვითი ხელოვნების ფაკულტეტზე მ. თოიძესთან (1937-1943). 1947 წ-დან იყო მხატვართა კავშირის წევრი. 1960-იანი წწ-დან ძირითადად მუშაობდა პორტრეტისა და პეიზაჟის უანრებში. მისი ფერწერული ნაწარმოებები გამოირჩევა თავისუფალი წერის მანერითა და თავისებური ფერთა გამით. შექმნილი აქვს რამდენიმე გრაფიკული სერია („სვანეთი“, „მექსიკა“, „კუბა“). დაასურათა „ვეფხისტყაოსანი“ (1964-1966), ასევე გააფორმა არაერთი წიგნი. არის ავტორი წიგნისა „მოგზაურობა გმირულ კუნძულზე. კუბა. შთაბეჭდილებანი“ (თბილისი, 1963). იყო საქართველოს დამსახურებული მხატვარი

(1961), საქართველოს სსრ-ის სახალხო მხატვარი (1976), რუსთაველის პრემიის ლაურეატი (1995), ღირსების ორდენის კავალერი (1996). იფინებოდა საქართველოსა (ეროვნული გალერეა, მსახიობის სახლი, რუსთაველის სახელობის თეატრი, ხელოვნების მუშაკთა სახლი და სხვ.) და უცხოეთში (რუსეთი, საფრანგეთი, იტალია, ბალტიისპირეთის ქვეყნები).

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა (საქართველოს ეროვნული მუზეუმი; ნ. იანქოშვილის სახლ-მუზეუმი, თბილისი და სხვ.) და უცხოეთში (მოსკოვის სახელმწიფო მუზეუმები და სხვ.), ასევე არაერთ კერძო კოლექციაში.

ბიბლიოგრაფია:

1. დოლიძე გ., კუბა მხატვრის თვალთ, „მნათობი“ №5, 1964.
2. კერესელიძე მ., ნათელა იანქოშვილი, „საბჭოთა ხელოვნება“ №12, 1978.
3. ნათელა იანქოშვილი (ალბომი), შესავ. ტექსტი ფ. ლაპიაშვილისა, შემდგ. ლ. ლომთათიძე, თბ., 1963.
4. ნათელა იანქოშვილი: ფერწერა, წიგნის გრაფიკა (ალბომი), წინასიტყვაობა ლ. ჭავჭავაძისა, თბ., 1983.
5. საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი ნათელა იანქოშვილი (კატალოგი), შესავ. ტექსტი გ. ბუაჩიძისა, თბ., 1970.
6. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1970, М., 1975.
7. Лапишвили П., Натела Ианкошвили, „Культура и жизнь“ №3, 1971.

იგნატოვი (კოკა) ნიკოლოზ

(თბილისი, 1937 – თბილისი, 2002)

ფერმწერი, გრაფიკოსი, წიგნის ილუსტრატორი, თეატრისა და კინოს მხატვარი. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ფერწერის ფაკულტეტზე ს. ქობულაძესთან (1956-1962). 1963 წ-დან იყო საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი, 1989 წ-დან – თსსა სახელოსნოს ხელმძღვანელი, პროფესორი. მუშაობდა როგორც დაზღუდ, ასევე მონუმენტურ ფერწერაში. მონაგა მთაწმინდის რესტორანი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის შენობა, რესტორანი „ისნის“ ინტერიერი თბილისის ზღვაზე, კურორტი „ბიჭვინთა“. შექმნილი აქვს გრაფიკული ნაწარმოებები, წიგნის ილუსტრაციები (დანტეს „ღვთაებრივი კომედია“, 1970). მუშაობდა თეატრის მხატვრად. იყო საქართველოს სახალხო მხატვარი (1978), სახელმწიფო და სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს პრემიების ლაურეატი (1974, 1981), დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1997). კოკა იგნატოვის შემოქმედებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს XX ს-ის II ნახევრის ქართულ კულტურაში. 1960-70-იან წლებში საბჭოთა კავშირში განსაკუთრებით პოპულარული იყო მისი ფრესკები, სცნოგრაფიული თუ გრაფიკული ნაწარმოებები. იფინებოდა საქართველოსა და უცხოეთში (პარიზი, მიუნხენი, ბერლინი, ბუდაპეშტი, ამსტერდამი, პრაღა, ბრიუსელი, ბომბეი, ნიუ-იორკი, სიენა, მოსკოვი და სხვ.). 1990-იანი წლებიდან უმეტესად უცხოეთში მუშაობდა. მისი ნამუშევრები გაბნეულია სხვადასხვა ქვეყნების კერძო კოლექციებში, რის გამოც მისი შემოქმედების ბოლო პერიოდი თითქმის უცნობია ქართული საზოგადოებისთვის. სიცოცხლის უკანასკნელი წლები გაატარა პარიზში,

სადაც შეასრულა ყვავილებისა და ნატურმორტების ფერწერული სერია. გარდა ამისა, შექმნა ე.წ. „ქვების სერია“ და ამ ფორმით გამოხატა პროტესტი არსებული სინამდვილის მიმართ. არტისტის მიერ წარმოდგენილი ყვავილები და ქვები გასულიერებული ბუნების თავისებური ვარიაციული გადამუშავებაა.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა (სემ – ხელოვნების მუზეუმი, სემ – ეროვნული გალერეა, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწ. მუზეუმი, გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწ. მუზეუმი, რუსთაველის სახელმწ. თეატრი, ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრი) და უცხოეთში (ტრეტიაკოვის გალერეა, მოსკოვი; უიტნის მუზეუმი, ნიუ-იორკი), ასევე არაერთ კერძო კოლექციაში.

ბიბლიოგრაფია:

1. თაბუკაშვილი ლ., მრავალმხრივი ხელოვანი, „საბჭოთა ხელოვნება“ №6, 1983.
2. კინწურაშვილი ქ., კოკა იგნატოვი: მონოლოგიდან ერთ სიტყვამდე (ალბომი), მოსკოვი, 2007.
3. კოკა იგნატოვი: ზეპირი მოგონებები, ჩამწერი და რედ. იოსებ ომაძე, თბ., 2008.
4. კოკა იგნატოვი: ჩემი პირველი ფრესკა, სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო ჟურნ. „სიტყვა“ №7, 2008.
5. საუბარი ნიკოლოზ იგნატოვთან (მხატვრისათვის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის მიკუთვნებასთან დაკავშირებით), „საბჭოთა ხელოვნება“ №12, 1974.

6. ქელიძე ე., ნიკოლოზ იგნატოვის თეატრალური მხატვრობის ზოგიერთი თავისებურება, „თეატრი და ცხოვრება“ №3-4, 2005.
7. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1979, М.: Советский художник, 1975.
8. Воронов Н., Новое в традиционном, „Творчество“ №2, 1971.
9. Толстой Вл., Монументальные росписи Коки Игнатова, „ПИ“ №1, 2013.

კაკაბაძე დავით

(კუხი, 1889 – თბილისი, 1952)

ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარი, ხელოვნების თეორეტიკოსი, გამომგონებელი. დაწყებითი სამხატვრო განათლება მიიღო ქუთაისში ი. პავესკისთან და ვ. კროტკოვთან. შემდეგ სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე (1910-1918), პარალელურად კი – ლ. დმიტრიევ-კავკასკის სამხატვრო სტუდიაში (1910-1915). გატაცებული იყო კუბიზმით (1913-1914). 1914 წ-ს ოთხმა მხატვარმა – კაკაბაძემ, ფილონოვმა, კირილოვმა და ლასონ-სპიროვამ – დააფუძნეს „ფერმწერთა და მხატვართა ინტიმური სახელოსნო“ და გამოაქვეყნეს მანიფესტი „გაკეთებული სურათები“. 1916 წ-ს დ. კაკაბაძე ქართველ მხატვართა საზოგადოების წევრი გახდა. 1917 წ-ს დაიწყო მუშაობა იმერეთის პეიზაჟების სერიაზე, 1918 წ-ს კი უკვე შესრულებული ჰქონდა ცნობილი ნამუშევრები: „იმერეთის ნატურმორტი“, „იმერეთი – დედაჩემი“. 1918 წ-ს სამშობლოში დაბრუნებული მხატვარი ასწავლიდა ბუნებისმეტყველებას და ხატვას ვაჟთა I გიმნაზიაში. 1919 წ-ს

ლ. გუდიაშვილთან და ს. სუდეიკინთან ერთად მოხატა პოპულარული არტისტული კაფე „ქიმერიონი“, მონაწილეობდა არტისტული კაფეების „ფანტასტიკური დუქნისა“ და „ფარშევანგის კუდის“ მოხატვაში. 1919-1927 წწ-ში დ. კაკაბაძე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა პარიზში, სადაც შექმნა ცნობილი ფერწერული და გრაფიკული კუბისტური სერიები: „პარიზი“ (1920), „ბრეტანი“ (1921), „იალქიანი ნაგები“ (1921), „აყვავებული ბალის აბსტრაქტული ფორმები“ (1921), ობიექტები ლინზებით (1924) და ა.შ. მონაწილეობდა პარიზის „დამოუკიდებელთა სალონის“ ყოველწლიურ გამოფენებში (1921-1927). 1921 წ-ს იფინებოდა ლ. გუდიაშვილთან და შ. ქიქოძესთან ერთად პარიზში, გალერეაში *La Licorne*. პარიზშივე გამოაქვეყნა წიგნები: „კონსტრუქციული სურათის შესახებ“ (ფრანგ. ენაზე, 1921), „პარიზი 1920-1923“ (1924), „ხელოვნება და სივრცე“ (ქართ. ენაზე, 1925). თანამშრომლობდა ლეონ როზენბერგის *Bulletin de L'effort Moderne*-თან, სადაც ქვეყნდებოდა მისი წერილები თანამედროვე ხელოვნების შესახებ (1924-1926). 1922 წ-ს გააფორმა ხელშეკრულება მ. მიულერთან „უსათვალო სტერეოკინომატოგრაფის“ გამოგონებაზე. პარიზის ოპტიკის ინსტიტუტში წარდგინის შემდეგ, პატენტი გამოგონებაზე შეისყიდა ამერიკამ, გერმანიამ, იტალიამ, ბელგიამ, ესპანეთმა და უნგრეთმა. 1926 წ-ს *Société Anonyme*-ის დამფუძნებლებმა ქეთრინ დრაიერმა, მარსელ დუშანმა და მან რეიმ, ვასილი კანდინსკისთან, კურტ და ჰელენ შვიტერსებთან, ფერნან ლეფესთან, ჰაინრიხ კამპენდონკისთან და ანტონ უულიო ბრაგალიასთან თანამშრომლობით, ბრუკლინის მუზეუმში მოაწყვეს თანამედროვე ხელოვნების დიდი საერთაშორისო

გამოფენა. ამ მიზნით, დ. კაკაბაძის პარიზის სახელოსნოში *Société Anonyme*-მა, რომელიც ცნობილი იყო „ექსპერიმენტული მუზეუმის“ სახელითაც, შეიძინა არტისტის ნამუშევრები, მათ შორის ქანდაკება „Z“. ამჟამად იგი სხვა ნამუშევრებთან ერთად ინახება იელის უნივერსიტეტის ხელოვნების გალერეაში. 1927 წ-ს მხატვარმა იმოგზაურა გერმანიაში, იტალიასა და საბერძნეთში. საქართველოში დაბრუნებისას სასტუმრო „ორიენტში“ მოეწყო დ. კაკაბაძის პერსონალური გამოფენა (1928). ამის შემდეგ ხუთი წლის მანძილზე დ. კაკაბაძეს აღარაფერი შეუქმნია. ამ პერიოდში ის მუშაობდა თბილისის სამხატვრო აკადემიასა და კ. მარჯანიშვილის თეატრში, მოღვაწეობდა კინოშიც. 1929-1931 წწ-ში დ. კაკაბაძე ხელმძღვანელობდა დოკუმენტური კინოფილმის („საქართველოს მატერიალური კულტურის ძეგლები“) გადაღებას. 1928-1948 წწ-ში ასწავლიდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში. 1943 წ-დან იყო სამხატვრო აკადემიის პროფესორი, ხოლო 1933-1942 წწ-ში – პრორექტორი. 1940-იან წწ-ში არტისტი დაასრულა ჯერ კიდევ პარიზში დაწყებული ნაშრომი ქართული ორნამენტის შესახებ. დ. კაკაბაძე, ქართული მოდერნიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი, რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია („ხელოვნება და სივრცე“, „ქართული ორნამენტის გენეზისი და მისი ტიპები“ და სხვ.).

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა (სემ – ხელოვნების მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა); საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი, კ. მარჯანიშვილის სახ. აკად. თეატრის მუზეუმი, შოთა

რუსთაველის სახ. აკად. თეატრის მუზეუმი, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო მუზეუმი, დ. კაკაბაძის სახ. ქუთაისის სახვითი ხელოვნების მუზეუმი) და უცხოეთში (იელის უნივერსიტეტის ხელოვნების გალერეა, აშშ), ასევე არაერთი ქვეყნის კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. ალიბეგაშვილი გ., დავით კაკაბაძის შემოქმედება, „მნათობი“ №8, 1956.
2. ამირანაშვილი შ., დავით კაკაბაძე, „საბჭოთა ხელოვნება“ №4, 1958.
3. გამსახურდია კ., დავით კაკაბაძე, „მნათობი“ №9, 1956.
4. ზდანევიჩი კ., დავით კაკაბაძე, „მნათობი“ №1, 1959
5. კაკაბაძე დ., ხელოვნება და სივრცე, პარიზი, 1926.
6. კინწურაშვილი ქ., დავით კაკაბაძის კონსტრუქციულ-დეკორატიული კომპოზიციები და სკულპტურა „d“, „ლიტერატურა და ხელოვნება“ №1, 1993.
7. მარგველაშვილი პ., დავით კაკაბაძის არქივიდან, თბ., 1988.
8. რამიშვილი ნ., ეროვნული ფორმის ძიების პრობლემა XX ს-ის დასაწყისის ქართულ ფერწერაში (დ. კაკაბაძის შემოქმედება, 1910-20-იანი წწ.), თბ., 2010.
9. რჩულიშვილი ლ., დავით კაკაბაძე. (ალბომი), თბ., 1966 (II გამოცემა – 1983).
10. ტაბატაძე თ., არტისტული კაფე „ქიმერიონი“ და მისი მოხატულობა, ტფ., 1919 (თბ., 2011).
11. ტაბატაძე თ., ეროვნული მხატვრული ფორმის საკითხისათვის კაფე „ქიმერიონის“ მოხატულობაში, თბ., 2006.
12. ხომტარია გ., ახალი და უახლესი

დროის ქართული სახვითი ხელოვნების პერიოდიზაციის საკითხები, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ სამეცნიერო შრომების კრებული, თბ., 2001.

13. ხომტარია გ., უახლესი დროის – მოდერნიზმის ხელოვნების მხატვრული მსოფლხედვის სპეციფიკა, *Ars Georgica*, ელექტრონული ჟურნალი. სერია B, 2010, იხ.: <http://www.georgianart.ge/index.php?option=com-content&view=article&id=61%3A2010-12-11-17-38-58&catid=42%3A2010-12-03-16-05-33&Itemid=91&lang=ka>.
14. Беридзе В., Лебанидзе Д., Медзмаришвили М., Давид Какабадзе, М.: Советский художник, 1989.
15. Кинцурашвили К., Давид Какабадзе: Классик XX века, СПб., 2003.

კალანდაძე ედმონდ გაბრიელ

(ხიდისთავი, 1923)

ფერმწერი, გრაფიკოსი. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ფერწერის ფაკულტეტზე ა. ციმაკურიძესთან და უ. ჯავახიშვილთან (1952-56). 50-იანი წწ-დან ხატავდა თანამედროვეთა პორტრეტებს, პეიზაჟებს. მისი ფერწერული ნაწარმოებები გამოირჩევა ექსპრესიული გამომსახველობით, მსუყე მონასმებითა და მკვეთრი ფერებით. 1957 წ-დან არის მხატვართა კავშირის წევრი. 1982 წ-ს დაინიშნა მხატვრის სახლის დირექტორად, ხოლო 1991 წ-ს საქართველოს კულტურის მინისტრად. არის საქართველოს დამსახურებული მხატვარი (1965), საქართველოს სახალხო მხატვარი (1985), რუსთაველის პრემიის ლაურეატი (1998). 50-იანი წწ-დან მონაწილეობს გამოფენებში საქართველოსა (სემ – სახელმწიფო

მუზეუმი, სემ – ეროვნული გალერეა, თანამედროვე ხელოვნების გალერეა, არქიტექტორთა კავშირი, გალერეა „ჰობი“, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია) და უცხოეთში (გერმანია, საფრანგეთი, ავსტრია, რუსეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა).

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა (ეროვნული მუზეუმი, საქართველოს საპატრიარქო, ამბროლაურის სახვითი ხელოვნების მუზეუმი) და უცხოეთში (ტრეტიაკოვის გალერეა, აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმი, მოსკოვი, რუსეთი; ხელოვნების ნაციონალური მუზეუმი, ბუენოს-აირესი, არგენტინა; ხელოვნების მუზეუმი, სტამბოლი, თურქეთი), ასევე არაერთ კერძო კოლექციაში როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.

ბიბლიოგრაფია:

1. ედმონდ გაბრიელ კალანდაძე (ალბომი), ტექსტი და თარგმანი ც. კალანდაძისა, თბ. 2008.
2. კიკნაძე ე., ედმონდ კალანდაძის მხატვრობის ისტორიულ-კულტურული წანამძღვრები, „თეატრ-მცოდნეობითი და კინოთმცოდნეობითი ძიებანი“ №4, 2005.
3. კიკნაძე ე., ედმონდ კალანდაძე – მხატვრულ-ისტორიული კონტექსტი და ჟანრის მისეული გადაწყვეტა, „ძველი ხელოვნება დღეს“ №02, 2011.
4. ლეჟავა ს., დრამატიზებულიც, საზეიმოც (ედ. კალანდაძის ფერწერა), „ხელოვნება“ №4-6, 1995.
5. შავგულიძე თ., ორიოდ სიტყვა ოსტატზე (რამდენიმე შტრიხი ედმონდ კალანდაძის პორტრეტისათვის), „ლიტერატურა და ხელოვნება“ №4, 2006.

6. შერვაშიძე ნ., ედმონდ კალანდაძის ხელოვნების საწყისები, „კავკასიის მაცნე“ №2, 2000.
7. შერვაშიძე ნ., ედმონდ კალანდაძის ფერწერის კონცეპტუალურ-ფორმალური ენის განსაზღვრისათვის (50-60-იანი წწ-ის ნამუშევრების მიხედვით), „სპექტრი“ №1, 2006.
8. ჩიხრაძე მ., თანამედროვე ქართული ნახატის ზოგიერთი თავისებურების შესახებ (გ. კასრაძის, ზ. ნიჟარაძის, დ. ერისთავისა და ედ. კალანდაძის შემოქმედება), „სპექტრი“ №1, 2006.
9. ჩიხრაძე მ., ნახატი ედმონდ კალანდაძის შემოქმედებაში, „სპექტრი“ №1, 1999.
10. ხოშტარია გ., XX ს-ის 30-50-იანი წწ-ის ქართული მხატვრობის ეტაპობრივი თავისებურებანი, თსუ სამეცნიერო შრომების კრებული, თბ., 2002.

ჰვეისი კლარა

(თბილისი, 1903 – თბილისი, 1990)

ფერმწერი, გრაფიკოსი. წარმოშობით ლატვიელი მხატვრის მშობლები 1896 წ-ს მეფისნაცვალ ვორონცოვის მოწვევით თბილისში სამუშაოდ ჩამოვიდნენ და აქ სამუდამოდ დამკვიდრდნენ. კ. კვეისი თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა პირველი თაობის წარმომადგენელი იყო. იგი 1922 წ-ს ჩაირიცხა ფერწერის ფაკულტეტზე ე. ლანსერეს ჯგუფში. მისი პედაგოგიური იყვნენ ბ. ფოგელი, ი. შარლემანი და ნ. სკლიფასოვსკი. 1930 წ-ს კ. კვეისი, „მოდერნისტული ხელოვნებით გატაცების“ ბრალდებით, აკადემიიდან გარიცხეს. 1930-1934 წწ-ში მუშაობდა რუსულ მოზარდ მაცურებელთა თეატრში ს. ვირსალაძესთან ერთად, სადაც გააფორმა სუმბათაშვილი-იუჟინის „ღალა-

ტი“ და მოლიერის „სკაპენის ოინები“. 1939-1970 წწ-ში მუშაობდა მხატვრად საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. მონაწილეობდა 45-ზე მეტ არქეოლოგიურ ექსპედიციაში (მათ შორის, ვანის, მცხეთის, ბაგინეთის, ბედიანის, სვანეთის, ბიჭვინთის გათხრებში). დიდი წვლილი მიუძღვის ასობით სამარხისა თუ უძველესი ნივთის დაფიქსირებაში. მის მიერ შესრულებული არქეოლოგიური ჩანახატებით, სქემებითა და რეკონსტრუქციებით იბეჭდებოდა ანგარიშები, სამეცნიერო კვლევები, მონოგრაფიები, მაგრამ, სამწუხაროდ, კ. კვეისის სახელი არსად იყო მოხსენიებული. მხატვრის პირველი პერსონალური გამოფენა მოეწყო ე. ახვლედიანის ინიციატივითა და ხელშეწყობით 1960-იან წწ-ში ე. ახვლედიანისვე სახელოსნოში. გამოფენამ დიდი გამოხმაურება პოვა პროფესიულ საზოგადოებაში, რის გამოც ექსპოზიცია საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში გადაიტანეს. კ. კვეისის სიცოცხლეში, 1982 წ-ს, მისი კიდევ ერთი პერსონალური გამოფენა შედგა მხატვრის სახლში.

მისი ნამუშევრები დაცულია სემ – ხელოვნების მუზეუმში, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში, მხატვრის ოჯახსა და კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. დარჩია ქ., კლარა კვეისის შემოქმედების ერთი ასპექტი, ვანტანგ ბერიძისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბ., 2009.

2. ლებანიძე დ., მხატვარი კლარა კვეისი, „საბჭოთა ხელოვნება“ №8, 1985.
3. ლეუავა ს., დაუფასებელი ბრწყინვალე მხატვარი, „24 საათი“ №14, 2006.

ჟოლინი პიოტრ

(1838 – ?)

ფერმწერი, ფოტოგრაფი. მოღვაწეობდა XIX ს-ის II ნახევარში. 1864 წ-ს მას „კლასგარეშე“ მხატვრის წოდება მიენიჭა. აგრეთვე ცნობილია, რომ პ. კოლჩინი, „ცნობილი მხატვარი ლუბლინიდან“, მუშაობდა ერმაკოვთან ერთად. 1860-იანი წწ-ის ბოლოს და 1870-იან წწ-ში თბილისში გახსნილი იყო „მხატვარ კოლჩინისა და ერმაკოვის ფოტოსახელოსნო“. ამ პერიოდში პ. კოლჩინმა ერმაკოვის ფოტოების მიხედვით შეასრულა სპარსეთის შაჰის პორტრეტი. კოლჩინი ლ. ლონგოსთან ერთად ასრულებდა ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძრის მხატვრობას თბილისში. 1880-იან წწ-ში პ. კოლჩინი ასწავლიდა ხატვას თბილისის სასწავლებლებში. მას შესრულებული აქვს საქართველოს სხვადასხვა კუთხის მაცხოვრებელთა პორტრეტები („მეგრელი“, „გურული“, „იმერელი“), ასევე მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეთა პორტრეტები (ტ. შვეჩენკო, გ. ჭავჭავაძე). კოლჩინი იყო „კავკასიის სამხატვრო საზოგადოების“ მუდმივი წევრი და, გარკვეულ პერიოდში, საზოგადოების მდივანიც.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოში (სემ – ხელოვნების მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა); საქართველოს ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი და სხვ.).

ბიბლიოგრაფია:

1. „ივერია“, №63, 1895.
2. „ცნობის ფურცელი“, №2658, 1904.

ჟორდანი გიორგი

(XIX ს.)

ფერმწერი. გიორგი ჟორდანიძის მოღვაწეობის შესახებ შემორჩენილი მასალა ძალიან მწირია. ცნობილია, რომ იგი 1850-1860-იან წწ-ში ნიჟეგოროდის დრაგუნთა 44-ე პოლკში მსახურობდა. 1858 წ-ს მან შეასრულა პოლკის ოფიცერთა ჯგუფური პორტრეტი. მხატვარი-ოფიცრის – ჟორდანიძის შესახებ ცნობები გაზეთ „კავკაზშიც“ გამოქვეყნდა. ჟორდანიძის მიერ დაწერილი თეკლა ბატონიშვილისა და ვანტანგ ორბელიანის პორტრეტები, რომლებიც, სავარაუდოდ, XIX ს-ის დასაწყისით თარიღდება, ქართული პორტრეტული ფერწერის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნიმუშების ასლებს წარმოადგენენ.

მისი ნამუშევრები დაცულია სემ – ხელოვნების მუზეუმში, ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია:

1. გაზეთი „კავკაზი“, №27, 1882.

პროტკოვი ვასილ

(ნაუმოვკა, 1880 – თბილისი, 1939)

გრაფიკოსი, ფერმწერი. დაიბადა რიზანის გუბერნიის სწავლობდა მოსკოვის სტროგანოვის სახ. ცენტრალურ

სამხატვრო-სამრეწველო სასწავლებელში, რომელიც 1903 წ-ს დაასრულა. 1905 წ-დან საცხოვრებლად გადმოვიდა საქართველოში და ქუთაისში დაიწყო ხატვის მასწავლებლად მუშაობა. 1921 წ-დან კროტკოვი თბილისში დასახლდა. კროტკოვი ასრულებდა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ამსახველ რეპორტაჟულ სერიებს, რომლებიც თბილისის სხვადასხვა გაზეთში იბეჭდებოდა. კროტკოვი ასევე ხატავდა ძველი თბილისის ხედებს, თანამედროვეთა პორტრეტებს.

მისი ნამუშევრები დაცულია სემ – ხელოვნების მუზეუმში, თბილისის ისტორიის მუზეუმში (ქარვასლა).

ბიბლიოგრაფია:

1. თბილისი ქართველი და უცხოელი მხატვრების შემოქმედებაში, ალბომი, შემდგენლები: მ. ციციშვილი, ნ. ქოლოშვილი, თბ., 2004.
2. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1970, М.: Советский художник, 1975.

პრუჩინისი ალექსი

(ოლევსკი, 1886 – მოსკოვი, 1968)

პოეტი ფუტურისტი, მხატვარი. სწავლობდა ოდესის სამხატვრო სასწავლებელში (1902-1906). 1907 წ-დან საცხოვრებლად გადავიდა მოსკოვში. ამავე წ-ს დაუახლოვდა დ. ბურლიუკსა და მოსკოვის ავანგარდული დაჯგუფების წევრებს. მონაწილეობდა სამხატვრო გამოფენებში. 1910 წ-ს შეუერთდა დავიდ და ვლადიმირ ბურლიუკების მიერ დაარსებულ რუსი ფუტურისტების ლიტერატურულ წრეს „პილია“ (Гилея).

1912 წ-დან იყო რუსული ფუტურ-იზმისა და ზაუმის პოეზიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თეორეტიკოსი და ავტორი. მას ეკუთვნის ზაუმის განთქმული ტექსტი *На собственном языке* (1913). მონაწილეობდა ფუტურისტების ალმანახებში (*Садок Судей*, *Пощёчина общественному вкусу*, *Трое*, *Дожлая луна*), გამოსცემდა თეორიულ ბროშურებს (*Слово как таковое*, *Тайные пороки академиков*), ასევე საავტორო კრებულებს (*Помада*, *Поросята*, *Взорваль*, *Тэ ли лэ*), რომლებსაც თვითონვე აფორმებდა. ველიმირ ხლუბნიკოვთან თანავტორობით შექმნა პოემა *Игра в аду* და ლიბრეტო ფუტურისტული ოპერისთვის *Победа над Солнцем* (მუსიკა მ. მატიუშინისა). I მსოფლიო ომისა და ოქტომბრის რევოლუციის პერიოდში ცხოვრობდა თბილისში, იყო წევრი მხატვართა და პოეტთა ჯგუფისა „ფუტურისტების სინდიკატი“. მონაწილეობდა კრებულში *Учитесьхудожу*. 1917 წ-ს გამოსცა წიგნი *Нособойка*. მონაწილეობდა თბილისის ფუტურისტული დაჯგუფების „41“ ჩამოყალიბებაში. 1920 წ-ს გადავიდა ბაქოში. თანამშრომლობდა *РОСТ*-ის ბაქოს განყოფილებასთან. 1921 წ-ს დაბრუნდა მოსკოვში. 1923 წ-ს გაწევრიანდა ლიტერატურული დაჯგუფებაში *ЛЕФ – Левый фронт*. 1928 წ-ს გამოსცა წიგნი „რუსული ფუტურ-იზმის 15 წელი – 1912-27“.

მისი ნამუშევრები დაცულია რუსეთისა და სხვადასხვა ქვეყნის მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. ტაბატაძე თ., არტისტული კაფე „ქიმერიონი“ და მისი მოხატულობა, ტფ., 1919, (თბ., 2011).

2. Айги Г., Кручёных А. Кукиш прошлякам, Москва-Таллин: Гилея, 1992.
3. Бирюков С., Поэзия русского авангарда, М.: Изд. Руслана Элинина, 2001.
4. Красиций С., Кручёных А. Стихотворения. Поэмы. Романы. Опера, Спб.: Академический проект, 2001.
5. Левинтон Г., Заметки о зауми. 1. Дыр, бул, щыл, Антропология культуры. Вып. 3, М., 2005.
6. Никольская Т., Фантастический город: Русская культурная жизнь в Тбилиси: 1917-1921, М.: Пятая страна, 2000.
7. Nikol'skaja T., Russian writers in Georgia in 1917-1921, The Ardis Anthology of Russian Futurism, E.&C.Proffer, 1980.

ლაგორიო ლევ

(ვეოდოსია, 1827 – სანკტ-პეტერბურგი, 1905)

ფერმწერი. წარმომავლობით იტალიელი რუსი მხატვარი სწავლობდა ვეოდოსიაში ი. აივაზოვსკის სახელოსნოში (1839-1840). 1842 წ-ს ჩააბარა პეტერბურგის საიმპერატორო სამხატვრო აკადემიაში. მისი პედაგოგები იყვნენ მ. ვორობიოვი და ცნობილი ბატალისტი ბ. ვილევალდე. 1847 წ-დან მოყოლებული, მიიღო რამდენიმე ვერცხლისა და ოქროს მედალი, 1850 წ-ს კი – ოქროს მედალი. 1851 წ-ს ჩამოვიდა კავკასიაში და აქ ერთი წელი დაჰყო. ამ პერიოდში ხატავდა საქართველოს კუთხეებს, ისტორიულ ადგილებსა და ქალაქებს. 1852 წ-ს დაბრუნდა რუსეთში, დაასრულა სამხატვრო აკადემია და კვლავ სამოგზაუროდ გაემგზავრა. 1852-1860 წწ-ში ცხოვრობდა პარიზში, შემდეგ – რომში. 1860 წ-ს რუსეთში დაბრუნებულ ლ. ლაგორიოს ევროპაში შექმნილი ნამუშევრებისათვის პროფესორის სტატუსი მიენიჭა.

1861-1863 წწ-ში კვლავ რამდენჯერმე იმოგზაურა კავკასიაში. 1864 წ-ს საბოლოოდ დასახლდა პეტერბურგში. გამოფენებზე მხატვარი ხშირად კავკასიის თემაზე შექმნილი ნამუშევრებით იყო წარმოდგენილი. პეტერბურგის აკადემიაში 1876 წ-ს გამოფენილი სურათი „თამარ დედოფლის ციხე სამხედრო გზაზე დარიალის ხეობაში“ შეიძინა იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ. კავკასიის ხედების შექმნისათვის ლ. ლაგორიოს მიენიჭა წმ. ანას III ხარისხის ორდენი. 1900 წ-ს იგი აირჩიეს სამხატვრო აკადემიის საპატიო წევრად.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს, რუსეთის, უკრაინის სახელმწიფო მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში (სემ – ხელოვნების მუზეუმი; ტრეტიაკოვის გალერეა, მოსკოვი; სახელმწიფო რუსული მუზეუმი, პეტერბურგი, რუსეთი; ხარკოვის სამხატვრო მუზეუმი, უკრაინა და სხვ.).

ბიბლიოგრაფია:

1. თბილისი ქართველი და უცხოელი მხატვრების შემოქმედებაში, ალბომი, შემდგენლები: მ. ციციშვილი, ნ. ქოლოშვილი, თბ., 2004.
2. ფერაძე თ., რუსი და უცხოელი მხატვრები საქართველოში (XIX საუკუნე), თბ., 1964.
3. Лагорио Лев Феликсович, Энциклопедический словарь Брокгауза и Ефрона, СПб., 1890-1907.

ლალაშვილი-ქიქოძე (ლალი) ემა

(თბილისი, 1904 – თბილისი, 1991)

ფერმწერი, გრაფიკოსი. ქართული ავანგარდული მხატვრობის ერთ-ერთი

გამორჩეული, თვითმყოფადი წარმომადგენელი (ცნობილია „ლალის“ ფსევდონიმით). დაიბადა ცნობილი თბილისელი ფოტოგრაფის არკადი ლალაიანცის (ლალაევის) ოჯახში, რომელიც ერენის მოედანზე მდებარე ფოტოატელიეს მფლობელი იყო. იგი 1921 წ-ს შევიდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო სახელოსნოში და სწავლობდა ბ. ფოგელთან. 1924-1928 წწ-ში სწავლა განაგრძო თბილისის სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტზე პროფესორ ი. შარლემანის კლასში. მისი პედაგოგები იყვნენ გ. გაბაშვილი, ე. ლანსერე, კ. ზდანევიჩი და სხვ. 1928 წ-ს სწავლის გაგრძელება მოსკოვში სცადა, თუმცა ჩანაფიქრი ვერ განახორციელა და დარჩა თბილისში, სადაც აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებას ეწეოდა. ერთდროულად მუშაობდა როგორც ფერმწერი, გრაფიკოსი, მხატვარი-დეკორატორი, სცენოგრაფი, მულტიპლიკატორი, კარიკატურისტი, ტანსაცმლის დიზაინერი. ასევე ქმნიდა ექსლიბრისებს, აფორმებდა საბჭოთა ზეიმებს. 1920-30-იან წწ-ში გააფორმა სპექტაკლები თბილისის მიუზიკ-ჰოლში, თანამშრომლობდა გამომცემლობასთან „სახელგამი“, ჟურნალებთან „დროშა“, „ტიქნიკა და შრომა“. 1939-1941 წწ-ში მუშაობდა მხატვარ-დეკორატორად კინოსტუდიაში „ქართული ფილმი“, თბილისის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა რუსულ თეატრებში, თანამშრომლობდა ჭიათურის, ახალციხის, ლანჩხუთის თეატრებთან. 1940 წ-ს გააფორმა პიონერთა სასახლის კაბინეტები. 1947-1952 წწ-ში თანამშრომლობდა ჟურნალებთან „ნიანგი“ და „დილა“, ხოლო 1952 წ-ს ხელმძღვანელობდა რკინიგზელთა სახლის ხელოვნების წრესაც. 1945 წ-ს მიიღეს მხატვართა კავშირის წევრად, მაგრამ

რეპრესირებული მეუღლის, გიორგი ედიბერიძის, გამო მალევე გარიცხეს და აღარც აღუდგენიათ. ე. ლალაევას სიცოცხლეში პერსონალური გამოფენა არ ჰქონია. მხატვრის პირველი გამოფენა მოეწყო მხოლოდ 2001 წ-ს თბილისში „ძველ გალერეაში“.

მისი ნამუშევრები ძირითადად დაცულია თბილისის კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. დარჩია ქ., კუბო-ფუტურისმის თავისებური „ვერსია“ ემა ლალაევა-ედიბერიძის შემოქმედებაში, „სპექტრი“ №1, 2006.
2. დარჩია ქ., უცნობი მხატვრის – ემა ლალაევა ედიბერიძის შემოქმედების ზოგიერთი თავისებურება, „კავკასიის მაცნე“, თბილისი-პრალა, 2006.
3. დარჩია ქ., უჩინარი ცხოვრება და ერთი სურათის საიდუმლო, „ლიტერატურა და ხელოვნება“ №5, 2009.

ლანსერე ევგენი

(*პავლოვსკი, 1875 – მოსკოვი, 1946*)

ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრის მხატვარი, ილუსტრატორი. XX ს-ის I ნახევრის ერთ-ერთი ცნობილი მხატვარი ხელოვანთა ოჯახში დაიბადა. მისი მამა იყო მოქანდაკე ე. ა. ლანსერე, ხოლო ბიძა – ნ. ბენუა. 1892 წ-დან სწავლობდა პეტერბურგის სამხატვრო სკოლაში. მისი პედაგოგები იყვნენ ი. ციონგლინსკი, ნ. სამოკივი და ე. ლიპგარტი. 1895-1898 წწ-ში მოგზაურობდა ევროპაში, სწავლობდა პარიზში ფ. კალაროსისა და რ. ფულიენის აკადემიებში ბ. კონსტანტის და ჟ. ლორანის ხელმძღვანელობით. 1898

წ-ს ს. დიაგილევის მიერ მოწყობილ რუსი და ფინელი მხატვრების გამოფენაზე ე. ლანსერემ გამოფინა ბრეტონული ლეგენდებისა და ზღაპრების ილუსტრაციები. 1899 წ-დან იგი გაწევრიანდა გაერთიანებაში *Мир искусства* და მუდმივად მონაწილეობდა გამოფენებში. 1907-1908 წწ-ში იყო „ძველი თეატრის“ (*Старинный театр*) ერთ-ერთი დამაარსებელი. 1910 წ-დე მისი ნამუშევრები იფინებოდა „რუს მხატვართა კავშირის“ გამოფენებზე. 1912-1915 წწ-ში ე. ლანსერე იყო სანკტ-პეტერბურგისა და ეკატერინბურგის ფაიფურის ქარხნებისა და მინის სახელოსნოების სამხატვრო ხელმძღვანელი. 1912 წ-ს იგი ფერწერის აკადემიკოსად აირჩიეს. მისი თავსართებით, წარწერებითა და წიგნის გარეკანებით შემკულია არაერთი წიგნი და ჟურნალი (*Мир искусства, Золотое Руно, Художественные сокровища России, Ежегодник Императорских Театров* და სხვ.). I მსოფლიო ომის დროს ლანსერე მხატვარ-კორესპონდენტად იმყოფებოდა კავკასიის ფრონტზე (1914-1915). კავკასიის თემა ძალიან მნიშვნელოვანი იყო მხატვრის შემოქმედებაში. 1917-1919 წწ-ში იგი ცხოვრობდა დაღესტანში, 1920 წ-დან ჩამოვიდა თბილისში. მუშაობდა მხატვრად ეთნოგრაფიის მუზეუმში და მონაწილეობდა კავკასიის არქეოლოგიური ინსტიტუტის ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში. 1922-1934 წწ-ში ლანსერე იყო სამხატვრო აკადემიის პროფესორი და ფერწერის ფაკულტეტის დეკანი. 1927-1931 წწ-ში იმყოფებოდა პარიზში, ხოლო 1934 წ-ს საბოლოოდ დატოვა საქართველო და თბილისიდან რუსეთში გადასახლდა, სადაც 1938 წ-მდე ლენინგრადის სამხატვრო აკადემიაში ასწავლიდა.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს (სემ – ხელოვნების მუზეუმი,

კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრის მუზეუმი) და რუსეთის სახელმწიფო მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. თეატრის მხატვრობა, კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის კოლექცია (ალბომი), შემდგენლები: მ. ციციშვილი, ნ. ვაჩიშვილი, მ. სობაძე, თბ., 2006.
2. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1979, М.: Советский художник, 1975.
3. Евгений Лансере Дневники, в 3-х томах, М.: Искусство-XXI Век, 2008.
4. Лансере Е. Е., Каталог выставки, М., 1961.
5. Лобанов В. М., Книжная графика Е. Е. Лансере, Обложка и заглавные буквы художника М. В. Маторина, М.-Л., 1948.
6. Подобедова О. И., Е. Е. Лансере. 1875–1946, М.: Советский художник, 1961.
7. Таханаева П., Лансере в Дагестане, “Бизнес-Успех” №2, 2009.
8. Lanceray Eugeni, In: Ulrich Thieme, Felix Becker u. a.: Allgemeines Lexikon der Bildenden Künstler von der Antike bis zur Gegenwart, Band 22, E. A. Seemann, Leipzig, 1928.

ლაიაშვილი ვარნაო

(*მირზაანი, 1917 – თბილისი, 1994*)

თეატრისა და კინოს მხატვარი. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტზე (1934-1941), აქვე მუშაობდა პედაგოგად, 1960 წ-დან ხელმძღვანელობდა თეატრალურ-დეკორაციულ სახელოსნოს. იყო თსსა პროფესორი,

კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრის (1944-1946), შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრის მხატვარი (1948-1967). წლების მანძილზე გაფორმებული აქვს მრავალი სპექტაკლი, მათ შორის: სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“ (1956), უ. შექსპირის „ჰამლეტი“ (1960) და „მაკბეტი“ (1972), ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი“ (1960), გ. ნახუცრიშვილის „ფიროსმანი“ (1961), ბრეხტის „სამგროშიანი ოპერა“ (1963), ფ. შილერის „დონ კარლოსი“ (1971) და სხვ. მუშაობდა ფილმებზე „ქეთო და კოტე“ (1946), „ცისკარა“ (1955), „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ (1965) და სხვ. დაჯილდოებულია სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიით დ. თორაძის ბალეტისათვის „გორდა“ (ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი, 1951). იყო საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმებსა (სემ – ეროვნული გალერეა, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი, ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მუზეუმი და სხვ.) და კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. გელაშვილი ლ., რეალური სამოსიდან კოსტიუმამდე, საქართველოს შ. რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2011 (ავტორეფერატი).
2. ქართველი მხატვრები და თბილისი (კატალოგი), შემდგ. გ. კალანდია, თბ., 2012.

ლექსა ზურაბ

(*თბილისი, 1925 – თბილისი, 2011*)

ფერმწერი, გრაფიკოსი. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში დაზგურ გრაფიკას ლ. გრიგოლიასთან და ი. შარლემანთან (1944-1950). 1954 წ-დან იყო საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი. 1960 წ-დან ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში, იყო ამავე აკადემიის პროფესორი და გამოყენებითი გრაფიკის კათედრის გამგე (1971-1995), საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე (1958-1962), ამავე კავშირის თავმჯდომარე (1968-1972). მისი შემოქმედება არაერთ სფეროს მოიცავდა: წიგნის ილუსტრაციას, გრაფიკულ დიზაინს, მონუმენტურ-დეკორაციულ ხელოვნებას. ზ. ლექსაბას გაფორმებული აქვს დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“, შესრულებული აქვს მონუმენტური რელიეფი „თბილისი“, შექმნილი აქვს თბილისის არაერთი გრაფიკული ჩანახატი („ძველი თბილისი“, „რუსთაველის გამზირი“ და სხვ., 1960), ასევე ბუდაპეშტისა და ბერლინის სერიები (1960-1962). მუშაობდა თემატურ კომპოზიციებზე, ხატავდა პეიზაჟებს. მონაწილეობდა გამოფენებში საქართველოსა და უცხოეთში (ჰელსინკი, აშშ, პოლონეთი, კანადა). 1963 წ-ს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მხატვრის წოდება, ხოლო 1988 წ-ს – საქართველოს სახალხო მხატვრის წოდება. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1995), არის საქართველოს მხატვართა კავშირის ლ. გრიგოლიას სახ. პრემიის ლაურეატი (1998).

მისი ნამუშევრები დაცულია სემ – ხელოვნების მუზეუმში, სემ – ეროვნულ გალერეაში, მხატვრის ოჯახში, კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. ვანო მელაშვილი, გიორგი მირზაშვილი, ზურა ლექსაბა, სანდრო ვაჩიშვილი (გამოფენის კატალოგი), ტექსტი თ. მელიქიშვილისა, თბ., 1999.
2. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1970, М.: Советский художник, 1975.

ლოლუა (გამია) ჯემალ

(*თბილისი, 1932*)

გრაფიკოსი, ილუსტრატორი. სწავლობდა ი. ნიკოლაძის სამხატვრო სასწავლებელში, შემდეგ კი – თბილისის სამხატვრო აკადემიაში (1952-1958). მისი მასწავლებლები იყვნენ ლ. გრიგოლია, ი. შარლემანი, ვ. შუხაევი. ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას ამავე აკადემიის გრაფიკის კათედრაზე. 1962 წ-დან არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი. იყო საქართველოს მხატვართა კავშირის მდივანი (1973-1974). დასურათებული აქვს მრავალი ქართველი მწერლის ნაწარმოები (ნ. დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“, ა. აბაშელის „ქალი სარკეში“, ა. ბელიაშვილის „ვეფხია ხალიბაური“ და სხვ.). 1986 წ-ს მიენიჭა სსრკ-ის სამხატვრო აკადემიის დიპლომი ძმები გრიმებისა და ქართული ხალხური ზღაპრების დასურათებისთვის. ქმნიდა გრაფიკულ ნაწარმოებებს სოცრეალისტურ თემაზე. მუშაობდა კარიკატურასა და პლაკატზე. მონაწილეობდა საკავშირო და საერთაშორისო გამოფენებში (საბავშვო წიგნის მხატვართა მოსკოვის საერთაშორისო ბიენალე, 1972; საბავშვო წიგნის მხატვრები, თბილისი, 1973; წიგნის მხატვართა სა-

კავშირო გამოფენა, მოსკოვი, 1980; საბავშვო წიგნის საერთაშორისო ბიენალე, ბოლონია, 1987 და სხვ.). ჯ. ლოლუას ნამუშევართა პერსონალური გამოფენა შედგა თბილისში 1970 წ-ს. არის საქართველოს სახალხო მხატვარი (1988). დაჯილდოებულია III პრემიით კარიკატურის საერთაშორისო კონკურსზე (თურქეთი, 1996) და საქართველოს სახელმწიფო პრემიით (1998).

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს მუზეუმებში (სემ – ხელოვნების მუზეუმი, სემ – ეროვნული გალერეა, გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, დ. კაკაბაძის სახ. ქუთაისის სახვითი ხელოვნების გალერეა და სხვ.), საქართველოსა და რუსეთის კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. სსრკ მხატვართა კავშირის წევრთა ცნობარი, ტ. III, მოსკოვი, 1982.
2. ჯემალ ლოლუას პირველი პერსონალური გამოფენა, „ლიტერატურული საქართველო“ (20/XI), 1970.
3. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1970, М.: Советский художник, 1975.

ლონგო ლუდვიგ

(*1831 – თბილისი, 1914*)

ფერმწერი. იტალიელი მხატვარი ლ. ლონგო XIX ს-ის II ნახევარში ჩამოვიდა და სამუდამოდ დასახლდა თბილისში. გახსნა კერძო სამხატვრო სტუდია, სადაც, როგორც ცნობილია, მისი მოწაფეები ნახშირით ხატავდნენ თაბაშირის თავებს, ასევე ზეთის

საღებავებით ასრულებდნენ საფლავის ძეგლების ასლებს და სხვ. 1890-იან წწ-ში შეასრულა წმ. სამების ეკლესიის კედლის მხატვრობა, აგრეთვე სხვებთან ერთად მოხატა ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარი, რომელიც განადგურდა საბჭოთა წყობის დამყარების პირველ წლებში. 1908 წ-ს ლ. ლონგო მონაწილეობდა „კავკასიის კაზმულ ხელოვნებათა წამახალისებელი საზოგადოების“ მიერ მოწყობილ გამოფენაში, სადაც წარმოდგენილი იყო მისი სამი სურათი. ლონგოს მოსწავლეები იყვნენ ა. ციმაკურიძე და ლ. გუდიაშვილი.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოში (სემ – ხელოვნების მუზეუმი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია; ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი და სხვ.).

ბიბლიოგრაფია:

1. გუდიაშვილი ლ., მოგონებების წიგნი, თბ., 1979.
2. ფერაძე თ., რუსი და უცხოელი მხატვრები საქართველოში (XIX ს.), თბ., 1964.
3. „სახალხო გაზეთი“, №984, 1913.

მაისაშვილი სპვირიან

(თბილისი, 1900 – თბილისი, 1980)

გრაფიკოსი, ფერმწერი, მინიატურისტი. სწავლობდა მ. თოიძის სამხატვრო სტუდიაში (1923-1925) და თბილისის სამხატვრო აკადემიაში ე. ლანსერესთან, ე. თადევოსიანთან, ი. შარლემანთან, ლ. გუდიაშვილთან (1926-1930). იყო სამხატვრო აკადემიის პედაგოგი (1952-1960). თავდაპირველად მუშა-

ობდა გრაფიკის დარგში, შემდეგ შექმნა ბატალური სურათების ფერწერული სერია („გიორგი სააკაძის ბრძოლა სპარსელებთან მარაბდის ველზე“, 1941; „სასტუმრო „თბილისი“, „ნასაკირალის ბრძოლა“, „კრწანისის ომი“, 1958). განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მოღვაწეობა მინიატურის უანრში. იგი არის პირველი ქართველი ხელოვანი, რომელმაც ძველი ტრადიციების გათვალისწინებით განავითარა თანამედროვე ქართული მინიატურული ხელოვნება. მისი ესკიზის მიხედვით გამოიცა საიუბილეო საფოსტო მარკა შოთა რუსთაველის პორტრეტით (1937). დასურათებული აქვს შ. მღვიმელის, ა. ყაზბეგის, სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკები და „ვეფხისტყაოსანი“. 1951-1976 წწ-ში შექმნა ციკლი „ძველი თბილისი“. 1951 წ-ს ს. მაისაშვილის ესკიზის მიხედვით შეიქმნა საქართველოს სსრ დროშა. 1967 წ-ს მიენიჭა საქართველოს სსრ-ის სახალხო მხატვრის წოდება.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა (სემ – ხელოვნების მუზეუმი, ეროვნული გალერეა, ს. ჯანაშიას სახ. ისტორიის მუზეუმი, გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწ. მუზეუმი, სახელმწ. ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმი) და რუსეთში (ალმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმი, მოსკოვი).

ბიბლიოგრაფია:

1. კარტოზია თ., სევერიან მაისაშვილი, ნამუშევრების გამოფენა, თბ., 1967.
2. სევერიან მაისაშვილი, „დროშა“ №7, 1978.
3. Джапаридзе Г., Краски, полные радосты, Тб.: „Заря Востока“ (24/IX) 1970.

4. Лагидзе Л., В миниатюрах – Грузия, „Вечерний Тбилиси“ (4/IV), 1970.

მაისურაძე ბრიგოლ

(წინანდალი, 1817 – ქუთაისი, 1885)

ფერმწერი, პირველი ქართველი პროფესიონალი მხატვარი. იყო ალ. ჭავჭავაძის ყმა. პოეტის ხელმწიფობით, ორი წლის განმავლობაში სწავლობდა ხატვას ჭავჭავაძეთა მამულში პორტრეტების შესასრულებლად მიწვეულ მხატვართან. 1837 წ-ს ალ. ჭავჭავაძემ გრ. მაისურაძე ფერწერასა და ხატვაში მიღწეული წარმატების გამო ყმობიდან გაათავისუფლა და სასწავლებლად პეტერბურგის საიმპერატორო სამხატვრო აკადემიაში გაგზავნა. პროფესორ კ. ბრიულოვის კლასში „კლასგარეშე მოწაფედ“ ჩარიცხულ უკიდურესად ხელმოკლე გრ. მაისურაძეს მატერიალურ დახმარებას უწევდა ბაგრატი ბატონიშვილი. გრ. მაისურაძე იყო პირველი ქართველი და საერთოდ კავკასიელი, რომელმაც პეტერბურგის საიმპერატორო სამხატვრო აკადემია დაასრულა და „კლასგარეშე თავისუფალი მხატვრის“ წოდება მიიღო. 1850 წ-დან მხატვარი დასახლდა ქ. ქუთაისში, სადაც მუშაობდა კალიგრაფიისა და ხაზვა-ხატვის მასწავლებლად კლასიკურ გიმნაზიაში. ამის შემდეგ გარდაცვალებამდე მისი ცხოვრება და პედაგოგიური თუ შემოქმედებითი მოღვაწეობა ამ ქალაქსა და სასწავლებელთან იყო დაკავშირებული. გრ. მაისურაძე იყო ნ. ნიკოლაძის, ნ. მარის, აკ. წერეთლის, გ. წერეთლის, ბ. ლოლობერიძისა და სხვათა მასწავლებელი. მისი ნამუშევრებიდან მხოლოდ მცირე ნაწილია ცნობილი. ადრეული ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია ბაგრატი ბატონიშვილის

შვილის, ალ. ბაგრატიონის, პორტრეტი, შესრულებული 1839 წ-ს პეტერბურგში, ასევე ი. ჭიჭინაძის პორტრეტი, დაწერილი 1853 წ-ს ვ(ორივე ინახება სემ – ხელოვნების მუზეუმში). მხატვრის ნამუშევრებიდან მნიშვნელოვანია აგრეთვე ნ. აბულაძის პორტრეტი (1860-იანი წწ.) და ავტოპორტრეტი (1860-70-იანი წწ-ის მიჯნა). გრ. მაისურაძეს შესრულებული აქვს ქუთაისისა და ახლომდებარე სოფლის ეკლესიების კანკელების მოხატულობაც.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოში (სემ – ხელოვნების მუზეუმი, ზუგდიდის სახელმწ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი).

ბიბლიოგრაფია:

1. ამირანაშვილი შ., ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961.
2. დუდუჩავა მ., ახალი ქართული ხელოვნება, თბ., 1950.
3. კვასცაძე შ., მხატვარი გრიგოლ ივანეს ძე მაისურაძე, „საბჭოთა ხელოვნება“ №9, 1940.
4. შანიძე ლ., გრიგოლ მაისურაძე – XIX საუკუნის მხატვარი, „ფრესკა“ №2, 1968.
5. Шервашидзе Л., Жизнь и творчество художника Гр. Маисурадзе, Ars Georgia, VII-B, 1974.

გალაზონია მაია

(თბილისი, 1936)

ფერმწერი, გრაფიკოსი, სცენოგრაფი, თეატრისა და კინოს მხატვარი, წიგნის ილუსტრატორი. სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში ფერწერის

ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1962 წ-ს. 1967 წ-დან იყო რუსთავის დრამატული თეატრის მთავარი მხატვარი, ხოლო 1969 წ-დან კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო დრამატული თეატრის მთავარი მხატვარი. ასევე თანამშრომლობდა კინოსტუდია „ქართულ ფილმთან“. 1976 წ-დან დაინიშნა ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის მთავარ მხატვრად. გაფორმებული აქვს დაახლოებით 150 თეატრალური, საბალეტო და მუსიკალური წარმოდგენა საქართველოსა და უცხოეთში (მოსკოვი, კიევი, მინსკი და სხვ.). მ. მალაზონიამ იმუშავა 20-მდე ფილმზე, იყო დამდგმელი მხატვარი ანიმაციებისა: „ურვეულო ნადირობა“, „მამლაყინწა“, „კაცუნები“. თანამშრომლობდა თეატრისა და კინოს გამოჩენილ რეჟისორებთან მ. თუმანიშვილთან, რ. სტურუასთან, გ. ლორთქიფანიძესთან და სხვ. როგორც დიზაინერი და ილუსტრატორი, თანამშრომლობდა არაერთ გამოცემლობასთან თბილისში, მოსკოვში, ლონდონში, ამსტერდამსა და სტამბოლში. შექმნილი აქვს ქართული და მსოფლიო ლიტერატურის კლასიკის მრავალი საინტერესო ილუსტრაცია. მან დაასურათა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, მ. ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტა“, ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“, „რუსუდანია“, ბრენტის პიესები და სხვ. შესრულებული აქვს დაზღურ-გრაფიკული ციკლები. არის საქართველოს მხატვართა კავშირისა და საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი. მონაწილეობდა სან-პაოლოს (1967), ბელგრადის (1969), პრატის (1975) სცენოგრაფიის კვადრინალეებზე, ასევე საერთაშორისო წიგნის ბინალეებზე ბერლინში, ლაიფციგსა და ვილნიუსში. 1970-იანი წწ-დან იყო არაერთი ადგილობრივი, საკავშირო და საერ-

თაშორისო გამოფენის მონაწილე. იფინებოდა პერსონალურად საქართველოსა და უცხოეთში (მხატვრის სახლი, თბილისი, 1981; გალერეა TMS, 1996; ეროვნული გალერეა, 2003; თიბისის არტ-გალერეა, 2012; მხატვრის სახლი, ვილნიუსი 1987; კულტურის საერთაშორისო ცენტრი, ამსტერდამი 2000; მხატვრის ცენტრალური სახლი, მოსკოვი, 2004 და სხვ.). მიღებული აქვს მრავალი ჯილდო, მათ შორის, საქართველოს დამსახურებული მხატვრისა (1980) და საქართველოს სახალხო მხატვრის (1983) წოდება. არის შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი (2009). დღესდღეობით არის თბილისის სამხატვრო აკადემიისა და თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის პროფესორი.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს (სემ – ხელოვნების მუზეუმი, სემ – ეროვნული გალერეა, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმი, გ. ლეონიძის სახ. სახელმწ. ქართული ლიტერატურის მუზეუმი) და უცხოეთში (პუშკინის მუზეუმი, ტრეტიაკოვის გალერეა, აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმი, ბახრუშინის თეატრის მუზეუმი – მოსკოვი, რუსეთი და სხვ.), ასევე საქართველოს, აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიისა და სხვა ქვეყნების კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. „ვეფხისტყაოსანს“ მოგიტხოვრებენ ა. არაბული და მ. მალაზონია, ტექსტის ავტ. ა. არაბული, ილუსტრ. მ. მალაზონიასი, რედ. ლ. ღვინჯილია, თბ., 2009.
2. მამია მალაზონიას წიგნი (ალბომი), ტექსტი დ. ანდრიძისა, თბ., 2009.

3. მამია მალაზონია, გრაფიკა (ალბომი), თბ., 1982.
4. ცხოვრება იესო ქრისტესი, მხატვ. მამია მალაზონია, რედ. ზ. კიკნაძე, თბ., 1996.
5. ხუცესი იაკობ, წამება შუშანიკისა, წინასიტყვ. ივ. ლოლაშვილისა, ილუსტრ. მ. მალაზონიასი, მხატვ. ა. თოდრია, თბ., 1987.

გამალაქი იორა

(ზესტაფონი, 1911 – თბილისი, 1966)

ფერმწერი. სწავლობდა თბილისში მ. თოიძის სახალხო სამხატვრო სტუდიაში (1926-1928), შემდეგ – თბილისის სამხატვრო აკადემიაში (1928-1932), სადაც მისი პედაგოგები იყვნენ გ. გაბაშვილი და ე. ლანსერე. 1940-1945 წწ-ში ასწავლიდა თბილისის სამხატვრო სასწავლებელში, ხოლო 1952-1966 წწ-ში – თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში. ძირითადად ხატავდა საქართველოს ბუნებას ზეთისა და აკვარელის საღებავებით. შესრულებული აქვს ინდუსტრიული პეიზაჟები და სურათები სოცრეალისტურ თემაზე. მრავალი წლის მანძილზე ასწავლიდა სხვადასხვა საშუალო სამხატვრო სასწავლებელში. მას ეკუთვნის რამდენიმე სახელმძღვანელო (პერსპექტივა მხატვრებისთვის, თბ., 1953; დაწყებითი პერსპექტივა, სახელმძღვ. საშუალო სამხატვრო სასწავლებლებისთვის, თბ., 1962). მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული მხატვრის წოდება.

მისი ნამუშევრები დაცულია სემ – ეროვნულ გალერეაში, თბილისის ისტორიის მუზეუმში (ქარვასლა), ასევე კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. ლომთაძე დ., თვალწარმტაც პეიზაჟებში, გაზ. „კომუნისტი“ №5, 1937.
2. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1970, М.: Советский художник, 1975.

გამალაქი შალვა

(ხევი, 1895 – თბილისი, 1963)

ფერმწერი, გრაფიკოსი, კინოს მხატვარი. დაამთავრა ქუთაისის რეალური სასწავლებელი, სადაც ხატვას ასწავლიდა ვ. კროტკოვი. სწავლობდა თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტში და პარალელურად მუშაობდა ხატვის მასწავლებლად საშუალო სკოლებში. ამავე დროს, მეცადინეობდა „კავკასიის კაზმული ხელოვნების წამახალისებელი საზოგადოების“ სამხატვრო სასწავლებელში და თანამშრომლობდა ჟურნალებთან „ჯეჯილი“ და „თეატრი და ცხოვრება“. მონაწილეობდა საქართველოს გერბის ესკიზის შესარჩევად გამართულ კონკურსში და მოიპოვა II პრემია. სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში გ. გაბაშვილთან და ე. ლანსერესთან (1922-1929). 1939-1963 წწ-ში ასწავლიდა აკადემიაში. 1959 წ-ს მიენიჭა პროფესორის წოდება. ხშირად აქვეყნებდა წერილებს ქართული ხელოვნების საკითხებზე. 1923 წ-ს მისი ინიციატივით თბილისში მოეწყო „ახალგაზრდა მხატვართა ჯგუფის პირველი გამოფენა“, რომელშიც მონაწილეობდნენ ქართველი, რუსი და სომეხი მხატვრები. მხატვრულად გააფორმა და დაასურათა ეგნატე ნინოშვილის თხზულებათა ორტომეული. იყო შვიდი ქართული ფილმის მხატვარი („ნარინჯის ველი“ – ი. გაბაშვილთან

ერთად, 1937; „დიადი განთიადი“ – 1938; „კოლხეთის ჩირაღდნები“ – 1941 და სხვ.). წლების მანძილზე თავმჯდომარეობდა მხატვართა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმს (1943-1950). იყო საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი და „წითელი ვარსკვლავის“ ჯილდოს მფლობელი.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს (სემ – ხელოვნების მუზეუმი, გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწ. მუზეუმი) და რუსეთში (აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმი, მოსკოვი), ასევე კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. დუდუჩავა მ., შალვა მამალაძე, თბ., 1972.
2. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1970, М.: Советский художник, 1975.

ბალაზიშვილი ქეთევან

(ქუთაისი, 1894 – თბილისი, 1973)

ფერმწერი, გრაფიკოსი. ცნობილი ქართველი პორტრეტისტი სწავლობდა თბილისში „კავკასიის კაზმულ ხელოვნებათა წამახალისებელი საზოგადოების“ ფერწერისა და ქანდაკების სკოლაში, სადაც მისი მასწავლებლები იყვნენ ი. ნიკოლაძე, მ. თოიძე, ო. შმერლინგი და ე. თადევოსიანი (1911-1914). შემდეგ სწავლა განაგრძო მოსკოვის ფერწერის, ქანდაკებისა და ხელოვნების სასწავლებელში კ. კოროვინთან, ნ. კასატკინთან,

ს. მალიუტინთან (1914-1917). 1917 წ-ს, რევოლუციის შემდეგ, დაბრუნდა თბილისში და მუშაობა დაიწყო ახლად დაარსებულ ეროვნულ გალერეაში. გალერეის ხელმძღვანელმა დ. შევარდნაძემ დიდი როლი ითამაშა ქ. მაღალაშვილის, როგორც მხატვრის, ჩამოყალიბებაში. 1923-1926 წწ-ში ქ. მაღალაშვილი ცხოვრობდა პარიზში, სადაც სამხატვრო განათლებას იღრმავებდა ფ. კოლოროსის „თავისუფალ აკადემიაში“. საქართველოში დაბრუნების შემდეგ მოღვაწეობდა თბილისში. 1926-1937 წწ-ში მუშაობდა ეროვნულ სამხატვრო გალერეაში, იყო მხატვარი-რესტავრატორი ეროვნული გალერეის საფუძველზე შექმნილ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში „მეტეხი“. ქ. მაღალაშვილი სიცოცხლის ბოლომდე აგრძელებდა მუშაობას პორტრეტულ ჟანრში. მხატვრის მიერ შექმნილი გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწეების მრავალრიცხოვანი პორტრეტები მნიშვნელოვანია ქართული კულტურისთვის როგორც ისტორიული, ისე მხატვრული თვალსაზრისით.

მისი ნამუშევრები დაცულია სახელმწიფო მუზეუმებსა (სემ – ხელოვნების მუზეუმი; საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწ. მუზეუმი; აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების სახელმწ. მუზეუმი, მოსკოვი და სხვ.) და კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. ბერიძე ვ., დიდი მხატვარი, „დროშა“ №11, 1961.
2. კარბელაშვილი მ., ქართული გრაფიკა (1900-1920 წწ.), Ars Georgica, ელ. ჟურნალი, სერია B, 2010. იხ.:

<http://www.georgianart.ge/index.php?option=com-content&view=article&id=55%3A-1900-1920-&catid=42%3A2010-12-03-16-05-33&Itemid=91&lang=ka>.

3. ქეთევან მაღალაშვილი (ალბომი), შემდგ. ქ. ბოტკოველი, რედ. ე. რამიშვილი, თბ., 1987.
4. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1970, М.: Советский художник, 1975.
5. Вирсаладзе Т., Кето Магалашвили, Тб., 1958.
6. Мирцхулава Н., Творчество Кетевана Магалашвили, Тб.: Хеловнеба, 1982.
7. Народный художник Грузинской ССР. К. Магалашвили, Каталог, М., 1973.

ბაყაშვილი შალვა

(თბილისი, 1903 – თბილისი, 1990)

ფერმწერი. სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში (1923-1929). იყო გ. გაბაშვილისა და ე. ლანსერეს მოწაფე. ჯერ კიდევ 30-იანი წწ-დან მონაწილეობდა რესპუბლიკურ გამოფენებში. 1934-1936 წწ-ში იმოგზაურა სვანეთში, რაჭაში, თუშეთში, მონაწილეობდა ალპინისტურ ლაშქრობებშიც. სწორედ ამ პერიოდში შეასრულა მრავალი პეიზაჟი, სადაც საქართველოს მრავალფეროვანი ბუნებაა გადმოცემული. 40-იან წლებიდან დაინტერესდა ისტორიული თემატიკითა და ყოფითი ჟანრით („თბილისის დაცვა ჯალალედინის შემოსევისაგან“, 1939; „მარჯვე ნადირობა“, 1947; „ვარძია“, 1948 და სხვ.). 1958 წ-ს მიენიჭა საქართველოს სსრ-ის დამსახურებული მხატვრის წოდება.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმებსა (სემ – ხელოვნების მუზეუმი, ეროვნულ

ლი გალერეა, თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა); გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწ. მუზეუმი და სხვ.) და კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. შალვა ბაყაშვილი (ბუკლეტი), სერია „საქართველოს მხატვრები“, თბ., 1958.
2. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1970, М.: Советский художник, 1975.

ბახარაძე (ქუი) კონსტანტინე

(ოჩამჩირე, 1929 – თბილისი, 1992)

ფერმწერი, გრაფიკოსი. სწავლობდა ი. ნიკოლაძის სახ. სამხატვრო სასწავლებელში და თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში უ. ჯაფარიძესთან (1947-1953). 1950-60-იან წწ-ში იტაცებდა ისტორიული სიუჟეტები, შესრულებული აქვს მრავალფეროვანი მონუმენტური კომპოზიციები („სუფოროვი და ბაგრატიონი ალპებში“, სადიპლომო ნამუშევარი, 1952; „ასპინძის გამარჯვება“, 1961 და სხვ.). 60-იანი წწ-ის ბოლოდან ქმნიდა ალტერნატიული ხასიათის ნაწარმოებებს („თეთრი ხარი“; „მიწა ქართული“, თსუ-ისთვის შესრულებული მონუმენტური პანო და სხვ.). ამავე პერიოდიდან მონაწილეობდა საგაზაფხულო და საშემოდგომო გამოფენებში, იფინებოდა საქართველოსა და უცხოეთში (მანეჟის საგამოფენო დარბაზი, მოსკოვი, რუსეთი, 1980; საგარეო საქმეთა სამინისტრო, დელი, ინდოეთი, 1983; საქართველოს კულტურის დღეები, სტოკჰოლმი, შვე-

დეთი, 1988; ჰაფსტრას უნივერსიტეტი, ნიუ-იორკი, აშშ, 1991 და სხვ.). 1960 წ-დან მუშაობდა პედაგოგად თბილისის სამხატვრო აკადემიაში. 1973 წ-ს მიენიჭა პროფესორის წოდება. იყო საქართველოს დამსახურებული მხატვარი.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოში (სემ – ხელოვნების მუზეუმი, ეროვნული გალერეა; თბილისის სახელმწ. სამხატვრო აკადემიის მუზეუმი), რუსეთსა (მოსკოვის ტრეტიაკოვის სახ. სურათების გალერეა) და უკრაინაში (რუსული მუზეუმი, კიევი), ასევე არაერთი ქვეყნის კერძო კოლექციებში (აშშ, კანადა, ინგლისი, ინდოეთი, იტალია, რუსეთი).

ბიბლიოგრაფია:

1. კოკი მახარაძე, ფერწერა, გრაფიკა (ალბომი), რედ. ნ. შერვაშიძე, წინათქმა მ. მახარაძისა, თბ., 2011.
2. Воронов Н., В мастерских М. Бердзенишвили и К. Махарадзе, “Искусство” №5, 1971.
3. Кутателадзе А., Радость творчества, “Литературная газета” (13/XII), 1967.
4. Кутателадзе А., Земля Грузинская, “Заря Востока” (2/II), 1969.
5. Нацишвили С., В дар Ленинграду, “Вечерний Тбилиси” (14/VII), 1971.

მისი ბრიგოლ

(კვირიკეწმინდა, 1884 – თბილისი, 1971)

ფერმწერი. სამხატვრო განათლება მიიღო „კავკასიის კაზმულ ხელოვნებათა წამახალისებელი საზოგადოების“ ხატვის სკოლაში, რომელიც წარმატებით დაამთავრა. 1905-1908 წწ-ში სწავ-

ლობდა მოსკოვის ფერწერის, ქანდაკებისა და ხელოვნობის სასწავლებელში, იყო ა. არნიპოვის, ნ. კასატკინისა და ვ. სეროვის მოწაფე. 1908 წ-ს გრ. მესხი დაბრუნდა საქართველოში. ამ დროიდან იგი დაუახლოვდა თეატრის მოღვაწეებს და მუშაობდა თეატრებში მხატვარ-დეკორატორად. გრ. მესხმა შეასრულა ქართველი მსახიობებისა და ცნობილი მწერლების პორტრეტები. მხატვარი ბევრს მუშაობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის ეთნოგრაფიულ პორტრეტებზეც – „იმერელი“, „მეგრელი“, „გურული“ და სხვ. 1942-1959 წწ-ში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში. 1967 წ-ს მიენიჭა საქართველოს სსრ-ის სახალხო მხატვრის წოდება.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოში (სემ – ხელოვნების მუზეუმი და სხვ.).

ბიბლიოგრაფია:

1. ამირანაშვილი შ., ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961.
2. გრიგოლ მესხის სურათების გამოფენა (კატალოგი), წინასიტყვ. ჯ. ჭანტურიასი, თბ., 1965.
3. Есаева В., Григол Месхи – художник и друг, “Молодой сталинец” (9/ VII), 1960.
4. Зданевич К., Старейший художник, “Вечерний Тбилиси” (17/II), 1961.
5. Марьян В., Мир большого художника, “Заря Востока” (30/X), 1965.
6. Художественная жизнь Советского Союза, Выставка Г. Месхи, “Искусство” №2, 1960.

მესხიძე (ნანული) ნანა

(თბილისი, 1936 – თბილისი, 1997)

ფერმწერი. 1953 წ-ს შევიდა ი. ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო ტექნიკუმში, შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ფერწერის ფაკულტეტზე უ. ჯაფარიძესთან (1957-1963). სამხატვრო აკადემიის დასრულებისთანავე აქტიურად მონაწილეობდა გამოფენებში (ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი გამოფენა, თბილისი, 1963; „ძალა სიმრავლეში“, პერსონალური გამოფენა, 1983; „ფიზკულტურა და სპორტი სახვით ხელოვნებაში“, მოსკოვი, 1967; ხუთი ქართველი მხატვრის ფერწერული გამოფენა, 1977; „საბჭოთა კავშირის ახალგაზრდა მხატვრები“, სოფია, 1968 და სხვ.). 1979 წ-ს მონაწილეობდა მხატვართა საერთაშორისო სიმპოზიუმში პრალაში. 1982 წ-ს შემოქმედებითი მივლინებით იმყოფებოდა ფინეთში, ხოლო 1990 წ-ს – ლიტვაში, სადაც პალანგის მხატვრის სახლში გაიმართა მისი ნამუშევრების ორი გამოფენა. 1965 წ-ს გახდა მხატვართა კავშირის წევრი. მუშაობდა ი. ნიკოლაძის სახ. სამხატვრო ტექნიკუმში ფერწერის პედაგოგად (1983-1988), თანამშრომლობდა ჟურნალთან „საქართველოს ქალი“, ასრულებდა ილუსტრაციებს. 1977 წ-ს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მხატვრის წოდება.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა (სემ – ხელოვნების მუზეუმი) და რუსეთის მუზეუმებსა და გალერეებში, ასევე კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. მესხიძე ნანა (ბუკლეტი), თბ., 1973.
2. საქართველოს სახვითი ხელოვნების გამოფენა „მშვიდობის სადარაჯოზე“ (კატალოგი), თბ., 1965.
3. ფოცნიშვილი მ., მაღლი დედაშვილობისა, ჟურნ. „საქართველოს ქალი“ №1, 1983.
4. Всесоюзная художественная выставка “На страже мира” (каталог), М.: Советский художник, 1965.
5. Всесоюзная художественная выставка “Слава труду” (каталог), М.: Советский художник, 1976.
6. Выставка живописи пяти грузинских художников (каталог), М., 1977.
7. Парусидзе Гр., Я для тебя лишь сердце ширю, журн. “Дружба народов” №2, 1975.

გეტონიძე ნიკოლოზ

(თბილისი, 1911 – 1986)

ფერმწერი. სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში, იყო ა. ქუთათელაძის მოწაფე (1940-1947). ქმნიდა ჟანრულ სურათებს, პეიზაჟებს, ხატავდა საქართველოს, ძირითადად რაჭის, ბუნებას. წლების მანძილზე მოღვაწეობდა ამბროლაურის სახვითი ხელოვნების მუზეუმში. 1965 წ-ს მიენიჭა საქართველოს სსრ-ის დამსახურებული მხატვრის წოდება.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოში (სემ – ხელოვნების მუზეუმი, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი, ეროვნული გალერეა; ამბროლაურის სახვითი ხელოვნების მუზეუმი) და არაერთ კერძო კოლექციაში.

ბიბლიოგრაფია:

1. მეტონიძე ნიკოლოზ (კატალოგი), შემდგ. გ. ჯაფარიძე, რედ. ს. ცინცაძე, თბ., 1975.
2. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1970, М.: Советский художник, 1975.

მეტრეველი მარგარიტა

(თბილისი, 1913 – თბილისი 1984)

ფერმწერი. სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში დ. კაკაბაძესთან (1932-1938). შემოქმედებითი საქმიანობა დაიწყო მეუღლესთან, მხატვარ შოთა მეტრეველთან, ერთად. ისინი მოგზაურობდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, აკეთებდნენ ჩანახატებს და საერთო სახელოსნოში ქმნიდნენ ტილოებს. საქართველოს სხვადასხვა ქალაქში მოეწყო მათი დაახლოებით 65 ერთობლივი გამოფენა. მ. მეტრეველს შესრულებული აქვს სურათები II მსოფლიო ომის თემაზე. ხატავდა სოცრეალისტურ სიუჟეტებს. იყო საქართველოს დამსახურებული მხატვარი.

მისი ნამუშევრები დაცულია სემ – ეროვნულ გალერეაში, ყვარლის ი. ჭავჭავაძის სახელმწ. მუზეუმში, მხატვრის ოჯახში.

ბიბლიოგრაფია:

1. მარგარიტა და შოთა მეტრეველების სურათების გამოფენის კატალოგი, თბ., 1945.
2. მარგარიტა და შოთა მეტრეველების სურათების მოძრავი გამოფენის კატალოგი, თბ., 1947.

3. სიცოცხლე გრძელდება (ალბომი), მარგარიტა, მერაბ, შოთა მეტრეველები, თბ., 1983.
4. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1970, М.: Советский художник, 1975.

მეძმარიაშვილი (ჟანო) ჟანგო

(ქუთაისი, 1925 – თბილისი, 1989)

ფერმწერი, გრაფიკოსი. სწავლობდა თბილისში, ი. ნიკოლაძის სახ. სამხატვრო სასწავლებელში ფერწერის განყოფილებაზე (1939-1944), შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის სამხატვრო აკადემიაში უ. ჯაფარიძის და ვ. შერპილოვის კლასში (1945-1952). 1956 წ-ს ვენის საერთაშორისო ახალგაზრდობის ფესტივალზე დააჯილდოვეს ოქროს მედლით. 50-იანი წწ-დან ხატავდა პორტრეტებს, ასრულებდა ფერწერულ ტილოებს თანადროულ ყოფაზე, რომლებიც თავისებური ლირიკულობით გამოირჩევა („უკანასკნელი სართული“, 1958; „კოჯრელი ქალები“, 1961; „უკანასკნელი შემოდგომა“). იყო საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე (1962-1972), ი. ნიკოლაძის სახ. თბილისის სამხატვრო სასწავლებლის დირექტორი (1973-1986), თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტის დოცენტი (1986-1989). მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ-ის დამსახურებული მხატვრის წოდება (1965).

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა და რუსეთის სახელმწიფო მუზეუმებსა (სემ – ხელოვნების მუზეუმი, სემ – ეროვნული გალერეა, გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტე-

რატურის სახელმწ. მუზეუმი, თელავის ისტორიული მუზეუმი; აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმი, მოსკოვი) და საქართველოს, ისრაელის, ბელგიის, შვეიცარიის კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. ჯანბერიძე ნ., ძიება და ტრადიცია, თბ., 1989.
2. მეძმარიაშვილი უ., „დროშა“ №1, 1967.
3. მეძმარიაშვილი უ., „დროშა“ №6, 1986.
4. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1970, М.: Советский художник, 1975.
5. Изобразительное искусство Грузинской ССР, М., 1987.

მირზაშვილი თენგიზ

(მესტია, 1934 – თბილისი, 2008)

ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარი, წიგნის ილუსტრატორი. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ფერწერის ფაკულტეტზე, მესამე კურსიდან – თეატრის დეკორაციის ფაკულტეტზე (1952-1958). მისი პედაგოგი იყო ს. ქობულაძე. 1958 წ-ს გააფორმა „თბილისის ხუროთმოძღვრული გზამკვლევი“. 1961 წ-ს ჩააბარა აკადემიის ასპირანტურაში. ხატავდა საქართველოს პეიზაჟებს, პორტრეტებს, ნატურმორტებს, უანრულ სცენებს. შესრულებული აქვს სერიები: „ბაკურიანი“ (1956-1966), „თუშეთი“ (1957-1967) და მრავალი სხვ. 1963 წ-დან მუშაობდა სამხატვრო აკადემიის პედაგოგად, ასწავლიდა ხატვას. იყო ბავშვთა სუ-

რათების გალერეის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მუშაობდა ამავე გალერეაში (1972-2004). გაფორმებული აქვს 100-ზე მეტი ქართველი მწერლის (ი. ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, რ. ინანიშვილის, ე. თათარაიძის, გ. ცოცანიძის, მ. მოსულიშვილის და სხვ.) წიგნი, ხალხური პოეზიისა და ზღაპრების კრებულები. მისი აქტიური მონაწილეობით მომზადდა და დაიბეჭდა „გალაკტიონოლოგიის“ ორი წიგნი, წიგნი ფიროსმანზე ორ ტომად. არის რედაქტორი ე. თათარაიძის წიგნისა „ჩამომიარ საწუთროში“, რედაქტორი და მხატვარი წიგნისა „მენდობით მომისენიეთ“ და ა.შ. იყო თბილისის მარიონეტების თეატრის არაერთი სპექტაკლის მხატვარი, მხატვარი ფილმებისა „ვედრება“ და „შერეკილები“. 1977 წ-ს ა. ტარკოვსკის მიწვევით მუშაობდა სპექტაკლზე „ჰამლეტი“. 1967 წ-ს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მხატვრის წოდება, 2004 წ-ს კი – სახელმწიფო პრემია. იფინებოდა საქართველოსა და უცხოეთის სახელმწიფო და კერძო გალერეებში (გერმანია, 1985, 1989; კანადა, 1987; ავსტრია, 1988; საფრანგეთი, 1997, 1998 და სხვ.).

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა (სემ – ხელოვნების მუზეუმი, სემ – ეროვნული გალერეა, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი, სიღნაღის მუზეუმი, ამბროლაურის სახვითი ხელოვნების მუზეუმი და სხვ.) და უცხოეთში (მოსკოვის აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმი, რუსეთი; სახელმწიფო გალერეა, მოსკოვი, რუსეთი; უზბეკეთის ხელოვნების მუზეუმი და სხვ.), ასევე არაერთი ქვეყნის კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. ანდრიაძე დ., უხმო ნატირლები (გამოსათხოვარი წერილი), ჟურ. „არტიფაქტი“ №1, 2008.
2. კარბელაშვილი მ., თენგიზ მირზაშვილი (ილუსტრ. ბუკლეტი), თბ., 1968.
3. კიკვიძე თ., თენგიზ მირზაშვილი – „პატარა ზომის“ დიდი მხატვარი (ინტერვიუ), იხ. წიგნი „სახე(ლ)ები, პუბლიცისტური ენციკლოპედია“, თბ., 2007.
4. კვიციანიშვილი ე., თენგიზ მირზაშვილი (მხატვრის შემოქმედებითი პორტრეტი), „საბჭოთა ხელოვნება“ №4, 1974.
5. კინწურაშვილი ქ., ჩუბჩიკა. როდე-საც აღმოგხდება „აპკ...!“, „ლიტერატურა და ხელოვნება“ №10, 2008.
6. ლეჟავა ს., თენგიზ მირზაშვილი (მხატვრის შემოქმედებითი პორტრეტი), „ფრესკა“ №10, 1978.
7. მირზაშვილი თენგიზ, ბიობიბლიოგრაფია, შემდგ. ც. კოჭლაშვილი, რედ. ლ. თაქთაქიშვილი, ფოტო ლ. პაპალაშვილისა, თბ., 2010.
8. ხალიაგკინა ნ., თენგიზ მირზაშვილის ფერწერა, „საბჭოთა ხელოვნება“ №3, 1973.
9. Васильев Ю., Эристави, Нижарадзе, Мирзашвили, „Литературная Грузия“ №6, 1966.
10. Зингер Е., Пластика и народность, „Творчество“ №5, 1967.
11. Езерская Н., Трое из Грузии, „Творчество“ №10, 1966.
12. Ракитин В., И снова традиция, „Творчество“ №2, 1968.

მიქაბერიძე კოტე (1896 – 1973)

მსახიობი, რეჟისორი, მხატვარი. სწავლობდა ა. ფაღავას დრამატულ სტუდიაში. თავდაპირველად მოღვაწეობდა ქუთაისში „ახალგაზრდა მსახიობთა დასში“, ხოლო 20-იანი წწ-დან მისი შემოქმედება კინოს დაუკავშირდა. პირველ ქართულ საბჭოთა მხატვრულ ფილმში „არსენა ჯორჯიაშვილი“ განასახიერა მუშა-რევოლუციონრის სახე. ამ როლს მოჰყვა სხვა საინტერესო სახეები ფილმებში: „ვინ არის დამნაშავე?“, „დინა-ძაძუ“, „ხანუმა“ და სხვ. 1929 წ-დან დაიწყო მუშაობა როგორც რეჟისორმა. მისი ფილმი „ჩემი ბები“ (1929), ქართული ავანგარდული კინოს საუკეთესო ნიმუში, გამოსვლისთანავე აიკრძალა და 38 წლის მანძილზე უცნობი იყო საზოგადოებისთვის. კ. მიქაბერიძემ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით შექმნა ექსპერიმენტული ფილმი „ქაჯეთი“. ავტორია მხატვრული ფილმისა „დაგვიანებული სასიძო“. 1941 წ-ს სამამულო ომის თემზე ი. პერესტიანის სცენარით გადაიღო მხატვრული ფილმი „ფორპოსტი“. არის რამდენიმე მულტიპლიკაციური ფილმის ავტორი. 1945 წ-ს მიენიჭა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება. კ. მიქაბერიძე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, მუშაობდა ფილმების გახმოვანებაზე. მას შესრულებული აქვს თანამედროვე მოღვაწეთა არაერთი მეგობრული შარჟი, რომლებიც პროფესიონალური შესრულებით, სიმძაფრითა და თავისებური იუმორით ხასიათდება.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში, ასევე კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. გვენცაძე ა., კოტე მიქაბერიძის მეგობრული შარჟები, „კინო“ №1, 1985.
2. კვეციელავა რ., მცირე მოგონება ნაცნობ ინტელიგენტებზე, „სინემა“ №2-4, თბ., 1992.
3. მიქაბერიძე კონსტანტინე (კოტე) არჩილის ძე (ქართველი საბჭოთა კინომსახიობისა და რეჟისორის შრომითი ბიოგრაფია), „ახალი ფილმები“ №4, 1974.
4. ხეტეშვილი ს., კოტე მიქაბერიძე (მოგონება მსახიობზე), „ახალი ფილმები“ №8, 1982.

მოხელიძე ტარას (1874 – 1904)

ფოტოგრაფი და მხატვარი. სწავლობდა გ. გაბაშვილის სტუდიაში. 1901 წ-ს ჩაირიცხა მიუნხენის სამხატვრო აკადემიაში, სადაც ავადმყოფობის გამო წელიწად-ნახევარი ისწავლა. მცირე დროით განაგებდა ა. როინაშვილის სახელოსნოს. მისი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ქართველ მწერალთა თხზულებების დამსურათებელთა და მხატვრული ღია წერილების გამომცემელთა წრე. ტ. მომცელიძის ნამუშევრები („გამაჰმადიანებული აჭარელი ქართველები“, „განცხრომა, ესკიზი“, „ქურთი“ და სხვ.) იბეჭდებოდა „ცნობის ფურცლის“ სურათებიან დამატებაში.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოში (სემ – ხელოვნების მუზეუმი).

ბიბლიოგრაფია:

1. ქურდაძე ი., მხატვარ ტარას მომცელიძის შემოქმედება, შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები, I, თბ., 1995.

2. Kurdadze I., Fotos und Malerei, „Kaukasische Post“ №46, 2004.

გრაფიკული ალქანდრე (მცხეთა, 1866 – თბილისი, 1933)

ფერმწერი. თავდაპირველად ალ. მრეველიშვილი სწავლობდა თბილისის სასულიერო სასწავლებელში, რომელიც, მძიმე ოჯახური მდგომარეობის გამო, მეოთხე კლასიდან მიატოვა. ამის შემდეგ იგი ხატვას მხატვარ ლონგოს ატელიეში დაეუფლა. 1884-1890 წწ-ში სწავლობდა მოსკოვის ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში ვ. პოლენოვთან, რომელიც წარმატებით დაამთავრა სადიპლომო სურათით „გოლგოთა“. 1898-1901 წწ-ში სწავლობდა პარიზში ჟულიენის აკადემიაში. ამ პერიოდში ალ. მრეველიშვილმა მოინახულა იტალიისა და გერმანიის ღირსშესანიშნაობები. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ალ. მრეველიშვილი ხატვას ასწავლიდა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიასა და ქალთა ჭრა-კერვის სასწავლებელში. მხატვარმა არაერთი ნაწარმოები შექმნა ისტორიულ და რელიგიურ თემებზე.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოში (სემ – ხელოვნების მუზეუმი).

ბიბლიოგრაფია:

1. ამირანაშვილი შ., ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961.
2. დუდუჩავა მ., ახალი ქართული ხელოვნება, თბ., 1950.
3. დოლაბერიძე ლ., ალექსანდრე

- მრევლიშვილი, „ფრესკა“ №7, 1975.
- კაკაბაძე დ., ქართველ მხატვართა სურათების გამოფენა (ქ. ტფილისში 1919 წ-ის მაისში), „შვიდი მნათობი“ №2, 1919.
 - კვასხვაძე შ., აღ. მრევლიშვილის ორი ავტოპორტრეტი, „ლიტერატურა და ხელოვნება“ №7, 1944.
 - მამალაძე შ., ალექსანდრე მრევლიშვილი, „ლიტერატურა და ხელოვნება“, №7, 1944.
 - მრევლიშვილი მ., ალექსანდრე მრევლიშვილი, „საბჭოთა ხელოვნება“, №7-8, 1939.
 - ჯანელიძე დ., ალექსანდრე მრევლიშვილი, თბ., 1956.
 - ჯანელიძე დ., აღ. მრევლიშვილის ნაკლებად ცნობილი ნაწარმოებები, „საბჭოთა ხელოვნება“ №2, 1955.

ნიჟარაძე ზურაბ

(თბილისი, 1928)

ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარი. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ა. ქუთათელაძესთან (1948-1955). ასწავლიდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში (1965-1972). იყო ამავე აკადემიის რექტორი (1982-1987). 1958 წ-დან არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი. იყო კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მხატვარი, დამდგმელი მხატვარი ფილმებისა „ალოობა“ (1967) და „ალყა“ (1990). 60-70-იან წწ-ში ხატავდა უანრულ სცენებს, პეიზაჟებს, ფერწერულ სერიებს. შესრულებული აქვს თანამედროვეთა მრავალი საინტერესო პორტრეტი (გ. ბაქრაძე, 1957; ო. ჭილაძე, 1961; ო. იოსელიანი, 1978 და სხვ.). მიღებული აქვს არაერთი ჯილდო და პრემია: 1979 წ-ს მიენი-

ჭა საქართველოს სახალხო მხატვრის წოდება, 1985 წ-ს გახდა რუსთაველის პრემიის ლაურეატი, 2004 წ-დან არის რუსეთის სამხატვრო აკადემიის საპატიო წევრი, 2005 წ-ს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით, 2009 წ-ს – ეროვნული პრემიით. 1955 წ-დან აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკურ, საკავშირო თუ საერთაშორისო პერსონალურ და ჯგუფურ გამოფენებში. იფინებოდა საქართველოსა (კულტურის საერთაშორისო ცენტრი „მუზა“, „ბაია გალერეა“, „კოპალა“, დიზაინერთა კავშირის საგამოფენო დარბაზი, მხატვრის სახლი და სხვ.) და უცხოეთში (რუსეთი, გერმანია, საფრანგეთი, ჩეხოსლოვაკია და ა.შ.).

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა (სემ – ხელოვნების მუზეუმი, სემ – ეროვნული გალერეა, თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმი და სხვ.) და უცხოეთში (ტრეტიაკოვის გალერეა, მოსკოვი, რუსეთი; ალმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმი, მოსკოვი, რუსეთი; რუსეთის სამხატვრო ფონდის კოლექცია; თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, მოსკოვი, რუსეთი; რიო-დე-ჟანეიროს ნაციონალური გალერეა, ბრაზილია; ლუდვიგის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, აახენი, გერმანია), ასევე არაერთ კერძო კოლექციაში (აშშ, საფრანგეთი, იტალია, გერმანია, შვედეთი, საბერძნეთი და სხვ.).

ბიბლიოგრაფია:

- გეგია მ., მხატვარი და მისი ორეული – ზურაბ ნიჟარაძე, „ხელოვნება“ №5-6, 1999.
- ისელიძე ნ., ზურაბ ნიჟარაძე: პორტრეტული ინტერვიუ ჩანახატის სახით, „ამარტა“ №35, 2009.

- კვიციანიშვილი ე., ზურაბ ნიჟარაძე, „საბჭოთა ხელოვნება“ №5, 1976.
- ლუკაშა ს., ზურაბ ნიჟარაძე, „ცისკარი“ №10, 1981.
- მამალაძე ლ., ზურაბ ნიჟარაძე „საბჭოთა ხელოვნება“ №7, 1981.
- ნიჟარაძე ქ., ჩიტაძე ქ., სტუმრად მხატვრის სახელოსნოში, ხელოვნების ცხოვრება, ზურაბ ნიჟარაძე (ინტერვიუ), „თბილისური უწყებანი“ №4, 2008.
- პრივალოვა ე., ზურაბ ნიჟარაძე, „ფრესკა“ №6, 1974.
- ჯიყაშვილი ლ., ზურაბ ნიჟარაძე: სევდიანია მხატვრობა... (ინტერვიუ), „ათიანში“ №5, 2010.
- ჩიხრაძე მ., თანამედროვე ქართული ნახატის ზოგიერთი თავისებურების შესახებ (გ. კასრაძის, ზ. ნიჟარაძის, დ. ერისთავისა და ედ. კალანდაძის შემოქმედება), „სპექტრი“ №1, 2006.
- Васильев Ю., Эристави, Нижарадзе, Мирзашвили, „Литературная Грузия“ №6, 1966.
- Езерская Н., Трое из Грузии, „Творчество“ №10, 1966.
- Привалова Е., Л. Глазами Живописца, „Сабчота хеловნება“ №7, 1968.
- Привалова Е., Зураб Нижарадзе, М.: Советский художник, 1972.

ნოდია ღინარა

(თბილისი, 1931 – 2005)

გრაფიკოსი. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში გრაფიკის ფაკულტეტზე ი. შარლემანთან (1949-1955). 1958 წ-დან იყო სსრკ-ის მხატვართა კავშირის წევრი, საქართველოს მხატვართა კავშირის მდივანი, 1961 წ-დან – ჟურნალ „დროშის“ მხატვრული რედაქტორი. 1966 წ-დან მუშაობდა პედაგოგად

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში, 1982 წ-დან იყო გრაფიკის კათედრის გამგე. 50-70-იან წწ-ში შესრულებული აქვს სოცრეალისტური თემატიკის გრაფიკული სერიები (გუაში, ლინოგრაფიურა): „დილა მშენებლობაზე“ (1967), „სვანეთი. ხის მჭრელები“ (1970), „მოსავლის დღესასწაული“ (1971) და სხვ. 1959 წ-ს გახდა ახალგაზრდული საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი (ვენა, ავსტრია). 1961 წ-ს დაჯილდოვდა ბრინჯაოს მედლით (ВДНХ, მოსკოვი). 1966 წ-ს მიენიჭა საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრის წოდება. 1975 წ-ს გადაეცა საქართველოს მხატვართა კავშირის მედალი წლის საუკეთესო ნამუშევრისთვის. 1981 წ-დან იყო საქართველოს სახალხო მხატვარი, 1998 წლიდან კი – ღირსების ორდენის კავალერი. იფინებოდა საქართველოსა და უცხოეთში (რუსეთი, იუგოსლავია, ბელგია, ირანი, ჩეხეთი, სირია, შვედეთი, ავსტრია, ბულგარეთი, საბერძნეთი, ლუქსემბურგი, იაპონია, იტალია, გერმანია, ჰოლანდია, შვედეთი, საფრანგეთი, ბრაზილია, კანადა, ისლანდია).

მისი ნამუშევრები დაცულია სახელმწიფო მუზეუმებში საქართველოში (სემ – ხელოვნების მუზეუმი, ეროვნული გალერეა), რუსეთსა (ალმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმი, პუშკინის სახ. სახვითი ხელოვნების მუზეუმი, ტრეტიაკოვის სახ. გალერეა, მოსკოვი) და ყირგიზეთში (სახვითი ხელოვნების მუზეუმი), ასევე კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

- ღინარა ნოდია (ალბომი), „საბჭოთა საქართველო“ №50, 1971.

2. მიქაძე კ., ალბომი ეძღვნება დინარა ნოდის შემოქმედებას, „საბჭოთა ხელოვნება“ №3, 1985.
3. ნოდია დ., სამონაძე თ., ლინოგრაფიურების ალბომი, თბ., 1971.
4. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1970, М.: Советский художник, 1975.

ოვსათანიანი აკოპ

(თბილისი, 1806 – თავრიზი, 1881)

ფერმწერი-პორტრეტისტი. მოღვაწეობდა თბილისში. სწავლობდა მამასთან, საეკლესიო მხატვარ მიკირტუმ ოვსათანიანთან. 23 წლის ასაკში გაემგზავრა პეტერბურგში სამხატვრო აკადემიაში ჩასაბარებლად, სადაც ასაკის გამო არ მიიღეს. საქართველოს მთავარმართებელ ე. გოლოვინის პორტრეტისთვის პეტერბურგის სამხატვრო აკადემიამ მას მიანიჭა უკლასო (თავისუფალი) მხატვრის წოდება. ა. ოვსათანიანი, როგორც პორტრეტისტი, დიდი პოპულარობით სარგებლობდა თბილისში ფოტოგრაფიის გავრცელებამდე. 1860-იანი წწ-ის ბოლოს იგი გადასახლდა ქალიშვილთან თეირანში, სადაც სიცოცხლის ბოლომდე აგრძელებდა მუშაობას.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოში (სემ – ხელოვნების მუზეუმი; გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწ. მუზეუმი), რუსეთსა (აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების სახელმწ. მუზეუმი, მოსკოვი) და სომხეთში (ეროვნული გალერეა, ერევანი).

ბიბლიოგრაფია:

1. სომეხი მხატვრები საქართველოში ჰაკობ ჰოვანათიანიდან გაიანე ხაჩატურიანამდე (კატალოგი), პროექტის ავტ. ი. ოვანჯანოვა, ტექსტი ნ. ზაალიშვილისა, თბ., 2011.
2. ციციშვილი მ., XVIII-XIX სს-ის ქართული პორტრეტული მხატვრობა, თბ., 1997.
3. Гинзбург И., Армянские художники первой половины XIX в., М., 1998.
4. Казарян М., Художники Овнатяны, М., 1969.
5. Хачатрян-Поладян Нелли, Акоп Овнатяня до и после, Ереван, 2007.

ონიანი ესეა

(თბილისი, 1938 – თბილისი, 1999)

ფერმწერი, გრაფიკოსი, წიგნის ილუსტრატორი. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ფერწერის ფაკულტეტზე უ. ჯაფარიძესთან, ს. ქობულაძესთან, გ. ჯაშთან (1957-1963). მუშაობდა საქართველოს ტელევიზიაში დამდგმელ მხატვრად (1966-1967), თსს აკადემიის ფერწერის კათედრის პედაგოგად (1969-1999). 1962 წ-დან მონაწილეობდა საგაზაფხულო, სამემოდგომო, საკავშირო და რესპუბლიკურ გამოფენებში. იფინებოდა საქართველოსა (ამიერკავკასიის ბიენალე (1986), თანამედროვე ხელოვნების გალერეა, მხატვრის სახლი, ეროვნული გალერეა, გალერეა „ორიენტი“, „მარდენი“, „ბაია გალერეა“, TMS, „პობი“, კავკასიური სახლი და სხვ.) და უცხოეთში (ბულგარეთი (1970); ქართველი მხატვრების რეტროსპექტული გამოფენა, მხატვრის ცენტრ. სახლი, მოსკოვი, რუსეთი (1986, 1989); იაპონია (1979); ბელგია (1991) და

სხვ.). იყო არაერთი პოეტური კრებულის ავტორი. 1979 წ-ს გაწვევიანდა მხატვართა კავშირში. დაჯილდოებულია მხატვართა კავშირის მედლით წლის საუკეთესო ნამუშევრისათვის „დავით კაკაბაძის პორტრეტი“ (1982), ოქროს მედლით (იაპონია, 1987). გარდაცვალების შემდეგ მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია (2000).

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა და ევროპის კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. ესეა ონიანი, 1938-1999. ფერწერა, გრაფიკა, პოეზია (ალბომი), შემდგ. ი. ონიანი; რედ. ზ. ჭუმბურიძე, თბ., 2003.
2. ჩიბურდანიძე რ., ესეა ონიანის მხატვრული მეთოდის სტილისტური თავისებურებები, ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები III, თბ., 2011.

ონიანი ვახტანგ

(ლახუნდერი, 1932)

ფერმწერი, გრაფიკოსი, მოქანდაკე. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ქანდაკების ფაკულტეტზე კ. მერაბიშვილთან და ს. კაკაბაძესთან (1951-1958). 1958 წ-დან არის მხატვართა კავშირის წევრი. მუშაობდა ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარ მხატვრად (1964-1980). 1967 წ-ს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მხატვრის წოდება. დაჯილდოებულია ალჟირისა და იზმირის საერთაშორისო გამოფენების ოქროს მედლითა და დიპლომით, მოსკოვის წიგნის საერთაშორისო გამოფენის

ნის დიპლომით. 1957 წ-დან სისტემატურად იფინებოდა საქართველოსა და უცხოეთში (რუსეთი, ლატვია, პოლონეთი, იაპონია, საფრანგეთი).

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა და რუსეთის კულტურის სამინისტროების ფონდებში, სემ – ხელოვნების მუზეუმსა და ეროვნულ გალერეაში, ასევე სხვადასხვა ქვეყნის კერძო კოლექციებში (აშშ, საფრანგეთი, იაპონია, თურქეთი, ეგვიპტე, საბერძნეთი).

ბიბლიოგრაფია:

1. კიკნაძე თ., ვახტანგ ონიანი, „საბჭოთა ხელოვნება“ №12, 1964.
2. სამხარაძე ნ., მეტყველი მდუმარება, „ხელოვნება“ №1, 1993.
3. ჩინჩალაძე ლ., ვახტანგ ონიანი, „მნათობი“ №8, 1971.
4. ხერგიანი მ., ფერებში ასახული ისტორია, „ცისკარი“ №9, 1971.
5. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1970, М.: Советский художник, 1975.

ორიაური გიორგი

(შუაფხო, 1927)

მოქანდაკე, გრაფიკოსი. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ნ. კანდელაკთან (1947-1953), შემდეგ კი – ასპირანტურაში (1954-1957). 1962 წ-დან იყო სამხატვრო აკადემიის პედაგოგი, წლების მანძილზე მუშაობდა თსს აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტის პროფესორად. 1953 წ-დან მონაწილეობს გამოფენებში. 1975 წ-ს მოსკოვში მოეწყო მისი პერსონალური გამოფენა. გ. ორია-

ურს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის თანამედროვე ქართული წიგნის გრაფიკის განვითარებაში. გაფორმებული და დასურათებული აქვს არაერთი ქართველი მწერლის (ა. კალანდაძის, გრ. აბაშიძის, გ. ლეონიძის, ვაჟა-ფშაველას, გ. რჩეულიშვილის) ნაწარმოებები, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. მისი სკულპტურული ნამუშევრებიდან აღსანიშნავია ქორწინების სახლის ბარელიეფი (თბილისი, 1964), კომპოზიცია „ზღვა“ (ბიჭვინთა, 1968), ვაჟა-ფშაველას ძეგლი (თბილისი, 1972), „სიცოცხლის ხე“ (ჰოლანდია, 1977), „სიცოცხლის ხე“ (კ. ტექსელი, ჰოლანდია, 1977), სკულპტურული კომპლექსი „რეკვიემი“ (ვაკის პარკი, თბილისი, 1981-1985), ალეგორიული ქანდაკება „რესტავრაცია“ (თბილისი, 1989). შესრულებული აქვს გამოჩენილ მოღვაწეთა პორტრეტები (დ. უზნაძე, 1950; დ. გურამიშვილი, 1952; ზ. ნიჟარაძე, 1961; სულხან-საბა ორბელიანი, 1963; კ. კეკელიძე, 1966 და სხვ.). მიღებული აქვს არაერთი პრემია: ვაჟა-ფშაველას ძეგლისათვის (I პრემია), ვახტანგ გორგასლის ძეგლისათვის (III პრემია), ბიჭვინთის დასასვენებელი კომპლექსის გაფორმებისათვის (I პრემია). 1980 წ-ს მიენიჭა საქართველოს სახალხო მხატვრის წოდება და გახდა სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. 1986 წ-ს დაჯილდოვდა ხალხთა მეგობრობის ორდენით. 1988 წ-ს მიღებული აქვს სსრკ-ის სახელმწიფო პრემია და არის რუსეთის სამხატვრო აკადემიის საპატიო წევრი, ასევე მინიჭებული აქვს „1998 წ-ის ადამიანის ტიტული“ – ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტის საერთაშორისო კვლევითი საბჭოს ნომინაცია. 2012 წ-ს ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის გადაეცა ბრწყინვალეების საპრეზიდენტო ორდენი.

მისი ნამუშევრები დაცულია სემ – ხელოვნების მუზეუმში, ასევე კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. კარბელაშვილი მ., გ. ოჩიაურის პორტრეტები და ბარელიეფები, „ცისკარი“ №3, 1957.
2. უგრელიძე ნ., სიმბოლოები ქართულ ჰერალდიკასა და სამედალიონო ხელოვნებაში, ჟურნ. „ამირანი“, კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე, თბ., 2009.
3. ცაიშვილი ს., ვაჟაური მოტივები, „საბჭოთა ხელოვნება“ №2, 1974.
4. ჭილაძე ო., გოგი ოჩიაური, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“ (23/1), 1987.
5. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1970, М.: Советский художник, 1975.
6. Глonti К., Книжная графика в Грузии, В сб: Искусство книги, гг., Вып. 3, М.: Искусство, 1958-1960.

ოჩიაური ირაკლი

(*შუაფხო, 1924*)

ფერმწერი, გრაფიკოსი, მოქანდაკე. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტზე (1945-1951). მისი პედაგოგები იყვნენ ნ. კანდელაკი, ს. კაკაბაძე, ი. ნიკოლაძე, ვ. შუხავეგი და ს. ქობულაძე. 1969 წ-დან ასწავლის საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. 1953 წ-დან არის მხატვართა კავშირის წევრი და მონაწილეობს ადგილობრივ თუ საერთაშორისო გამოფენებში. მისი ნაწარ-

მოებების გამოფენა მოეწყო საფრანგეთში, გერმანიაში, ავსტრიაში, ბელგიაში, იაპონიაში, ნორვეგიასა და სირიაში. არის ვენეციის ბიენალეს მონაწილე. ირაკლი ოჩიაურს დიდი წვლილი მიუძღვის ქართული ჭედურობის აღორძინებაში. იგი მუშაობს ხელოვნების სხვადასხვა დარგში (ქანდაკება, ფერწერა, გრაფიკა, მონუმენტური ხელოვნება). შესრულებული აქვს პორტრეტები („ვაჟა-ფშაველას პორტრეტი“, 1977), პოეტური კომპოზიციები („დედობა“, 1977). შექმნილი აქვს მონუმენტური რელიეფები თბილისის ქორწინების სახლისა და ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის შენობისთვის, თბომაგლისთვის „შოთა რუსთაველი“ და ა.შ. არის სსრკ-ის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი და საქართველოს სახალხო მხატვარი.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა და უცხოეთის მუზეუმებში (სემ – ხელოვნების მუზეუმი, ეროვნული გალერეა; ტრეტიაკოვის გალერეა, მოსკოვი; სიეტლის ხელოვნების მუზეუმი), ასევე რუსეთის, იაპონიის, აშშ-ის და სხვა ქვეყნების კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. ზლატკევიჩი ლ., ძიებები და მიგნებანი, „საბჭოთა ხელოვნება“ №3, 1975.
2. თევზაძე გ., „სიმღერა საქართველოზე“, „საბჭოთა ხელოვნება“ №3, 1973.
3. ირაკლი ოჩიაური, „დროშა“ №4, 1965.
4. ირაკლი ოჩიაური – სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, „საბჭოთა ხელოვნება“ №12, 1972.

5. ირაკლი ოჩიაური, „დროშა“ №1, 1972.
6. ირაკლი ოჩიაური (ალბომი), შემდგ. ი. მელენტიევი, თბ., 1976.
7. მაჩაბელი კ., ირაკლი ოჩიაურის ჭედურობა, „საბჭოთა ხელოვნება“ №3, 1967.
8. ოჩიაური ი., ნამუშევართა გამოფენის კატალოგი, თბ., 1967.
9. ჯაფარიძე გ., ირაკლი ოჩიაური სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, „ექო“ №4, 1971.
10. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1979, М.: Советский художник, 1975.
11. Мацабели К., Ираклий Очиаури, М: Советский художник, 1971.
12. Очиаури Ираклий, Каталог выставки, М., 1970.

ოცხელი კებრა

(*ქუთაისი, 1907 – მოსკოვი, 1937*)

თეატრის მხატვარი. ქართული ავანგარდული მხატვრობის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო და თვითმყოფადი წარმომადგენელი. 1913 წ-ს ოჯახთან ერთად საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა და სასწავლებლად ფ. ნერის სახელობის ფრანგულ კათოლიკურ გიმნაზიაში შევიდა. 1920 წ-ს საქართველოში დაბრუნებულმა სწავლა განაგრძო ქუთაისის რეალურ სასწავლებელში, პარალელურად კი სკოლასთან არსებულ სტუდიაში ხატვას ეუფლებოდა. 1926-1927 წწ-ში სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში ი. შარლემანის კლასში. პ. ოცხელი თეატრს ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში დაუკავშირდა. 1927 წ-ს სახალხო სახლთან არსებულ მუშათა თეატრში გააფორმა ა. ლუნაჩარსკის „ცეცხლის გამჩალებლები“.

1928-1931 წწ-ში კ. მარჯანიშვილმა იგი ქუთაისის ქართული დრამის თეატრში მიიწვია. ასევე მოღვაწეობდა მოსკოვის კორმის თეატრში (1931), მოსკოვის მცირე თეატრში (1936-1937). მუშაობდა თბილისის, ქუთაისის და მოსკოვის თეატრების ცნობილ რეჟისორებთან (კ. მარჯანიშვილთან, კ. სტანისლავსკისთან და სხვ.). გააფორმა მრავალი ცნობილი დადგმა („ურიელ აკოსტა“, 1929; „ნათიჯე“, 1930; „ფოლადის პოემა“, 1931; „ოტელო“, 1933; „ყარაღები“, 1932; „აპრაკუნე ჭიმჭიმელი“, 1934; „ჩატეხილი ხიდი“, 1935; „მუნჯები ალაპარაკდნენ“, 1932), ბალეტი „სპარტაკი“ (1933), შექმნა ესკიზები კინოფილმისათვის „მფრინავი მღებავი“ (1937) და სხვ. ჯ. ვერდის „რიგოლეტოს“ დადგმისთვის კ. სტანისლავსკის მიერ ჩატარებულ შესარჩევ კონკურსზე პ. ოცხელის ესკიზებმა I პრემია დაიმსახურა (1937), ხოლო ლონდონში თეატრის მხატვართა გამოვენაზე მხატვრის ნამუშევრები ოქროს მედლით დაჯილდოვდა (1939). პეტრე ოცხელი ვერ გადაურჩა რეპრესიებს. 1937 წ-ს ის სიკვდილით დასაჯეს.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწ. მუზეუმში, კოტე მარჯანიშვილის სახ. აკად. თეატრის მუზეუმსა და კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. ალიბეგაშვილი გ., პეტრე ოცხელი, თბ., 1964.
2. თეატრის მხატვრობა, კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის კოლექცია, შემდგ.: მ. ციციშვილი, ნ. ვაჩიშვილი, მ. სოსხაძე, თბ., 2006.
3. თეატრის მხატვრობა, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექცია, ტექსტის ავტ.: დ. ლებანიძე, ე. თუმანიშვილი, მ. ოკლეი, თბ., 2008.

4. თუმანიშვილი ე., პეტრე ოცხელისა და კოტე მარჯანიშვილის „ურიელ აკოსტა“, კრებული „ქართული ხელოვნება“, №1, გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომები, თბ., 2001.
5. კუზნეცოვი ე., სიტყვა ოცხელზე, „საბჭოთა ხელოვნება“, №5, თბ., 1979.
6. მარჯანიშვილი კ., საყვარელი პეტრე, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 06/2007.
7. მხატვარ პ. ოცხელის ნაწარმოებების გამოფენის კატალოგი, შემდგ.: ელ. ერქომაიშვილი, თბ., 1962.
8. პეტრე ოცხელი, გამოფენის კატალოგი, ტექსტის ავტორები: კ. ჯანდიერი, თ. ჯაფარიძე, თბ., 1998.
9. პეტრე ოცხელი – 1917-1937, ტექსტის ავტორები: გ. ხოშტარია, კ. ჯანდიერი, თ. ჯაფარიძე, თბ., 2007.
10. ურუშაძე თ., პეტრე ოცხელის უცნობი წერილები, „თეატრალური მოამბე“ №1, 1975.
11. ურუშაძე თ., მუდამ თანამედროვე, „ლიტერატურა და ხელოვნება“ №7, 2007.
12. ახვლედიანი ე., პეტრე ოცხელი, „Литературная Грузия“ №3, 1963.
13. Геташвили Н., Пространственные и декоративные искания К. А. Марджанишвили на русской сцене (1917-1933 гг.), М., 1984 (ავტორეფერატი).
14. Коваленко Г., Пეტრე ოცხელი, Журн. „Театр“ №1, 1982.
15. Кузнецов Э., Рецензия книги-альбома Лили Ломтатидзе “Петре Оцхели”, “Советские художники театра и кино” №76, 1978.
16. Письмо К.А. Марджанова к художнику П.Г. Оцхели, “Театр” №7, 1965.

17. Тимофеева М., Творить, творить, творить ... (О грузинском сценографе П. Оцхели), “Декоративное искусство” М., №4, 1981.
18. Урушадзе Т., Становление грузинского советского театрально-декорационного искусства в 1920-30-ые годы (на примере творчества П. Г. Оцхели), автореферат, Тб., 1982.

პიტახია ალექსანდრე

(ხონი, 1880 – 1923)

ფერმწერი, გრაფიკოსი. დაამთავრა ქუთაისის სამოქალაქო სასწავლებელი, თუმცა უსახსრობის გამო, ველარ განაგრძო სწავლა. ხატავდა მალაზიებისა და სავაჭრო დაწესებულებების აბრებს. გაზეთ „ცნობის ფურცელში“ 1897 წ-ს მის შესახებ დაბეჭდილი ქრონიკის წყალობით, ალ. პიტახიამ, როგორც ნიჭიერმა მხატვარმა, მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. მას შემწეობა აღმოუჩინა გიგო გაბაშვილმა და მოწაფედ აიყვანა. პიტახია გ. გაბაშვილის ერთ-ერთი საუკეთესო მოწაფე იყო, ამიტომაც გაბაშვილმა ი. ჭავჭავაძის პორტრეტზე მუშაობის გაგრძელება მხოლოდ მას მიანდო. ალ. პიტახიას სურათების მდიდარი კოლექცია აღმოაჩინა ხელოვნების მკვლევარმა დავით არსენიშვილმა, თუმცა მხატვრის მრავალი ნაწარმოები გაბნეულია. ერთ-ერთი ცნობის მიხედვით, ქ. ძაუგში (ახლანდელი ვლადიკავკაზი) ალ. პიტახიას მოუხატავს სასტუმრო, ხოლო მისი ფერწერული სურათები, შესრულებული 1912-1913 წწ-ში, დაცულია კერძო კოლექციაში. 1962 წ-ს საქართველოს სსრ-ის მუშაკთა სახლში მოეწყო მხატვრის ნამუშევრების გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო მხატვრის მიერ 1898-1923 წწ-ში

შექმნილი 69 გრაფიკული და ფერწერული სურათი.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოში (სემ – ხელოვნების მუზეუმი) და კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. ალ. პიტახიას ნაწარმოებების გამოფენა, „საბჭოთა ხელოვნება“ №4, 1962.
2. გორგიძე ვ., მივიწყებული და დაცოცხლებული, გაზ. „თბილისი“ (11/IV), 1962.
3. კველიშვილი ლ., მივიწყებული მხატვარი, „ლიტერატურული გაზეთი“ №17, 1962.
4. სიღამონიძე ვ., საოცარი ნიჭის მხატვარი წარსულიდან, გაზ. „თბილისი“ (22/II), 1962.

პრეპაცი ლუიჯი

(მილანი, 1814 – კონსტანტინეპოლი, 1891)

ფერმწერი, აკვარელისტი. იტალიური წარმოშობის მხატვარმა ცხოვრების უდიდესი ნაწილი რუსეთში გაატარა. დაამთავრა ბრერის აკადემია მილანში, სწავლობდა პროფესორ ჯ. მილიარისთან. იტალიაში ყოფნისას გატაცებული იყო ქალაქის პეიზაჟების გადმოცემით. 1834 წ-ს გაემგზავრა პეტერბურგში. 1848 წ-ს დაიწყო მუშაობა ხატვის მასწავლებლად თავად ს. გაგარინის ოჯახში. 1850 წ-ს პეტერბურგში ნატურიდან ჩანახატების შესრულებისას იმპერატორ ნიკოლოზ I-ის ყურადღება მიიქცია. მალე ლ. პრეპაციის კრონშტადტის საფორტიფიკაციო ნაგებობებისა და რუსეთის

სხვა საპორტო ქალაქების აკვარელის სერია დაუკვეთეს. ლ. პრემაცი გახდა წარმატებული მხატვარი, რომელმაც პროფესიონალებს შორისაც მოიპოვა ავტორიტეტი. 1851 წ-ს მას მიენიჭა უმცროსი პედაგოგიური თანამდებობა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში, 1854 წ-ს აირჩიეს აკადემიკოსად, ხოლო 1861 წ-ს გახდა პროფესორი, რის შემდეგაც ასწავლიდა პეტერბურგის საიმპერატორო სამხატვრო აკადემიაში. 1850 წ-დან ლ. პრემაცი ბევრს მოგზაურობდა, განსაკუთრებით, ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში. მან იმოგზაურა საქართველოში, აკვარელით შეასრულა სხვადასხვა ხედისა და ტიპაჟის ასამდე ნახატი. იგი აქტიურად მონაწილეობდა „კავკასიის სამხატვრო საზოგადოების დაარსებაში“. პრემაცი მიერ ამ პერიოდში შექმნილი აკვარელების უმრავლესობა საიმპერატორო გვარისა და არისტოკრატთა ალბომებს ამკობდა. მისი ნაწარმოებები დოკუმენტური სიზუსტით ასახავს თანადროულ ეპოქას. 1880 წ-ს პრემაცი წინადადებით რუსეთში შეიქმნა აკვარელისტების საიმპერატორო საზოგადოება.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა და უცხოეთის მუზეუმებსა (სემ – ხელოვნების მუზეუმი) და კერძო კოლექციებში

ბიბლიოგრაფია:

1. უმიკაშვილი პ., მხატვარი პრემაცი ჩვენში, „დროება“ №10, 1875.
2. ჯოლოგუა მ., მხატვარი ლუიჯი (ლუდვიგ) პრემაცი საქართველოში, „მწიგნობარი“ №1(434), 2000.

შენიშნული ალექსანდრე (ზუგდიდი, 1918 – 1994)

ფერმწერი, გრაფიკოსი. სწავლობდა თბილისში სამხატვრო სასწავლებელში (1932-1937), შემდეგ – თბილისის სამხატვრო აკადემიაში უ. ჯაფარიძესთან, დ. კაკაბაძესთან და ა. ციმაკურიძესთან (1937-1947). 1947 წწ-დან მონაწილეობდა გამოფენებში. შესრულებული აქვს ფერწერული სერიები. ხატავდა სოცრეალისტურ სტილში, უმეტესად, ინდუსტრიულ პეიზაჟებს, ქარხნებს, სხვადასხვა მექანიზმებსა და აგრეგატებს („რუსთავი“, 1949-1969; „ჭიათურა“, 1953-1958; „გუდამაყრის ხეობა“, 1951) „თიანეთი“, 1962; „საქართველოს სამხედრო გზა“, 1964; „ყაზბეგი“, 1965; „ბაგები“, 1968; „ნოვოროსიისკი. მცირე მიწა“, 1975 და სხვ.). მისი გრაფიკული ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია პორტრეტები („ვ. ი. ლენინი“, 1968; „სერგო ორჯონიკიძე“, 1968; „ავტოპორტრეტი“, 1969 და ა.შ.). მუშაობდა სამრეწველო გრაფიკის დარგშიც, ასრულებდა პლაკატებს, ღია ბარათებს, ეტიკეტებს. იყენებდა ხალხური ოსტატების ნაკეთობათა ფორმებსა და ეროვნულ ორნამენტს ღვინის ჭურჭლის სუვენირებისთვის. 1965 წ-ს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მხატვრის წოდება.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმებში (სემ – ხელოვნების მუზეუმი, სემ – ეროვნული გალერეა, ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი).

ბიბლიოგრაფია:

1. ურუშაძე ი., ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნება, თბ., 1961.
2. Беридзе В., Езерская Н., Искусство со-

ветской Грузии 1921-1970, Живопись, графика, скульптура, М.: Советский художник, 1975.

3. Изобразительное искусство Грузинской ССР (Альбом), М., 1957.

რომანოსკი ბორის

(კიევი, 1879 – კიევი, 1947)

ფერმწერი, გრაფიკოსი. წარმოშობით პოლონელი მხატვარი დაიბადა უკრაინაში. სწავლობდა კიევის გრაფიკისა და ხატვის სკოლაში. 1910-იან წწ-ში გაემგზავრა პარიზში, სადაც სწავლა გააგრძელა ხელოვნების აკადემიაში (*Ecole de Beaux-Arts*). მუშაობდა დიზაინერად პარიზის ოპერაში (1908-1911). მისი პირველი პერსონალური გამოფენა პარიზში მოეწყო 1911 წ-ს. 1912 წ-ს დაბრუნდა კიევიში. იყო უკრაინის მხატვართა გაერთიანების ერთ-ერთი დამფუძნებელი, ხოლო 1922 წ-ს აირჩიეს გაერთიანების პრეზიდენტად. I მსოფლიო ომის დროს გაემგზავრა ფრონტზე კორესპონდენტად. 1918-1925 წწ-ში მუშაობდა დიზაინერად კიევის თეატრებსა და ოპერაში. 1925 წ-ს, კოტე მარჯანიშვილის რჩევით, ჩამოვიდა საქართველოში. მუშაობა დაიწყო გამომცემლობა „ზარია ვოსტოკაში“. 1927-1930 წწ-ში შეასრულა ვრცელი ციკლი „ძველი თბილისი“. მან ასახა ძველი თბილისის მრავალფეროვანი ყოფის ეპიზოდები, თბილისის მკვიდრთა ტიპები, მათი გარემო, საქმიანობა და სხვა. 1929 წ-ს მოეწყო მისი პერსონალური გამოფენა თბილისში სასტუმრო „ორიენტში“. იგი მეგობრობდა ქართველ მხატვრებთან ლ. გუდიაშვილთან, დ. კაკაბაძესთან. რომანოსკის შესრულებული აქვს ისტორიული ტილოები (მაგალითად, „კრწანისის

ბრძოლა“). 1934 წ-დან ცხოვრობდა სოხუმში, სადაც ასწავლიდა სახვითი ხელოვნების სკოლაში. 1937-1941 წწ-ში მუშაობდა თბილისში კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დიზაინერად და მხატვარ-გამფორმებლად.

მისი ნამუშევრები დაცულია სემ – თბილისის ისტორიის მუზეუმში (ქარვასლა).

ბიბლიოგრაფია:

1. თბილისი ქართველი და უცხოელი მხატვრების შემოქმედებაში, ალბომი, შემდგენლები: მ. ციციშვილი, ნ. ჭოლოშვილი, თბ., 2004.
2. პოლონელი მხატვრები საქართველოში, კატალოგი, შეადგინა ჰ. იუსტინსკაიამ, თბ., 2001.

როტარი იოზეფ

(XIX-XX სს-ის მიჯნა)

გრაფიკოსი. გერმანელი მხატვარი ი. როტერი სწავლობდა მიუნხენის სამხატვრო აკადემიაში. 1902 წ-ს, როდესაც ოსკარ შმერლინგმა „კავკასიის კაზმული ხელოვნების წამახალისებელ საზოგადოებასთან“ ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელი დააარსა, პედაგოგად მიიწვია ცნობილი მხატვრები და, მათ შორის, იოზეფ როტერიც. როტერი ნახსენებია „დედა ენაზე“ მუშაობისას ო. შმერლინგთან და გრ. ტატიშვილთან ერთად. ამ მხატვრის შესახებ ძალზე მწირი ცნობები შემოგვრჩა. ცნობილია, რომ იგი იყო კარიკატურისტი, რომელიც შმერლინგთან ერთად მოღვაწეობდა ჟურნალის გრაფიკის დარგში და თანამშრომლობდა პერიოდულ

გამოცემებთან „ცნობის ფურცელი“, „კვალი“, „ემპაკი“ და „მოლა ნასრედინი“ (რომლისთვისაც შეასრულა 120 კარიკატურა). ი. როტერის კარიკატურების უმრავლესობა ეხმაურება XX ს-ის დასაწყისის თბილისის ცხოვრებას, მოქალაქეთა ყოფას, სოციალურ თუ პოლიტიკურ საკითხებს („პრესის დაკრძალვა“, „უპურობა ტფილისში“, „ჩხუბი წვეულების შემდეგ“).

მისი ნამუშევრები დაცულია სემ – ხელოვნების მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია:

1. კარბელაშვილი მ., ქართული გრაფიკა (1900-1920 წწ.), Ars Georgica, ელ. ჟურნალი, სერია B, 2010, იხ.: <http://www.georgianart.ge/index.php?option=com-content&view=article&id=55%3A-1900-1920-&catid=42%3A2010-12-03-16-05-33&Itemid=91&lang=ka>.
2. Елизбарашвили Н., Художественная жизнь Тбилиси в конце XIX- начале XX века, Л., 1982 (ავტორეფერატი).

სამსონაძე თენგიზ

(საჩხერე, 1928 – თბილისი, 2008)

ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარი. სწავლობდა ი. ნიკოლაძის სახ. სამხატვრო სასწავლებელში (1944-1949), თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში სახვითი ხელოვნების ფაკულტეტზე უ. ჯაფარიძესთან (1949-1955). მოღვაწეობდა ხელოვნების სხვადასხვა დარგში – ფერწერა, გრაფიკა, თეატრალური და კინო-სატელევიზიო მხატვრობა. 1958 წ-დან იყო საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი,

1968 წ-დან – საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი. მუშაობდა საქართველოს ტელევიზიაში (1956-1971). იყო ტელეფილმების სტუდიის მთავარი მხატვარი (1971-1988), 1971 წ-დან – თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ფერწერის კათედრის გამგე, გამოცემლობა „განათლების“ სამხატვრო საბჭოების წევრი, სამხატვრო კომბინატის საბჭოს თავმჯდომარე. 1961-1999 წწ-ში მონაწილეობდა საკავშირო თუ რესპუბლიკურ გამოფენებში. იფინებოდა საქართველოსა (სემ – ეროვნული გალერეა) და უცხოეთში (რუსეთი, პოლონეთი, ბელორუსია, გერმანია, ლატვია). იყო საქართველოს სახალხო მხატვარი (1980), აკ. წერეთლის სახ. პრემიის ლაურეატი (1994), ღირსების ორდენის კავალერი (1988).

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა (სემ – ხელოვნების მუზეუმი, ეროვნული გალერეა) და კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. ნოდია დ., სამსონაძე თ., ლინოგრაფიურების ალბომი, თბ., 1971.
2. სამსონაძე თენგიზ, იხ. <http://art.gov.ge/artists.php?lang=Ge&artist=789Ne>.
3. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1970, М.: Советский художник, 1975.

სანაძე კორნელი

(ხონი, 1907 – თბილისი, 1985)

ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარი. თავდაპირველად სწავლობდა მ. თოიძის სახალხო სამხატვრო სტუდიაში (1922-1924), შემდეგ

კი – თბილისის სამხატვრო აკადემიაში, სადაც მას ასწავლიდნენ ე. ლანსერე, ე. თადევოსიანი, ი. შარლემანი, გ. გაბაშვილი (1924-1929). აკადემიის დასრულების შემდეგ, ჩააბარა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში და ეუფლებოდა ვოკალს. 1920-1930-იან წწ-ში ეწეოდა აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებას და ხშირად მონაწილეობდა გამოფენებში. ხატავდა პორტრეტებს, პეიზაჟებს, მოდერნისტულ კომპოზიციებს, შესრულებული აქვს მრავალი სურათი აჭარისა და ჭიათურის, ასევე რევოლუციის თემაზე. იყო საქართველოს რევოლუციონერ მხატვართა ასოციაციის – „სარმას“ ერთ-ერთი დამაარსებელი და ორგანიზატორი (1929). 1934 წ-დან სიცოცხლის ბოლომდე ასწავლიდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში. 1956 წ-ს მიენიჭა პროფესორის წოდება. მისი მოღვაწეობა უკავშირდება კინოსა და თეატრის მხატვრობასაც. 1938 წ-დან, როგორც მხატვარი, თანამშრომლობდა თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, ფოთისა და თელავის თეატრებთან. გაფორმებული აქვს არაერთი სპექტაკლი („კარმენი“, „დაისი“ – ოპერისა და ბალეტის თეატრში; „ტირიფის ქვეშე“ – რუსთაველის თეატრში; „კოლმეურნის ქორწინება“, „შამილი“ – ქუთაისის თეატრში და სხვ.). ასევე გაფორმებული აქვს ორი კინოფილმი: „დარიკო“ და „ქალი მწვანეში“. იყო საქართველოს სახალხო მხატვარი (1964) და შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი (1977).

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა და რუსეთის სახელმწიფო მუზეუმებში (სემ – ხელოვნების მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა), ეროვნული გალერეა; შოთა რუსთაველის სახ. თეატრის მუზეუმი, აჭარის ხელოვნების სახელმწ. მუზეუ-

მი, ქუთაისის სახელმწ. ისტორიული მუზეუმი, თელავის სახელმწ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი და სხვ.) და კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. კორნელი სანაძე (ალბომი), თბ., 1983.
2. მასხარაშვილი გ., კორნელი სანაძე, „საბჭოთა ხელოვნება“ №6, 1977.
3. მუჟაანაძე ზ., მხატვრის სალონში, ქუთაისი, 1978.
4. ხუციშვილი ს., მხატვრის სახელოსნოში, „საბჭოთა ხელოვნება“ №7, 1968.
5. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1970, М.: Советский художник, 1975.

სარიანი მარტიროს

(დონის ნახიჩევანი, 1880 – ერევანი, 1972)

ფერმწერი, თეატრის მხატვარი და ილუსტრატორი. სომეხმა მხატვარმა სამხატვრო განათლება მოსკოვის ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში მიიღო (1897-1904). იგი ვ. სევეროვისა და კ. კოროვინის სახელოსნოებში მუშაობდა. რუსეთში ცხოვრების პერიოდში მონაწილეობდა გამოფენებში „გოლუბაია როზა“, „მირისკუსტვა“ და სხვა. 1910-1915 წწ-ში თურქეთში, ეგვიპტესა და ირანში იმოგზაურა, 1910-იანი წწ-ის ბოლოს კი საქართველოში იმყოფებოდა. 1916 წ-ს თბილისში ე. თადევოსიანთან, ვ. სურენიანცსა და ფ. ტერლემეზიანთან ერთად მ. სარიანმა დააარსა „სომეხი მხატვრების ამხანაგობა“. 1921 წ-დან სომხეთში დასახლდა. 1967 წ-ს ერევან-

ში გაიხსნა მ. სარიანის სახლ-მუზეუმი. მისმა შემოქმედებამ დიდი ზეგავლენა იქონია XX ს-ის სომხური მხატვრობის განვითარებაზე.

მისი ნამუშევრები დაცულია სომხეთის, საქართველოსა და რუსეთის სახელმწიფო მუზეუმებსა (სემ – ხელოვნების მუზეუმი, თბილისი; სარიანის სახლ-მუზეუმი, ერევანი) და სხვადასხვა ქვეყნის კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. სომეხი მხატვრები საქართველოში ჰაკობ ჰონგათანიანიდან გაიანე ხაჩატურიანამდე, ალბომი, შეადგინა ი. ოგანჯანოვამ, ტექსტი ნ. ზაალი-შვილისა, თბ., 2011.
2. ციციშვილი მ., ჭოლოშვილი ნ., თბილისი ქართველი და უცხოელი მხატვრების შემოქმედებაში, თბ., 2004 (ალბომი).
3. Драмлян Р., Сарьян, М., 1964.
4. Михайлов А. И., Мартирос Сергеевич Сарьян, М., 1958.

სევეროვი (ნორდანი) ნიკოლოზ

(თბილისი, 1887 – კიევი, 1957)

არქიტექტორი, ხუროთმოძღვრების მკვლევარი, გრაფიკოსი. 1915 წ-ს დაამთავრა პეტერბურგის სამოქალაქო-საინჟინრო ინსტიტუტი. 1918-1948 წწ-ში მუშაობდა თბილისში, 1948 წ-დან კი – კიევში. 1935-1948 წწ-ში იყო საქართველოს სსრ-ის არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე, თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, 1922-1948 წწ-ში – სამხატვრო აკადემიის პროფესორი. 1942 წ-დან უძღვებოდა ქართული ხელოვნების

ისტორიის ინსტიტუტის ხელოვნების ისტორიის განყოფილებას. დაწერილი აქვს გამოკვლევები ქართულ ტაძრებზე. ნ. სევეროვს დიდი ღვაწლი მიუძღვის ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლთა აზომვა-ფიქსაციაში, ასევე გაზომილი აქვს საერო არქიტექტურის ძეგლები, ძველი თბილისის საცხოვრებელი სახლები, თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში აგებული აქვს არაერთი საზოგადოებრივი და საცხოვრებელი შენობა. არის რამდენიმე სახელმწიფო ჯილდოს მფლობელი. ნ. სევეროვის მთელი შემოქმედება საქართველოს უკავშირდება.

მისი გრაფიკული ნამუშევრები დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია:

1. თბილისი ქართველი და უცხოელი მხატვრების შემოქმედებაში, ალბომი, შემდგენლები: მ. ციციშვილი, ნ. ჭოლოშვილი, თბ., 2004.
2. Пантеон зодчих Лукьяновского некрополя, Биографический справочник, К.: «С Медиа», 2008.

სიღამონ-პრისტავი ვალერიან

(ყვარელი, 1889 – თბილისი, 1943)

ფერმწერი, გრაფიკოსი, კარიკატურისტი, თეატრისა და კინოს მხატვარი. სწავლობდა მოსკოვის ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში, სადაც მისი პედაგოგები იყვნენ ა. არხიპოვი, ა. ვასნეცოვი და ნ. კასატკინი (1909-1915). საქართველოში დაბრუნების შემდეგ დასახლდა კახეთში და ასწავლიდა ხატვას

თელავში (1915). თანამშრომლობდა გაზეთ „საქართველოსთან“, ქმნიდა კარიკატურებს და ჩანახატებს ყოფით და ალეგორიულ თემებზე, მუშაობდა წიგნის დიზაინზე (1915-1916). 1917 წ-ს იმოგზაურა ერზრუმში, სადაც შეასრულა ადგილობრივი ტიპაჟებისა და ყოფითი სცენების ჩანახატები. 1910-20-იან წწ-ში შექმნა ისტორიული უანრის არაერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები. 1922 წ-დან დაიწყო მოღვაწეობა თეატრსა და კინოში. თანამშრომლობდა კ. მარჯანიშვილთან, ასევე აფორმებდა სპექტაკლებს რუსთაველის თეატრში („ცხვრის წყარო“, „მზის დაბნელება საქართველოში“). გაფორმებული აქვს ზ. ფალიშვილის ოპერა „დაისი“ (1923) და დ. არაყიშვილის „შოთა რუსთაველი“ (1924). მუშაობდა კინოს მხატვრად (1922-1935). არის მხატვარი დაახლოებით 35 ფილმისა (რეჟ. ა. ბეკნაზაროვი – „მამის მკვლელები“ (1923); რეჟ. კ. მარჯანიშვილი – „კრაზანა“ (1928), „კომუნარის ჩიბუხი“ (1929); რეჟ. კ. მიქაბერიძე – „ჩემი ბებია“ (ი. გამრეკელთან ერთად, 1929); რეჟ. მ. ჭიაურელი – „უკანასკნელი მასკარადი“ (1934) და სხვ.). 1925-1943 წწ-ში მოღვაწეობდა თბილისის სახელმწ. სამხატვრო აკადემიაში, იყო სამხატვრო აკადემიის პროფესორი (1938 წ-დან). გააფორმა საქართველოს პავილიონი ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო მიღწევათა გამოფენაზე (1938). ვ. სიღამონ-პრისტავს, რომელმაც თავისი შემოქმედებით საფუძველი ჩაუყარა ისტორიული უანრის დამკვიდრებას ქართულ ფერწერაში, 1940 წ-ს მიენიჭა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს მუზეუმებში (სემ – ხელოვნების მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა); კ. მარ-

ჯანიშვილის სახ. სახელმწ. დრამ. თეატრის მუზეუმი, თბილისის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. დრამ. თეატრის მუზეუმი), ასევე არაერთ კერძო კოლექციაში.

ბიბლიოგრაფია:

1. გაბუნია გ., ფერწერის ისტორიული უანრის ოსტატი, „ლიტერატურა და ხელოვნება“ (2/VII), 1944.
2. ვ. სიღამონ-ერისთავის ნამუშევრების გამოფენის კატალოგი, შესავალი შ. კვასხვაძისა, თბ., 1945.
3. თაბუკაშვილი ლ., ვალერიან სიღამონ-ერისთავი, თბ., 1958.
4. თაბუკაშვილი ლ., მხატვრის მოგონებანი, „საბჭოთა ხელოვნება“ №12, 1969.
5. თუმანიშვილი ე., „ცხვრის წყარო“, სცენოგრაფია, „თეატრალური მოამბე“ №4, 1989.
6. მხატვარი ვალერიან სიღამონ-ერისთავი, „ბახტრიონი“ (10/VII), 1922.
7. ციციშვილი მ., ჭოლოშვილი ნ., ქართული მოდერნიზმი 1910-1930, თბ., 2005.
8. ციციშვილი მ., თბილისი ქართველი და უცხოელი მხატვრების შემოქმედებაში (1850-1940), 2004.
9. ჯაფარიძე გ., ვალერიან სიღამონ-ერისთავი, ჟურნ. „დროშა“ №9, 1953.
10. Буачидзе Ш., Памяти В.В. Сидамон-Эристави, “Заря Востока” (24/ VI), 1943.
11. Джапаридзе У., Блестящий талант художника, “Вечерний Тбилиси” (19/ I), 1960.
12. Квасхвадзе Ш., Талант художника-реалиста, “Вечерний Тбилиси” (21/ VI), 1963.

სკლიფასოსკი ნიკოლაი

(მინსკი, 1870 – ლენინგრადი, 1935)

ფერმწერი, გრაფიკოსი. წარმოშობით პოლონელმა მხატვარმა ცხოვრების დიდი ნაწილი საქართველოში გაატარა და არაერთი ქართველი მხატვარი აღზარდა. იგი სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, ამავე პერიოდში სამხატვრო განათლებას იღებდა სტროგანოვის უმაღლეს სამხატვრო სასწავლებელში, დადიოდა სტუდიებში ლევიტანთან და გრანდკოვსკისთან, მონაწილეობდა მოსკოვის გამოფენებში. 1895 წ-ს, მეგობარი მხატვრის ბორის ფოგელის რჩევით, საქართველოში ჩამოვიდა. რამდენიმე წელი ცხოვრობდა ბათუმში. ჩამოაყალიბა ბავშვთა პირველი სამხატვრო სკოლა, ასწავლიდა ხატვას ბათუმის გიმნაზიებში. 1909 წ-ს მიიღო მიწვევა თბილისის ვაჟთა და ქალთა გიმნაზიებიდან და დაბრუნდა თბილისში. 1909-1910 წწ-ში მონაწილეობდა „ნატიფი ხელოვნების წახალისების კავკასიის საზოგადოების“ გამოფენებში, ასწავლიდა საზოგადოებასთან მოქმედ ხატვის სკოლაში. ბ. ფოგელთან ერთად მან საკუთარ სახლში გახსნა ქანდაკებისა და ხატვის სამწლიანი კურსები. თბილისის სამხატვრო აკადემიის დაარსებიდანვე ასწავლიდა სამხატვრო აკადემიაში (1922), არჩეულ იქნა აკადემიის პროფესორად. პარალელურად თანამშრომლობდა ჟურნალთან ARS. 1925 წ-ს საცხოვრებლად გადავიდა ლენინგრადში, ხოლო 1930-1932 წწ-ში ხატვას ასწავლიდა ბავშვებს ციმბირის ერთ-ერთ დასახლებაში, სადაც დაავადდა და რამდენიმე წელიწადში გარდაიცვალა. სკლიფასოსკის მოსწავლეები არიან გამოჩენილი ქართველი მხატვრები ე. ახვლედიანი, ს. ქობულაძე, ვ. ხოჯაბეგოვი, კ. ზდანევიჩი, ა. ბაჟბეუქ-მელიქოვი, ა. ციმაკურიძე და სხვ.

მისი ნამუშევრები დაცულია სემ – ხელოვნების მუზეუმში, ასევე საქართველოსა და უცხოეთის კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. პოლონელი მხატვრები საქართველოში, კატალოგი, შეადგინა ჰ. იუსტინსკაიამ, თბ., 2001.

სტურუა რობერტ

(კულაში, 1916 – თბილისი, 1982)

ფერმწერი, ფერმწერი-მონუმენტალისტი. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში (1933-1939) და მოსკოვის ვ. სურვიკოვის სახელობის სახვითი ხელოვნების ინსტიტუტში ი. გრაბართან და ნ. ჩერნიშოვთან (1939-1941). მისი ნამუშევრებიდან ყველაზე ცნობილია „გამარჯვების ზეიმი“ (ჭიათურის ა. წერეთლის სახ. თეატრის დარბაზის პლაფონის მოხატულობა, 1945-1950, სსრკ-ის სახელმწიფო პრემია, 1951), „ხალხთა მეგობრობა“ – სოფ. შრომის (ოზურგეთის რ-ნი) კულტურის სახლის დარბაზის პლაფონი (1953-1956); „ბოროტსა სძლია კეთილმან“ – მეშახტეთა კულტურის სახლი, ტყიბული (1957-1960), პანო „საქართველოს დღესასწაული“ – შესრულებული საქართველოს რესპუბლიკის 40 წელთან დაკავშირებით. მექმარიაშვილთან ერთად (1961). შექმნილი აქვს არაერთი ნაწარმოები ისტორიულ-რევოლუციურ თემაზე: ვ. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის „ლენინიანას“ დარბაზის ფრიზი, პანო „ვ. ლენინი“ (1967). ასევე ბევრს ხატავდა საქართველოს რესპუბლიკის სხვადასხვა მუზეუმებისათვის. ცნობი-

ლია რ. სტურუას ქალთა ლირიკული პორტრეტები და არქიტექტურული პეიზაჟები. იყო საქართველოს სსრ-ის სახალხო მხატვარი (1965), სსრ-ის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს მუზეუმებსა (სემ – ხელოვნების მუზეუმი, სემ – ეროვნული გალერეა, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწ. მუზეუმი, გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწ. მუზეუმი, თელავის ისტორიული მუზეუმი, ყვარლის მარჯანიშვილების სახლ-მუზეუმი, ამბროლაურის სახვითი ხელოვნების მუზეუმი და სხვ.) და კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. კინწურაშვილი ქ., ქსე, ტ. 9, თბ., 1985.
2. რატიშვილი ნ., მონუმენტური ფერწერის ოსტატები, თბ., 1958.
3. Бахтадзе А., О труде народном, “Вечерний Тбилиси” (18/VI), 1963.
4. Дадияни А., Встреча с художником, “Вечерний Тбилиси” (28/II), 1962.
5. Зданевич К., Искусство муремонтальной живописи. “Вечерний Тбилиси” (27/III), 1961.
6. Езерская Н., Роберт Стурúa, Советский художник, М., 1970.

სულეიკინი სერგეი

(პეტერბურგი, 1882 – ნაიაკი, 1946)

ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრის მხატვარი. სწავლობდა მოსკოვის ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების

სასწავლებელში (1897-1902). მისი პედაგოგები იყვნენ ა. ვასნეცოვი, ნ. კასატკინი, ლ. პასტერნაკი, ა. არხიპოვი. 1903 წ-დან სწავლობდა ვ. სეროვისა და კ. კოროვინის სტუდიებში. ამავე წლიდან დაიწყო მუშაობა თეატრის მხატვრად მოსკოვსა და პეტერბურგში. 1904 წ-ს მონაწილეობდა გამოფენაში *Алая роза*, „რუს მხატვართა კავშირის“ გამოფენებში (1905, 1907-1909). იყო ერთ-ერთი დამაარსებელი სიმბოლისტური მხატვრული გაერთიანებისა *Голубая роза*. 1909 წ-ს ჩააბარა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში დ. კარდოვსკის სახელოსნოში. ამ პერიოდში გაიცნო ა. ბენუა, ხოლო 1911 წ-ს გაწევრიანდა გაერთიანებაში *Мир Искусства*. იგი იყო ერთ-ერთი ორგანიზატორი და დეკორატორი ლიტერატურულ-მხატვრული კაბარესი *Бродячая собака*. 1917 წ-ს ს. სულეიკინი გაემგზავრა ყირიმში, 1919 წ-ს კი ჩამოვიდა საქართველოში, დაუკავშირდა „ცისფერყანწელებს“ და აქტიურად ჩაერთო თბილისის მხატვრულ და ლიტერატურულ ცხოვრებაში. ლ. გუდიაშვილთან და დ. კაკაბაძესთან ერთად მოხატა კაფე „ქიმერიონი“, შექმნა დეკორატიული ფრიზი თუმანიშვილების საოჯახო თეატრის ფოიესთვის. 1920 წ-ს მეუღლესთან ერთად დასახლდა პარიზში. გააფორმა ორი სპექტაკლი ანა პავლოვას საბალეტო დასისთვის. 1922 წ-ს ბალიევის ჯგუფთან ერთად გაემგზავრა აშშ-ში და დამკვიდრდა ნიუ-იორკში. ემიგრაციაში ყოფნისას ს. სულეიკინის მოღვაწეობის სფერო ძირითადად თეატრისა და კინოს მხატვრობით შემოიფარგლებოდა.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოში (ყოფილი არტისტული კაფე „ქიმერიონი“ – შოთა რუსთაველის სახ. აკადემიური თეატრი; ტ. ტაბიძის სახლ-მუზეუმი), რუსეთისა და მრავალ-

ვალი ქვეყნის ცნობილ მუზეუმებში (ტრეტიაკოვის გალერეა, პუშკინის სახ. სახელმწ. მუზეუმი, მოსკოვი; რუსეთის სახელმწ. მუზეუმი, პეტერბურგი; ბრუკლინის მუზეუმი, ნიუ-იორკი და სხვ.), ასევე სხვადასხვა ქვეყნის კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. მაგაროტო ლ., 1914-1921 წწ-ის ტფილისი ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრება, იხ. ქართული მოდერნიზმი 1910-1930, თბილისი, 2005.
2. ტაბატაძე თ., არტისტული კაფე „ქიმერიონი“ და მისი მოხატულობა, ტფ., 1919 (თბ., 2011).
3. ძუცოვა ი., ელიზბარაშვილი ნ., სერგეი სუდეიკინი საქართველოში, „საბჭოთა ხელოვნება“ №10, 1975.
4. Боулт Д., Сергей Судейкин: Жизнь в ближней эмиграции, В. Э. Борисов-Мусатов и «Саратовская школа»: Материалы 7-х Боголюбовских чтений, Саратов, 2001.
5. Коган Д., Сергей Судейкин, М., 1974.
6. Муза. Отрывки из дневника и другие тексты Веры Судейкиной (Стравинской), იხ. Experiment / IMRC. Vol. 13: Los Angeles, 2007.
7. Художники русского зарубежья 1917-1939: Биографический словарь / Сост.: О. Л. Лейкинд, К. В. Махров, Д. Я. Северюхин. СПб.: Нотабене, 1999, 547-548.
8. The Salon Album of Vera Sudeikin-Stravinsky / Ed. and tr. by J.E. Bowlt. Princeton: Princeton University Press, 1995.

სულავა ოთარ

(თბილისი, 1926 – თბილისი, 2000)

ფერმწერი, გრაფიკოსი. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ფერწერის ფაკულტეტზე უ. ჯაფარიძესთან და ვ. შერპილოვთან (1946–1952). 1954 წ-დან იყო მხატვართა კავშირის წევრი. 50-იან წლებში ქმნიდა სურათებს ინდუსტრიულ თემაზე. შესრულებული აქვს თანამედროვეთა პორტრეტები, პეიზაჟები. 1954 წ-დან აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო გამოფენებში. იფინებოდა საქართველოსა და უცხოეთში (რუსეთი, ბალტიისპირეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, გერმანია, შვედეთი, ნორვეგია, საფრანგეთი, იაპონია). მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული მხატვრის წოდება.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოში (სემ – ხელოვნების მუზეუმი, ეროვნული გალერეა), ასევე სხვადასხვა კერძო კოლექციაში.

ბიბლიოგრაფია:

1. იზორია მ., სიმწიფის ხანა, „საბჭოთა ხელოვნება“ №8, 1989.
2. სულავა ოთარ იხ.: <http://art.gov.ge/artists.php?lang=Ge&artist=728№>.
3. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1970, М.: Советский художник, 1975.

სუხბათაშვილი იოსებ

(თბილისი, 1915 – მოსკოვი, 2012)

თეატრისა და კინოს მხატვარი. თავდაპირველი სამხატვრო განათლება მიიღო თბილისის სამშენებლო ტექნიკუმში. შემდეგ დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მთავარ მხატვრად (1942). ამ პერიოდში გაფორმებული სპექტაკლებიდან აღსანიშნავია: ალ. ყაზბეგის „მოდღვარი“ (1948), უ. შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“ (1949), მ. მრეველიშვილის „ხარატიანთ კერა“ (1949), უ. შექსპირის „ანტონიოსი და კლეოპატრა“ (1951), ფ. შილერის „მარიამ სტიუარტი“ (1955), უ. შექსპირის „რიჩარდ III“ (1957), ევრიპიდეს „მედეა“ (1963) და სხვ. 1948-1959 წწ-ში იყო ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთავარი მხატვარი. გაფორმებული აქვს ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი“ და არაერთი სხვა დადგმა. პარალელურად მუშაობდა კინოფილმებზე „ქეთო და კოტე“, „მაგდანას ლურჯა“, „ცისკარა“ და სხვ. 1958 წ-დან მოღვაწეობდა მოსკოვის დრამატულ თეატრებში: 1962 წ-ს დაინიშნა საბჭოთა არმიის ცენტრალური თეატრის მთავარ მხატვრად და შექმნა სპექტაკლები „ივანე მრისხანეს სიკვდილი“ (1966), ა. ჩეხოვის „ძია ვანია“ (1969), დ. მერეჟკოსკის „პავლე I“ (1989), მ. ლერმონტოვის „მასკარადი“ (1992) და ა.შ. 1972 წ-დან მუშაობდა ე. ვახტანგოვის სახელობის თეატრში. ასევე მოღვაწეობდა სამხატვრო თეატრსა (MXAT) და ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში. წარმატებით თანამშრომლობდა საზღვარგარეთის სხვადასხვა დრამატულ და მუსიკალურ თეატრთანაც აშშ-ში, გერმანიაში, პოლონეთში,

ბულგარეთში, კორეაში და ა.შ. იყო თეატრალური პრემიის „ოქროს ნიღბისა“ და პრალის კვადრენალეს ოქროს მედლის მფლობელი, სსრკ-ის სახალხო მხატვარი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმებსა (სემ – ხელოვნების მუზეუმი, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწ. მუზეუმი, კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწ. აკად. თეატრის მუზეუმი) და კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. Гинзбург Т., Художник Иосиф Сумбаташвили Творчество разных лет, М.: ГАММА-ПРЕСС, 2009.
2. Старосельская Н., Юбилей Иосифа Сумбаташвили, Выпуск №3-133, М., 2010.

ტარიელაშვილი გიგო

(XIX-XX სს.)

ფერმწერი. ცნობები მის შესახებ თითქმის არ მოიპოვება. გაზეთ „დროების“ 1878 წ-ის №173-ში მოცემულია ცნობა ქართველი ახალგაზრდების გერმანიაში სასწავლებლად გამგზავრების შესახებ. როგორც ამ ცნობიდან ირკვევა, გ. ტარიელაშვილი საზოგადოების დახმარებით სასწავლებლად გერმანიაში აპირებდა წასვლას. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ხელოვნების მუზეუმში დაცულია მხატვრის მიერ 1897 წ-ს შესრულებული შოთა რუსთაველის პორტრეტი, რომელსაც მხოლოდ მხატვრის გვარი აწერია. ასევე

1960-იან წწ-ში კახეთში, სოფ. ველის-ციხეში, ერთ-ერთ ოჯახში ინახებოდა 1893 წ-ს შესრულებული შოთას პორტრეტი, რომელიც, როგორც მინაწერიდან ჩანს, გ. ტარიელაშვილს ეკუთვნის. ამ ნამუშევრებიდან ირკვევა, რომ გ. ტარიელაშვილი უნდა ყოფილიყო პროფესიონალი და არა თვითნასწავლი მხატვარი.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და კერძო კოლექციაში.

ბიბლიოგრაფია:

1. ლეჟავა ს., უცნობი მხატვარი გიგო ტარიელაშვილი, „ფრესკა“, 1985.
2. მხარგრძელი ს., როდის შეიქმნა სურათი, გაზ. „გამარჯვება“ (30/ IX), 1966.

ტატიშვილი გრიგოლ

(გორი, 1838 – 1911)

გრაფიკოსი, ქსილოგრაფი. თვითნასწავლი მხატვარი, ახალი გრაფიკული ხელოვნების ფუძემდებელი. სიღარიბის გამო, არც ზოგადი და არც სპეციალური განათლება არ მიუღია. გრაფიკული ხელოვნება თბილისში ჩამოსული იტალიური საოპერო დასის მხატვარ-დეკორატორებთან მუშაობისას შეისწავლა. თავდაპირველად დანიტ ქრიდა ხეზე აფიშებს. მოგვიანებით დახვეწა მხატვრული ოსტატობა და ქსილოგრაფიას მიჰყო ხელი. 1868 წ-ს თბილისში საკუთარი საგრაფიო ფორმა გახსნა. ამ დროისათვის თვითნასწავლი მხატვარი აქტიურად ამუშავებდა მხატვრულ შრიფტსა და ქართულ არქიტექტურულ

ორნამენტებს. 1871 წ-ს გრაფიკულად გააფორმა საყმაწვილო ჟურნალ „კრებულის“ გარეკანი, 1875-76 წწ-ში კი – „ყარამანიანი“, რომელიც მის შემოქმედებაში საეტაპო ნაწარმობად ითვლება. გრ. ტატიშვილმა თითქმის 11 წელი მოანდომა ქართული მონოგრამების შედგენა-ამოჭრას, რომელიც 1894 წ-ს ალბომის სახით გამოიცა. მანვე შეადგინა „ქართული ანბანის თაიგული“ და სომხური ანბანის ალბომი. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1888 წ-ს მ. ზიჩის ილუსტრაციებითა და გრ. ტატიშვილის არშიებითა და საზედაო ასოებით გაფორმებული შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა. გრ. ტატიშვილის ნამუშევრები იბეჭდებოდა გაზეთებში, მათ სურათებიან დამატებებში, ჟურნალებსა და სახელმძღვანელო წიგნებში. მასვე ეკუთვნის ი. გოგებაშვილის „დედა ენისა“ და „ბუნების კარის“, აგრეთვე „რუსკოე სლოვოსა“ და სხვა საბავშვო წიგნების დასურათება.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია:

1. გაჩეჩილაძე მ., ქართული წიგნის გრაფიკის ფუძემდებელი, გრაფიკოსი, მხატვარი და ქსილოგრაფი (გრიგოლ ტატიშვილი), ალმანახი „მწიგნობარი – 90“, თბ., 1990.
2. გაჩეჩილაძე მ., ქართული ექსლიბრისის სათავეებთან, ალმანახი „მწიგნობარი – 99“, თბ., 1999.
3. გაჩეჩილაძე მ., ქართული ექსლიბრისის ფორმირება და განვითარება (1920-1930), ალმანახი „მწიგნობარი – 02“, თბ., 2002.
4. გორდუზიანი ბ., გრიგოლ ტატიშვილი, თბ., 1957.

5. გრიგოლ ტატიშვილი, რეპრინტები, იდეა და დიზაინი მ. სუმბაძისა, თბ., 2011.
6. დუდუჩავა მ., ახალი ქართული ხელოვნება, თბ., 1950.
7. კარბელაშვილი მ., ქართული გრაფიკა (1900-1920), Ars Georgica, ელ. ჟურნალი, სერია B იხ.: <http://www.georgianart.ge/index.php?option=com-content&view=article&id=55%3A-1900-1920-&catid=42%3A2010-12-03-16-05-33&Itemid=91&lang=ka>
8. მასხარაშვილი გ., გრიგოლ ტატიშვილი, ჟურნ. „ფრესკა“ №6, 1974.
9. ურუშაძე მ., პირველი ქართველი გრაფიკორი გრიგოლ ტატიშვილი, თბ., 1958.
10. Беридзе В. Езерская Н., Искусство советской Грузии (1921-1970), М.: Советский художник, 1975.
11. Квасхадзе Ш., Первый грузинский гравер, „Вечерний Тбилиси“ (22/ II), 1962.

ტილკე მაქს

(ბრესლაუ, 1869 – 1942)

გრაფიკოსი, ილუსტრატორი. გერმანელი მხატვარი მ. ტილკე 1880-იან წწ-ში სწავლობდა ბერლინის სამხატვრო აკადემიაში. სტუდენტობის დროს იმოგზაურა იტალიასა და ტუნისში. მოგვიანებით მუშაობდა პრადოს მუზეუმში ასლების გადამღებად, ხოლო პარიზში – ილუსტრატორად. ბერლინში დაბრუნების შემდეგ იგი კოსტიუმის ისტორიის შესწავლას შეუდგა და ამ დარგის პროფესიონალად ჩამოყალიბდა. მისი ნამუშევრები პირველად 1911 წ-ს გამოიფინა ბერლინში. რუსეთის იმპერატორის რეკომენდაციით, ტილკე 1912 წ-ს სამუშაოდ მიიწვიეს კავკასიის მუზეუმში. აქ იგი ჩაერთო გუსტავ რადესა და

ალექსანდრე კაზნაკოვის მიერ 1909 წ-ს დაწყებულ კვლევაში, რომელიც კავკასიური სამოსის შესწავლას ითვალისწინებდა. ტილკე საცავებში დაცულ ნიმუშებს ინახავდა და, ეროვნულ კოსტიუმში გამოწყობილი მოდელების ფოტოსურათების მიხედვით, ჩანახატებს ასრულებდა. მან შეისწავლა სამოსის სხვადასხვა თარგი, ტარების წესი და კავკასიური კოსტიუმის განვითარების ხაზი. I მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ მხატვარი გერმანიაში დაბრუნდა. თბილისის მუზეუმში მისი ორწლიანი მოღვაწეობის შედეგად დარჩა 83 ნამუშევარი. მ. ტილკემ გამოსცა წიგნი, რომელშიც წარმოდგენილია მაროკოული, სუდანური, ეგვიპტური, არაბული, სირიული, ინდური, იაპონური და მრავალი სხვა ქვეყნის ეროვნული სამოსი, მათ შორის დიდი ადგილი უკავია კავკასიურსაც. 1936 წ-ს საქართველოში გამოიცა მ. ტილკეს კავკასიელ ხალხთა კოსტიუმების ღია ბარათების სერია. ტილკეს ნახატებსა და სტატიებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აღმოსავლური კოსტიუმის ისტორიაში. მხატვრის ნამუშევრების გამოფენა გაიმართა 2005 წ-ს საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და საქართველოში გერმანიის საელჩოს ორგანიზებით.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს (სემ – ისტორიის მუზეუმი (ქავასლა)) და უცხოეთში.

ბიბლიოგრაფია:

1. XIX-XX სს-ის გერმანელი მხატვრები საქართველოში (კატალოგი), რედაქტ.: ჰ. გაბრიელი, მ. ნავროტი, ნ. ნადარაია, მ. წერეთელი, თბ., 2011.
2. ტილკე მაქს, კავკასიის კოსტიუმები, კატალოგი, ავტორები: თ. გელაძე, ს. ნეიფე, ე. ნადირაძე, თბ., 2005.

3. Tilke Max, Oriental Costumes, Their Designs And Colors, Berlin: E. Wasmuth, 1922.

უცხოე მხატვრები

ქართული პარადული პორტრეტი
(XVIII ს-ის II ნახევარი);

ტფილისური პორტრეტული მხატვრობა
(XIX ს-ის დასაწყ. – XIX ს-ის 70-იანი წწ.);

ნამუშევრები დაცულია საქართველოსა და უცხოეთის სახელმწიფო მუზეუმებსა (სემ – ხელოვნების მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა); თელავის ისტორიული მუზეუმი, ს. მაკალათიას სახ. გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ერევნის სურათების გალერეა, აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმი, მოსკოვი და სხვ.) და სხვადასხვა ქვეყნის კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. ციციშვილი მ., თბილისური პორტრეტული სკოლის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, „საბჭოთა ხელოვნება“ №10, 1986.
2. ციციშვილი მ., XVIII-XIX სს-ის ქართული ფერწერული პორტრეტის განვითარების ძირითადი ეტაპები, ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი VI საერთაშორისო სიმპოზიუმი, თბ., 1989.
3. ციციშვილი მ., ნინო თორნიკე ქსნის ერისთავის ასულის პორტრეტი, Ars Georgica № 9, 1991.
4. ციციშვილი მ., XVIII-XIX სს-ის ქართული პორტრეტული მხატვრობა, თბ., 1997.

5. Хачатрян-Поладян Н., Акоп Овнатанян до и после, Ереван, 2007.

ფალავანდიშვილი ნატალია

(თბილისი, 1921 – თბილისი, 2006)

ფერმწერი, გრაფიკოსი. 1938-1945 წწ-ში სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში. მისი პედაგოგები იყვნენ ი. შარლემანი და ლ. გრიგოლია. 1950-60-იან წწ-ში მხატვრის შემოქმედების მთავარ თემას პეიზაჟი წარმოადგენდა. მრავალი წელი იყო იმ ჯგუფის წევრი, რომელიც ე. ახვლედიანის თაოსნობით მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ნ. ფალავანდიშვილი ქმნიდა პეიზაჟებს, ინტაცვდა ხუროთმოძღვრულ ძეგლებს. ამ პერიოდის ნამუშევრებიდან აღსანიშნავია: „მცხეთა“, „ქვიშხეთი“, „ლრუბლიანი დღე“, „გუდამაყრის ხეობა“, „ცხინვალის ხედები“, სერია „თბილისი“. მოგვიანებით მხატვარმა პროვანსისა (1966) და ბრიუსელის (1974) ჩანახატებიც შეასრულა. 1960-იანი წწ-დან ნ. ფალავანდიშვილის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო პორტრეტსა და ყოფით კომპოზიციებს. სხვადასხვა დროს მან შექმნა თანამედროვეთა, მათ შორის, მ. ბერიძის (1961, 1965, 1982), ს. კლდიაშვილის (1968), ქ. მაღალაშვილის (1968), ნ. რამიშვილის (1977), რ. სტურუას (1980), ე. ახვლედიანის (1972-1982) და სხვათა სახასიათო პორტრეტები. მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული მხატვრის წოდება.

მისი ნამუშევრები დაცულია სემ – ხელოვნების მუზეუმში, სემ – ეროვნულ გალერეაში, ამბროლაურის სახვითი ხელოვნების მუზეუმში, კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. ალიბეგაშვილი გ., ნატალია ფალავანდიშვილი, ნამუშევართა გამოფენის კატალოგი, თბ., 1983.
2. თაბუკაშვილი ლ., ნატალია ფალავანდიშვილი, „საბჭოთა ქალი“ №8, 1969.
3. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1970, М., Советский художник 1975.
4. Палавандишвили Н., Буклет, Серия “Художники Грузии”, Тб., 1958.

ფალავა პირა

(თბილისი, 1907 – მონრუჟი, 1988)

ფერმწერი, გრაფიკოსი. ქართველი ემიგრანტი მხატვრის ვერა ფალავას ოჯახი 1920 წ-ს ევროპაში გაემგზავრა, საიდანაც ბოლშევიკური რეჟიმის დამყარების შემდეგ საქართველოში აღარ დაბრუნდა და 1923 წ-ს პარიზში დასახლდა. ვ. ფალავა თავდაპირველად დეკორაციული ხელოვნების სკოლაში შევიდა, 1926-1933 წწ-ში კი ხელოვნებისა და რეკლამის სკოლაში ანდრე ლოტას სახელოსნოში გააგრძელა სწავლა. 1932 წ-ს ჩააბარა რანსონის კერძო სკოლაში, სადაც როჟე ბისიერის ფრესკული მხატვრობის სახელოსნოში სწავლობდა. სტუდენტობისას დაუახლოვდა რანსონის აკადემიის ჯგუფს, „პარიზის სკოლის“ მხატვრებს. ჯერ კიდევ 1938-39 წწ-ში მონაწილეობდა გამოფენებში. იგი შეუერთდა მხატვრების გაერთიანებას *Témoignage*. 1943 წ-ს ვ. ფალავამ გაიცნო ცნობილი გალერისტი ჟანა ბიუშე, რომელმაც მისი ნამუშევრები მონპარნასის ბულვარის გალერეაში პიკასოს ცოლის – დორა მაარის ნაწარმოებებთან ერთად გამოფინა (1944). მისი შემოქმედებით

დაინტერესდნენ პარიზის სახელოვნებო წრეები. ბიუშეს გალერეასთან ვ. ფალავა 1960 წ-დე თანამშრომლობდა. აქ მისი პერსონალური გამოფენა რამდენჯერმე მოეწყო. ვ. ფალავა მრავალმხრივი პიროვნება იყო. 1930-იან წლებში მუშაობდა ტექსტილზე. მიიღო მედლის განათლება და II მსოფლიო ომის დროს უვლიდა დაჭრილებს. 1960-იანი წწ-დან მუშაობდა აბსტრაქტულ მანერაში. ქმნიდა გრაფიურებს, ფერწერის პარალელურად პარიზში საბავშვო ბაღებისთვის შეასრულა მონუმენტურ-დეკორატიული პანოები, ასევე – ვიტრაჟები დიუჟონის სენტ-ჟოზეფის ეკლესიისთვის. შექმნა ილუსტრაციები პიერ ლეკიურის ლექსების კრებულისთვის, გააფორმა მილა გაგარინის პოემები. 1958 წ-ს რომის პაპმა იგი დააჯილდოვა სპეციალური ოქროს მედლით ხეზე შესრულებული ფრესკული პანოსათვის „ამალეზა“. 1966 წ-ს ვენეციის ბიენალეზე ვ. ფალავას ნამუშევრები წარმოდგენილი იყო საფრანგეთის პავილიონში. ვენეციის ბიენალეს მოჰყვა ვ. ფალავას გამოფენები ხელოვნების მუზეუმებსა და გალერეებში ევროპის სხვადასხვა ქალაქში (პარიზი, ბერლინი, ნიუ-იორკი, რომი, ტურინი, ბრიუსელი, ვენა და ა.შ.). 2008 წ-ს მონპარნასის მუზეუმში ექპოზიციაზე „პარიზი – მონპარანსი – თბილისი, 1920-იანი წლები“ წარმოდგენილი იყო ელენე ახვლედიანისა და ვერა ფალავას ნამუშევრები. 2012 წ-ს თბილისში ეროვნულ გალერეაში მოეწყო ვერა ფალავას პერსონალური გამოფენა.

მისი ნამუშევრები დაცულია საფრანგეთის, გერმანიისა და შვეიცარიის კერძო კოლექციებში, ასევე გრენობლის ხელოვნების მუზეუმში, პარიზის პომპიდუს ცენტრის კოლექციაში. მხატვარმა გარდაცვალებამდე გალერეა

„დარიალს“ გადასცა და ამჟამად ვერა ფალავას ასოციაციის საკუთრებაშია ნამუშევრები, რომლებიც 2012 წ-ის ოქტომბერში გამოიფინა თბილისის ეროვნულ გალერეაში. ასოციაციამ საქართველოს ეროვნულ მუზეუმს საჩუქრად გადასცა ვ. ფალავას ნამუშევრები – „უცნობი“ (1967), „პატარა საქართველო“ (1979) და სამი გრაფიკული ჩანახატი (1977-1979).

ბიბლიოგრაფია:

1. ცამციშვილი ა., უცხოეთში მოღვაწე ქართველი ხელოვანნი, იხ.: „100 ქართველი უცხოეთში“, თბ., 2011.
2. Hélène Akhvlédiani et Véra Pagava, P.: Musée du Montparnasse, 2008.
3. Vera Pagava: parcours d'un peintre, 1932-1982, Troyes: Les Cahiers bleus, 1982.

ვაჩუღია კარლო

(ქუთაისი, 1942)

გრაფიკოსი. 1970 წ-ს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, 1974 წ-ს – სსრკ-ის სამხატვრო აკადემიის გრაფიკის შემოქმედებითი სახელოსნო. 1970 წ-დან მონაწილეობს გამოფენებში. 1980 წ-დან არის გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მხატვარი-რედაქტორი. ასევე თანამშრომლობდა გაზეთთან „საქართველოს რესპუბლიკა“. შესრულებული აქვს დაზგური სერიები: „სიმშვიდე“, „სახელოსნო“, „ქუთაისი“. მუშაობს წიგნის გრაფიკის დარგში, გაფორმებული აქვს ქართული ზღაპრები, უ. შექსპირის „ვენეციელი ვაჭარი“, გოეთეს „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი“, ი. ცურტაველის „მუშანიკის წამება“.

ა. პრევოს „მანონ ლესკო“, აგრეთვე ვაჟა-ფშაველას, ი. ჭავჭავაძის, ნ. ლორთქიფანიძის, ა. ყაზბეგის, გ. ლეონიძის და სხვათა ნაწარმოებები. 1998 წ-ს საქართველოში ებრაელთა დამკვიდრების 26-ე საუკუნისადმი მიძღვნილი ლონისძიებების ფარგლებში გაიხსნა კ. ფაჩულიას გამოფენა („შალომ ყველას! ჩემი ებრაელი მეზობლების ნახატები“).

მისი ნამუშევრები დაცულია სემ – ხელოვნების მუზეუმსა და კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. შაიშმელაშვილი თ., „აივნიანი ქალაქის“ სული: დრო და მხატვარი, „საქართველოს რესპუბლიკა“ №64 (6676), 2011.

ფიროსმანაშვილი (ფიროსმანი) ნიკო

(მირზაანი, 1862 – თბილისი, 1918)

ფერმწერი, თვითნასწავლი მხატვარი. XX ს-ის დასაწყისის ქართული ხელოვნების ერთ-ერთ ყველაზე გამოჩენილ წარმომადგენელს ნიკო ფიროსმანაშვილს სპეციალური სამხატვრო განათლება არ მიუღია. ადრეულ ასაკში დაობლებული, 1870-იან წწ-ში თბილისში გადმოსახლდა და თითქმის მთელი ცხოვრება აქ გაატარა. 1882 წ-ს გაიცნო მხატვარი გ. ზაზიაშვილი და 1888-1889 წწ-ში მასთან ერთად გახსნა სახელოსნო, რომელიც მალე დაიხურა. 1890-1900 წწ-ში მუშაობდა რკინიგზაზე და რძის დუქანში. 1904 წ-დან თავს მხოლოდ ხატვით ირჩენდა. ხატავდა აბრებს თბილისის ღვინის სარდაფებისა და დუქნებისთვის, რამაც გარკვეულწილად განსაზ-

ღვრა მისი სურათების თემატიკა (ქეიფის სცენები, თბილისური ტიპაჟები, სპეციფიკური ნატურმორტები). თუმცა ფიროსმანაშვილი არ შემოფარგლულა მხოლოდ ამ სიუჟეტებით. მან შექმნა პორტრეტები, სოფლის ყოფითი სცენები, ხატავდა ისტორიულ პერსონაჟებს. იგი თავისი დროის ერთადერთი ქართველი ანიმალისტი მხატვარი იყო. 1912 წ-ს ფიროსმანის ნამუშევრები „აღმოაჩინეს“ მხატვრებმა მიშელ ლედანტიუმ, კირილ და ილია ზდანევიჩებმა. მისი შემოქმედებით დაინტერესდნენ ქართულ და რუსულ ავანგარდულ წრეებში, დაიწყეს ფიროსმანაშვილის სურათების შეგროვება. 1913 წ-ს ფიროსმანის სამი ფერწერული ნამუშევარი გამოფენილი იყო მოსკოვში გამოფენაზე *Мишень* (მხატვრული სალონი „ბოლშაია დიმიტროვკა 11“). 1916 წ-ს გამოფენა მოეწყო კ. ზდანევიჩის სახლში თბილისში. ნ. ფიროსმანაშვილი 1918 წ-ს თბილისის ერთ-ერთ სარდაფში გარდაიცვალა. ახალგაზრდა ავანგარდისტი მხატვრების მცდელობათა მიუხედავად, ფიროსმანაშვილის შემოქმედება სათანადოდ მხოლოდ მხატვრის სიკვდილის შემდეგ აღიარეს და დააფასეს. საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ ფიროსმანის ათეულობით გამოფენა მოწყობილი: გამოფენა *Мишень* (მოსკოვი, 1913); ქართველ ხელოვანთა საზოგადოების II საშემოდგომო გამოფენა (თბილისი, 1919); ქართველ ხელოვანთა გამოფენა (თბილისი, 1927); გამოფენა სახელმწ. რუსულ მუზეუმში (ლენინგრადი, 1930); გამოფენები ხარკოვში, კიევსა და ოდესაში (1931); ხელოვნების მუზეუმში „მეტეხი“ (თბილისი, 1938); საქართველოს შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახელმწ. მუზეუმში (თბილისი, 1957, 1968, 1996); ლიტერატორების ცენტრალურ სახლში (მოსკოვი, 1963); სახალხო მუზეუმში (ვარშავა, 1968);

ლუვრში, დეკორატიული ხელოვნების მუზეუმში (პარიზი, 1969); სახვითი ხელოვნების აკადემიაში (ვენა, 1969); ბერლინის ახალ გალერეაში (ბერლინი, 1970); პრიმიტივისტების გალერეაში (ზაგრები, 1971); დალესის სახ. საგამოფენო დარბაზში (ბუქარესტი, 1971); უნგრეთის ნატიფი ხელოვნების მუზეუმში (ბუდაპეშტი, 1972); ტალინში, რიგასა და კუნასში (1976); ნაივური ხელოვნების მუზეუმში (ნიცა, 1983); არქეოლოგიის მუზეუმში (მარსელი, 1983); სეიბუს მუზეუმში (ტოკიო, 1986); ცუკაშინ ჰოლში (ამაგასაკი, 1986); აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმში (მოსკოვი, 1986); ხელოვნების მუზეუმში (ციურხი, 1995), კულტურის სახლში (ნამიური, 1997); ხელოვნების მუზეუმში (ნანტი, 1999), სემ – ეროვნულ გალერეასა და ა.შ.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა და უცხოეთის სახელმწ. მუზეუმებში (სემ – ხელოვნების მუზეუმი, ეროვნული გალერეა, სილნალის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი; ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწ. მუზეუმი, მირზაანი; დ. კაკაბაძის სახ. ქუთაისის სახვითი ხელოვნების გალერეა; აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმი, მოსკოვი და სხვ.), ასევე საქართველოსა და უცხოეთის (რუსეთი, საფრანგეთი და სხვ.) კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. ანთელავა ლ., კულტურათა დიალოგი (ფიროსმანის შემოქმედების ერთი ასპექტის შესახებ), ქართული ხელოვნების ნარკვევები III, თბ., 2004.
2. ბერიძე ვ., ნიკო ფიროსმანაშვილი, თბ., 2007.

3. თუმანიშვილი დ., ნიკო ფიროსმანაშვილის „პატარა მეთევზე“, ნაწილი I და II, Ars Georgica 9-B, თბ., 1996.
4. ლეჟავა ს., ნიკო ფიროსმანაშვილის მხატვრობის მნიშვნელობისათვის, „სპექტრი“, თბ., 2005.
5. მეძმარიაშვილი მ., ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედება ავანგარდული ხელოვნების ფონზე, ქართული ხელოვნების ნარკვევები, I, თბ., 2001.
6. მეძმარიაშვილი მ., ფიროსმანი და რუსი ავანგარდისტები, „სპექტრი“, თბ., 2005.
7. ნიკო ფიროსმანიშვილი, ტექსტის ავტ.: ტ. ტაბიძე, ვრ. რობაქიძე, გ. ქიქოძე, კ. ზდანევიჩი და კ. ჩერნიაკი, ტფ., 1926.
8. ნიკო ფიროსმანიშვილის ნამუშევრების გამოფენა, კატალოგი და სტატიები: მ. დუდუჩავა, ლ. გუდიაშვილი, გ. ლეონიძე, გ. ბუნნიკაშვილი, ხელოვნების მუზეუმი „მეტეხნი“, თბ., 1938.
9. პაპაშვილი გ., ნიკო ფიროსმანიშვილის სურათის ენა და ფოტოგრაფია, Ars Georgica, ელ. ჟურნალი, სერია B, იხ.: <http://www.georgianart.ge/index.php?option=com-content&view=article&id=129%3A2012-07-30-16-31-10&catid=42%3A2010-12-03-16-05-33&Itemid=91&lang=en>.
10. ტაბიძე ტ., მოგონებანი ფიროსმანზე, თბ., 1986.
11. ხომტარია გ., ნიკო ფიროსმანიშვილის მხატვრული მეთოდი, CD, თბ., 2003.
12. ხომტარია გ., ნიკო ფიროსმანიშვილის ნატიურმორტიები, „საბჭოთა ხელოვნება“ №10, 1978.
13. შანშიაშვილი ა., ნიკო ფიროსმანიშვილის შემოქმედება და ქართული ხელოვნების მხატვრული ტრადიცია, Ars Georgica, ელ. ჟურნალი, სერია B, იხ.: <http://www.georgianart.ge/index.php?option=com-content&view=article&id=116%3A2012-02-20-06-15-47&catid=42%3A2010-12-03-16-05-33&Itemid=91&lang=en>.

14. Зданевич К., Нико Пиросманашвили, М.: Искусство, 1964.
15. Кузнецов Э., Пиросмани, Серия – Жизнь в искусстве, Л., 1975.
16. Кузнецов Э., Багратишвили К., Нико Пиросмани 1862-1918, Л.: Аврора, 1984.
17. Саникидзе Т., Нико Пиросманашвили, М., 1986.
18. Niko Pirosmanszwili, Musée des Arts Decoratifs, Introduction de Ch. Y. Amiranachvili, Paris, 1969.
19. Sanikidze T., Niko Pirosmanshwili, Nice, 1983.
20. Zeichen und Wunder, Niko Pirosmani (1862-1918) und die Kunst der Gegenwart, Edited by Bice Curiger, Zuerich, 1995.

ფოგელი ბორის

(თემირ ხან შურა, 1872 – ლენინგრადი, 1961)

ფერმწერი. დაიბადა დაღესტანში, ოფიცრის ოჯახში. 1878 წ-ს ოჯახთან ერთად გადმოსახლდა თბილისში. სწავლობდა ვაჟთა I გიმნაზიაში. ხატვისადმი ინტერესი ბავშვობიდანვე გამოიჩინა. მისი პირველი ხატვის პედაგოგი იყო ა. ზახაროვი. 1892 წ-ს ბ. ფოგელმა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩააბარა, პარალელურად კი ხატვას ლ. პასტერნაკის კერძო სტუდიაში ეუფლებოდა. 1896-1897 წწ-ში სწავლა გააგრძელა პარიზში, ჟულიენის აკადემიაში, უან პოლ ლორანთან და ბენჟამინ კონსტანტთან. 1897-1902 წწ-ში სწავლობდა პეტერბურგის საიმპერატორო სამხატვრო აკადემიაში. 1902 წ-დან

ფოგელი დამკვიდრდა თბილისში, სადაც 1934 წ-მდე ცხოვრობდა. მუშაობდა ხატვის მასწავლებლად ქალთა I გიმნაზიაში, „კავკასიის კაზმულ ხელოვნებათა წამახალისებელი საზოგადოების“ სასწავლებელში. 1910 წ-ს ფოგელმა ნ. სკლიფასოვსკისთან და ე. თათევოსიანთან ერთად დააარსა ფერწერისა და ხატვის სკოლა, რომელმაც 1914 წ-მდე იარსება. 1911 წ-ს სკლიფასოვსკიმ და ფოგელმა მოაწყვეს „ტფილისელ მხატვართა გამოფენა“. ფოგელი აქტიურ მხატვრულ ცხოვრებას ეწეოდა. 1896 წ-დან მისი ნამუშევრები იფინებოდა პარიზში, სანკტ-პეტერბურგში, მოსკოვში, ბაქოსა და თბილისში. 1910-1920-იან წწ-ში მონაწილეობდა „კავკასიის კაზმულ ხელოვნებათა წამახალისებელი საზოგადოების“ არაერთ გამოფენაში თბილისში, ასევე „მალა კრუგის“ გამოფენებში, მხატვარ-პედაგოგებისა და პეტერბურგის მხატვართა ახალი საზოგადოების გამოფენებში. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ფოგელი აგრძელებდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, ასწავლიდა თბილისის სკოლებსა და სამხატვრო სტუდიებში. ძირითადად ხატავდა პეიზაჟებს. ქართული ხელოვნებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1927-30 წწ-ში შესრულებული თბილისისადმი მიძღვნილი სერია. 1934 წ-ს მხატვარი საცხოვრებლად გადავიდა ლენინგრადში, სადაც სამხატვრო აკადემიის დეკანად და პროფესორად მუშაობდა.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს, რუსეთისა და საფრანგეთის სახელმწიფო მუზეუმებსა (სემ – ხელოვნების მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა); აჭარის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი; პეტერბურგის რუსული მუზეუმი), თბილისის, მოსკოვის, პეტერბურგის, პარიზის და სხვა კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. თბილისი ქართველი და უცხოელი მხატვრების შემოქმედებაში, ალბომი, შემდგენლები: მ. ციციშვილი, ნ. ჭოლოშვილი, თბ., 2004.
2. ჭოლოშვილი ნ., გერმანული მხატვრული ტრადიცია და საქართველო XIX ს-ის დასაწყისიდან XX ს-ის 40-იან წწ-მდე, თბ., 2006 (ავტორეფერატი).
3. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1979, М.: Советский художник, 1975.
4. Kurdadase I., Tschkonka T., Deutsche in Georgien, “Der Künstler mit geheimnisvollem Charme”, Boris Vogel, “Kaukasische Post” №38.

ფონ ფრანკენი პაულ

(გოდესბერგი, 1818 – დიუსელდორფი, 1884)

ფერმწერი, გრაფიკოსი. გერმანელი მხატვრი პაულ ფონ ფრანკენი სწავლობდა დიუსელდორფის სამხატვრო აკადემიაში. 1846 წ-დან ცხოვრობდა დრეზდენში და ასწავლიდა ხატვას. 1850 წ-ს იქორწინა თავის მოწაფე ჰელენე კიობერზე და პარიზის გავლით მეუღლის მშობლიურ ქალაქ მიტავაში (თანამედროვე ქ. ელგავა, ლატვია) გაემგზავრა. 1853 წ-ს რიგაში მოაწყო თავისი ნამუშევრების გამოფენა. 1853 წ-ს, რუსეთის იმპერიის სახელმწიფო მრჩევლის ვლადიმერ სოლოგუბის დაკვეთით, კავკასიაში წარმოებული ბრძოლების აღსაბეჭდად მეუღლესთან ერთად პეტერბურგის გავლით კავკასიაში ჩამოვიდა და 1860 წ-დე თბილისში ცხოვრობდა. საქართველოში გატარებული წლები ფრანკენის შემოქმედებისთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. იგი ხშირად მოგზაურობდა

კავკასიის სხვადასხვა მხარეში, რამაც მეტად გაუღვივა ინტერესი კავკასიელთა ყოფისა და ადათ-წესებისადმი. სახელოვნებათმცოდნეო ლიტერატურაში პაულ ფონ ფრანკენი მოიხსენიება „კავკასიის მხატვრად“. მას ასახული აქვს საქართველოს სხვადასხვა კუთხე, თბილისის ხედები, კავკასიელთა ტიპები, შესრულებული აქვს ეთნოგრაფიული სურათები. 1884 წ-ს, გარდაცვალების წინ, მხატვარმა მთელი თავისი მხატვრული მემკვიდრეობა მეუღლეს უანდერძა. ჰელენე ფრანკენმა თბილისში ჩამოიტანა კავკასიის თემაზე შექმნილი ფრანკენის ნამუშევრები.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს, რუსეთისა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნის მუზეუმებსა (სემ – ხელოვნების მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა), თელავის ისტორიული მუზეუმი და სხვ.) და კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. ებრალიძე ვ., საქართველოთი მოხიბლული გერმანელი მხატვრები, თბ., 2000.
2. ჭოლოშვილი ნ., გერმანული მხატვრული ტრადიცია და საქართველო XIX ს-ის დასაწყისიდან XX ს-ის 40-იან წლებამდე, თბ., 2006 (ავტორეფერატი).
3. Heidermann H., Godesberg – Tiflis und zurueck?, Godesberger Heimatblaetter, 2005.
4. Thieme-Becker, Künstlerlexikon, Band XII, Leipzig, 1907.
5. Tschogoschwili N., Deutsche Siedler im Tbilisi des 19. Jahrhunderts, Iran and the Caucasus №8.1, Brill, Leiden, 2004.

ფრანკენი (კიოზარი) ჰელენე (მიტავა, 1825 – თბილისი, ?)

ფერმწერი, გრაფიკოსი. თავდაპირველად სამხატვრო განათლება მხატვარ ი. დიურინგთან და ი. ეგინკთან მიიღო. 1847 წ-ს დრეზდენში ჩავიდა, სადაც სწავლა განაგრძო ჯერ ცნობილ პორტრეტისტ ი. რიოტინგთან, ხოლო შემდეგ – პაულ ფონ ფრანკენთან, რომელთანაც 1850 წ-ს იქორწინა. ახლად შეუღლებულმა წყვილმა ერთი წელი ქ. მიტავაში გაატარა. 1853 წ-ს ჰ. ფრანკენი ნათესავების დახმარებით, რომლებიც რუსეთის არმიაში მსახურობდნენ, მეუღლესთან ერთად საქართველოში გაემგზავრა. რამდენიმე ფერწერული ტილო თბილისისა და საქართველოს სხვადასხვა კუთხის გამოსახულებით ჰ. ფრანკენმა მეუღლესთან ერთად შეასრულა. 1861 წ-ს პაულ ფონ ფრანკენი გერმანიაში დაბრუნდა, ჰელენი კი თბილისში დარჩა. იგი ხატვას ასწავლიდა ქალთა გიმნაზიაში და, პარალელურად, ასრულებდა კერძო შეკვეთებს, ძირითადად, მუშაობდა გრაფიკული პორტრეტის ჟანრში და ქმნიდა ქართველ დიდგვაროვანთა პორტრეტებს. მისთვის საქართველო იქცა მეორე სამშობლოდ, სადაც იგი სამუდამოდ დაფუძნდა. 1884 წ-ს ჰ. ფრანკენი, ავადმყოფი მეუღლის თხოვნით, დიუსელდორფში გაემგზავრა, საიდანაც 1886 წ-ს პაულ ფონ ფრანკენისგან ანდერძით მიღებული ნამუშევრები თბილისში წამოიღო.

მისი ნამუშევრები დაცულია სემ – ხელოვნების მუზეუმში, ასევე საქართველოსა და უცხოეთის კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. ებრალიძე ვ., საქართველოთი მოხიბლული გერმანელი მხატვრები, თბ., 2000.
2. ჭოლოშვილი ნ., გერმანული მხატვრული ტრადიცია და საქართველო XIX ს-ის დასაწყისიდან XX ს-ის 40-იან წლებამდე, თბილისი, 2006 (ავტორეფერატი).
3. Thieme-Becker, Künstlerlexikon, Band XII, Leipzig, 1907.
4. Tschogoschwili N., Deutsche Siedler im Tbilisi des 19. Jahrhunderts, Iran and the Caucasus №8.1, Brill, Leiden, 2004.

ქავთარაძე კონსტანტინე (თბილისი, 1879 – 1941)

ფერმწერი, ფოტოხელოვანი. მისი პედაგოგები იყვნენ ჰენრიხ ჰრინგესკი, გიგო გაბაშვილი, ოსკარ შმერლინგი. სწავლობდა ლონგოს სამხატვრო სკოლაში. 1905 წ-ს საცხოვრებლად გადავიდა პეტერბურგში. თანამშრომლობდა რუსულ ჟურნალებთან „ჟივოპისნოე ობოზრენიე“ და „ნივა“, აგრეთვე მონაწილეობდა გამოფენებში. ითვლებოდა ეთნოგრაფ მხატვრად და ეთნოგრაფიული მანეკენების ერთ-ერთ აღიარებულ ოსტატად. 1911 წ-ს დაბრუნდა თბილისში. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობისას შექმნა პორტრეტები და ეთნოგრაფიული ჩანახატები. მისი ნაწარმოებები ხშირად იბეჭდებოდა „სახალხო გაზეთისა“ და გაზეთ „საქართველოს“ სურათებიან დამატებებში. 1911 წ-ის სექტემბერში თბილისის ე.წ. „ახალ კლუბში“ მოეწყო მხატვრის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო საზოგადო მოღვაწეთა პორტრეტები. 1912 წ-ს კ. ქავთარა-

ძემ აკ. წერეთელთან ერთად იმოგზაურა რაჭა-ლეჩხუმში, სადაც გადაიღო მნიშვნელოვანი მომენტები და შექმნა ფოტოების უნიკალური ალბომი.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოში (სემ – ხელოვნების მუზეუმი).

ბიბლიოგრაფია:

1. ფირალიშვილი ო., ერთი დავიწყებული სახელი, „დროშა“ №10, 1966.
2. შულღიაშვილი დ., მხატვრის უნიკალური ალბომი, „საბჭოთა ხელოვნება“ №4, 1984.

ქიქოძე შალვა (ბახვი, 1894 – ფრაიბურგი, 1921)

ფერმწერი, გრაფიკოსი, კარიკატურისტი. სწავლობდა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში (1902-1912). ამ პერიოდში რუსულიდან თარგმნა და დაასურათა სერ არტურ კონან დოლის „შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი“, შექმნა ილუსტრაციები ამირანის თქმულებისათვის, ხატავდა სასწავლებელში მოღვაწე რეაქციონერი პედაგოგების კარიკატურებს. გიმნაზიის სრული კურსის დამთავრების შემდეგ, დაენიშნა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სტიპენდია და ჩაირიცხა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე (1914). პარალელურად აბარებდა მოსკოვის ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების ინსტიტუტში, სადაც მხოლოდ ორი წლის შემდეგ მოხვდა (1916-1918). ამ პერიოდში მხატვრის კარიკატურები და მეგობრული შარჟები „შალიკოს“ ფსევდონიმით იბეჭდებოდა მოსკოვის

თეატრალურ ჟურნალში „რამპა და ცხოვრება“. ა. ბახრუშინის სახ. სახელმწიფო. თეატრის მუზეუმში დაცულია მოსკოვის თეატრ-კაბარე „ლამურას“ ფარდა, რომელიც უ. ქიქოძის მიერ არის მოხატული. არდადეგებზე საქართველოში ჩამოსული უ. ქიქოძე დ. შევარდნაძის მიერ ჩამოყალიბებული პირველი პროფესიული საზოგადოებრივ-კულტურული ორგანიზაციის „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ საქმიანობაში ჩაერთო (1916). მონაწილეობდა „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა“ და „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ მიერ ერთობლივად მოწყობილ პირველ სამხატვრო-სამეცნიერო ექსპედიციაში ნაბახტევის ეკლესიის მხატვრობის პირების გადმოსაღებად. გარდა ამისა, მხატვარმა ცხენით შემოიარა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი, კახეთი, აჭარა. ამ მოგზაურობით გამოწვეული ემოციური შთაბეჭდილებები მისმა დღიურებმა შემოგვინახა. 1918 წ-ს სამშობლოში დაბრუნებული მხატვარი საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩაერთო. ამავე წლის ბოლოს იგი აირჩიეს „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ მდივნად. საქართველოში უ. ქიქოძე მჭიდროდ თანამშრომლობდა ჟურნალებთან. მისი კარიკატურები იბეჭდებოდა სატირული ჟურნალისტულ ჟურნალებში „ლახტი“ და „ემშაკის მათრახი“, თეატრალურ ჟურნალებში „თეატრი და ცხოვრება“ და „თეატრი და მუსიკა“, რუსულენოვან გამოცემაში „ხელოვნება“ (რედ. ი. ლვოვი და დ. ტამუროვი). უ. ქიქოძე ამ გამოცემათაგან ზოგიერთის რედკოლეგიის წევრიც იყო. მხატვარი, რეჟისორ გ. ჯაბადარის მიწვევით, მუშაობდა მის მიერ ჩამოყალიბებული სტუდიის სპექტაკლების გაფორმებაზეც (1918). შექმნა დეკორაციები ჯაკოსის პიესისათვის „ვითა ფოთლები“ და ბრიც

მუსიკალური დრამისათვის „სარწმუნოება“ (დეკორაციები დაკარგულია). 1919 წ-ს უ. ქიქოძე მონაწილეობდა თბილისში „დიდების ტაძარში“ გამართულ მასშტაბურ გამოფენაში. 1920 წლის 13 იანვარს „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ მიერ დანიშნული სტიპენდიით არტიტი სხვა მხატვრებთან ერთად სასწავლებლად პარიზში გაემგზავრა, სადაც იფინებოდა არაერთ გალერეაში, კერძოდ, „ლა ლიკორნსა“ და „დამოუკიდებელთა სალონიში“. მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უ. ქიქოძე გერმანიაში გარდაიცვალა და დაკრძალულია ქ. ფრაიბურგში (1921). ქართული მოდერნისტული მხატვრობის ერთ-ერთმა თვითმყოფადმა წარმომადგენელმა და გამორჩეული ნიჭის მხატვარმა, მიუხედავად ხანმოკლე ცხოვრებისა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თანამედროვე ქართული ხელოვნების განვითარებაში. უ. ქიქოძის ნამუშევრები სამშობლოში მხატვრის მამამ და დ. კაკაბაძემ დააბრუნეს. 1928 წ-ს „ქართველ მხატვართა საზოგადოებამ“ მოაწყო უ. ქიქოძის პერსონალური გამოფენა და გამოსცა მხატვრის ნამუშევართა კატალოგი.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა (სემ – ხელოვნების მუზეუმი) და რუსეთში (ა. ბახრუშინის სახ. თეატრის მუზეუმი, მოსკოვი), ასევე არაერთი ქვეყნის კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. აბესაძე ი., შალვა ქიქოძე, თბ., 1990.
2. აბესაძე ი., ბაგრატიშვილი ქ., შალვა ქიქოძე კულტურული მემკვიდრეობა, თბ., 2005.
3. აბესაძე ი., ქართული ფერწერის ექსპრესიონისტული ტენდენციები, „საბჭოთა ხელოვნება“ №3, 1979.

4. ბაგრატიშვილი ქ., შალვა ქიქოძე, „საბჭოთა ხელოვნება“ №1, 1965.
5. დაუშვილი შ., მხატვარი შალვა ქიქოძე, „საბჭოთა ხელოვნება“ №8, 1970.
6. კილაძე ც., შალვა ქიქოძის ავტოპორტრეტი „უდროოდ დაღუპული მეგობრის მოსაგონებლად“, Ars Georgica, ელ. ჟურნალი, სერია B, 2012, იხ.: <http://www.georgianart.ge/index.php?option=com-content&view=article&id=117%3A2012-02-20-06-33-31&catid=42%3A2010-12-03-16-05-33&Itemid=91&lang=ka>.
7. „ქართველ მხატვართა საზოგადოება“, შალვა ქიქოძე, სურათების გამოფენა (მოკლე ბიოგრაფია და სურათების პროსპექტი), ქართველ მხატვართა საზოგადოება, (5/VI), ტფ. 1928.
8. ციციშვილი მ., ჭოლოშვილი ნ., ქართული მოდერნიზმი 1910-1930, თბ., 2005.

ქობულაძე სერგო

(ახალციხე, 1909 – თბილისი, 1978)

ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრის მხატვარი. თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულთა პირველი თაობისა და ახალი ქართული ხელოვნების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ჯერ კიდევ საშუალო სკოლაში სწავლისას მეცადინეობდა ნ. სკლიფასოვსკისთან ხატვისა და ფერწერის კერძო სასწავლებელში (1918-1922). სამხატვრო აკადემიაში მისი მასწავლებლები იყვნენ გ. გაბაშვილი, ე. ლანსერე და ი. შარლენანი (1925-1930). სწორედ აქ დაიწყო ს. ქობულაძემ ძველი ქართული ხელოვნების ძეგლების შესწავლა. ამავე პერიოდში გაიტაცა იტალიური რენე-

სანსის ეპოქის ხელოვნებამ. აკადემიის დამთავრების შემდეგ რამდენიმე წელი გაატარა მოსკოვსა და ლენინგრადში, სადაც მუზეუმებში დაცული ძველი ოსტატების ნაწარმოებების გასაცნობად გაემგზავრა (1930-1932). მისი მოღვაწეობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული თეატრთან. 1931 წ-დან იყო ზ. ფალიაშვილის სახ. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მხატვარი, 1932 წ-დან თანამშრომლობდა კ. მარჯანიშვილთან. გააფორმა არაერთი სპექტაკლი რუსთაველის ქართულ დრამატულ თეატრში („პლატონ კრეჩეტი“, 1935), კ. მარჯანიშვილის თეატრში („გიორგი სააკაძე“, 1940), ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში („დარეჯან ცბიერი“, 1937; „ამბავი ტარიელისა“, 1947; „სინათლე“, 1947). თანამშრომლობდა მოსკოვის დიდ თეატრთან. გრ. კილაძის ბალეტი „სინათლის“ მხატვრული გაფორმებისთვის მიენიჭა სსრკ-ის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდება (1947). 1930 წ-დან აქტიურად მონაწილეობდა თბილისისა და მოსკოვის გამოფენებში. 1950-იან წწ-ში მისი ნამუშევრები გაიგზავნა ვენეციასა და ლონდონში. ს. ქობულაძის შემოქმედების სხვა მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენდა წიგნის ილუსტრაცია. მას გაფორმებული აქვს ნ. ლორთქიფანიძის „მრისხანე ბატონი“ (1933), ი. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“ (1934), უ. შექსპირის ტრაგედიები „ანტონიუსი და კლეოპატრა“, „მაკბეტი“, „მეფე ლირი“, „რიჩარდ III“ (1934-35) და სხვა. 1935-1937 წწ-ში შექმნა უ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციების სერია, ხოლო 1939-1940 წწ-ში დაასურათა „თქმულე-ბა იგორის ლაშქრობაზე“. 1938 წ-დან ასწავლიდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში, 1957 წ-დან იყო აკადემიის პროფესორი, ხოლო 1952-59 წწ-ში

– რექტორი. მან მოხატა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის ფარდა, რომელიც 1973 წ-ს ხანძრის შედეგად განადგურდა. ს. ქობულაძე წლების მანძილზე იკვლევდა ანტიკური და ქართული არქიტექტურული ძეგლების კომპოზიციური აგების პრინციპებს. 1972 წ-დან ხელმძღვანელობდა საკავშირო სამხატვრო აკადემიის თბილისის გრაფიკის შემოქმედებით სახელოსნოს. 1958 წ-ს მიენიჭა საქართველოს სახალხო მხატვრის წოდება, გარდაცვალების შემდეგ კი – რუსთაველის პრემია.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა და რუსეთის სახელმწიფო მუზეუმებში (სემ – ხელოვნების მუზეუმი, ეროვნული გალერეა, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი; ტრეტიაკოვის გალერეა, აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმი, მოსკოვი; ერმიტაჟის მუზეუმი, სანკტ-პეტერბურგი), საქართველოსა და უცხოეთის კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. კარბელაშვილი მ., სერგო ქობულაძის ილუსტრაციები „ვენისტიკაოს-ნისათვის“, „საბჭოთა ხელოვნება“ №8, 1959.
2. კარბელაშვილი მ., სერგო ქობულაძის ილუსტრაციები შექსპირის ტრაგედიებისათვის, „საბჭოთა ხელოვნება“ №10, 1961.
3. კარბელაშვილი მ., სერგო ქობულაძის ილუსტრაციები შექსპირის ტრაგედიებისათვის, „მეფე ლირი“, ქართული შექსპირიანა, ტ. XI, თბ., 1964.
4. კარბელაშვილი მ., სერგო ქობულაძე, თბ., 1970.
5. გაჩეჩილაძე მ., მორჩილაძე ა., სერგო ქობულაძე, გრაფიკა, თეატრის

მხატვრობა, ფერწერა, თბ., 2012.

6. Алибегашвили Г., С. Кобуладзе, Тб., 1980.
7. Арманд Т., Кобуладзе, М.: Искусство 1962.

ჭუთათელაძე აპოლონ

(ზონი, 1900 – თბილისი, 1972)

ფერმწერი, გრაფიკოსი, ილუსტრატორი. სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში გ. ვაბაშვილთან, ე. ლანსერესა და ი. შარლემანთან (1922-1926). აკადემიის დამთავრების შემდეგ იბეჭდებოდა სატირულ ჟურნალში „ტარტაროზი“. 1928 წ-ს, პროფესიული დაოსტატების მიზნით, გაემგზავრა ლენინგრადში, ხოლო ერთი წლის შემდეგ საკმაოდ დიდი ხნით დაფუძნდა მოსკოვში. მუშაობდა აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის მთავარ მხატვრად. თბილისში დაბრუნებული შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სამხატვრო აკადემიაში ფერწერის კათედრაზე (1943-1972), 1946 წ-ს მიენიჭა პროფესორის წოდება, ხოლო 1959-1972 წწ-ში იყო სამხატვრო აკადემიის რექტორი. მისი რექტორობის პერიოდში განვითარდა სამხატვრო საწარმოო კომბინატი, დაინერგა დეკორატიული გამოყენებითი ხელოვნების სპეციალობათა სწავლება აკადემიაში და გაიხსნა ახალი ფაკულტეტი. აპ. ჭუთათელაძე ხატავდა დიდი ზომის მრავალფიგურულ კომპოზიციებს, ხშირად მიმართავდა ბატალურ ჟანრს. შესრულებული აქვს არაერთი ფერწერული ტილო ისტორიულ და რევოლუციურ თემაზე („გიორგი სააკაძე მარაბდის ბრძოლაში“, „ნასაკირალის ბრძოლა“, „თამარ მეფის ნადირობა“, „ბათუმელ მუშათა პოლიტიკური დემონსტრაცია ი. სტალინის

ხელმძღვანელობით 1902 წელს“, „1905 წელი გურიამი“, „დახვრეტა ალექსანდრეს ბაღში“, „შეხვედრა ვ. ი. ლენინთან ფინეთის სადგურზე“, „ამხანაგი სერგო ორჯონიკიძე მცირე ყაბარლოში“ და სხვ.). მან შექმნა თანამედროვე და ისტორიულ პირთა პორტრეტები, პეიზაჟები. მოხატა ოზურგეთის სახელმწიფო თეატრი. მინიჭებული აქვს საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვრის საპატიო წოდება, დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენებითა და მედლებით.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა (სემ – ხელოვნების მუზეუმი, სემ – ეროვნული გალერეა, თსსა მუზეუმი, გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწ. მუზეუმი) და რუსეთში (აღმოსავლეთის ხალხთა მუზეუმი, მოსკოვი), ასევე კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. აპოლონ ჭუთათელაძე (1899-1999), მოგონებები, წინასიტყვ. ს. ქოიავასი, მხატვ. გ. წერეთელი, თბ., 1999.
2. დუდუჩავა მ., აპოლონ ჭუთათელაძე, „საბჭოთა ხელოვნება“ №5, 1970.
3. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1970, М.: Советский художник, 1975.
4. Гудиашвили Н., Аполлон Кутателадзе, Тб., 1958.

ჭუთათელაძე (ხიტა) გურამ

(თბილისი, 1924 – თბილისი, 1979)

ფერმწერი. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში დ. კაკაბაძესთან (1942-1946). რამდენიმე წლის განმავლობაში განათლებას იღებდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტშიც, ხოლო შემდეგ სწავლა გააგრძელა მოსკოვის ვ. სურიკოვის სახ. სახელმწიფო სამხატვრო ინსტიტუტში (1946-1949), სადაც მისი პედაგოგი იყო ა. ოსმერკინი. მოსკოვში სწავლის დროს დაკავშირებული იყო მხატვრების არაოფიციალურ წრეებთან. 50-იანი წლებიდან მოღვაწეობდა საქართველოში, მონაწილეობდა ადგილობრივ და საკავშირო გამოფენებში. 50-70-იან წლებში შექმნილი აქვს პეიზაჟები და ნატურმორტები. საქართველოს ბუნების ამსახველი სურათები გამოირჩევა მაღალი მხატვრული ოსტატობითა და დახვეწილი გემოვნებით („ქართლის პეიზაჟები“, „გურია“, „შემოდგომა“, „გაზაფხული“, „ნატურმორტი თეთრი სუფრით“, „პეიზაჟი ლურჯი ცით“, „ფიროსმანი“ და სხვ.). 1965 წ-ს დაიწყო მუშაობა პედაგოგად თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში, მოგვიანებით გახდა აკადემიის პროფესორი. 1974 წ-ს დაინიშნა საქართველოს მხატვართა კავშირის მდივნად. 1965 წ-ს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მხატვრის წოდება, ხოლო 1983 წელს – შ. რუსთაველის სახ. სახელმწიფო პრემია. გ. ჭუთათელაძის პირველი პერსონალური გამოფენა მოეწყო საქართველოს ეროვნულ გალერეაში 1980 წ-ს, მხატვრის გარდაცვალების შემდეგ.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა (სემ – ხელოვნების მუზეუმი, ამბროლაურის სახვითი ხელოვნების მუზეუმი და სხვ.) და უცხოეთში

(ლუდვიგის მუზეუმი კიოლნში, გერმანია; აღმოსავლური ხელოვნების ხალხთა მუზეუმი, მოსკოვი, რუსეთი), ასევე საქართველოს საპატრიარქოს სურათების კოლექციაში, კ. გლეიზერის (საარბრუკენი, გერმანია), როტ-შილდებისა (აშშ) და სხვათა კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. გურამ ქუთათელაძე (კატალოგი), შემდგ.: გ. ლორთქიფანიძე, ლ. დოლაბერიძე, თბ., 1981.
2. იოსელიანი ს., გურამ ქუთათელაძის შემოქმედება, თბ., 1993 (ავტორეფერატი).
3. კვასცაძე შ., გურამ ქუთათელაძე, „დროშა“ № 4, 1971.
4. ხიტა გურამ ქუთათელაძე – ფერწერა და გრაფიკა (ალბომი), ტექსტი დ. ანდრიაძისა, თბ., 2011.
5. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1970, М.: Советский художник, 1975.

ქუთათელაძე დავით

(ფოთი, 1901 – თბილისი, 1958)

გრაფიკოსი. დაწყებითი განათლება ჯერ ფოთის, შემდეგ კი ხონის გიმნაზიაში მიიღო. შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხელოვნების ისტორიის ფაკულტეტზე. პარალელურად თანამშრომლობდა მხატვრულ და სატირულ ჟურნალ-გაზეთებთან („მომავალი“, „ნიანგი“, „დროშა“, „თეატრი და ცხოვრება“, *Пламя, Красные всходы*), და გამომცემლობებთან („სახელგამი“, „ტიქნიკა და შრომა“, „ფედერაცია“), აფორმებდა წიგნებს და ასურათებდა

საყმაწვილო ლიტერატურას. 1924-1929 წწ-ში სწავლობდა ლენინგრადის სამხატვრო აკადემიაში წიგნის გრაფიკის სპეციალობაზე. სტუდენტობის პერიოდში თანამშრომლობდა ჟურნალებთან *Красная Панорама* და *Резец*. დ. ქუთათელაძის სადიპლომო ნაშრომს წარმოადგენდა მის მიერ გაფორმებული და დასურათებული ეგ. ნინოშვილის ნაწარმოები „ჯანყი გურიაში“ და საყმაწვილო ჟურნალი „ოქტომბრელი“. აკადემიის დამთავრებისთანავე დაბრუნდა საქართველოში. წლების მანძილზე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სამხატვრო აკადემიაში (1930-1931, 1948-1958). გარდა წიგნის დიზაინისა, დაინტერესებული იყო დაზგური გრაფიკით. ესტამპის ტექნიკის შესასწავლად კვლავ ლენინგრადში გაემგზავრა, სადაც გრაფიკის და გრაფიურის ყველა სახეობას დაეუფლა. დ. ქუთათელაძის მიერ შესრულებული საქართველოს ბუნებისა და ყოფის ამსახველი სურათები წარმოდგენილი იყო ლონდონში, პეკინსა და ლენინგრადში მხატვრების I გამოფენაზე (1935), ასევე სხვადასხვა ქალაქში გამართულ მოძრავ გამოფენებზე. მოგვიანებით მხატვარმა შექმნა დიდი ზომის ფერადი ოფორტები ისტორიულ-რევოლუციურ თემებზე. დ. ქუთათელაძე იყო საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა (სემ – ხელოვნების მუზეუმი, ეროვნული გალერეა) და რუსეთში (აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმი, მოსკოვი).

ბიბლიოგრაფია:

1. გორდენიანი ბ., მხატვარი დავით ქუთათელაძე, „მნათობი“ №12, თბ., 1956.

2. ჯანელიძე დ., გამარჯვებისა და ბედნიერების ამსახველი გამოფენა, გაზ. „კომუნისტი“ (23/ III), 1941.
3. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1970, М.: Советский художник, 1975.
4. Гордезиани Б., Страницы истории, „Заря Востока“ (13/X), 1959.

ქუთათელაძე (ლადო) ვლადიმერ

(ხონი, 1902 – თბილისი, 1981)

გრაფიკოსი. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ე. ლანსერესთან, ი. შარლემანთან, ჰ. ჰრინცესკისთან (1926–1930). 1938 წ-დან ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას ამავე აკადემიაში, 1946 წ-დან იყო გრაფიკის ფაკულტეტის დეკანი, ხოლო 1967 წ-დან – პროფესორი. 1929 წ-ს გაწევრიანდა მხატვართა გაერთიანებაში „სარმა“. მუშაობდა როგორც დაზგურ, ასევე წიგნის გრაფიკაში. შექმნილი აქვს ექსლიბრისის რამდენიმე ათეული ნიმუში, ქართული ანბანის გარნიტურები. 1925-1981 წწ-ში თანამშრომლობდა გამომცემლობებთან: „სახელგამი“, „საქართველოს მწერალთა კავშირის გამომცემლობა“, „*Заря Востока*“ და სხვ. გაფორმებული აქვს მრავალი ათეული წიგნი („XIX ს-ის ქართული მოთხრობა“, ალ. ყაზბეგის „მამის მკვლეელი“, კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“ და ა.შ.). 1921-1941 წწ-ში თანამშრომლობდა საქართველოს სახალხო კომიტეტის გამომცემლობის ლითოგრაფიის სახელოსნოსთან, უნივერსიტეტის პოლიგრაფიულ და ლითოგრაფიულ სახელოსნოებთან როგორც მხატვარი-ლითოგრაფისტი, მუშაობდა ქსილოგრაფიასა და ლინოგრაფიურაში. 1932-1936 წწ-ში შეასრულა გრაფიკული სერია, რომელიც ეძღ-

ვნებოდა ფოთის ნავსადგურს. მისმა გრაფიკულმა სერიებმა დოკუმენტური სიზუსტით შემოგვინახა ფოთის სანაპიროს, სამგორის არხის, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის ისტორია და სხვ. მნიშვნელოვანია მხატვრის მიერ შექმნილი საზოგადო მოღვაწეთა პორტრეტები, ნატურმორტები, ჟანრული კომპოზიციები, ქართული არქიტექტურული ძეგლების სერია (სვეტიცხოველი, გრემი, ანანური, სამწევრისი, გელათი, საფარა და სხვ.). 1961 წ-ს ლ. ქუთათელაძეს მიენიჭა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს მუზეუმებსა (სემ – ხელოვნების მუზეუმი, სემ – სურათების ეროვნული გალერეა, გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწ. მუზეუმი) და კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. გაჩეჩილაძე მ., ქართული წიგნის გრაფიკისა და ექსლიბრისის ოსტატები (ლ. ქუთათელაძე, მ. თუმშალიშვილი), „დილის გაზეთი“ (30/ VI), 1997.
2. გაჩეჩილაძე მ., მხატვრის გახსენება (ლადო ქუთათელაძე), *Ars Georgica*, ელ. ჟურნალი, სერია B, 2010 ივ.: <http://georgianart.ge/index.php?option=com-content&view=article&id=52&Itemid=&ed=7>.
3. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1970, М.: Советский художник, 1975.

ლიბრაძე ნათელა

(თბილისი, 1921 – თბილისი, 2008)

ფერმწერი, გრაფიკოსი. სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში ი. შარლემანთან, ვ. სიღამონ-ერისთავთან და ს. ქობულაძესთან (1942-1946). 1953 წ-დან მონაწილეობდა რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენებში („მხატვარი ქალები“, სოხუმი (1981), გეორგიევსკის ტრაქტატისადმი მიძღვნილი გამოფენა, სურათების ეროვნული გალერეა, თბილისი (1983), „სპორტი ქართულ ხელოვნებაში“, „დიდება შრომას“ და სხვ.). 1949-51 წწ-ში იყო თსსა პედაგოგი. 1959 წ-დან იყო მხატვართა კავშირის წევრი. ხატავდა საქართველოს კუთხეებს, პეიზაჟებს, ქალაქების ხედებს („ხევსურეთი“, „ჭიათურა“, „სიღნაღი“, „ქუთაისი“ და სხვ.). შესრულებული აქვს ილუსტრაციები ქართული ზღაპრისთვის „რწყილი და ჭიანჭველა“ (1982). არის საქართველოს დამსახურებული მხატვარი.

მისი ნამუშევრები დაცულია სემ – ხელოვნების მუზეუმში, ეროვნულ გალერეაში, საქართველოსა და ინგლისის კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1970, М.: Советский художник, 1975.

ყაზბეგი ნიკოლოზ

(თბილისი, 1908 – თბილისი, 1938)

თეატრისა და კინოს მხატვარი. 1926 წ-დან სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში გიგო

გაბაშვილთან და ევგენი ლანსერესთან. 1928 წ-ს ს. ქობულაძესთან, კ. სანაძესთან, რ. თავაძესთან და სხვებთან ერთად მონაწილეობდა აკადემიის სტუდენტურ გამოფენაში. 1930 წ-ს, როგორც „ხალხის მტრისა“ და ემიგრანტი მამის შვილი, იძულებული გახდა, გამოსულიყო სამხატვრო აკადემიიდან. ამ პერიოდიდანვე დაიწყო თანამშრომლობა ქართულ თეატრებთან. მუშაობდა ქართველ რეჟისორებთან – გ. ჟურულთან, ა. თაყაიშვილთან, გ. მიქელაძესთან და სხვ. შეასრულა დეკორაციები და კოსტიუმების ესკიზები 300-მდე სპექტაკლისათვის. იყო თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის მთავარი მხატვარი (1940-1943), სოხუმის დრამატული თეატრის მთავარი მხატვარი (1946-1958) და აფხაზ მხატვართა კავშირის თავმჯდომარე (1949-1953). 1959 წ-დან მუშაობდა დამდგმელ მხატვრად თბილისში, კინოსტუდია „ქართულ ფილმში“. გაფორმებული აქვს 17 ფილმი („ნინო“ – 1959, „თხუნელა“ – 1962, „ჯარისკაცის მამა“, ზ. მეძმარი-აშვილთან ერთად – 1964, „ჩარი რამა“ – 1971, „სამკაული ჩემი სატრფოსთვის“ – 1971 და სხვ.).

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწ. მუზეუმში, ასევე კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. ქართველი მხატვრები და თბილისი, კატალოგი, შემდგენ. გ. კალანდია, თბ., 2012.

ყუზანიშვილი თეიმურაზ

(თბილისი, 1924 – თბილისი, 1993)

გრაფიკოსი, წიგნის ილუსტრატორი. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში სახვითი ხელოვნების ფაკულტეტზე ი. შარლემანთან (1946-1953), მოგვიანებით – ლენინგრადის სამხატვრო აკადემიის ასპირანტურაში (1954-1956). 1963 წ-დან ასწავლიდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში, ხოლო 1971 წ-დან იყო პროფესორი. 1953 წ-დან სისტემატურად მონაწილეობდა რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო გამოფენებში. მუშაობდა წიგნის გრაფიკის დარგში, ქმნიდა გრაფიკულ სერიებს. აღსანიშნავია მისი ილუსტრაციები ვაჟა-ფშაველასა („მინდია“, „გველისმჭამელი“, „სტუმარ-მასპინძელი“) და ილია ჭავჭავაძის („ოთარაანთ ქვრივი“, 1954) ნაწარმოებებისთვის, რომლებიც განზოგადებულობითა და ლაკონიურობით გამოირჩევა. 1960-იან წწ-ში შესრულებული აქვს ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების ფერადი ლინოგრაფიურის სერია, ასევე პორტრეტული სერია „ჩემი თანამედროვენი“ (1967). არის არაერთი პრემიისა და ჯილდოს მფლობელი: პოლიგრაფიული ნაწარმის საკავშირო გამოფენის ვერცხლის მედალოსანი (1962), მოსკოვის საკავშირო გამოფენის ოქროს მედალოსანი (1964), ესტამპის საკავშირო გამოფენის დიპლომანტი (1964). მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ-ის დამსახურებული მხატვრისა (1965) და სახალხო მხატვრის წოდება (1988).

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და ნიუ-იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში (აშშ), ასევე მრავალი ქვეყნის კერძო კოლექციებში (საქართველო, კანადა, ნიდერლანდები, მექსიკა, კუბა,

ბულგარეთი, უნგრეთი, იაპონია, დიდი ბრიტანეთი, ავსტრია, შვეიცარია, ფინეთი).

ბიბლიოგრაფია:

1. ალადაშვილი ნ., თეიმურაზ ყუზანიშვილი, „საბჭოთა ხელოვნება“ №12, 1974.
2. ყუზანიშვილი თ., ილუსტრაციები ვაჟა-ფშაველას სამი პოემისათვის, ალბომი, თბ., 1961.
3. ყუზანიშვილი თ., პოემები ქვაში, ალბომი, თბ., 1964.
4. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1970, М.: Советский художник, 1975.

შავიშვილი მიხეილ

(ოზურგეთი, 1894 – თბილისი, 1966)

არქიტექტორი, თეატრისა და კინოს მხატვარი, კარიკატურისტი. სკოლის დამთავრებისთანავე მ. შავიშვილი ოზურგეთიდან თბილისში ჩავიდა, სადაც მისი ძმა კ. მარჯანიშვილთან თეატრის რეჟისორად მუშაობდა. ამ პერიოდში ქართული თეატრი და კინემატოგრაფია მხოლოდ ყალიბდებოდა. მუშაობდა კ. მარჯანიშვილთან და ა. წუწუნავასთან თეატრისა და კინოს მხატვრად (1921-1931). გააფორმა არაერთი თეატრალური დადგმა („ვინ არის დამნაშავე?“, „დეზერტირი ქალი“, „ცხოვრება-სინარული“ და სხვ.) და კინოფილმი („ხანუმა“ – ვ. სიღამონ-ერისთავთან ერთად; „ბოშური სისხლი“: „მხედარი უაილდვესტიდან“ და სხვ.). რეჟისორ ს. ახმეტელთან ერთად მუშაობდა ორ სპექტაკლზე: „დეზერტირკა“ და „ამერიკელი ძიას გასაბჭოება“ (1925-1926). 31 წლის

ასაკში უკვე პროფესიონალად ჩამოყალიბებულმა თეატრისა და კინოს მხატვარმა ძირითად სპეციალობად არქიტექტურა აირჩია და დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი არქიტექტურის სპეციალობით (1931). მისი ხელმძღვანელობით დაპროექტდა მრავალი საზოგადოებრივი და საცხოვრებელი ნაგებობა. არის 80-მდე პროექტის ავტორი. 1941 წ-ს მიენიჭა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება. 1945-1947 წწ-ში აირჩიეს საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარედ. 1951-55 წწ-ში ხელმძღვანელობდა არქიტექტურის კათედრას. 1956 წ-ს გახდა სსრკ-ის მშენებლობისა და არქიტექტურის აკადემიის წევრი.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს მუზეუმებსა (შოთა რუსთაველის სახ. აკად. თეატრის მუზეუმი, კოტე მარჯანიშვილის სახ. აკად. თეატრის მუზეუმი, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი) და კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. თეატრის მხატვრობა, კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის კოლექცია, შემდგ.: მ. ციციშვილი, ნ. ვაჩიშვილი, მ. სოხაძე, თბ., 2006.
2. თეატრის მხატვრობა, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექცია, ტექსტის ავტ.: დ. ლებანიძე, ე. თუმანიშვილი, მ. ოკლეი, თბ., 2008.

შალიკაშვილი (ნანი) ანა
(ქუთაისი, 1919 – თბილისი, 2004)

გრაფიკოსი. მხატვრული განათლება მიიღო თბილისის სამხატვრო აკადემიაში, სადაც სწავლობდა ფერწერის ფაკულტეტზე (1936-1942). მისი ფერწერის პედაგოგები იყვნენ დ. კაკაბაძე და ვ. სიღამონ-ერისთავი, ხოლო ხატვას თ. აბაკელია და ს. ქობულაძე ასწავლიდნენ. აკადემიის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ქუთაისის თეატრში. 1947 წ-ს თბილისში დაბრუნდა და მუშაობა დაიწყო კინოსტუდია „ქართულ ფილმში“, თავდაპირველად, მხატვარ-მულტიპლიკატორად, შემდეგ – დამდგმელ მხატვრად. ამ პერიოდში მ. ჭიაურელთან ერთად შექმნა ნახატი ფილმები: „განთიადის მომღერალი“ (1967), „როგორ მარხავდნენ თავგები კატას“ (1969), „რწყილი და ჭიანჭველა“ (1971), „ქილა ერბო“ (1972). 50-იანი წწ-დან თანამშრომლობდა ჟურნალ „პიონერთან“ და ასრულებდა შავ-თეთრ ნახატებს. ნ. შალიკაშვილმა შექმნა ილუსტრაციები საბავშვო წიგნებისთვის. 50-იანი წლების ბოლოს მუშაობდა მხატვართა ჯგუფთან, რომელიც ე. ახვლედიანთან ერთად ხატავდა ძველი და ახალი თბილისის ხედებს, ინდუსტრიულ პეიზაჟებს, მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. 60-70-იან წწ-ში მხატვარმა შეასრულა საქართველოს სხვადასხვა კუთხის პეიზაჟები, ყოფის ამსახველი სურათები – „კახეთში“ (1962), „სოფლის ჩანახატები“ (1967), „წყლის მოლოდინში“ (1973), „კოლმეურნე ქალები“ (1974). ა. შალიკაშვილის პირველი პერსონალური გამოფენა მოეწყო 2009 წ-ს თბილისის ისტორიის მუზეუმში (ქარვასლა). მას მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული მხატვრის წოდება.

მისი ნამუშევრები დაცულია სემ – ხელოვნების მუზეუმსა და სემ – ეროვნულ გალერეაში, ასევე კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. ანა შალიკაშვილი (გამოფენის კატალოგი), ტექსტი მ. კარბელაშვილისა, თბ., 1983.
2. კარბელაშვილი მ., მხატვარ ანა შალიკაშვილის შემოქმედება, Ars Geor-gica № 11, თბ., 2001.
3. ოცხელი ი., სიცოცხლის ძალა, „ლიტერატურული საქართველო“ (24/ VI), 1983.
4. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1970, М.: Советский художник, 1975.

შაშინიანი (შაშინოვი) არშთინ
(1856 – თბილისი, 1914)

ფერმწერი, გრაფიკოსი. სომეხი მხატვარი ა. შამშინიანი სწავლობდა თბილისში, „კავკასიის კაზმულ ხელოვნებათა წამახალისებელი საზოგადოების“ სამხატვრო სკოლაში, შემდეგ კი – პეტერბურგის სამხატვრო სკოლაში (1877-1882). ცხოვრობდა პარიზში, მიუნხენსა და ვენაში, ხოლო 1884 წ-დან დასახლდა თბილისში. ა. შამშინიანი ასწავლიდა რამდენიმე გიმნაზიაში, გ. ლევონიანის სამხატვრო კურსებზე და საკუთარ სამხატვრო სტუდიაში. მისი შემოქმედება უკავშირდება თბილისის თემატიკას. ის ძირითადად ხატავდა ადგილობრივი სომხების ტიპებს – ხელოსნებს, ვაჭრებს. აღსანიშნავია მისი თემატური ნაწარმოებები, სადაც თბილისის ცხოვრებაა ასახული. ა. შამშინიანი ავტორია წიგნისა „ხა-

ზვისა და პერსპექტივის ელემენტარული კურსი“ (1904). იყო კავკასიაში ქსილოგრაფიის ტექნიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოში (სემ – ხელოვნების მუზეუმი, თბილისი), სომხეთსა (სომხეთის ეროვნული გალერეა, ერევანი) და რუსეთში (ალ. პუშკინის სახ. სახვითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, მოსკოვი), ასევე სხვადასხვა ქვეყნის კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. თბილისი ქართველი და უცხოელი მხატვრების შემოქმედებაში, ალბომი, შემდგენლები: მ. ციციშვილი, ნ. ჭოლოშვილი, თბ., 2004.
2. სომეხი მხატვრები საქართველოში ჰაკობ ჰოვნათიანიდან გაიანე ხაჩატურიანამდე, ალბომი შეადგინა ი. ოვანჯანოვამ, ტექსტი ნ. ზაალ-იშვილისა, თბ., 2011.

შარბაჩიანი (გიგო) ბრიგოლ
(თბილისი, 1884 – თბილისი, 1942)

ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრის მხატვარი. სწავლობდა თბილისში „კავკასიის კაზმულ ხელოვნებათა წამახალისებელი საზოგადოების“ სასწავლებელში, მოგვიანებით – პარიზის ფულიენის აკადემიაში (1906-1910). 1913 წ-ს დაბრუნდა თბილისში. ამავე წელს მოეწყო მისი პირველი პერსონალური გამოფენა. იგი იყო სომეხ მხატვართა კავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელი. 1919-1927 წწ-ში მონაწილეობდა მრავალ გამოფენაში, ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სკოლებსა და

სომხურ სამხატვრო სტუდიაში. 1930-1936 წწ-ში იყო თბილისის სომხური დრამატული თეატრის მხატვარი. 1932 წ-ს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გააფორმა სპენდიაროვის სპექტაკლი „ალმასტი“.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა (სემ – ხელოვნების მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა)) და სომხეთში (ეროვნული გალერეა, ერევანი), ასევე – კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. სომეხი მხატვრები საქართველოში ჰაკობ ჰოვენათანიანიდან გაიანე ხაჩატურიანამდე, ალბომი, შეადგინა ი. ოგანჯანოვამ, ტექსტი ნ. ზაალ-იშვილისა, თბ., 2011.

შარლემანი იოსებ

(პეტერბურგი, 1880 – თბილისი, 1957)

ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრის მხატვარი. იოსებ შარლემანი, ცნობილი მხატვრის, ისტორიული ფერწერის პროფესორის და ილუსტრატორის ადოლფ შარლემანის ვაჟი, სწავლობდა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში პროფესორ ი. ციონგლინსკისთან და ფრანც რუბოსთან. 1907 წ-ს რამდენიმე ახალგაზრდა მხატვართან ერთად ჩამოაყალიბა „მხატვართა ახალი საზოგადოება“. იგი ახლოს იყო ჯგუფ *Мир искусства*-ის წევრებთან. შარლემანი თანამშრომლობდა ურნალებთან *Аполлон*, *Лукоморье*, *Сатирикон* და *Мир искусства*. 1913 წ-ს მან შექმნა „მინიატურების თეატრის“ ფარდა. ი. შარლემანმა დაასურათა

ლ. ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“. ამავე დროს იგი ასრულებდა შეკვეთებს ფაიფურის საიმპერატორო ქარხნისათვის. 1917 წ-ს ჩამოვიდა კავკასიაში და 1918 წ-დან დასახლდა თბილისში, სადაც 40 წელი იცხოვრა. შარლემანი ქართული წიგნის გრაფიკული გაფორმების ერთ-ერთი ფუძემდებელია. მან შექმნა ილუსტრაციები ნ. ბარათაშვილის, ე. ნინოშვილის, ვ. ბარნოვის ნაწარმოებებისთვის, გააფორმა სპექტაკლები. არის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის ავტორი. იგი არის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი. 1922 წ-დან ხელმძღვანელობდა თსსა გრაფიკის ფაკულტეტს, ხოლო 1941 წ-ს სამხატვრო აკადემიის პროფესორი გახდა.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა (კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრის მუზეუმი, სემ – ხელოვნების მუზეუმი) და უცხოეთის სახელმწიფო მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. თეატრის მხატვრობა, კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის კოლექცია (ალბომი), თბ., 2006.
2. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1970, М.: Советский художник, 1975.

შეგარდნაძე ლიბიტრი

(ბახვი, 1885 – თბილისი, 1937)

ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარი, რესტავრატორი, საქართველოში სამუზეუმო საქმის ფუძემდებელი, საზოგადო მოღვაწე.

იყო 1910-30-იანი წწ-ის ქართული კულტურის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენელი. დაამთავრა ქუთაისის რეალური სასწავლებელი (1906). სწავლობდა მიუნხენის სამხატვრო აკადემიაში (1907-1912). საქართველოში დაბრუნებისთანავე დააარსა „ქართველ ხელოვანთა საზოგადოება“ (1916), რომელიც ზრუნავდა ქართულ ხელოვნებაზე, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და მოვლაზე. აქტიურად იყო ჩართული საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საქმიანობაში. ორგანიზება გაუწია ქართველ მხატვართა ექსპედიციას და თავადაც მონაწილეობდა ნაბახტევის ღვთისმშობლის ეკლესიისა და დავით-გარეჯის მონასტრების ფრესკების შესწავლასა და რესტავრაციაში (1916). იყო ე. თაყაიშვილის თაოსნობით სამხრეთ საქართველოში მოწყობილი სამეცნიერო ექსპედიციის წევრი (1917). დ. შეგარდნაძის ორგანიზებით გაიმართა გამოფენები „საეკლესიო კედლის მხატვრობა“ და „ქართველ მხატვართა გამოფენა“ (1917-1919). დიდი დამსახურება მიუძღვის ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედების შესწავლაში, მისი ნამუშევრების შეგროვებასა და სამუზეუმო კოლექციის კუთვნილებად ქცევაში. ილია და კირილე ზდანევიჩების ხელშეწყობით, საკუთარ ბინაში მოაწყო ფიროსმანის გამოფენა (1917). 1920-იან წწ-ში იყო თბილისის რევკომის წარმომადგენელი თბილისის მუზეუმების დაცვის საქმეში, კულტურის ძეგლთა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე. მისი ძალისხმევით დაარსდა საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეა, რომლის პირველი დირექტორი თავად გახდა (1920). მოგვიანებით, მისივე თაოსნობით, გალერეა გადავიდა მეტეხის ციხეში და იქცა მუზეუმად (1933), რომლის ბაზაზეც დაფუძნდა

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. დ. შეგარდნაძემ შეაგროვა სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები მუზეუმის ფონდებისათვის. იყო 1910-30-იანი წწ-ის ქართული კულტურული ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის მთავარი ინიციატორი და შემსრულებელი: მონაწილეობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის გახსნაში (1922), შექმნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერბი და ბეჭედი (1918), შეასრულა ეროვნული ფულის ნიშნებისა და საფოსტო მარკების ესკიზები, ქართული შრიფტის გრაფიკული მოხაზულობის ახალი ნიმუში (1925). დ. შეგარდნაძე, როგორც მხატვარი, მოღვაწეობდა თეატრსა და კინოშიც. მას გაფორმებული აქვს არაერთი სპექტაკლი („აბესალომ და ეთერი“, „თქმულება შოთა რუსთაველზე“, „თამარ ცბიერი“, „მზეთამზე“) და კინოფილმი („ქრისტიანი“, „ვინ არის დამნაშავე?“, „ელისო“, „ჯანყი გურიასი“). არის ავტორი არაერთი გრაფიკული და ფერწერული ნამუშევრისა. გატაცებული იყო ფოტოგრაფიითაც. 1936 წ-ს დ. შეგარდნაძე გაათავისუფლეს „მეტეხის“ მუზეუმის დირექტორობიდან, 1937 წ-ს კი მხატვარი, რომელმაც გ. ჩუბინაშვილთან, ალ. ახმეტელთან და მ. ჯავახიშვილთან ერთად წინააღმდეგობა გაუწია ლ. ბერიას მეტეხის ტაძრისა და ციხის აფეთქების საქმეში, დააპატიმრეს და დახვრიტეს. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივით, საქართველოს ეროვნულ გალერეას მინიჭებული აქვს დ. შეგარდნაძის სახელი (2012).

მისი ნამუშევრები დაცულია სემ – ხელოვნების მუზეუმსა და კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. აბესაძე ი., ბაგრატიშვილი ქ., დიმიტრი შვეარდნაძე, თბ., 1998.
2. ლორთქიფანიძე ი., ხელოვანი და მოქალაქე, „მნათობი“ №12, 1985.
3. ციციშვილი მ., ჭოლოშვილი ნ., ქართული მოდერნიზმი 1910-1930, თბ., 2005.
4. ჭოლოშვილი ნ., გერმანული მხატვრული ტრადიცია და საქართველო XIX ს-ის დასაწყისიდან XX ს-ის 40-იან წწ-მდე, თბ., 2006 (ავტორეფერატი).

შერვაშიძე ალექსანდრე

(ყირიმი (ფეოდოსია), 1867 – მონაკო, 1968)

სცენოგრაფი, მხატვარი, წიგნის ილუსტრატორი და დიზაინერი, ხელოვნების კრიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე. მამით აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის – გიორგი შერვაშიძის შვილიშვილი, დედით ფრანგი იყო. მისი მამა, კონსტანტინე შერვაშიძე, რუსეთის არმიის ოფიცერი, რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ქართველ თავად-აზნაურთა 1832 წ-ის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო ჯერ რუსეთში გადაასახლეს, 1866 წ-ის აფხაზეთის აჯანყების შემდეგ კი საერთოდ აუკრძალეს სამშობლოში დაბრუნება. კ. შერვაშიძე ყირიმში დამკვიდრდა, სადაც დაიბადა ალ. შერვაშიძე. მან განათლება ჯერ სახლში, შემდეგ ნიჟეგოროდის კადეტთა კორპუსსა და კიევის რეალურ სასწავლებელში მიიღო. კიევშივე დაიწყო ხატვა პეტერბურგის ხელოვნებათა აკადემიის ლაურეატებთან ი. სელენიოვთან და ა. პრაზოვთან. 1891-1895 წწ-ში სწავლობდა მოსკოვის ფერწერის, ქა-

ნდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში. 1894 წ-ს გაემგზავრა პარიზში და სწავლა განაგრძო ფ. კორმონისა და უულიენის სახელოსნოებში. ხატავდა დაზგურ სურათებს, უმეტესად, პორტრეტებს („უცნობი ქალის პორტრეტი“, „მეუღლის პორტრეტი“, „ავტოპორტრეტი“, „მეგობრები“, „ღამე ახლოვდება“, „ბაღში“). ჰქონდა ინტენსიური კავშირი პარიზის სახელოვნებო-ლიტერატურულ წრესთან. მეგობრობდა რ. გილთან, ა. გოლსტიენტან, ა. ბენუასთან, ვ. სეროვთან, ა. ტოლსტოისთან, ნ. რერიხთან. ვ. ბრიუსოვთან, კ. ბალმონტთან. როგორც ჩანს, აქ ჩაეყარა საფუძველი მის შემოქმედებით ინტერესებს, მეგობრობას „მირისკუსტნიკებთან“, რაც შემდგომში მის სცენოგრაფიაზე აისახა. 1906 წ-დან იმყოფებოდა პეტერბურგში. აქ დაიწყო ა. შერვაშიძის, როგორც თეატრის მხატვრისა და სცენოგრაფის, შემოქმედება. იყო ვ. მეიერჰოლდისა და ნ. ევრენოვის თეატრალური ექსპერიმენტების თანამონაწილე, ს. დიაგილევის თანამოაზრე. ამ ექსპერიმენტების წარმატებას თეატრალური პრესა მეტწილად ა. შერვაშიძის სცენოგრაფიას მიაწერდა. მხატვარმა პეტერბურგის სხვადასხვა თეატრში 40-მდე სპექტაკლი გააფორმა (მაგ., გოეთეს „ფაუსტი“, ნ. კაზანლის „მირანდა“, ჟ. ოფენბახის „ლურჯი წვერი“ და გ. ჩულკოვის „პატარძალი“ – მარინის თეატრში; ა. ტოლსტოის „პროფესორი სტორიცინი“ და ა. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“ – ალექსანდრეს თეატრში, „ლვთისმოსავი მარტა“ – „ძველ თეატრში“ და ა.შ.). მოხატა „ძველი თეატრის“ კედლები ლანსერესა და რერიხთან ერთად. მისი ესკიზების მიხედვით შეკერილი კოსტიუმებით გამოდიოდნენ „მოდის საღამოებზე“ პეტერბურგის ცნობილი მსახიობები კარსავინა, ფოკინა, ბარაში. პე-

ტერბურგში ა. შერვაშიძე ხელმძღვანელობდა დეკორაციის ერთ-ერთ საიმპერატორო სახელოსნოს. I მსოფლიო ომის დროს ომის მსხვერპლთა დასახმარებლად ხშირად მონაწილეობდა საქველმოქმედო საღამოებსა და საიუბილეო სპექტაკლებში, გამოფენებსა და აუქციონებში. ამ დროს ფრანგულ და რუსულ სახელოვნებო ჟურნალებში „აპოლო“, „ზოლოტოე რუნო“, „მირ ისკუსტვო“ და „ისკუსტვო“ იბეჭდებოდა მისი წერილები: „ფრანგული მხატვრობის ასი წელი“, „წერილი პარიზიდან. სალონები“, „საგაზაფხულო გამოფენა პარიზში“, „შემოდგომის სალონი“. აქვე გამოქვეყნდა მისი სტატიები ვან გოგზე, სიორაზე, სეზანზე, ა. ბენუაზე და ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წერილი – „ინდივიდუალიზმი და ტრადიცია“ (1909). 1918 წ-ს ა. შერვაშიძემ დატოვა პეტერბურგი და დროებით სოხუმში გადასახლდა. იგი მონაწილეობდა სოხუმის დრამატული სკოლის შექმნაში, სადაც ასწავლიდა იმ ხანად სოხუმში მყოფ ვ. კამენსკისა და ნ. ევრენოვთან ერთად. მისი ინიციატივით ქალთა გიმნაზიის შენობაში გაიხსნა სამხატვრო სტუდია (1919), განხორციელდა რამდენიმე წარმოდგენა მოწაფეების მონაწილეობით. მხატვარი ხელმძღვანელობდა ხატვის წრეს, კითხულობდა ლექციებს ხელოვნების შესახებ საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის ქალაქებში, ეწეოდა საგანმანათლებლო საქმიანობას და ამ მიზნით ნიკო მარსაც დაუკავშირდა. 1920 წ-ს ალ. შერვაშიძე ს. დიაგილევის მიწვევით „რუსულ საბალეტო დასთან“ ერთად გაემგზავრა ინგლისში, ესპანეთსა და შემდეგ საფრანგეთში, სადაც საბოლოოდ დამკვიდრდა. ლონდონში, პარიზსა თუ ნიუ-იორკში იგი უმეტესად დიაგილევის დასთან თანამშრომლობდა, თუმცა ასრულებდა დაზგურ ნამუ-

შევრებსაც – პორტრეტებს, პეიზაჟებს, ნატურმორტებს. პარიზში დაუმეგობრდა პ. პიკასოს, ა. დერენს, ჟ. ბრაკს, ჟ. რუსოს, რომელთა მონაწილეობა „რუსული ბალეტის“ დადგმებში ამ მეგობრობის შედეგიც იყო. მათი ესკიზების სცენური განხორციელება ა. შერვაშიძის უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით ხდებოდა. 1921 წ-ს ა. შერვაშიძე აირჩიეს „მირ ისკუსტვას“ ხელახლა აღორძინებული გაერთიანების მხატვართა გამოფენის საპატიო თავმჯდომარედ პარიზში. ამავე პერიოდში შეიქმნა დეკორაციებისა და კოსტიუმების ესკიზები ქორეოგრაფიული სპექტაკლებისთვის, რომელიც ევროპისა და ამერიკის მრავალ ქალაქში იდგმებოდა. ესენი იყო: გ. ბერნერსის „ნეკტუნის ტრიუმფი“ (ქორეოგრაფია ჯ. ბალანჩინისა, ლონდონი, კოვენტ გარდენი, 1926), ლ. ბეთჰოვენის „პრომეთეოსი“ (ქორეოგრაფია ლ. საფარისა, პარიზი, 1932), პ. ჩაიკოვსკის „გედის ტბა“ (ქორეოგრაფია პეტიპასი, აშშ, 1936-1944), ა. ონეგერისა და ა. ჩერეპნინის (1910-იანი წწ-ში თბილისის კონსერვატორიის რექტორის ნ. ჩერეპნინის ვაჟი) „შოთა რუსთაველი“ (ქორეოგრაფია ნ. ევრენოვისა და ს. ლიფარისა, მონტე კარლო, 1946). ალ. შერვაშიძე თანამშრომლობდა არაერთ თეატრალურ დასთანაც, აფორმებდა სპექტაკლებს დამოუკიდებლად (ნ. გოგოლის „ქორწინება“ და „რევიზორი“, ბრიუსელი, 1922; ნ. ევრენოვის „მხიარული სიკვდილი“, პარიზი, 1922). მხატვარი წიგნის დიზაინზეც მუშაობდა. მან გააფორმა ვ. კამენსკის წიგნის ყდა, მ. ვოლოშინის კრებული „დემონები და ყრუ-მუნჯები“, თანამედროვე რუს პროზაიკოსთა ავტობიოგრაფიები, რუსული ხალხური ზღაპრები. ცხოვრების ბოლოს უსახსროდ დარჩენილმა ალ. შერვაშიძემ დარჩენილი ქონება, საკუთარი ნამუ-

შევრები, სამშობლოში გაგზავნა და იმედოვნებდა, რომ თავადაც მიეცემოდა დაბრუნების უფლება. მხატვარი 1968 წ-ს მონაკოში მოხუცებულთა თავშესაფარში გარდაიცვალა. დაკრძალულია ნიცაში რუსულ სასაფლაოზე. 1985 წ-ს ალ. შერვაშიძის ნეშტი საქართველოში, სოხუმში, გადმოასვენეს.

მისი ნამუშევრები დაცულია რუსეთში, საქართველოში, სოხუმისა და თბილისის მუზეუმებში (სემ – ხელოვნების მუზეუმი), ასევე კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. Александр Шервашидзе (Чачба). 1867-1968. Живопись, графика, театрально-декорационное искусство, Каталог выставки / Текст С. Ямщикова, Т. Саникидзе, Б. Аджинджала, М., 1986 (библиогр.).
2. Бенуа А. Н., Мои воспоминания, в 5 кн. [в 2 т.], 2-е изд. М., 1990.
3. Горидзе М., Грузины в Петербурге: Страницы летописи культурных связей, Тб., 1976.
4. Евреинов Н. Н., Оригинал о портретистах, М., 1922.
5. Кашина-Евреинова А., Князь Александр Константинович Шервашидзе, "Русская мысль" № 2964, 1973.
6. Лобанов-Ростовский Н. Д., Художники русского театра. 1880-1930, Собрание Никиты и Нины Лобановых-Ростовских: Каталог-резонне / Вступит. ст Н. Д. Лобанова-Ростовского; сост. и текст Дж. Боулта, М., 1994.
7. Сергей Дягилев и русское искусство: Статьи, открытые письма, интервью. Переписка. Современники о Дягилеве, Сост. И. С. Зильберштейн, В. А. Самков, в 2 т., М., 1982.

შერვაშიძე პალესტინი (თბილისი, 1911 – თბილისი, 1974)

ფერმწერი. თავდაპირველად სწავლობდა ქანდაკებას თბილისის სამხატვრო აკადემიაში (1932-1938), თუმცა, დ. კაკაბაძის რჩევით, გადავიდა ფერწერის კათედრაზე და სწავლა დ. კაკაბაძესთან გააგრძელა. აკადემიის დასრულების შემდეგ, მუშაობდა პროფესორ მ. თოიძის ასისტენტად ფერწერის კათედრაზე. 1930-იანი წწ-ის ბოლოს ახალგაზრდა პედაგოგი ვ. შერვაშიძის სტუდენტებს შორის „არასწორი იდეების“ (იმპრესიონიზმის) პროპაგანდისათვის აკადემიიდან დაითხოვეს. 1938-1974 წწ-ში ასწავლიდა თბილისის სამხატვრო სასწავლებელში. ადრეული პერიოდიდანვე ხატავდა უანრულო კომპოზიციებს, პორტრეტებს („პიანისტი ვიქტორია დარჩიას პორტრეტი“ (1952), „ი. რეპინი მ. თოიძის სახელოსნოში“ (1953) და სხვ.), თბილისის ყოფის ამსახველ სცენებს. მის შემოქმედებას ახასიათებს ფერის გამომსახველობა, თავისუფალი წერის მანერა. 1960-იან წწ-ში გაიტაცა ენკაუსტიკის ტექნიკამ. მან შეასრულა 6 ექსპერიმენტული ნამუშევარი. ვ. შერვაშიძემა აღზარდა მხატვართა არაერთი თაობა. მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული მხატვრისა და პედაგოგის წოდებები.

მისი ნამუშევრები დაცულია სემ – ხელოვნების მუზეუმსა და ეროვნულ გალერეაში, ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, საქართველოსა და უცხოეთის კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. დვალი თ., ბიოგრაფია, იხ.: <http://lemill.net/lemill-server/content/webpa>

ges/10d110d810dd10d210e010d010e410d810d0-26.

2. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1970, М.: Советский художник, 1975.

შველიძე ბექან (შრომა, 1929)

ფერმწერი. სწავლობდა ი. ნიკოლაძის სახ. სამხატვრო სასწავლებელში (1955-1957), თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში უ. ჯაფარიძესთან, ვ. შერვაშიძესთან, ს. ქობულაძესთან (1957-1962). 1964 წ-დან მონაწილეობდა საგაზაფხულო, საშემოდგომო, ასევე საკავშირო და რესპუბლიკურ გამოფენებში (1964-1977), იფინებოდა მოსკოვში, ლენინგრადში, ჰამბურგში მიუნხენში და სხვ. (1987-1988). 1967 წ-დან არის მხატვართა კავშირის წევრი, იყო თსსა ფერწერის კათედრის პედაგოგი. შესრულებული აქვს მონუმენტური კედლის მხატვრობა (რესტორანი „ფიროსმანი“, თბილისი; თბომავალი „შოთა რუსთაველი“). არის საქართველოს დამსახურებული მხატვარი, საქართველოს მხატვართა კავშირის პრემიის ლაურეატი.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა და რუსეთის მუზეუმებში (სემ – ეროვნული გალერეა, ქუთაისის სამხატვრო გალერეა; ტრეტიაკოვის გალერეა, მოსკოვი), საქართველოსა და გერმანიის კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1970, М.: Советский художник, 1975.

შველიძე მირიან (თბილისი, 1941)

თეატრის მხატვარი. 1971 წ-ს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი თეატრის მხატვრის სპეციალობით. 1975 წ-დან მუშაობა დაიწყო შოთა რუსთაველის სახ. აკადემიურ თეატრში, სადაც გააფორმა არაერთი სპექტაკლი (პ. კაკაბაძის „ყვარყვარე“, უ. შექსპირის „მეფე ლირი“ და „მაკბეტი“, ი. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“, გრ. რობაქიძის „ლამარა“, დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“ და სხვ.). თანამშრომლობს საქართველოს სხვადასხვა ქალაქების თეატრებთან (თავისუფალი თეატრი, სოხუმის თეატრი, გრიბოედოვის სახ. რუსული თეატრი, ბათუმის დრამატული თეატრი, გორის დრამატული თეატრი, რუსთავის დრამატული თეატრი, ჭიათურის თეატრი და ა.შ.). არის არაერთი სპექტაკლის ტელედადგმის მხატვარი. შესრულებული აქვს ფერწერული ციკლი „ძველი თბილისი“. არის საქართველოს სახალხო მხატვარი, შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმსა და კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. თევზაძე მ., შტრიხები პორტრეტისათვის, „24 საათი“ №132 (1576), 2007.
2. ლევანიძე მ., მირიან შველიძის კონცეპტუალური, ინდივიდუალური თეატრალური სამყარო, „ქართული უნივერსიტეტი“ №35, 2009.
3. შველიძე მირიან, იხ.: <http://www.geotheatre.ge/ge/person.php?ID=205>.

4. ჩხარტიშვილი ლ., სცენურ-სივრცითი მეტაფორის სემანტიკა რობერტ სტურუას სპექტაკლში „მეფე ლირი“ (27/ I), 2012, იხ.: <http://semioticsjournal.wordpress.com>.
5. ჩხარტიშვილი ლ., ქართული თეატრის მეტაფორებზე ბრიტანეთის შექსპირის ასოციაციის გამოცემაში, „24 საათი“, № 2999 (92), 2013.

შპერლინგი ოსკარ

(თბილისი, 1863 – თბილისი, 1938)

ფერმწერი, გრაფიკოსი, კარიკატურისტი, წიგნის ილუსტრატორი. დაიბადა თბილისელი გერმანელების ერთ-ერთ ცნობილ ოჯახში. თბილისის რეალური სასწავლებლის დასრულების შემდეგ ჩააბარა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში გრაფიურის განყოფილებაზე (1884), რომელიც დაამთავრა ვერცხლის მედალზე. 1891-1892 წწ-ში სწავლა გააგრძელა მიუნხენის სამხატვრო აკადემიაში ბატალური ფერწერის განხრით. 1892 წ-დან, თბილისში დაბრუნებისთანავე, ხატვას ასწავლიდა I გიმნაზიაში, შემდეგ – ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტში. 1891 წ-ს დააარსა სამხატვრო სასწავლებელი, ხოლო 1902 წ-ს – „კავკასიის კაზმულ ხელოვნებათა წამახალისებელი საზოგადოების“ ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სკოლა, რომლის დირექტორიც იყო 1902-1916 წწ-ში. 1893 წ-დან 1918 წ-მდე იგი მუდმივად მონაწილეობდა „საზოგადოების“ გამოფენებში, თბილისის სამხატვრო აკადემიის დაარსებისთანავე კი აკადემიის პროფესორი გახდა. მნიშვნელოვანია შპერლინგის წვლილი ქართული საბავშვო წიგნის ილუსტრაციის განვითარებაში. იგი მუშაობდა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ და-

სურათებაზე, ქართული ხალხური ზღაპრებისა და მოთხრობების ილუსტრაციებზე („თავდადებულნი ქართველნი“, „იავნანამ რა ჰქმნა“, „ბუნების კარი“). ოსკარ შპერლინგი ქართული კარიკატურული მხატვრობის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელია. მიუნხენში, პეტერბურგსა და თბილისში იგი თანამშრომლობდა არაერთ უფროსთან (Pipifax, Radfahr Humor, Сын омеячества, Шым, „ცნობის ფურცლის“ სურათებიანი დამატება, „ეშმაკის მათრახი“, „ტარტაროზი“ და სხვ.). შპერლინგი ქართულ საზოგადოებას დაამახსოვრდა ძველი თბილისის კარიკატურული სერიებითაც, რომლებიც 1910-იან წწ-ში ღია ბარათების სახით გამოიცა. იგი ქმნიდა ფერწერულ ნამუშევრებს – პორტრეტებს, პეიზაჟებს, ბატალურ სცენებს, ეთნოგრაფიულ სიუჟეტებს. შპერლინგის პირველი პერსონალური გამოფენა შედგა 1929 წ-ს თბილისში.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს მუზეუმსა (სემ – ხელოვნების მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა) და სხვ.) და კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. თბილისი ქართველი და უცხოელი მხატვრების შემოქმედებაში, ალბომი, შემდგენლები: მ. ციციშვილი, ნ. ჭოლოშვილი, თბ., 2004.
2. კარბელაშვილი მ., ოსკარ შპერლინგი, გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის XXXIV სამეცნიერო სესია, მოხსენებათა კრებული, თბ., 2000.
3. კარბელაშვილი მ., ოსკარ შპერლინგის ილუსტრაციები ქართული ხალხური ზღაპრებისათვის, თბ., 2000.

4. კარბელაშვილი მ., ოსკარ შპერლინგი, ოსკარ შპერლინგის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, მოხსენებათა მასალები, თბ., 2000.
5. კილაძე ც., ოსკარ შპერლინგი და გერმანული მხატვრული ტრადიცია, Ars Georgica, ელ. უფრნალი, სერია B, 2010 იხ.: <http://www.georgianart.ge/index.php?option=com-content&view=article&id=47%3A2010-11-23-13-32-56&catid=42%3A2010-12-03-16-05-33&Itemid=91&lang=ka>.
6. ლებანიძე დ., ძველი თბილისის ყოფა საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების მხატვართა შემოქმედებაში, „ქართული ხელოვნება“ №9, 1991.
7. ჭოლოშვილი ნ., გერმანული მხატვრული ტრადიცია და საქართველო XIX ს-ის დასაწყისიდან XX ს-ის 40-იან წწ-მდე, თბ., 2006 (ავტორეფერატი).

შტენბერგი ირინა

(თბილისი, 1903 – თბილისი, 1985)

ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრის მხატვარი. ი. შტენბერგმა ბავშვობის წლები პეტერბურგში გაატარა. 1917 წ-დან მისი ოჯახი თბილისში დაბრუნდა. სწავლობდა ქალთა II გიმნაზიაში, „კავკასიის კაზმულ ხელოვნებათა წამახალისებელი საზოგადოების“ სამხატვრო სკოლაში, შემდეგ – თბილისის სამხატვრო აკადემიაში, სადაც მისი მასწავლებლები იყვნენ გ. გაბაშვილი, ი. შარლემანი, ა. ფოგელი, ე. ლანსერე (1923-1928). ამ პერიოდში ხშირად მუშაობდა მითოლოგიურ თემატიკაზე. 1929 წ-ს ი. შტენბერგი მოსკოვში გაემგზავრა, სადაც მალე მისი პირველი პერსონალური გამოფენა მოეწყო. ის დაუმეგობრდა მოსკოვის სახელოვნებო გაერთიანე-

ბების წარმომადგენლებს: ნ. აკიმოვს, ა. ტიშლერს, ო. ოლიდორს, ჯგუფ „13-ის“ წევრებს. 1920-1930-იან წწ-ში მოსკოვში თანამშრომლობდა უფროსებთან: „როსტ“, „30 დნი“, „კროკოდილ“. ამავე პერიოდში მხატვარმა შექმნა სერია „ნეპი“. 1930 წ-ის შემოდგომაზე შტენბერგი თბილისში დაბრუნდა. 1933 წ-ის ზაფხულში, ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნით, რამდენიმე თვით აჭარაში გაემგზავრა, სადაც შეასრულა აკვარელის სერია „ჩემი აჭარა“. 1934 წ-ს შექმნა სერია თემაზე „საქართველოს ქალები“. 1936 წ-დან თანამშრომლობდა სხვადასხვა თეატრთან (გააფორმა 300-ზე მეტი დადგმა), მაგრამ ყველაზე მჭიდროდ მისი შემოქმედება გრიბოედოვის სახელობის დრამატულ თეატრს დაუკავშირდა (1936-1945). 1950-1955 წწ-ში დგამდა სპექტაკლებს ქუთაისში, ბათუმში, გორში, ლენინაკანში, ერევანსა და ბაქოში. 1950-იანი წწ-ის II ნახევარში მუშაობდა კუბისტურ კომპოზიციებზე. ამავე პერიოდში შექმნა ცნობილი პიროვნებებისა და საზოგადო მოღვაწეების პორტრეტების სერია. 1960-იანი წწ-დან მხატვარმა კვლავ თეატრებში განაგრძო მუშაობა. 1943 წ-ს ი. შტენბერგს მიენიჭა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება, 1976 წ-ს – საქართველოს სახალხო მხატვრის წოდება.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმებში (სემ – ხელოვნების მუზეუმი), სახელმწიფო თეატრების მუზეუმებში, საქართველოსა და უცხოეთის კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. გედევანიშვილი ნ., ირინა შტენბერგი 1903-1984, თბ., 2007.
2. XIX–XX საუკუნეები, გერმანელი მხატვრები საქართველოში, გამოფენის კატალოგი, რედაქტორები: ჰ. გაბრიელი, მ. ნავროტი, მ. წერეთელი, თბ., 2011.

შუხავეი ვასილ

(მოსკოვი, 1887 – თბილისი, 1973)

ფერმწერი, გრაფიკოსი, ილუსტრატორი, თეატრისა და კინოს მხატვარი. სწავლობდა სტროგანოვის სამხატვრო-სამრეწველო სასწავლებელში (1897-1905), შემდეგ ჩააბარა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში (1906), სადაც სწავლა გააგრძელა დ. კარდოვსკის სახელოსნოში. 1913-1914 წწ-ში სტიპენდიით იმოგზაურა იტალიაში, მოხატა წმ. ნიკოლოზის ტაძარი ბარნიში (არქიტექტორი ა. შრუსევი, 1910-1913). ასრულებდა კარიკატურებს ჟურნალებისთვის, მუშაობდა წიგნის ილუსტრატორად და კინოს მხატვრად. მისი ნაწარმოებები ახლოს იყო *Мир искусства*-ის წარმომადგენლების მხატვრობასთან. ვ. შუხავეი ხშირად მონაწილეობდა მათ გამოფენებში, თუმცა არ იყო საზოგადოების წევრი. 1914-1915 წწ-ში, I მსოფლიო ომის დროს, მონაწილეობა მიიღო რამდენიმე საქველმოქმედო გამოფენაში. 1921-1935 წწ-ში ცხოვრობდა პარიზში, სადაც ა. იაკოვლევთან ერთად გახსნა სკოლა-სახელოსნო მონპარნასზე. იგი ასევე ასწავლიდა ტ. სუხოტინა-ტოლსტაიას „რუსულ აკადემიაში“. პარიზში შუხავემა გააფორმა ნ. ბალიევის თეატრისა და ი. რუბინშტეინის დასის სპექტაკლები. 1935 წ-ს დაბრუნდა

სსრკ-ში, სადაც ჩააბარეს სახელოსნო ლენინგრადის, სამხატვრო აკადემიაში. 1937 წ-ის მასობრივი რეპრესიების დროს ვ. შუხავეი მაგადანში გადაასახლეს, სადაც გააფორმა სპექტაკლები და კონცერტები ადგილობრივი მუსიკალურ-დრამატული თეატრისთვის. რეაბილიტაციის შემდეგ დასახლდა თბილისში (1947). ასწავლიდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში. 1962 წ-ს მიენიჭა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

მისი ნამუშევრები დაცულია სახელმწიფო მუზეუმებში რუსეთსა (ტრეტიაკოვის სახელმწ. გალერეა, ლიტერატურის სახელმწ. მუზეუმი, მოსკოვი; სახელმწიფო რუსული მუზეუმი, პეტერბურგი) და საქართველოში (სემ – ხელოვნების მუზეუმი, თბილისის კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწ. დრამატული თეატრის მუზეუმი), ასევე სხვადასხვა ქვეყნის კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. Выставка произведений В. И. Шухаева, Каталог, Тб., 1962.
2. Савинов А. И., Письма. Документы. Воспоминания, Сост. Г. А. Савинов, Л., 1983.
3. Овандер М. Г., Василий Шухаев, Из Петербурга через Париж в Магадан, “Антикварное обозрение” № 1-2, 2004.
4. Шухаев В. И., Выставки в Москве и Ленинграде, Каталог, Вступ. ст. Н. Радлова, Л., 1936.
5. Элизбарашвили Н. А., Монументальные росписи В. И. Шухаева французского периода творчества (1921–1935), Зарубежная Россия. 1917–1945, Сб. статей, Кн. 3, СПб., 2004

6. Элизбарашвили Н. А. Большая жизнь – большое искусство. К 120-летию со дня рождения В. И. Шухаева, “Русский клуб” № 1, 2007.

ჩირინაშვილი ბრიგოლ

(მანგლისი, 1918 – თბილისი, 1999)

ფერმწერი, გრაფიკოსი. 1937-1943 წწ-ში სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში უ. ჯაფარიძესთან. 1940-იანი წლებიდან ხატავდა მრავალფიგურიან კომპოზიციებს, შრომის პროცესის ამსახველ სცენებს. მოგვიანებით გატაცებული იყო ნიკო ფიროსმანაშვილის ცხოვრების თემატიკით. შექმნა სერია „ჩემი თბილისი და ფიროსმანი“, რომელიც 40 ნამუშევრისგან შედგება. მუშაობდა ისტორიულ უანრშიც. პარალელურად ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სამხატვრო სასწავლებელში, იყო თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მხატვრის წოდება.

მისი ნამუშევრები დაცულია სემ – ხელოვნების მუზეუმსა და ეროვნულ გალერეაში, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმში, ასევე კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. გრიგოლ ჩირინაშვილი, ბუკლეტი, თბ., 1973.
2. ომაძე ი., გრიგოლ ჩირინაშვილი, „ფრესკა“ №16, 1986.
3. ხუთი ქართველი მხატვრის გამოფენა – ეკ. ბაღდავაძე, პ. დათებაშვილი, გ. კოტრიკაძე, ვლ. ტოროტაძე, გრ. ჩირინაშვილი, კატალოგი,

შესავ. შ. კვასხვაძისა, თბ., 1961.

4. Чиринашвили Г., Буклет, Серия “Художники Грузии”, Тб., 1958.

ციმაკურიძე ალექსანდრე

(ქვიშხეთი, 1881 – თბილისი, 1954)

ფერმწერი. თავდაპირველად ხატვას სწავლობდა თბილისში ლ. ლონგოს კერძო სტუდიაში, ხოლო 1902-1904 წწ-ში – „ნატიფი ხელოვნების წამახალისებელი კავკასიის საზოგადოების“ ფერწერისა და ქანდაკების სკოლაში. პედაგოგებიდან ყველაზე დიდი გავლენა მის შემოქმედებაზე ბ. ფოგელმა იქონია. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სტიპენდიამ მას სწავლის გაგრძელების საშუალება მისცა და ალ. ციმაკურიძე ბ. ფოგელის სარეკომენდაციო წერილებით მოსკოვში ჩავიდა (1905). სწავლა ჯერ კ. იუონის სტუდიასა და სტროგანოვის ცენტრალურ სამხატვრო-სამრეწველო ინსტიტუტში განაგრძო, ხოლო შემდეგ – ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში (1906-1915). 1915 წ-ს ალ. ციმაკურიძე, რომელმაც სასწავლებელი წარმატებით დაასრულა და I ხარისხის მხატვრის წოდება მოიპოვა, საქართველოში დაბრუნდა. აქ მეგობრობდა და თანამშრომლობდა ვ. სიდამონ-ერისთავთან, მუშაობდა ა. წუწუნავას სპექტაკლების მხატვრად ქუთაისსა და ოზურგეთში. 1917 წ-ს ასწავლიდა თბილისის ერთ-ერთ სკოლაში. შემდეგ, მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო, 1921 წ-მდე მშობლიურ სოფ. ქვიშხეთში, დასახლდა და სოფ. მეურნეობით დაკავდა. 1922 წ-დან ხატვას ასწავლიდა მ. თოიძის სახალხო სამხატვრო სტუდიაში, ხოლო 1930 წ-დან სიცოცხლის

ბოლომდე – თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში. 1945 წ-დან იყო სამხატვრო აკადემიის პროფესორი. თანამშრომლობდა ჟურნალებთან, აქვეყნებდა შარჟებს, იყო ქართველ მხატვართა საზოგადოებისა და 1929 წ-ს მ. და ი. თოიძეების ძალისხმევით შექმნილი მხატვართა ასოციაცია „რევმასის“ (რევოლუციის მხატვართა ასოციაცია) წევრი. „რევმასში“ გაერთიანებული რეალისტური ხელოვნების მიმდევარი მხატვრები, ძირითადად უფროსი თაობის წარმომადგენლები – მ. თოიძე, ა. ციმაკურიძე, ი. ვეფხვაძე, ვ. კროტკოვი, ბ. ფოგელი, გ. მესხი და სხვანი, თემატურ ნაწარმოებებთან ერთად მუშაობდნენ პეიზაჟებზე, რომლებსაც ნატურიდან ხატავდნენ. 1926 წ-ს, დ. გველესიანის რეკომენდაციით, ალ. ციმაკურიძემ დაკვეთა მიიღო თბილისის კომუნალური მუზეუმისგან და სხვა თბილისელ მხატვრებთან ერთად შეასრულა ძველი და ახალი თბილისის ხედების ამსახველი ვრცელი სერია (1926-1930). ალ. ციმაკურიძეს შექმნილი აქვს ბორჯომის ხეობისა და საქართველოს სხვადასხვა კუთხის არაერთი პეიზაჟი. იგი 1920-30-იანი წწ-ის ქართული პეიზაჟური ფერწერის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა და რუსეთის სახელმწიფო მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში (სემ – თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა), ხელოვნების მუზეუმი, აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, მოსკოვი).

ბიბლიოგრაფია:

1. ვირსალაძე თ., პეიზაჟის ოსტატი, „საბჭოთა ხელოვნება“ №3, თბ., 1954.

2. ვირსალაძე თ., ალექსანდრე ციმაკურიძე, Ars Georgica IV, თბ., 1955.
3. მამალაძე შ., მხატვარი ალექსანდრე ციმაკურიძე, „საბჭოთა ხელოვნება“ №4, 1941.
4. მეძმარიაშვილი მ., პეიზაჟური ჟანრის განვითარების ახალი ტენდენციები 1930-იანი წწ-ის ქართულ გრაფიკაში, ელ. ჟურნალი Ars Georgianart.ge/index.php?option=com-content&view=article&id=109%3A-1930-i&catid=42%3A2010-12-03-16-05-33&Itemid=91&lang=ka.
5. ციციშვილი მ., თბილისი ქართველი და უცხოელი მხატვრების შემოქმედებაში, თბ., 2004.
6. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1970, М.: Советский художник, 1975.
7. Вирсаладзе Т., Цимакуридзе, М.: Искусство 1959.

ტუტაიძე ლევან
(ხაშური, 1926)

ფერმწერი, გრაფიკოსი, მონუმენტალისტი. 1946–1957 წწ-ში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ს. ქობულაძესა და ა. ქუთათელაძესთან. 1960 წ-ს დაამთავრა სამხატვრო აკადემიის ასპირანტურა ს. ქობულაძის ხელმძღვანელობით. 1960-1963 და 1975-2005 წწ-ში მუშაობდა სამხატვრო აკადემიაში. 1967-1975 წწ-ში იყო პოლიტიქნიკური ინსტიტუტის ხატვის კათედრის დოცენტი. 1990 წ-ს მიენიჭა პროფესორის წოდება. 1953 წ-ს ქართული კედლის მხატვრობის ნიმუშების შესასწავლად საქართველოს ხელოვნების მუზეუმის სამეცნიერო ექსპედიციასთან ერთად გაემგზავრა დავით

გარეჯში, სადაც გადაიღო IX-X სს-ის ფრესკების პირები. დასურათებული აქვს ქართული და უცხოური კლასიკური ლიტერატურის არაერთი ნაწარმოები (ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“ (1957), „გველისმჭამელი“ (1959) და „ალუდა ქეთელაური“ (1961), შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ (1966), გალაკტიონისა და ი. აბაშიძის პოეზია, ი. ცურტაველის „მუშანიკის წამება“, გოეთეს „ფაუსტი“ და სხვ.). 1974 წ-ს საბავშვო წიგნის საუკეთესო გაფორმებისათვის მიიღო ანდერსენ-ნექსეს სახ. საერთაშორისო დიპლომი. ლ. ცუცქერიძემ შეასრულა პანოთბომავლისათვის „შოთა რუსთაველი“ და ფოთის საზღვაო პორტის ადმინისტრაციული შენობისათვის. 80-იანი წწ-ის ბოლოს მოხატა თბილისის სიონის საკათედრო ტაძარი. 1998 წ-ს გამოიცა ლ. ცუცქერიძის მიერ დასურათებული „ოთხთავი“. ლ. ცუცქერიძეს შესრულებული აქვს მრავალი საინტერესო პორტრეტი. მხატვარი სხვადასხვა დროს იფინებოდა საქართველოში, რუსეთში, გერმანიაში, ბელგიაში, ლუქსემბურგში, ავსტრიაში, იუგოსლავიაში, აშშ-ში. მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული მხატვრის წოდება.

მისი ნამუშევრები დაცულია სახელმწიფო მუზეუმებსა და გალერეებში საქართველოსა (სემ – ხელოვნების მუზეუმი, სემ – ეროვნულ გალერეა, ამბროლაურის სახვითი ხელოვნების მუზეუმი) და უცხოეთში (გოეთეს სახლ-მუზეუმი ვაიმარი, გერმანია), ასევე კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. ანდრიაძე დ., მისტიკური გეომეტრია, „ლიტერატურა და ხელოვნება“ №10, 2007.

2. დუდუჩავა მ., „ვეფხისტყაოსნის“ ერთი დასურათების გამო, „კრიტიკა“ №4, 1973.
3. მხატვარ ლევან ცუცქერიძის ნამუშევრების გამოფენის კატალოგი, შესავალი ო. ფირალიშვილისა, თბ., 1961.
4. კარბელაშვილი მ., ლევან ცუცქერიძე, მოსკოვი, 1991.
5. კიკილაშვილი ლ., პასუხისმგებლობა მარადიულობის წინაშე – ლევან ცუცქერიძე, „მნათობი“ №11-12, 1998.
6. კიკილაშვილი ლ., როდესაც სული გალობს (ლევან ცუცქერიძის სახელოსნოში), „ლიტერატურა და ხელოვნება“ №10, 2007.
7. კინწურაშვილი ქ., ლევან ცუცქერიძე – წიგნის ილუსტრატორი, „ცისკარი“ №7, 1978.
8. კერესელიძე მ., ლევან ცუცქერიძე, „ფრესკა“ №11, 1980.
9. მეტრეველი ნ., ლექსი და მხატვარი (გ. ტაბიძის პოეზიის ლევან ცუცქერიძისეული დასურათება), „საბჭოთა ხელოვნება“ №8, 1988.
10. ცუცქერიძე ლევან, ილუსტრაციები შოთა რუსთაველის პოემისათვის „ვეფხისტყაოსანი“ (ალბომი), თბ., 1966.
11. ჭილაძე თ., ღმერთის შეგირდი, „მნათობი“ №11-12, 1998.
12. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1970, М.: Советский художник, 1975.

ბაბაიძე ლეონოლდ

(თბილისი, 1922 – თბილისი, 1966)

ფერმწერი. 1940-1947 წწ-ში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ა. ციმაკურიძესთან. მისი შემოქმედების მთავარი ჟანრი

იყო პეიზაჟი. 1960-იან წწ-ში ბევრს მოგზაურობდა, ხატავდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის პეიზაჟებს („წისქვილთან“, „ახალი ათონი“, „ყაზბეგი“), შეასრულა ციკლები: ძველი და ახალი თბილისი, ქუთაისი, სვანეთი, აფხაზეთი, მესხეთ-ჯავახეთი, კახეთი, იმერეთი. აღსანიშნავია ნაწარმოებები, რომლებიც მხატვარმა ბალტიისპირეთსა და დაღესტანს მიუძღვნა („ტალინი“, „ბალტიისპირეთი“, „არაკანი“, „მეჩეთი“, „აული დაღესტანში“ და სხვ.). 1982 წ-ს სურათების ეროვნულ გალერეაში მოეწყო მხატვრის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა. ლ. ძაძამიძეს მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მხატვრის წოდება.

მისი ნამუშევრები დაცულია სემ – ხელოვნების მუზეუმსა და ეროვნულ გალერეაში, ასევე კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. ელიაშვილი ნ., მხატვრის გახსენება, გაზ. „კომუნისტი“ (13/ IV), 1982.
2. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1970, М.: Советский художник, 1975.

ძნელადი შალვა

(ბურნათი, 1892 – ჩოხატაური, 1934)

გრაფიკოსი, ფერმწერი. საშუალო განათლება მიიღო რეალურ სასწავლებელში, სადაც ხატვას ვ. კროტკოვი ასწავლიდა. სწორედ მან შეამჩნია შ. ძნელადის ნიჭიერება და შემდგომში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მის პროფესიულ არჩევანში. რამდენიმე წელი სწავლობდა „კავკასიის კაზმულ ხე-

ლოვნებათა წამახალისებელი საზოგადოების“ ფერწერისა და ქანდაკების სკოლაში თბილისში, 1913 წ-ს კი კიევის სამხატვრო სასწავლებელში ჩააბარა. ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის საშუალო სკოლებში. მისი შემოქმედების მთავარ თემას გურიის ყოფა წარმოადგენდა. შ. ძნელადეს შესრულებული აქვს ილუსტრაციები ვაჟაფშაველას თხზულებებისათვის. მის მიერ შექმნილი სურათებიდან აღსანიშნავია „აჯანყებულთა ხელში“ (1926), „ხევსურის სიკვდილი“ (1928), „კრიმანჭული“, „ჯანყი გურიაში“ (1934). 1935 წ-ს მოეწყო მხატვრის პერსონალური გამოფენა.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმებში (სემ – ხელოვნების მუზეუმი, სემ – ეროვნული გალერეა, გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწ. მუზეუმი), ასევე კერძო კოლექციებსა და მხატვრის ოჯახში.

ბიბლიოგრაფია:

1. გოცაძე თ., მონოგრაფია შალვა ძნელადეზე, „საბჭოთა ხელოვნება“ №2, 1966.
2. ქიქოძე ვ., შალვა ძნელადე, თბ., 1965.
3. შალვა ძნელადე, პერსონალური გამოფენის კატალოგი, შემდგ.: გ. ჯანბერიძე, ლ. დოლაბერიძე, თბ., 1970.
4. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1970, М.: Советский художник, 1975.

წერეთელი გიორგი

(ლანჩხუთი, 1944)

გრაფიკოსი, ფერმწერი, წიგნის ილუსტრატორი. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში (1964-1970), მოგვიანებით ამავე აკადემიის გრაფიკის შემოქმედებით სახელოსნოში (1976-1980). 1972 წ-დან არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი. მუშაობდა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ მხატვრულ რედაქტორად (1972-1976), საქართველოს მწერალთა კავშირის მთარგმნელობითი კოლეგიის მხატვრად (1980-1983). 1983 წ-დან მუშაობს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში, ხელმძღვანელობს თსსა ს. ქობულაძის სახ. გრაფიკის შემოქმედებით სახელოსნოს. იყო მხატვართა კავშირის მდივანი (1987-1995). 1987 წ-დან არის საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის წევრი, 1997 წ-დან – ჟურნალ „ცისკრის“ მხატვრული რედაქტორი, 2002 წლიდან – თსსა პროფესორი. გაფორმებული აქვს არაერთი ქართველი მწერლის ნაწარმოები. დაჯილდოებულია ვერცხლის მედლით გრაფიკის საერთაშორისო ბიენალეზე (ვარნა, ბულგარეთი, 1982), ვერცხლის მედლით ამიერკავკასიის ბიენალეზე (თბილისი, საქართველო, 1983), საქართველოს მხატვართა კავშირის პრიზით წლის საუკეთესო ნამუშევრისთვის (1986). 1985 წ-ს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მხატვრის წოდება, 1999 წ-ს – საქართველოს სახელმწიფო პრემია. 2002 წ-დან არის ღირსების ორდენის კავალერი, ხოლო 2006 წ-ს აღიარეს წლის საუკეთესო პედაგოგად. არის გ. ტაბიძის სახ. პრემიის ლაურეატი (2013). მონაწილეობდა ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენებში („1970-იანელთა გამოფენა“, ეროვნული

გალერეა, თბილისი, 2002; „ქართული გრაფიკის გამოფენა“, გალერეა „ჰობი“, თბილისი, 2003; საერთაშორისო გამოფენები, კანაგავა, იაპონია, 1995, 1997, 1991, 1989; გრაფიკის საერთაშორისო გამოფენები, კრაკოვი, პოლონეთი, 1989, 1982; „საქართველოს რეტროსპექტული გამოფენა“, მოსკოვი, რუსეთი, 1987; გრაფიკის საერთაშორისო ბიენალე, ვენეცია, იტალია, 1983, 1982; გრაფიკის საერთაშორისო გამოფენები, დიუსელდორფი, ჰაიდელბერგი, გერმანია, 1982 და სხვ.).

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს (სემ – ხელოვნების მუზეუმი, ეროვნული გალერეა) და უცხოეთში (ლუდვიგის მუზეუმი კიოლნში, გერმანია; რიო-დე-ჟანეიროს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, ბრაზილია; სოფის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, ბულგარეთი), ასევე არაერთი ქვეყნის კერძო კოლექციებში (საქართველო, რუსეთი, ჰოლანდია, გერმანია, ბელგია, აშშ).

ბიბლიოგრაფია:

1. ქართველიშვილი რ., გრაფიკა ჩემი ენაა (ინტერვიუ), „24 საათი“ (20/05), 2012.
2. წერეთელი გიორგი, იხ.: <http://art.gov.ge/artists.php?lang=Ge&artist=238№>.

წერეთელი ღვინო

(ქუთაისი, 1896 – თბილისი, 1980)

ფერმწერი, გრაფიკოსი. დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია, იყო გ. გაბაშვილისა და ე. ლანსერეს მოწაფე (1929). 1933 წ-დან ეწეოდა პედა-

გოგიურ მოღვაწეობას სამხატვრო აკადემიაში. მუშაობდა მხატვარ-დეკორატორად ქართული დრამის თეატრში. 1918 წ-დან მონაწილეობდა ქართველ მხატვართა გამოფენებში. ძირითადად გატაცებული იყო ყოფითი და პეიზაჟის ჟანრებით (1920-1930). შესრულებული აქვს ფერწერული ტილოები: „გალაკტიონი“ (1919), „ავტოპორტრეტი“ (1922), „ქართლის ეტიუდი“, „მწერალი ნ. ლორთქიფანიძე“ (1923), „მხატვრის ქალიშვილი ნანი წერეთელი“ (1947). 1962 წ-ს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მხატვრის წოდება.

მისი ნამუშევრები დაცულია სემ – ხელოვნების მუზეუმში, სემ – ეროვნულ გალერეაში, სემ – ივ. ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმში, ნ. ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწ. ისტორიულ მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია:

1. კვასცაძე შ., დავით წერეთელი (კატალოგი), თბ., 1964.
2. წერეთელი დ., იხ.: ქსე, ტ. XI, 306, თბ., 1987.
3. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1970, М.: Советский художник, 1975.

წერილობითი ნაშრომები

(თბილისი, 1903 – თბილისი, 1939)

მოქანდაკე, გრაფიკოსი. 1920-1930-იანი წწ-ის ერთ-ერთი გამორჩეული მოქანდაკე და გრაფიკოსი ნ. წერეთელი სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში და იყო ი. ნიკოლაძის მოწაფე (1922-1928).

მის პირველ ნამუშევარს წარმოადგენდა ბარელიეფი, რომელზეც გამოსახული იყო მამაკაცი, ხოლო სადიპლომო ნაშრომს – მხატვარ დავით გველესიანის პორტრეტი. ჯერ კიდევ სტუდენტობისას, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების დაკვეთით, შეასრულა სვანი მამაკაცისა და ქალის ქანდაკებები. 1926-1928 წწ-ში გამოაქანდაკა ნ. თამამშევას, ა. ღარიბჯანიანის, მ. მაიერის, ი. თოიძის პორტრეტები. 1929 წ-ს შექმნა ცნობილი მომღერლის სანდრო ინაშვილის პორტრეტი, ხოლო 1930 წ-ს – მხატვარ შ. მამალაძისა და ვლ. მაიაკოვსკის პორტრეტები. პირველმა ქართული ხელოვნების ისტორიაში გამოაქანდაკა ქალის შიშველი ტორსი, რომელიც წარმოდგენილი იყო ქართველ მხატვართა საზოგადოების გამოფენაზე (1927). აღნიშნული ნამუშევარი იმავე წელს გამოიფინა მოსკოვში ქართველ მხატვართა გამოფენაზე. ამის შემდეგ, როგორც აღიარებული მოქანდაკე, ნ. წერეთელი თითქმის ყველა გამოფენაში მონაწილეობდა. 1932-1933 წწ-ში ცხოვრობდა ტაშკენტში, სადაც შექმნა სახელმწიფო მოღვაწეთა და პოლიტიკოსთა სკულპტურული პორტრეტები. 1933 წ-ს დაბრუნდა თბილისში და გააფორმა რამდენიმე სპექტაკლი: „შორეული გზით“ (მოზარდ მაყურებელთა თეატრი, 1931), შექსპირის „ოტელო“ (პ. ოცხელთან ერთად, ქუთაისის დრამის თეატრი, 1933), „ვილჰელმ ტელი“ (ს. ვირსალაძესთან ერთად, ოპერის სახელმწ. თეატრი, 1931-1932). 1934 წ-ს შეასრულა კ. მარჯანიშვილის ბიუსტი.

მისი ნამუშევრები დაცულია სემ – ხელოვნების მუზეუმში, სემ – ისტორიის მუზეუმში (ქარვასლა), გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწ. მუზეუმსა და მოქანდაკის ოჯახში.

ბიბლიოგრაფია:

1. ბაგრატიშვილი ქ., პირველი ქართველი ქალი-მოქანდაკე (ნ. წერეთელი), „ლიტერატურული საქართველო“ (12/III), 1965.
2. მღებრიშვილი მ., საქრეთლის ფაქიზი ოსტატი: მოქანდაკე ნინო წერეთელი. „საბჭოთა ხელოვნება“ №7, 1965.
3. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1970, М.: Советский художник, 1975.

ჭავჭავაძე მიხეილ

(თბილისი, 1944 – თბილისი, 1995)

თეატრისა და კინოს მხატვარი, სცენოგრაფი. სწავლობდა თეატრალურ ინსტიტუტში სარეჟისორო ფაკულტეტზე. შემდეგ ჩააბარა სამხატვრო აკადემიაში, რომელიც დაასრულა 1967 წ-ს თეატრის მხატვრის სპეციალობით. მისი პედაგოგი იყო ფ. ლაპიაშვილი. 1967-1969 წწ-ში მუშაობდა ზუგდიდის თეატრში. 1969-1982 წწ-ში იყო შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრის მხატვარი და გააფორმა არაერთი სპექტაკლი (თ. ჭილაძის „მოულოდნელი სტუმარი“ (1971), შ. დადიანის „გუშინდელნი“ (1972), ფ. გარსია ლორკას „ბერნარდა ალბას სახლი“ (1973), უ. შექსპირის „იულიუს კეისარი“ (1973), დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“ (1979) და სხვ.). 1974 წ-დან მოღვაწეობდა მეტეხის თეატრის სტუდიაში, რომლის ერთ-ერთი დამაარსებელი და მხატვარიც თავადვე იყო. აქ გააფორმა არაერთი სპექტაკლი: უ. შექსპირის „ჰამლეტი“, ბ. ბრენტის „სამგროშიანი ოპერა“, სერვანტესის „მწუხარე სახის რა-

ინდი“, პ. ვაისის „დიქტატორი აბა-ზანაში“ და სხვ. მ. ჭავჭავაძე აფორმებდა სპექტაკლებს საქართველოს, სსრკ-ისა და ევროპის თეატრებში. 1970-იანი წწ-დან თანამშრომლობდა კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო დრამატულ თეატრთან, თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრთან, კინომსახიობთა თეატრთან, გრიბოედოვის სახ. თბილისის რუსულ დრამატულ თეატრთან. მუშაობდა ცნობილ ქართველ რეჟისორებთან: მ. თუმანიშვილთან, თ. ჩხეიძესთან, რ. სტურუასთან და სხვ. ასევე თანამშრომლობდა საარბრუკენის, რიგის, კრაკოვის, ვარშავის, კიევის, სვერდლოვსკის თეატრებთან. მონაწილეობას იღებდა თეატრის მხატვართა გამოფენებში, საქართველოსა და სსრკ-ის თეატრალურ მოღვაწეთა კავშირისა და კულტურის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ პერიოდულ გამოფენებში. 1981 წ-ს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მხატვრის წოდება, ხოლო 1991 წ-ს დაჯილდოვდა საქართველოს სახელმწიფო პრემიით. 1996 წ-ს თბილისის სამხატვრო გალერეაში მოეწყო მ. ჭავჭავაძის პირველი პერსონალური გამოფენა.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს მუზეუმებსა (საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი) და კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. გვანარია მ., მიხეილ ჭავჭავაძე – შემოქმედება, იხ.: www.lemill.net.

ჭიაურელი მიხეილ

(თბილისი, 1894 – თბილისი, 1974)

მოქანდაკე, გრაფიკოსი, ფოტოგრაფი, კარიკატურისტი, მსახიობი, თეატრისა და კინოს რეჟისორი. დაამთავრა თბილისის ფერწერისა და ქანდაკების სკოლა ი. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით (1912). 1915 წ-დან მუშაობდა საქართველოს თეატრებში (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი) რეჟისორად, მსახიობად და მხატვრად. თანამშრომლობდა გამოცემლობებთან, აქვეყნებდა კარიკატურებსა და შარჟებს. იგი ქართული მოდერნიზმის ერთ-ერთი საინტერესო წარმომადგენელია. 1917 წ-ს დ. შვედარდაძესთან, ძმებ ზდანევიჩებთან, ლ. გუდიაშვილთან, ა. კალგინთან ერთად მონაწილეობდა ე. თაყაიშვილის მიერ ტაო-კლარჯეთში ორგანიზებულ არქეოლოგიურ ექსპედიციაში, სადაც აგროვებდა ძეგლების ფოტოდოკუმენტაციას. 1921 წ-ს დააარსა თბილისის სატირის თეატრის, როსტის (POCT), ქართული განყოფილება, დადგა რამდენიმე სპექტაკლი, რომლებიც, თანადროული პუბლიკაციების თანახმად, მკვეთრი პოლიტიკური შინაარსითა და ექსპერიმენტულობით გამოირჩეოდა. 1922 წ-ს გაემგზავრა მიუნხენში, სადაც ორი წლის განმავლობაში სწავლობდა ქანდაკებას, მუშაობდა არხიპენკოს სტუდიაში. საქართველოში დაბრუნებულმა მოღვაწეობა კვლავ ქანდაკებაში გააგრძელა (1924). იყო „მუშათა თეატრისა“ და „წითელი თეატრის“ რეჟისორი და სამხატვრო ხელმძღვანელი (1925-1927). მ. ჭიაურელმა ქართულ სცენაზე შეასრულა 60-ზე მეტი როლი და დადგა 30-ზე მეტი სპექტაკლი. 1921 წ-დან, როგორც მსახიობმა, მონაწილეობა მიიღო ფილმებში – „არსენა მარაბდელი“ (1921), „სურამის ციხე“ (1923), „ნათელა“ (1926), „ხანუმა“ (1927), მხატვრულად გააფორმა ფილმები –

„სურამის ციხე“ და „სამანიშვილის დედინაცვალი“ (1927). 30-40-იან წწ-ში დაჯილდოვდა სსრკ-ის სახელმწიფო პრემიებით. 1946 წ-ს მ. ჭიაურელის ფილმმა „ფიცი“ ვენეციის კინოფესტივალზე მოიპოვა ოქროს მედალი. მას გადაღებული აქვს რამდენიმე მულტიპლიკაციური ფილმი („განთიადის მომღერალი“ (1967), „როგორ მარხავდნენ თავგები კატას“ (1969), „ქირურგი მამალი“ (1970), „რწყილი და ჭიანჭველა“ გ. სვანიძესთან ერთად (1972) და სხვ.).

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში, ასევე კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. ჟღენტი ლ., მიხეილ ჭიაურელი – მსახიობი, მოქანდაკე, კარიკატურისტი, მომღერალი, „საბჭოთა ხელოვნება“ №2, 1971.
2. Долидзе Л., История одной скульптуры, «Вечерний Тбилиси» (22/ IV), 1966.

სახუტაშვილი დიმიტრი

(თბილისი, 1927 – თბილისი, 2009)

ფერმწერი, გრაფიკოსი, მოქანდაკე, მონუმენტალისტი. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ა. ქუთათელაძესთან (1948-1953). 50-იანი წლებიდან ხატავდა პორტრეტებს, ჟანრულ კომპოზიციებს, სურათებს ისტორიულ თემაზე. ადრეულ პერიოდში გატაცებული იყო პუანტილისტური ტექნიკით. ამ ტექნიკით შესრულებული ნამუშევრებიდან საყურადღებოა „ხელბურთი“ (1958),

„ბრძოლა“ (1957), „გოგონა ძალლით“ (1959) და სხვ. მომდევნო წლებში ასრულებდა მონუმენტურ ფერწერულ ტილოებს („სვანეთი 1942“, 1964). მისი ილუსტრაციებიდან აღსანიშნავია ე. რასპეს „ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავალი“ (1961). 60-იანი წლებიდან გატაცებული იყო ქანდაკებით. მონაწილეობდა ადგილობრივ და საკავშირო გამოფენებში (ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა, მოსკოვი, 1958; სამხატვრო აკადემიის პედაგოგების გამოფენა, ქუთაისი, 1979; საქართველოს სსრ-ის სახვითი ხელოვნება, მოსკოვი, 1987 და სხვ.). 1957 წ-დან იყო საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი, 1960 წ-დან – თსს აკადემიის პედაგოგი, ფერწერის კათედრის გამგე. შესრულებული აქვს მონუმენტური მხატვრობა თბილისში (რესტორანი „ფირსმანი“). 1960 წ-ს მიენიჭა საქართველოს სახალხო მხატვრის წოდება.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა (თსს აკადემიის მუზეუმი, სემ – ხელოვნების მუზეუმი, სემ – ეროვნული გალერეა, გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, სიღნაღის მუზეუმი, ზუგდიდი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი) და აშშ-ში (ზიმერლის მუზეუმი), ასევე საქართველოს, აშშ-ისა (ნენსი და ნორტონ დოჯების კერძო კოლექცია) და ევროპის არაერთი ქვეყნის კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. სახუტაშვილი დიმიტრი, იხ.: <http://www.art.gov.ge/artists.php?lang=Ge&artist=312>.
2. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1970, М.: Советский художник, 1975.

ხვითია მიხეილ

(ზუგდიდი, 1924 – 1994)

ფერმწერი. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ა. ციმაკურიძესთან (1942-1948). მისი შემოქმედების წამყვანი უანრია პეიზაჟი. 1950-იანი წწ-დან ხატავდა საქართველოს ბუნების პოეტურ ხედებს. მხატვარს იზიდავდა ბუნების გარდამავალი პერიოდები („გაზაფხულის მოლოდინში“ (1952), „წვიმის შემდეგ“ (1953) და სხვ.). ქმნიდა პანორამულ ხედებს („ბაკურიანი“ (1964), „შემოდგომა მესტიაში“ (1967) და ა.შ.). 1949 წ-დან 1994 წ-მდე მონაწილეობდა რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენებში, 1990-იანი წწ-დან იფინებოდა აშშ-ში (ვოლფის სააუქციონო გალერეა, კლივლენდი, ოჰაიოს შტატი, 1989; ლაგერკვისტის გალერეა, ატლანტა, ჯორჯიის შტატი, 1991; ვისტა გალერეა, ატლანტა, ჯორჯიის შტატი, 1992, 1996, 1998). 1994 წ-ს საქართველოში, ეროვნულ გალერეაში, მოეწყო მ. ხვითიას პერსონალური გამოფენა. არის საქართველოს დამსახურებული მხატვარი.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა (სემ – ხელოვნების მუზეუმი, სემ – ეროვნული გალერეა, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი) და რუსეთში (ალმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმი, მოსკოვი), ასევე რამდენიმე ქვეყნის კერძო კოლექციებში (საქართველო, რუსეთი, ავსტრია, ჰოლანდია, გერმანია).

ბიბლიოგრაფია:

1. ხვითია მიხეილ, იხ.: <http://www.art.gov.ge/artists.php?lang=Ge&artist=277Ne> www.khvitiya.com.

2. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1970, М.: Советский художник, 1975.

სოფალბეგოვი ვანო

(თბილისი, 1875 – თბილისი, 1922)

მხატვარი. თბილისის მკვიდრი, თვითნასწავლი მხატვარი ვ. სოფალბეგოვი მოღვაწეობდა XX ს-ის დასაწყისში. იგი თბილისის წვრილვაჭართა და ხელოსანთა წრეს ეკუთვნოდა, რამაც განსაზღვრა მისი შემოქმედების თემატიკა. მცირე ხანს სწავლობდა თბილისში ნ. სკლიფასოვსკისთან და ო. შმერლინგთან. გრაფიკულ სურათებზე, რომლებიც 1910-20-იან წწ-ში არის შესრულებული, ნაჩვენებია ძველი თბილისის ყოფა-ცხოვრება. სოფალბეგოვს განსაკუთრებით აინტერესებდა თბილისური ადათ-წესები, დროსტარებისა თუ სხვადასხვა ყოფითი რიტუალის ამსახველი სცენები. მან მთელი ცხოვრება თბილისში გაატარა და აქვე გარდაიცვალა. გამოფენებში მონაწილეობდა 1916 წ-დან.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა და სომხეთის მუზეუმებში (სემ – თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა); ეროვნული გალერეა, ერევანი) და კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. აბესაძე ი., XX ს-ის დასაწყისის საქართველოში მოქმედ ქართულ-სომხური სახელოვნებო-საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეროვნული იდენტობის კვლევის ასპექტები, Ars Georgica, ელ. ჟურნალი, სერია B, 2010. იხ.: [\[www.georgianart.ge/index.php?option=com-content&view=article&id=84%3Axx-&catid=42%3A2010-12-03-16-05-33&Itemid=91&lang=ka\]\(http://www.georgianart.ge/index.php?option=com-content&view=article&id=84%3Axx-&catid=42%3A2010-12-03-16-05-33&Itemid=91&lang=ka\).](http://www.geor-</p></div><div data-bbox=)

- ბერიძე თ., მხატვარი ვანო სოფალბეგოვი, თბ., 1969.
- ლუბანიძე დ., ძველი თბილისის ყოფა საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების მხატვართა შემოქმედებაში, Ars Georgica, ელ. ჟურნალი, სერია B, 2010. იხ.: <http://www.georgianart.ge/index.php?option=com-content&view=article&id=103%3A2011-12-17-13-27-22&catid=42%3A2010-12-03-16-05-33&Itemid=91&lang=ka>.
- სომეხი მხატვრები საქართველოში ჰაკობ ჰოვანათიანიდან გაიანე ხაჩატურიანამდე, ალბომი, შეადგინა ი. ოგანჯანოვამ, ტექსტი ნ. ზაალიშვილისა, თბ., 2011.

ხუნდაძე ჯიბსონ

(თბილისი, 1926)

ფერმწერი. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში უ. ჯაფარიძესთან (1944-1952). აკადემიის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ფერწერისა და ხატვის პედაგოგად ი. ნიკოლაძის სამხატვრო სასწავლებელში (1954-1960), ასწავლიდა ხატვასა და ფერწერას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების განყოფილებაზე (1962-1964) და თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (1965). 1957 წ-დან არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი. ჯ. ხუნდაძის შემოქმედების წამყვანი ჟანრია პეიზაჟი. მისი ფერწერული ტილოები 1950-60-იანი წწ-დანვე გამოიჩინა თავისუფალი წერის მანერით, მკვეთრი ფერადოვნებით („დილა მთებ-

ში“, 1958; „შემერის სათბებები“, 1963 და სხვ.). 1970-იანი წწ-დან ხატავს თამამი, პასტოზური მონასმებით, ქმნის ფაქტობრივად აბსტრაქტულ ექსპრესიონისტულ ფერწერას („რუხი მთები“, 1971; „პეიზაჟი“, 1974; „თრუსოს ხეობა“, 1985 და სხვ.). 1960-70-იანი წწ-ში მონაწილეობდა საკავშირო გამოფენებში. მომდევნო წლებში იფინებოდა საქართველოს (სემ – ეროვნული გალერეა (1953-1999), თანამედროვე ხელოვნების გალერეა (1999), გალერეა „უნივერსი“ (2002) და სხვ.) და უცხოეთში (საფრანგეთი (1990), შვეიცარია (1990), იაპონია (1980), პოლონეთი (1954), რუსეთი (1953) და სხვ.). ჯ. ხუნდაძეს მრავალი ჯილდო აქვს მიღებული: არის საქართველოს დამსახურებული მხატვარი (1965), სახალხო მხატვარი (1985), ღირსების ორდენის კავალერი (1997), თბილისური გაზაფხულის ლაურეატი (1997), ფიროსმანის სახ. პრემიის ლაურეატი (2002), სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (2002), შოთა რუსთაველის სახ. პრემიის ლაურეატი (2009) და სხვ.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოში (სემ – ხელოვნების მუზეუმი, სემ – ეროვნული გალერეა) და აშშ-ში (ფილადელფიის ხელოვნების მუზეუმი), ასევე არაერთი ქვეყნის კერძო კოლექციებში (აშშ, საფრანგეთი, იტალია, ავსტრია, გერმანია, რუსეთი).

ბიბლიოგრაფია:

- ანდრიაძე დ., რომ ეს მიწები სხვა მიწებია... ანუ ჯიბსონ ხუნდაძის აგრარული აბსტრაქციონიზმი, „ლიტერატურა და ხელოვნება“ №11, 2008.
- ლუბანიძე დ., ჯიბსონ ხუნდაძე, ფერწერა, გრაფიკა (კატალოგი), თბ., 2012.

3. ლუბანიძე ს., ჯიბსონ ხუნდაძის ფერწერა, „საბჭოთა ხელოვნება“ №2, 1985.

4. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1979, М.: Советский художник, 1975.

ხუციშვილი თაგა

(თბილისი, 1943)

ფერმწერი, გრაფიკოსი, წიგნის ილუსტრატორი, თეატრისა და კინოს მხატვარი. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ფ. ლაპიაშვილთან (1960-1966). მუშაობდა დამდგმელ მხატვრად კინორეჟისორ მ. ჭიაურელთან „ქართულ ფილმში“ (1966-1968), პედაგოგად თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში (1967-1999). საქართველოს ტელევიზიის I არხზე უძღვებოდა საავტორო გადაცემას „უჩარჩოდ“ (1995-1996). 1996 წ-დან ასწავლიდა ფერწერას ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხელოვნების ფაკულტეტზე. ხელმძღვანელობდა აზიის რეგიონის ქვეყნების უმაღლესი სამხატვრო სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს (პეკინი, 1998). 2009 წ-დან თანამშრომლობს თბილისის სააუქციონო სახლთან. ძირითადად ქმნის ფერწერულ ნაწარმოებებს – პორტრეტს, ჟანრულ კომპოზიციებს, პეიზაჟს, ნატურმორტს. მისი სურათები გამოიჩინა თავისებური კოლორიტითა და თავისუფალი, პასტოზური წერის მანერით. იფინებოდა პერსონალურად (გალერეა „ვერნისაჟი“, თბილისი, 2008; პეკინი, 1998; ქართული კულტურის ცენტრი, მოსკოვი, 1988; სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმი, თბილისი, 1982) და ჯგუფურად საქართველოს (სემ –

ხელოვნების მუზეუმი, სემ – ეროვნული გალერეა, თანამედროვე ხელოვნების გალერეა, მ. ბერძენიშვილის კულტურის საერთაშორისო ცენტრი „მუზა“, მხატვრის სახლი და უცხოეთში (რუსეთი, ჩინეთი, დანია, საფრანგეთი). მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული მხატვრის წოდება (1993). დაჯილდოებულია საშობაო გამოფენების გრან-პრით (თბილისი, 1999-2000), აღიარებულია ჩინეთის საუკეთესო მხატვრად პეკინში გამართულ კონკურსზე (1998).

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა (სემ – ხელოვნების მუზეუმი, საქართველოს სამხატვრო ფონდი) და რუსეთში (ტრეტიაკოვის გალერეა, აღმოსავლეთის ქვეყნების ხალხთა ხელოვნების მუზეუმი, მოსკოვი; ყოფილი სსრკ-ის სამხატვრო აკადემიისა და სანკტ-პეტერბურგის სამხატვრო ინსტიტუტის ფონდები), ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. თამაზ ხუციშვილის გამოფენის კატალოგი, წინასიტყვ. ირ. ყიფშიძისა, თბ., 1983.
2. ხოშტარია გ., თამაზ ხუციშვილი – ფერწერა, გრაფიკა, ალბომი, თბ., 2006.
3. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1970, М.: Советский художник, 1975.

ჯავრიშვილი რუსუდან
(*ერთაწმინდა, 1918 – თბილისი, 1999*)

ფერმწერი, თეატრის მხატვარი. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ფერწერის ფაკულტეტზე, სადაც მისი პედაგოგები იყვნენ ვ. სიღამონ-ერისთავი და მ. თოიძე (1933-1940). აკადემიის დასრულების შემდეგ მუშაობდა მხატვარ-დეკორატორად თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, მოგვიანებით ვ. აბაშიძის სახ. მუსკომედიის სახელმწიფო თეატრში (გააფორმა ლ. გოთუას „სამი პატარძალი“, გ. გელოვანის „11 უცნობი“ და სხვ.). მუშაობდა სხვადასხვა მასალით. მისი შემოქმედების წამყვანი უანრი იყო პეიზაჟი – საქართველოს ბუნება, რომელიც დალაშქრა ჯერ მხატვარ რ. სტურუას მიერ ჩამოყალიბებულ შემოქმედებით ჯგუფთან ერთად, ხოლო 1960 წ-ს – ე. ახვლედიანის გარშემო შეკრებილ პეიზაჟისტებთან ერთად. შესრულებული აქვს თემატური ციკლები, ხატავდა საქართველოს ისტორიულ ძეგლებს, თბილისის პეიზაჟებს და სხვ. იფინებოდა საქართველოში (ეროვნული გალერეა, თბილისის სამხატვრო სალონი, ფინანსთა სამინისტროს დარბაზი, სალონი „ფიროსმანი“). 1964 წ-ს მოეწყო რ. ჯავრიშვილის პირველი პერსონალური გამოფენა. 1957 წ-დან იყო მხატვართა კავშირის წევრი. არის საქართველოს დამსახურებული მხატვარი (1964), მიღებული აქვს უმაღლესი საბჭოს სიგელი (1974), სახალხო მხატვრის წოდება (1978).

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა (სემ – ხელოვნების მუზეუმი და სხვ.) და უცხოეთში (მოსკოვის ოფთალმოლოგიის ცენტრი, რუსეთი; საქართველოს წარმომადგენლობები

პოლონეთსა და აშშ-ში), ასევე რამდენიმე ქვეყნის კერძო კოლექციებში (პოლონეთი, უნგრეთი, რუსეთი, დანია).

ბიბლიოგრაფია:

1. თულაშვილი ე., რუსუდან ჯავრიშვილი, „საბჭოთა ხელოვნება“ №3, 1978.
2. რუსუდან ჯავრიშვილი, კატალოგი, წინასიტყვ. ო. ეგაძისა, თბ., 1969.
3. რუსუდან ჯავრიშვილი, ალბომი, წინასიტყვ. ქ. ახვლედიანისა, თბ., 1990.
4. რუსუდან ჯავრიშვილი, გამოფენის კატალოგი, შემდგ. შ. კვასცვაძე, წინასიტყვ. ლ. თაბუკაშვილისა, თბ., 1964.
5. რუსუდან ჯავრიშვილი, გამოფენის კატალოგი, წინასიტყვ. ლ. კილასონიასი, თბ., 1977.
6. ჯავრიშვილი რუსუდან, სურათების გამოფენა „რუსთაველის ნაკვალევზე“, თბ., 1966.
7. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1970, М.: Советский художник, 1975.

ჯაფარიძე ვახტანგ
(*ჩუმლაყი, 1901 – თბილისი, 1986*)

გრაფიკოსი, ფერმწერი. 1921 წ-ს კახეთიდან თბილისში ჩამოსულმა ვ. ჯაფარიძემ ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩააბარა, შემდეგ კი სწავლა გააგრძელა თბილისის სამხატვრო აკადემიაში გ. გაბაშვილთან (1924-1929). პარალელურად სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტზე (1926-1931). ჯერ კიდევ 1922 წ-დან მონაწილეობდა ქართველ

მხატვართა საზოგადოების გამოფენებში, მას შემდეგ სისტემატურად იფინებოდა რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენებზე. 1938 წ-დან ასწავლიდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში. 1966 წ-ს მიენიჭა პროფესორის წოდება. მის შემოქმედებაში წამყვანი უანრია პეიზაჟი, მუშაობდა ძირითადად გუაშითა და აკვარელით. ხატავდა საქართველოს ბუნებას. ძველი და ახალი თბილისის ხედებს მიუძღვნა გუაშითა და აკვარელით შესრულებული სერიები. ვ. ჯაფარიძეს ეკუთვნის საქართველოს არქიტექტურული ძეგლების სერიული ჩანახატები (კახეთი, სვანეთი და სხვ.). მან შეასრულა სურათები ინდუსტრიული პეიზაჟის თემაზე, სოციალისტური აღმშენებლობის თემაზე. 1983 წ-ს აკვარელების სერიისათვის „ძველი და ახალი თბილისი“ მიენიჭა საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს პრემია. იყო საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი. არის ავტორი წიგნებისა: „აკვარელით ფერწერა, ზოგადი საფუძვლები“ (თბილისი, 1952), „მხატვრის ჩანაწერები, ფერწერის ზოგიერთი საკითხები“ (თბილისი, 1962).

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა (სემ – ხელოვნების მუზეუმი, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა); თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი) და რუსეთში (აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმი, მოსკოვი), ასევე კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. ალადაშვილი ნ., მხატვარ ვახტანგ ჯაფარიძის პეიზაჟები, Ars Georganica, ელ. ჟურნალი, სერია B, იხ.:

<http://www.georgianart.ge/index.php?option=com-content&view=article&id=143%3A2013-01-29-19-24-20&catid=42%3A2010-12-03-16-05-33&Itemid=91&lang=ka>.

2. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1970, М.: Советский художник, 1975.

ჯაფარიძე უჩა

(ლარი, 1906 – თბილისი, 1988)

ფერმწერი, გრაფიკოსი, ილუსტრატორი. ონის ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გაემგზავრა თბილისში, სადაც სწავლობდა მ. თოიძის სამხატვრო სტუდიაში (1922-1924). 1924 წ-ს ჩააბარა სამხატვრო აკადემიაში, თუმცა ოჯახური პირობების გამო, დროებით შეწყვიტა სწავლა და რაჭაში დაბრუნდა, სადაც ხატვას ასწავლიდა ონის სკოლაში. 1928-1931 წწ-ში გააგრძელა სწავლა თბილისის სამხატვრო აკადემიაში ე. ლანსერესთან და ი. შარლემანთან. სტუდენტობის პერიოდში გახდა „სარმას“ (საქართველოს რევოლუციურ მხატვართა ასოციაცია) წევრი და აქტიურად მონაწილეობდა თანადროულ მხატვრულ ცხოვრებაში. 1931 წ-ს მუშაობა დაიწყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში, მონაწილეობდა სამეცნიერო ექსპედიციებში. 1933 წ-დან მუშაობდა მოსკოვში, საბჭოთა კავშირის ხალხთა მუზეუმში, ასრულებდა მუზეუმის შეკვეთებს. 1920-30-იან წწ-ში შესრულებული აქვს სურათები რევოლუციის თემაზე, სტალინისა თუ სხვა თანამედროვეთა და ისტორიულ პირთა პორტრეტები, ასევე მრავალი პეიზაჟი და ყოფითი სცენა, რომლებიც ძირითადად რაჭას უკავშირდება. 1936 წ-

დან ასწავლიდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში, იყო მოსე თოიძის ასისტენტი, 1939 წ-დან – ფერწერისა და კომპოზიციის კათედრის გამგე. 1944 წ-ს მიენიჭა პროფესორის წოდება. იყო სამხატვრო აკადემიის რექტორი (1942-1948). აგრეთვე იყო სსრკ-ის მშვიდობის დაცვის კომიტეტის წევრი, საქართველოს მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ-ის რამდენიმე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებული იყო სსრკ-ის სახელმწიფო პრემიით მონუმენტური ტილოსათვის „საპირველმასის დემონსტრაცია თბილისში 1901 წ-ს“ (1942) და შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიით (1987), ასევე ლენინის ორდენით (1958), „შრომის წითელი დროშის“ 3 ორდენით (1946, 1966, 1971), სხვა ორდენებითა და მედლებით. იყო საქართველოსა (1946) და საბჭოთა კავშირის (1963) სახალხო მხატვარი, სსრკ-ის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრი (1958).

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა და რუსეთის სახელმწიფო მუზეუმებში (სემ – ხელოვნების მუზეუმი, სემ – ეროვნული გალერეა, უ. ჯაფარიძის სახლ-მუზეუმი, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწ. მუზეუმი, გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტ. სახლმწ. მუზეუმი, ი. ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწ. მუზეუმი, ამბროლაურის სახვითი ხელოვნების მუზეუმი, აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმი, მოსკოვი და სხვ.), საქართველოს, რუსეთისა და აშშ-ის კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. ონელი ა., უჩა ჯაფარიძე, „საბჭოთა ხელოვნება“ №4, თბ., 1971.
2. ჯაფარიძე უჩა, პერსონალური გამოფენის კატალოგი (შემდგენლები: გ. ჯაფარიძე, ლ. დოლაბერიძე), თბ., 1970.
3. Алибегашвили Г., Творчество У. М. Джапаридзе, Ars Georgica, т. V, Тб., 1959.
4. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1970, М.: Советский художник, 1975.
5. Златкевич Л., Уча Джапаридзе – художник и педагог, Тб.: Ганатлеба, 1980.
6. Уча Малакиевич Джапаридзе, М.: Изобразительное искусство, 1982.

ჯაში გიორგი

(მანაჭკალა, 1914 – თბილისი, 1996)

ფერმწერი. საშუალო სკოლაში სწავლისას ეუფლებოდა ხატვას სამხატვრო სტუდიაში კ. სანაძესთან. შემდეგ გატაცებული იყო მსახიობობით და 1930 წ-ს მონაწილეობდა სხვადასხვა სპექტაკლის მასობრივ სცენებში. თეატრში ყოფნისას, მხატვარ კროტკოვის მიზაძვით, შექმნა მსახიობ მ. გოცირიძის პორტრეტული ჩანახატი და მოწონება დაიმსახურა. პედაგოგიური ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ სწავლობდა სამხატვრო აკადემიაში მ. თოიძესთან (1931-1937). 1938 წ-დან იყო სამხატვრო აკადემიის პედაგოგი, ხოლო 1968 წ-დან ამავე აკადემიის პროფესორი. მის შემოქმედებაში წამყვანია პორტრეტული უანრი, თუმცა, ამავე დროს, არის არაერთი პეიზაჟისა და ნატიურმორტის ავტორი. გ. ჯაშმა შექმნა პოეტების, მწერლების, მხატვრების, მუსიკოსების მეცნიერებისა და შრომის გმირების

რეალისტური პორტრეტები. ამ ნამუშევრებში, რომლებიც დამაჯერებლობით, პორტრეტული მსგავსებით, თავშეკავებული კოლორით გამოირჩევა, ხშირად მინიშნებულია პროფესიისთვის სახასიათო გარემო (ა. ციმაკურიძის პორტრეტი (1952), ბ. შებუევის პორტრეტი (1952), ი. შარლემანის პორტრეტი (1957), ვ. ბერიძის პორტრეტი და სხვ.). 1958 წ-ს თბილისში სასოფლო-სამეურნეო მიღწევების გამოფენაზე მოხატა პანო „ზეიმი კოლმეურნეობაში“. მონაწილეობას იღებდა საქართველოს ხელოვნების დეკადებში მოსკოვში (1937, 1944, 1958). 1961 წ-ს გ. ჯაშს მიენიჭა საქართველოს სსრ-ის დამსახურებული მხატვრის წოდება.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა (სემ – ხელოვნების მუზეუმსა და სურათების ეროვნულ გალერეაში) და რუსეთის სახელმწიფო მუზეუმებში (ტრეტიაკოვის გალერეა, მოსკოვი), ასევე კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. რჩეულიშვილი ლ., გიორგი ჯაში, თბ., 1988.
2. კვასხვაძე შ., გიორგი ჯაში, „დროშა“ №6, 1970.
3. Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии 1921-1970, М.: Советский художник, 1975.

ჯორჯაძე (ბაზილი) ვასილ

(თბილისი, 1884 – პარიზი, 1952)

ფერმწერი. სპეციალური სამხატვრო განათლება არ მიუღია. 1894-1901 წწ-ში სწავლობდა თბილისის კადეტთა კორპუსში, სადაც მისი ხატვის მასწავლე-

ბელი იყო ოსკარ შმერლინგი. მოგვიანებით სწავლა გააგრძელა სანკტ-პეტერბურგის იუნკერთა სასწავლებელში. თავისუფალ დროს ხატავდა დასავლეთ ევროპის მხატვართა ნაწარმოებების ასლებს. I მსოფლიო ომის დროს აღმოჩნდა ავსტრიის ტყვეთა ბანაკში. შვედი მეცენატის ხელშეწყობით, მისი ნამუშევრები მოხვდა გამოფენაზე სტოკჰოლმში. 1918 წ-ს თბილისში დაბრუნებულმა საბოლოოდ დაანება თავი სამხედრო სამსახურს. იგი „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ წევრი გახდა და 1919-1921 წწ-ში მონაწილეობდა გამოფენებში. 1921 წ-ს გაემგზავრა ჯერ კონსტანტინეპოლში, ხოლო შემდეგ – პარიზში, სადაც საბოლოოდ დამკვიდრდა კიდეც. ამ პერიოდიდან ვ. ჯორჯაძის გამოფენები ეწყობოდა პარიზში, სტოკჰოლმში, ვენასა და ევროპის სხვა ქალაქებში. 1929 წ-დან იყო პარიზში დაარსებული „რუს მხატვართა საზოგადოების“, ხოლო 1933 წ-დან – „ფრანგ მხატვართა სინდიკატის“ წევრი. ვრცელია ვ. ჯორჯაძის გამოფენების ჩამონათვალი: პირველი პერსონალური გამოფენა (ქართული თეატრის ფოიე, 1914 წ-ის 28 იანვარი); ქართველ ხელოვანთა საზოგადოების სურათების I გამოფენა (დიდების ტაძარი, თბილისი, 1919 წ-ის 4 მაისი); ქართველ ხელოვანთა საზოგადოების სურათების III გამოფენა (1920 წ-ის ივნისი-ივლისი); რუს მხატვართა საზოგადოების გამოფენა (პარიზი, 1929 წ-ის 9-23 ივნისი) და სხვ.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოში (სემ – ხელოვნების მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა)), ასევე საზღვარგარეთის კერძო კოლექციებში. მხატვრის მემკვიდრეობის გარკვეული ნაწილი ამჟამად დაკარგულად ითვლება.

ბიბლიოგრაფია:

1. ოქროსცვარიძე ნ., მხატვარი ვასილ ჯორჯაძე, თბ., 2010.
2. ვ. ჯორჯაძის გამოფენა, „სახალხო გაზეთი“ №1105, 1914.

ჰორშელტი თეოდორ
(მიუნხენი, 1829 – მიუნხენი, 1871)

ფერმწერი, გრაფიკოსი. გერმანელი მხატვარი თ. ჰორშელტი დაიბადა ბალეტმაისტერ ფრიდრიხ ჰორშელტის ოჯახში. 1846 წ-დან სწავლობდა მიუნხენის სამხატვრო აკადემიაში თავდაპირველად პროფესორ ი. ა. რომბერგთან, შემდგომ – ჰ. ანშტუტთან. 1853 წ-ს პარიზის გავლით გაემგზავრა ესპანეთში, შემდეგ – ალჟირში, სადაც 1856 წ-მდე დაჰყო. იქ შექმნილი ესკიზებით მხატვარმა მოგვიანებით შექმნა ფერწერული ტილოები, რომელთა გაყიდვის შემდეგ კავკასიაში გაემგზავრა (1858). თ. ჰორშელტი მონაწილეობდა რუსეთის იმპერიის სამხედრო ექსპედიციაში კავკასიელი ხალხების წინააღმდეგ (1858-1860). იგი დაესწრო შამილის ტყვედ აყვანას. მხატვარი ამ მოვლენების ამსახველი ნამუშევრებისათვის მოგვიანებით ორდენით დააჯილდოვეს და სანკტ-პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის წევრად აირჩიეს. 1862 წ-ს პრუსიის პრინცის – ალბერტის მიწვევით ბაქოსა და ერევანში იმოგზაურა. კავკასიაში ყოფნის დროს მუდამ ჩადიოდა და ცხოვრობდა თბილისში. თ. ჰორშელტმა კავკასიაში 1860-იან წწ-ში მიმდინარე საომარი მოქმედებების თემაზე მრავალი ნამუშევარი შექმნა. ამასთანავე კანეთში, სამეგრელოში, იმერეთში, აფხაზეთში, თუშეთსა და ხევსურეთში მოგზაურობისას შეასრულა გრაფიკულ ნამუშევართა

ციკლი საქართველოს სხვადასხვა კუთხის ყოფისა და ტიპაჟების გამოსახულებებით. 1863 წ-ს თ. ჰორშელტი მიუნხენში დაბრუნდა. მხატვრის ნამუშევრებიდან განსაკუთრებით ცნობილია „დატყვევებული შამილი თავად ბარიატინსკის წინაშე“, „გუნების შტურმი“ და სხვ.

მისი ნამუშევრები დაცულია სემ – ხელოვნების მუზეუმში, საქართველოსა და უცხოეთის მუზეუმებსა და კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. ფერაძე თ., რუსი და უცხოელი მხატვრები საქართველოში (XIX ს.), თბ., 1964.
2. ჭოლოშვილი ნ., გერმანული მხატვრული ტრადიცია და საქართველო XIX ს-ის დასაწყისიდან XX ს-ის 40-იან წლებამდე, თბ., 2006 (ავტორე-ფერატი).
3. Schaller Ch., Theodor Horschelt (1829-1871), Maler des Kaukasus, Kaukasische Post, №47.
4. Theodor Horschelt, sein Leben und seine Werke, Herausgegeben von Joseph Abbert, München, 1875.
5. Theodor Horschelt, Bilder aus dem Kaukasus, Muenchen, 1875.
6. Theodor Horschelt, Sein Leben und seine Werke, Spanien, Algier, Kaukasus, Muenchen, 1878.
7. Thieme-Becker, Künstlerlexikon, Band XII, Leipzig, 1907.
8. Tschogoschwili N., Deutsche Siedler im Tbilisi des 19. Jahrhunderts, Iran and the Caucasus, №8.1, Brill, Leiden, 2004.
9. Архив Е.Г. Вейденбаума, Картотека кавказских деятелей (Буква «Г»), 1897.
10. Булгаков Ф., Наши художники, т. I, 1970.

11. Кавказские походные рисунки Горшелта, СПб., 1896.

ჰრინევსკი პინრის
(ქუთაისი, 1869 – 1937)

მხატვარი, არქიტექტორი, საზოგადო მოღვაწე, ქართული ხუროთმოძღვრების მკვლევარი. წარმოშობით პოლონელი ქართველი მხატვარი, პოლონელი ემიგრანტების შთამომავალი, დაიბადა ქუთაისში. მამის გარდაცვალების შემდეგ დედასთან ერთად გაემგზავრა იტალიაში. დაამთავრა ტექნიკური სასწავლებელი ფლორენციაში და სწავლა განაგრძო სამხატვრო აკადემიაში. 1889 წ-ს ქუთაისში დაბრუნდა და სამხედრო ვალდებულება მოიხადა. შემდეგ გაემგზავრა გერმანიაში, სადაც სწავლობდა არქიტექტურას კარლსრუეს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. 1895 წ-ს ისევ იტალიაში ჩავიდა და დაასრულა სამხატვრო განათლების მიღება. 1898 წ-ს ჰრინევსკი საქართველოში დაბრუნდა. ამ დროიდან მისი მოღვაწეობა მჭიდროდ დაუკავშირდა ქართულ კულტურას. 1902 წ-დან ასწავლიდა „კავკასიის კაზმულ ხელოვნებათა წამახალისებელი საზოგადოების“ სამხატვრო სასწავლებელში, ხოლო 1918-1921 წწ-ში იყო ამ სასწავლებლის დირექტორი. ჰრინევსკის დიდი წვლილი მიუძღვის შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურის კვლევაში. მას ეკუთვნის აკვარელით შესრულებული ციკლი „ძველი ქართული ხუროთმოძღვრება“. მისი დიდი დამსახურებაა ძველი ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების აზომვა, ნატურიდან ნახატების შესრულება. 1912 წ-ს სპეციალურმა კომისიამ ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით ჰ. ჰრინევსკის ილია ჭავჭავაძის თხზულებ-

ბათა ერთტომეულის გაფორმება დაუკვეთა (გამოიცა 1914 წ-ს მ. გედევანიშვილის მიერ). ჰრინევსკი თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი ფუძემდებელია. ეკავა დეკანისა და პრორექტორის თანამდებობა, იყო აკადემიის პროფესორი (1922-1937). იგი ცხოვრობდა აკადემიის ერთ-ერთ კორპუსში, სადაც სახელოსნოც ჰქონდა. ჰრინევსკის მოწაფე იყო თითქმის ყველა მხატვარი და არქიტექტორი, რომელმაც 20-30-იან წწ-ში განათლება მიიღო თბილისის აკადემიაში. ჰ. ჰრინევსკი 1937 წ-ის რეპრესიებს შეეწირა.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს მუზეუმებსა (სემ – ხელოვნების მუზეუმი, ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწ. მუზეუმი, თბილისის სახელმწ. სამხატვრო აკადემია) და კერძო კოლექციებში.

ბიბლიოგრაფია:

1. ნეტმან-მულტანოვსკა კ., ჰენრიკ ჰრინევსკი, თბ., 2007.
2. პოლონელი მხატვრები საქართველოში, გამოფენის კატალოგი, შემდგენელი ჰ. იუსტინსკაია, თბ., 2011.
3. ციციშვილი ე., საქართველოს სიყვარულით, თბ., 2006.